690
323.2(05)
ს. ს. ს. რ.
Ь-38
690
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა. ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის
ისტორიის კომისია.

რევოლიუციის მატიანე

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№№ 4-5 (9-10)

1924

გამოსცემა საქ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ სამმართველოსა.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი.

		გვ.
1.	მაზრკომებს და ოლქკომებს (ცირკულიარულად) პირველი რევოლიუციის 20 წლის თავისთვის	1

განყოფილება I. 1905 წელი ჩვენში.

2.	**ს. თალაკვაძე**—1905 წელი	5
3.	1905 წელი ჩვენში. I. მუშათა ცხოვრების ზოგიერთი სურათები: 1) ტფილისის ტრამვაის მუშები, 2) ტფილისის რკინის გზის კონდუქტორების მოთხოვნები, 3) მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა მოთხოვნები, 4) ქუთაისის მუშებში, 5) ტფილისის მეჩექმეთა მოთხოვნები, 6) ნოკრების მოთხოვნები (სამტრედია), 7) წინანდალის მუშები; II. გლეხთა მოძრაობა: 1) სულთან კრიმ-გირეის მიმართვა გურულებისადმი, 2) გურულების პასუხი (ს. ბაბეი), 3) არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ (ს. გომი, ცხინვალი, შინდისი, ძალისი, მეჯვრისხევი, საგარეჯო, ჭილურტი, ლეჩხუმის მხარე, მექვენა); III. რას ამბობდა ბურჟუაზია? 1) თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნების განცხადება, 2) თფ. ქალაქის თავის მოხსენება, 3) თფილისის წერილ ვაჭართა მოთხოვნები; IV. მოწაფეთა შორის. V. შავი რაზმის გარშემო: 1) ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, 2) ხუდადიის თავად-აზნ. კრება, 3) თავად-აზნაურთა დრუჟინის დასაწესებლათვის, 4) წერილი ცხინვალიდან, 5) თფილისის პატრიოტები, 6) მუშათა პატრიოტული მანიფესტაცია თფილისში, VI. სომეხ-თათართა ბოცვა-ჟლეტა: 1) ბაკოში, 2) ტფილისში (22—25 ნოემბრის დღეები ტფილისში). 3) ბოცვა-ჟლეტის მიზეზია პანისლამიზმი და სხვ. VII. მთავრობის რეპრესიები: 1) „დაურღვეველი საბუთები"—„ცნ. ფურც." № 3035, 2) კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის საიდუმლო საქმიდან ბრძანებანი და სხ. ჯარების გადაჯგუფების შესახებ, 3) ქუთაისის დრ. ჯენ. გუბ. ალიხანოვის და დამსჯელი რაზმების უფროსთა მოხსენებები.	11
4.	**სერაპიონ ლომმიძე.** ზოგიერთი მოგონებანი რევოლიუციონური მოძრაობიდან (1903—5 წ.)	103

განყოფილება II. ისტორიული წერილები.

1.	**ს. თალაკვაძე.** პირველი მარქსისტი თეორეტიკი საქართველოში 90 წლების დასაწყისში	126
2.	„უთავბოლობის" ნაყოფი (კრიტიკული შენიშვნები) ფ. შემოქმედელისა (ფ. მახარაძე), დაწერილი 1892 წ. ვარშავაში	128
3.	**ზ. ჩიქვილაძე.** ტფ. სასულიერო სემინარია გასული საუკუნის მე-80 წლებში	171

განყოფილება III. პროკლამაციები.

1.	ანდარმერიის „საიდუმლო თანამშრომელნი" . . .	188
2.	**იასონ ჯორბენაძე.** წარსულის ერთი ეპიზოდი (პროკლამატორი სევ. ბახტაძე)	198

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება IV. მოგონებანი

1. **კ. ცინცაძე.** ჩემი მოგონებანი (1903—1920 წ.) . . . 208
2. **ხ. თოდრია.** ალიონიდან გათენებამდე 243
3. **დ. ი. შერმანი.** ამბ. კამო 258
4. **ხ. ლომთათიძე.** ჩემი მოგონებანი ძველ რევ. მუშაკებზე 266
5. **გ. ლაფანაშვილი.** ჩემი მოგონება 280
6. **სოფრომ მგალობლიშვილი.** სოციალ-რევოლიუციონური მოძრაობა საქართველოში 1870—1880 წ. 286

განყოფილება V. ავტობიოგრაფია.

1. **მიხა ჩოდრიშვილი.** ჩემი თავგადასავალი 331
2. **ნოე ლეჟავა.** ჩემი თავგადასავალიდან (მოგონებანი) . 349

განყოფილება VI. რევოლიუციის მსხვერპლნი.

1. შალიკო ასკურავა 362
2. ამბაკო სამანიშვილი 363
3. ნესტორ კალანდარიშვილი 366
4. გარსო და გრიშა მამაცაშვილები 385
5. სპირიდონ დვალი 388
6. ირაკლი დუმბაძე 299
7. იუსტინე გოგოძე 391
8. ტიტე მშვიდობაძე 393

განყოფილება VII. პარტიული არქივი.

1. კომუნისტების მუშაობა მენშევიკების ბატონობის დროს . 396
2. რ. ს. დ. მ. პ. მოხსენება ამსტერდამის საერთაშორისო სოც. კონგრესისადმი 404

განყოფილება VIII. ბიბლიოგრაფია.

1. რუსეთის კომპარტიის მოკლე ისტორია 416

2. **მ. პოკროვსკი.** ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუციის 20 წლის თავი 417

განყოფილება IX. ტრიბუნა.

1. **არაქელ ოქუაშვილი.** პირველი მაისობა ტფილისში . . 423

ს ურ ა თ ე ბ ი: 1) 1905 წელი ჩვენში (იმ დროინდელ გახეთებიდან); I. ცემა-ტყეკა. II. გარბიან. III. საპყრობილისაკენ. IV. შეპყრობილი წითელ რაზმელები, V. დაბა-სოფლებს სწვავენ. ხალხი იბიზნება. VI. პურ-მარილი. VII. დამსჯელი რაზმის უფროსი. 2) ოცეა რიეინაშვილი, 3) კოტე ცინცაძე, 4) შალიკო ასკურავა, 5) ამბაკო სამანიშვილი, 6) ნესტორ კალანდარიშვილი, 7) გარსო და გრიშა მამაცაშვილები, 8) სპირიდონ დვალი, 9) ირაკლი დუმბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარულად

1 ივლისი 1924 წ.

ყველა მაზრკომებს და ოლქკომებს.

ახლოვდება 1-ლი რევოლიუციის (1905 წელი) 20 წლის თავი, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღნიშნული იქნება იუბილეს სახით.

საქართველოს პარტისიც შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

პარტისი ჰკრეფს, აგროვებს 1905 წლის რევოლიუციის ცნობებს, მასალებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, აწერიებს კომპეტენტურ ამხანაგებს ამ რევოლიუციის სხვადასხვა მომენტების გამომხატველ ისტორიული ხასიათის წერილებს და ცდილობს ამ დღისათვის გამოსცეს 1905 წლის რევოლიუციის გამაშუქებელი და შემსწავლელი ისტორიული წიგნები.

პარტისი ამიტომ გავალებთ თქვენ, ადგილობრივად მომუშავე ამხანაგებს, ხელი შეგვიწყოთ ამ საქმეში, რაც გამოიხატება იმაში, რომ მონახოთ ადგილობრივ არქივებში 1905 წლის რევოლიუციის მასალები, ოფიციალური დოკუმენტები, თუ ვინმეს აქვს ამის შესახებ ჯერჯო მიწერ-მოწერაც და გადმოგზავნოთ საქართველოს კომპარტიის ცეკას პარტისში.

ს. კ. პ. ც. კ-ტის. მდივანი **ბ. ლომინაძე.**
პარტისის გამგე **ს. თალაკვაძე.**

პირველი რევოლიუციის (1905) 20 წლის თავისათვის.

მომავალ 1925 წელს სრულდება პირველი რევოლიუციიდან (1905) 20 წელი.

ს. ს. რ. კავშირის მთავრობა მზადებას შეუდგა, რათა დღესასწაულის გადახდით აღნიშნოს მე XX საუკუნის ეს უდიდესი მოვლენა.

რ. კ. პ. ც. კ. პარტისი უკვე შეუდგა ყოფილ რუსეთის იმპერიის წარსული რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის შესასწავლად მასალების შეგროვებას. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასია და ჯერჯოდ საქართველო არ შედიან ამნაირ შესწავლის სფეროში. ნამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეილად კი, რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია, რომელიც 1905 წლის აფეთქებამდე მიგვიყვანა, ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, მეტად მდიდარია რევოლიუციონური მოძრაობით. როგორც თავისი ტეპპით, ისე გაქანებით ეს მოძრაობა, განსაკუთრებით გლეხთა მოძრაობა საქართველოში, არაფრით ჩამორჩება მაშინდელ რუსეთის იმპერიის რომელიმე ნაწილის გლეხთა მოძრაობას.

აქედან აშკარაა, რომ მთელი ამოცანა ჩვენი რევოლიუციონურ მოძრაობათა მასალების შეკრების, შესწავლისა და გამოცემის ეკისოება საქ. კომპარტიის ცეკას პარტისს.

როგორც ცნობილია, პარტისი ამ მუშაობას აწარმოებს, რასაც ამტკიცებს ჟურნ. „რევოლიუციის მატიანე"-ს სქელ-ტანიანი წიგნები, რომლებიც ასე მოკლე ხანში იქნა გამოცემული და რომელთა გამოცემაც გრძელდება. მაგრამ ამით საქმე მხოლოდ დაწყებულია. ახლა კი, ვინაიდან მოახლოვებულია პირველი რევოლიუციის 20 წლის თავი, საჭიროა საქართველოს და საერთოდ ჩვენი დიდი კავშარის ძუშები და გლეხები. განსაკუთრებით კი ის თაობა, რომელიც 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ გაჩნდა, რაც შეიძლება დაწვრილებით გეეცნოს იმ ამბებს, რომლებიც ჩვენში 20-25 წლის წინად მოხდა. და ეს აუცილებლად საჭიროა შეეასრულოთ სწორედ მომავალ იუბილეასთან დაკავშირებით.

ამ მიზნით საქ. კომპარტიის ცეკას პარტისმა გადასწყვიტა შეუდგეს როგორც დაბეჭდილ, ის დაუბეჭდავ მასალების ყოველმხრივ შესწავლას და ამის თანახმად შეადგინოს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობის ნამდვილი ისტორია—მოძრაობის დაწყებიდან თვით 1905 წლამდე. გამოცემის საერთო სათაური იქნება: „1905 წელი ამიერ-კავკასიაში" და დაყოფილი იქნება დაახლოვებით შემდეგ ნაწილებად და განყოფილებებად:

ნაწილი პირველი.

1. ამიერ-კავკასია XIX საუკ. მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში: ა) უმაღლესი ხელისუფლება ამიერ-კავკასიაში; ამიერ-კავკ. დაყოფა გუბერნიებად და ოლქებად; ბ) განათლების მდგომარეობა და მოსახლეობა კულტურული დონე; გ) ნაციონალური საკითხი; დ) ეკონომიური მდგომარეობა: მრეწველობა, ვაჭრობა და სასოფლო მეურნეობა; საგაჭრო და საბრეწველო კაპიტალის როლი; მემამულეთა კლასი; ე) საგლეხო ანუ საადგილ-მამულო საკითხი; ვ) მუშათა კლასი ამიერ-კავკასიაში; ზ) საზოგადოებრივი მიმდინარეობანი, პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართვე-

690/1921

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობი მე-XIX საუკუნის დასასრულში და მე-XX საუკ. დასაწყისში: სოკ. დემ. (მენშევ. და ბოლშ.) დაშნაკცუტუნი, ქართველ ნაციონალისტთა პარტიები და ჯგუფები,—(ფედერალისტები, საქართველოს თავად-აზნაურულ—წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია), ესერები, ანარქისტები, კადეტები, მონარქისტები და სხ.) ყველა ამ ორგანიზაციების მუშაობა და მათი როლი 1905 წლის რევოლიუციაში.

II. 1) რევოლიუციონური მოძრაობა, მისი აღმოცენება და განვითარება: რევოლიუციონური მოძრაობის ფორმები; 2) პირველი მუშათა გაფიცვები და ამ გაფიცვების გავლენა მუშათა და გლეხთა მოძრაობაზე. მუშათა მოძრაობის უმთავრესი ცენტრები: ტფილისი, ბათუმი, ბაქო; 3) გურიის გლეხთა ორგანიზაციული მოძრაობა და ამ მოძრაობის ჩქარი განვითარება ამიერ-კავკასიის სხვა მაზრებში და გუბერნიებში. მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1903—1904 წლებში; 4) 1905 წლის რევოლიუციონური აბზები, 5) აშკარა შეიარაღებული და კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების აღმოცენება, ზრდა და მათი როლი, 6) სომეხ-თათართა შეტაკებები ბაქოში, განჯაში, ტფილისში და სხვ. დაშნაკცუტუნის და მთავრობის როლი ამ მოძრაობაში. განსაკუთრებით სოკ. დემოკრატიის როლი. 7) 1905 წლის უმაღლესი კულმინაციური წერტილი. შეიარაღებული შეტაკებანი და გლეხთა აჯანყებანი.

დასკვნა: 1905 წლის რევოლიუციის ხასიათი და მისი დამარცხება. დამარცხების მიზეზი. მენშევიკებისა და ბოლშევიკების ტაქტიკა 1905 წლის რევოლიუციის ეპოქაში.

ნაწილი მეორე.

49

I. 1) რევოლიუციონური ლიტერატურა მე-XIX საუკუნის დასასრულში და მე-XX საუკუნის დასაწყისში: პერიოდული ლეგალური და არალეგალური ფურცლები, პროკლამაციები, მოწოდებები და სხვ. 2) ტეხნიკა: არალეგალური სტბჭბები, ლაბორატორიები და სახელოსნოები ყუმბარების დასამზადებლათ. 3) არალეგალური ტეხნიკის მთავარი ორგანიზატორები. 4) მუშათა, გლეხთა და მოწაფეთა გაფიცვები: ამათი დაყოფა პოლიტიკურ და ეკონომიური ხასიათის გაფიცვებად. 5) საპირველმაისო დემონსტრაციები და სხ. 6) ბოიკოტი. 7) ექსროპრიაციები. 8) შეიარაღებული შეტაკებანი. 9) აჯანყებები. 10) ტეროროსტული აქტები.

II. **რეპრესიები:** 1) გაძლიერებული და საგანგებო დაცვის წესების შემოღება ცალკე ქალაქებში, დაბებში, მაზრებში, გუბერნიებში. 2) საალაო და სამხედრო წესების შემოღება, 3) რევოლიციის მოღვაწეთა დაპატიმრება—გადასახლება. 4) რევოლიუციონური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებისა და გლეხების ცენა-ტყეპა დაპატიმრებისა და ციხეში ყოფნის დროს. 5) თეთრი ტერორის მსხვერპლნი. 6) მთავრობის, ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის შურისძიება რევოლიუციონერებზე. 7) დამსჯელი რაზმები და ექსპედიციები.

ნაწილი მესამე.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ წარმომდგარი სასამართლო პროცესები.

ეს გამოცემა ერთსა და იმავე დროს უნდა გამოვიდეს ქართულ და რუსულ ენებზე.

საქ. კომპარტიის პარტისის კოლეგიის წევრნი: **ფ. მახარაძე.**
ს. თალაკვაძე.

მოწოდება.

ძვირფასო ამხანაგებო!

1925 წელს 1905 წლის პირველ რევოლიუციას უსრულდება 20 წელი.

მთელი კავშირის საბჭოთა რესპუბლიკები ამ დღეს აღნიშნავენ იუბილეს გადახდის სახით.

საქართველოს პარტისიც შეუდგა სამზადისს.

იგი ჰკრებს, აგროვებს 1905 წლის რევოლიუციის მასალებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, აწერიებს კომპეტენტურ ამხანაგებს ამ რევოლიუციის სხვადასხვა მომენტების გამომხატველ ისტორიული ხასიათის წერილებს.

ამიტომ პარტისი მოუწოდებს ყველა ამხანაგებს, ყველა ძველ რევოლიუციონერებს მოგვაწოდონ მასალები,—მოგონებები დოკუმენტები 1905 წლის რევოლიუციის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის პარტისის
კოლეგიის წევრნი: 1) **ფ. მახარაძე.**
2) **ს. თალაკვაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. თალაქვაძე

1905 წელი

I.

მომავალი წლის დამდეგს, 1925 წელს, **1905 წლის** პირველ რევოლიუციის ასრულდება 20 წელი.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი ემზადება, რათა იგი აღნიშნოს იუბილეს სახით.

ყველა რესპუბლიკების, ყველა ავტონომიურ ოლქებისა და დიდი ქალაქების პარტისი წინასწარ ჰკრებს 1905 წლის რევოლიუციის მასალა-დოკუმენტებს ამის გამო და ჰბეჭდავს თავის ისტორიულ ჟურნალებში, რათა იუბილეს აღნიშვნის დღეს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მებრძოლ პროლეტარიატს, ახალგაზრდა რევოლიუციონერთ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელთ, რომელთაც იგი არ განუცდია, და ეცნობიან მას მხოლოდ ეხლა.

საქართველოს პარტისი, მისი ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე"-ის რედაქციაც შეუდგა ასეთ მასალების შეკრებადამუშავებას.

„რევოლ. მატიანე"-ს წარსულ (7-8 №-რში) 1905 წლის რევოლიუციის შესახებ ჩვენ მოვათავსეთ ვრცელი ოფიციალური დოკუმენტები,—რევოლიუციონურ მომენტების დამახასიათებელი მასალები; ამ №-რში კიდევ უფრო მდიდარი და მეტი მასალები იბეჭდება 1905 წლის რევოლიუციის ამბებიდან.

მკითხველი რევოლიუციონერები, ამხანაგები მას გაეცნობიან და მიეცემათ შესაძლებლობა შეაფასონ ძალთა ბიდიელი 1905 წლის რევოლიუციაში.

ჩვენც აქ ამ მასალების მიხედვით ვეხებით მხოლოდ 1905 წლის რევოლიუციის ღირსშესანიშნავ მომენტებს და ხაზს ვუსვამთ მისი განვითარების ისტორიას.

II.

ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, 1905 წელი დაიწყო უმიწაწყალო, ღარიბ გლეხობის აგრარული მოძრაობით.

მებრძოლი მშრომელი გლეხობა ართმევდა მიწას რევოლიუციონური წესით მემამულეებს და იწყებდა დამუშავებას: მემამულე—თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად-აზნაურობას და მათ დამცველ ბოქაულ—ჩაფრებს, რომელნიც ურჩობას უწევდენ რევოლიუციას, მის მონაპოვართ, იარაღით ხელში ებრძოდა მშრომელი გლეხობა და ბევრ იმათგანს სიცოცხლესაც ასალმებდა, იმ „ქვეყნისაკენ“ ისტუმრებდა.

ხშირი იყო მკვლელობა ურჩ, ხულიგან მემამულეებისა.

ყველაფერი ეს კეთდებოდა რევოლიუციონური ორგანიზაციის მტკიცე ხელებით.

არაფერი უორგანიზაციოთ, ორგანიზაციის ნებადაურთველად და მისი სურვილის გარეშე არ ხდებოდა.

ქალაქებიდან სოფლად წამოსული მოწინავე მუშები, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ წარმოგზავნილი აგიტატორი—პროპაგანდისტები იყო ამხედრებულ მშრომელ გლეხ-კაცობის ხელმძღვანელნი და გზის მაჩვენებელნი.

სოფელს და ქალაქს, გლეხს და მუშას რევოლიუციის მებაირახტრე სოციალდემოკრატიული პარტიის *) მეოხებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა დაჭერილი ერთმანეთთან და ასე გაერთიანებული ებრძოდნენ თავის-უფლებისა და მშრომელი ხალხის კეთილ-დღეობის ერთ მტერს—მონარქიულ მთავრობას, მემამულე—თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიას.

რევოლიუციის ნიაღვარი წალეკვას უქადდა ყველაფერ ძველს...

მემამულე თავად-აზნაურობას და მის მოჭირნახულე მონარქიულ მთავრობას შიშის ზარი ეცემოდა.

იბნეოდენ.

მათ არ იცოდენ საიდან დაეწყოთ თავდაცვა, როგორ გამოჭრომოდენ თავზედ დატეხილ მშრომელი ხალხის რისხვას.

ეძებდენ გამოსავალ გზას...

მთავრობა, პოლიცია, მათი სატრაპი ბოქაულ-ჩაფრები იდევნებოდენ სოფლებიდან და მათ ადგილზე ბატონდებოდა მშრომელი გლეხკაცობის მიერ არჩეული ათის თავები, ასის თავები, აგანყებულ გლეხკაცობის რევოლიუციონური კომიტეტები. ყველაზე ძლიერად

*) 1905 წლის მიწირულამდე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, საქართველოში, არ იყო ჯერ კიდევ ფრაქციული, შეურიგებელი ბრძოლა დაწყებული მეხშევიკ-ბალშევიკებს შორის; აქ მენშევიკნს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოკიდებული ფეხი, მისი თითო-ოროლა წარმომადგენელი ხშოლოდ ნიადაგს ამზადებდა, ეცნობოდენ ორგანიზაციულ და ორგანიზაციებში გამეფებულ პირების მუშაობას და მუშაობის მეთოდებს; ჯერ კიდევ აქნობამდის პარტიის II-ე ყრილობის უმრავლესობის ახლს ემყარდებოდენ ორგანიზაციები და ატარებდენ ძველი „ისკრის“ ხასს რევოლიუციონურ მუშაობაში. ამით აიხსნება საქართველოში გლეხისა და ბუშის დაკავშირება, ორგანიზაციის უყოყმანო, გადაჭრილი რევოლიციონური ნაბიჯები და 1905 წლის რევოლიუციონური გამოსვლების ბოლშევიკური ხასიათი, რასაც ამ მოძრაობის ისტორიული მიმოხილველებიც აღნშნავენ; ესეთნაოვიც კი ალიარებდა ამას.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის ეს ცეცხლი მოედო გურიის გლეხკაცობას, რასაც ხელი შეუწყო ბათომში დაკეტილ ქარხნებიდან დაბრუნებულმა გურულმა მუშებმა. იქ სრული ხელისუფლება დამყარდა გურიის მშრომელი ხალხისა; თვითმპყრობელ მთავრობის „ოპრიჩნიკები“ და მათი შავი საქმიანობა არსად არა სჩანდა. გაზეთები თამამად სწერდენ „გურიის რესპუბლიკის“ შესახებ.

ამიტომ იყო, რომ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენ. მალამამ თავისი ერთგული ჩინოვნიკი, სულთან-კრიმ-გიერი თარჯიმანის ხლებით გაგზავნა „გურიის რესპუბლიკაში“, გურიის რევოლიუციონურ ხალხთან მოსალაპარაკებლათ.

... ეს იყო მთავრობის „გონიერი“ ცდა გამოენახა აჯანყებულ გურიის მშრომელ ხალხთან შემთანხმებელი, დამაკავშირებელი „საერთო ენა“ რომ მთლად არ დაეკარგა ამ კუთხეში ხელისუფლება, ბატონობა.

კრიმ-გირეიმ და მისმა გამგზავნელმა მონარქიულმა მთავრობამ ვერ მიაღწია საწადელს.

მან ვერ გამონახა „საერთო ენა“ რევოლიუციონურ ხალხთან.

გურიის რევოლიუციონურმა მშრომელმა ხალხმა და საერთოდ საქართველოს რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა ბევრი მოიგეს ამით.

მტკიცე რევოლიუციონურ ორგანიზაციებში შემჭიდროებულმა გურულებმა რევოლიუციის სასარგებლოდ გამოიყენეს ეს.

სულთან კრიმ-გირეის ყველგან, ყველა სოფლებში და დაბებში ერთ და იმავე რევოლიუციონურ მოთხოვნილებებს უყენებდენ: ეს მოთხოვნილებები იბეჭდებოდა გაზეთებში, მას თავის დასკვნას უკეთებდა რევოლიუციონური პრესა. ყველაფერი ეს ვრცელდებოდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ფართე შრომელ მასსებში,—იზრდებოდა, ღრმავდებოდა რევოლიუცია ამით.

ეს კი შეიქნა მიზეზი იმის, რომ სულთან-კრიმ-გირეის აღარ დასცალდა ყველა სოფლების დავლა: იგი საჩქაროდ იქნა გაწვეული მთავრობის მიერ უკან, ტფილისში.

მთავრობამ შემოიკრიბა ძალ-ღონე, გააძლიერა რეპრესიები...

მოძრაობა—სიცოცხლის კანონი არის: სიცოცხლეს სიკვდილი სდევდეს, სიკვდილს სიცოცხლე უპირდაპირდებოდეს.

ასე, რევოლიუციას მოსდევს კონტრ-რევოლიუცია.

და აი, აქაც წამოყო თავი კონტრ-რევოლიუციამ.

შეეიწროვებულმა, მშრომელი ხალხის მიერ დევნილმა მემამულეებმა და თავად-აზნაურობამ იწყეს შავი რაზმის მოწყობა.

ასეთი რაზმი მათ შეჰქმნეს ქართლში—(გორის მაზრაში) ამდუშელიშვილისა, ციციშვილებისა, ფალავანდიშვილებისა და სხვა თავადების მეთაურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმის შეჰადგენლობაში შედიოდენ განსაკუთრებით მემამულე თავად-აზნაურები.

რაზმის მიზანი იყო აჯანყებულ რევოლიუციონურ გლეხ-კაცობისაგან თავის დაცვა, რევოლიუციასთან დაპირდაპირება, რევოლიუციის განელება—შესუსტება. ძველი ყოფა-მდგომარეობის დაბრუნებაშერჩენა. ზოგიერთ გულუბრყვილო ქართველ პატრიოტებს შეცდომაში შესაყვანად მათ შეიტანეს თავიანთ „პროგრამაში" ქართული ენის დაცვა და საქართველოს ავტონომია.

ეს მუხლი მათ, ცოტა არ იყოს, აკლდება მთავრობის ნდობამფარველობას. მაგრამ მთავრობა მათ მაინც სთვლიდა თავის ყავარჯნად, რადგან ორივე ერთად ებრძოდა ერთ პოლიტიკურ მტერს, გამოღვიძებულ რევოლიუციონურ მშრომელ ხალხს, აწოდებდა რა შავ რაზმს თოფ-იარაღს, ტყვია-წამალს; ახმარ ,ბდა თავის ბოქაულ-ჩაფრებს და უწყობდა ხელს უმსგავსო ხულიგანურ ექსცესების მოწყობაში.

ამ ხანებში ქუთაისში და ზუგდიდში გახშირდა თავად-აზნაურთა კრება-კონფერენციები, სადაც იმუშავებდნენ ზომებს რევოლიუციის საწინააღმდეგოთ, ანთხვედენ თავიანთ კონტრ-რევოლიუციონურ ბოლმა-ნაღველს.

კონტრ-რევოლიუციის მოსაწყობად, კონტრ-რევოლიუციონურ რაზმის გასაზარდათ და გასაძლიერებლად მონარქიული მთავრობა კიდევ უფრო შორს წავიდა, კიდევ უფრო ფართე გეგმები შეიმუშავა და შეუდგა გატარებას.

მისი მეოხებით შესდგა ტფილისში პატრიოტ რუს-ჩინოვნიკებისა და გზაანეულ, გაბულიგანებულ მუშების კონტრ-რევოლიუციონური „საზოგადოება", რომლის მიზანი, სამოქმედო „პროგრამა" იყო ოგივე, რაც თავად-აზნაურთა შავი რაზმისა, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი არ იმეტებდა მათთვის საქართველოს ავტონომიას, პირველს არა ჰქონდა „ღვთისაგან კურთხეულ" მეფის დაცვა თავიანთ „პროგრამაში" შეტანილი, ხოლო უკანასკნელნი კი მას თავიანთი მოთხოვნილების ქვა კუთხედათ იხდიდენ.

ამ შავმა, პატრიოტულმა რუსულმა „საზოგადოებამ" თავიანთი ძალები რამდენჯერმე გამოფინა ქუჩებში მანიფესტაციის სახით,—დაარბიეს დუქნები და სცემეს გამვლელ მშრომელ ხალხს.

მათ გამოჰქონდათ რეზოლიუცია-დადგენილებები, რითაც მოითხოვდენ მთავრობისაგან არა დაეთმო რევოლიუციონერებისთვის არაფერი, მიეღო სასტიკი ზომები მათ წინააღმდეგ; უსაყვედურებდენ კიდეც მთავრობას იმის გამო, რომ იგი რბილათ ექცევა რევოლიუციონერებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის აგენტებმა მოაწყვეს ბაქოში სომეხ-თათართა საშინელი ქლეტა. წაჰკიდეს ერთმანეთს ორი მეზობელი ერი სამტრო-სასიცოცხლოდ, რომელიც შემდეგ გადატანილ იქნა ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში და ტფილისშიც.

...სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რევოლიუციონური ორგანიზაციები იმის ნაცვლად, რომ თავიანთი პირდაპირი რევოლიუციონური საქმეები ეკეთებიათ, გაეღრმავებიათ, განემტკიცებიათ იგი, უნდებოდენ მთავრობის პროვოკაციით ერთმანეთზე სამტროთ გადაკიდებულ ორი ერის მომე მშრომელი ხალხის მორიგებას, მათ შორის უადგილო სისხლის ღვრის შეჩერებას, რამაც ბევრი მოწინავე და მამაცი მებრძოლი რევოლიუციონერები გამოაცალა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, პარტიის რიგებს.

...მთავრობამაც იმ მიზნით მოაწყო სომეხთა-თათართა ქლეტა, რომ რევოლიუციონური ორგანიზაციების ყურადღება აქეთკენ მიემართა, ამაზე შეეჩერებია; მათი ძალები დაეკარგა და გაეთქვეფა პროვოკაციაზე აყოლილ ბრბოებში.

ეს რამოდენიმედ შესძლო მან კიდეც.

პროვოკაციაში ნაცადმა მთავრობის აგენტებმა იცოდნენ, რომ ამით საკმაოდ შეასუსტებდენ რევოლიუციის ძალებს; ამიტომ ჩასჯიდეს მაგრად მათ ხელი ამ ხერხს და დაიწყეს ენერგიული შავი მუშაობა.

ბაქოში მომხდარი ქლეტის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია, რბევა-ქლეტის შესაჩერებლად გამართული ნეიტრალურ პირების კრება-სხდომები და მთავრობის ზოგიერთ აგენტების მოხსენებები აშკარად ღაღადებენ ამის შესახებ.

ის, რომ სოციალ-რემოკრატიულ პარტიას იხმარიებდა მთავრობა ქლეტის „შესაჩერებლად", ეს მხოლოდ თვალის ასახვევი საშუალება იყო. აქაც ის თავის საკუთარ საქმეებს აკეთებდა, რევოლიუციის საწინააღმდეგოთ დაწყებულ მუშაობას აგრძელებდა.

ასე ირაზმებოდა კონტრ-რევოლიუცია და სდგამდა ნაბიჯებს ნორჩი რევოლიუციის ჩასახშობათ.

ასე, მრავალი ჯერის მტრები გამოუჩნდა ჯერ კიდევ ბრძოლაში გამოუცდელ, განვითარება-მომწიფებას მოკლებულ საქართველოს რევოლიუციონურ მშრომელ ხალხს...

მაგრამ აქ რევოლიუციონური ორგანიზაციები არ დაეცენ სულით, არ დაჰკარგეს იმედი, მათაც შემოიკრიბეს ძალები,—რევოლიუციონურ ძალებთან კონტრ-რევოლიუციონური ძალების დაპირდაპირებით კიდევ უფრო გაიზარდა პასუხისმგებლობა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმულ თითეულ რევოლიუციონერისა, კიდევ უფრო გაცხოველდა და ინტენსიური გახდა რევოლიციონური მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავ რაზმს სოფლად დაუპირდაპირდა რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან დაარსებული წითელი რაზმი,

ასეთი რაზმები შესდგა ქართლში, გურიაში, შორაპნის მაზრაში და სხ. მათ შემუსრეს გათავხედებული მემამულე—თავად-აზნაურების შავი რაზმი, აყარეს იარაღი და სხ.

რუს-ჩინოვნიკებისაგან შემდგარ შავ-პარტიოტულ საზოგადოების დემონსტრაციებს ქალაქებში დაუპირ‌ აპირდა ფაბრიკა-ქარხნებისა, ტრამვაისა და რკინის გზის მრავალ-რიცხოვან მუშების გაფიცვა და პოლიტიკურ-ეკონომიური მოთხოვნილებები; ადგილი ჰქონდა ხშირ ტეროროისტულ აქტებსაც. თან, ამავე დროს, ხშირი მოვლენა შეიქნა პოლიტიკური დემონსტრაციები მოწაფეებისა გორში, ქუთაისში, ბათომში, ოზურგეთში და სხ.

მუშების პოლიტიკურ-ეკონომიურ მოთხოვნილებებს ქალაქში დაუპირდაპირდა ბურჟუაზიის კონტრ-მოთხოვნილებები, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: აიკაზღაურებიათ გაფიცვით დაზარალებული ფაბრიკა-ქარხნების პატრონები, მიეღო ზომები მთავრობას, რომ გაფიცვებს აღარ ჰქონებოდა ადგილი. მქონებელი კლასი აშინებდა კიდეც მთავრობას ფაბრიკა-ქარხნების დაკეტვით, თუ ეს ზომები არ იქნებოდა მიღებული და გატარებული.

ორი პოლიტიკურად და ეკონომიურად საკმაოდ ჩამოყალიბებული ძალა დაუპირდაპირდა ერთმანეთს.

დაიტიმა ძარღვები...

მოიწურა ატმოსფერა...

მთავრობამ შესძლო თავისი არმიიდან გამოეყო ერთგული ჯარისკაცები პლასტუნებისა და კაზაკების სახით; ჩააბარა მან იგი მონარქიის „გმირ“ გენერალ-პოლკოვნიკებს: გრიაზნოვს, ალიხანოვ-ავარსკის, კრილოვს, სხვებს და გაგზავნა სოფლად. სოფელი მისცეს ცეცხლს და მახვილს, ხოლო ქალაქებში იწყეს უანგარიშო, დაუზოგველი რბევა და ძარცვა დუქნებისა, გამვლელი ხალხისა; მათ მიეცათ მთავრობისაგან სრული უფლება და გარანტიაც, რომ ამაში არ აგებდენ ისინი პასუხს.

გახშირდა დაპატიმრება, დახვრეტა, ჩამხრჩობა რევოლიუციონერებისა.

ტფილისში ყოველ წუთს აჩ‌ ერებდენ ტრამვაის ვაგონებს და ეძებდენ ურჩ რევოლიუციონერებს, იყო მათრახების თხლაშა-თხლაში.

რევოლიუცია დასუსტდა.

რეაქციამ წამოყო თავი და გაიმართა წელში.

კონტრ-რევოლიუცია ძლიერი გამოდგა ამ ხანათ რევოლიუციაზე...

კონტრ-რევოლიუცია გადავიდა შეტევაზე...

ჩვენ ვიცით მისი შედეგი, დამარცხება 1905 წლის რევოლიუციისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონერებით ავსება ციხე-საპყრობილეებისა.

ცივი ქვეყანა, კატორღა და ჭლექით სიკვდილი იქ...

...მაგრამ რევოლიუციონერთ რევოლიუციის იმედი მაინც არ დაუკარგავთ და რაღაც 10—12 წლის შემდეგ, 1917 წელს დარჩენილმა რევოლიუციონერება შესძლეს აღგვა თვითმპყრობელი მონარქიისა დედამიწის ზედაპირიდან და გაცამტვერება მისი მთავრობის მიერ შემოღებულ დრაკონიული რეჟიმისა. გამარჯვებული პროლეტარიატი ამით არ დაკმაყოფილდა, მან თან მიაყოლა მათ მეფის კალთაზე ამოფარებული ბურჟუაზიაც.

1905 წელი ჩვენში.

მუშათა ცხოვრების ზოგიერთი სურათები.

(მასალები ამოღებულია 1905 წლის „მოგზაურის“ სხვადასხვა ნომრიდან).

ტფილისის ტრამვაის მუშები.

ტფილისის ტრამვაის მოხელეთა გაჭირვებული მდგომარეობა და სამსახურის სიძნელე აღარავისთვის საიდუმლო აღარ არის. უბრალო მგზავრს შეუძლია მხოლოდ ის ჯაფა შენიშნოს, რომელსაც კონდუქტორი და ვატმანი ეწევა და აქაც ამ მძიმე შრომის მხოლოდ მეცირეოდენი ნაწილი. დანარჩენი მოხელეების მოქმედებას საზოგადოება ვერ ხედავს. ამ დღეებში, უკაცრავად დღეებში კი არა, ღამეებში, ტრამვაის მუშებმა ქალაქის საბჭოს დარბაზში მოახდინეს კრება. „ღამეებში“ მე ვიმიტომ ვამბობ, რომ კრება დაიწყო ღამის თორმეტ საათზე, ე. ი. იმ დროს, როცა ტრამვაის მოქმედება წყდება. კრებას დაესწრენ: სადგურის უფროსები, კონტროლიორები, ვატმანები, კონდუქტორები, ყარაულები და სხ. რიცხვით სამას კაცამდე. ეი ამ დროს, როდესაც ყოველ მშრომელ მოქალაქეს ტკბილი ძილით ეძინა, ტრამვაის მოხელეები თავის გაჭირვებულ ყოფა-მდგომარეობაზე ბაასობდენ. თითეული მოლაპარაკის სიტყვებში ცალკე გაჭირვება, განსაკუთრებული შევიწროება იყო გამოცხადებული. ჩვენ ამ საგანზე კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი. ახლა მხოლოდ უმთავრეს მოთხოვნილებებს მოვიყვანთ:

1) რვა საათის სამუშაო დღე, ნახევარი საათის დასვენებით.

2) ჯამაგირის მომატება.

3) ბინის ფული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) დაშავებულ მუშებს, რომელთაც შრომის უნარი ეკარგებათ, ათი წლის განმავლობაში ჯამაგირი ეძლიოს და სხ.

ტფილისის რკინის გზის კონდუქტორების მოთხოვნები.

1) უნდა მიეცეთ სიტყვისა და კრების სრული თავისუფლება თავიანთ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა გამოსარკვევად. 2) უნდა მიეცეთ დახმარება საქონლის მატარებლების კონდუქტორებს—30 მ., ბაგატისა—35 მ., და მთავარ კონდუქტორებს—40 მ.; ეს დახმარება უნდა მიეცეს იმ კონდუქტორებსაც, რომლებსაც შენიშვნა მიეცეთ და სამსახურში ახლად შესულებსაც. 3) უნდა დაკმაყოფილონ თხოვნა კონდუქტორების მიერ ამა წლის 21 თებერვალს № 828 მიცემული, კონდუქტორები აცხადებენ, თუ მარტო პირველსა და მეორე მუხლს დაკმაყოფილებენ, მაშინ მხოლოდ საფოსტო მატარებლებზე ვივლით. დანარჩენ მატარებლებზე კი მაშინ ვივლით, თუ მესამე მუხლსაც დაკმაყოფილებენო.

მემანქანეთა და მათ თანამშრომელთა მოთხოვნები:

1) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ჯამაგირის მომატება 15%, 2) უფასო პირველდაწყებითი სწავლის შემოღება, საშუალო სასწავლებლის დაარსება და გზაში მოსამსახურეთა ბავშვებისითვის პანსიონი; 3) საქონლის მატარებლების მემანქანეებმა თვეში უნდა გაიარონ არა უმეტეს 200 ვერსისა და სამგზავრო მატარებლების მემანქანებმა არა უმეტეს 1000 ვერსისა, ამაზე მეტი თუ გაიარეს, ზედმეტ შრომაში ნახევარი ჯამაგირის მომატება; 4) დეპოს სამკითხველოსათვის მიდმივი სუბსიდია. 5) ეროვნების განურჩეველად სამსახურში დაწინაურება. 6) საექიმო ნაწილის გაუმჯობესება; 7) კბილის ექიმობა უფასოდ. 8) მემანქანეებისა და მათი თანაშემწეების დაზღვევა რკინის გზის ხარჯით. 9) პენსიის მიღება 15 წლის სამსახურისათვის.

ქუთაისი.

ქუთაისიდან გვწერენ: სტოლიარების, შპალერების გამკვრელების აღებსა და ქარგლებს ურთიერთ შორის მოლაპარაკების შემდეგ დაუდგენიათ: 1) მუშაობა იწყებოდეს 1 აპრილიდან 1 წიფობისთვემდე დილის 6 საათზე და თავდებოდეს საღამოს ექვსზე. ზამთარში 1 წიფობისთვიდან 1 აპრილამდე მუშაობა დაიწყება დილის 7 საათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე და გათავდება საღამოს 7-ზე. დასვენება დილას, საუზმეზე, ნახევარი საათით. კვირა-უქმე დღეების წინ მუშაობას ხელი უნდა აუშვან საღამოს 5 საათზე და ფული უნდა ეძლეოდეს მუშებს თავ-თავის დროზე. 2) აღები ვალდებული არიან მოეპყრონ თავიანთ შეგირდებს მამობრივად და თავაზიანათ; იზრუნონ მათ ტანთ და ფეხსაცმელებზე, საჭმელ-სასმელზე. კვირა-უქმე დღეებში უნდა მისცენ ნება საკვირაო სკოლებში სიარულისა და სწავლის შეძენისა. აიკრძალოს უქმე დღეებში ყოველივე ვაჭრობა.

ტფილისის მეჩექმეთა მოთხოვნები.

1. 12 საათის სამუშაო დღე, როგორც ქარგლებისა, ისე შეგირდებისთვის. დასვენება: დილის საუზმეზე ნახევარი საათი, სადილისათვის კი ერთი საათი.

2. მუშაობა უნდა დაიწყოს 1 აპრილიდან დილის 7 საათზე და გათავდეს საღამოს 7 საათზე; 1 წიფობისთვიდან დაიწყება 8 საათზე და გათავდება საღამოს 8 საათზე.

3. აკრძალულ იქნას ნაპრობით მუშაობა და დადგინდეს თვიური ჯამაგირები.

4. აკრძალულ იქნას კვირა-უქმე დღეებში მუშაობა.

5. აღების ზრდილობანი მოქცევა ქარგლებთან და შეგირდებთან.

6. გაუმჯობესება ბინისა.

დღეს, როდესაც ყველა 7, 8 და 9 საათის სამუშაო დღის დადგენაზე ლაპარაკობს, მეჩექმეების მოთხოვნას ამ საერთო ფერხულში საკმაო დისონანსი შეაქვს. ორში ერთია: მეჩექმეები ან იმდენათ შეეფროვებულნი არიან ნამეტანი მუშაობით, (ამგვარსავე მდგომარეობას განიცდიან მეწუღე და მკერავებიც), რომ გაბედული ნაბიჯი ვერ გადაუდგამთ წინ სამუშაო დღის მოკლებაში, რათა სულ არ დაიფრთხონ აღები, ანდა ეს დათმობა მათთვის დროებითია, რომ უკეთესისათვის შეამზადონ სხვის ნაშრომზე თავიანთი ბედის ამშენებელნი.

ნოკრების მოთხოვნები.

სამტრედია. ა) მოისპოს მუშაობა კვირა-უქმე დღეობით.

ბ) საქმის დღეებს, როგორც სახელოსნო, ისე სავაჭრო დაწესებულებებში მუშაობა იწყებოდეს დილის შვიდ საათზე და თავდებოდეს საღამოს რვა საათზე.

გ) შაბათობით და სხვა უქმეების წინ მუშაობა თავდებოდეს საღამოს შვიდ საათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მოგვეცეს ნახევარი საათი საუზმისათვის და ერთი საათი სადილისათვის.

ე) თუ რომელიმე ჩვენს ამხანაგს ხაზეინის სასმელ საქმელი არ აკმაყოფილებს, მას დღიური საზრდოს ფასი მიეცეს ფულად.

ვ) ვთხოულობთ ადამიანურ, ზრდილობიან მოპყრობას. არც ერთი ადამიანის დამამცირებელი სიტყვით ხაზეინმა შეგირდს არ მიმართოს; არც ერთი დამაცირებელი საქმე მას არ შეუკვეთოს. თუ ვინმე გარეშე პირი შეგირდს შეურაცყოფას მიაყენებს, ხაზეინი ვალდებულია დაიცვას ის (შეგირდი).

ზ) ვთხოულობთ ჰიგიენურად მოწყობილ ბინას.

თ) ჩვენ ვთხოულობთ, რომ სახელოსნოებში მოსპობილ იქნას ეგრედ წოდებული „ხელზე მოსამსახურეობა". მიიღებენ სახელოსნოში შეგირდს თუ არა, მას მაშინვე ხელობის სწავლა უნდა დააწყებინონ.

ი) სახელოსნოებში და სავაჭროებში შეგირდები მიღებულ იქნას არა ნაკლებ 12 წლისა.

კ) შეგირდობის ვადათ დაწესდეს სამი წელიწადი.

ლ) ავადმყოფ შეგირდს ხაზეინმა შემწეობა აღმოუჩინოს, როგორც საკუთარ ოჯახის წევრს.

მ) კვირა-უქმე დღეებს გარდა მიეცეს შეგირდს რამდენიმე თავისუფალი დღე ძალიან საჭირო შემთხვევებში.

ნ) შეგირდის დასჯა და დათხოვა მიზეზის გამოურკვევლად და ჩვენი წარმომადგენელის დაუკითხავად არ მოხდეს.

წინანდალის მუშები.

ს წინანდალი (თელავის მაზრა). ჩვენ გვატყობინებენ: 31 მარტს საუფლისწულო მამულის მუშებმა შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს ხსენებულ მამულის გამგეს:

1) რვა საათის სამუშაო დღე.

2) სამუშაო ხელფასის მომატება (დღიური მუშა კაცები ღებულობენ 40 კ., ხოლო დედაკაცები 25 კ. თხოულობენ დედაკაცებს ეძლიოს 50 კან., კაცებს 1 მან., აგრეთვე თვიურ მუშას, რომელიც იღებს 11 მანეთს, მიეცეს 20 მ., 20 მანეთის ამღებს კი 25 მანეთი).

3) გაუქმდეს ღამ-ღამობით დარაჯობა.

4) მუშას ნება ჰქონდეს წლის განმავლობაში ერთი თვე თავისუფალი იყოს მუშაობისაგან ჯამაგირის გამოურიცხავად.

5) დაარსდეს მათი შვილებისათვის პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც აუცილებლათ იყოს სამეურნეო განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) გაუმჯობესდეს მუშების მდგომარეობა ჰიგიენურად და მოიწვიონ მათთვინ ექიმი ან ფერშალი.

7) შემოკლდეს პენსიის დამსახურების ვადა.

გლეხთა მოძრაობა.

სულთან კრიმ-გირეის მიმართვა გურულებისადმი.

„მოგესალმებით გურიის შვილნო და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის რუსული ენის მცოდნენიც არიან, მაგრამ მსურს, რომ ჩემი სიტყვები გაიგონოთ თქვენ დედა-ენაზე, რომელიც თქვენთვის გასაგებია.

ამ ჩემს სიტყვებს გადმოგითარგმნით ის ადამიანი, რომელსაც მე კარგათ ვიცნობ და რომელიც თან მომყვა. მე მეტად მიხარიან, რომ მოვეცა შემთხვევა მოვსულიყავი მშვენიერ გურიაში და ახლო გამეცნო გურულები. და ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი მოსვლა მოგიტანთ თქვენ სულიერ მშვიდობას და დაწყნარებას.

გურულებო! ყოჩაღი და ნიჭიერი ხალხი ხართ, მაგრამ უმთავრესად თქვენი ყურადღების ღირსნი უნდა იყვეს შვილების აღზრდა-განათლება. მე ვიცი, რომ თქვენში ბავშვები ხშირად დადიან ყოველ დღე სასწავლებელში ხუთი-ექვსი ვერსის სიშორეზე და სხვა მრავალი დაბრკოლებაც ხელს უშლის მათ, მაგრამ, მაინც, სამი-მეოთხედი ბავშვებისა სკოლაში სწავლობს. ამ მხრივ სწორედ მაგალითი ხართ ამიერ-კავკასიის ყველა ხალხისათვის. თქვენი ახალგაზრდობა გურიის სიამაყე და იმედია და თქვენ ყოველი საშვალება უნდა იხმაროთ, რომ დაიფაროთ თქვენი ახალგაზრდობა ისეთის საქმეებით გატაცებისაგან, რომელნიც არ შეეფერება მათ წლოვანებას და ამით მისცეთ ახალგაზრდობას შეძლება მშვიდობიანად განაგრძოს განათლება. ამ მხრუნველობისათვის თქვენი ზნეობრივი დამაკმაყოფილებელი იქნება ყველაზე უწინარეს იმისი შეგნება, რომ თქვენ შეასრულეთ მძიმე მოვალეობა, როგორც მამებმა და მოქალაქეებმა და შემდეგ რწმენა, რომ ახალგაზრდობა თავის დროზე პატივ-სცემით და მადლობით მოგიგონებთ თქვენ.

მე მითხრეს, თქვენ შორის არიან ფიცხი ადამიანები. სასტიკად ნუ გაჭიცხავთ მათ; მაგრამ ნურც მიჰყვებით იმათ კარგათ მოუფიქრებელ რჩევას და იმათ ფიცხს გატაცებას. წინ დაუყენეთ სიდინჯე და გონიერება. ნუ გაჭიცხავთ აგრეთვე იმ რუსებს, რომელნიც ოცნებობენ და სცდილობენ, რაც შეიძლება მალე მოაწყონ აქ ყველაფერი რუსულ წესრიგზე და რუსულად. არსებითად მათი აზრი ძალიან ბოსაწონია. მათ უნდათ, რომ მთელის რუსეთის ყველა წევრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, მთელის ამ ოჯახის ყველა ხალხები სცხოვრობდნენ ერთის საერთო ცხოვრებით და ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ერთის საერთო ენით. ამათ სურთ, დაიჭერონ ისტორიული მსელელობა, მაგრამ ავიწყდებათ ის, რომ სასურველი ერთობა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ერთობა დამყარდება ბუნებრივად (თავისუფლად) და ძალდაუტანებლად. ამგვარი ერთობა, რასაკვირველია, სრულიად არ მოითხოვს, რომ ქართველმა დაივიწყოს თავისი ქართული, მშობლიური. ყოველი რუსი სრულის პატივისცემით მოეპყრობა იმ ქართველს, რომელსაც შეუთვისებია რუსული კულტურა, მაგრამ რომელიც ამავე დროს არის კარგი ქართველი, უყვარს ქართული ენა, მწერლობა და სწავლობს თავის ქვეყნის ისტორიასა და წარსულს სიძველეებს და სამაგიეროდ ის არ ენდობა იმ ქართველს, რომელიც უყურადღებოთ სტოვებს ყველაფერს მშობლიურს. ეს გასაგებია: განა ცუდ ქართველს შეუძლიან იყოს კარგი რუსი?

ბურიის მდგომარეობა გაჭირვებულია, ბევრს რასმე უნდა გაუკეთესება, მოწესრიგება, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. დიდ ხანს იტანჯებოდით, იქონიეთ სიმამაცე და მოთმინება ცოტა კიდევ. წერა-კითხვა თქვენში ძალიან გავრცელებულია, სოფლებში ყველგან წიგნები გაქვთ, ზოგიერთებს გაზეთიც და, მე ვიცი, რომ თქვენში, როგორც მთელ რუსეთში, გაფაციცებით ადევნებთ თვალყურს 1904 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში უმოწყალესად აღნიშნულ საკითხების შემუშავებას. ამიტომ ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველად კაცთმოყვარე ბრძანების ახლანდელ კეთილ შედეგით ისარგებლებენ გლეხები. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა სცდილობს, რომ გააკეთოს ყველაფერი, რაც კი გაუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას და შესაძლებელს ჰქმნის თქვენთვის მომავალში გამოძიება და გამოკვლევა თქვენთა აუცილებელ საჭიროებათა.

მთავარ-მართებელი სასტიკად თხოულობს წესიერების და უშიშროების დაცვას, სრულს აღიარებას კანონებისა და კანონიერ მთავრობისას და მორჩილებას. ამასთანავე მომანდო მე მოვისმინო თქვენი საჩივრები და განცხადებანი და მომცა უფლება გაცნობოთ, რომ ის კანონიერი და სამართლიანი საჩივრები და თხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება დამოკიდებულია მთავარ მართებლისაგან, დაკმაყოფილებული იქნება ეხლავე. იმ საჭიროებათა შესახებ, რომელნიც აღემატება მთავარ-მართებლის უფლებას, წარდგენილი იქნება მთავარ-მართებლის მიერ შუამდგომლობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე.

რაც ბურიაში მოხდა, ამის ახსნა შეიძლება, გამართლება კი არა, თქვენ არ შეგიძლიათ არ აღიაროთ, რომ ბევრი თქვენი წევრთაგანი უკანონოდ მოქმედობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ გკითხავთ ვინ არის დამნაშავე, მაგრამ გთხოვთ, ასწორონ თქვენთვის თქვენის ცოლშვილისა და გურიის მომავლისათვის უბედური შედეგი, რომელიც მოჰყვება მთავრობის და კანონების წინააღმდეგობას. მთავარმართებელი კეთილის გულით და ყურადღებით ეპყრობა თქვენს გაჭირვებას, რის დამამტკიცებელია ჩემი აქ, თქვენთან, ყოფნა. მაგრამ ჩემი გამოგზავნა უკანასკნელი ცდაა მთავარ-მართებლისა, რომ მშვიდობიანად მოეღოს ბოლო სამწუხარო უთანხმოებას და გაუგებრობას.

ასწორეთ ყველაფერი, რაც მე გითხარით, ნუ აჩქარდებით პასუხის მიცემას, შეეკითხეთ იმათ, რომელთაც თქვენ ენდობით, რომელთაც სურთ თქვენთვის სიკეთე და შეგეწიოთ ღმერთმა ეს გაჭირებულ და მძიმე წამს, რათა დაიცვათ თქვენი ჩვეულებრივი სიწყნარე, სიფრთხილე და კეთილ-გონიერება.

გურულების პასუხი:

სოფ. ბახვი. ოცდასამ თებერვალს სოფელ ბახვის სასოფლო სასამართლოს მოედანი სადღესასწაულო სურათს წარმოადგენდა. ხალხში ხმა გავრცელდა: მთავრობისაგან გამოგზავნილი კაცი მოდის, რომელსაც უნდა ჩვენი ჭირ-ვარამი შეიტყოს და ჩვენ შესახებ უმალ-ლეს მთავრობას უტყუარი ცნობები გადასცესო. გაიგეს რა, რომ აღნიშნული მოხელე „კრიუგერი“ (როგორც საზოგადოებაში ეძახიან ბ. კრიმ-გირეის) მოდის მარტოდ მარტო, რომ მას არ ახლავს გურულებისადმი ზიზღის მომგვრელი სტრაჟნიკები, რომ არ აქვს „მხრებზე“ ჩინები და სხვა რამ ამის მაგვარი მთავრობის ნიშნები, ხალხმა გადასწყვიტა სრული ნდობით მოეკიდოს და გულახდილად განუცხადოს მას ყოველივე თავისი გულის ტკივილი და მოთხოვნილება. სანამ ბ-ნი კრიმ-გირეი მოვიდოდა, შეკრებილმა ხალხმა აირჩია რამდენიმე დეპუტატი და მათ მიანდო ყრილობაზე მთავრობის წინაშე ხალხის სახელით ლაპარაკი.

შუადღე იქნებოდა, რომ ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი მოვიდა თავის მხლებლებით, რომლებსაც ერთი მდივანი და ერთი თარჯიმანი შეადგენდა. მას მოყვა რამოდენიმე კორესპონდენტიც.

ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი ჯერ მიესალმა ხალხს, შემდეგ თარჯიმანმა წაიკითხა მთავრობის წინადადება, რასაც ხალხი გულგრილათ მიეგება. კრიმ-გირეიმ წინადადება მისცა საზოგადოებას, თუ ვისმე იქ დასწრება არ იყო მათთვის სასურველი, კრებიდან გაეძევებიათ. საზოგადოებამ ერთხმად მოითხოვა: მღვდლების, მამასახლისის და მწერლის კრებიდან დათხოვა, რაც მალე სისრულეში მოყვანილ იქნა. წეს-რიგის დამცველმა ერთმა დეპუტატთაგანმა ხმა მაღლა დაიჩანა:

რევოლიუციის მატიანე.

„დღეს მთავრობამ მცირეოდენი თავისუფლება მოგვანიჭა ჩვენ საქმეზე ვილაპარაკოთ და ქვეყნისა და ხალხის მოღალატეები ვინცა ხართ, გაგვშორდით, გაგვეცალეთ აქედანო! მალე ხალხი სრულიად დაშოშმინდა. დეპუტატები თავიანთ ალაგას ჩადგენ.

ბ. სულთან-კრიმ-გირეიმ გადასცა დეპუტატებს, რომ მასთან გულახდილად ყოფილიყვენ და არაფერი დაემალათ. დეპუტატებმა, რომელთა რიცხვი ათამდე იყო, ამოირჩიეს ერთი ამხანაგი თავიანთ შორის და იმას მიანდვეს ლაპარაკი. ხოლო თუ იმ ამორჩეულს რაიმე დაავიწყდებოდა, მაშინ სხვებიც უნდა დახმარებოდენ.

პირველ და თითქმის აუტანელ გასაჭირათ დეპუტატმა სხვა და სხვა გვარი გადასახადები წამოაყენა. ამათში პირველი ალაგი სახელმწიფო გადასახადს უჭირავს, რომლის აკრეფის დროსაც მთავრობის მოხელეები ყურადღებას არ აქცევენ არავითარ გასაჭირს მცხოვრებლებისას. არბევენ საწყლებს, უყიდიან სხვა და სხვა საჭირო ნივთებს, ხშირად სცემენ ყოველად უმნიშვნელო წინააღმდეგობისათვის. (აქ ერთმა ხარჯის ამკრეფათ ნაყოფმა დეპუტატმა შენიშნა, რომ მე თითონ გავუყიდე ერთ ღარიბ მოსახლეს უკანასკნელი ერთი კვირის საგზალი სიმინდი და სრულიად ულუკმა-პურათ დავტოვე მთელი ოჯახიო.) მეორე ალაგი უჭირავს დრამა ფულის გადასახადს. ჩვენ ვიცით, რომ სამღვდელოებას აქვს შემოსავლის მრავალგვარი წყარო: ნათვლა, ქორწინება, პანაშვიდი, წირვა, ზიარება და სხვ. წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როდესაც რომელიმე საბრალო ოჯახს ეცლება ბურჯი, ე. ი. უკვდება მარჩენელი ხელი, მამა ოჯახისა, მღვდლები მაშინაც ფულსა თხოულობენ ისედაც დაღუპული ოჯახისაგან. (აქაც დეპუტატებმა დაასახელეს მრავალი მაგალითები. „ყველა ამ გადასახადების გარეშე მღვდლები კიდევ თხოულობენ ორ მანეთს დრამის ფულს კომლზეო“,—დააბოლოვა დეპუტატმა. რომ მღვდელს ხალხთან არ დაურჩეს არავითარი საქმე, ეს დრამის ფული სახელმწიფო გადასახადთან ერთად იკრიფება და როცა მღვდელსა თხოვ: „მამაო, მაღროვე ან მაპატიე ეს ორი მანეთი“, ის გეტყვის: ჩემი საქმე არ არის, ეს პრისტავის საქმეა და კითხე და თუ გაპატიებს, იმის ნება არისო“. აი ჩვენ ვთხოულობთ, რომ ყველა ეს გადასახადები მოისპოს, რადგანაც უკანონოთ მიგვაჩნია ასეთი უზომო გადასახადების ძღვევა. რომლის სიმძიმე ახლა, ამ გაჭირვებულ დროს, ერთი ორათ საგრძნობელი და აუტანელია.—ხომ მართალია, ამხანაგებო?“—შეეკითხა მოლაპარაკე და უცებ გაისმა ხალხის საერთო გრიალი: „მართალია, მართალია“ო!

ამის შემდეგ დეპუტატმა ილაპარაკა იმ ხარჯის შესახებ, რომელსაც თხოულობს ჩინოვნიკებისათვის ცხენების შენახვა, ბახვის საზოგადოებას ყავს თავის საზოგადოებაში მუდამ ორი ცხენი და აგრე-

თვე ნაწილი უძევს იმ ხარჯებში, რომელსაც ითხოვს ოზურგეთის ბაზრის სამმართველოში ოთხი ცხენის შენახვა, რაიცა საერთო რიცხვით წელიწადში 300 მანეთს შეადგენს. ეს ცხენები საჭიროა ვიღაც ჩინოვნიკებისათვის და იმათ ნათესავ-ნაცნობებისათვის, რომლებიც სხვის საქონელს უღმერთოდ ეკიდებიან და ამის მიზეზით ცხენები მალე ხდებიან.

ამასთანავე ჩვენ, გლეხები, ვალდებული ვართ ვიყარაულოთ ეკლესიის ეზოში, გზებზე, მთებში და საადგილებზე, უკან ვდგიოთ მოხელეებს ფეხით და მათი ბარგით ზურგზე მაშინ, როდესაც ისინი ცხენით დაბრძანდებიან. ჩვენ ვთხოულობთ მოისპოს ყოველივე ეს, რადგან ამაში უსამართლობას ვხედავთ.—ხომ მართალია, ამხანაგებო?.. ხალხში კვლავ გაისმა:—მართალია, მართალიაო!

— გზები, განაგრძო მეორე დეპუტატმა, საზოგადოებისათვის საჭიროა, ამიტომ ჩვენ ვერ ვითხოვთ გზების მოსპობას, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ გზებს უნდა აკეთებდეს ყოველი წოდების წარმომადგენელი და არა მარტო დაბეჩავებული ყოველ-კაცობა. განა გზით მარტო ჩვენ ვსარგებლობთ? განა ჩვენზე მეტად ის გზა თავად-აზნაურსა და სამღვდელოებას არ სჭირია? მაშ, რატომ უნდა ვაკეთებდეთ ჩვენ და სარგებლობდენ ისინი? ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოისპოს ყოველივე ეს და გზების გაკეთებაში მონაწილეობა ყველა წოდებამ მიიღოს.

შემდეგ დეპუტატმა წამოაყენა კითხვა სხვა და სხვა გვარი ბაღების შესახებ.

— ჩვენ, თუმცა ბევრი არ გვისწავლია და კლასები არ გაგვითავებია, მაგრამ ის კი გაგვიგონია, რომ არის ქვეყნები, ფრანცია, გერმანია, ანგლია, ყური მოგვიკრავს მათი ცხოვრების ამბებისათვის და ვიცით, რომ ბათუმიდან ანგლიაში მიტანილი ჩვენი ნავთი უფრო იაფი ღირს, მანამ ბათომიდან ნატანებში ან ოზურგეთში ამოტანილი. ბათუმში თურმე ერთი ფუთი ნავთი 30 კაპეიკი ღირს, ჩვენში კი ერთი მანეთი. რეზა ვიხდით ჩვენ ამდენს, როცა ამოტანა სულ მცირე ჯდება? ნავთი ჩვენთვის უსაჭიროესი რამეა და ამაზე ამოღენა ბაჟი!—ეს ხომ უსამართლობაა.

— ამგვარივე ბაჟი აქვს თუთუნსაც, თქვა მესამე დეპუტატმა. დაუჭერელი თუთუნი ძლიერ იაფი ღირს და ჩვენ ხელს არ გვაძლევს იმისი გაყიდვა, ხოლო თუ დავჭრით და ამაზე შრომა გავსწიეთ, ეს აკრძალულია და ჯარიმას გვადებენ. ხშირად ერთი გირვანქა დაჭრილი თუთუნის გულისათვის კაცი 25 მანეთით დაუშტრაფავთო.

— ამას დაუმატოთ არაყის ბაჟიო, განაგრძო მან; ჩემ შამულში, ჩემი შრომით მომყავს რაღაც ოციოდ გოდორი ყურძენი. ადგილში ბაჟს ვიხდი, ეს ჭირნახული მაინც ჩემი უნდა იყოს და შემეძლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მოვიხმარო, როგორც ჩემ გუნებას უნდა. მარა ჩვენ ამას მოკლებული ვართ. მე არ შემიძლია ჩემი ღვინო არაყათ ვაქციო და ისე გავყიდო; ღვინოთ ის არ იყიდება, რადგანაც მდარეა. არ შემიძლია ჭაჭისაგან არაყი გამოვხადო და ისიც ტყვილათ უნდა დამილპეს. მიზეზი ყველა ამისა არის ის უზომო ბაჟი არაყზე, იმდენათ უზომო, რომ ხარჯს არ ასწორებს, არამც თუ სარგებელი ენახო რამე და გამოდის, რომ მე იმავ ხაზინისთვის მიმუშავია, რომელსაც ისეც ბევრ გადასახადს ვაძლევ და ჩემი ცოლშვილი მშიერი მეხოცება.

— ასე არ არის ამხანაგებო?

— ასეა, მართალიაო,—დაიგრიალა ხალხმა ერთხმად.

მაშ, ჩვენ ვთხოულობთ ყოველივე ეს მოისპოს და უფლება მოგვეცეს იმ ადგილის ნაყოფი, რომელშიაც ჩვენ გადასახადს ვიხდით, ჩვენი სურვილისამებრ მოვიხმაროთო.

მოთხოვნილების შემდეგი მუხლი მემამულეებს შეეხებოდა.

— ჩვენ გვესმის, რომ მიწა არ შეუქმნია ადამიანის ხელს, რომ ის არ არის კერძო შრომის ნაყოფი და ამიტომაც თავის თავად ცხადია, რომ იმის დასაკუთრება ისე უთანასწოროდ, როგორც მას დღესა ვხედავთ, არის უსამართლობა. ჩვენ ვხედავთ, რომ საუკეთესო ადგილები ჩვენი ქვეყნისა ეკუთვნიან თავად-აზნაურებს, ეკლესიებს და სამღვდელოებას,—ხოლო თითონ მიწის მუშა ხალხი, გლეხკაცობა ცარიელზე ზის. ჩვენ ვიცით, რომ ჟწინ გლეხიცა და მამულიც თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენდა. ეს ბატონ-ყმობის დრო იყო, მარა მოისპო ეს დრო და გლეხი განთავისუფლდა. მარა ისიც ვიცით, რომ ის ადგილები, რომლებსაც გლეხები ამუშავებდენ ისევ გამოსაყიდათ დაურჩათ. რატომ ის მამულები მაინც და მაინც ბატონების საკუთრებას შეადგენდენ და გლეხებს არ ედვათ შიგ წილი? ამიტომ ჩვენ უსამართლოდ წართმეულად მიგვაჩნია ის გადახდილი ფულები და ვთხოულობთ, რომ გადახდილი ფული უკან დაგვიბრუნდეს და ვინც ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელი დარჩა, ის უფასოდ განთავისუფლდეს. ჩამოერთვას მამული ეკლესიებს, მონასტრებს და საუფლისწულო უწყებას გლეხთა ანუ მუშა-ხალხის სასარგებლოთ და გაანაწილოს მათ შორის ამისათვის ამორჩეულმა საგლეხო კომიტეტმა.

აქ დეპუტატმა განაცხადა, რომ ტყვილათ ავრცელებენ ხმებს, ვითომ ჩვენ ველურები, მხეცები ვიყოთ და არ გვესმოდეს, თუ რას ვთხოულობთ ან რისთვის ვიბრძვით. უზომო გაჭირვებამ ჩვენ გვაიძულა კარგათ ჩავკვირვებოდით თავის მდგომარეობას და იქ კი ამოვიკითხეთ მხოლოდ ჩვენი დაბეჩავება, ჩვენი დაჩაგვრა და ჩვენი გასაჭირი. ახლა ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი ტანჯვა. უკანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლეთ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

— ჩვენ შეეგენეთ რა ჩვენი გასაჭირი, დაიწყო ერთმა დეპუტატმა, გადავწყვიტეთ ერთად შეკრება, რომ ჩვენ გასაჭირზე, ჩვენ დაბეჩავებასა და დამონავებაზე ამხანაგებთან ერთად გველაპარაკნა. განა რა არის ამაზე უფრო ბუნებრივი. ჩვენ კი ასეთი საქმისათვის ვთრთოდით და ვკანკალებდით, ჩვენ გვეშინოდა თავაშვებული სტრაჟნიკებისა, რომლებსაც არა ერთხელ და ორჯერ უცდიათ ჩვენს ზურგზე მათრახის ათამაშება, ჩვენი ოჯახის აწიოკება და ჩვენი ძმების სისხლის დაღვრა.

აქ სულთან კრიმ-გირეიმ მოითხოვა მაგალითები პოლიციის ასეთი მოქმედებისა. მას დაუსახელეს ხიდისთავში და ლანჩხუთში მომხდარი სისხლის ღვრა და ამასთანავე მრავალი ადმინისტრატიული წესით გადასახლებული პირები, რომლებსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ. სულთან კრიმ-გირეიმ მოისურვა გაეგო ასეთ შემთხვევას კერძოთ ბახვის საზოგადოებაში თუ ჭქონდა ადგილი და აღმოჩნდა, რომ დაახლოვებით გიორგობისთვეში სოფელ თავკობულში სტრაჟნიკები თავს დასხმოდენ მინდორში შეკრებილ ხალხს და სროლა აეტეხათ. ორი-სამი დაეჭირათ და რამოდენიმე კვირის შემდეგ ისევ გაეშვათ.

— თავის თავად ცხადიაო, განაგრძო ისევ იმავე დეპუტატმა, რომ ხალხს უნდა ჭქონდეს უფლება თავის გასაჭირზე მეზობლებში მოილაპარაკოს და ამისათვის საზოგადოების სახელითა ვითხოვ, რომ ნება მიეცეს თავისუფალი ყრილობისა და მოისპოს პოლიციის თვითნებობაო.

ამ დროს სულთან კრიმ-გირეიმ შენიშნა ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც გიორგის ჯვარი ეკიდა, ადგა და სალამი მისცა.

— აბა, კიდევ რას იტყვიანო? შეეკითხა სულთან-კრიმ-გირეი.

— ჩვენი გასაჭირი ბატონო ასე მალე არ ითქმება, — დაიწყო ერთმა დეპუტატმა. ბევრმა ჩვენგანმა იცის ქართული კითხვა და სურვილი აქვს რამე წიგნი ან გაზეთი წაიკითხოს... ვკითხულობთ გაზეთს. მაგრამ ჩვენს გასაჭირზე არაფერი სწერია. ამ დროს ჩვენ ვეყრებით რაცხა ფურცლებს, ხან და ხან პატარა წიგნაკებს, რომლებშიაც ჩვენი გასაჭირი წერია, რომლებიც ჩვენ მოგვწონს. რატომ ჩვენ ნება არა გვაქვს ის ფურცლები ვიკითხოთ? ან რატომ იმ გაზეთებში არ წერენ იმისთანა კაი ამბებს, რომლის კითხვაც შეგვიძლია?

ამაზე სულთან-კრიმ-გირეიმ შენიშნა, რომ იმ ფურცლების კითხვისათვის არავის სჯიან, სჯიან მხოლოდ გავრცელებისათვის.

დეპუტატი კვლავ შეეკითხა საზოგადოებას და იმანაც ერთ ხმად უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არა, გვჯიან, უბრალო წაკითხვისათვისაც გვჯიან— ის კი არა, თვით ისეთი დაწესებულება, როგორიც სამკითხველოა, რომელსაც ჩვენი ხარჯით ვინახავთ და რომელშიაც გაზეთების მეტი არაფერი გვიწყვია, მთავრობამ დაგვიკეტა. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ, რომ ყველაფერი ჩვენი გასაჭირი იბეჭდებოდეს გაზეთებში.

ბიბლიოთეკაზე სულთანი დიდხანს შეჩერდა და ბოლოს განაცხადა, რომ ვიშუამდგომლებ ის მალე გახსნანო.

შემდეგ დეპუტატმა ილაპარაკა, თუ როგორ წყურია ხალხს სწავლა, რადგანაც მიხვდა, რომ უსწავლელი კაცი მჭადის ფასად არ ღირს, მარა სადაა ამის საშუალება, სიღარიბე აიძულებს ისევ სიბნელეში დარჩეს. სხვა ქვეყნებში კი თურმე ისე არ არის, როგორც ჩვენში. ჩვენც ვთხოულობთ, რომ ჩვიდმეტ წლამდე ჩვენს ქალებსაც დავუებსაც უფასო და ამასთანავე სავალდებულო სწავლა ქონდეთ. ხოლო საშუალო და უმაღლესი სწავლის მიღება უფრო ხელმისაწვდომი იყოს.

შემდეგი მუხლი სალდათობას შეეხებოდა. ერთმა დეპუტატმა მჭერმეტყველურად დაუსურათა თარჯიმანს სალდათობის აუტანლობა, მაგრამ თარჯიმანმა, რომელიც თავის ხელობაში საზოგადოთ კოჭლობდა, იმავე სიცხადით ვერ გადასცა ბ-ნ კრიმ-გირეის. დეპუტატმა მართლა ჩინებულათ გაარკვია ეს კითხვა და როდესაც ის სულთან კრიმ-გირეის გადაუთარგმნეს, მან სრული გულწრფელობით წარმოთქვა: მე პირველი მოვიხდი ქუდს მაგ დიდებული აზრის წინაშე, მაგრამ მხედრობის მოსპობა მაშინ, როცა ყველა ჩვენი მეზობლები იარაღს ისხამენ, შეუძლებელიაო.

დეპუტატმა სხვათა შორის თქვა, რომ ჩვენს ძმებს, სალდათებს, აფიცებენ და ასწავლიან დაიცვან სახელმწიფო გარეგანი და შინაური მტრებისაგან, ხოლო ეს შინაური მტრები თურმე ჩვენვე ვყოფილვართ, როცა ჩვენ ჰირ-ვარამზე ვლაპარაკობთ, სამშობლოს დასაცავად გაგზავნილ ჩვენს ძმებსა და შვილებს ჩვენვე გვისევენ და ჩვენ სისხლს აღვრიებენ, როგორც ეს მაგალითად პეტერბურგში მოხდა და რომელიც ჩვენც გავიგეთო. ასევე ჩვენ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაცვლად ჯარი მოგვაყენეს და ომს გვიპირობენ. განა ეს სამშობლოს დაცვას ნიშნავს? ჩვენ გვსურს, რომ ჯარი მოისპოს, ხოლო თუ სამშობლო განსაცდელში ჩავარდება, ვის შეუძლია ის ჩვენზე უფრო თავგამოდებით დაიფაროს. ქუდზე კაცი საკმარისია მამულის შეუხლებლობა უზრუნველყოს.

— აგრეთვე საჭიროა თავისუფლად ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლა-გადმოსვლა შეგვეძლოს. ჩვენ კი ყოველ ნაბიჯზე ბილეთს (პასპორტს) გვთხოვენ. რა საჭიროა ბილეთი, როცა მე თითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქა ვარ. ჩვენ ამასაც ვთხოულობთ, რომ პასპორტი მოისპოს სრულიად.

— ახლა ვის შეუძლია ყოველივე ეს მოგვანიჭოს ჩვენ? განა იმ მთავრობას, რომელიც ეხლა გვყავს და რომელიც ჩვენი გასაჭირის განცხადებისათვის „ბუნტოვჩიკებათ“ გვაცხადებს, ველურებს გვეძახის, ციხეში გვალპობს, ცხენებით გვთელავს, ციმბირისაკენ მიგვერეკება და დასასრულ ჯარსაც კი აგზავნის, რომ აიხოროს ჩვენი მიდამო, გადაწვას სახლები და სხვა. არა და ათასჯერ არა. ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოუწოდონ მთელი ქვეყნის სახალხო კრებას. მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთ შეუძლიათ ხალხის საჭიროების გამოხატვა და ჩვენც მხოლოდ ამგვარ მთავრობას განუცხადებთ ჩვენს ნდობას. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ქვეყნები არის ბევრი, მარა ისიც ვიცით, რომ იქ ბევრია ღარიბი და მდიდარი, ჩაგრული და დაჩაგვრელი. ეს არიან მდიდრები—კაპიტალისტები და ღარიბები—მუშები. იქ ისინი ებრძვიან თურმე ერთმანეთს. ასე მოგვივა ჩვენც. მხოლოდ კაპიტალისტური მონობის მოსპობის შემდეგ დამყარდება ქვეყნათ თანასწორობა და ბედნიერება. ეს ჩვენი შორეული მიზანია.

ამის შემდეგ ბ. სულთანმა დაარიგა ხალხი, რომ ამდენი გასაჭირის მომთმენებმა მცირე ხანს კიდევ მოითმინონ და არ მისცენ საბუთი ჯარს იარაღი იხმაროს, ამით კრება დაიშალა („მოგ. № 7—1905 წ.) *).

არა ოფიციალური ცნობები გლეხების მოძრაობის შესახებ.

(„მოგზაური“ № 11—1905 წ.)

სად. გომი. 19 მარტს სოფელ ალში ადგილობრივ ჩარჩის ჯანოევის შეშას ცეცხლი წაუკიდეს. ცხრა საქენიდან ოთხი საქენი გადაარჩინეს. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ შეშას ცეცხლი ჯანოევის კაცმა წაუკიდა.

ცხინვალი. 9 მარტს ცხინვალის საზოგადოებამ თავი მოიყარა ლიახვის ნაპირათ მდებარე ჭალაში, სადაც ქონდათ რჩევა-თათბირი შესახებ იმ კითხვებისა, რომლებიც ქვეყნის უმწეო მდგომარეობამ დღეს მთელს რუსეთის იმპერიაში წამოაყენა. ამ გარემოებამ ადგილობრივ ბოქაულის ყურამდის მიაღწია, რომელმაც მეორე დღეს დაიბარა ხალხი და შეეკითხა: „რაზედ გქონდათ გუშინ ჩუმი ყრილობ-

*) ასეთივე მოთხოვნები წარუდგინა ხალხმა კრიმ-გირეის გურიის სხვა სოფლებშიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაო და „უბრძანა“ —„გამოცხადდით ყველა სოფლის კანცელარიაში და ჩემის თანდასწრებით თქვენში ამორჩეულმა პირებმა ილაპარაკონო“. ამ „ბრძანებას“ ხალხმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია და არც ზემოხსენებულ კითხვაზე მისცა პასუხი. მხოლოდ ერთხმად დაიძახეს: „არ გვინდა ჩვენ პოლიცია, რადგანაც საპოლიციო ჩვენ არაფერი გვაქსო. პოლიციის დასწრება ჩვენს ყრილობაზე უადგილოა... ჩვენი გულის ტკივილები სულ სხვაა და იმ ჩივილ-წუწუნს არ შეადგენს, რაც დღემდის იყოო.' ამ სიტყვებით ხალხი დაიშალა, მაგრამ ლიახვის მოედანზე, ისევ უცბათ შეიკრიბა 1.500 კაცი: აქვე აირჩიეს 16 დეპუტატი, რომელთა შორის 4 ქართველი, 4 სომეხი 4 ოსი და 4 ებრაელია. ამ პირებს დაავალეს ამ დღეებში მომავალ კომისიას გამოუცხადონ ყოველივე ხალხის გაჭირვება და შეიმუშაონ ის კითხვები, რომლების განხორციელებას რუსეთის იმპერიაში თხოულობენ. შემდეგ ამისა ხალხი გამოემართა ბაზრისაკენ, გამოიტანეს ეკლესიის დროშები და ყველა ქუჩები სიმღერითა და „ძმობა-ერთობის“ ძახილით მშვიდობიანათ ჩამოიარეს, უწესობა არა მომხდარა რა. ნაუშადღევის ორ საათზე კრება დაიშალა და ყველა საქმეს დაადგა.

13 მარტს სოფ. დაგვრისის მინდორზე თამარაშენის საზოგადოებისა და ზოგიერთი შინდისის სოფლებიდან ხალხს თავი მოეყარა და ცხინვალში ჩამოსვლას აპირებდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ცხინვალში უწესობა არ მომხდარა, ამორჩეულ პირთა წინაშძღოლობით დგვრისის ეკლესიასთან მოვიდა. თავმოყრილთა რიცხვი 15 ათას ჭარბობდა. ზოგიერთმა ამორჩეულმა პირმა ხალხის დასამშვიდებლად წარმოსთქვა სიტყვები ქართულათ და ოსურათ. ხალხი თხოულობდა: არ გვინდა მამასახლისი, მწერალი, აქციზი, სტრაჟნიკები, რომლებმაც სული ამოგვაცალეს, გაგვაღატკეს, ცოლ-შვილი სიმშილ-სიცივით, უექიმ-უწამლოთ გვეხოცება, პირიდან უკანასკნელ ლუკმას გვგლეჯენ და ისიც კიდევ პოლიციის მათრახის ცემა-ტყეპით, დარბევ-დაწოკებით. აღარ შეგვიძლიან მოვითმინოთ მუდამ მწუხარება, მუდამ ტირილ-შიმშილი და სიცივეო. მართალია, დღემდის, როგორც სხვებს გვითმენია ყოველივე მწუხარება, მაგრამ, რა კი სხვა ქვეყნებში ჩვენსავით ტანჯულებმა დაჰკრეს ზარი თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობისა, ჩვენც იმ ზარის ხმისაკენ მივიწევთ, იმ ზარის ხმა გვაღვიძებს. იყო დრო—ყურებში ბამბა გვქონდა, სიბნელის მორევში ვცურავდით, ქვეყანა ჩალით დახურული გვეგონა და მთავრობაც ჩვენის უეცობით სარგებლობდა, მაგრამ ახლა გამოვეფხიზლდით, მოვითხოვთ ყოველივე იმას, რაც ჩვენსავით სხვა ქვეყნებში ტანჯულებს მიენიჭებათ... ძალიანაც რომ გვინდოდეს ჩვენი შვილების სწავლა-განვითარება, —საიდან უნდა ვასწავლოთ, როდესაც ჩვენ ნაოფლარს ხელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გვტაცებენ: მეგატონე, მღვდელი, აქციზ-მამასახლისი, მწერალი და ნალოგები! რომელ ერთ მოთხოვნილებას გასცეს პასუხი ჩვენის ოფლით მონაწურმა. გვინდა სკოლა უფასო, სამშობლო ენაზე სწავლა თვითმართველობა! გვინდა თავისუფლება, მშვიდობიანობა, სულის მობრუნება!... „გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთობას, ძმობას— მეგობრობასა“-ო. („ივ.“)

ს. შინდისი. (გორის მაზრა). 12 მარტს მამასახლისი და მწერალი გავიდენ ლიახვს გაღმა ს. კარალეთში მომრიგებელ შუამავალთან და მოახსენეს „ბუნტის კაცი“ მოვიდა და სოფელი ღელავსო. მომრიგებელმა შუამავალმა შემოთვალა, ხვალ მე თითონ გამოვალ შინდისში და ხალხმა პირადათ მომახსენოს, რაც მოთხოვნილება აქვს და ყველაფვრს შეეუსრულებ, თუ წესიერება იქნებაო; მეორე დღეს, კვირას, ხალხი კანცელარიასთან შეგროვდა, მაგრამ მომრიგებელმა შუამავალმა მობრძანება არ ინება, ხალხმა ეს იწყინა, იგრიალა და კანცელარია სულ ერთიანად მიღეწა.

ოთხშაბათს, 16 მარტს, საღამოს, ეკლესიაზე ზარი ჩამოკრეს და „დაარისხეს“, ე. ი. ზარის რეკვით ყველას აცნობეს მეორე დღისათვის მუშაობა აეკვეთათ და ყველანი ეკლესიასთან შეგროვილიყვენ სათათბიროთ. მართლაც, მეორე დღეს, ეკლესიასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. სხვა სოფლებიდანაც ძალიან ბევრნი მოვიდნენ.

დიდებული სანახავი იყო ამ ხალხის კრება, სწორედ ლაშქრობას მოგაგონებდათ,

გორის მაზრის ისტორიაში მარტო აქ იჩინა თავი ერთმა ფაქტმა. თავ.-აზნაურთა და გლეხთა სრულმა სოლიდარობამ, რაიცა შეიძლება მხოლოდ იმითი აიხსნას, რომ აქაური თ.-აზნაურნი ბევრათ უფრო გაპირვებულ მდგომარეობაში არიან, ვიდრე გლეხნი—გარდა თითო ოროლა თავადისა. საყურადღებოა ის, რომ ერთ სოფლიდან ხალხს ერთი გალარიბებელი თავადი მოუძღოდა წინ ბაირაღით ხელში.

ეკლესიასთან დიდი ბჭობა გაიმართა. ორატორები უფრო თავადაზნაურნი იყვნენ, რომელთაც ხალხი ლაპარაკის დროს თანაგრძნობას უცხადებდა. ამ დროს ხალხთან მოვიდა შეძლებული მემამულე ზ. ფავლენიშვილი და შეჩივლა, მუქარის წერილი მომივიდა, გადაწვას მიპირობენო. აი წერილიცაო. ხალხმა დაუძახა—შენი პირადი მტერი იქნება ვინმე, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ან იქნება ეგ წერილი შეთხზულია.

შეეხეოდთ, საიდგანლაც, ცხინვალის ბოქაულიც გაჩნდა რვა სტრაჟნიკით. ბოქაულის ბრძანებით სტრაჟნიკები შორი-ახლო გამწკრივდნენ და თოფები მოიმარჯვეს. საქმე სისხლის ღერამდე არ მისულა. ბოქაული სტრაჟნიკებით წავიდა და ხალხიც მშვიდობიანათ დაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის მოთხოვნილებანი ნაწილათ იგივეა, რასაც გორის მაზრის სხვა სოფლებიც თხოულობენ („ივ.“)

სოფ. ძალისი. (ქართლი) 15 მარტს მაზრის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს ს. ძალისში ორი კაცი, რომელთაც ადგილობრივი პოლიცია ეჭვის თვალით უყურებდა და თვლიდა ხალხის მეთაურებად. დატუსაღებული პირები ჩაიყვანეს სოფ. მუხრანში, სადაც იმ ჟამად იმყოფებოდა მაზრის უფროსი. რამოდენიმე ხნის შემდეგ მივიდა ძალისიდან სოფ. მუხრანში კომლზე კაცი და მოითხოვა გაეანთავისუფლებიათ დატუსაღებულნი ან მთელი სოფელი დაეტუსაღებიათ. სოფელი თავის მოთხოვნილებას იმითი ასაბუთებდა, რომ თუ რაიმე დანაშაულობა მიუძღვის სოფლის მთავრობის ან მემამულეთა წინაშე, ეს მთელი სოფლის დანაშაულია და არა ერთისა და ორის კაცისა, ამიტომ მთავრობამ დასაჯოს მთელი სოფელი და არა ერთი და ორი პირიო. შემდეგ მოვიდა აგრეთვე სოფელი წილკანი და მოთხოვა მაზრის უფროსს დატუსაღებულთა განთავისუფლება, ან საერთო სასჯელი. სოფლის მოძრაობაო, სთქვეს მოლაპარაკეებმა, გამოწვეულია ღრმა ეკონომიურ და საზოგადოებრივ პირობებით; ამ მოძრაობაში ყველა გლეხს უდევს მონაწილეობა და ამიტომ თუ გლეხს სასჯელი მოელის,—ეს უნდა იყოს სასჯელი ყველასათვისო. მაზრის უფროსმა პირველად უარი განუცხადა სოფლელთ თხოვნის დაკმაყოფილებაზე. ბოლოს კი გაანთავისუფლა დაპატიმრებული შემდეგის სიტყვებით: „ვანთავისუფლებ დატუსაღებულთ იმიტომ, რომ თქვენ მშვიდობიანობის მომხრე და დამცველნი ყოფილხართ და უწესობის მოხდენა არ მოისურვეთო.“

სოფ. მეჯვრის-ხევი (ქართლი). 20 მაოტს, სოფელ მეჯვრის-ხევში აპირებდა თავის მოყრას სხვა სოფლების გლეხობა, მაგრამ ბოქაულმა როგორც კი გაიგო ხალხი თავს იყრისო, დილითვე დარაჯები და ყაზახები ჩააყენა გზებში და არ უშვებდა თავის ჭირ-ვარამის გამოსათქმელათ. ათი საათი იქნებოდა, რომ ეკლესიაზე მიასვენეს სანდრო გოგოლიძის მეუღლე. ეკლესიაზე მოიყარა თავი ორასამდე კაცმა და გაყვა ცხედარს. გზაში ხალხი თანდათან ემატებოდა. სასაფლაოზე შეიკრიბა თითქმის ოთხი ათასამდე კაცი,—ოსი და ქართველი. დასაფლავების შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი თავიანთ ჭირ-ვარამის შესახებ. გამოთქვეს თავიანთი აზრი: წარუდგინონ მემამულეებს უმთავრესი მოთხოვნილება—დროებით ვალდებული გლეხები დაუყონებლივ განთავისუფლდნენ, საბალახო და ტყე (მხოლოდ ხმელი) თავისუფალი უნდა იყოს. ნიდლ ხე-ტყის გამოტანას ხალხის მიერ ამორჩეულნი უნდა წყვეტდენ. უკეთუ მემამულეს მამულს მოხნავენ, მეათედი მიეცეს. მღვდლებს დრამა მოესპოთ. სკოლა სახელმწიფო ხარჯზე იყოს. განაცხადეს: საავადმყოფო, ექიმი და ბებია ქალი მხოლოდ თავად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზნაურთათვის არის და არა გლეხთათვისო, როცა ჩვენ ავადმყოფს მივიყვანდით, ყურადღებას არც კი გვაქცევდნენ. გადასახადი კი გვხდებაო. გლეხებმა შეფიცეს ერთმანეთს და წყნარათ დაშალენ.

საგარეჯო. 17 მარტს დილით საგარეჯოს გლეხებმა მოიყარა თავი და გაჩეხა ტყე „ალინჯად" წოდებული, რომელიც სოფელს შუდამ საფიჩხეთ ეჭირა და ეს ათიოდე წელიწადია, „ლესნჩჩა" სახელმწიფოთ გახადა და წკირს არავის აჭრეინებდა.

აქედან ხალხი ამოვიდა სოფელში და მიადგა თავის აშენებულ მშვენიერ სკოლას, რომელიც 5.000 მ. ნაღდი დაუჯდა, გამოიყვანეს სამივე მასწავლებელი გარეთ (ამათში მხოლოდ ერთია ქართველი) და უთხრეს დალაგებით: „გავტყავდით, 1.000 მ. წელიწადში, ხომ იცით, ჩვენის ჯიბიდან გაძლევთ ჯამაგირსა, შეშა უკლებლივ გაქვთ, სტოროჟი. გვეგონა, ჩვენ შვილებს ჭკუა-გონრიბას ასწავლიდით და თქვენ კი გამოგვიტვინეთ შვილები,—აყვირებთ „კოზლიკ-საბაკას" და ქართულათ სახელსა და გვარს ვერ მოაწერენ... გვეყო ამდენი ღლეტა! გაგვეცალეინთ აქედან, თორემ ველარ მოვითმენთ. მიადგენ სასოფლო ქსენონს და დაკეტეს. ამასთან ფერშალს უთხრეს: აღარ გახსნაო! ექიმს წელიწადში 2.000 მ. მეტი აქვს ჯამაგირი და ხალხს კი მასხარათ გვიგდებს—სულ ქალაქში ცხოვრობს, აქ კი წელიწადში ორჯერ არ გვეჩვენება თვალითო... მიადგენ აფთექას, ააძრეს უშველებელი რუსული „ვივესკა", აკიდეს კაცებს და წაალებინეს. მერე გამოიყვანეს გარეთ აფთექარი და უთხრეს: ხვალე თვალიდან მოგვწყდი. კუდი კუდზე გადაგიბავს აქაურ ფერშალ-ექიმებთან და ტყავს გვაძრობთ წამლების ძვირათ გაყიდვითათო... ავიდენ აქციზის ჩინოვნიკთან სადგურში. უფროსი და უმცროსი ჩინოვნიკები წასულიყვენენ, მაგრამ მაინც დაუმტვრიეს ფანჯრები. დახიეს საქმეები. მოიტანეს იქვე ქვაბები და სცადეს არაყის გამოხდა... ხალხი აქციზის შესახებ მეტად გულნატკენია: ვენახი ღვინოზე მეტ შემოსავალს არაყიდან იძლეოდა... არაყით მივდიოდით იოლათ და დღეს ყველაფრიდან სული შეგვიხუთეს და არაყის ხდაც ხელიდან გამოგვაცალესო. თუ არაყზე აქციზი არ გიდავარდა, ჩვენ წელში ვერ გავიშლებითო.

საზოგადოთ გლეხობას შეგნებული აქვს თავისი აუტანელი მდგომარეობა და ნურც უბრალო მოძრაობათ ჩასთვლის ვინმე ამ მოძრაობას. პატარას კითხავ თუ დიდს, ყველა ნათლად გიხსნის გლეხის აწინდელ მდგომარეობის აუტანლობას.

ქიზიყი. არც ქიზიყის მკვდრნი ჩამორჩენ სხვებს. აქაც ამ ცოტა ხანში გაისმა დიდი უკმაყოფილება აწ არსებულ წესების წინააღმდეგ. გაისმა ჩვეული ბეჩავ ცხოვრებაზედ. თუმცა ჯერ-ჯეროობით საიმისო არა მომხდარა რა, მაგრამ მაინც არეულ-დარეულია დღევანდელი ვითარება, მით უმეტეს, რომ მთელმა ქიზიყმა თითქო ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო უგდესო, ისე ერთბაშათ გაახილა თვალი. ხალხი გატაცებულია ერთის სურვილით, ყველას პირზედ ერთი აკერია: გვეყო ამდენი ტანჯვა და დამცირება. ვმუშაობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ ჩვენ ისევ მშიერები, ტიტვლები და გაუნათლებლები ვართო.

17 ამ თვეს სოფ. ბოდბის ხევში მოხდა კრება ქიზიყის ყველა სოფლის წარმომადგენელთა. ამ კრებას უნდა წინდაწინვე შეემუშავებია ქიზიყის საჭიროებანი და შეედგინა მოთხოვნილებანი. კრებას დაესწრო ასამდე წარმომადგენელი და გასტანა თითქმის ოთხ საათამდის. გამოირკვა, თუ რა შეეიწროებული და დაბეჩავებულია ქიზიყი ათასგვარ გადასახადით, ჯსწავლელობით და უუფლებობით. დაადგინეს (ამ დადგენილებას გადაცსემენ გასასინჯავათ მომავალ დიდ კრებას მთელი მაზრის მცხოვრებთა): მოისპოს უცხო ტომის გადმოსახლება სიღნაღის მაზრაში, რადგან თვით ადგილობრივ მკვიდრთ არა ყოფნით ადგილ-მამული. მოისპოს გამიჯვნის დავა სასამართლოებში გლეხთა და თავისუფალ ხალხს შორის. ის ტყეები, რომლითაც სარგებლობდა ქიზიყი წინათ უნდა გადაეცეს ქიზიყის საკუთრებათ, აგრეთვე ის სათავადო ტყეები, რომელნიც დაეტანება ამ საზღვრებში. ტყით სარგებლობა უნდა იყოს უფასო და უბილეთო. ეს ტყეებია: შირაქის, სიღნაღის და ლაგოდეხის სალესნიჩოები. გაუქმდეს საერო დარაჯები. გადასახადი დაარსდეს შემოსავალზე 500 მ. ზევით, ნაკლები უნდა განთავისუფლდეს; მოისპოს ბაჟი როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი; ქართველი ჯარისკაცები არ უნდა იგზავნებოდნენ უცხო ქვეყანაში, არამედ მსახურებდენ თავიანთ სამშობლოში. შემოღებულ იქნას დამოუკიდებელი თვითმართველობა სოფლათ, მოისპოს წოდებრივი სასამართლო. დაწესდეს ერთ სამაზრო სასამართლო ყველა წოდებისთვის თანაბარი. სამართალი და საქმის წარმოება უნდა იყოს ქართულ ენაზედ. მოსამართლე უნდა ირჩეოდეს ხალხის მიერ ვადით. ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს ქართული ენა. გაუქმდეს ბაშფორთი. სწავლა უნდა იყოს სავალდებულო 16 წლამდის, უსასყიდლოთ უნდა დაარსდეს ჩვენს ქვეყანაში საშუალო და უმაღლესი სკოლები ყველა დარგისა. სწავლება უნდა სწარმოებდეს ქართულათ. ღარიბებს უნდა მიეცეს ტანისამოსი და სწავლის ნიეთები. უნდა გაუქმდეს ეგზამენები (გარდა უმაღლეს სკოლებისა) და ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ერთი სასწავლებლიდან მეორეში შეიძლებოდეს გადასვლა შესაფერ კლასში. მიეცეს ქიზიყს ნება გაიყვანოს ალგეთში რკინის გზა, რომელიც აუცილებლათ საჭიროა ხალხის ეკონომიურ განვითარებისათვის. დაარსდეს განსაკუთრებული ქიზიყის მაზრა ყველა დაწესებულებებით და სამმართველოებით რომელიმე შუაგულ სოფელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭილურტი. (ქართლი). 5 მარტს შეიკრიბენ თავის დღევანდელ მდგომარეობაზე მოსალაპარაკებლად შემდეგი სოფლები დუშეთის მაზრაში: ჭილურტი, ებნისი, გრემის ხევის საზოგადოება, ბაზალეთი, ქაის ხევი, საკრამული და სხვა ახლო-მახლო პატარა სოფლები. ყრილობაზე სოფლებმა გადაწყვიტეს შეუერთდენ სხვა სოფლებს და მათთან ერთად მოითხოვონ საჭირო ცვლილებების მოხდენა გლეხაკაცის ახლანდელ ცხოვრებაში.

ლეჩხუმის მხარე. ეს ერთი კვირაა, რაც ლეჩხუმის ყოველ მხარეში დაიწყო ხალხმა გაფიცვა და ყოველ კუთხიდან გაისმის, ან სიკვდილი ანუ მოპოება ადამიანურ ცხოვრებისაო. დაიწვა სოფლის რამდენიმე კანცელარია და სკოლა, რომელიც ორბელის კანცელარიასთან ახლო იყო. გაფიცვა პირველათ მოხდა ორბელის საზოგადოებაში და შემდეგ ცეცხლივით მოედვა მთელს ლეჩხუმს. მოისპო მღვდლების დრამა და უზომო გადასახადები, განდეევნეს ფოსტის ცხენები, იასაულები და მოსპეს ამის გადასახადი, რომელიც თითეულ საზოგადოებას წელიწადში არა ნაკლებ 600 მან. უნდებოდა. მოსპეს საგლეხო ბანკში ფულის შეტანა, რადგან არავითარი სარგებლობა ამ ბანკს საზოგადოებისათვის არ მიუცია და არც იციან, ეს ბანკი რომელ ქალაქში არსებობს, ან ვინ შეთავაზობს, ვინ სარგებლობს. თავად აზნაურთ მოთხოვეს სასოფლო გზა-ხიდის კეთებაში და ეკლესიების მოვლა-ყარაულობაში მონაწილეობის მიღება და ბევრი რამ სხვა.

სოფ. მეკვენა. საერთო მოძრაობას არც ჩვენი კუთხე ჩამორჩა: აქ 16 ამა მარტს სასოფლო ყრილობაზე, რომელიც ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით მოხდა, გლეხებმა გამოაცხადეს თავისი უკმაყოფილება ეხლანდელ მართვა გამგეობაზე. ყრილობას დაესწრო ადგილობრივი ბოქაულის თანაშემწე თავადი ყიფიანი, რომელსაც ყრილობის მიერ ამორჩეულმა ორმა დეპუტატმა შემდეგ მუხლებში დაუსახა მცხოვრებთა საჭიროებანი:

1. ჩვენ გვყავს დაქირაეებული 500—600 მანათათ ცხენები, რომლებითაც ჩინოვნიკები სარგებლობენ. მეტი უსამართლობა განა იქნება? ვითხოვთ მოისპოს ფოსტის ცხენების გლეხებისაგან დაქირავება და, თუ რომელიმე ჩინოვნიკისთვის საჭირო იქნება,—ჯამაგირი აქვს და თავისფულათ იქირაოს, ჩვენ კი ნუ შეგვაჯდებიან კისერზე.

2. გზა ყველასათვის საჭიროა,—მაშ, რატომ ხდება ის უკანონობა, რომ გზას მარტო ჩვენ, დაბეჩავებულ გლეხებს გვაკეთებინებენ და სხვა წოდება კი თავისუფალია? კანონი და სამართალი მოითხოვს, რომ გზა ყველამ ვაკეთოთ, განურჩეველათ წოდებისა.

3. სოფლის სასამართლოში ოთხი იასაული გვყავს გლეხების ქირით, საქმით კი ისინი უფრო თავადებს ემსახურებიან, მაშასადამე, უსამართლობათ უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ, გლეხებმა თავად-აზნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურობას კაცები უნდა უქირაოთ. და ჩვენთან ერთად იმათაც მიიღონ მონაწილეობა იასაულების დაქირავებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგვინთავისუფლონ ჩვენი იასაულები მათი საქმეებისაგან.

4. მღვდლები ორ-ორ მანეთს გვახდევინებენ დრამის ფულათ. ეს გადასახადი ჩვენ არაფერში არ გვშველის და არ გვეთვლება. იმათ. გარდა იმისა, რომ ჯამაგირი ეძლევათ ხაზინიდან, სხვა შემოსავალიც აქვთ მრევლისაგან, მაგრამ ადამიანის ბუნება გაუმაძღარი არისო, იტყვიან—ისეა. ნათვლა დაგვჭირდება, ზეთის კურთხევა, მკვდრის გასვენება, ჯვრის წერა ან სხვა რომელიმე მღვდელ-მოქმედება,—ისე ფეხს ვერ მოაცვლევინებთ სახლიდან მღვდელს, თუ გასამრჯელო წინდაწინ არ მიართვი. ნიხრი ხომ იმისთვის არ არსებობს და, ვისაც როგორ მოხვდება, გასამრჯელოს ისე იღებს. აძის ტომ უკანონოთ ვთვლით დრამის ფულს და ვითხოვთ, რომ მოისპო, მისი გადახდევინება.

5. აღარ ვართ ამის მეტი! ლამის არის სიღარიბისა და გაჭირვებისაგან სული ამოგვხდეს! ამ ათასნაირმა მოუწესრიგებელმა გადასახადებმა ხომ სულ მიწასთან გაგვასწორეს. რა სამართალია, მოვთხოვოთ გადასახადი იმისთანა კაცს, რომელსაც სულს გარდა არაფერი სარჩო-საბადებელი აღარ გაჩნია, რომელიც ყელამდის ვალშია ჩაფლული! გადასახადი გადახდეს მხოლოდ იმას, „ვისაც შეუძლია, ღარიბ-ღატაკები კი ყოველგვარ გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდნენ.

6. ეკლესია ყველასია: გლეხისაც და თავადისაც. ყარაულის ქირას კი მარტო ჩვენ, გლეხებს, გვახდევინებენ. რატომ უნდა იყოს ასე? დეე, იმათაც უყარაულონ თავიანთ მკვდრებსა და ეკლესიას.

7. ჩვენგან ამორჩეული სოფლის მოხელეები: მამასახლისი, მოსამართლეები და სხვები უფრო ჯიბის მოსამსახურეები არიან, ვიდრე საზოგადო ინტერესებისა. სამართალი ყოველთვის იმისაკენ იწევს, ვისაც შეძლება აქვს. ღარიბისთვის კი მათგან განჩინებული სამართალი უსამართლობა არის და ამიტომ ღარიბი ვერ ღირსებია მათგან სწორ სამართალს. ის სამართლისაგან ყოველთვის დაჩაგრული გამოდის, ამისათვის, თუ ამაზე უკეთ არ გვექნება მოხელეებისაგან სასაზოგადო ან პირადი ინტერესების სისწორით დაცვა, არ გვინდა ისინი. და იმათ მაგიერ სხვაფრივ მოეწყოს სოფლის მართვა-გამგეობა.

ბოლოს თ-მა ყიფიანმა გაუმარტა ყრილობას, თუ რაში მდგომარეობს სამხედრო წესები, რომლებიც ამ ჟამათ მთელ ქუთაისის გუბერნიაში მთავრობისაგან შემოღებულია და რა გზას უნდა დაადგეს ხალხი, რომ არ შეიქნეს მსხვერპლი სასტიკ სამხედრო სამართლისა რამე დანაშაულობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეებში მოელიან ჯარს, რომელსაც მთავრობა გზავნის რაჭა-ლეჩხუმში მოძრაობის ჩასაქრობათ.

ამბობენ, რაჭა-ლეჩხუმის ზოგ სოფლებში უკვე შემოუღიათ გურრიის მსგავსათ თავისებური მართვა-გამგეობაო. ზოგან ხალხს კიდევაც შეუფიცია ერთმანეთისათვის ერთგულებაზე საერთო მოძრაობის სასარგებლოთ.

დაწვეს ამ კვირაში ჭყვიშის სასოფლო სასამართლო და ორბელის სასამართლო, რომლიდან ცეცხლი სკოლის შენობაზედაც გადასულიყო და გაენადგურება, სხვაგან სოფლის სამამართლოებს ყარაულები უყენია.

რას ამბობდა გურჟუაზია?

თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნების განცხადება

27 იანვარს ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ქალაქის თავს წარუდგინეს განცხადება, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ ქალაქის თვითმართველობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ უკანასკნელ დღეებში მოხდარ ამბებს და ეცადოს ამის მიზეზების გამორკვევასო. მოგვყავს ნაწილი ამ განცხადებისა: მუშათა მოძრაობამ, რომელიც ძლიერ ტალღასავით მოედო მთელს რუსეთს—ვერც თფილისს აუხვია გვერდი. ჯერ ამი-რ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა, შემდეგ კი გაიფიცნენ ყველა კერძო ქარხნებში, ზავოდებში, სტამბებში, სახელოსნო დაწესებულებებში, საყასბოებში და სხ. მუშაობა შესწყვიტეს.

ჩვენი ქალაქის ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა შეჩერდა, გამწვავდა საკითხი მცხოვრებლების სურსათის შესახებ, უპირველესი ალაგი თფილისის მშრომელი ხალხისათვის ზრუნვამ დაიჭირა, ჩვენი ეპარქიის და ნორჩი მრეწველობის ინტერესები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობას, რომელსაც კანონის მიერ მინდობილი აქვს „ზრუნველობა სურსათის შემცირების თავიდან ასაცილებლად“ და რომელსაც მოვალეობათ უდევს გაუწიოს დახმარება მისგან დამოკიდებულ ზომებით, საშვალებით ადგილობრივ მრეწველობისა და ვიჭრობის აღორძინებას“, არ შეუძლია და უფლებაც არა აქვს გულზე ხელ-დაკრეფილმა უცქიროს იმ ამბებს, რომელთაც ამ ჟამად ქალაქი განიცდის, მით უმეტეს, რომ მშვიდობიანათ დაწყებული მუშათა მოძრაობა, ამ დღეებში, სამწუხაროდ, გაფიცულთა და პოლიციის შეტაკების დროს სისხლით შეღება. ამ შეტაკებაში დაშავდენ არა მარტო გაფიცულები, არამედ ქალაქის მშვიდობიანი მცხოვრებნიც კი, რომელთაც არაფერით არ დაურღვევიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი სიწყნარე. ამისდაგვარად უკანასკნელ დღეებში მომხდარმა ამბებმა არა ერთი და ორი კითხვა წამოაყენა ქალაქის ცხოვრებაში და თბილისის საზოგადოებრივმა მმართველობამ, რომელიც კანონით მოწოდებულია იზრუნოს ქალაქის მატერიალურ და სულიერ ჭირ-ვარამის შესამსუბუქებლად, ამ კითხვის წინაშე ბაგე არ უნდა დაიცოს.

უწინარეს ყოვლისა ჩვენმა საზოგადოებრივმა მმართველობამ გაფიცულთა და მეპატრონეთა შორის შუამავლობა უნდა იკისროს; ამით ის გამოარკვევს მუშათა მოთხოვნას და მეპატრონეთა წინადადებებს და შეიძლება ასეთი რიგით მოისპოს მათ შორის არსებული უთანხმოება, რომ არც ერთი მხარის ინტერესები არ დაიჩაგროს. ამ მიზნისათვის საჭიროა ქალაქის საბჭომ კერძო კომისიამ აირჩიოს ქალაქის თავის თავმჯდომარეობით ამაეე კომისიას უნდა დაევალოს თფილისის მუშათა კლასის საჭიროებათა ყოველმხრივი გამოკვლევა, მისი ყოფა-ცხოვრების და ეკონომიური მდგომარეობის გაცნობა და სხ, კომისიის მიერ შეკრებილი ცნობები ფრიად სასარგებლო მასალად გამოდგებიან და ნათელ ყოფენ ჯერედ გამოურკვეველ მუშათა კითხვას ტფილისში. ამ საშვალებით და მუშათა ნამდვილ მომწიფებულ საჭიროებათა დაკმაყოფილებით, ადვილი შეესაძლებელია მიაგნონ იმ ზომებს, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნება მომავალში მაინც თავიდან ავიშოროთ გამწვავებული სოციალური კითხვის შედეგი, მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ კომისიის შრომა სრულიად უნაყოფოდ ჩაივლის და თვით კითხვის გამორკვევასაც არაფერი ეშველება, თუ რომ მუშებს კანონით არ მიანიჭეს ყრილობათა და კავშირის უფლება, უფლება თავისუფალი განსჯისა საკუთარ საჭიროებათ და მშვიდობიან გაფიცვათა უფლებაც კი, ვინაიდან ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ძლიერი საშვალებაა მუშებისთვის თავისი ინტერესების დასაცველად. დასასრულ ხმოსნები თხოულობენ, რომ ქალაქის მცხოვრებთა დასამშვიდებლათ გულმოდგინებით გამოკვლეული იქნას 23 იანვარს მომხდარი ამბებიო. („მოგზ." № 4).

თფილისის ქალაქის თავის მოხსენება.

ტფილისის ქალაქის თავს ბ-ნ ვერმიშევს შეუდგენია მოხსენება კავკასიის ნამესტნიკისთვის წარსადგენათ, რომელშიც ავტორი ეხება როგორც რუსეთის, ისე განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის დღევანდელ გაჭივრებულ მდგომარეობას, ამ გაჭივრებულ და აუტანელ მდგომარეობას, რომ ბოლო მოეღოს და დამყარდეს მშვიდობიანი ცხოვრება, საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას პიროვნების და ქონების ხელშეუხლებლობა, დამყარდეს კრების, სიტყვის და ბეჭდვის სრული თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება. ამას წინ უნდა მიუძღოდეს გაძლიერებული დაცვის გაუქმება და პოლიტიკურ დამნაშავეთა სრული ამნისტია. თუ ამ მოსამზადებელ მუშაობისათვის მოწვეული იქნებიან ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ვიმედოვნებთ, რომ კავკასიის მცხოვრებნი მალე გამოარკვევენ იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა, რომელიც წამოაყენა ცხოვრებამ და რომლების სამართლიანი გადაწყვეტა შესაძლებელად გახდის ხალხის კულტურულ განვითარებას. ამისთვის კი აუცილებლათ საჭიროა, რომ მთელი სისტემა სახელმწიფო მმართველობისა რიგიანათ შეიცვალოს დამფუძნებელ კრების საშვალებით. ამისთვის საჭიროა:

1. სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევა; წარმომადგენელთა არჩევა ამ კრებისთვის პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრით, წოდებისა, ჭონებისა და სქესის განურჩევლად.

2. გაძლიერებული დაცვისა და საომარ წესების მოსპობა და საერობო დარაჯების (სტრაჟნიკების) მოსპობა.

3. ადგილობრივი ყოველ ეროვნების მკვიდრი ხალხი უნდა იღებდეს მონაწილეობას წარმომადგენლობაში თავის რაოდენობის დაგვარად. ამისთვის ცალკე საარჩევნო ოლქები უნდა იყოს მოწყობილი.

4. საზოგადო უფლებრივ პირობათა შემოღება პრესის, სტყვის, კრების, ყრილობების, გაფიცვის თავისუფლება, მთავრობის ნება დაურთველად ყოველგვარ საქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებათა გახსნა, სასწავლებლებში სწავლება დედა-ენაზე, პიროვნების, სადგომის ხელუხლებლობა, მოხელეთა პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე, პოლიტიკურ დამნაშავეთა სრული ამნისტია.

5. ადგილობრივ თვითმართველობა ორგანიზაცია ისე, რომ იგი თავისუფალი იყოს ადმინისტრაციის გავლენისაგან, საპროვინციო და საქალაქო თვითმართველობა და კავკასიის წარმომადგენელთა ადგილობრივი კრება, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრაზე დამყარებული; ამათ უნდა გადაეცეთ ადგილობრივ სამეურნეო საქმეების მართვა-გამგეობა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვა.

6. არჩეული მომრიგებელი მსაჯულები და ნაფიცი მსაჯულები, სასწავლებლებში ადგილობრივ ენების შემოღება.

7. პირველდაწყებითი სწავლის გადაცემა საზოგადო დაწესებულებათა ხელში. სახალხო სასწავლებლებში ადგილობრივ ენებზე სწავლება.

8. საშუალო სასწავლებლების განთავისუფლება ზედმეტი შეეწროებისაგან და მათ მართვა-წარმოებაში ხალხისაგანაც მონაწილეობის მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. გლეხთა საადგილ-მამულო მდგომარეობის მოწყობა ამნაირათ: ა) დროებითი ვალდებულობის მოსპობა; ბ) თავისუფალ სახაზინო ადგილების მოხმარება ამ საქმისათვის და გ) კერძო მემამულეთა ადგილების შესყიდვა ხაზინის დახმარებით და ექსპროპრაციის წესით.

10. სრული სარწმუნოებრივი თავისუფლების შემოღება.

(„მოგზ.“ № 20)

თფილისის წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა მოთხოვნები.

1. მოისპოს პატენტი და ყველა არაპირდაპირი სახელმწიფო გადასახადი. დაწესდეს პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, მხოლოდ მცირე შემოსავლიანი სრულიად განთავისუფლდეს სახელმწიფო გადასახადისაგან.

2. შემცირდეს დუქნის ქირა და პირდაპირი ანგარიში შენობების პატრონებთან იქონიონ..

3. დუქნის დაცლა ძალდატანებით არ ხდებოდეს.

4. პოლიციელებს აეკრძალოს სხვადასხვა საქონლის უფასოდ წაღება.

ამასთანავე ვუერთდებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და ვთხოულობთ: სიტყვის, კრების, ბეჭდვის, გაფიცვის, კავშირების და სინიდისის თავისუფლებას, პიროვნების და ბინის ხელუხლებლობას; დამფუძნებელი კრების მოწვევას საერთო, ფარული, პირდაპრი კენჭის ყრით ყველასათვის განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა. („მოგზ.“ № 13).

მოწაფეთა ფოკრის.

14 მარტს ქ. გორში საქალაქო და სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი შეიკრიბენ საქალაქო სასწავლებელთან, საიდანაც ისინი სიმღერით გაემართენ ქალთა გიმნაზიისაკენ. ერთს მათგანს ხელში ეჭირა დროშა ზედ წარწერითი: გაუმარჯოს აკადემიურ თავისუფლებას“. ისინი მივიდნენ ქალთა გიმნაზიასთან, სადაც ამ დროს სწავლა იყო და მოითხოვეს იქაც შეეწყვიტათ სწავლა. რადგანაც მათი თხოვნა არ დაკმაყოფილეს, დემონსტრანტებმა ფანჯრები ჩაამტვრიეს, რის შემდეგაც ქალთა გიმნაზიის მოწაფენი ჯერ-ჯერობით ოთხი დღით დაითხოვეს, სანამ პასუხი მიუვათ მთავრობისაგან. ამის შემდეგ მოწაფენი დაიშალენ. პოლიციამ გონიერება გამოიჩინა და ხელი არ ახლო. სამწუხაროდ ასევე არ მოიქცა იმავე დღეს პოლიცია სხვა ალაგას: როცა მთელი გორის მცხოვრებლებმა ქალაქში

1905 წელი ჩვენში

(ამ ფოთოლზედ ვაუფლებთ)

ეგზ ტუბა... ვარბიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემონსტრატიულად ჩამოიარეს, საარტილერიო მოედნის ახლო დახვდათ შეიარაღებული სალდათების ჯგუფი, რომელთაც თვით ჩვეულებრივის „разоитис“ უთქმელად ხალხს რამოდენიმეჯერ ესროლეს. ხალხი მაშინვე გაიფანტა, მოკლეს ერთი 12 წლის ბავშვი, რომელიც ტყვიას გაეგმირა და თერთმეტი მძიმედ დასჭრეს. დაჭრილები წაიყვანეს საავადმყოფოებში. ორი იმ დღესვე გარდაიცვალა. ექიმებს რამდენიმეს მორჩენის იმედიც აღარ აქვთ. ხალხი თავისთვის მშვიდობიანად მიდიოდა, იარაღიც კი არ ჰქონდათ, წინააღმდეგობის გაწევას სრულებით არ ფიქრობდა. საკვირველი უფრო ის არის, რომ როგორც ამბობენ, სალდათებს სროლა ნაბრძანები არ ჰქონდათ. („მოგზ“ № 10)

შავი რაზმის გარშემო.

(ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრების ანგარიშიდან).

... კრება შაბათს, 9 აპრილს გაიხსნა.

.... ორშაბათს ბილეთებით დაცხრილული, პოლიციის ზედამხედველობით შესული საზოგადოება დაესწრო კრებას. კრება გაიხსნა ისევ ხმაურობით და ყვირილით.

სიმონ წერეთელი. გუშინ წინ კრებაზე არჩეული კომისიის აზრით მოძრაობის უსიამოვნო მხრეების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სოფლებში ჩვენი კაცების გაგზავნა და ქადაგი. ამ კაცებმა უნდა აუხსნან გლეხებს, თუ რა აუტანელი მოთხოვნილებებით მიმართავენ ისინი აზნაურებს, თუ რა ცუდი და მავნებელი საქციელია დაწვა, მოკვლა, წართმევა და სხ. მაგრამ რადგან ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით ამას ვერ მოვახერხებთ, ამიტომ საჭიროა ამაში მთავრობაც დაგვეხმაროს, ხელი შეგვიწყოს, საშუალება მოგვცეს ასეთი ქადაგება გავსწიოთ ხალხში.

დავით მიქელაძე. ჩემის აზრით ასეთი საშუალებით მარტო ჩვენ ვერაფერს გავხდებით, ამიტომ მივმართოთ შემდეგს: ვთხოვოთ გენ. გუბერნატორს მოიწვიოს სოფლის წარმომადგენლები და ურჩიოს დაარიგონ ხალხი, მოსპონ ასეთი ცუდი მხარეები; რასაკვირველია, ის როგორც მთავრობის წარმოადგენელი იმასაც ეტყვის, თუ ნებით არ ვიქნიათ, მე იძულებული ვიქნები იარაღს მივმართოო.

ხმაურობა და ყვირილი: „ძალიანი კარგი, ძალიანი კარგი! თანახმა ვართ. მშვენიერი საშუალებაა“.

დავით წულუკიძე—მე ასეთი საშუალება ყოვლად უვარგისად, მავნებლათ და უგნურ საშუალებათ მიმაჩნია. ჩვენ მაგით კიდევ უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ავრეთ, გადავკიდებთ ერთმანეთს. ამიტომ მე წინაალმდეგობას ვაცხადებ ასეთი ზომების შესახებ.

დავით იაშვილი. მე როცა აქ სერთუკოსანიდან გავიგონე დაწვის, მოკვლის, აკლების და დარბევის გმობა-გაკიცხვა, სწორე გითხრათ, სიზმარში მეგონა ჩემი თავი. აბა ვინ აგონებს ხალხს ამაებს, თუ არ სერთუკოსნები. ჩვენ ხომ ხალხთან არასოდეს მტრობა არ გვქონდა, ჩვენ ყოველთვის წინ მივუძღოდით მას ბრძოლის დროს და დღესაც ასე ღნდა იყოს, მაგრამ აქ ჩვენ შორის შური და მტრობა დათესეს. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ყოველი დახმარება გავუწიოთ საერთო საქვეყნო საქმეს, მაგრამ ჩვენ რით გვიხდიან ამას. წინად ერთი ავადმყოფი არტისტისათვის ფული მოგვთხოვეს: ჩვენც სიამოვნებით გავიღეთ ვინ თუმანი, ვინ ხუთი მანეთი, ვინ უკანასკნელი მანეთიც კი შესწირა. გამორჩა ჩვენი არტისტი ჩვენს შორის შეგროვილი ფულით, ჩამოვიდა და ეხლა ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურებს სამარეს უთხრის.

არტისტი მესხიშვილი სიტყვას თხოულობს. ბევრი წინაალმდეგია. ისევ ხმაურობა და ყვირილი შეიქნა. როგორც იქნა, მესხიშვილის საშუალება ეძლევა პასუხი გასცეს ბ. იაშვილს.

მესხიშვილი. ბატონი იაშვილი მაყვედრის, რომ ჩვენ ფული შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურობას სამარეს უთხრისო. მოვახსენებ ბ. იაშვილს, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით ვერავინ ვერ მომიყიდის და ვერ მთქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება. ალბათ, ბ. იაშვილს „კაი გრაკი“ აქვს მხედველობაში. მერე რა ვთქვი მე ამ პიესაში. მე დავანახე აზნაურობას მისი ნაკლულოვანება, მისი გონებრივი და ზნეობრივი სიღატაკე, მისი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში (ყვირილი. არ ალაპარაკებენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მესხიშვილი განაგრძობს). აი თქვენ შეკრებილხართ საერთო კითხვების გადასაჭრელად. აქ ბევრი წინაალმდეგია დღევანდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილების და კიდევაც წარმოვთქვამ თავის აზრს. მეც წინაალმდეგი ვარ, მაგრამ მე აქ ლაპარაკის ნება არ მაქვს: საპასუხო სიტყვასაც კი არ მანებებენ. მე აი რა შემიძლია გითხრათ თამამად: აზნაურობამ დაჭკარგა თვისი მნიშვნელობა, აზნაურობა წინ ეღობება თვისი საქციელით ხშირად დღევანდელ მოძრაობას, იგონებს რაღაც უაზრო და უმნიშვნელო საშუალებას და ფიქრობს ამით განმათავისუფლებელი წინსვლა შეაჩეროს. თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს საერთო მტრის წინაალმდეგ გასალაშქრებლათ—აი ნამდვილი და უებარი წამალი. სამი დღე კრებები იმართებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვირილისა და არეულობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ. ეს თქვენი თხოვნები და პეტიციები ერთ გროშადაც არა ღირს. ეს ყველაფერი ფუჭია. აი ამას გეუბნებით მე დღეს აქ, ამასვე ვიტყვი მე ყოველთვის იქ, საცა ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიმიწვევს—აი იმ სცენაზე. ეხლა ხომ ცხადია, რა ძლიერი ყოფილა იქიდან წარმოთქმული სიტყვა, როგორ მოუწვავს გული ზოგიერთებისათვის. დიახ, ეს სიტყვა ყოველთვის უფრო ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენი არეული ლაპარაკი. მესხიშვილი

კიდევ შეგაკრებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის მოსმენა მოგინდებათ სცენიდან. (გადის. ხანგრძლივი ტაში).

კითხულობენ თავად გიორგი მიქელაძის მოხსენებას, რომელიც შემდეგ საშუალებას უთითებს მოძრაობის შესაჩერებლათ; 1) მოისპოს პროპაგანდისტების სიარული სოფლად, 2) გაფრთხილება მიეცეს ყველა გაზეთებს, რომ მიმართულება გამოიცვალონ და 3) მეტი გავლენა მოვიპოვოთ ხალხზე ერთობის დასამკვიდრებლათ.

კ. ჟღენტი. ჩვენ არ ვიცით ვინ არიან საქმის ამრევი პროპაგანდისტები, ჩვენ მათი ვერც სახელი გაგვიგია და ვერც გვარი. ამიტომ ჩვენ ყველა სერთუკოსნები ამრევათ მიგვაჩნია. რადგან დაწვავზე და წართმევაზეა საქმე, მივალ ვინმე სერთუკოსანისას, გამოვაბრძანებ სახლიდან, მოვიკალათებ შიგ და დედამამისშვილია ხმის ამოიღებს (კრების ერთი ნაწილი ტაშ. უკრავს).

ნ. თავდგირიძე ... თავად-ზნაურობის კითხვა ეროვნული კითხვაა. მხოლოდ მას შემდეგ, რა რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და რუსეთის მთავრობის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ჩვენ ერს დღითი დღე დაბეჩავება, გადაგვარება, გარყვნა და გაფუჭება ემჩნევა. ერთმანეთს წაგვკიდეს და გადაგვამტერეს. რათ ხდება ასე? იმიტომ, რომ ჩვენ გვაძლევენ ჩვენთვის ურგებ და მავნებელ კანონებს, სადღაც ცივ ქვეყანაში შემუშავებულს, ვიღაც უცნობი პირების გამოცემულს. მოგვისპეს ყველა დაწესებულებებში და სასწავლებლებში ქართული ენა, ჩვენს ყოფა-ცხოვრებას ჩვენს დაუკითხავად განაგებენ, სიტყვას არ გვათქმევინებენ ჩვენი საქიროების გამო, მოკლებული ვართ თავისუფალ აზროვნებას, თავის შეყრას, მოლაპარაკებას. ამას ჩადის დღევანდელი ბიუროკრატიული რუსეთის მთავრობა. ის თვით რუსეთის ერისათვის აუტანელი შეიქნა და მის წინააღმდეგ ამხედრებულა მთელი ქვეყანა. მით უმეტეს გვმართებს ჩვენ. მხოლოდ ჩვენ ვითხოვთ მოგვეცეს თავისუფალი მართვა-გამგეობა, სრული ავტონომია, რომ ჩვენ თვითონ, ჩვენ მიერ არჩეული კაცების საშვალებით ჩვენთვის კანონებიც დავადგინოთ და კიდეც ავასრულოთ. აი რა გვინდა ჩვენ დღეს, აი რით შეიძლება ყოველივე სენის განკურნება (აზნაურობა ყვირის: ეს შორს იქნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგი კითხვა მაისში გავარჩიო?: ჩვენ არც კი ვიცით რა არის ეს ავ-ტონომია. ჯერ განგვიმარტე და შემდეგ ვითხოვოთ).

სილოვან ხუნდაძე. რამდენათაც მე ჩვენში მომქმედი წრეების პროგრამა წამიკითხავს და გამიგია, არც ერთ წრეს მიზნად არ აუ-ღია დაწვა, მოკვლა, საკუთრების წართმევა: ისინი ამის წინააღმ-დეგნი არიან. ის პირები, რომელთაც უმოქმედიათ და დღესაც მოქ-მედობენ და რომელთაც საქმე აქამდე მოუყვანიათ, ჩვენგან არამც და არამც სასაყვედურო არ არიან. აბა, რა პირადი ინტერესი აი-ძულებთ მათ მოქმედებას? არავითარი. წინააღმდეგ. მათის მხრით ეს მოქმედება თავგანწირვაა. სიმშილი, წყურვილი, მუდამ მოუსვენარი ცხოვრება, ციხე, ციმბირი, დევნა-წვალება,—აი რა მოელის მათ დღე მუდამ, აი როგორ აჯილდოვებს მათ დღევანდელი ცხოვრება. არა, ის პირები პატივისცემისა და ვაშას ღირსნი არიან. ისინი უდგანან დღეს სათავეში ხალხის მოძრაობას, ისინი ხელმძღვანელობენ მათ მოქმედებას. სწორედ იმათვე შეუძლიათ ყოველივე ცუდის აღმოფხვ-რა და შესწორება, აი სწორედ იმათ უნდა მივმართოთ როგორმე და ვთხოვოთ მიიღონ ყოველივე ღონისძიება მოძრაობის მავნებელი მხარეების აღმოსაფხვრელად. აი ერთად ერთი საშუალება. აი ვის შეუძლია ამ კითხვის გადაჭრა. სხვა ყველაფერი ფუჭია.

ზუგდიდის თავად-აზნაურთა სამაზრო კრება.

ზუგდიდის თავად-აზნაურთა კრებას უნდა გამოენახა რაიმე საშუალება გლეხების დასამშვიდებლათ. კრების უმრავლესობას შეად-გენდენ ისინი, ვისაც სასტიკი, ჯოჯოხეთური ზომებით სურს დღე-ვანდელი მოძრაობის ჩაქრობა. ამათ შორის თავი უსახელებია ვლ. ალშიბაიას, თ-დ მინგრელსკის მამულების გამგეს. აი რა უთქვამს მას: „გლეხს დღეს არაფერი გაჭირვება არ ადგია. იგი ცხოვრობს სრულ კმაყოფილებაში და სამწუხაროდ ვერ შეუგნია თავისი ბედნიერი მდგომარეობა, აყოლია ფეხის ხმას და დადგომია საზიზღარ გზას. მისი მდგომარეობა კარგია და კიდევ უკეთესი იყო წარსულში. უნდა ვიტიროთ და ჩოქით მოვიხსენოთ ის თავად-აზნაურები, რომელთაც გლეხებს ნდობა და ერთობა გამოუცხადეს. როდესაც დაიწვება ერთი აზნაურის და თავადის ოჯახი, უნდა დაიწვას ასი გლეხის ოჯახი; როდესაც მოკლული იქნება ერთი ჩვენგანი, უნდა მოიკლას ათასი გლეხი: მათი დამშვიდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აქ იქე-იგრიალებს თოფ-ზარბაზანი". (მოგზ. № 13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად-აზნაურთა დრუჟინის დასახასიათებლად.

(„მოგზ.“ 20—იოსებ ბესელიძის წერილი)

„17 მაისს მე და ჩემი მეგობარი ურმით მოვდიოდით სოფ. ცერონისიდან (გორის მაზრა), სადაც სტუმრათ ვიყავით თ. ხ. ფალავანდიშვილთან. თითქმის ორ ვერსზე მეტი გვექნებოდა გამოვლილი ს. აბასიდან, როდესაც ცხენით წამოგვეწია თ. მ. დ. ციციშვილი და გვთხოვა ცოტა ხნით სოფ. აბასში დაბრუნება, სადაც თურმე იმყოფებოდა თავად-აზნაურთა დრუჟინა, რადგანაც დრუჟინის კომიტეტს სურდა ჩვენთან რაღაცა საქმეზე მოლაპარაკება. ჩვენ თვითონ გვაინტერესებდა დრუჟინის ნახვა და ამისათვის დავთანახმდით ამ წინადადებაზე.

თ. ციციშვილს ვთხოვეთ დიდი ხნით არ გავეჩერებიეთ. თავადმა მოგვცა პატიოსანი სიტყვა, რის შემდეგ ჩვენ დავბრუნდით.

გზაში დაგვიხვედა თორმეტამდე შეიარაღებული თავად-აზნაური (მილიციონერები) და შემოგვერტყენ გარს. ჩვენ ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით შევხედეთ ასეთ საქციელს, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ. ჯერ აბისში არ ვიყავით მისულნი, მე ურმიდან ჩამოსვლა მოვინდომე, მაგრამ არ მომცეს ნება; ხუმრობა მეგონა და დავაპირე გადმოსვლა, აქ კი თავადმა მიშო ფავლენიშვილმა შემომიტია: უფროსისაგან არა მაქვს ნაბრძანები და ვერ მოგცემ ჩამოსვლის ნებას, სანამ უფროსთან არ წარგადგენო; იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი უფროსის ბრძანებას. ამ რიგად ვიგრძენ თავი მიპატიჟებულათ კი არა, დატუსაღებულათ. ასეთი ამბით ეს ორი დამნაშავე მიგვიყვანეს ს. აბასში და წარგვადგინეს უფროსთან. ბ. უფროსმა ზურაბ აბდუელიშვილმა (უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულია) გამოგვიცხადა სურვილი, რომ ჩვენთან მოლაპარაკება სურდა. ჩვენ დავთანხმდით. უფროსმა მოიწვია მოწვინავე მილიციონერები, ე. ი. ასის და ათის თავები, რომელთა რიცხვში ნახავდით ბ. ნ. სულხანიშვილს. უპირველესათ ბ. უფროსი შეუდგა ამის გამოძიებას, თუ რად ან რისთვის ვიყავით სოფელში. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვიყავით ს. ცერონში სტუმრათ თ. ს. ფალავანდიშვილთან. გვთხოვა კეკელ-მალულობისათვის თავი დაგვენებებინა, ამასთანავე დიდი რიხით და ავტორიტეტული კილოთი გამოგვიცხადა, რომ თქვენ აგიტატორებათ ხართ მოსულნიო. მათის აზრით თ. ლევან ამირაჯიბი ს. მცაში მოკლეს ჩვენი ჩაგონებით, ჩვენ გავავრცელეთ ხმა, რომ სოფელ მცაში მოკლეს მსუქანი ღორი, რომლის ხორციც გირვანქა 15 კაპ. იყიდება. ვენისავე ჩაგონებით გლეხებმა არ მისცეს ნება მიცვალებული სოფელ ბ ვლევში ამოესვენებინათ და სრულიათაც არ მიკარებიან ახლოს, რის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოც მიცვალებული ბალკონზე ყოფილა უპატრონოთ, რომ ჩვენ დავდიენართ სოფელ-სოფელ და ვამხედრებთ გლეხებს თავად-აზნაურებზე, რათა სრულიად ამოსწყვიტონ ისინი. ჩვენ ვთხოვეთ დაუყონებლივ სოფელში ასვლა და სიმართლის გამოკვლევა, მაგრამ ბ. უფროსი არ დაგვთანხმდა, ვინაიდან მარშრუტის ძალით მეორე დღეზე ადრე არ შეეძლოთ წამოსვლა. ჩვენ, როგორც მოსამსახურე ხალხს, არ შეგვეძლო დარჩენა. თუმცა მე იმდენათ გამაბრაზა იმათმა საქციელმა, რომ მზათ ვიყავ დავრჩენილიყავ და კიდევაც გამოუცხადე ჩემი სურვილი. მხურვალე მონაწილეობას ჩვენი პიროვნების ლაფში ამოსვრაში იღებდა, მკითხველებისათვის უკვე ნაცნობი რაინდი, სტუდენტი რიგის პოლიტეხნიკუმისა ნ. სულხანიშვილი, ტირძნისელი, რომელმაც ჩვენ ჯერ ს. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გვიწოდა და მერე მეჩექმეები დაგვიძახა. ბ. სულხანიშვილი სიბრაზით დორბლებსა ყრიდა და ტარიელ მკლავაძისებური მუშტები ისე ახლა მოქონდა ჩვენ ცხვირთან, რომ იძულებული ვხდებოდით უკან დაგვეწია. ამ დროს დანარჩენი მილიციონერები, რიცხვით ორასამდე, უშვერი სიტყვებით ილანძღებოდენ და იწვევდენ ჩვენსკენ. მილიციონერები ერთხმად თხოულობდენ ჩვენ დატოვებას და მილიციაში ჩარიცხვას; ამასვე თხოულობდენ მოწინავენი და თვით უფროსიც; გვაგონებდენ, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი მოვალეა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ისეთ დაწესებულებაში, როგორიც არის თავად-აზნაურთა დრუჟინა.

ჩვენ უარი გამოუცხადეთ. მოკლე თათბირის შემდეგ, რომელიც ჩვენ დაუსწრებლად მოხდა ბ. სულხანიშვილმა გამოგვიცხადა, რომ ჩვენ უნდა მადლობელნი ვიყოთ მათი რაინდული გულკეთილობისა, რათა გაუმათრახებელნი გადავრჩით. ასეთი წყალობა იმიტომ მოიღეს გულკეთილ რაინდებმა, რომ ჯერ არ ყოფილან დარწმუნებულნი ჩვენ დანაშაულში. უყურადღებათ არც ახლათ შეთითხნილმა პუგაჩოვმა დაგვტოვა, მოგვცა ნება ქალაქში დავბრუნებულიყავით, იმ პირობით კი, რომ კვირას ვეახლებოდით მათ ცხინვალში. ჩვენ სიტყვა მივეცით. მაგრამ ვაცხადებთ, რომ არავითარი სურვილი არ გვაქვს დავბრუნდეთ იმ დიდებულთა ბრძოლში და არც არავითარი მნიშვნელობა აქვს ძალით გამოტაცებულს სიტყვას. ბ. უფროსმა გვთხოვა მიგვეცა ხელწერილი, რომ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა საერთოდ თავად-აზნაურობასთან და კერძოთ მილიციასთან.

დასასრულ უფროსმა შემდეგი მუქარით მოგვმართა: თუ არ მოიშლით სოფელ-სოფელ წიალს და გლეხების ჩვენზე ამხედრებას, ნუ გგონიათ, რომ ფონს გახვიდეთ, ვინაიდან ჩვენში ჯერ არ გამქრალა მხედრული სიმამაცე და თუმცა რიცხვით გაცილებით ნაკლები ვართ, გლეხების დამორჩილებას მაინც შეეძლებთო. ბ. უფროსის ანგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშით თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 140.000 თავად-აზნაური ყოფილა. როგორც იქნა მოვრჩით ამ გვარ წამებას. უფროსის ბრძანებით ურემი შეგვიბეს, მაგრამ ჩვენი მეურმე აღარსად ჩანდა. მილიციონერები საშინლად გაბრაზდენ, წინაალმდეგი იყვენ ჩვენი განთავისუფლებისა და გვიხსნიებდენ ისეთი უწმაწური სიტყვებით, როგორსაც მარტო მათგან უნდა მოელოდეს კაცი. ბ. უფროსმა მართლაც გამოიჩინა გულკეთილობა. თვითონ იკისრა მეურმეობა და დაბრძანდა ურმის თავზედ; ჩვენ ყოყმანი დავიწყეთ და ვსთხოვეთ ვინმე მეურმე ვშოვნათ, უფროსმა გვიბრძანა ურემზე დაჯდომა და ჩვენც შევასრულეთ ბრძანება, ამ რიგათ გაუდექით გზას. აქ კი მილიციონერებმა ასტეხეს საშინელი ყვირილი და ემუქრებოდენ სრულიად დაშლას. უფროსი შეფიქრიანდა, ჩვენ ურჩიეთ დარჩენა. მაშ, ჩვენს ქალაქში ჩასვლას ხომ ვერ ვანაცვალებდით საქართველოს სიამაყეს! ამნაირათ ჩვენ როგორც იყო განვთავისუფლდით ხუთი საათის დატყვევების შემდეგ. აი, ბატონებო, ის მილიცია, რომელსაც განზრახვა აქვს ქართლში მშვიდობიანობა ჩამოაგდოს, რომელსაც სურს დაიცოს ხალხი ძალმომრეობისაგან. ამავე დროს ეს ვაჟბატონები სრულიად უდანაშაულო ხალხს იჭერენ, ათასგვარ შეურაცყოფას აყენებენ და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც დარწმუნებულიც არ არიან კაცის დანაშაულში. ჩემის აზრით, გაზეთებში მოყვანილმა საბუთებმა მათ შესახებ საკმათო გამოარკვიეს მათი ფიზიონომია და ამისათვის დრო არის მიაქციოს საზოგადოებამ ღირსეული ყურადღება, რათა ისეც აულაგმავმა ბრბომ უფრო აღვირი არ წაიგლიჯოს. ამ დაწესებულებაში გარდა სულხანაშვილისა არიან შემდეგი სტუდენტები: მოსკოვის უნივერსიტეტისა ა. დ. ციციშვილი,—ოდესის—ი. ლ. ციციშვილი. ხსენებულ დრუჟინის საქმეებს განაგებს კომიტეტი, რომელიც შესდგება 18 წევრისაგან: სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის მაზრაში ხმა გავრცელდა, ვითომ ხსენებულ კომიტეტის წევრებათ სხვათა შორის ირიცხებიან: ალ. ყიფშიძე, ნ. ზ. ცხვეთაძე და მიხეილ მაჩაბელი.

—:—

ცხინვალი. დიდი ხანია მოველოდით შავი რაზმის მოსვლას. გავარდა ხმა, რომ შავი რაზმი უკვე დაიძრაო. დიდი მითქმა-მოთქმა გაჩნდა გლეხებში. ყველა იმას ფიქრობდა, თუ როგორ უნდა დახვედროდენ. გლეხები ფიქრობდენ: თუ ვინიცობა რაიმე უწესოებას მოახდენენ, იფიათ ნუ დაუჯენთო. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ შავი რაზმი ოსების, სომხების და ქართველების წაკიდებას ცდილობსო. მაგრამ მე აქ არ გამოუდგები, თუ ვინ რას ფიქრობს. მე მხოლოდ იმას აღვნუსხავ, თუ რა მოიმოქმედეს.

20 მაისს ავნევის ახლოს იკრიბებოდა აუარებელი გლეხობა 1000 კაცამდე შეიარაღებული თოხებით, კეტებით, ხანჯლებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვა იარაღებით, ვისაც რა ქონდა. მიზეზი ამისა იყო თავადების შავი რაზმი, რომელიც მოსულიყო სოფ. დვანში. რაზმს უმიზეზოთ გზაზე მეცხვრეებისათვის თოფები დაუშენია. მეცხვრეები სოფელში გაიქცნენ და სოფლელებს შეატყობინეს, მაგრამ ამ დროს გლეხებმა გაიგეს, რომ რაზმი უკვე შემდეგ სოფელში გადავიდაო, გლეხები იქ აპირებდენ გადასვლას და თავდასხმას, მაგრამ შეჩერდენ. ამავე დღეს შავი რაზმის ერთი წევრი ლუარსაბ ფავლენიშვილი რაზმს ჩამოშორებოდა და გზაზე ერთ გლეხს შეეჩეხა, რომელსაც ურმით შეშა მიქონდა; თავადმა ლანძღვა დაუწყო, როგორ თუ შენ ჩემდა დაუკითხავად ჩემს ტყეში შეშა მოსჭერიო, ცემას უპირებდა, მაგრამ ამ დროს წამოეწიენ ოსები და თავადს იარაღი წაართვეს. მას შემდეგ შავი რაზმი (ლურჯი ბაირაღით დაიარება. ბაირაღზედ აწერია: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, „გაუმაჯოს საქართველოს“) გაექანა თამარაშენისაკენ, ნაწილი კი ქვემო ნიქოზელ თავადების მეთაურობით ჩავიდა ქვემო ნიქოზში. გზაზე მათ შეეხეჩა ამავე სოფლის მღვდლის შვილი კაპანაძე (გემნაზიელი). თავ. დავით წერეთელმა უეცრივ შეაჩერა და შესძახა: „შენ, ეი ყმაწვილო! რატომ ძაღლობას თავს არ ანებებ? შენ არ იცი რა დღე მოგელისო?“ ყმაწვილმა თამამად უპასუხა: რას უნდა დავანებო თავიო? ამ დროს თავადმა მათრახი მოიმარჯვა და ხუთჯერ გადაჭკრა და თან ეუბნებოდა: შენ მაგ წითელ ქუდის და ქალამნების ტარებას თავი დაანებე, თორემ... ყველა ამას უყურებდა ს. კეხიჯვრის მასწავლებელი ბაგრატ ლაზარიაშვილი.

ბევრგან ეცადენ სამარცხვინო რაზმის წარმომადგენელნი სოფლებში ყრილობების შეყრას და თავის „პროგრამის“ წაკითხვას. თუ რა პროგრამა აქვთ ამ თავად-აზნაურების შემრცხვენელთ, ამას შემდეგ გამოვგზავნი რედაქციაში. დღეს კი ხელთ არ მაქვს. ის კი ვიცი, რომ პროგრამის ერთი მუხლი ამბობს: „ჩვენ უნდა დავიცვათ წოდება და მამულიო“. კერძო მოლაპარაკების დროს კი გლეხებს ეუბნებიან: „თქვენთვის არა გვშურს მამული, თქვენ მოგცემთ რამდენი გინდათ, მაგრამ როგორ არ გვეწყინოს, როცა თქვენს გარდა ოსებიც და სომხებიც გვართმევენ. ისინი დიდი ხანია ჩვენი მტრებია, ახლა ჩვენ თავადები და გლეხები უნდა შეევრთდეთ და ჩვენი საერთო მტრები — სომხები და ოსები დავამარცხოთო, თუ არა და ჩვენ ცარიელები დავრჩებითო. აი ამათი საქმე („მოგ.“ № 21).

ტფილისის პატრიოტები.

გუშინ, 9 მაისს პატრიოტული მანიფესტაცია გამართა განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარი სახელოსნოების რუსმა მუშებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიონერთა მე-2 ეკლესიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ, სადაც დღეგრძელობა უსურვეს მეფეს და აგრეთვე მისი უდიდებულესობის მოადგილეს კავკასიაში, ათასი კაცისაგან შემდგარი მუშათა კრება ეერის ხიდით გაემგზავრა მისი უდიდებულესობის მეფის მოადგილის სასახლისკენ. გზაში მუშები მღეროდენ ხალხურ ჰიმნს და თვით მსვლელობას ამშვენებდა ბაირაღები. სასახლის წინ მუშების მიერ სამჯერ იქნა შესრულებული ჰიმნი. გენერალ-ადიუტანტმა გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა სასახლის აივანიდან მადლობით უპასუხა მუშათა მწყობრ ამოძახილ „ურა"-ს. ამის შემდეგ მეფის მოადგილემ სასახლეში მიიღო მუშათა დეპუტაცია, რომელმაც გადასცა მის ბრწყინვალებას ადრესი თავისი ჭირ-ვარამის შესახებ და სთხოვა მას განართხონ ფერხთა ქვეშ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა კეთილ ქვეშევრდომული გრძნობები. ხმამაღალი „ურა"-ს ძახილით შეხვდენ აგრეთვე მუშები მეფის მოადგილის მეუღლე გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულს, მის ქალს გრაფინია ირინა ილარიონის ასულს და რძალს გრაფინია ირინა ვასილის ასულს.

დეპუტაცია სასახლეში დარჩა ნახევარი საათი. სასახლიდან გამოსვლის შემდეგ მუშებმა კვლავ ერთად შეასრულეს ხალხური ჰიმნი, დასძახეს „ურა" მეფის მოადგილის მისამართით, რომელიც ხელ-ახლა გამოსულიყო აივანზე და თავს უკრავდა მუშებს („კავკაზი" № 119).

მუშათა პატრიოტული მანიფესტაცია ტფილისში.

(„კავკაზი" № 121—1905 წ.)

„კავკაზ"-ის მე-119 ნომერში მოთავსებული მოკლე ცნობის დამატებათ ამ მანიფესტაციის შესახებ ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვათავსოთ დაწვრილებითი ცნობები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშათა ცხოვრებაში 9 მაისი დიდხანს დარჩება სამახსოვრო დღეთ.

დიდმა არეულობებმა, უწესლობამ, გაფიცვებმა, მუშათა ხოცვა-ელეტამ, იმ მუშათა, რომელთაც მუდამ სურდათ და სურთ პატიოსანი შრომა, აიძულა მუშათა საუკეთესო ნაწილი ეფიქრა თავიანთ შეკავშირებაზე, რათა ასე საშვალება მისცემოდეთ ტლანქი ძალის მქონე მეთაურთა მიერ მოწყობილი გაფიცვებისათვის დაეპირდაპირებიათ პატიოსან მშრომელთა გაერთიანებული ძალა.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოადგილის კავკასიაში გრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის მობრძანებამ ტფილისში კარ-

1905 წელი ჩვენთვის

(ამ დროისწყლო გაზეთებიდან)

ხაბურობილისაკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი საბაბი მისცა მათ იმისათვის, რომ ტფილისის მუშათა ცხოვრების საღ ნაკადს ამოეხეთქა წმინდა წყლის შადრევანის სახით.

სათანადო სამოქალაქო მთავრობის ნებართვით და მისი ყოველად სამღვდელოს კურთხევით 9 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე, მეორე მისიონერთა ეკლესიის საძმო დარბაზი და ანდრეევის ქუჩა მუშებით გაიჭედა. სწორედ 1 საათზე ზარების რეკით დაიწყო ლიტანია მეორე სამისიონერო ეკლესიიდან საძმო დარბაზისაკენ; დარბაზში ხატები დასვენებულ იქნა ესტარდაზე. პარაკლისის დაწყებამდე შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა მეორე მისიონერთა ეკლესიის დეკანოზმა ს. გოროდცევმა. თავის სიტყვაში მან წესრიგის მომხრეთა საერთო სიხარული გაატარა, დაასურათხატა მუშის ცხოვრება, რომელიც მოკლებულია დაუბრკოლებლათ განაგრძოს თავისი მშვიდობიანი შრომა,—დაბოლოს სურვილი გამოსთქვა, რომ ეს კრება გამხდარიყი სხვა ასეთივე პატრიოტიულ კრებათა დასაწყისად. პარაკლისის დროს ლოცვა მეფისა და მამულისათვის დიდის აღფრთოვანებით იქნა შესრულებული კრების ყველა მონაწილეთაგან. პარაკლისი დასრულდა მეფის სახელობის, ქრისტეს მოყვარული მხედრობის და რუსეთის სახელმწიფოს ყოველ კეთილ ქვეშერდომის მრავალჟამიერით.

პარაკლისის შემდეგ დეკანოზმა ს. გოროდცევმა წაიკითხა მუშების მიერ შედგენილი მიმართვა მისი უდიდებულესობის მეფის მოადგილისადმი კავკასიაში, სადაც მუშები სთხოვდენ მეფის მოადგილეს ეცნობებია მისი უდიდებულესობისათვის ტფილისის მუშების კეთილ ქვეშევრდომულ გრძნობების თაობაზე. მოგვყავს ამ მიმართვის ტექსტი:

„თქვენო ბრწყინვალებავ! ჩვენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხაზის ტფილისში მცხოვრებმა მუშებმა დღეს მისიონერთა მეორე ეკლესიაში გადავიხადეთ სამადლობელი პარაკლისი, ვილოცეთ ჩვენი ღვთისნაერი მონარქის და მისი ქრისტეს მოყვარული მხედრობის სადღეგრძელოთ, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, განართხოთ მისი უდიდებულესობის ფერხთა ქვეშე შემდეგი:

„მეფევ, ჩვენო მამავ! შენთან ერთად ჩვენ ვიტანჯვით ჩვენი სამხედრო დამარცხებათა გამო, მაგრამ ჩვენი რუსული გული გვეუბნება ჩვენ, რომ გადმოხედავს ჩვენს ძვირფას სამშობლოს უფალი, შეიბრალებს მას და მოგვანიჭებს გამარჯვებას თავაღებულ კერპთ-თაყვანისმცემლებზე. კიდევ უფრო აფორიაქებულია ჩვენი გული ბოროტი კრამოლნიკების მიერ, რომლებიც სხვადასხვა მუქარითა და ბოროტი მოქმედებით ხელს გვიშლიან შეავასრულოთ პატიოსნად და სინდისიერად ის მცირედი მოვალეობანი, რაც ჩვენ ვალად გვადევს, როგორც შენს მშვიდობიან ქვეშევრდომთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრამოლა ისეთი ძლიერია კავკასიაში, რომ ყოველი პატიოსანი მშრომელი სიკვდილის მუქრის ქვეშ იმყოფება, ბევრი იძულებული ხდება მიატოვოს თავისი საქმე და გაემგზავროს რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, რათა აქ დარჩენით არ დაიაბლოს თავისი ოჯახი.

ყოველად მოწყალეო ხელმწიფევ. ჩვენ ვუწყით, რომ შენს მეფურ გულთან ახლოს არის ყველა შენის კეთილმორწმუნეთა ჭირ-ვარამი, ვიცით, რომ გაუმჯობესდება ჩვენი ყოფა-ცხოვრება. მაგრამ ეს არ არის ამ ჟამად ჩვენი თხოვნის საგანი. ჩვენი თხოვნაა მოგვეცეს შესაძლებლობა მშვიდობიანად განვაგრძოთ ჩვენი მუშაობა, რათა კრამოლნიკებს არ შეეძლოთ ძალდატანების მოხდენა პატიოსან მშრომელებზე. ჩვენ გვსურს მუშაობა და არაფერი საერთო არ გვინდა გვქონდეს სამშობლოს მოღალატეებთან. შენ, ჩვენო დიდო თვითმპყრობელო, დიდათ გაგვახარე თავისი მოადგილის გამოგზავნით; ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ შენი უმორჩილესი მონის წყალობით დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა. გადავიხადეთ რა დღეს სამადლობელი პარაკლისი, რომელიც მძიმე პირობების გამო ვერ მოვახერხეთ ჩვენი ჩვეულებრივი დღესასწაულის დღეს—1 მაისს, ჩვენ მხურვალედ ვევედრებით უფალს, რომ ის დაგეხმაროს შენ ჩვენს მიწა-წყალზე კრამოლის მოსპობაში, რომ იაპონელებზე ჩვენი გამარჯვებით გაიგონ კრამოლნიკებმა რამდენათ დიდი და ძლიერია შენი სამეფო, რომ რუსეთის ძლიერება მდგომარეობს ხალხისა და მისი თვითმპყრობელი ხელმწიფის ერთობაში.

და ჩვენ, ხელმწიფევ, ვანართხებთ რა ჩვენს კეთილ-ქვეშევრდომულ გრძნობებს შენს ფერხთა ქვეშე, გთხოვთ მიიღოთ ის, როგორც წმიდა გულის პასუხი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ერთგული, შენი, ჩვენო თვითმპყრობელო, ქვეშევრდომებისა".

ამ მიმართვას მისი უდიდებულესობის მოადგილისადმი კავკასიაში, დარბაზში მყოფი 1500-ზე მეტი მუშის რწმუნებით ხელი მოაწერა მუშების მიერ ამორჩეულმა პირებმა.

მიმართვის წაკითხვამ დარბაზში გამოიწვია აუწერელი აღფრთოვანება, მთელმა დარბაზმა ხმამაღლა იგალობა ხალხური ჰიმნი და გაისმა მრავალჯერ „ურა".

ამის შემდეგ მუშებს უთხრეს, მისი უდიდებულესობის მოადგილემ კავკასიაში უკვე იცის მათი პატრიოტული კრების თაობაზე და თანხმობა განაცხადა დღესვე მიიღოს მუშების დეპუტაციაო. ამასთანავე მუშებს წინადადება მიეცა ან აქვე აერჩიათ დეპუტაცია, ან ყველანი წასულიყვნენ მეფის მოადგილის სასახლესთან და იქ აერჩიათ სასახლეში გასაგზავნი დეპუტაცია. მუშებმა ერთხმად გამოსთქვეს სურვილი ყველანი წასულიყვნენ და ხალხური ჰიმნით დარბაზიდან პირდაპირ ვერის ხიდით გასწიეს გოლოვინსკის პროსპექტზე. გზაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები შეცვლით გალობდენ ხალხურ ჰიმნს, ლოცვას მეფისა და მამულისათვის და ეროვნული დროშებით მიადგენ სასახლეს. სასახლეში მიწვეულ იქნა დეპუტაცია, დანარჩენი მუშები კი, იდგნენ სასახლის წინ. აქ მათ რამდენჯერმე შეასრულეს ხალხური ჰიმნი, იძახდენ „ურა"-ს ხელმწიფე იმპერატორისა და მისი მოადგილის მიმართ. დეპუტაციის დაბრუნების შემდეგ კი მუშების „ურება მშვიდობიანათ დაიშალა და მონაწილენი თავიანთ სახლებში წავიდენ. ღმერთმა ჰქნას, რომ წესიერებისა და კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ამ კეთილ დასაწყისს ჩვენში კარგი შედეგი მოჰყოლოდეს.

ყველა იმათზე, ვინც კი იხილა მუშათა აღფრთოვანებული სახეები, ამ მშვიდობიანმა მანიფესტაციამ მოახდინა საუცხოვო და გამამხნევებელი შთაბეჭდილება.

—:—

სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა.

ბაქოში.

(„კავკაზი" №№ 39, 50, 51, 52, 56,—1905 წ.)

ბაქო. 8 თებერვალი. უკვე მესამე დღეა, რაც ბაქოს ჩვეულებრივად მშვიდობიან ქუჩებში წარმოუდგენელი სისხლის ღვრაა. დაკეტილია მაღაზიები, დაწესებულებებში მუშაობა აღკეთილია, „კონკა" არ მუშაობს, კერძო ბინათა „სტავნები" მიხურულია,—ასე გამოდის, თითქოს ქალაქში მოდებული იყოს შავი ჭირი ან სხვა ეპიდემიური სახადი. ქუჩებში ვერც ეტლებს დაინახავთ, ვერც ქვეითად მოსიარულე ხალხს, მოისმის მხოლოდ გამხეცებული ბრბოს ყვირილი და სროლა რევოლვერებიდან.

რა იყო მიზეზი ამ სისხლიანი ამბებისა, თქვენ, უეჭველია, იცით. სომეხ-თათართა უთანხმობა, გამოწვეული განსაკუთრებით ეკონომიური მიზეზებით, დიდი ხანია ემჩნეოდა ჩვენში. იანვარში სომეხმა „კონვოებმა" მოჰკლეს ტუსაღი თათარი, რომელიც თითქოს გაქცევას აპირებდა. თათრებს შორის ხმა გავრცელდა, რომ ეს მკვლელობა განზრახ მოხდა და ამის შემდეგ სომეხთა საწინააღმდეგო მოძრაობა თათრებს შორის საკმაოდ თვალსაჩინო შეიქმნა. მაგრამ აშკარა თავდასხმა და შეტაკება არ მომხდარა 6 თებერვლამდე. ამ დღეს, სობოროს ახლოს, პარაპეტზე, ვიღაც სომეხმა, როგორც ამბობენ, პირადი ანგარიშის გამო რევოლვერით მოჰკლა თათარი. ეს მკვლელობა შეიქმნა სიგნალის მიმცემი. საღამოთი ბაქოს ქუჩებში დაიწყო აშკარა ხოცვა-ჟლეტა, რამაც ბაქოს მთელი მოსახლეობა პანიკურ შიშში ჩააგდო. თავდასხმა და მკვლელობა გაგრძელდა მეორე დღესაც, ამასთან ერთად მუსულმანების ბრბომ, რომელიც შეიარაღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იყო ყველაფრით, რაც კი ხელთ მოხვედროდა, ხელი მიჰყო სომეხთა მაღაზიების ცარცვას, ბაქო დაემსგავსა კიშინიოვს. თუ როგორ დამფრთხალი იყო ხალხი ბაქოს ქუჩებში მომხდარი ხოცვა-ყლეტით, სჩანს იქიდან, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებმა, რომლებიც სამორიგეოთ იყვნენ მისული კანტორაში, ვერ გაბედეს ქუჩაში გაბოსვლა და ასე რამდენიმე დღე გაატარეს ფოსტაში—ვერც ერთმა მორიგე ამხანაგმა ვერ გაბედა ფოსტაში მისვლა მოსამსახურე ამხანაგის გამოსაცვლელად. ცალკე მკვლელობებსა და გამხეცებას საზღვარი არ აქვს. ყველგან სისხლის გუბეები დგას, მოკლულთა კვნესა, გამხეცებული ბრბოს ყვირილი. მიუხედავათ მთავრობის მიერ მიღებული ზომებისა, რომ ჩაეკრო ან შეეჩერებია მაინც ერთ დონზე ეს ხოცვა-ყლეტა, არ მოხერხდა.

დღეს არა სანუგეშო ცნობები მივიღეთ ბალახანაში დაწყებულ მღელვარების შესახებ. ღმერთმა დაგვიფაროს, ბაქოს ამბების განვითარებისგან...

—:—

...ამ დღეს (ე. ი. 6 თებერვალს) შეტაკება—ხოცვა-ყლეტას, მკვლელობას არ ჰქონია მასიური ხასიათი... „მაგრამ 7 თებერვალს ქუჩებში და მოედნებზე მკვლელობამ გრანდიოზული სახე მიიღო. ყოველგვარმა უხეირო ინსტინქტმა იჩინა თავი. ძარცვა, ცეცხლის წაკიდება, თავდასხმა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. 7 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში ქალაქში არ შეწყვეტილა სროლა. ორივე მხარე თითქმის ერთნაირად და კარგათ შეიარაღებული აღმოჩნდა, განსაკუთრებით ბერდანკებითა და რევოლვერებით. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 100-მდე ავიდა. შეტაკების დაწყებისთანავე პოლიციამ და ჯარმა დაუყოვნებლივ მიიღო ზომები უწესოების ჩასაქრობათ, მაგრამ რა შეეძლო ბაქოს „გოროდოვოებს", რომელთა რიცხვი 85 კაცს არ აღემატება და ქალაქში კი თითქმის 200 ათასამდე მცხოვრებია; ისეთი მცხოვრენნი, რომელიც მოკლებულია დისციპლინას, მოუსვენარი, მუდამ შეიარაღებული და მზად არის ყოველ დროს წინააღმდეგობა გაუწიოს კანონსა და ხელისუფლებას. 7 თებერვალს ბაქოში მყოფი ყველა ჯარები ქუჩებში იყვნენ მთელი დღე უჭმელ-უსმელნი და სრულიად გამოელიათ არაქათი. გუბერნატორი დილიდანვე პირადათ დადიოდა ქალაქში, მიდიოდა იქ, სადაც ხალხი ბლომად იყო შეკრებილი, საიდანაც სროლის ხმა მოისმოდა და პირადი მონაწილეობით ამშვიდებდა, პირადათ ჩამოიარა გიმნაზიები და განკარგულება მოახდინა მცველების თანხლებით მოწაფეები სახლში დაეგზავნათ. უკვე ამ დღეს ბაზარში დაიწყო ცარცვა, რამაც ჯარი აიძულა იარაღისათვის მიემართა. რამდენიმე კაცი მოკლულ იქნა. უწესოება შეუჩერებლათ, სტიქიურად მოედო მთელს ქალაქს და ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარიც ვერ გასწვდა. სიმცირის გამო ჯარს არ შეეძლო რამდენიმე რაზმად დაყოფვა, ისე კი შეეძლო მხოლოდ ქალაქის მცირე ნაწილის დაცვა. ჩქარა გამოირკვა, რომ ნავთის წარმოების სომეხმა-მუშებმა მიატოვეს სამუშაო და მრავალად გამოეშურენ ქალაქისკენ. ყველა ღუქნები დაიხურა. ქალაქი გარეგნულად ჩაკვდა. გუბერნატორ თავ. მ. ა. ნაკაშიძის ინიციატივით შესდგა გავლენიან თათრებისა და სომეხების თათბირი, რომელმაც დაადგინა ხელი შეეწყო არეულობის მოსპობისათვის. ამასთან ერთად ბაქოში გამოწვეულ იქნა მახლობელ ადგილებიდან სამხედრო ნაწილები. სამწუხაროდ ძნელი შეიქნა აღვირ-წახსნილი ბრბოს ალაგმვა. მკვლელობიდან ის გადავიდა ცარცევზე, ცეცხლს წაკიდებაზე. გამხეცებამ ორივე მხრით 9 თებერვალს უმაღლეს წერტილს მიაღწია...

...უწესობა ცენტრიდან პერიფერიაზე გადავიდა, ბალახანაში გაჩაღდა ძლიერი სროლა... 10 თებერვალს ქალაქში უწესობას ადგილი არ ჰქონია. თათრებმა მაღაზიები კიდევაც გააღეს, სომხების მაღაზაები და ღუქნები წინანდებურათ დაკეტილი იყო. უწესობა ხდებოდა ქალაქის განაპირა ადგილებში. მოკლულ იქნა რამდენიმე თათარი. ერთ თათრის წისქვილს გარს შემოერტყა სომეხთა გამხეცებული ბრბო. ქალაქში მოწოდება გაავრცელეს რუსების და ქართველების ამოსაჟღეტად. ბაქოდან წასულ მატარებლებში ტევა აღარ იყო. სადგურის ახლოს მოკლულთა გვამები გროვათ ეყარა. საბუნჩიდან მოსული მატარებლიდან სროლა აუტეხეს ჯარისკაცებს, რომლებსაც სადგურითვის ალაა უნდა შემოერტყათ. უწესობა ბიბიეიბათსაც მოედო.

... ამ ჟამად ბაქოში თანდათანობით მოდის ახალი სამხედრო ძალები. როგორც ამბობენ ქვეითა ჯარს გარდა გამოგზავნილია აგრეთვე არტილერია.

—:—

ბაქო. 18 თებერვალი. სიმბირსკის, სამარის, სარატოვის და ყაზანის გუბერნიების რუსი მუშები სტოვებენ ბაქოს ნავთის სამრეწველოებს და ოჯახობით მიეშურებიან სიზრანში. ამათი ბაქოდან წასვლის მიზეზი ის არის, რომ ვიღაც ბოროტმომქმედებმა ხმა გაავრცელეს, თითქოს განზრახული იყოს რუსი მუშების ამოწყვეტა. გუშინ გაემგზავრა 400. ოთხი დღის განმავლობაშიკი—1000. წამსვლელთა რიცხვი ყოველ დღე იზრდება. სომეხ—თათართა შერიგება-გაერთიანების მიზნით იმართება მიტინგები. 600 კაცისგან შემდგარი ბრბო შეეცადა ნიკიტინის ცირკში შეკრებას, მაგრამ ჯარისკაცთა ეუნდმა ამის ნება არ დართო. შემდეგ ეს ხალხი შეიკრიბა კლუბში, მაგრამ პოლიციმეისტერის წინადადებით დაიშალა. ინცინდენტი არ მომხდარა. მოსეენებულათ თავს არავინ გრძნობს. დღისით მაღაზიები და ღუქნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებით დაკეტეს. მოვაჭრეები გაიქც-გამოიქცენ. ქუჩებში გამოვიდა ჯარი. გამოირკვა, რომ პარაპეტზე ორ სპარსელს რაღაც უბრალოზე ჩხუბი მოსელოდეთ.

საბჭოს საგანგებო სხდომის ნება არ დართეს. ხალხი მოითხოვდა ქალაქის თავს, რომელიც თათბირზე იყო თავ. ამილახორთან.

აღწერილია 202 მოკლული, ამათში სომეხი 155, მურულმანი-25 და რუსი 7, დანარჩენი სხვა ერების. დაჭრილია 159; ამათში სომეხი—75, მუსულმანი 41, რუსი 24, დაპატიმრებულია ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობისათვის 19 კაცი.

დილის 10 საათზე თავ. ამილახორის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სასამართლო უწყების, ნაფიც ვექილთა წარმომადგენლებმა, ხმოსნებმა და ქალაქის თავმა, სამღვდელოებათა და საპატიო სომეხთა და მუსულმანთა წარმომადგენლებმა. მოწვეულნი იყვნენ გაზეთების რედაქტორები, მაგრამ არ გამოცხადდენ...

—:—

ბაქო, 18 თებერვალი. დღეს გენ. ადიუტანტ თავ. ი. გ. ამილახორის ბინაზე „ევროპის“ სასტუმროში შესდგა პირველი საგანგებო კომისის სხდომა. ეს სხდომა მოწვეული იყო გენ.-ად. ამილახორის მიერ. მონაწილეობდენ—სამღვდელოების, სასამართლო უწყების, ქალაქის თვითმართველობის, ადგილობრივ საპატიო მოქალაქეთა როგორც სომხების, ისე მუსულმანების, ქართველების და რუსების წარმომადგენლები. თათბირზე მოწვეულნი იყვნენ გაზ. „კასპი„-სა და „ბაკინსკია იზვესტია“-ს რედაქტორები...

—გენ. ადიუტანტმა თავ. ამილახორმა გახსნა რა სხდომა, აუწყა იმ მისიის შესახებ, რომელიც მას აქვს დავალებული მთავრობისაგან. ესაა ბაქოს მცხოვრებთა საბოლოო დამშვიდება, სომეხ-თათართა შორის ჩამოვარდნილი მტრობის მოსპობა, რომელმაც მთელი რიგი სისხლიანი შეტაკებანი გამოიწვია და ამ მოვლენის გამოძიება. თუმცა მთავრობამ და პრესამაც გამოაცხადა, რომ მშვიდობიანობა დამყარებულიაო, მაგრამ აბა ეს რა ნარი მშვიდობიანობაა, როცა მცხოვრებნი ოჯახობით გარბიან ბაქოდან, მუშებიც გარბიან შიშისაგან, დაწესებულებები სამხედრო დარაჯებს მოითხოვენ და სხ. თავმჯდომარე მიმართავს კრებას, რათა ყოველი ღონისძიება იქნას ნახმარი კრების მონაწილეთა მიერ ბოროტ პირთა აგიტაციის აღმოსაფხვრელად, რაც ასე აღელვებს საზოგადოებას. მისი აზრით ყველა ის მიტინგები, რომლებიც ახლა ხდება, დახურული კლუბების კრების შემტვრევა, გაფიცულ მოწაფეთა აგიტაცია, რომელნიც უნდა სწავლობდენ და არა ორატორობდენ, სახეიროს არაფერს მოიტანენ. საჭიროა დავაწყნაროთ ის ოჯახები, რომლებიც შიშისაგან გარბიან, რომ ისინი ბაქოში დარჩნენ, რომ მათ არ დაუჯერონ ცრუ ხმებს. თითონ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებაში კი, ამბობს თავმჯდომარე, არის საკმაო ჯარი, რომლითაც შეესძლეთ დაუყოვნებლივ აღადგინო დარღვეული წესრიგი, თუ კი ასეთი რამ მოხდება. საჭიროა ყველა მოერიდოს თავყრილობაში მონაწილეობას, თორემ თუ იარაღის ხმარება დარჩა საჭირო, ტყვია მტყუანსა და მართალს არ გაარჩევსო. შემდეგ თავმჯდომარემ სხდომას გააცნო მთავარმართებელს ორი წინადადება თავისი მისიის შესახებ და სთხოვა დამსწრეთ ელაპარაკნათ მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში და არ შეხებოდენ საერთო საკითხებს. მიმართა რა თავ. ამილახორმა, სამღვდელოების წარმომადგენელთ, სთხოვა ხელ ახლა მისცენ მათ დარიგება თავიანთ სასწყსოს და ახლა კი გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეს შეტაკებები.

სომეხთა და მუსულმანთა სამღვდელოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მისია უკვე შესრულებულია, შეტაკების მიზეზი უკედ უნდა მოეხსენებოდეს ადგილობრივ სომხურ და მუსულმანურ საზოგადოებას, რაც შეეხება ქადაგებას მშვიდობიანობისა და სიყვარულის შესახებ, ჩვენ ამას განვაგრძობთო და სხ.

გუკასოვი მოაგონებს კერძო თათბირზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რათა მოწვეული ყოფილიყო პრესის წარმომადგენლები, რადგანაც პრესა დიდს როლს თამაშობს მშვიდობიანობის დამყარებაში.

თავმჯდომარე უპასუხებს, რომ მან სთხოვა ორივე გაზეთის რედაქტორებს დასწრებოდენ თათბირს (ხმები: მართალია). ძალით მოყვანა მათი კი არ შეეძლოთ.

გუკასოვის აზრით სასურველია ბაქოს გაზეთებში იბეჭდებოდეს დაწვრილებითი ცნობები მომხდარი ამბების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ზომებია ამ ჟამად მიღებული. შემდეგ, მისი აზრით, ამ კომისიის მიზანი აშკარა არაა და რომ არ შეიძლება ბაქოს ამბებზე ლაპარაკი, თუ არ შეეხეთ საერთო რუსეთის საკითხებს, რომ ამ კომისიის მუშაობა ერთნაირ ძალდატანებას მოახდენს წარმოებულ გამოძიებაზე.

ვეზიროვი ამბობს, რომ მოწვეული პირები ძმათა შორის მომხდარი შეტაკების დროს გართულნი იყვნენ მებრძოლ მხარეთა მორიგებით, ამიტომ ახლა მათ არ შეუძლიათ მსაჯულის როლში გამოსვლა. მომავალი საგანგებო საგამოძიებლო კომისიაში მონაწილეობისათვის არჩეულია 6 კაცი სომხების და მუსულმანების წარმომადგენლები. როგორ უნდა გამოვარკვიოთ მომხდარი ამბების მიზეზი? ასეთი მიზეზები მილიონობით მოინახება.

სასამართლოს თავმჯდომარე **კოლბასინის** აზრით ამ თათბირის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დამყაროს მშვიდობიანობა, მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანი ის კი არ არის, რომ გამოარკვიოს მიზეზები იმისთვის, რომ დამნაშავენი დასაჯოს, ეს სასამართლოს საქმეა, არამედ ამ კომისიამ უნდა მიუთითოს საერთო მიზეზებზე, რომ ისინი აცილებული იქნას.

ქალაქის თავი **ირეცკი** მიუთითებს ორ ერთა შორის უკვე დამყარებულ მშვიდობიანობაზე, ხოცვა-ჟლეტას მათ შორის საბოლოო მოსპობაზე და ახლანდელი აფორიაქებული მდგომარეობას ქალაქში ხსნის სულ სხვა მიზეზებით.

სასამართლოს პროკურორი **ვორონოვს** და დეს. სტ. სოვ. **კოხანოვსკის** ამ კომისიის დანიშნულებათ მიაჩნიათ საქმის არად აწერილებით გამოკვლევა, არამედ გამორკვევა იმის, რით იყო გამოწვეული რამდენიმე დღის განმავლობაში მკვლელობანი, რამ გამოიწვია ასეთი მასსიური მკვლელობა.

ტაგიანოსოვი ეხება საერთო სულიერ განწყობილებას და ამბობს, რომ მომხდარი ამბების შემდეგ 2—3 დღეში არ შეიძლება საზოგადოების დამშვიდება და რადგანაც მიზეზის ერთობაშად აღნიშვნა ძნელია, ის წინადადებას იძლევა პრესის საშვალებით გამოწვეულ იქნას მოწმეები, დაკითხულნი და მაშინ გამოირკვევა მიზეზიც.

თავ. ამილახორი ამბობს, რომ მან ყველას ვისაც კი მასთან საქმე ჰქონდა, სთხოვა ეცნობებია, თუ კი რამ იცოდა მომხდარი ამბების შესახებ. და თუ ამათი გამოწვევის შესახებ ჩვენ გაზეთში გამოვაცხადებთ, შესაძლოა გამოცხადდენ ფარულ საზოგადოებათა წევრები და მაშინ საქმე ვერ მიიღებს სათანადო, მიუდგომელ გაშუქებას. ერთ ერთ მიზეზად ტაგიანოსოვს მიაჩნია ხოცვა-ჟლეტის დაწყებისთანავე ჯარისა და პოლიციის უმოქმედობა. თავ. ამილახორი კვლავ სთხოვს აცნობონ მას ყოველი ფაქტი, რათა შესაძლებელი იყოს ჯარის ნაწილების უფროსების ან ადმინისტრაციის შეკითხვით საკითხის გამორკვევა.

ვეზეროვის აზრით საგამომძიებლო საქმე უფრო ფართოდ უნდა იქნას დაყენებული.

საფაროვის თქმით ჯარის თვალწინ ძარცვავდენ, ხალხს ჟლეტდენ, ჯარი კი ზომებს არ ღებულობდა; ალბათ, მას ნაბრძანები არ ჰქონდა ამის შესახებ ზევიდან. საკმაო იყო თავდაპირველად 300—400 ჯარის კაცის გამოყვანა, რომ ხოცვა-ჟლეტა ჩაექროთ.

ტაგიანოსოვი ახმედ-ბეგ ტაგიევის გადმოცემის თანახმად ამბობს, თუ 7 თებერვალს დილით მაღლობიდან როგორ დაეშვა 50—60 მუსულმანი დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილნი, მაგრამ საუცხოოდ შეიარაღებულნი ბერდანკებითა და საუკეთესო აფიცრის ახალი რევოლვერებით. ამის შემდეგ ტაგიანოსოვი კითხულობს—ვინ მისცა მათ ეს რევოლვერები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ. ამილახორი მოაგონებს სახაზინო იარაღის ქურდობის შესახებ ალექსანდროპოლში, ყარსში, ნიჟნი-ნოვგოროდში იარაღის შესყიდვას ვაჭრების მიერ ტფილისისათვის და ამბობს რა მიზნით იყო ეს იარაღი მოპარული და როგორ იძენდა მას ხალხი.

გაჯიევი დაწვრილებით უამბობს კრებას ცალკე მომხდარ მკვლელობათა ისტორიას, როგორ ჰკლავდა სომეხი მუსულმანს და პირიქით; უამბო კრებას თუ როგორი გრანდიოზული დემონსტრაციით იქმნა დასაფლავებული ერთი სომეხი, როგორც ამბობენ, სომეხთა კომიტეტის წევრი, რომელიც მუსულმანმა მოჰკლო. 12 იანვარს პატიმარი მუსულმანის მოკვლის შესახებაც სომხების მიერ ლაპარაკობს ის და დასძენს, რომ მის გვამს მდუღარე გადაასხეს სომხებმაო. 6 თებერვალს, გაჯიევის გადმოცემამ, გავლენიან მუსულმანს ბაბაევს, გარს შემოერტყენ პარაპეტზე ეკლესიიდან გამოსული სომხები, ესროლეს რევოლვერებიდან, ცივი იარაღითაც დასჭრეს (პროკურორმაც ეს დაადასტურა) და მოჰკლეს. მკვლელები მიიმალენ. ხოცვა-ჟლეტაც აქედან დაიწყოო. მისი სიტყვით მთელი წლის განმავლობაში ინტელიგენტი სომხები ეუბნებოდენ მას, რომ მუსულმანებს გადაწყვეტილი აქვთ სომხების ამოჟლეტაო, რომ თითქოს მათ პოლიცია უსისიანებს. შეკითხვაზე—საიდან აღმოაჩნდა მუსულმანებს იარაღი,—გაჯიევმა მიუგო, ის არ ფარავს, რომ მუსულმანს, რა გინდ ღარიბი არ უნდა იყოს, მას ყოველთვის აქვს იარაღი. და ეს იარაღი ხშირად მიმართულია მუსულმანისავე წინააღმდეგ.

ყადი ამბობს, რომ ბოროტი ხალხი ყოველთვის ცდილობს უბრალოდან შექმნას დიდი რამე, რომ ასე ცარცვა-გლეჯის თუ სხვა სასახით სარგებლობა ნახოს.

გუკასოვის აზრით ვიდრე ექიმი წყლულს გაჰკვეთდეს, გამოიკვლევს მას; ამიტომ აქაც არ შეგვიძლია ჩვენ არ შევეხოთ საერთო საკითხებს.

თავ. ამილახორი კვლავ სთხოვს თავი დაანებონ ამ „საერთო საკითხებს", რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ადგილობრივი ხასიათის მომხდარ ამბებთან.

ვეზიროვი ადგილობრივი პოლიციის უმოქმედობის დასასურათებლათ აღნიშნავს, რამდენი მკვლელობა მომხდარა ბაქოში, რომელთა შესახებ არც ოქმი ყოფილა შედგენილი და არც სასამართლოს გაურჩევია საქმე.

ქალაქის თავი შეეხო რა ადგილობრივი პოლიციის უღონობას და უმოქმედობას მომხდარი შეტაკების დროს, აცხადებს, რომ გუბერნატორი თავ. მ. ი. ნაკაშიძე მისი თანდასწრებით ტელეფონით ხოცვა-ჟლეტის დაწყებისთანავე მოითხოვდა ჯარის დახმარებას, სთხოვა სამხედრო უწყებას არსებული რაზმების პატარა ჯგუფებათ დაყოფა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზედაც პასუხად მიიღო, რომ სამხედრო უწყებას უფლება არ აქვს ასე მოიქცეს, ვინაიდან ასეთი რაზმების გამოკვება შეუძლებელი იქნებაო (ნაწილი რაზმისა იდგა ბაილოვის კონცხზე). ამაზე გუბერნატორმა უპასუხა: ადმინისტრაციას სჭირდება დიდი-დიდი, ორი დღის ვადით და მათი შენახვა „სუხარით" შეიძლებაო.

ამის შემდეგ სხდომა შესწყდა 10 წუთით. თავ. ამილახორმა წინადადება მისცა თათბირის მონაწილეთ მოელაპარაკათ ურთიერთ შორის, აღენიშნათ ყველა მიზეზები მომხდარი სისხლის ღვრისა და ასე აეცილებინათ ის შეცდომა, რაც შესაძლებელია მოჰყვეს იმ მოხსენებაში, რომელსაც ის უმაღლეს მთავრობას წარუდგენს...

—:—

ცოტა ხნით დასვენების შემდეგ თათბირის სხდომა განახლდა. როგორც სომეხთა, ისე მუსულმანთა სამღვდელოებამ სხდომა დასტოვა, რადგანაც თავიანთი მისია დამთავრებულად აღიარეს. სხდომის განახლებისას გენ. ადიუტანტ **ი. გ. ამილახორმა** კვლავ მიმართა დამსწრეთ და სთხოვა მათ, როგორც მცხოვრებთა წარმომადგენლებს, ხალხთან ახლო მყოფნ ყოველივე ზომები მიიღონ მშვიდობიანობის დასამყარებლათ. აღუთქვა რა მან როგორც პირადი, ისე ქონებრივი დაცვა ყოველგვარ მოსალოდნელ საფრთხისაგან, ამასთან ერთად დამსწრეთ სთხოვა აუწყონ მცხოვრებთ, რომ თუ ვინაცობაა ვინმე განიზრახავს სამხედრო ნაწილებზე თავდასხმას, სახლის ფანჯრიდან ან სახურავიდან თოფი იქნება გასროლილი, ასეთი სახლი დანგრეული იქნება და შემდეგ ამაში ბრალს ნურავის დასდებენ. თავმჯდომარეს დაუშვებლათ მიაჩნია მთავრობის საწინააღმდეგო კრებები, რომელნიც სხვადასხვა ჯურის ხალხის მოწვევით ხდება და რომელშიაც მონაწილეობენ ქალები, ბავშვები და მოწაფეები. ასეთი კრებები გარეკილი იქნება პოლიციის მიერ და თუ საჭიროება დარჩა, ჯარის დახმარებითაც, ამიტომ თავმჯდომარის აზრით სასურველია მცხოვრებთა წარმომადგენლებმა ზომები მიიღონ, რომ ასეთ შეტაკებებს ადგილი არ ექნეს.

ტაგიანოსოვის თქმით ხალხი ხან აქ იკრიბება, ხან იქ, რომ გაიგონოს რაიმე დასამშვიდებელი ცნობა. გაზეთები იძულებულნი არიან ჩუმად იყონ. ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები და ამ თათბირის მონაწილე საპატიო პირები მზად არიან დაამშვიდონ ხალხი, მაგრამ ხალხი მათ ყურს არ უგდებს.

გაჯიევის აზრით ამ ხალხზე არ შეუძლიათ მათ გავლენის მოხდენა, რადგანაც მასში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ჯურის გაძვერები და ნაკლებათ ადგილობრივი მკვიდრნი. ამ საბჭოში იკრიბებიან და სიტყვებს ამბობენ ებრაელები, მოსული სომხები და მუსულმანები და სხ. ამ ბრბოს მიზეზით ქალაქის საბჭომ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა შეკრება, რომ მომხდარი უბედურობის მსხვერპლთა სასარგებლოთ თანხა გაეღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ საიდან წარმოსდგა ასეთი მტრული დამოკიდებულობა სომხებსა და თათრებს შორის **ტაგიანოსოვი** და ზოგიერთი სხვებიც ამბობენ, რომ სომხებსა და თათრებს შორის არ ყოფილა არავითარი მტრობა და არც არის. ამის დასამტკიცებლათ მოიყვანეს ფაქტები მომხდარი უბედურების დღეების მაგალითიდან—როცა სომეხი იფარავდა მუსულმანს და პირიქით,—მუსულმანი—სომეხს.

თავმჯდომარის შენიშვნაზე, რომ სომეხ-თათართა მტრობის შესახებ ხომ თქვენ აგზავნიდით დეპეშებს სხვადასხვა ქალაქებშიო, დამსწრეთაგან ზოგიერთებმა მიუგეს... იმ დღეებში, როცა ქუჩებში ხოცვა-ჟლეტა იყო ყველგან, ყველგან მკვდრები გროვად ეყარა, ადგილი იყო შეცდომით ზოგიერთ გადამეტებას ჰქონოდა ადგილიო.

ტაგიანოსოვი ამტკიცებს, რომ სომხებსა და თათრებს შორის, რომელნიც ამ მხარეში 700 წლის წინად დასახლდენ, არავითარ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია, მათ შორის შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ შურს. მტრობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ სისხლის ღვრა დაწყო 50—100-მდე პირმა და დროზე რომ შეეწერებიათ ის, ასეთ კოლოსალურ ხასიათს არ მიიღებდაო. მაგრამ გუბერნატორის განკარგულებაში არ იყო არც პოლიცია, არც ჯარი.

ბიკოვის აზრით ამ კომისიას დაკისრებული აქვს ორი ამოცანა: გამოარკვიოს მომხდარი ამბების მიზეზები და დაამყაროს მშვიდობიანობა. ხოცვა-ჟლეტის დროს ის არ ყოფილა ბაქოში, მაგრამ სინდისს ქვეშ უნდა იყოს აღიარებული, რომ ახლანდელ კრებებს, რომელთაც ანარქისტები და რევოლიუციონერები მართავენ, კავშირი აქვს ყოფილ ხოცვა-ჟლეტასთან. თავ. დადიანი მართალი იყო, როცა სთქვა, რომ არავის არ შეეძლო სომეხ-თათართა ერთმანეთზე წასისიანება, უეჭველად უნდა ყოფილიყო ჩუმი, დაფარული უთანხმოება. ერთ-ერთ მიზეზად ბიკოვს გამოჰყავს რაღაც სომხური კომიტეტის არსებობა. ვინ შედიან ამ კომიტეტში თუ ის არსებობს და რაში მდგომარეობს მისი ფუნქცია—არავინ არ იცის, მაგრამ მისი არსებობა ყველას მოეხსენება. ეს საიდუმლო კომიტეტი ფულებსა ჰკრეფს თავისი საიდუმლო საქმისათვის, უგზავნის სხვადასხვა პირთ მუქარის წერილებს, ხშირად მუქარა სისრულეში მოჰყავთ, აშინებს, ჰკლავს ყველა იმათ, ვისაც სიკვდილს მიუსჯის. საქმის ამ მხარეს არსებითი მნიშვნელობა აქვს და უწინარეს ყოვლისა საზოგადოებამ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს, რომ ამ კომიტეტის მუშაობა მოსპოს.

თავ. ი. გ. ამილახორი: მეც ვიცი ისეთი შემთხვევები, როცა მიიღეს წერილი, სადაც სიკვდილით ემუქრებოდენ.

ფარუხ-ბეგ-ვეზიროვი—ვინ მიიღო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ. **ამილოხორი**. ოქვენ ხომ მიიღეთ? რისთვის გემუქრებიან სიკვდილით?

ვეზიროვი—ის წერილი, რომლის შესახებაც ლაპარაკია, ალბათ მე მივიღე რომელიმე მტრისგან. სომხურ კომიტეტს აქვს თავისი ბეჭედი. ამ წერილზე ბეჭედი არ ყოფილა და ამასთან წერილში ნათქვამი იყო, რომ ცოდვები მომენანიებია.

თავ. **ამილოხორი**—ასეთ წერილებს ანადგურებენ და მის შესახებ სხვებს არაფერს ეუბნებიან.

ბიკოვი—კომიტეტი ბოროტების სათავეა.

ტაგიანოსოვი ამბობს, რომ სომხური კომიტეტის დევიზია მოუპოვოს ოსმალეთის სომხებს ადამიანური ცხოვრება და მას არაფერი არ აქვს საწინააღმდეგო რუსეთის მთავრობის. **გუკასოვს** ვერ გაუგია რა კავშირი არსებობს რევოლიუციონურ მასასა და აქ შეკრებილთა შორის. კომიტეტის არსებობას ის არ უარყოფს. სოციალური მოძრაობა ყველგან ღრმავდება და ეს არ შეიძლება ერს დანაშაულად ჩაეთვალოს. კომიტეტის მიზანი ძმათა სისხლის ღვრა არ არის. თუ მათ სურთ ჩვენი დახმარება,—ეს ჩვენი საქმე არ არის. როგორ შეუშალოთ მათ ხელი, ეს ჩვენ არ ვიცით.

თავ. ამილახორი—საკითხს თქვენ სრულიად სხვანაირად აშუქებთ. არავინ თქვენ ბრალს არ გდებს კომიტეტში მონაწილეობას, მაგრამ უნდა აღიარებულ იქნას—არსებობს თუ არა კომიტეტი და მისი არსებობის მიზეზია ხოცვა-ჟლეტა. ხომ ცნობილია, რომ სომხების დარბევის მიზეზი ოსმალეთში სომხური კომიტეტის არსებობაა.

ვაჩიანცი იგონებს 1883 წელს ბაქოში მომხდარ შეტაკებას მუსულმან და რუს მუშებს შორის და ამბობს: მაშინ არავის არ გამოუყვანია ის დასკვნა, რომ ეს იყო რუსებისა და მუსულმანების ნაციონალური მტრობის შედეგი.

გაჯიევი ასეთი კომიტეტის არსებობას ბოროტებათ თვლის. მისი თქმით ასეთი კომიტეტის მოქმედება მიმართულია მუსულმანების წინააღმდეგ, თუმცა ისინი ცხოვრობდენ ოსმალეთში. ეს ძმათა მოყვარე კი არა, ძმათა მკვლელობის კომიტეტია. მე არ ვიცი ვის დავემორჩილო, ვისი უნდა მეშინოდეს: მთავრობის, რომლის მფარველობის ქვეშ ვცხოვრობ, თუ ტერორის მომხდენ კომიტეტს. რატომ მუსულმანებს არა ყავთ ასეთი კომიტეტები? ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ყოლოდესთ. მართლაც რომ აღმოჩენილიყო ასეთი კომიტეტი მუსულმანებში, პირველათ მე ავმხედრდებოდი მის წინააღმდეგ, ვაცნობებდი მთავრობას მის არსებობას, თუ გინდ დარწმუნებული ვიყო იმაში, რომ მე აუცილებლათ მომკლავდენ. რომ მუსულმანი არ მოეკლა სომეხთა კომიტეტის წევრს, რომელიც შემდეგ მუსულმანმა მოჰკლა, რომ არ მოეწყოთ მისი გრანდიოზული დაკრძალვა, რომ არ მოეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ 6 თებერვალს სომხებს ბაბაევი და არ შეურაცყოთ მოკლული ტუსაღის გვამი, რომელსაც სომხებმა მოკვლის შემდეგ მდულარე წყალი გადაასხეს და არ დაემალათ მკვლელი სომეხი პარაპეტზე, გარწმუნებთ და მე მრწამს, რომ ეს მასიური ხოცვა-ჟლეტა არ მოხდებოდა. **ხმები:** ბაბაევმა ესროლა სომეხ—ჯარისკაცს. **გაჯიევი:** ეს სიცრუეა. მას ჯარისკაცისთვის არ უსვრია. აქ პროკურორი იმყოფება, რომელიც დაადასტურებს, რომ სომხების მიერ მოკლულ ბაბაევს აღმოაჩნდა რევოლვერი, რომლიდანაც არც ერთი ტყვია არ ყოფილა გასროლილი. ყველა პატრონები რევოლვერში უკლისად იყო, რევოლვერს არ ეტყობოდა განასროლი და სხ. ზავის განსამტკიცებლათ და მშვიდობიანობის დასამყარებლათ საჭიროა ეთხოვოს სომხურ კომიტეტს, რომ მან ჩვენ, მუსულმანები, მოგვასვეხოს.

დაბოლოს გენ. ადიუტანტ **ამილახორმა** კვლავ სთხოვა დამსწრეთ დაეხმარონ მას მშვიდობიანობის დამყარებაში, ურჩიონ მცხოვრებთ ნუ ახდენენ კრებებს, ნუ უშლიან ხმოსნებს შეკრებას, რათა ქალაქის საბჭომ მოკლულთა ქვრივ-ობლების დასახმარებლათ თანხის გადადება შესძლოს. ნუ შეიკრიბეს ხალხი გროვად. ძალიანს ვშიშობ—დასძინა თავ. ამილახორმა—არ დაზარალდენ უდანაშაულო ჰირნი თუ საჭირო იქნა იარაღის ხმარებაო.

გუკასოვის შეკითხვაზე ბაქოში მოგროვილი ჯარების და მათი დაბინავების შესახებ თავ. ამილახორმა მიუგო, რომ ამ ჟამად ბაქოში ჯარი საკმაოდ არის, რაც შეეხება ბაქოსთვის მუდმივ გარნიზონის დაწესებას მას უკვე აღძრული აქვს შუამდგომლობა მისი გაძლიერების შესახებ—ექვსი ბათალიონი ქვეითა ჯარით, ექვსი ასეულ ყაზახით და ერთი ბატარეა არტილერიით.

თათბირის დასრულებისას თავ. ამილახორმა შიში გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ქალაქში არ იქნას გამოცხადებული სამხედრო წესები.

—:—

ბაქო, 21 თებერვალი.

18 თებერვალს, ორი საათის შემდეგ პირველი თათბირის დახურვიდან ბაქოში მიღებული იქნა დეპეშა ქ. ბაქოში და მთელი გუბერნიაში სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. განცხადება ამის შესახებ ფიცხლავ დაბეჭდილ და გაკრულ იქნა ქალაქში და სამრეწველოებში. ამის შემდეგ თათბირის სხდომები აღარ შესდგება. 19 თებერვლიდან პოლიცია და ჯარი მცხოვრებთ აღარ ანებებდა კრებებისა და მიტინგების გამართვას. ჯარის საგარნიზონო სამსახური სამძიმო შეიქმნა. შემოღებულ იქნა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში ჯარის ნაწილების მორიგეობა დღე-ღამის განმავლობაში. 19 თებერვალს ხმა გავრცელდა, რომ უნდა კვლავ განახლდეს ხოცვა-ჟლეტაო, ამიტომ ამ დღეს მთელი გარნიზონი გამოყვანილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა ქუჩებში, არტილერიაც კი. ამ ხმებმა ისე ააფორიაქა ისედაც დაშინებული მცხოვრებნი, რომ წინა საღამოს, როცა სასტუმროში ვბრუნდებოდი, მრავლად მოაწყდენ სასტუმრო „ევროპა"ს, სადაც გენ. გუბერნატორი ცხოვრობს. ამათში უმრავლესობა უცხოელები იყვნენ. უმეტეს ნაწილად იყვნენ ქალები და ბავშვები, რომელთაც დაეტოვებიათ თავიანთი ბინები და ერთი დღით მაინც ცდილობდენ მყუდრო ალაგას თავის შეფარებას. 19 თებერვალი მშვიდობიანათ ჩატარდა. არავითარი ინცინდენტი არ მომხდარა. ხმები არეულობის შესახებ საბედნიეროთ არ გამართლდა და სასტუმროს მდგმურები ნაშუადღევს თავიანთი ბინებზე დაბრუნდენ...

—:—

9—10 თებერვლის დახოცილთა გვამები მოგროვილ იქნა სასაფლაოს ქსენონის ეზოში. აქ თავმოყრილ იქნა 150 გვამზე მეტი. ამათში აღმოჩნდა მუსულმანის 5 გვამი, დანარჩენი სომხების და სხვა ერთა გვამებია. (თავიანთ მკვდრებს მუსულმანები მალავდენ) 13 გვამი ვერ იცნეს და ფოტოგრაფიული სურათების გაკეთების შემდეგ დასაფლავებულ იქნენ ერთად ერთს საძმო სასაფლაოში, დანარჩენი გვამები ყველა გამოიცვნეს. მეტი ნაწილი მოკრებილ იქნა მეორე ნაწილში (81 გვამი), პროკუროროის მიერ 18 თებერვლამდე აღრიცხულია 202 მოკლული, ამათში 155 სომეხი, 25 მუსულმანი, 7 რუსი (მათ შორის 2 ქალი) დანარჩენი სხვა და სხვა ეროვნების. საავადმყოფოებში, ამბულატორიებში და კერძო ექიმებთან დახმარება აღმოეჩინა 159 დაჭრილს, მათ შორის 75 სომეხს, 41 მუსულმანს, 24 რუსს და სხვა ეროვნების დაჭრილთ. დამწვარ სახლებში მოყოლილი ადამიანთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

დაპატიმრებულთა რიცხვი მცირეა. და თითქმის ყველა მათ ბრალი ედება ძარცვა-გლეჯაში, ბევრ მათგანს აღმოაჩნდა სახლებიდან და მაღაზიებიდან გატაცებული ნივთები...

—:—

ბაქოდან სომეხ-თათართა ხოცვა-ყლეტა მთელს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიას მოედო, არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, სადაც ამ უბედურებას არ ეჩინოს თავი და ბოლოს ნოემბერში,—17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, რითაც ვითომც დამყარდა ხალხის უფლება თავისუფლება და სხ., მოაღწია ტფილისამდე, სადაც, როგორც ზემოდ მოვიხსენთ, ტფილისის პროლეტარიატმა სულ რამდენიმე დღეში მოუღო მას ბოლო იმ დროს, როცა აღ. ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებში ხოცვა-ყლეტა გრძელდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ ფ ი ლ ი ს ში

22—25 ნოემბრის დღეები ტფილისში

სამშაბათს, 22 ნოემბერს, საღამოთი მე 5 და 6 ნაწილში სომხებსა და თათრებს შორის მოხდა სროლა, რასაც შემდეგში მოყვა ხოცვა-ჟლეტა და ამასთან დაკავშირებული ამბები. ძნელი გამოსარკვევია ვინ ან რამ გამოიწვია სროლა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მე-6 ნაწილი მიმართულებით ეტლით თათრები მიდიოდენ. მათი შეჩერება და გაჩხრეკა მოინდომეს სომხებმა; თათრებმა პროტესტი განაცხადეს და გზა განაგრძეს, ამასთან სომხებს რამდენიმეჯერ ესროლეს. სროლაზე სომხებმა სროლითვე უპასუხეს. ამის შემდეგ მთელს მე-6 ნაწილში დაიწყო სროლა, რაც რამდენიმე საათი გაგრძელდა. ამ სროლის დროს, როგორც მე-4 ნაწილის ბოქაულის თანაშემწემ განაცხადა, მოკლულ იქნა 2 თათარი და დაიჭრა ერთი სპარსელი. მოკვდა ერთი სომეხი და ერთიც დაჭრილ იქნა. საღამოს 8 საათიდან ავლაბრის მაღლობიდან ესროდენ თათრის პოდპორუჩიკ გუსეინ ედიგაროვის სახლს; ეს სახლი იმყოფება მე-6 ნაწილში ვორონცოვის ქუჩაზე. ბერდანკის ტყვიით აქ დასჭრეს მასწავლებელი. ამავე დროს ესროდენ გაელენიანი თათრის მ. ი. ალასკეროვის სახლს. ეს სახლი იმყოფება სუმბათოვის ქუჩაზე მე-6 ნაწილში. ამ სახლს სამი მხრიდან ესროდენ: ავლაბრიდან და ბოტანიკური ბაღის მაღლობიდან. ესროდენ აგრეთვე ალალაროვის სახლს. ღამით სროლა შესწყდა, მაგრამ დილით ისევ განახლდა. ამავე დღეს დღით ბრბო თავს დაესხა, იარაღის ორ მაღაზიას—გაგელეს გოლოვინის პროსპექტზე და ტერ სარქისოვისას ვორონცოვის ხიდზე. წაიღო რა იარაღი მაღაზიებიდან, ხალხი დაიფანტა. როგორც გაგელემ განაცხადა, მისი მაღაზიიდან წაღებულია 12.000 მან. ღირებულ იარაღი.

დღის 12 საათზე, 23 ნოემბერს პოლიცმეისტერის ცისის მიწვევით მე-6 ნაწილში გაემგზავრენ ადგილობრივ დასათვალიერებლათ ქალაქის თავის მოადგილე ჩერქეზოვი, გამგეობის წევრები ნ. ე. არღუთინსკი, ხმოსნები ბაბოვი, შაბბუდაგოვი და სხ. ამათთან ერთად გაემგზავრენ ადგილობრივი გაზეთების თანამშრომლები და კორესპონდენტები. ამათ წინ მიუძღოდა პოლიცმეისტერი და იცავდენ დრაგუნები. ოქრომჭედლების ქუჩაზე, სიონის სობოროს ახლოს, ოსიპოვის მაღაზიასთან სახლი № 9-ის პირდაპირ მათ შეამჩნიეს სისხლის პატარა გუბე. აქ მოეკლათ ამბალი (მუშა) თათარი, რომლის გვამი უკვე წაეღოთ; ის მოეკლათ დილის 10 საათზე. ამ დროს მიმავალთ შეამჩნიეს, რომ ისროდენ მაღლობიდან მე-6 ნაწილში მდებარე სახლების მიმართ. პოლიცმეისტერმა სხვებთან ერთად განაგრძო გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვამი მათ იპოვნეს ოქრომჭედლებისა და ნორაშენის ქუჩის კუთხეში, აქაც მოეკლათ ამბალი-თათარი; მესამე გვამი ამბალ თა-თარისა ბნელი რიგების (Темных рядов) ახლოს ეგდო; მეოთხე კუ-ზანოვის მაღაზიის ახლოს; მეხუთე ნიკოგოსოვის მაღაზიის მახლობ-ლათ. ესენიც ამბლები იყვნენ. მაიდანზე ქვაფენილი და ტრამვაის ლიანდაგი სისხლით იყო შეღებილი. იქვე იყო მოკლული თათრის ტვინი, თითონ მოკლულის გვამი წაეღოთ. შეიდეგ პოლიციმეისტერი მაიდანიდან ხიდით წავიდა რიყის ქუჩისაკენ. გავიდენ თუ არა ხიდი, დაინახეს, რომ რამდენიმე ასი კაცი სადღაც გარბოდა. პოლიციმეის-ტერი შეიჭრა ამ ბრბოში და იწყო მათი დამშვიდება.

როცა დაწყნარდენ გამოირკვევა შემდეგი: ვიღაც უცნობს ესა-რგებლნა შექმნილი მდგომარეობით, შეემტვრია აჯი-კაგრამან-გაჯი-ვალი-ოღლის მაღაზიის კარები, გაეძარცვა კასა და გაქცეულიყო. ის დაე-ჭირა მე-8 საპოლიციო უბნის ზედამხედველს მონასტერსკის, მაგრამ გაქცეოდა. აქ მომხდარ არევ-დარევას გამოუწვევია პანიკა. დაათვალი-ერეს აქ ის ადგილი, სადაც მოეკლათ ერთი თათარი—ეს მეშვიდე და ერთიც დაეჭრათ, გასწიეს ვორონცოვის ქუჩისაკენ. აქ მათ შეხ-ვდა რამდენიმე კაცი, რომელთაც დაჭრილი თათარი მოჰყავდათ. აქ გაიგეს, რომ აბანოებთან დილით დაეჭრათ სამი თათარი და ერთი სომეხი, რომელნიც მიხეილის საავადმყოფოში გაეგზავნათ. სხვათა შორის აბანოების შესავალთან მოგროვილმა თათრებმა სთხოვეს პო-ლიციმეისტერს და გაზეთის თანამშრომლებს, თითქმის ტირილით ემუ-დარებოდენ, რომ ისინი წაეყვანათ ვერაზე, სადაც ცხოვრობდენ. ვო-რონცოვის ქუჩაზე თათრობა მრავლად შეკრებილიყო; შეშინებულებმა, ცახცახით მიმართეს პოლიციმეისტერს და სთხოვეს შველა. პოლიც-მეისტერი შეპირდა მათ მცველების მიცემას სახლამდე მისაცილებ-ლად, როცა უკან დაბრუნდებოდა. მე-6 უბნის ყველა ქუჩებში მრავ-ლად იდგენ ჯარისკაცები. განსაკუთრებით ბევრი ჯარისკაცი იდგა აბანოების შესავალთან. ვორონცოვის ქუჩაზე მე-39 ნომერ სახლთან თათრებმა განაცხადეს, წინა საღამოთი და 23 ნოემბერს დილით ეს ადგილი მიზანში ჰქონდათ ამოღებული და ესროდენ ორის მხრიდან ავლაბარის მაღლობზე მტკვრის პირად მდებარე ეკლესიის გალავანი-დან და პირდაპირი მაღლობის კერძო სახლებიდან, ეს სროლა იმ-დენათ სერიოზული იყო, რომ ჯარისკაცები იძულებული იყვნენ რა-მდენიმეჯერ ავლაბრის ეკლესიის გალავნის მიმართულებით რამდე-ნიმე „ზალპი“ მიეცათ. იქვე პატარა მოედანზე ალასკეროვის სახლის მახლობლათ 23 ნოემბერს დილის 11 საათზე მოეკლათ ეროი თათა-რი და დაეჭრათ ერთიც თათარი—ბავშვი. აქ პოლიციმეისტერთან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდა ერთი თათარი და განუცხადა, რომ ამას წინად აქვე ეზოში მოკლულ იქნა სამი თათარი და ორი ცხენიო. ყველანი იქით გავეშურეთ, სადაც მართლაც აღმოჩნდა მოკლული ერთი წყალის მზიდველი თათარი (მთელს ქუჩაში აქ სისხლის ნიშნებია) და ორი ცხენი, რომლებიც გაბმული იყვნენ ბოჭკებში. როგორც ეტყობა, სამუშაოდ უნდა ყოფილიყვნენ.

აქედან გავემგზავრეთ მეჩეთის კლდესთან ზურაბოთის ქუჩაზე, საიდანაც ისროდენ ვორონცოვის ქუჩის მიმართულებით. აქ სახლი № 3 დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ამ სახლისთვის უსვრიათ ვორონცოვის ქუჩიდან და დაუცხრილავთ ტყვიებით სახლის კედლები. დათვალიერების შემდეგ დავბრუნდით რიყის ქუჩით და დავიშალენით. („ტ. ლ". № 236—1905 წ.)

—:—

ნოემბრის 24 დილით გაზეთ „ვოზროჟდენიეს" რედაქციაში მივიდა ტფილისის პოლიციმეისტერი ბ. ცისი, რომელმაც განუმარტა რა რედაქტორს, თუ რამდენათ სერიოზულია შექმნილი მდგომარეობა ტფილისში სომეხ-თათართა შორის დაწყებული შეტაკებების გამო, განაცხადა, რომ მას სურდა მოლაპარაკებოდა ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კომიტეტის წარმომადგენლებს, რათა კომიტეტს თავის მხრით ზომები მიეღო ხოცვა-ყლეტის შესაჩერებლათ.

ამის შესახებ რედაქტორმა ითათბირა თანამშრომლებთან და გადაწყდა ტფილისში არსებულ ყველა პარტიების წარმომადგენელთა მოწვევა იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა საშვალებით შეიძლება სომეხ-თათართა შეტაკების მოსპობა. ვინაიდან ეს საკითხი ყველა პარტიებს აინტერესებს, ვალდებულნი არიან მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელი შეუწყონ. დღის 12 საათზე რედაქციაში გამოცხადდენ შემდეგ პარტიათა წარმომადგენლები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკები და ბოლშევიკები, საქართ. სოც. ფედერალ., სოც. რევოლ., სომხური „დაშნაკცუტიუნი, სოც. დემ. ჰინჩაკი და მუსულმანთა წარმომადგენლები მენშევიკები გამოცხადდენ რამდენიმე საათის წინად მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუციით. პარტიათა წარმომადგენლებმა ჯერ გამართეს კონსპირატიული თათბირი და შემდეგ მოიწვიეს პოლიციმეისტერი, რომ გადაეცათ მისთვის მოთხოვნილებანი.

პოლიციმეისტერთან ერთად იყვნენ აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები.

პოლიციმეისტერმა გააცნო კრებას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარემ განუცხადა პოლიციმეისტერს, რომ მიტინგმა ნაძალადევში დაადგინა და აქ დაესწრე ყველა პარტიათა წარმომადგენლებმა სავსებით მოიწონეს ეს დადგენილება და სოც.-დემოკრატების წარმომადგენლებთან ერთად მოითხოვენ: 1) რომ მთავრობამ გადმოგვცეს იარაღი მებრძოლი დრუჟინისათვის, რომელიც დაიცავს მცხოვრებთ. 2) რომ ცალკე ჯარების ნაწილების უფროსებმა, რომლებიც წესრიგის დაცვისათვის არიან დანიშნულნი, იმოქმედონ მათთან გაგზავნილ პარტიათა წარმომადგენელთან შეთანხმებით. ამ მოთხოვნილების მოსმენის შემდეგ პოლიციმეისტერი მეფის მოადგილესთან წავიდა ნოხსენებისათვის, ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და განაცხადა, რომ მეფის მოადგილე თანახმაა იარაღის მოცემაზეო. იმ წამსვე მეფის მოადგილესთან გაგზავნილ იქნა სოც. დემოკრატ მენშევიკების წარმომადგენელი რამიშვილი ისიდორე, რომელსაც მეფის მოადგილემ ნება დართო მიეღო 500 თოფი. მეფის მოადგილემ მას პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ როცა იარაღი საჭირო აღარ იქნებოდა, ის დაუბრუნებდა. მისცა რა პატიოსანი სიტყვა, რამიშვილმა მიიღო იარაღი და გადასცა თავის ორგანიზაციას, რომელმაც შეადგინა დრუჟინა ქალაქის დასაცავად და შეუდგა მებრძოლი მხარეების შერიგების საქმეს.

ტფილისში არსებულ ყველა პარტიებმა თავიანთი ძალების მობილიზაცია მოახდინეს, რათა შეჩერებულ იქნას ხოცვა-ჟლეტა და დამყარდეს მტკიცე მშვიდობიანობა. („ვოზ." № 34).

—:—

25 ნოემბერს, ტფილისში, ანდრეევის ქუჩაზე არსებულ მისიონერთა ეკლესიაში შეიკრიბენ წესრიგის პარტიის წევრები, რიცხვით 300 კაცი. მცირე თათბირის შემდეგ მათ დაავალეს ბ-ნ სნიტკოს პოლიციმეისტერთან წასვლა, რათა ეთხოვნა „მისთვის გუბერნატორ, შირინკინთან და სხვებთან ერთად მოსულიყო კრებაზე განმარტებისათვის"—რა საბუთით მიეცა იარაღი სოციალ-დემოკრატებს. რამდენიმე ხნის შემდეგ კრებაზე გამოცხადდა პოლიციმეისტერი ცისი, რომელსაც კრებამ მოსთხოვა დაუყოვნებლივ მომხდარიყო სახალხო მილიციის განიარაღება, რომელიც შეიარაღებულია სომეხ-თათართა შორის დაწყებული ხოცვა-ჟლეტის მოსასპობათ, ნამდვილათ კი, ეს შეირაღებული ძალა საფრთხეს წარმოადგენს ყველა იმათი ცხოვრებისათვის, ვისაც სურს შრომა სამშობლოს საკეთილდღეოთო. პოლიციმეისტერმა ცისმა აუხსნა კრებას, რომ სოციალ-დემოკრატებს იარაღი მიეცა მხოლოდ სომეხ-თათართა ჟლეტის დროს, რათა სომხებსა და თათრებს შორის მოსაშვალედ გამოსულიყო ნეიტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარე, რომელსაც შეეძლებოდა ამ დამღუპველი უთანხმოების მოსპობა, რომ ეს მოხდა ყველა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ჯგუფების თანხმობით და რომ წალებულ იარაღს სოციალ-დემოკრატები დაბრუნებენ, როგორც კი მოისპობა ხოცვა-ყლეტა, რაზედაც მათ პატიოსანი სიტყვა მოგვცესო. კრების მონაწილენი არ დაკმაყოფილდენ ასეთი განმარტებით და ენერგიული პროტესტი განაცხადეს ასეთი განკარგულების წინააღმდეგ. ასტყდა ხმაურობა. გაიძახოდენ: „მოღალატეები“, „გამცემნი„, „თქვენ ულალატეთ სამშობლოს“ და სხ. საღამოს 6 საათზე პოლიცმეისტერი კრებიდან წავიდა („ვოზრ.“ № 36).

—:—

27 ნოემბერს არტილერიის მოედანზე, ტფილისში, შესდგა მიტინგი, რომელსაც დასწრენ სამსახურ გათავებული ჯარისკაცები, ტფილისის ქვეითი საიუნკრო სასწავლებლის იუნკრები, სამსახურიდან დათხოვილი მეეზოვენი, პოლიციელები და სხ., რომელნიც მონარქისტულ პარტიებს ეკუთვნიან. მათ შეუერთდა ბრბო ხელმწიფის სურათით, რომელიც შემკობილი იყო ნაციონალური დროშებით. მათ მიემატა ყაზახ-რუსები. გაჩნდენ ორატორები. დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა, რომელშიაც კიცხავდენ მეფის მოადგილეს სოც.-დემოკრატებისათვის იარაღის მიცემის გამო, რის წყალობით გახშირდა ცარცცვა-გლეჯა, იუნკრებისა და აფიცრების ჩხრეკა და სხ.

ერთი ორატორი, გვარად კარიაკინი, ხელობით დურგალი, ამტკიცებდა, რომ თუ ეს მილიცია ხელს უწყობს ხოცვა-ყლეტის შეწყვეტას, მაგრამ ესეთი არ არის ღვთის ბრძანება. უფალმა ბრძანა, რომ აზიელები ამოწყვეტილ იქნან და მხოლოდ მათი საყოველთაო გაყლეტით შეიძლება მივაღწიოთ, რომ ყველა უვარგისნი დაიღუპებიან და დარჩებიან მხოლოდ კარგები, მართლმადიდებელნი“. სხვა ორატორები დახმარებისათვის ყაზახ-რუსებს მიმართავდენ, რომელთაც არ უნდა დაუკადონ მეფის მოადგილის განკარგულებას და ახლავე საქმეს შეუდგენო („ვოზრ“.)

ხოცვა-ყლეტის მიზეზია პანისლამიზმი და სხ...

(განჯის გუბერნიის ზანგეზურის მაზრის მე-IV განყოფილების მომრიგებელ ზუმავლეს როტმისტრ ფონ-მენზენკამპფის მოხსენებიდან განჯის გენერალ-გუბერნატორისადმი).

...ნიადაგი სომხების საწინააღმდეგო მოძრაობისათვის თათრებში არის, მაგრამ ამის მიზეზს სომხობაში კი არ უნდა ვეძებდეთ, „რომელიც წარმოადგენს მშვიდობიანს, კულტურულ მოსახლეობას; სომხობას მხოლოდ თავდაცვის უნარი აქვს. ეს მიზეზი არ უნდა ვეძებოთ აგრეთვე თათრებს შორის, რომლებიც სომეხ გლეხებთან შედარებით

65 ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთნაირ პირობებში იმყოფებიან. მოძრაობის გამომწვევი არიან მუსულმანთა მაღალი წრის ელემენტები—ბეგები, სასულიერო პირნი, მოლები და სეიდები—ქრისტიანების მტერნი.

ამიერ-კავკასიის რუსეთის სამეფოსთან შეერთებიდან თათარ ბეგს ჩამოერთვა ის განუსაზღვრელი უფლება-უპირატესობანი ხალხის ყველფისა, რომლითაც ასე ფართოდ სარგებლობენ სპარსეთში მისი მომძე ბეგები. ის გახდა უბრალო ბეგი—მემამულე, მას ჩამოერთვა უფლება გლეხების უსაზღვრო ყველფისა.

გრაფ პასკევიჩ ერევნელმა მრავლად გადმოასახლა სომხობა ამიერ-კავკასიაში. გადიოდენ წლები, ცხოვრება წინ მიდიოდა, თათრის ბეგი კი განაგრძობდა ძილს. ეძინათ მის ყოფილ გლეხებსაც, რომლებიც რუსეთის მეფემ გაანთავისუფლა. თათრის გლეხობაც ისვენებდა. სომეხს, რომელსაც გაეგებოდა ცხოვრების პირობები, ერკეეოდა პროგრესიულ მოძრაობაში, პირიქით, არ ეძინა, თავისი კულტურულობის წყალობით რაც ასეთი დამახასიათებელი თვისებაა ქრისტიან ერისა და შრომის მოყვარეობით სომეხი მოექცა ამიერ-კავკასიის კულტურულ და მატერიალურ სათავეში. თათრის ბეგი კი ცხოვრებას ჩამორჩა, ის გაღარიბდა, დავალიანდა. ფულის გამსესხებელი სომეხი იყო. ამ რიგად ის გამოსავალ გზას ვერ ხედავს ამ მდგომარეობიდან, რადგანაც ძველი დრო, როცა ის სპარსულის წესით ფულს ახდევინებდა ხალხს, ისტორიას ჩაბარდა...

... ჯერ კიდევ 1904 წლის დეკემბერში გავრცელდა ხმა სომეხთა, როგორც მუსულმანების არა სასურველი ელემენტისა კავკასიაში, ამოჟლეტის შესახებ. გავრცელდა ხმა, რომ კავკასია მუსულმანებისაა, რომ თუ ამოწყვეტილი იქნება სომხობა, რომელმაც დახმარება გაუწია რუსეთს 1877 წლის ომში, ადვილი იქნება კავკასიის დანარჩენ მცხოვრებთა დამორჩილება. ამბობდენ, რომ რუსეთი დასუსტებულია იაპონიასთან ომში და ამიტომ ვერ შესძლებს კავკასიაში ჯარების გამოგზავნასო.

... ეჭვს გარეშეა, რომ სომხების წინააღმდეგ თათრების ამხედრება არის ურთი ერთ შორის დამოკიდებულების გამო, არამედ—ეს ხდება მუსულმანთა უმაღლესი სამღვდელოების მიერ, რომელსაც დახმარებას აძლევს ერთ-ერთი გარეშე სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ინტერესია არეულობის გამოწვევა კავკასიაში, რაც მტკიცდება იმ მიწერ-მოწერით, რომლებიც აღმოაჩნდა ზოგიერთ გავლენიან ბაქოს თათრებს, როცა ისინი შეიპყრეს.

შემდეგ ეს მომრიგებელი შუამავალი იძლევა რა რამდენიმე შეკითხვას იმის შესახებ, თუ რატომ არ იყო მიღებული ზომები თავის დროზე ხოცვა-ჟლეტის მოსასპობათ,—რატომ გამოდიოდა ისე, თითქოს მთავრობა თათრების მხარეზე იყო და სხ. დასძენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორც სჩანს მართველობის დეკეზია“—ყველაფერი მიეცეს თათარს და არაფერი—სომეხს“. და აი ამან შექმნა დღევანდელი მდგომარეობაო.

—:—

ცნობილი მწერალი ნემიროვიჩ—დანჩენკო. („რუსსკ. სლ“. № 154—19056)—სხვათა შორის, სწერდა: „უკანასკნელ წლებში პანისლამიზმის იდეის პროპაგანდა იმდენად წარმატებით სწარმოებდა, რომ შეთანხმება მოხდა კიდეც შიიტებსა და სუნიტებს შორის. მწვანე ბაიაღი წარწერით; „ჯაატი“ და პროკლამაციები, რომელსაც მოუწოდებდენ გაერთიანებულიყვნენ მუსულმანები საერთო მტრის, ქრისტიანების წინააღმდეგ, ჩამოართვეს სოფ. ცუსიანის სოფლის თათრებს.

„რუსეთის დამარცხებამ შორეულ აღმოსავლეთში, გაამხნევა მუსულმანები და თათრების მიერ სომხების ქლეტა,—ეს პანისლამისტების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯია, რომელსაც სერიოზული შედეგი მოჰყვება“.

X მთავროგბის რეპრესიები.

„დაურღვეველი საბუთები“.

„ცნობის ფურცელი“ № 3035, 1906 წ.

ბ-ნ ტფ. გენ.-გუბერნატორის წინადადების გამო.

წარსულ შაბათს ტფ. გენ.-გუბერნატორმა, ბ-ნმა ტიმოფეევმა, ოფიციალურ „კავკაზ“-ში შემდეგი განკარგულება დაბეჭდა.

ქართულს გაზეთს „ცნ. ფურც.“-ში არა ერთხელ დაბეჭდილა კუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებითაც რედაქცია სცდილობს აღნიშნოს იქ მომქმედ ჯარის უწე'�o მოქმედება, თუმცა რედაქტორი უკვე გავაფრთხილე—ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მოწოდებულ ამბებს, გაზეთის უკანასკნელს ნომერში მოთავსებულ იქნა კორესპონდენცია იმერეთიდან, რომელიც შემდეგ „ნოვ. ობზრ“-ში გადაბეჭდა. ამ კორესპონდენციაში გაზეთი ათას რამეს აბრალებს ჯარს: სახლების ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ქალების გაუპატიურებას და სხვას. ყველა ამის გამო, მე, ტფ. გენ.-გუბერნატორი, წინადადებას ვაძლევე „ცნ. ფურ.“-ს რედაქტორს, შვიდი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაურღვეველი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და არა მოგონილია კორესპონდენტის მიერ. მასთან ვიფრთხილებ რედაქტორს, თუ ამ ვადის განმავლობაში არ წარმოადგინა დამამტკიცებელი საბუთები, გაზეთი „ცნ. ფურც.“ დაიკეტება იმ დრომდე, ვიდრე ტფ. გუბერნიაში და მაზრაში სამხედრო წესები არ აიხსნება“.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ თავი დამნაშავედ არ მიგვაჩნია. ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით და ვასრულებთ ისე, როგორც გვესმის პრესის დანიშნულება. ჩვენ არ შეგვეძლო გავჩუმებულიყავით, როცა ქვეყანა აიკლეს და ხალხი ააწოკეს,

1905 წელი ჩვენში

(ამ დროიდან ფოტოგრაფიაა)

შეკუნტული ნოიელ ჩაზმელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მთელი დასავლეთი საქართველო და აღმოსავლეთი საქართველოს ნაწილი გაუგონელს ტანჯვა-ვაებაში ჩაადგეს. პირიქით, ჩვენ დავაშავეთ ხალხის წინაშე, რომ უფრო მედგრათ და უფრო გაბედულად ვერ დავიცავით დატანჯული სამშობლო მხარე, მაგრამ ჩვენმა მკითხველებმა იციან ის „სასპატიო მიზეზები", რომლებიც ხელფეს გვიბორკავდნენ და გვიშლიდნენ უფრო ნათლად გამოვვეძღვანებინა მძვინვარე „დამსჯელების" მოქმედებანი, აი, ახლაც დაინახავს ყოველი მკითხველი, რამდენად „საპატიო" ყოფილა ის მიზეზები: ჩვენ ბრალსა გვდებენ, დამნაშავედ გვთვლიან იმისათვისაც კი, რომ გავბედეთ და მხოლოდ **ზოგი** ფაქტი გამოვაქვეყნეთ, გაეკადნიერდით და საზოგადოებას მკრთალი სურათი მივაწოდეთ იმ საშინელებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს...

ბ-ნი ტფ. გენ.-გუბერნატორი მოითხოვს ჩვენგან „დაურღვეველ საბუთებს" ამ საშინელებისას. რაღა საბუთებია იქ საჭირო, სადაც ქვანიც კი ღაღადებენ?! ვინც თავის თავს შრომას მიაყენებს და დასავლეთ საქართველოსკენ გაეგზავრება, ვაგონიდან გამოსვლაც არ დასჭირდება—ისედაც დაინახავს „დაურღვეველ საბუთებს". ხაშურიდან დაწყებული შავ ზღვამდე საშინელი ნანგრევები უტყუარად მოწმობენ იმ გმირობას, რომლის მეოხებით „მუდამ აყვავებული" მხარე მიწასთანაა გასწორებული, დედამიწა ხალხის ცრემლებითა და სისხლითაა გაჟღენთილი... ჩვენ, ჩვენს ერს ეს საბუთები არ სჭირია: მან ყველაფერი გამოსცადა თვითონ, ყველაფერი თავის თვალით ნახა, ყველა დამნაშავეს იცნობს და არასოდეს არ დაივიწყებს... მაგრამ ბ-ნს ტფ. გენ.-გუბერნატორს არა სჯერა, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა, არა სჯერა, რომ ამაების ჩამდენი ჯარი ყოფილიყო; მას გაზეთების არაფერი სწამს და სხვა საბუთები უნდა. როგორც ოფიციალური პირი, ის ოფიციალურ წყაროებს ენდობა და ამიტომაც, თანახმად გენ. ალიხანოვის ოფიციალურის დეპეშებისა, უარყოფს ჩვენს ცნობებსა და ბრალდებას და მოითხოვს „დაურღვეველ საბუთებს".

კანონით, ლოღიკით, სამართლით (რითაც გინდათ) ამგვარ შეკითხვევაში საჭირო იყო ჩვენი სამართალში მიცემა. მაშინ ჩვენ შეძლება მოგვეცემოდა მრავალ მოწმეების დაბარებით, ოფიციალურ მიწერ-მოწერისა და საბუთების მოთხოვნით, მოხელეთა ჩვენების ჩამორთმევით და ბევრ სხვა კანონიერ ღონისძიებით **სრული ჩვენი სიმართლე** დაგვემტკიცებინა. მაშინ ტფ. გენ.-გუბერნატორიც დარწმუნდებოდა—ვინაა მართალი და ვინ სტყუის და მთავრობაც გაარჩევდა ნამდვილ დამნაშავეთ, თუ კი სურს მათი აღმოჩენა. მაგრამ გენ.-გუბერნატორმა არ მოისურვა სასამართლოსთვის მიმართვა და ამრიგად ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, გაითვალისწინეთ ის პირობები, რომელნიც გვიშლიან „დაურღვეველი საბუთების“ წარდგენას: 1) არც ერთი მთავრობის დაწესებულება და მოხელე პირი ოფიციალურად ჩვენ საბუთებს არ გადმოგვცემს; 2) ქუთაისის გუბერნიასა და ქართლში ისეთი რაზმია ახლა, რომ შეუძლებელია ჩვენი კერძო გამომძიებლები თავისუფლად მივიდნენ და საბუთები შეჰკრიბონ; 3) ხალხი ისე შეშინებული და თავზარდაცემულია რეპრესიებისაგან, რომ ვერ გაჰბედავს ყოველისფერის გადმოცემას; 4) მოწმედ ვერავინ დაგვიდგება იმის შიშით, რომ მეორე დღესვე დასწვავენ და გაანადგურებენ. აქედან ცხადათ სჩანს, რომ საქართველოში სამხედრო წესებია სანამ დაზარალებულთა კარებზე ზარბაზნები სდგას, ჩვენ ხელ-ფეხ შებორკილები ვართ და გაგვიჭირდება გენ.-გუბერნატორის ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება. ამასთან მხედველობაში მისალები ისიც არის, **შვიდი დღის** ვადა დაგვენიშნა. ოთხი დღე მარტო მისვლა-მოსვლასა და მიწერ-მოწერას უნდა და სამ დღეში როგორ უნდა გვეშოვა ისეთი და იმდენი საბუთები, რომლის მოპოებისათვის მთავრობის მთელმა გამოსაძიებელმა მექანიზმმა სამი თვე მაინც უნდა დახარჯოს.

თუ ყველა ამას მიიღებთ მხედველობაში, დაგვეთანხმებით, რომ მეტად მკაცრი წინადადება მოგვეცა, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვცდით და ზოგიერთ ფაქტებსა და საბუთებს მივაწვდით ბ-ნს ტფ.-გენ. გუბერნატორს. ამათ მნიშვნელობას, უეჭველია, იგი უარს ვერ ჰყოფს, მაგრამ თუ იკოტავა, იმდენი ჰეტივი მაინც გვცეს ჩვენ, საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთ, რომ ცოტა მეტი ვადა მოგვცეს და, იმედი გვაქვს, ბევრ სხვა საბუთსაც წარვუდგენთ.

პირველად ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის „დიდი ფაქტები“, რომელთა უარყოფა ძნელია და რომლებს დამტკიცებაც არ უნდა. ჩვენ აღვნიშნავთ რომელი დაბა-სოფელი და ქალაქი გადასწვეს და ააწიოკეს ჯარებმა როგორც-კი ფეხი შესდგეს დასავლეთ საქართველოში. აღნიშნული გვაქვს დღე, ადგილი და მათი შემოწმება მმართველთ არ გაუჭირდებათ. მთელი ყვირილა შემოწმებს, რომ ამა და ამ დღეს ჯარმა გადასწვა და გაძარცვა ეს დაბა. ყვირილა, ბელაგორი, ქუთაისი, ოზურგეთი, აბაშა—მთელი დასავლეთ-საქართველო შემოწმებს, რომ მცხოვრებთ თავისი საცხოვრებელი თავისივე ხელით არ დაუნგრევიათ, არ გადაუწვავთ და არ გაუქურდავთ, თუ კი ამას დამტკიცება უნდა. ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით ამ ფაქტებს:

დეკემბრის უკანასკნელ დღეებში ტფილისიდან გაიგზავნა რამდენიმე რაზმი ქვეითა ჯარისკაცებისა, პლასტუნებისა და არტილერიისა.

1) 1-ლ იანვარს ამ ჯარის მოწინავე რაზმი უკვე ხაშურს მივიდა. 1 და 2 იანვარს ხაშური ნახევრად განადგურებულ და გადამწვარ იქნა; დუქნები და ბევრი კერძო სახლი გაძარცვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) 7 იანვარს გადაიწვა ბელაგორის უმეტესი ნაწილი.

3) 8, 9 და 10 იანვარს გადაიწვა $^3/_4$ დაბა ყვირილისა; სრულიად მიწასთანაა გასწორებული; მრავალი ვაჭარი და სახლის პატრონი მათხოვრად იქცა. ბანკი, სტამბა და სხვა დაწესებულება დაიწვა.

4) აჯამეთსა და სვირის შუა დელეგატთა მატარებელზე რამდენიმე კაცი დახვრიტეს.

5) 9 იანვარს ქუთაისში გადაიწვა 30 დუქანი და ბევრი გაიძარცვა.

6) სამტრედიაში 16 და 17 იანვარს 30 დუქანზე მეტი გადაიწვა და გაიქურდა.

7) პოლკ. კრილოვის რაზმი ოზურგეთს 12 იანვარს ჩავიდა და იმავე ღამეს გადაიწვა ბაზარი.

8) 14 იანვარს იწვის ფოთი.

9) 10 იანვარს გადაიწვა 37 სახლი სოფ. ბაღდათში.

10) 23 იანვარს გადაიწვა ჭიათურის ბაზარი.

11) 28 იანვარს ახალსენაკში ¿ადაიწვა ორი რიგი დუქან-სახლისა.

12) 28 იანვარს სოფ. აკეთში 60-მდე ოჯახი გადასწვეს.

13) 31 იანვარს ნაგომარ-ეწერში 15 მოსახლე გადასწვეს.

14) 2 თებერვალს სოფ. ხვანწკარაში (რაჭის მაზრა) 48 სახლი გადასწვეს.

15) 20 თებერვალს სოფ. ღილიკაურში (შორაპ. მაზრა) გადასწვეს 7 სახლი.

16) 2 მარტს ჩოხატაურში დაანგრიეს და დასწვეს 14 სახლი.

17) 12 იანვარს სოფ. ხალიფოურში (შორ. მაზრ). დასწვეს 12 სახლი.

18) დაბა საჩხერეს 12 იანვარს გადასწვეს 22 სახლი და დუქანი.

19) 26 იანვარს სოფ. ჯანქვიჯში (სამეგრელო) გადასწვეს 50-მდე სახლი.

20) მარტის პირველ რიცხვებში ლეჩხუმის მაზრაში გადასწვეს 19 სახლი და 3 დუქანი და სხვადასხვა და სხვ....

ასეთია ის საშინელი სურათი, რომლის წინაშე ყოველი ადამიანი შეკრთება და ვერც კი გაბედავს დამამტკიცებელის საბუთების მოთხოვნას. მაგრამ მივმართოთ სხვა ფაქტებსა და ოფიციალურ წყაროებით შევამოწმოთ,—იმ ოფიციალურის მოხსენებით, რომელიც მოვახერხეთ და ამ შვიდ დღეში ვიშოვეთ ქუთაისსა და დასავ. საქართველოს ზოგიერთ დაწესებულებებში.

ქუთაისის პოლიტმოსტერის რაპორტი გუბერნატორის სახელზე № 386—1 თებერვლის 1906 წელს: „27 იანვარს ღამე გაძარცვეს, დაანგრიეს და კლიტეები დაჭვლეჯეს შემდეგ პირების მაღაზიებს და დუქნებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიხაილოვის ქუჩაზე, ჯურჯლისა და ავეჯეულობის მაღაზია ნიკოლოზ რაფაელოვისა, ზარალი დარბეულის განცხადებით 18 ათას მანეთამდეა.

2. გასტრონომიული, სამზღვარ გარეთულ სასმელებისა და საბაყლო მაღაზია ძმ. ოჰანეზოვებისა, ზარალი—6,000 მ.

3. მაღაზია რკინეულობისა გ. გორდაძისა და ს. წერეთლისა, ზარალი 1000 მ.

4. მაღაზია რკინეულობისა დ. კუპრაძისა, ზარალი 2,500 მ.

5. მაღაზია საათებისა, ოქროს და ბრლიანტების ნივთებისა ძმ. ვოლოხებისა, ზარალი 15.000 მ.

6. ვორონცოვის ქუჩაზე საწვრილმანო დუქანი რ. გარონიშვილისა, ზარალი—1000 მ.

7. ტყავის დუქანი ა. ყაზაროვისა.

8. ტყავის დუქანი დ. ყაზაროვისა.

9. ბაზრის ქუჩაზედ—აზიური მაღაზია ი. ხაზარიძესი—3000 მ.

10. აზიური სახელოსნო ისაკი გაბუნიასი—300 მ.

11. ჯურჯლის მაღაზია ი. წულუკიძესი—1146 მ. 70 კ.

12. აზიური სახელოსნო ს. ტყეშელაშვილისა—300 მ.

13. აზიური ქალების სახელოსნო ა. სანიკიძესი და წაღებისა—გ. ბაბუნაშვილისა—600 მ.

14. გალანტერის მაღაზია ი. აივაზოვისა—400 მ.

15. აზიურ შალის მაღაზია ი. ამირაღოვისა—700 მ.

19. სასმელების დუქანი დ. ასლანიძისა—150 მ.

17. მანუფაქტურის მაღაზია სიმ. ჭეიშვილისა—გატაცებულია საქონელი 40,000 მ. და თამასუქები 1000 მ. მაღაზიაში გაჩხრეკის დროს ნაპოვნია დატოვებული გამძარცველებისაგან სალდათის ქუდი წითლის სარტყელით (околыш) № 129, პატრონა სამ ხაზიანი ვინტოვკისა და სათუთუნე.

18. მანუფაქტურის და გალანტერეის მაღაზია დ. თავდიშვილისა. გატაცებულია საქონელი 4000 მანეთისა, თამასუქები და აღმასრულებელი ფურცლები 2000 მ. მაღაზიაში ორის ნიშნები ცეცხლის წაკიდების განზრახვისა. გაძარცვის მოწმე ვ. ფურცხვანიძე ნაცემია გამძარცველებისაგან.

19. მანუფაქტურის მაღაზია მ. თავდიშვილისა.

20. გალანტერეის მაღაზია მ. ხანანაშვილისა.

21. მანუფაქტურის მაღაზია შ. გაბრუაშვილისა, ზარალი 4000 მ.

22. მანუფაქტურის მაღაზია ა. ელიგულაშვილისა.

13. აზიურ ქუდების სახელოსნო მიხ. კალატოზოვისა—300 მ.

24. ფეხსაცმელის სახელოსნო რ. ჯავახაძისა.

25. ფეხსაცმლის სახელოსნო ფხაკაძისა—200 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. შალების მაღაზია ი. ა. ბურჯანაძისა—300 მ.

27. წუღების სახელოსნო ს. რუხაძისა

28. აზიური სახელოსნო შ. მორჩიძისა—100 მ.

29. გიმნაზიის ქუჩაზე ჟურჟლის მაღაზია საბაევისა და ფილიპოვის—20.000 მ.

30. მანუფაქტურის მაღაზია კირაკაზოვის, ოჰანეზოვისა და ამხ. ზარალი 80,000 მ.

31. მაღაზია საზოგადოების „Комп. Зингер"—გატაცებული საკერავი მაშინა და სხვა ნივთები—15,000 მ.

32. სობოროს მოედანზე სახელოსნო და მანუფაქტურის მაღაზია ა. კოსტავასი, ზარალი 10,000 მ.

33. კათოლიკების ქუჩაზე ყაზახებმა გაძარცვეს სახლი ლუტიცია სტეფანეს ასულის ბაბუროვისა. გამოტეხეს ქუჩის კარები; გატაცებულია 30 მანეთის ნივთი. იმ ღამესვე გაძარცვეს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს შემდეგი მაღაზიები: საკერავ მაშინებისა ნ. რაფაელოვისა—ზარალი 7000 მ, რაფაელოვის მაღაზიიდან ცეცხლი გადავიდა ი. კოგანის სახლზე, რომლის ქვედა სართულში იყო მოთავსებული ამისივე მაღაზია ოქროსი და ვერცხლის ნივთებისა და საათებისა, სარდაფის სართულში კი იყო საწყობი საკერავ მაშინებისა ზ. ფეიქაროვისა. ყველა ეს განადგურებულ იქნა ცეცხლისაგან და—მიაყენა კოგანს ზარალი 6000 მ. და ფეიქაროვს—10,000 მ. აქედან ცეცხლი რიგ-რიგად გადავიდა ფ. ხელაძეს ოქროულობის მაღაზიაზე და მ. ენუქიძის ფეხსაცმელების სახელოსნოზე, რომელნიც მთლად დაიწვნენ. ხელაძის ზარალი 7,300 მ., ენუქიძისა—1.100 მ. აქ ცეცხლი ჩააქრეს რაზმის მეცადინეობით. ცეცხლი შეჩერებულ იქნა ერთ ალაგას და აღარ გავრცელებულა. ვორონცოვის ქუჩაზე დაიწვა რკინეულობის მაღაზია რ. ფილიპოვისა, ზარალი 5000 მ.

34. სობოროს მოედანზე აგრეთვე ცეცხლის წაკიდების გამო დაიწვა სახელოსნო მკერავ ქალის ალექსანდრა ჟყონიასი—ზარალი—400 მ.

35. 26 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ცეცხლის წაკიდების გამო ორ ალაგას ვორონცოვისა და გიმნაზიის ქუჩის მხარეზე დაიწვა საკანდიტერო ს. სანიკიძისა, რომელიც მოთავსებული იყო ი. გველესიანის სახლის ქვედა სართულში. ამ სახლის ზემო სართულში მოთავსებული იყო საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო და სააღშენებლო განყოფილებანი, რომელთა საქმეები და ავეჯეულობა სრულიად გადიბუგა ცეცხლისაგან. სანიკიძემ იზარალა 18.000 მ. რაოდენობა ზარალისა, რომელიც მოუვიდა სამკურნალო და სააღშენებლო განყოფილებებს, ჯერაც არ არის ცნობაში მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. დაიწვა აგრეთვე სადალაქო ს. კაკაბაძისა, რომელიც იყო სანიკიძის საკანდიტეროს გვერდით. ზარალი 300 მან.

მამული გველესიანისა დაგირავებულია ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში 22.000 მან. და დაზღვეულია 18.000 მან.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი შენობანი, სავაპრო სახლები, მანამ ცეცხლს წაუკიდებდენ, გაძარცულ-დარბეულ იქნა. თვით დაზარალებულთა, აგრეთვე შემთხვევითი მოწმეების და ღამის დარაჯების ჩვენებით, ცეცხლი წაუკიდეს და დაარბიეს მაღაზიები და დუქნები ჯარისკაცებმა, რომელთა შორის მომეტებულ ნაწილს შეადგენდენ ყაზახები და ქვეითა ჯარისკაცები თეთრი „აკოლიშკებით". ეს შემთხვევა ემცნო ქუთაისის პირველი ნაწილის გამომძიებელს, აგრეთვე პროკურორს. ზემოხსენებულს ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას.

პოლიცმეისტრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი

ტერ-ანტონოვი.

ქუთაისის პოლიცმეისტერის რაპორტი გუბერნატორის სახელზე 661. „14 ამა თებერვალს, დილის 3 საათზე, 6 უცნობი პირი ტყავებში (პოლუშუბკა) გამოწყობილი და ვინტოვკებით შეიარაღებული შევიდა იოსებ ერიკოვის სახლის ქვედა სართულში ტფილისის ქუჩაზე, სადაც სცხოვრობდა ქუთაისის მოქალაქე გრიგოლ ბესარიონის ძე ჩხეიძე თავის უკანონო ცოლით, ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდათის მცხოვრებ ანნა ოტიას ასულ ბაღდავაძითა. შესულებმა დაუწყეს ჩხრეკა სახლს და, როცა ვერაფერი ნახეს, წინადადება მისცეს ჩხეიძეს და ხიმშიაშვილს ჩაეცვათ და გაჰყოლოდნენ, რადგან ისინი როგორც პოლიტიკურად არა საიმედო კაცებად ცნობილნი, უნდა წარედგინათ პოლიციის ნაწილში; მაგრამ გზაში ზემოდ დასახელებული ჩხეიძე და ხიმშიაშვილი მოკლულ იქნენ".

ქუთაისის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, № 333: „8 თებერვალს 12 უცნობი პირი, ყაზახების ფორმაში გამოწყობილი, შევარდა შვეიცარიის მოქალაქე ქალის მართა დანიელის ასულის ჟუკსის სახლში. შევარდნილთ დაამტვრიეს კამოდი, შკაფი და ზანდუკი, ამოიღეს იქიდან 500 მან. ღირებული სხვადასხვა ნივთები და ბიმბალენ. ქ-ნ ჟუკსის მოსამსახურეები, დამსწრენი ამ ამბისა, ამბობენ, რომ მძარცველები იყვნენ ჩაცმულნი ჩოხა-ახალუხებში პაგონებით, ბოხოხებში და ლაპარაკობდენ რუსულადაო. ამიტომ მოსამსახურენი ამტკიცებენ, რომ მძარცველები იყვნენ ყაზახები, მაგრამ რომელი პოლკისა ვერ გაურჩევიათ. საქმე გადაცემულია გამომძიებელზე.

ქ. **ქუთაისის პოლიცმეისტრის რაპორტი** გუბერნატორის სახელზე 15 თებერვალი № 600: „12 იანვარს ორპირის ქუჩაზე ქ. ქუთაის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, ყაზახებმა დასჭრეს პოლიციელი ხელაძე. ყაზახები იყვნენ პირველ სოპაირორის პოლკის ჯარისკაცნი—ივანე დოროგოვი და ეფქვიმენ პისტული (ასე დაასახელეს მათ თავიანთი თავი). ამ გვარების ყაზახები არ აღმოჩნდენ, მაგრამ იმათ ადგილათ იცნობენ პირისახითა: სულაძე, მინადორა უთქელიძე, სოფიო ანდრუსოვისა, ივანე იოსელიანი, მიხეილ ბაქრაძე და უფროსი პოლიციელი წუალგალმა ნაწილისა სამსონ ფხაკაძე. საქმეს იკვლევს მეორე განყოფილების გამომძიებელი.

შორაპნის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, 24 თებერვალს, № 527; „19 თებერვალს, ჭიათურის ბოქაულის მიერ დაპატიმრებული ადამ ჭუმბურიძე გამოწვეულ იქნა ხოპერის პოლკის მე-6 სოტნის კომანდირის მიერ. გამოკითხვის შემდეგ გაგზავნილ იქნა ჭიათურის სამრეწველო მმართველობაში და თან გააყოლეს ჯარისკაცები. გზაში აპირებდა გაქცევას და მოკლულ იქნა“.

ქუთაისის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე. 1 მარტი 1906 წ. № 544, „6 თებერვალს უქესმა ყაზახმა ვითომდა გასაჩხრეკად მისულმა, გაცარცვეს და წაართვეს ფული და ავეჯეულობა სოფ. ბანოჯის გლეხებს: ჩოგოვაძეს და კოლუაშვილს. საქმე გადაეცა ქუთაისის გამომძიებელს“.

ქუთაისის პოლიციმეისტრის რაპორტი გუბერნატორის სახელზე, 4 თებერვალს 1906 წ. № 439. 31 იანვარს, დილის 4 საათზე, ყაზახებმა გაძარცვეს ვაჭარი ვასილ მალანია. გაძარცვის შემდეგ სასიკვდილოთ დასჭრეს. ყაზახი იყო 12 კაცი. ფულად წაართვეს სულ 500 მანეთი, მალანიას სახლში იპოვნეს ყაზახის მათრახი, ეზოში რკინის ჯოხი, რომელზედაც ნავთით გაეღენთნილი ჩვარი იყო. ერთი ბოძი, რომელზედაც სახლი დგას, გარუჯული იყო“.

ქუთაისის მაზრის უფროსის რაპორტი გუბერნატორის სახელზე 30 იანვარს 1906 წ. № 196: „10 იანვარს ყაზახებმა დასწვეს სადრიონთან დუქანი და ფურნე ბაღდადის მცხოვრების სიპიტო ჯაფარიძისა. 14 იანვარს ყაზახებმა **დასწვეს** სად. კოპიტნარის მახლობლად 4 დუქანი: მ. ნიკაბაძისა, ფხაკიძისა და ქორქაშვილისა; ერთიც სახლი სტეფანე და ოქროპირ ნიკაბაძეებისა. ამათ სახლში ხისა და რკინის სამეურნეო იარაღი ეწყო.

სენაკის მაზრის უფროსის რაპორტი ქუთაისის გუბერნატორის სახელზე. 6 თებერვალი 1906 წ. № 12. „28 იანვარს ახალსენაკში დაიწვა 45 დუქანი, სენაკის მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულოს უფროსის, პოდპოლკოვნიკის ციოპისცევის ჩვენებით, დუქნებს ცეცხლს უკიდებდენ და სძარცვავდენ ლაბინსკის პოლკის ყაზახები და მსროლელთა კაკ. მე-4 ბათალიონის სალდათები. ამასვე მოწმობენ აზნ. გვიმია და პოლიციელები სახლიშვილი და ჩაჩხიანი. პოდპოლკოვნიკ ციოპისცევის ჩვენება: 27 იანვარს ღამით ცულებით სტეხდენ დუქ-

დაბა-სოფლებს სწვევენ. ხალხი ინიზნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს ყველა ქუჩებზე და ამავე დროს ცეცხლიც გაჩნდა. ამის მომქმედნი იყვნენ ხსენებული ყაზახები და სალდათები, რომელნიც არავის ნებას არ აძლევდენ ცეცხლის ჩაქრობისას და ემუქრებოდენ ყველას: თოფს გესვრით, თუ ცეცხლის ჩაქრობას გაბედავთო. მცხოვრებიდან არავის წინააღმდეგობა არ გაუწევია, რაკი ყველაფერი ეს დავინახე, მაშინვე მივედი ლეიბ-გრენადერის ერეენის მე-13 პოლკის უფროსთან და ვთხოვე მიეღო ლონისძიება ჯარის წინააღმდეგ. თავ. ერისთავმა თავის მხრით აცნობა ყველაფერი „ოტრიადის“ უფროსს პოლკოვნიკ ხოძინსკის. რომელმაც გაგზავნა ორი პატრული აფიცრებით, რათა ელონათ რამე უკანონო მოქმედებათა წინააღმდეგ“.

ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აცნობა გამომძიებელს შემდეგი შემთხვევები:

1. „ქუთაისის გალმა ნაწილის ბოქაულმა 19 იანვარს აცნობა გამომძიებელს, რომ ქალაქში სალდათებმა გაძარცვეს პანტიუხოვისა და კოდვას საწყობი“.

2. „24 იანვარს ყაზახებმა აიკლეს სამი დუქანი საფიჩხიაში: არქიპ. ჭიჭინაძისა, სამსონ იობიძისა და ოსმალეთის ქვეშევრდომის ე. კსანდოპულოსი. ზარალი 200 მანეთამდეა“.

3. „25 იანვარს ქ. ქუთაისში პლასტუნები და სალდათები მე-39 დივიზიისა დაეცენ ელიაშვილის სახლს, წაიღეს ფული და ავეჯეულობა“.

4. „25 იანვარს პოლტავის პოლკის 5 ყაზახი იულო ხეთერელის სახლს დაეცა. სახლის პატრონი გაძარცვეს და დასჭრეს“.

5. „25 იანვარს ს. კახიანაურში (ქუთ. მაზრ.) ყაზახებმა გაძარცვეს მცხოვრებნი.

6. „26 იანვარს მესხეთის ქუჩაზე სალდათებმა გაძარცვეს დიმიტრი მელაძე: ძველი ხონის გზაზე სალდათები დაეცენ თევდორაძის სახლს: ალექსანდრეს ქუჩაზე სალდათებმა გასტეხეს მულეიშვილის დუქანი, ორპირის ქუჩაზე—კოდიევას ღვინის საწყობი.

7. „24 იანვარს ყაზახებმა და სალდათებმა, რიცხვით 60 კაცმა, გაძარცვეს იაკოფ კშონჭერის ტყავის მაღაზია ბაზრის ქუჩა. ძოწეულები არიან ღამის ყარაულები სერაფიონ ძოწენიძე, ი. კანდელაკი და სერაფიონ ჯანგავაძე“.

8. „27 იანვარს ყაზახებმა გაძარცვეს სერგია კარიშჩევის მაღაზია და წაიღეს 8 ათასი მანეთის საქონელი“.

9. „29 იანვარს ყაზახებმა გაძარცვეს ისრაილოვის მაღაზია. ძოწეულ ღამის ყარაული ტურაბელიძე“.

ეს რამოდენიმე ოფიციალური რაპორტი ამოწმებს ჩვენ მიერ დაბეჭდილი ამბების სინამდვილეს და ბ-ნ ტფ. გენ. გუბერნატორის საქმეა ეხლა ირწმუნებს თუ არა, რომ ჩვენს „გაზეთში აღნიშნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უწესო მოქმედებანი იმ შიმქმედ ჯარისა“ ცილისწამება არ ყოფილ...
ვნახოთ ეხლა რას ამბობენ და რას გვაწვდიან ის ორიოდე დაზარალებული და ორიოდე მოწმე, რომელთაც გაბედეს და ცოტა რამ გადმოგვცეს გამოსაქვეყნებლად!..

„დაბა საჩხერეში გავიგეთ, რომ გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ 7 დღის განმავლობაში დაამტკიცოს ის, რაც აღნიშნულია გაზეთში ჯარისა და ყაზახების მოქმედების შესახებ დაიბეჭდა. სასიამოვნოა ეს გამოწვევა, რადგან შამთხვევა გვეძლევა უფრო ვრცლად და დაწვრილებით აღვნიშნოთ ის საშინელება, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ ცოტა ხანში. რადგან ბევრი დრო არ მოუციათ, ნაჩქარევად შეეკრიბეთ და გიგზავნით ისეთ ფაქტებს, რომელთა დარღვევა და გაბათილება ტორმეტ დიუმიან ზარბაზნებსაც არ შეუძლია. იმ ფაქტებს, რასაც აქ მოვიყვანთ, გამოკითხვის დროს ათასობით შეამოწმებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ხაშურისა, ბელაგორისა და ზესტაფონის გადაწვის ამბები უნდა ეკითხოს ადგილობრივ მცხოვრებთ; ზესტაფონის გადაწვის მოწმენი არიან თვით მაზრის უცროსი ბ-ნი ტატიშვილი, მისი მოხელენი და სხვადასხვა დაწესებულების მსახურნი, აგრეთვე მცხოვრებნი. ზესტაფონში არც ერთ მოხელის საცხოვრებელ სახლს ცაცხლი არ მოჰკიდებია, რადგან თვით მაზრის უფროსი და სხვა მოხელენი გამოდიოდნენ და უშლიდნენ ცეცხლი წაეკიდებინათ დაბის იმ ნაწილებისათვის, სადაც მოხელენი სცხოვრობდენ. ვისაც მოხელეთაგან ოდნავი მოქალაქობრივი გრძნობა შერჩენია, უნდა საჯაროდ სთქვას, ვინ დასწვა ამოდენა დაბა. საჩხერეში 12 იანვარს დღისით ამოვიდნენ პლასტუნები და ჯარისკაცნი. ჯარს საჩხერის ბოლოში მიეგებნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფი თავ ს. გ. წერეთელი და სხვანი, სთხოვეს ხალხი არ დაეწიოკებინათ. ამასთან გამოუცხადეს თუ ჯარი მოითხოვს რამეს შეძლებისდაგვარად ავასრულებთო. უფროსმა სამი საათის ვადა მისცა, ამ ვადის განმავლობაში წარმოადგინეთ თოფები, პროპაგანდისტები, რაზმელები, ზესტაფონის ხაზინიდან გატაცებული ფული და სხვაო. რადგან სამი საათის განმავლობაში შეუძლებელი იყო ამ მოთხოვნილებათა აღსრულება, ჯარი 12 საათზე მიადგა საჩხერის მცხოვრების გიორგი გაფრინდაშვილის სახლსა და დუქანს და ცეცხლი მოუკიდა. ამგვარადვე ცეცხლი გააჩინეს სამგან. სრულიად გადასწვეს საცხოვრებელი სახლი სავაკროთი და ნივთეულობით შემდეგ პირებისა: დიმიტრი ქებაძისა (10.000 მ. ზარალი), ანტონ თუშიშვილისა (ზარალი 7.000 მ.), პლატონ ქებაძისა (1000 მან.), კარაპეტ კოლოვისა (1,500 მან.), გიორგი გაფრინდაშვილისა (3000 მ.), ვასილ ჯოხაძისა (7000 მ.), ნესო თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანვილისა (6000 მ.), მაჭარ კალოგისა (1500 მ.), ქონია თუშიშვილისა (1000 მ.), ელპიტე თუშიშვილისა (1500 მ.), სოლომონ ფარქოსაძისა (6000 მან.), დარჩოს ქერეფისა 600 მან.), ელიზბარ ქებაძისა (5000 მან.), ელისაბედ ქაქანიძისა (7000 მან.), სპირიდონ ყიფიანისა (5000 მ.), ვანო ბეგალოვისა (5000 მ.), მღ. ეპიფანე აბრამაშვილისა (3000 მ.) და უფლისა ბძელიშვილისა (5000 მ. მეტი). ჯარსა და ყაზახებს გამოეყო ერთი ნაწილი და გადავიდა ქორეთის საზოგადოების სოფელ კალუთას, სადაც საჩხერელ ვაჭრებს: კოსტა და ნიკოლოზ გაჩეჩილაძეებს გლეხების სახლებში დაემალათ 23.000 მან. საკვაბო საქონელი. ყაზახებმა მოუკიდეს ცეცხლი და გადასწვეს რამდენიმე გლეხის სახლი და ეს ამოდენა საქონელი ცეცხლმა გაანადგურა. თუ ვინ გაძარცვეს და ვის რა წაართვეს, უნდა ეკითხოს ამ სოფლის მცხოვრებთ, თუ როგორ გააჩინეს ცეცხლი საჩხერეში, უნდა ეკითხოს ადგილობრივ ბოქაულს ალხაზიშვილს, თვით განადგურებულ და საცხოვრებელ გადამწვარ მცხოვრებთ და აგრეთვე შემდეგ პირთ, რომელნიც ცეცხლის მოკიდებას დაესწრენ... ესენი არიან... [1]) ეს უკანასკნელი ცეცხლში იწვოდა და ძლივს გადაარჩინეს. ამავე დღეს, 12 იანვარს, სოფელ დუნთას ავიდა 8 პლასტუნი, ცეცხლი მისცა და გადასწვა მღ. ლავრენტი წერეთლის სახლი. სახლის პატრონმა ბავშვებიანად და ავადმყოფ ცოლით ძლივს გაასწრო. ამას დაამტკიცებენ ს. დუნთის მცხოვრებნი. ამავე დღეს საჩხერეში მოჰკლეს ორი კაცი. 12 იანვარს საღამოთი დაბრუნდა ჯარი ყაზახებითურთ, რომელთაც მეორე დღეს, 13 იანვარს, დილით სოფელ დარკვეთში ჩაიარეს და გადასწვეს: გარსია, საჩინო, ივანე, ვასილ და გოგია ჯიშკარიანები. აქვე გადასწვეს ბერია, ილიკო, ილარიონ, უფლისა, ივანე, ნარიმან და ალექსი ღულუნიშვილები. ამას შეამოწმებენენ დარკვეთის მცხოვრებნი... [2]) 13 იანვარს გავიდენ ს. ხალიფაურში და გადადასწვეს სამი კომლი კაცი გაფრინდაშვილება, ჭიოტაძე და მასხარაშვილი. ამ სოფელში აღნიშნულ დღეს მოჰკლეს სამი კაცი *). შემდეგ საჩხერეში ჩააყენეს საპირონთა ყაზახის პოლკის სოტნა ესაულის მეთაურობით. ამის შემდეგ ყაზახები ხორუნეის მეთაურობით ხშირ-ხშირად დადიოდენ სოფლებში. სოფელ სარეკში 18 თებერვალს გადასწვეს გლეხების ლავრენტი და ოქროპირ ყარამანის ძეთა აბრა-

[1]) მნახველთა და მოწმეთა გვარები ხელთა გვაქვს. აქ ამ გვარებს ვერა ვხვდებოდეთ ადგილად ჯასაგებ მიზეზებისა გამო. როდესაც საქმე სასამართლოში გადავა, მოწმეებს დავასახელებთ და წარვუდგენთ კიდეც სასამართლოს.

[2]) ამათ გვარებს ვერა ვხვდებოდეთ იმავე მიზეზით.

*) მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ მთელს დაზარალებულ საქართველოში აქ არაფერს ეწერო, რადგან მათი სწორი რეგისტრაცია მხოლოდ ოფიციალურის საშუალებით შეიძლება.

რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშვილების სახლი და სხვა საცხოვრებელი. სოფ. სარეკმა მოთხოვნილებისამებრ ყაზახებს წარუდგინა ოქროპირის ძმისწული პავლია აბრამაშვილი, როგორც ვითომ წითელი რაზმის წევრი. პავლია გამოუშვეს იმ აზრით, რომ თოფები მოეტანა. პავლია მეორედ აღარ გამოცხადდა და სადღაც მიიმალა. სოფელს დაუნიშნეს ვადა, მოგვიყვანეთ გაქცეული, თორემ გაგანადგურებთო. გლეხებმა ვერ მოახერხეს რა, არ იცოდნენ სად დადაიმალა აბრამაშვილი. გადაწვეს აბრამაშვილის სახლი. დაწვის მოწმენი არიან... [3]) ფაქტს შეამოწმებს აგრეთვე 60 კომლი კაცი სარეკის მცხოვრები. 13 თებერვალს გადასწვეს სოფელ მეჯვეის მცხოვრები დათიკო კირვალიძე, რომელ ფაქტსაც ამტკიცებს შემდეგი საბუთის ქაღალდი, მნახველთა მიერ ხელმოწერილი.

„1905 წლის მარტის 20 დღესა, ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, მცხოვრებნი სოფელ... მოწმენი ვართ დათიკო ლეკარსაბის-ძის სახლ-კარის გადაწვისა და გარშემო მცხოვრებ გლეხების დაწიოკება-გაძარცვისა, რაც შეგვიძლია ფიცითაც დავამტკიცოთ. ყაზახები ათ კაცამდე, როგორც შემდეგ შევიტყვეთ საპიოროთა ყაზახთა პოლკისა, ამოვიდნენ 13 თებერვალს დილით ასე ცხრა—ათ საათზედ, შევიდნენ დათიკო კირვალიძის სახლში, გამოიტანეს მოკიდებული ნიგბუსი და ბისაცეს ცეცხლი სახლს, რომელიც ჩალით იყო დახურული. ყოველივე, რაც კი რამ გააჩნდა კირვალიძეს, გადაწვა. მისმა მეუღლემ ვერამ მოასწრო მხოლოდ ორი—სამი ბალიშის და ძუძუთა ბავშვის აკვნით გატაცება. ცეცხლის მოკიდება მოეწდომეს ყარამან კირვალიძის სახლსაც, მაგრამ რადგან აქვე დამსწრე ფილიმონ სამხარაძემ დაარწმუნა, რომ სხვისი სახლი იყო, ცეცხლი არ მოუკიდებიათ. თუმცა ყარამანის სახლში მაინც შევიდნენ და თუ რამე ადვილად წასაღები ნივთეულობა ნახეს, წაიღეს, აგრეთვე შევიდნენ ბესო გოგატიშვილისას, შემდეგ გარსია სამხარაძესთან, სვიმონ გოგატიშვილთან და იქაც გაჩხრიკეს და თუ რამ აღმოჩნდა წასაღები, წაიღეს. დათიკო კირვალაძის სახლის დაწვის შემდეგ ისეთივე დაწიოკება და ზიში მოგვაყენეს, როგორიც 12 თებერვალს ამ უბნის დაჭერის დროს. 12 თებერვალს ამ უბნის მცხოვრებმა ქალებმა ბავშვებიანად თავი შეაფარეს ბესო გოგატაშვილის სახლს, რომელსაც ყაზახები შემოერტყენ და ხელში ჩაიგდეს ქალები. ერთი საშინელი წივილ-კივილი გაისმოდა. როცა კაცები მივსდგით რომ ყაზახები ჩვენი პატიოსნების და თავმოყვარეობის შელახვას აპირობდენ, მიეშველენით. თუმცა ქალები ხელიდან გავაგდებინეთ, მაგრამ ჩვენ მათრახებითა და თოფის კონდახებით გვცემეს. ქალებმა მინდერებში გაიქცეენ დასამალავად. ამ ფაქტებს ვამოწმებთ... [4])

აი მეორე ხელმოწერილი საბუთის ქაღალდიც:

1906 წელსა, მარტის 19-სა დღესა, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ვამოწმებთ ჩვენი ხელის მოწერითა და შეგვიძლია დავამტკიცოთ ფიცის მიღებითაც, რომ ამა წლის 13 თებერვლს მცხოვრებს ჭიათურის საბოქაულოს ჭორეთის საზოგადოების სოფელ ივან-წმინდისა [5]), დღისით, ასე თორმეტ საათზე სა-

[3]) მოწმეებს სასამართლოს წარუდგენთ.

[4]) ხელი უწერია ათ კაცს. ამ მოწმეებს სასამართლოს წარუდგენთ.

[5]) გვარის დამეტდვას შეუძლებლათ ვცნობთ. რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლში შეუფარდა ამ ქამად საჰხერეში მდგომ საპიორის პოლკის სოტნიდან ორი ყაზახი და დაუპირეს იმის ოჯახობას თავზარდამცემი ზნეობრივი შეწუხება. რაღაც მიზნების გამო ამ დღეს, ან ვიცით ვისი განკარგულებით, ცეცხლი მოუკიდეს და დასწეს მერეკვეის მცხოვრები დათიკო კირვალიძე. როდესაც უკან დაბრუნდენ და სოფ. ივანწმინდას ჩამოიარეს ათ ყაზახს ცუდის განზრახვით სოფ. ივანწმინდის ბოლოზე ჩამორჩა სამი ყაზახი; ზემოხსენებული კაკის სახლთან, ღობეზე ცხენები მიაბეს, ერთი ამ ცხენებთან დარჩა, ხოლო ორი გადავიდა ეზოში და შეეარდა სამზარეულო სახლში, სადაც ამ დროს იყო მეუღლე ოჯახის პატრონისა. ერთი მათგანი შევიდა სახლში და ერთიც კარებთან დადგა. როგორც შემდეგ გავიგეთ თვით ქალისგან, სამზარეულოში შესულ ყაზახს დაუპირებია ძალადობის ხმარება მის ადამიანურ ღირსების შესალახავად, ამ განზრახვით ყაზახს სამზარეულოს კარები ჩაუკეტია და იც იყო უნდა შესდგომოდა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას, რომ თავზარდაცემული ქალი ფანჯარაში გადამტერა ძუძუშოვარა ბავშვით. ამავე დროს იმისი მეუღლე სამეშვერიდან მოვარდა და მოინდომა სახლში შევარდნა. იმ ყაზახმა, რომელიც კარების შესავალს იცავდა, მოუღერა თოფი და შესძახა, არ გაბედო შესვლა, თორემ ეხლავე გაგათავებენო, ამ დროს ქმარს შეუმჩნევია, რომ იმისი ცოლი ფანჯრიდან გადახტა. შეშინებული ქალი ბავშვისაგან გარიზოდა იქვე თავის ნათესავის სახლისაკენ. ამის შემდეგ ყაზახებს გაუღიათ ყუთი, ფულად ამოუღიათ ოთხი მანეთი, ვერცხლეული და ამ ნადავლით საჰხერისაკენ გამგზავრებულან. დავესწარი და მხახეული ვარ ამ ამბისა... *)

16 თებერვალს დაჩხრიკეს, ხოლო 24 თებერვალს გადასწვეს როსტომ იაშვილის საცხოვრებელი, 10,000 მან. ღირებული. წვრილ-ცოლშვილიან კაცს აღარაფერი შერჩა თავის შესაფარებლად. აი ხელმოწერილი საბუთი ამის შესახებ:

„1906 წელს თებერვლის 16 დღესა საჰხერიდან სოფ. არგვეთში გამოვიდა იქ მდგომ საპიორის ყაზახთა პოლკის ნაწილი, ასე თექვსმეტ ყაზახამდე თავიანთ უფროსის მეთაურობით. ადგილობრივ ბოქაულის ბ. ალხაზიშვილის თანდასწრებით ალაკ შემოარტყეს ჯიბო და იოსებ იაშვილთა შვილების როსტომ და ელადიმერ იაშვილების სეხლებს. ბოქაულმა ბ. ალხაზიშვილმა (ამ დროს უკვე ნაშუალამეს 2 საათი იქნებოდა) გააღვიძა როსტომი და ჰკითხა, შენი ძმა ელადიმერი სად არისო? რადგანაც როსტომისაგან პასუხი მიიღეს, რომ მან არ იცოდა თავის ძმის სადმე ყოფნა, უფროსმა ბრძანება მისცა ყაზახებს, შესულიყვნენ სახლში დასახრეკად. ვისაც ეძებდენ, ვერ ნახეს, მაგრამ ყაზახებმა თუ რაზე მოახელეს, როგორც როსტომისა, აგრეთვე ჯიბოს სახლში, ყველაფერი წაიღეს. წასვლის დროს უფროსმა წინადადება მისცა როსტომს, რომ თუ სამი დღის განმავლობაში შენი ძმა ელადიმერი არ მოგიყვანია, გამოვალთ და შენი ოჯახობით გაგანადგურებთო, მართლაც გამოვიდნენ. ოთხი დღის შემდეგ, 21 თებერვალს, მოუკიდეს ცეცხლი (ესე დილის 10 საათი იქნებოდა) და გადასწვეს სახლი ყოველივე ავეჯეულობით. სულ 6000 მანეთისა. გადაიწვა სასიმინდე, ბეღელი, მარანი, თავლა, სამზარეულო და საბძელი. სახლი და ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული, რომ ამ დროს მოვიდნენ მეზობელი გრიგოლ და მიხეილ მაკვარიანები. ამ უკანასკნელმა ყაზახების უფროსს სთხოვა განადგურებული ოჯახის პატრონის თავშესაფარად საბძელი მაინც დაეტოვებინა, მაგრამ არაევით მუდარამ არ გასჭრა და ისიც გადასწვეს. დაწვის დროს პატრონსს არაფერი არ გადაურჩენეს და რაც

*) ხელს აწერს ცხრა კაცი. ამათ ჯვარებს სასამართლოს წარვუდგენთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოახელეს, ამ დღესაც ბევრი ნივთეულობა წაიღეს. ყოველივე ამის მნახველნი და როსტომ და ვლადიმერ იაშვილებს მთელი საცხოვრებელის განადგურების მოწამენი ვართ და შეგვეძლია ფიცითაც დავამტკიცოთ... [7]) აქ აწერილ ამბის ეითარება იციან აგრეთვე სოფელ არგვეთის მცხოვრებთ .. [8])

„ცნობის ფურცლის“ ერთს ნომერში აწერილი იყო ამბავი ჭიათურაში მდგომ ხოპერის ყაზახთა პოლკის ყაზახების გამასპინძლებისა სოფელს კიცხში თავ. ლეონიძესთან, იქვე მომხსენებელი იყო, რომ რამდენიმე ყაზახმა ლეონიძის სახლის მახლობლად ხელში ჩაიგდო ობოლი ქალი, გასათხოვარი, 18—19 წლისა. ეს ქალაშვილია აწ უკვე გარდაცვალებულ...ძისა[9]). ამ ამბის მნახველნი არიან...[10]) დედას გალეშილ ყაზახების ხელიდან ქალი ვეღარ დაუხსნია. შემდეგ მას მიჰშველებია ყაზახთა აფიცერი და ქალი პატრონისათვის დაუბრუნებიათ.

„აი კიდევ რა ამბავი მოხდა 13 მარტს, ასე ნაშუადღევის 4 საათზე, სოფელ რკვიაში. რკვიის სადგურზე ჩამოხტა სათადარიგო აფიცერი[11]) თავის მეუღლითურთ. აფიცერი სოფლის სასწავლებლის მასწავლებელთან... ერთად მიდიოდა... სოფლის მღვდელთან. როდესაც მგზავრები გადასულან რკვიის ღელეში, შეუმჩნევიათ სამი ყაზახი, როშელთაც სოფლიდან ჩაეთრიათ ხევში ამ სოფლის მცხოვრების.. მეუღლე და შესდგომოდენ თავიანთ განზრახვის ასრულებას. როგორც მნახველთ შეუნიშნავთ, საწყალს ქალს დიდხანს ებრძოლნია. ბოლოს სამ კაცს დაეძლიათ და წაეტაცებიათ. მნახველნი იმ დროს წასდგომოდენ თავს, როცა ორს ქალი გაკავებული ეჭირა, ხოლო მესამე პირუტყვობისათვის ემზადებოდა. როცა ყაზახებს თვალი მოუკრავთ აფიცრისათვის, ქალი მიუტოვებიათ და გაქცეულან. ქალი ჩავარდნია მუხლებში აფიცერს და ქვითინით უთხოვნია: მიშველე, გადამარჩინე ამათ ძალადობასო. აფიცერს ქალი წაუყვანია და რკინის გზის ლიანდაგზე ერთის მებუტკისათვის მიუბარებია. შემდეგ ქალს პატრონები გამოსჩენია და წაუყვანიათ.

„ამაზე უფრო შემაძრწუნებელი ძალმომრეობა მოხდა საჩხერის საბოქაულოს არგვეთის საზოგადოების სოფელ დიურვეში. ღამე თავს დაესხენ გასაჩხრეკად ამ სოფლის მცხოვრებს მათე ხარშილაძეს. აწამეს თვით მათე, ხოლო იმისი მეზობელი ქალი...[12]) რომელიც იმ ღა-

---

[7]) ხელი უწერია ხუთ კაცს. აწ მოწმეებსაც სასამართლოს წარეუდგენენ.

[8]) ჩამოთვლილია გვარები.

[9]) ორიგინალში სრული გვარია აღნიშნული.

[10]) მოწმეებს სასამართლოს წარეუდგენენ.

[11]) როგორც ამას, ისე ქვემოდ დასახელებულთა გვარებს ვერ ვბეკდავთ და თუ საჭირო იქნება, სასამართლოს წარეუდგენენ.

[12]) გვარს ვერა ვბეკდავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეს მასთან სტუმრად იყო, გააუპატიურეს. ბევრის ტანჯვით დაავადმყოფებული ქალი სოფელ კორბოულოში წაიყვანეს საექიმოდ. ქალის გაუპატიურებას დასწრებია... [13]) ამასვე შეამოწმებენ ახლო-მახლი მცხოვრებნი.

სოფ. თვალიკეთის ერთმა მცხოვრებმა შეგვატყობინა, რაც დაამოწმეს მღვდელებმა...[14]) რომ სოფელს ბოსლევში მარტის შუა რიცხვებში შევარდნილან ყაზახები ამ სოფლის მცხოვრებ უფლისა მახათაძისას. რა უყვეს მახათაძის მეუღლეს, ჯერ არ იციან, მხოლოდ ასეთს თავს დაცემას შედეგათ მოჰყვა მახათაძის მეუღლეს მაკრინეს ჭკუიდან შეშლა. გაგიჟებული ქალი ბოსლევიდან წაუყვანიათ სოფელ თვალუეთში მამის სახლში. ქალის მორჩენის იმედი აღარ არის. სოფელს ბოსლევში დარაჯები და ყაზახები შევარდნილან მიხეილ მულაძის და გიორგი მჭედლიძის სახლში. აფრ. მერკვილაძეს უკან სდევნიდნენ. როცა ამათ გზათ გაუვლიათ ბოსლევში, 16 მარტს ჯარი შევარდნია მცხოვრებთ. აღნიშნული გლეხები ძალიან შეშინებულან. შიშისაგან ლოგინად ჩავარდნილა მიხეილ მულაძე და რამდენსამე დღის შემდეგ გარდაცვლილა კიდეც. მულაძის გვამი 21 მარტს დაკრძალეს. გიორგი მჭედლიძე დღესაც ჭკუაზე ვერ მოსულა. ხანდისხან მთელს საათებს ბოდვაში ატარებს. ამ ამბებს მთელის ბოსლევის მცხოვრებნი დაამტკიცებენ.

თუ ეს საბუთები, თუ ეს ფაქტები საკმაო არ იქნება, მოგვცენ მეტი დრო და დაურღვეველ ფაქტებს ათასობით მოგაწვდით. შესაძლებელია ყოველივე აქ მოხსენებული დამტკიცებულ საბუთად არ ჩასთვალონ. თუ ჩვენსას არ ირწმუნებენ, მაშინ ნება მისცენ პირუთვნელ სასამართლოს გამოიძიოს და გამოიკვლიოს ყველაფერი.

ყველა ეს, როგორც ვსთქვით, ამ სამ დღეში მოგვაწოდეს და მხოლოდ მკრთალი აჩრდილია იმისი, რაც ჩვენ ქვეყანაში მოხდა იანვრის შუა რიცხვებიდან დაწყებული. მიაქციეთ ყურადღება იმ გარემეობას, რომ ყოველივე ეს ხდებოდა სწორედ იმ დღეებში, როცა გენ. ალიხანოვი დეპეშით აცნობებდა კავკ. ნამესტნიკს სხვა და სხვა ადგილებიდან, რომ მცხოვრებნი წინააღმდეგობას არ უწევენ ჯარს, რომ ხალხი მორჩილებითა და სინანულით უხვდება ყველგანო. მორჩილება და სინანული და ამავე დროს ცეცხლითა და მახვილით დასჯა მთელი ქვეყნისა, დარბევა და გაუპატიურება! ბ-ნი ტფ. გენ.-გუბერნატორი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს იმ ცნობებს, რომელიც ქალების ნამუსის ახდას შეეხება და საბუთებს გვთხოვს. ცეცხლის წაკიდების, გაძარცვის და მოკვლის ამბების დამტკიცება

---

[13]) მოწმეს სასამართლოს წარუდგენთ.

[14]) მოწმეებს სასამართლოს წარუდგენთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალურ საბუთებით აღინიშნება, რადგან სისხლის სამართლის კანონის ძალით ,პოლიციამ უთუოდ უნდა შეადგინოს ოქმები ამ შემთხვევათა შესახებ; ხოლო ქალის გაუპატიურება, თუ თითონ დაზარალებულმა არ იჩივლა, პოლიციას ადვილად გამოეპარება. ჩვენი ხალხი, ჩვენებური ქალები ამ სისაძაგლეს ისეთ სამარცხვინო უბედურებათ სთვლიან, რომ არა თუ პოლიციას, თავის მახლობელთაც უმალავენ. ასეთ ბოროტმოქმედების შესამოწმებლათ მეზობლებიც არ გამოვლენ მოწმედ, რათა „საქვეყნოდ სახელი არ გაუტეხონ ქალს". მოდი და ახლა, იმ საშინელ პირობებში, რომელშიაც დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი არიან, იშოვე მოწმეები ისეთი ფაქტების შესახებ, რომლის გამოქვეყნება ხალხს უდიდეს თავის დამცირებათ მიაჩნია?! რაც შეეხება კერძოდ შორაპნის მაზრიდან მოწერილს ამბავს, რომელსაც გენ. გუბერნატორი აღნიშნავს და რომელიც „ნოვ. ობოზ." გადაუთარგმნია, იგი ზემოდ არის შემოწმებული მნახველთა და მოწმეთაგან და სრულიად ეთანხმება ჩვენს კორესპონდენციას; ხოლო „ნოვ. ობოზ."-ს ცუდათ გადაუთარგმნია, რაც ჩვენი ბრალი არ გახლავს. მაგალითად, იმ კორესპონდენციაში ერთ ქალზეა ლაპარაკი, „ნოვ. ობოზ." კი სთარგმნის—ბევრი ქალია გაუპატიურებულიო...*)

ოფიციალურ ფაქტებს და მოწმე-დამსწრე-დაზარალებულთა ზემოდ აღნიშნულ ცნობებს უნდა დავუმატოთ, რომ მოგვივიდა სხვა და სხვა სანდო და წარჩინებულ პირთა და ცნობილ მოღვაწეთაგან წერილები და დეპეშები, რომლითაც გვატყობინებენ: მზათა ვართ ყველაფერი შევამოწმოთ, **თუ საქმე ნორმალურს პირობებში იქნა ჩაყენებულიო,** ესე იგი, თუ სასამართლო დაგვიბარებს ან სენატის რევიზიის მოდდენას გადასწყვეტს მთავრობაო. ვისაც მართლა ჰსურს სინამდვილის და სიმართლის გაგება, ის გვერდს არ აუხვევს ნორმალურს გზასაო. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს დეპეშას, ერთს წერილს და ერთს შემონათვალს.

1. კავკასიაში კარგათ ცნობილი რუსი-ჟურნალისტი ორესტ-სიომინი მოსკოვიდან დეპეშით იტყობინება: „ეს არის ახლა წაიკითხე დეპეშებში მუქარა, რომლითაც ტფ. გენ.-გუბერნატორს მიუმართავს „ცნ. ფურცლისათვის". ვამოწმებ, რომ მე თითონ ადგილობრივ (დასავლეთ საქართველოში), დავრწმუნდი, რომ ცეცხლის წაკიდება, ძარცვა-გლეჯა და ხალხის ხოცვა ხაშურიდან ქუთაისამდე,

*) „ნოვ. ობოზ." ამ ყამად შეჩერებულია და ამიტომ ვამბელთ ამას; თავის დროზე უყურადღებოთ დავტოვეთ ცუდი თარგმანი, რადგანაც მოსალოდნელი იყო რეპრესიის გამოწვევა იმ გაზეთის წინააღმდეგ, რომელმაც გააზვიადა ჩვენი ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ჯარის მოქმედებაა. ამას შეამოწმებენ რუსი მოხელეები, მალაკნები, „სკაპცები“ და წარჩინებულნი მკვიდრნი. ბ-ნ ორესტ-სემინმა თითონ მოიარა აღნიშნული ადგილები და **თვით რუს მოხელეთა და რუს მცხოვრებთა** შემწეობით გაიგო ყველაფერი. წაიკითხეთ მისი აღმაშფოთებელი წერილები „ტფ. ლისტ“-ში და დაგვეთანხმებით, რომ გენ.-გუბერნატორისთვის ეს წერილებიც გამოდგებოდა უტყუარ ფაქტებად.

2. ქუთაისიდან სხვათა შორის იწერება მანჯურიის სამხედრო ექიმად ნამყოფი ბ-ნი ვ. ბაქრაძე *): არ ვიცი, რა საბუთები უნდა ბ-ნს გენ.-გუბერნატორს, მაგრამ თუ იმისთვის მოწმეთა ჩვენებას რაიმე მნშვნელობა აქვს, მზადა ვარ მე მოვალეობა ვიკისრო. თუმცა უზრუნველყოფილი არა ვარ, რომ ასეთ კადნიერებისათვის კარგს საქმეს არ დამაყრიან, რომ კაკასიიდან არ გამაძევებენ, ან გზაშივე არ მომკლავენ, მაგრამ მაინც მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს სიმართლე ვაღიარო. ვერ დავმალავ, როგორ დათარეშობდნენ აღვირ-წაშვებული ჯარები ქუთაისს და სხვა ადგილებში; ვერ დავმალავ, რა მოუვიდა რაჟის მაზრას (ჩემ იქ ყოფნის დროს), როცა პოლკოვნიკი გავრილოვი, თავისი „ატრიადით“ ეწვია, როგორ გადასწვეს და გაკარცვეს **სრულიად უდანაშაულო ხალხი**; ვერ დავმალავ რა საშინელი ტანჯვა და შეურაცყოფა მიაყენეს ხალხს, რომელსაც წანააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და არც უფიქრნია“...

ჩვენთან იყო სენაკიდან საგანგებოთ ჩამოსული კაცი, რომელმაც გადმოგვცა: თქვენ გემუქრებიან, თითქმის ჯორების ბეჭვდას გაბრალებენ. უცნაური ბრალდებაა. ჩვენ, სენაკელებს, შეგვიძლია **ფიცქვეშ** დავამოწმოთ, რომ ბევრად უარესი დღე გაგვითენეს. ვიდრე გაზეთებში იყო აწერილი. თუ კანონით სასამართლო მოითხოვს ან უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი პიროვნება და ჩვენი ოჯახი, მზადა ვართ დავამტკიცოთ, რა უბედურება მოუვლინეს ჩვენს დაბასა და ახლო-მახლო სოფლებს ჯარებმა...

გავიხსენოთ, დასასრულ, რა წარმოთქვა ქუთაისის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე** თავ. დავით მიქელაძემ: ეს ხომ „შეამბოხეთა“ კრება არ იყო და ვეჭვობთ, რომ თვით უსასტიკესმა გამომძიებელმა არაფრად ჩასთვალოს თავად-აზნაურთა ოფიციალური კრების ხმა. აი, სხვათა შორის, როგორ დაახასიათა თავ. მიქელაძემ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა:

„უკანასკნელ ხანებში ჩვენს სამშობლოს ისეთი უბედურება დაატყდა, რომლის მსგავსს საქართველო არ მოსწრებია თვის ხანგრძლივ წარსულში. როცა გა-

*) მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამ საინტერესო წერილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვებული მტერი არბევდა ქალაქებსა და სოფლებს, სწყვეტავდა ხალხს და ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა, მას წინააღმდეგობას უწევდა შეიარაღებული ქართველი ერი, ამ შემთხვევაში შემოსეულ ეელურ ბრბოს ესიზოლოგია ადვილი გასაგები იყო, ამიტომ მოორჩილების გამოცხადებასთან ერთად შემოსეული მტერი სპობდა დევნასა და შურისძიებას; ასევე ექცეოდენ საქართველოს დაფეძნებელნი მტერნი წინად, მაგრამ განა იგივეა ეხლა, როცა ჩვენ მტერი კი არა გვყავს, არამედ ის, ვინც იტვირთა ქვეყნის დამშვიდება, ხალხის მტრისაგან დაცვა და მოქალაქობრივ თავისუფლების შექმნა?

მთელს ქალაქებს, დაბებს და სოფლებს ულმობლად ანგრევენ და სწვავენ, ხალხი თავს იფარავს მთებსა და ტყეებში და ვინც ამას ვერ ასწრობს, სასტიკად ისჯება—მამაკაცებს უწყალოდ სცემენ, დედაკაცებს ნამუსსა ხდიან საკვეყნოდ.

ჯარდა იმისა, რომ კანონი და სამართალი აღარ არსებობს, მოსპობილია აგრეთვე კაცთმოყვარეობა იმ ხალხის მიმართ, რომელიც მორჩილებაში სულსა ღაფავს".

ქალაქებსა და დაბა-სოფლებს ანადგურებენ, მცხოვრებთა ძარცვავენ და არბევენ, მამაკაცთ სტანჯავენ, დედაკაცთ ძალათ ნამუსსა ხდიან; აღარ არსებობს არც კანონი, არც კაცთმოყვარეობა. ეს აღნიშნა თავად-აზნაურთა კრებამ და დასძინა: მოვითხოვოთ ნამესტნიკისაგან გამოძიება, სენატის რევიზიაო. ამასვე ამგვარ საშინელებაზე ვსწერთ ჩვენც ორი თვეა და ვიმეორებთ ახლაც, რომ სინამდვილე უარესია და თუ არ სჯერათ, დაინიშნოს ნამდვილი სამართალი, მოხდეს სენატის უსასტიკესი რევიზია და მაშინ გამოაშკარავდება, ვინ ამბობდა მართალს—„კავკაზის"-ს ოფიციალური დეპეშები, თუ „ცნ. ფურც." კორესპონდენცია-წერილები. თორემ გაზეთის დახურვა დღეანდელს პირობებში არავის გაუკვირდება და არც არავინ მიიღებს ამ გარემოებას იმის დამამტკიცებელ საბუთად, ვითომ გაზეთმა თავი ვერ იმართლა და სიცრუისათვის დაისაჯაო.

P. S. დღეანდელი ნომერი ჩვენი გაზეთისა გაეგზავნება კავკასიის ნამესტნიკსა და ტფ. დრ. გენ. გუბერნატორს. ამასთანავე ჩვენმა რედაქტორმა შემდეგი განცხადება წარუდგინა ნამესტნიკს:

„მისმა აღმატებულებამ ტფილისის დროებით გენ.-გუბერნატორმა ეცვი შემოიტანა ჩემზე, ვითომც გაზ. „ცნობ. ფურცელში", რომელიც ჩემის რედაქტორობით გამოდის, იბეჭდებოდეს ისეთი წერილები ქუთაისის გუბერნიიდან, რომელნიც არა სინამდვილით ხატავენ ხსენებულ ადგილებში მომქმედ ჯარის ქცევას. ამიტომ ბ. გენ.-გუბერნატორმა წინადადება მომცა შვიდ დღეში წარმომედგინა საბუთები დაბეჭდილის დასამტკიცებლად". თუ ეს საბუთები არ იქნა წარმოდგენილი, მაშინ გაზეთი „ცნობის ფურცელი" დაიხურება და ვერ გამოვა, სანამ ქალაქ ტფილისში სამხედრო წესი იქნებაო.

ამ განცხადებასთან წარმოდგენილ „ცნობის ფურცლის" ნომერში მოყვანილია ზოგი ოფიციალური დოკუმენტები; გარდა ამისა რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაქციას აქვს იმ პირების სია, რომელნიც მზად არიან დაამოწმონ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ ცნობების სინამდვილე. უფრო დაწვრილებით „დაურღვეველ საბუთების“ წარმოდგენისთვის კი საჭიროა:

1) უფრო გრძელი ვადა, დაახლოვებით ორი თვე;

2) თქვენი ნებართვა, რომ შეიძლებოდეს თავისუფლად ვისარგებლოთ ოფიციალურის მოხსენებებით მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში.

3) გაგზავნა თქვენის საგანგებო მოხელისა „ცნობ. ფურც.“ ორ თანამშრომელთან ერთად ქართლსა და დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ გამოსაძიებლათ და.

4) სრული ხელუხლებლობა იმ პირებისა, რომელნიც ფიცის ქვეშ შეამოწმებენ ყოველგვარ ძალმომრეობას.

როცა ეს პირობები ასრულებული იქნება, რედაქცია აღნიშნულ ვადის განმავლობაში დაამტკიცებს, რომ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდა „მხოლოდ სულ პატარა ნაწილი იმ ფაქტებისა, რომელნიც ახასიათებენ ეგრედ წოდებულ „დამსჯელ რაზმების“ ძალმომრეობას საქართველოში.

ხოლო ჭეშმარიტება, რომელსაც ასე გულმოდგინეთ ეძებს გენერალ-გუბერნატორი, საუკეთესოდ გამოირკვევა ან საჯარო სასამართლოს შემწეობით, ან სენატის საჯაროვე რევიზიით, რომლის შესახებ საკითხი აღიძრა სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებაზედაც“.

ქვემოდ მოყვანილი საბუთები ამოღებულია კავკასიის სამხედრო საოლქის შტაბის **საიდუმლო** საქმიდან (1905 წლ.); ეს საქმე შეიცავს „1905 წელს კავკასიაში მომხდარ არეულობებს“.

პეტერბურგი—სამხედრო მინისტერს. № 197.

მიხეილის ციხის კომენდანტმა მომახსენა, რომ 30 ნოემბერს ქალ. ბათუმში უეცრად იფეთქა სახალხო აჯანყებამ, აჯანყებულებმა მყისვე ააგეს ბარიკადები, ესვრიან ჯარს, ყაზარმებს, ისვრიან აგრეთვე ქუჩებში. ციხის რაიონში კომენდანტმა საალყო წესები გამოაცხადა. მეციხოვნე ჯარი ცოტაა. ციხის მდგომარეობა საშიშია. ოლქში ჯარის რაოდენობა მცირეა და რაც არის, ისიც დარიგებულია სხვადასხვა ადგილებში ადმინისტრაციის დასახმარებლათ, რათა ასე დაწყნარებულ იქნას ეროვნული შუღლი სომეხ-თათართა შორის, რომელმაც უკანასკნელ დღეში ტფილისშიაც იჩინა თავი. საერთოდ მდგომარეობა კავკასიაში საშიშია. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

პეტერბურგი—სამხედრო მინისტრს. 28/X 1905. № 240.

ქუთაისის გუბერნიაში და საერთოდ მთელს კავკასიაში საქმეთა ვითარების გამო ვშეუამდგომლობ დაუყოვნებლივ გამოგზავნილ იქნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის გუბერნიაში ზღვით—ფოთით, ერთი დივიზია ქვეითა ჯარი არტილერიით, „ობოზით“ და ჰოსპიტალით. ამ დივიზიის ერთი პოლკიდან ორი ბათალიონი და პოლკის შტაბი დატოვებულ იქნას ეკატერინოდარში, ორი ბათალიონიც ნოვოროსსიისკში. დღეს გაიგზავნა ოზურგეთში საექსპედიციო რაზმი ალიხანოვის მეთაურობით, გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადის ექვსი ბათალიონი არტილერიითურთ და ოთხი ასეული ყაზახებით. თავისუფალი ჯარი სხვა არ მოგვეპოვება გენერალ-ადიუტანტი **გრ. ვორონცოვ-დაშკოვი**.

პეტერბურგი—სამხედრო მინისტრს 7/XI № 175.

საქმეთა სისწრაფე მოითხოვს ნება დამრთოთ, რათა ორასამდე ჯარისკაცი გურულები და იმერლები ქუთაისის გუბერნიაში გასაგზავნ გრენადერთა დივიზიის პირველი ბრიგადიდან გამოვაცალკევო და გადავიყვანო შიდა ოლქების ჯარებში. ნებართვას მოველი დეპეშით,

გენერალ-ადიუტანტი **გრ. ვორონცოვ-დაშკოვი**.

ტფილისში—ქუთაისიდან. 8/XI 1905.

პლასტუნების გამოყვანას ოზურგეთიდან შესაძლოა არასასურველი შეტაკება მოყვეს მცხოვრებლებთან. ამის თავიდან ასაცილებლათ გთხოვთ გამოგზავნოთ უმაღლესი სამხედრო პირი, რომელიც ჯარს მიიღებს გამოსაყვანად. გუბერნატორი **სტაროსელსკი**.

სამხედრო მინისტრის შიფრიანი დეპეშა. 30/X. 1905. წ.

მთელს რუსეთში თავისუფალი დარჩა მხოლოდ მე-42 დივიზია, რომლისგანაც ახლა გამოყოფილ იქნა ნაწილები ჩერნიგოვის და სარატოვის გუბერნიაში დაწყებულ საშიშ უწესოებათა ჩასაქრობათ. ამიტომ კავკასიის ჯარების გაძლიერება თითქმის შეუძლებელია. გთხოვთ განიხილოთ პლასტუნთა და ცხენოსან ყაზახთა ნაწილების გაწვევის მესამე რიგი. გენერალი **რედიგერი**.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს

(მეფის მოადგილის კანცელიარიისგან 9/XII 1905 წ. № 1266.)

სასწრაფოდ—საიდუმლოდ

მეფის მოადგილის მაგიერმა გენ. ლეიტენანტ მალამამ ბრძანა: ვინაიდან 25 დეკემბრისათვის მოსალოდნელია ქუთაისის გუბერნიაში არსებულ ხაზინებზე თავდასხმა

1) სამტრედიაში დაბანაკებულ ყაზახთა ორ ასეულს მიეწეროს დაუყოვნებლივ გადაიტანოს სენაკის ხაზინის ყოველგვარი ქონება და მოათავსონ ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) ამ საქმის შესრულების შემდეგ იმავე ასეულებმა გადაიტანონ ყვირილის ხაზინა ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში.

3) უკეთუ მე-33 დივიზიის რომელიმე პოლკი მოვა ყვირილაში ზემოაღნიშნულ ყაზახებზე უფრო ადრე, ამ დავალების შესრულება მიენდოს ამ პოლკს.

კანცელარია აცნობებს ამას თქვენს აღმატებულებას სათანადო განკარგულების მოსახდენათ. დირექტორი **პეტერსონი**

პეტერბურგი—სამხედრო მინისტრს.

მესამე რიგის პლასტუნთა ბათალიონში არეულობაა, ამიტომ არ შემიძლია ვსთქვა როდის იქნება შესაძლებელი ორი იმათგანის ადესაში გაგზავნა. გენერალ-ადიუტანტი **გრ. ვორონცოვ-დაშკოვი.**

სამხედრო მინისტრის წერილი (15/XII—1905 წ. № 1823). კავკასიის მეფის მოადგილის, მისი ბრწყინვალების გრაფ ილარიონ ივანეს ძისადმი.

13 დეკემბრის სხდომაზე მინისტრთა საბჭომ აღიარა, რომ არეულობის გაერცელება-გაძლიერება და მის წინააღმდეგ ბრძოლის მცირე შედეგი დიდათ არის დამოკიდებული იმისგან, რომ ჯარები ასეთ შემთხვევაში ვერ მოქმედობენ გადაჭრით.

სხვადასხვა ხასიათის არეულობათა ჩასაქრობათ, რა თქმა უნდა, იარაღის ხმარებას უნდა ერიდოთ, მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არეულობის მონაწილენი იარაღს მიმართავენ ან ძალადობას, ჯარებს უნდა ებრძანოს თავის მხრით ყოვლის უყოყმანოდ მიმართონ იარაღს არეულობის დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

ზემოხსენებულის შესახებ მინისტრთა საბჭომ მომანდო მე ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებას სათანადო განკარგულებისათვის.

რედიგერი.

პეტერბურგი—სამხედრო სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს.

კავკასიის საოლქო საინტენდანტოს სამმართველოს უფროსი „სტოლონაჩალნიკის“ მიხეილ ფენდელის ვაჟი, რომელიც სწავლობს ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში, 22 ოქტომბერს მონაწილეობას ღებულობდა პატრიოტულ მანიფესტაციაში ხელმწიფე იმპერატორის სურათით ხელში. ქუჩაში მომხდარი არეულობისა და სროლის დროს, რომლის შესახებაც მთავარმა სარდალმა უკვე მოახსენა დეპეშით დიდი მთავარს კონსტანტინე კონსტანტინესძეს, აღნიშნული ფენდელი დაიჭრა თავში თოფის დუმით. ამ ჟამად რევოლიუციონური პარტია ფენდელს სიკვდილით ემუქრება პატრიოტულ მანიფესტაციაში მონაწილეობისათვის. ფენდელის დედის შუამდგომლობის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახმად მთავარსარდალმა მიბრძანა ვიშუამდგომლო ფენდელის ახლა-ვე ელისავეტგრადის საკავალრო სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ. ეს სასწავლებელი დაამთავრა მისმა უფროსმა ძმამ, რომელიც ეხლა ითვლება მე-25 დრაგუნის ყაზანის პოლკის კორნეტად. თუ შეუძლებელია მისი ელისავეტგრადის სასწავლებელში მოთავსება, მისი ბრწყინვალება შუამდგომლობს მიღებულ იქნას ის შიდა ოლქის ერთ ერთ სამხედრო სასწავლებელში. მოგახსენებთ რა ამას გთხოვთ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის გადაწყვეტილება მაცნობოთ დეპეშით.

გრიაზნოვი.

ქუთაისის
დროებით გენერალ-გუბერნატორი.
12 იანვარი 1906 წ.
№ 1

ყვირილა.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს.

ტენგინის პოლკის განიარაღებული როტები ამ ჟამად ქუთაისში იმყოფებიან, სადაც შორაპნის მაზრისა და ყვირილის საქმეთა ვითარების გამო, ორ დღეზე ადრე ვერ გავემგზავრები. ამიტომ რადგანაც ჩემთან არ იმყოფება ამ როტის არც ერთი შემადგენლობა, თქვენს აღმატებულებას ვაახლებ მთავარ სარდლისათვის მოსახსენებლათ ხსენებული პოლკის მესამე ბათალიონის უფროსის რაპორტს, სადაც ყველაფერი ის, რაც როტებს შეემთხვა, მოთხრობილია დამსწრის, შემანქანის შუბინის მიერ.

მომხდარი კატასტროფის ბრალი ედება როტის უფროსს, რადგანაც 11 როტის უფროსს შტაბს-კაპიტანს დავიდოვს მიჰყავდა ეს როტა ყოველგვარი დაზვერვისა და სამხედრო სიფრთხილის გარეშე, მე 12 როტის კაპიტანი ესიეკი კი მოტყუებულ იქნა.

ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენების თანახმად ეს როტები საშინლად არიან აღელვებულნი. ისინი გამოცხადდენ კიდეც გენერალ-ლეიტენინტ შიშკოვსკისთან და სთხოვეს იარაღი, რომ ასე მათ მიეცეს შესაძლებლობა აღადგინონ თავიანთი სამხედრო პატივი. გენერალმა ისინი უარით გაისტუმრა. მე კი ვუბრძანე მიეცათ მათთვის იარაღი ბესარაბიის ქვეითა პოლკიდან.

თანახმად თქვენი დეპეშისა (11 იანვარი № 57) ამასთან ერთად გაახლებთ ჩემი ბრძანების ასლს, რომელიც წაკითხულ იქნა დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა აფიცერთა კრებაზე. ამას გარდა ესევე მოთხოვნა მე დავადასტურე სიტყვიერად კატეგორიულად.

ამავე კრების თანდასწრებით, ხელის ჩამოწერთმეველად, მოკლედ ავუხსენი ბ. ბ. სტაროსელსკის და ყიფშიძეს, რომ კავკასიის უმაღლეს მთავრობას მათი ხელისუფლების საათავეში დარჩენა არ მიაჩნია საჭიროდ და დღესვე პირველი მატარებლითვე გაემგზავრონ ტფილისში ჟანდარმთა ადიუტანტის და 4 ჟანდარმის „კონვოის“ თანხლებით,— ვინაიდან მცხოვრებნი და ჯარი იმდენათ არიან აღშფოთებული მათი მოქმედებით, რომ მათ ყოველის მხრიდან სიკვდილით ემუქრებიან.

ქუთაისისკენ წასასვლელად მოველოდები ჭიათურიდან 2 ბატალიონს, რომელიც გაგზავნილია იქ რევოლიუციონერთა შესაპყრობათ.

ქუთაისში პანიკაა. არეულობის მეთაურები ფოთისკენ გარბიან. ეუბრძანე ფოთის პოლიცმეისტერს გაჩხრიკოს, განაიარაღოს და შეიპყროს ყველა საეჭვო პირები.

გუშინ საღ. რიონში შეპყრობილი იქნა 4 გამოჩენილი ქუთაეთური მეთაური, რომლებიც სამხედრო სასამართლოს გადაეცემიან. მოველი სასამართლოს ჩამოსვლას,

სტაროსელსკისა და ყიფშიძის ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში დაბრუნება, ვიდრე სრულიად არ დაწყნარდება და მოხსნილი არ იქნება სამხედრო წესები, მიმაჩნია შეუძლებლად. გენერალ-მაიორი **ალიხანოვი.**

ტენგინის პოლკის მე-3 ბატალიონის უფროსის რაპორტი (11/I—1906 წ. № 12) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

მოვახსენებ თქვენს აღმატებულებას მე-11 როტის უფროსის შტაბს-კაპიტანის დავიდოვის მოკვლისა და ამ როტის აჯანყებულთა მიერ განიარაღების შესახებ წყალსადენის მემანქანის გრიგოლ შუბინის ჩვენების თანახმად. აი რა აჩვენა მემანქანე შუბინმა: „კარგათ არ მახსოვს, მაგრამ ვგონებ 29 დეკემბერს მიღებულ იქნა დივიზიის უფროსის ბრძანება როტის ქუთაისში გამგზავრების შესახებ. ამ დროს მე როტაში ვიმალებოდი აჯანყებულებისაგან, რომლებიც მე ბრალსა მდებდენ ჯაშუშობაში და უნდოდათ ჩემი მოკვლა. 30 დეკემბერს დილის 7 საათზე როტასთან ერთად მეც გავემგზავრე ბელაგორიდან რკინის გზით ძრიოლის მიმართულებით. გავიარეთ რა სამი ვერსტის მანძილი ბელაგორიდან, ჩვენ შევედით ვიწრო ხეობაში ციცაბო კლდეებით; მზვერავები არ გაგვიგზავნია. წინ მიდიოდენ როტის უფროსი და უმცროსი აფიცერი პოდპორუჩიკი პოლეტაევი, სურსათი და ნივთები „ვაგონეტკით“ მიგვქონდა. როგორც კი შევედით ხეობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტყდა ხშირი სროლა როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან; სროლა მამართული იყო უმთავრესად შტაბს-კაპიტან დავიდოვისაკენ. იმ წამსვე დავიდოვის ბრძანებით როტა გაიშალა, გააკეთა „ცეპი", მაგრამ ისეთი ძლიერი იყო სროლა აჯანყებულთა მხრით უკანიდან და ზევიდან, რომ როტამ ვერ გაუძლო და საჩქაროდ იწყო დახევა ბელაგორისაკენ. როტის უფროსმაც გასცა ბრძანება უკან დახევის. ჩქარა ის დაჭრილ იქნა მძიმედ ზურგში. ჯარისკაცი ისაკ მაჩნი, რომელიც უფროსთან შიკრიკად იყო, მიირბინა მასთან საშველად, მაგრამ მეორე ტყვიამ მოჰკლა ჯარისკაცი და როტის უფროსი. როტის კომანდირის სიკვდილის შემდეგ როტა გაიქცა ბელაგორში, იქითკენვე გაემგზავრა პოდპორუჩიკი პოლეტაევი. 25 კაცამდე შეირბინა რკინის გზის ბუდეაში და შეთანხმებით 15 კაცმა გასწია ხეობით ბორჯომისაკენ, ამ დროს მათ, 30—40 კაცს, თავს დაესხენ აჯანყებულები და განაიარაღეს. წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია, რადგანაც პატრონები არ მოეპოვებოდათ. ნაწილი პატრონებისა გასროლილი აღმოჩნდა, ნაწილი დაეკარგათ. როტის დანარჩენ ნაწილს გარს შემოერტყენ ბელაგორის ახლოს და განაიარაღეს. აჯანყებულთა რიცხვის რაოდენობა დანამდვილებით არ შემიძლია ვთქვა, მაგრამ ეფიქრობ, რომ მათი რიცხვი 150 კაცამდე იყო. ბელაგორიდან როტა გაგზავნილ იქნა ჭიათურაში. 31 დეკემბერს დასაფლავებულ იქნა როტის უფროსი და ჯარისკაცი ისაკ მანი. დღეს მათი ცხედარი ამოთხრილი იქნა და გასვენებული ახალციხეში, სადაც პოლკის შტაბია.

იმავე დღეს ასეთივე ამბავი შეემთხვა ყვირილაში მე 12 როტას, მაგრამ მასალები შეკრებილია ხმების თანახმად. მოტყუილებით როტის კომანდირი ევსიევი მიიწვიეს შორაპანში, სადაც შეიპყრეს: შემდეგ ტელეფონთან მიიწვიეს უმცროსი ოფიცერი პოდპორუჩიკი ეასიევის სახელით და იქვე შეიპყრეს. შემდეგ დაუწყეს სროლა ფანჯრებიდან და კარებიდან როტის სადგომს. როტამ სროლითვე უპასუხა, ჩქარა დახარჯა ყველა პატრონები, ჩაბარდა აჯანყებულთ, მათ იარაღი აყარეს და გაგზავნეს ჭიათურაში. ჯარისკაცთა შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი, რაოდენობა არ არის გამოკვლეული. რამდენთან მართალია ხმები, არ შეშიძლია ამის შესახებ რაიმე ვთქვა.

მე-3 ბათალიონის უფროსი, პოდპოლკოვნიკი **ფედოტოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის მფრინავი
რაზმის უფროსი
10 იანვარი 1906 წ.
№ 1

ყვირილა.

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის
უფროსს.

რაპორტი.

ჩემდამო რწმენებული რაზმის მოქმედების შესახებ დღევანდელ რიცხვამდე მოგახსენებ შემდეგს:

ტფილისიდან გამოვედი მე 3 ეშელონთან ერთად 8 იანვარს საღამოს 6 საათზე და 9 იანვარს ღამით მივაღწიე სად. მიხაილოვს, სადაც დილის 9 საათამდე დავრჩი. ამ დროს მოვიდა მეოთხე ეშელონი პოლკოვნიკ ხოდზინსკისა. სად. მიხაილოვში გამოირკვა, რომ პოდპოლკოვნიკ ჩიქოვანის ავანგარდმა მიაღწია სად. რიონამდე და რომ რკინის გზა სად. რიონამდე შეკეთებულია და მოსამსახურენიც თავიანთ ალაგას არიან. ჩემდამი რწმუნებული რაზმის პირველი ორი ეშელონი (მე 2 პოლტავის პოლკის 2 ასეული) სად. მიხაილოვში არ აღმოჩნდა. აქ მოსულისთანავე ისინი შეერთებოდენ პოდპოლკოვნიკ ჩიქოვანის ავანგარდს. სად. მიხაილოვო დაეკავებია მე 13 ლეიბ-გრენადერის ერევნის პოლკის 2 როტას და 77 ტენგინის პოლკის ერთს როტას. აქვე აღმოჩნდა 77 ტენგინის პოლკის მე 3 ბათალიონის უფროსი. დანარჩენ სადგურებიდან დაკავებული აღმოჩნდა სად. ვარვარინო ერევნელების $^1/_2$ როტით, აგრეთვე სურამის გვირაბის შესასვლელი ერევნელთა $^1/_2$ როტით, გვირაბის გასავალი ტენგინთა $^1/_2$ როტით და სადგური წიფა ტენგინთა $^1/_2$ როტით. პოლკოვნიკ ნეიგებაუერთან შეთანხმებით გადავწყვიტე 77 ქვეითი ტენგინის პოლკის 1 როტა სად. მიხაილოვიდან გადამეყვანა სად. ბელაგორსა და მარელისისაკენ. მთელი ნაწილის დაცვა გვირაბიდან სადგურ ბელაგორამდე მივანდეე 77 ქვეითი ტენგინის პოლკის მე-3 ბატალიონის უფროსს. გზის ნაწილის დაცვა ბელაგორიდან ყვირილამდე აბარია ჩემს რაზმს. 9 იანვარს საღამოთი რაზმი ასე იყო განაწილებული: პოდპოლკოვნიკ ჩიქოვანის ავანგარდს (ორი ბათალიონი ერევნელებისა, 1 ასეული მეორე ეისკის პოლკისა, ერთი ასეული პლასტუნები, 2 ზარბაზანი, 2 ტყვიისმფრქვეველი და ორი ასეული მე-2 პოლტავის ყაზახთა პოლკისა) ეკავა სადგურები რიონი, აჯამეთი და სვირი. რაზმის მთავარი ძალების (ტენგინელების 2 ბათალიონი, 4 სროლელთა ბათალიონი, არტილერია ღა ტვიისმფრქვეველი)—იყოს სად. ყვირილაში. მესამე ეშელონის სად ბელაგორში დგომის დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოროტმოქმედებმა ცეცხლი გააჩინეს. ცეცხლმა გაანადგურა რამდენიმე ცარიელი სახლი. ამ სახლებიდან ნივთები წინდაწინ იყო გადატანილი. ესვე განმეორდა დ. ყვირილაში. როგორც კი მივიდა რაზმი ყვირილაში, სადგურის ახლოს მდებარე დაბის ნაწილში რამდენიმე ალაგას გაჩნდა ცეცხლი. აქ მცხოვრები ზოგიერთი რუსის განცხადებით სახლებს სწვავენ ადგილობრივი მცხოვრებნი (ტუზემცები) იმ მიზნით, რათა მცხოვრებნი გააბოროტონ ჯარის მიმართ. დაუნახავთ კიდეც „ტუზემცები“ (ადგილობრივი მცხოვრებნი), რომლებიც მაზუთიანი ვედრებით დადიოდენ, მაგრამ მათი დაჭერა არ მოხერხდა. ცეცხლის ჩაქრობა არ მოხერხდა, ვინაიდან ცეცხლის ჩასაქრობი მოწყობილობა ადგილობრივ დეპოდან რევოლიუციონერებს გაუტაცნიათ. რათა ჯარს ძარცვა-გლეჯაში არ მიეღო მონაწილეობა, სამხედრო მატარებლებს გარს ერტყა დარაჯთა „ცეპი“ და თვით დაბაში გაგზავნილი იყო დასაზვერავად აფიცრები. რათა ცეცხლის საშიშროება თავიდან ყოფილიყო აცილებული, საარტილერიო და საინტენდანტო ტრანსპორტები დატოვებულ იქნა ღამით სად. შორაპანში საპაორთა როტის მფარველობის ქვეშ.

9-ს საღამოთი ყვირილაში მოვიდა პოდპოლკოვნიკი ჩიქოვანი, რომელმაც მომახსენა, რომ გზა ქუთაისისაკენ გახსნილიაო. ქუთაისში პოდპოლ. ჩიქოვანმა რეპრესიული ზომების დამუქრებით მოსთხოვა მცხოვრებთ გაფიცვის მოხსნა და დუქნების გაღება, რაც დაუყოვნებლივ იქნა სასრულეში მოყვანილი. იქვე პოდპ. ჩიქოვანმა ჩააბარა განიარაღებული ტენგინელთა როტები, რომლებიც ტყვეობიდან გაანთავისუფლეს სად. შორაპანში რევოლიუციონერებმა. სად. აჯამეთში პოდპოლ. ჩიქოვანის ავანგარდს შეხვდა მატარებელი (ორთქმავალი და ერთი ვაგონი), რომელშიაც რევოლიუციონერები აღმოჩდნენ, აქ მოხდა ჯარსა და რევოლიუციონერებს შორის შეტაკება, მოკლულ იქნა 12 რევოლიუციონერი, გადარჩა ერთი. დაწვრილებითი არ შემიძლია გაუწყოთ პოდპოლ. ჩიქოვანის ავანგარდის მოქმედების შესახებ, ვინაიდან მოხსენება მე თითონ არ მიმიღია. როგორც კი მივიღებ. დამატებით მოგახსენებ.

10 იანვარს ასეთი ბრძანება გავიცი: 1) პოდპოლ. ჩიქოვანის ავანგარდმა ერევნელთა 2 ბათალიონის, 1 ეისკელთა ასეულთი, 2 ზარბაზნით და 2 ტყვიის მფრქვეველით წინ წაიწიოს სად. სამტრედიამდე რკინის გზაზე მოძრაობის აღსადგენათ და პოლკოვნ. კრილოვის რაზმთან კავშირის დასამყარებლათ. 2) მე 2 პოლტავის პოლკის 2 ასეული და პლასტუნთა ერთი ასეული დარჩეს სადგურ რიონში, რათა მათ გასწმინდონ ახლო-მახლო მდებარე ადგილები რევოლიუციონერთა ბრბოებისაგან და განიარაღოს ადგილობრივი მცხოვრებნი. 3) ტფილისელთა ერთმა ბათალიონმა და მე-4 კავკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის მსროლელმა ბათალიონმა[1]) წაიწიოს სად. ბელაგორისაკენ — აჯანყებულთა ამ მთავარი ბუდისაკენ, სადაც იარაღი აჰყარეს ტენგინის პოლკის როტებს, აეყაროს ადგილობრივ მცხოვრებთ იარაღი და მოეთხოვოს აჯანყების მეთაურთა გაცემა. მიცემული ამოცანის შესრულების შემდეგ ორივე ბათალიონს ებრძანა დაბრუნდეს ყვირილაში. 4) ტფილისელთა პირველი და მესამე ბათალიონები, საპიორთა როტა და არტილერია დარჩეს ყვირილაში.

10 იანვარს საღამოთი ბელაგორიდან ყვირილაში დაბრუნდა რაზმი, რომელმაც თან მოიტანა ერთი ხმალი და ერთი ხანჯალი (ორივე უვარგისი) არც აჯანყების მონაწილენი მოუყვანია, ვინაიდან ბელაგორიდან და მახლობელი სოფლებიდან მცხოვრებნი გახიზნულიყვნენ. ჯარების მიერ ბელაგორში, ჩხარში და ბაზალეთში მომხდარ ჩხრეკის შემდეგ, გამოურკვეველი მიზეზით, გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც სოფელ ბელაგორის დიდი ნაწილი გაანადგურა.

10 იანვარს მთელი დღის განმავლობაში დ. ყვირილაში ზოგიერთ ალაგას სახლები იწვოდა.

ხვალისთვის, 11 იანვრისთვის, მე ასეთი ბრძანება გავეცი: ორი ბათალიონი ტყვიისმფრქეველებით დაიძრას ჭიათურისაკენ, სადაც რევოლიუციონერთა მთავარი თავშესაფარია. იქ როგორც, ხმები დადის, რევოლიუციონერთა დიდმა ნაწილმა შეაფარა თავი. ერთი ან ორი დღის განმავლობაში აქ უნდა მოხდეს სასტიკი ჩხრეკა როგორც დაბაში, ისე შავი ქვის მაღაროებში, სადაც, როგორც ცნობებია, იმალება აჯანყებულთა ერთი ნაწილი გატაცებული ვინტოვკებით. დანარჩენი 2 ბათალიონის დახმარებით ეფიქრობ მოვახდინო ჩხრეკა დ. ყვირილაში.

საღ. რიონიდან დღეს მე მივიღე შემდეგი დეპეშა: „ქუთაისიდან პოდპოლ. ჩიქოვანის წამოსვლის შემდეგ დუქნები დახურულ იქნა და საგუბერნიო სამმართველოს მახლობელთან ცეცხლი გაუჩნდა მთელს უბანს. ქუთაისში დასაზვერავად არის აფიცერი პლასტუნებით. მოხსენებას გამოვგზავნი. შტაბს-კაპიტანი სიმონოვი“. სხვა მოხსენება ჯერ-ჯერობით არ მიმიღია. სურსათით რაზმი უზრუნველყოფილია. ყვირილაში იხსნება რაზმისათვის პურის საცხობი, ისე რომ ტფილისიდან პურის გაგზავნა საჭირო არ არის.

მე-77 ქვეითი ტენგინის პოლკის ორი როტის განიარაღების შესახებ ადგილობრივ მოსამსახურეთა და მცხოვრებთა ჩვენების თანახმად გამოირკვა შემდეგი:

---

[1]) 4 კავკასიის მსროლელთა ბათალიონი თავდაპირველად უნდა გაგზავნილიყო ჭიათურაში, რაც უკვე დეპეშით მოგახსენეთ, მაგრამ ჭიათურის რკინის გზის შტოს გაუსწორებლობის გამო ეს შეცვლილ იქნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1905 წელი ჩვენში

(იმ დროინდელ გახეთებიდან)

პურ-მარილი.

დამსჯელი რაზმის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 როტის შტაბს-კაპიტანმა დავიდოვმა, როცა ეს როტა სად. ბელაგორში იდგა, ყვირილიდან მიიღო რაღაც პაკეტი და რკინის გზის ლიანდაგით გასწია საობმარის წესით ბელაგორიდან ყვირილის მიმართულებით. როტის ნივთები მოთავსებული იყო 2 „ეაგონეტკაზე". 4 - 5 ვერსის მოშორებით სად. ბელაგორიდან, სადაც გზის ორივე მხარეს ამართულია კლდე, როტას სროლა აუტეხეს ზევიდან ჩასაფრებულმა აჯანყებულებმა. შტაბს-კაპიტან დავიდოვის ბრძანებით როტამ სროლითვე უპასუხა, მაგრამ პირველადვე გამოსროლილი ტყვეით მოკლულ იქნა როტის უფროსი. მასთან ერთად მოკლულ იქნა ერთი ჯარისკაცი და სამიც დაიჭრა. რა მოხდა შემდეგ, გამორკვეული არ არის; ერთნი ამბობენ, თითქოს როტის უმცროსი ოფიცერი დაიბნა და როტასთან ერთად რევოლიუციონერებს ჩაბარდა, რაც ანიშნა თეთრი ცხვირსახოცის ჩვენებით. მეორენი ამბობენ, თითქოს როტა გაიქცა და აფიცერი სადგურზე იქნა დაპატიმრებული და განიარაღებული. ცნობილია, რომ 13—15 კაცმა გადასწყვიტა იარაღით ხელში გადასულიყო მთებით ახალციხეში, მაგრამ მათ დაედევნენ აჯანყებულები და 8 ვერსტის მოშორებით გარშემორტყმულნი იძულებულნი გახდნენ დანებებოდნენ. მოკლული დავიდოვი და ჯარისკაცი აჯანყებულებმა მიწას მიაბარეს სადგურ ბელაგორის მახლობლათ მაღლობზე დანგრეულ ეკლესიასთან. დაკრძალვის დროს მოწვეული იყო ადგილობრივი მღვდელი. დაჭრილნი მოათავსეს ადგილობრივ საავადმყოფოში, საიდანაც ჯერ კიდევ ჯარების მისვლამდე ჯანსაღ ჯარისკაცებთან ერთად გადაიყვანეს ჭიათურაში. ეშელონის გავლისას ბელაგორში დათვალიერებულ იქნა საავადმყოფო, მაგრამ ის აღმონნდა ცარიელი და ყველასაგან მიტოვებული და მხოლოდ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ნივთები იყვნენ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამ საავადმყოფოში იწვნენ დაჭრილი ტენგინის ჯარისკაცები.

მეორე (მე-12) როტა სად. ყვირილაში ასე იქნა განიარაღებული. როგორც ამბობენ, აფიცრები მოტყუილებით გაწვეულ იქნა როტიდან (ერთი სად. შოროპანში მე-11 როტის შესახვედრათ. მეორე—ტელეფონთან) ორივე ეს აფიცრები განიარაღებულ და დაპატიმრებულ იქნენ. შემდეგ აჯანყებულები გარს შემოერტყენ იმ შენობას, სადაც როტა იყო მოთავსებული და როგორც განაროლის ტყვეების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, მცირე სროლის შემდეგ უმეთაურობდ დარჩენილი ჯარისკაცები დანებდენ და იარაღიც ჩაბარეს, ამ როტის დატყვევებული ჯარისკაცებიც გაგზავნილ იქნენ ჭიათურაში. შემდეგ, როცა პოდპოლ. ჩიქოვანის ავანგარდი მივიდა, ისინი გაანთავისუფლეს რევოლიუციონერებმა შოროპანში.

აქ როგორც სჩანს, რიონამდე აჯანყების მთავარი ხელმძღვანელნი არ არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ამბობენ, აჯანყებულთა მთავარი ბრბო, რომელმაც გაიტაცა ყვირილის ხაზინიდან 200 ათასი მანეთი და ტენგინის პოლკის როტის ჯარისკაცთა იარაღი, წავიდა (ნაწილი) ჭიათურაში, ამ ბრბოს მთავარი მასსა კი (1000 კაცამდე) წავიდა გურიაში.

რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი **გავრილოვი**.

რაზმის შტაბის უფროსი,

გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი **ვიშინსკი**.

პოლკოვნიკ გავრილოვის ამ რაპორტს აქვე ვბეჭდავთ რუსულად:

Начальник
Тифлисского Летучего
ОТРЯДА

10 января 1906 года.
№ 1.
Квирилы.

Начальнику Штаба Кавказского Военного Округа.

РАПОРТ.

О действиях вверенного мне отряда по сегодняшнее число включительно доношу следующее:

Выступил с 3 эшелоном из Тифлиса 8-го сего января в 6 часов вечера, я в ночь на 9 число прибыл на станцию Михайлово, где сделал остановку до 9 час. утра. К этому времени подошел и 4 эшелон полковника Ходзинского. На станции Михайлово выяснилос, что авангард подполковника Чиковани уже дошел до ст. Рион и что путь на всем этом протяжении исправлен и служащие на своих местах. Первых 2-х эшелонов вверенного мне отряда (2 сотни 2 Полтавского полка) на ст. Михайлово уже не оказалось; по прибытий сюда они выступили вслед за авангардом подполковника Чиковани. Станция Михайлово оказалась занятой 2-мя ротами 13 л. Гренадерского Эриванского полка и 1-й ротой 77 пехотного Тенгинского полка. Тут же оказался командир 3 баталиона 77 пехотного Тенгинского полка. Из прочих станций оказались занятыми: ст. Варварино $^1/_2$ ротой Эриванцев, вход в Сурамский тонель тоже $^1/_2$ ротой Эриванцев, выход из тонеля $^1/_2$ Тенгинцев и ст. Ципа также $^1/_2$ ротой Тенгинцев. По соглашению полковником Нейгебауэром я решил 1 роту 77 пехотного Тенгинского полка из ст. Михайлово передвинут на ст. Белагоры и Марелисы, поручив охрану всего участка пути от

ეროვნული ბიბლიოთეკა

тонеля до ст. Белогоры включительно командиру 3 баталиона 77 пехотного Тенгинского полка. Охрана участка от ст. Белогоры до Квирилы лежит на вверенном мне отряде. К вечеру 9 января отряд занял следующее положение:

Авангард подполковника Чиковани (2 баталиона Эриванцев, 1 сотня 2 Эйского полка, 1 сотня пластунов, 2 орудия и 2 пулемета и 2 сотни 2 полтавского казачьего полка) на станциях Рион, Аджаметы и Свири. Главныя силы отряда (3 баталиона Тенгинцев, 4 стрелковый баталион, артилерия и пулеметы) на ст. Квирилы. Во время стоянки третьего эшелона на ст. Белогоры злоумышленниками сделан поджог. Возникший пожар уничтожил несколько пустых домов, из которых имущество было заблаговременно вынесено жителями. То же повторилось и в м. Квирилы. Тотчас, по прибытии туда отряда прилежащая к вокзалу часть местечка запылила сразу в нескольких местах. По заявлению некоторых живущих здесь русских поджигают туземцы с целью вызвать озлобление населения против воиск. Видели даже туземцев, ходивших с ведрами мазута, но задержать их не удалось*). Тушить пожар было нечем, так как пожарный инструмент местного депо увезен революционерами. Для предотвращения грабежа поезда с воисками были окружены цепью часовых, а в месточко высылались офицерские дозоры. В виду опасности от огня артилерийский и интендантский транспорты были оставлены на ночь на ст. Шорапань под прикрытием саперной роты.

9-го числа вечером в Квирилы прибыл подполковник Чиковани, который доложил об открытии им дороги до Кутаиса. В Кутаисе подполковник Чиковани под угрозой репресивных мер потребовел от жителей прекращения забастовки и открытия лавок, что и было немедленно исполнено. Там же подполковник Чиковани сдал обе обезаруженныя роты Тенгинцев, которыя были отпущены из плена революционерами на ст. Шорапань. При следовании авангарда подпол. Чиковани на ст. Аджаметы, он встретился с поездом (паровоз и 1 вагон) революционеров. При происшедшем с войсками столкновении около 12 человек революционеров было убыто, спасся один. Подробностей о действиях авангарда подпол. Чиковани сообщить не могу, так как донесения еще не получал. По получении донесу дополнительно.

На 10 сего января мною было приказано: 1) авангарду подпол. Чиковани в составе 2 баталионов Эриванцев, 1 сотни Ейцев,

*) ეტერსიდი ჩვენია. რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 орудий и 2 пулеметов подвинутся по железной дороге до ст. Самтреди для возстановления железной дороги и для установления связи с отрядом полковника Крылова. 2) 2 сотням полтавского полка и сотне пластунов сосредоточиться на ст. Рион, заняться очисткой окрестных селений от мятежных шаек и обезаружить местное население. 3) Одному баталиону тифлисцев и 4 Кавказскому стрелковому баталиону*) передвинутся на ст. Белогоры—бывшее гнездо мятежников, принимавших участие в обезаружении роты Тенгинцев, отобрать у местного населения оружие и потребовать выдачи зачинщиков мятежа. По выполнении задачи обоим баталионам было приказано вернуться в Квирилы. 4) Первому и 3-му баталионам Тифлисцев, Саперной роте и артиллерии остаться в м. Квирилы.

К вечеру 10 сего января отряд из Белогоры вернулся Квирилы, найдя лишь 1 шашку и 1 кинжал (негодные) и не получив зачинщиков, так как местное население из Белогоры и окрестных селений скрылось. После производства войсками в сел. Белогоры, Чхари и Базалеты обыска от неизвестной причины возник пожар, которым уничтожена значительная часть селения Белогоры.

В мест. Квирилы в течение дня (10 января) кое-где продолжался пожар.

На завтра, 11 сего января, я приказал: 2 баталионам с пулеметами двинутья в м. Чиатуры, главное гнездо здешних революционеров, куда по слухам скрылась значительная часть их и здесь в течение одного или 2-х дней произвести тщательный обыск как местечка, так и марганцевых шахтах, в которых по имеющимся сведениям скрывается часть мятежников вместе отобранными 3 линейными винтовками.

С оставшимися 2 баталионами предполагаю произвести обыск в м. Квирилах.

Со ст. Рион мною сегодня получена следующая телеграмма: „После от'езда из Кутаиса подпол. Чиковани лавки закрыты и загорелся квартал за Губернским Правлением. На разведке в Кутаис офицер с пластунами. Донесение последует. Штабс-капитан Симонов".

*) 4 Кавказский стрелковый баталион первоначально предполагалось отправить в Чиатуры как и было мною доложено телеграммой, однако вследствие неисправности Чиатурской ветви пришлось это предположение изменить.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дальнейших донесений еще не получал.

Продовольствием отряд обеспечен. В Квирилах открывается отрядная хлебопекарня, так что надобности в подвозке хлеба из Тифлиса нет.

По поводу обезаружения 2-х рот 77 пехотного Тенгинского полка по показаниям местных служащих и жителей выяснил следующее:

Командир 11 роты, стоящей на ст. Белогоры, Штабс-капитан Давыдов получив какой-то пакет из Квирилы, выступил из Белогор по направлению к Квирилам по полотну железной дороги походным порядком, сложив имущество роты на 2-х вагонетках; верстах 4-5 от станци Белогоры, где обоих сторон дороги поднимаются отвесныя скалы, по роте вдруг был открыт огонь засевшими наверху мятежниками. Штабс-капитан Давыдов так же немедленно открыл огонь, но одним из первых выстрелов же был убыть. Вместе с ним был так же убыть 1 нижний чин и ранено 3 человека. Дальнейший ход события точно не выяснен; по одним сведениям бывший при роте младший офицер растерялся и вместе с ротой сдался революционерам, махнув им для этого белым платком, по другим—рота бежала и офицер уже на станци был обезаружен и арестован. Известно лишь, что 13-15 человек решились пробраться с оружием в руках через горы в Ахалцых, но преследуемые мятежниками и окруженные ими они верстах в 8 горах вынуждены были сдаться. Убитых Штабс-капитана Давыдова и нижнего чина мятежники похоронили близ ст. Белогоры на холме у развалинны церкви, при чем на похороны был приглашен священник; раненных же поместили в местную больницу, откуда их впрочем еще до прибытия войск по слухам перевезли вместе с здоровыми нижними чинами в Чиатуры. При проезде эшелона через Белогоры была осмотрена больница, но она оказалась пустою и брошенною всеми и лишь найденныя при обыске солдатские вещи, свидетельствовали о том, что в этой больнице были на излечение раненные Тенгинцы.

Другая рота (12-ая) на ст. Квирилы была обезаружена следующим образом: по слухам офицеры были обманом вызваны от роты (один на ст. Шорапан на встречу 11 роте, а другой на станцию к телефону); оба они были обезаружены и арестованы. Затем мятежники окружили роту в занимаемом ею помещении и после незначительной, судя по следам оставленным пулями, перестрелки нижные чини оставшиеся без должного руководства,

ეროვნული ბიბლიოთეკა

сдались и выдали оружие. Пленные этой роты были также отправлены в Чиатуры. Затем ко времени прибытия авангарда подполковника Чиковани они были освобождены революционерами на ст. Шорапан.

Здесь до Риона главных руководителей мятежника, видимо, нет.

По слухам главная шайка мятежников, захватившая 200,000 рублей в Квирилах и оружие Тенгинцев, частью ушла на Чиатуры, главная же масса ея (до 1000 человек) ушла в Гурию.

Начальник отряда,
Полковник **Гаврилов**.
Начальник Штаба отряда,
Генерального Штаба Подполковник **Вышинский**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერაპიონ ლომაძე.

ზოგიერთი მოგონებანი რევოლიუციონური მოძრაობიდან.

(1903—1905 წ.)

1903 წლის აგვისტოში ქუთაისის კომიტეტის დადგენილებით უნდა განთავისუფლებულიყვნენ ჭიათურაში დატყვევებული გ. ჯუღელი, ნ. ხოშერიკი და მესამე მგონი მიქელაძე—უკანასკნელს არც ეხლა ვიცნობ—უნდა იყოს განსვენებული ამბ. ზალიკო ქიქოძის ბიძა დედიდან. ამ საქმეზე ბევრი ფიქრი და მზადება არ იყო საჭირო, რადგან მაშინ „იაჩეიკის“ ყველა წევრები დიდ აქტიოვობას იჩენდნენ.

არ მახსოვს კარგად, თუ ვინ მაცნობა ეს, მგონი ბარონ ბიბინეიშვილმა. თავი მოვუყარე რამდენიმე ამხანაგს—ანტონ კალანდარიშვილს, ილია მანდარიას, კოწია ზოთაძეს და სხვებს. ამათ გარდა კიდევ იყო 10—15 კაცამდე. ამხანაგების უმრავლესობა შეიარაღებული იყო რევოლვერებით და ზოგს მათგანს ქვებიც ეწყო ჯიბეში. წავედით დანიშნულ ალაგას. ზოგიერთი ამბ. გავიდა სადგურში შესახვედრად, დანარჩენნი კი დარჩენ ტფილისის ქუჩაზე—ფოსტის შესახვევთან. მოვიდა მატარებელი, მაგრამ ტუსაღები არ მოუყვანიათ, გადაწყვიტეთ მეორე დღეს შეხვედრა, როგორც მახსოვს, არც მეორე დღეს ჩამოუყვანიათ. ჩამოიყვანეს ორი—სამი დღის შემდეგ. შეხვედრას მე არ დავსწრებივარ, არ მახსოვს რა მიზეზით. სამ ტუსაღს მოყვებოდა ექვსი სტრაჟნიკი. დამხვედრთა შორის იარაღით ოთხი იყო. შეტაკება მოხდა თბილისის ქუჩაზე ფოსტის შესახვევის ახლოს, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა სამი სტრაჟნიკი და ერთი ჩვენი ამხანაგი იმსხვერპლა ჯალათების ტყვიამ. ეს იყო ბათუმის მუშა, ჯიხაიშის მცხოვრები პროკოფი ლეკავა. ტუსაღები გაიქცენ. გიგა ჯუღელი კი, რომელიც გაემართა ბალახვანის ქუჩისკენ, შევარდნილიყო პოლკოვნიკ ქავთარაძის ეზოში და იქ ქავთარაძის „დენჩიკს“ დაეჭირა და გადაეცა პოლიციისათვის, დანარჩენებმა (ორმა) თავს უშველა.

——

1903 წლ. ოქტომბრის რიცხვებში ქუთაისში უნდა მომხდარიყო ჩვეულებრივი სალდათების გაწვევა. მართალია, იმ დროს სოფლად, გარდა დიდ-ჯიხაიშისა, პარტიული წრეები არ იყო, მაგრამ რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900—1903 წლებში ბათუმში დიდი გაფიცვები იყო და უმთავრესად იქ მუშაობდა სოფლებიდან ჩასული ახალ-გაზრდობა და გაფიცვების შემდეგ ისინი სოფლებს დაუბრუნდნენ, სწორედ ამ ახალგაზრდობის იმედი ჰქონდა მაშინდელ ქუთაისის კომიტეტს, როდესაც სასალდათოდ გამოწვეულ ახალგაზრდების ჩათრევა უნდოდა. დემონსტრაციის დღე დაენიშნა კომიტეტს და გადმოგვცენ, რომ ყველა პარტიის წევრები გამოცხადებულიყვნენ ბალახვანში, სადაც სასალდათო ახალგაზრდობა იყო მისული თავიანთი მამასახლისებით კენჭის ამოსაღებად. წინასწარ გაფრთხილებული ვიყავით, რომ არც ერთ დემონსტრანტს იარაღი არ ქონდა თან.

იმ დროს კენჭით ვისაც შეხვდებოდა სასალდათო ნომერი, ის გაყავდათ; ნება გვქონდა ჯოხის და ქვის ხმარებისა. დანიშნულ დროს მივედით სადემონსტრაციო ადგილას და ავერიეთ სასალდათო ახალგაზრდებში; ზოგი შიგნით შევიდა, სადაც კომისია და თვით მაზრის უფროსი იყო. ამხანაგები წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებული ზოგიერთ სასალდათოებთან დემონსტრაციაში მონაწილეობაზე. მოაწია სადემონსტრაციო საათმა. დაიწყო ფანჯრის შუშების მტვრევა შიგნით შენობაში და ფანჯრებიდან გადმოხტომა იწყეს ჩვენს ამხანაგებთან ერთად სასალდათოებმაც: ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. ამაგე დროს ქუჩაში გაიშალა დროშა, მოვაპნიეთ ფერად ქაღალდზე დაბეჭდილი პროკლამაცია. მაზრის უფროსად მაშინ იყო სვანეთის თავადი ჯანსუყ დადიშკელიანი. ამ დროს ჩამოერია „გოროდოვოი“ ალრამა მოზიაშვილი, ცნობილი ხულიგანი რევოლიუციის დროს. მან იშიშვლა ხმალი. მაგრამ ამ დროს მას მოხვდა ს. კვინიხიძის შინდის ჯოხი და დაეშვა ძირს; სხვა ხელის შემშლელი იქ იმ დროს არავინ იყო და დემონსტრანტები გამოემართენ ბაღისკენ, მაგრამ, საუბედუროდ, დემონსტრაციას არც ერთი სასალდათო ახალგაზრდა არ გამოყვა ბაღისკენ, ისინი დაეშვენ ბალახვანის ქუჩისკენ, სადაც ღამის გასათევი ბინები ქონდათ სამიკიტნოებში. დროშა კ. ჯანელიძეს ამაყად მიქონდა და აჩქარებული ნაბიჯით მივდიოდით. გზაში გვერდიდან შემოგვხვდა ამხ. ბ. ბიბინეიშვილი, რომელიც ხელმძღვანელობდა დემონსტრაციას და წამოვიდა ჩვენთან. მივედით თუ არა პუშკინის ქუჩასთან, შემოგვხვდა ამანნოდან მომავალი საპაორის პოლკის კაზაკების ასეული, რომლებიც გოცდენ ჩვენი მარსელიოზის სიმღერით და დროშით,—რა ექნათ არ იცოდენ; შეიძლება უიარაღოთ რომ იყვნენ, იმიტომ არ შეგვიშალეს ხელი, მაგრამ კარგათ მახსოვს ხანჯლ ბი და ხმლები ეკიდათ. საკმარისი იქნებოდა ეს იარაღი რომ ეხმარათ ჩვენს წინააღმდეგ, რითაც დიდ ზარალს მოგვაყენებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და გვიტიეს გზა. დემონსტრაცია გაემართა ბაღისკენ: უკვე გაიგო მთელმა პოლიციამ და ფეხზედ დადგა. გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედევნა დემონსტრანტებს ცნობილი „ოკოლოდოჩნიკი“ საყვარელიძე და ფხაკაძე თავიანთი „გოროდოვოებით“ და შეიქნა ჭერა. ბევრი ამხანაგი მიიმალა: დაიჭირეს თამბაქოს ფაბრიკის ათამდე მუშა და რამდენიმე თერძი-მუშა, რომლებიც სამი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს ციხიდან. ასე ჩატარდა ეს პირველი დემონსტრაცია ქუთაისში.

1905 წლამდე ხშირი მოვლენა იყო ტერორისტული აქტი და კერძო ხასიათის გაფიცვები, რაც დიდ გავლენას ახდენდა უპარტიო მასაზე. მაგრამ აღსანიშნავია რევოლიუციონური გამოსვლები 1905 წლიდან. 9 იანვრის გაპონის პროვოკაციამ და მუშების დახვრეტამ ლენინგრადში (პეტერბურგში) დიდი აღელვება გამოიწვია მთელს მუშათა კლასში და არც ქუთაისის მუშები ჩამორჩენ სხვა მუშებს. მოხდა პოლიტიკური გაფიცვა. ამ გაფიცვას მოყვა დიდი დემონსტრაცია; თუმცა მაშინდელმა პოლიციამ კარგად იცოდა დემონსტრაციის დღე და დრო, მაგრამ ვერც კი გაბედა გამოეყვანა კაზაკები. როდესაც დემონსტრაცია მიდიოდა, „გოროდოვოი-პრისტავები“ და „ოკოლოდოჩნიკები“ დუქნის დარაბებში იმალებოდენ, მხოლოდ როდესაც გათავდა დემონსტრაცია, შემდეგ გამოვიდენ კაზაკები და კუთხეებში თავ-მოყრილ მუშებს და მოწაფეებს ფანტავდენ. ამ ხანებში მოწაფეებმა დიდი აქტიობა გამოიჩინეს. საკმარისი იყო მუშების ერთი მოწოდება და მთელი მაღალი კლასის მოწაფეები—ქალები და კაცები, მუშებთან ერთად გამოდიოდენ.

1905 წლის პირველი მაისი იყო პირდაპირ რევოლიუციონური დღესასწაული, თუმცა პოლიცია წინასწარ იყო მომზადებული, მაგრამ დემონსტრაციებს ახდენდა ყველა მოწაფეები. შკოლები სხვადასხვა ქუჩებიდან მოემართებოდენ ბულვარისკენ და გზებში მუშები უერთდებოდენ. თითონ ბაღში გაამართა დემონსტრაცია. მღეროდენ მარსელიოზას. სტრაჟები და კაზაკები გარს უვლიდენ ბაღს და მათრახსაც ხმარობდენ. დემონსტრანტები არ იშლებოდენ, დადიოდენ სხვადასხვა ქუჩებზე. შებინდების დროს წავიდა ვინტოკები ხმარება-ში და იმსხვერპლეს ერთი ხარაზი ხაბურზანია და ერთიც ნოქარი, მგონი გვვრად ნემსაძე იყო. ამათი დასაფლავება მოხდა თავიანთ სოფლებში და მთელი ქალაქის მუშები და მოწაფეები აციელებდენ რევოლიუციის მსხვერპლთ მარსელიოზით. აქაც პოლიცია ცხენოსან „სტრაჟნიკებით“ უკან ნოგვდევდა ლაკრენტი მახარაძის მეთაურობით; მათი წინააღმდეგობა გამოიხატა იმაში, რომ ერთი ზალპი მისცეს ჰაერში და ამით უნდოდათ დემონსტრაცია დაეშალათ, მაგრამ დემონსტრანტებმა განაგრძეს გზა ბალახვანის ქუჩით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მსხვერპლი კი ესეც გავაცილეთ ს. ქვიტირში. დემონსტრაცია ჩერდებოდა გზებში და ორატორები გამოდიოდნენ სიტყვებით, აცნობდენ ხალხს მდგომარეობას და განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ იაპონიასთან ომს, სადაც მარცხდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის ჯარი გენ. კუროპატკინის მეთაურობით.

არ შემიძლია არ მოვიგონო ამხ. საშა წულუკიძის გასვენება ქუთაისიდან ქალ. ხონში. ამ გასვენებაში, როგორც ჩვენმა პარტიამ, აგრეთვე სხვა რევოლიუციონურმა პარტიებმა მიიღეს მონაწილეობა. დილის 8 საათიდან იწყო ხალხმა თავის მოყრა განსვენებულის ბინაზე. საათის 11-12-ზე გამოასვენეს ცხედარი და დაიწყეს ორატორებმა სიტყვების წარმოთქმა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ამხ. ბუდუს წერილი ციხიდან: წერილმა ტირილი გამოიწვია დამსწრეთა შორის. გასვენებაზე ბევრი გვირგვინები იყო და მათ შორის ორი კურინსკი პოლკის და ფოთის პოლკის ჯარისკაცებიდან. ეს ორი გვირგვინი მიჰქონდა თვით ამ პოლკების ჯარისკაცებს, რომლებიც გადაცმულნი იყვნენ. ქუთაისის პოლიციამ დემონსტრაცია მიაცილა ორპირის და ხონის გადასახვევამდე. როგორც კი გავშორდით გადასახვევს, კუბოს ახლო გაიშალა ვებერთელა მოჭარგული წითელი დროშა და თანაც იგრიალა მერსელიოზამ. ჩავედით ს. მაღლაკში, სადაც შემოგვეგება მთელი ახლო-მახლო სოფლები დროშებით, აქედან ექვსი ვერსტის მოშორებით კიდევ შემოგვეერთდენ დროშებით. ერთი სიტყვით, ხონის რაიონის ყველა სოფლებმა მიიღო მონაწილეობა. ამინდი ცუდი იყო. წვიმდა. სამჯერ დავსველდით და გავშრით, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია და არავინ გამოკლებია პროცესიას. ხონში რომ მივედით, ერთი საათი იქნებოდა დაღამებამდე. პოლიცია „ჩრისტავ“ საყვარელიძის მეთაურობით პირველად შემოგვხვდა ქალაქის თავში, მაგრამ შემდეგ სადღაც მიიმალა. მიცვალებული მივასვენეთ სამარესთან და ორატორებიც გამოვიდენ გამოსათხოვარი სიტყვებით. არ დარჩენილა არც ერთი რევოლიუციონური პარტია, რომ მონაწილეობა არ მიეღო: წარმოიდგინეთ, დაშნაკელების წარმომადგენელიც კი დაესწრო. საბგლოვიაოო დემონსტრაცია გათავდა საღამოს ათ საათზე.

1903-1905 წლ. ბოლომდე ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა განსაკუთრებით 1905 წელში. ვინც ცოტაოი ხელს უშლიდა სოციალისტურ მოძრაობას, იმის წინააღმდეგ ყველა რევოლიუციონური პარტია ტერორს მიმართავდა. ასეთ ტაორორისტულ აქტებში საყურადღებოა ჯინორიძის, პოლკოვნიკ ხოდეკის და მწერალ რაჟდენ მეძმარიაშვილის მკვლელობა. პირველი, ე. ი. დიო ჯინორიძე (ჩემი ნათესავის ცოლის ძმა) იყო პოლიციმეისტრის კანცელარიის უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსი, უყვარდა ფუფუნებით ცხოვრება, დიდკაცად მოჰქონდა თავი, „როგორც აზნაურს“, მაგრამ ამისათვის მას საღსარი არ ჰქონდა და დაიწყო მოძრაობის შესახებ ცნობების მიცემა ჟანდარმერიისათვის. ამ მიზნით გაემგზავრა ქ. ოდესაში და რამდენიმე ხნის შემდეგ დაპატიმრა ოდესის სტუდენტების ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. ვ. შავდია. (ამხ. შავდიას ენათესავებოდა ჯაშუში ჯინორიძე) ოდესიდან ეს ამბავი ჩამოვიდა ქუთაისში და თითონ ჯაშუში ჯინორიძეც ჩამობოძანდა, (ალბად ამ იუდამ არ იცოდა, თუ გაუგებდენ თავის ნამოქმედარს). ერთ საღამოს შემხვდა ლაზარე ჭელიძე (ზეინკალი იყო ქუთაისში) და მითხრა, რომ ამ საღამოს უნდა მოჰკლან დიო ჯინორიძე და შენ წადი ისეთ ადგილას, რომ არაფერი ეჭვი არ აიღონო. ამხ. ჭელიძემ იცოდა, რომ ის ოჯახი, სადაც მე ვცხოვრობდი ჯინორიძის სიძე იყო. მეც მოვერიდე. მაგრამ გავშორდი თუ არა ბულვარს ოცი ოცდაათი საჟენი, თოფიც გავარდა. არ მქონდა წარმოდგენილი, თუ ასე მალე მოახდენდენ აქტს და სხვა მაყურებელთან ერთად გავეშურე სროლის ხმაზე. მივედით და ვნახეთ ეტლში ჩაგდებული ჯაშუში ჯინორიძე, რომელსაც თავს ადგა ჩვენი სოფლის მცხოვრები „გოროდოვოი“ მიქელაძე. ჯაშუშის დას უნდოდა ჩემთვის დაებრალებინა მკვლელობა, რადგან ეჭვით იცოდა თავის ჯაშუშ ძმისგან, რომ მე ვმუშაობდი ორგანიზაციაში, მაგრამ მე პირადათ განვუცხადე, თუ ჩემზე იტყვის რამეს, იმ შემთხვევაში მთელი მისი ოჯახის შემადგენლობა იქნებოდა ამოწყვეტილი. ამ მუქარამ გასჭრა და ზოგი ნათესავების დახმარებით არ უჩვენა ჩემზე, მხოლოდ იმ დღის შემდეგ დღემდე მეძახის ძმის მკვლელს. ნამდვილი მკვლელები იყვნენ ი. ბრეგვაძე და მისი ამხანაგის გვარი არ მახსოვს.

ხოდეკაი კურინსკი პოლკის კომანდირი იყო. ის ნამდვილი ჯალათი იყო. ჯარისკაცებს გასაქანს არ აძლევდა სასტიკად სჯიდა ყველა შენიშნულს. ამას გარდა ამხ. წულუკიძის გასვენებაზე დამსწრე ჯარისკაცები და გვირგვინების მიმტანნი დაპატიმრებული იქნენ და სასტიკი სასჯელი მოელოდათ. ამ პოლკოვნიკის ხულიგანური მოქმედებები იცოდა ჯარში მომუშავე ამხ. იკაკა რიჟინაშვილმა, ჟ. ნიკოლეიშვილმა და კ. ჩაჩანიძემ. ამიტომ ეს ჯალათი კომიტეტის დადგენილებით იქნა მოკლული დაახლოვებით დღის 12 საათზე ქუთაისის ბულვარში რ. გიორგაძის და კ. შოთაძის მეთაურობით.

მესამე, ე. ი. მეძმარიაშვილი იყო ქვიტირის სოფლის მწერალი ამ საზოგადოებაში ისეთი პირობები შეიქნა, რომ გვიძნელდებოდა კრებების მოხდენა და ბევრიც იქნა მის მიერ დატყვევებული. ამიტომ ქუთაისის კომიტეტმა გამოუშვა ჯაშუშების სია, ამ სიაში იყო თვით რაჟდენ მეძმარიაშვილი. გაიარა დაახლოვებით ერთმა კვირამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩამობრძანდა ქუთაისში აღნიშნული ჯაშუში. დღით შეხვედროდა ამხ. „ელეზას“, (ბაქრაძეს, რომელიც მოკლეს სპარსეთის რევოლიუციაში 1908 წელს) და ეთხოვა, რომ კომიტეტი ეჩვენებია მისთვის. ელეზას ეთქვა საღამოს გამოდი და გაჩვენებო, თანაც დაეინშნა ადგილი სად უნდა მოეცადა ჯაშუშს. ეს ამბავი გადმოგვცა ამხ. ელეზამ და კომიტეტის ნაცვლად მოვამზადეთ ტერორისტი ბართლომე ხოფერია და თანაც უთვალთვალეთ, თუ რა საქმე ქონდა მას კომიტეტთან. რამდენიმე ამხანაგმა გამოვარკვიეთ, რომ მას დაყვებოდა შორი-ახლო ნაბდებში გადაცმული სტრაჟები. ამით დავრწმუნდით, რომ კომიტეტს კარგს არაფერს უმზადებდა. საღამოს ბულვარის ქვაზე მჯდომი ჯაშუში მეძმარიაშვილი, კომიტეტის ნახვის მოლოდინში, მოკლულ იქნა ტყვიით.

აქვე გამახსენდა ერთი შემთხვევა.

ქუთაისის სამაზრო პოლიციაში მსახურობდა მუსერიძე, რომელსაც ახლო კავშირი ქონდა ამხ. ბ. ბიბინეიშვილთან, პასპორტებს აძლევდა და სხ., მუსერიძე დიდი ნდობით იყო აღჭურვილი და თითქმის ყველა ამხანაგებმა იცოდა, რომ საიმედო პირი იყო. ვნახოთ, ერთ საღამოს ქუთაისის ბულვარის კიოსკთან, სხვა ამხანაგთა შორის ამხ. ბარონიც იყო, ამ დროს მუსერიძემ გაიხმო ბარონი და გადასცა რაღაცა (თურმე პასპორტი გადაეცა) და გაბრუნდა, მის გაბრუნებისას ამხ. ბარონს შემოეხვიენ ნაბადში გახვეული „სტრეკნიკები“. ამხ. ბარონმა მიაძახა გაბრუნებულს ალფეს მუსერიძეს, ისიც მობრუნდა. ბარონმა უთხრა: კაცო, ეს რა ამბავიაო. მუსერიძემაც ნაბდიანებს უთხრა ეს არისო და გაანთავისუფლეს ამხ. ბარონი. ამხანაგები დარწმუნდენ, რომ მუსერიძე გადასულიყო რეაქციის მხარეზე. ერთი კვირის წინ მუსერიძე ვააყოლეს ციხიდან გაქცეულ ამხანაგებს ქუთაისის სადგურიდან რიონის სადგურამდის. სანამ მატარებელი გაჩერდებოდა რიონის სადგურში, აღნიშნული ამხანაგები დაპატიმრებულ იქნენ. ამიტომ ამხანაგები ეჭვის თვალით უყურებდენ მუსერიძეს, მაგრამ საბუთები საკმარისი არ იყო; ბარონის ბულვარში დაჭერამ კი დაამტკიცა მისი გამცემლობა და ყველა ამხანაგები იმ აზრის იყვნენ, რომ რაც შეიძლება მალე მოეკლათ. იმ საღამოს ბარონი სახლში არ წასულა, თავი მოარიდა. ბართლაც, იმ ღამით ბარონის ბინას დაესხენ სტრაჟები...

მეორე დღეს შეიარაღდენ ტერორისტები და გავიდენ ქუჩებში. სწორედ მე შეხვდა თეთრ ხიდზე ბაზარში მომავალი. გამოვყევი უკან და უთვალთვალე საით წავიდოდა. პირველად შევიდა ივანე კილაძის სტამბაში, პუშკინის ქუჩაზე. იქიდან შევიდა ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში. ამ დროს იქვე იყო ტერორისტი ვ. ქიქავა, გავიფრთხილე მომზადებულიყო და ვისაც უკან გავყეებოდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისთვის უნდა ესროლა. ცოტა ლოდინის შემდეგ გამოვიდა. მეც გავყევი შორი-ახლოს. ეჭვი რომ არ აეღო, ავიყოლიე ამხ. ნიკოლოზ ტყეშელაშვილი და თითქოს დიდი საჩხუბარი საქმე გვქონდა, ისე ვიქცეოდით, გავაცილე 20—25 საკენი და მივეცი ნიშანი ქიქავას. იმანაც არ დააყოვნა და რევოლვერიდან ხუთი ტყვია ზედიზედ დააყოლა. ჩვენ გავიფანტენით სხვა და სხვა ქუჩებში და ერთი საათის შემდეგ შეეკრიბენით ბულვარში. თურმე მოსულიყო მისი უფროსი და ეთქვა: „კარგი იყო რომ კიდევ გეცოცხლა ცოტა ხანსო". მართლაც რომ ეს გამცემელი დროზე არ მოეკლათ, დიდ ზიანს მოუტანდა მთელ ორგანიზაციას, რადგან ყველა პარტიულ ამხანაგებს პირადათ იცნობდა.

———

იაპონიასთან ომმა და მუშათა კლასის პოლიტიკურ და ეკონომიურ გაფიცვებმა დააფიქრა რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა და უნდოდა რაიმე რეფორმები შემოეღო, რომ მით გადაერჩინა თავისი შერყეული ტახტის მდგომარეობა. ამ მიზნით კავკასიაში უნდა შემოეღოთ ერობა.

ერობა დიდი ხანია შემოღებული იყო შიდა რუსეთში. რუსეთში არსებული მაშინდელი ერობები მეტ წილად თავად-აზნაურების და მემამულეთა ინტერესებს ემსახურებოდა და აქაც, კავკასიაშიც, მოინდომეს ასეთივე ერობების შემოღება. ამიტომ, მგონი აგვისტოში, მოწვეული იყო ქუთაისში ყრილობა ყველა იმათი, ვისაც ქონდა კანონით ხმის უფლება. ასეთები კი იყვნენ, როგორც მახსოვს, თავად-აზნაურები, გილდის ვაჭრები, ჩინის და ორდენების მქონე პირები. ამ შავ კონტრრევოლიუციონერებს უნდა მიეცათ ხმები ერობის შემოღების შესახებ. ამ კამპანიაში მენშევიკები ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას და გამოთქვამდენ თავიანთ შეხედულებას ერობის სარგებლობის შესახებ. ჩვენ, ბოლშევიკები, სასტიკად ვეწინააღმდეგებოდით ასეთ ერობების შემოღებას იმიტომ, რომ იმ დროს რევოლიუციონერი ტალღები მთელ რუსეთის სივრცეზე სულ მაღლა მაღლა იწევდა. ამავე დროს თვითმპყრობელობის ჯარები იაპონიასთან ომში მარცხდებოდენ და ჩვენი იმ დროის ერთად ერთი ლოზუნგი იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით. ამას გარდა მოვითხოვდით საყოველთაო ამნისტიას, 8 საათის სამუშაო დროს, მუდმივი ჯარის შეცვლას სახალხო მილიციით. კარგად მახსოვს იმ ერობის არჩევნების დღეს, როდესაც მენშევიკი ვ. ჯაკობია და ფედერალისტე სიმონ ქვარიანი გამოდიოდენ და იცავდენ ერობას. ჩვენ კრებაზე პირველად ცოტანი ვიყავით და ხმაურობით ვუშლიდით ორატორებს. შემდეგ მოვიდა წიგნით ხელში ზალვა ელიავა და დაიწყო ლაპარაკი ერობის შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღების წინააღმდეგ, სიტყვის გათავების შემდეგ შეიქნა ერთი სტვენა, ყიჟინი, ყვირილი, ერთიც გაისროლა ვიღაცამ და ეს ხმოსანი საზოგადოება უთავბოლოდ გამორბოდა გარეთ, შემდეგ არც კი ცდილან ყრილობის ხელ-მეორედ მოწვევა ერობის საკითხზე. ასე სამარცხვინოდ დამარცხდა თვითმპყრობელ მთავრობის განზრახვები ერობის შემოღების შესახებ.

1905 წ. სექტემბერი იყო თუ ოქტომბერი არ მახსოვს კარგად, საღამო ხანს, ნახევარი საათი იქნებოდა დაღამებამდის, გამოვედი სამუშაოდან, (იმ დროს „ზაკროიშჩიკების" კოლექტიური ამხანაგობის ხელმძღვანელი ვიყავი) სახელოსნოდან, ჩემი ნაგანი და ორი სხვა რევოლვერი თან წამოვიღე. მოვედი თუ არა ქუთაისის თეატრთან, შეიქნა მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ზარების რეკა. მაშინ ზარების რეკა უსათუოდ მომასწავებელი იყო რაიმე სიგნალის. უცბად მოვბარდენ საუღლია კვინიხიძე (ცოცხალია ეხლა), ილიკო ჭაჭიაშვილი, მელიტონა ბერიშვილი, კოლა ჯანელიძე და მითხრეს იარაღი მიმეცა მათთვის, მე განცვიფრებაში მოვედი და უცბად შევეკითხე,—თუ რა ამბავი იყო, მათ მიპასუხეს ხულიგნები დაეცა ფერმის წრესო და პირდაპირ განმაიარაღეს და გაიქცენ. ზარების რეკა სხვა ეკლესიებზედაც შეიქნა და მცხოვრებლები, დაინტერესებული რევოლიუციონური გამოსვლებით, გამოვიდნენ ქუჩებში. მე ბევრი არ დავაყოვნე, ჩავჯექი ეტლში და საჩქაროდ გავეშურე სახლში. სახლში ამბ. ლაზარე ჭელიძის მიერ გადაკეთებული მოკლე ბერდანა მქონდა, ავისხი პატრონები და ეტლითვე გავეშურე ფერმისკენ. ჯაჭვის ხიდზედ ეტლი ნელა მიდიოდა და ფარნის სინათლეზე დამინახა ერთმა სტუდენტმა ამბ. პეტროვმა, რომელსაც თან ახლდა რეალურ სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფე რუსი ამხანაგი, რომლის გვარი აღარ მახსოვს. ჩამისხდენ ეტლში და გავსწიეთ ფერმისკენ. მათ იარაღი არ ქონდათ, ეურჩენ არ წამოსულიყვნენ, მაგრამ არ დამიჯერეს. ქუჩები ხალხით იყო სავსე. ზოგს სანადირო თოფი ქონდა, ზოგს ლეკური და ზოგს ხანჯლები. გაღმით რომ გავედი, წუალ-გაღმა უბნის ცნობილი პრისტავი კარაპეტ ტერ-ანონოვი რამოდენიმე თოფიანი სალდათით მიდიოდა ფერმისკენ. მე გავასწარი ეტლით და მივედი აბანო „რუას" გადასახვევთან; გაღმით შემომესმა ხმაურობა, ეტლები მოდიოდა. იმ წამში გადმოველ ეტლიდან და ამოვეფარე ქვიტკირის დაბალ კედელს. პეტროვი თავის ამხანაგით მოეფარა იქვე დუქანს. გავამზადე თოფი სასროლად და შეუყვირე შეჩერდით მეთქი. დამიძახეს არ გვესროლა, ჩვენ ვართო. მე ვიცანი ამხანაგების ხმა და დაუცადე გამოსვლა. მათ მოყავდა რამდენიმე დაჭერილი კაცი. შემდეგ გამოიოკვა, რომ წრის მოდარაჯე შეცდომაში შესულიყო და იმ ადგილს, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეს კრება ჰქონდა, გაევლო გადაკრულ გლეხებს, რომლებიც ხელიგნებათ მიეღოთ.

როგორც ვიცით ტფილისის თვითმართველობაში კრების ინიციატორები იყვნენ მენშევიკები და ისიც ვიცით, თუ რამოდენი პარტიული და მოქალაქე შეიქნა მსხვერპლი კახაკების ვინტოვკების და ნაგანების. ეს ამბავი მეორე დღეს გაიგო ქუთაისის ორგანიზაციამ და კიდევაც გამოეხმაურა ერთი დღის პოლიტიკური გაფიცვით; აქვე უნდა გავიხსენო ერთი გამოსვლა პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც მოხდა ქუთაისის სობოროში. მგონი კრების დარბევის მეორე დღე უქმე იყო. სობოროში ჩვეულებრივ წირვა იდგა, სამღვდელოება და ხალხიც ბლომად იყო. მოვილაპარაკეთ რამდენიმე ამხანაგმა, რომ შევსულიყავით და იქ, როგორც სხვაგან, გაგვეთრია მეფის ჟანდარმერიის საქციელი, ასეც მოხდა; უცბად ვნახეთ ამბ. პროკოფია დოლიძე. როგორც მუშა-ორატორს დავავალეთ გამოსულიყო. მან სიამოვნებით მიიღო ჩვენი წინადადება, მხოლოდ საჭირო შეიქნა ამხანაგების შეგზავნა სობოროში, რომ ხელი არ შეეშალა პრისტავს და „ოკოლოდნიკს", რომლებიც ესწრებოდენ ყოველთვის წირვას. ამხანაგები, დაახლოებით 15-20 კაცი შევიდენ სობოროში და დაიკავეს ადგილი. შემდეგ შევედით პ. დოლიძე, ანდრუშა რევია, მე და მგონი ისაკი ურუშაძე. გამოდის მღვდელი საკეკლურით აღსავლის კარებიდან, ამ დროს ამბ. პ. დოლიძეც იწყებს: „ამხანაგებო",—ამ სიტყვის გაგონებაზე გაჩერდა მღვდელი და მორწმუნენიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ, არ იცოდენ რა ექნათ, რადგან ორატორის ირგვლივ შეამჩნიეს არა კეთილ მორწმუნეთა ჯგუფი. ორატორმა აღნიშნა ტფილისის პოლიციის პროვოკაციული მოქმედება და გადავიდა რუსეთის პოლიტიკის დამარცხებაზე ომში და აგრეთვე თვითმპყრობელობის უსასტიკეს ზომებზე მუშების და გლეხების წინააღმდეგ. ასე გათავდა სობოროში ეს მიტინგი და გარედ მშვიდობიანად გამოვედით.

ცნობილია ყველასათვის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი. რევოლიუციონერმა მოძრაობამ მთელ რუსეთის სამრეწველო ქალაქებში ფართე ხასიათი მიიღო და მინისტრის კაბინეტები ყოველ თვეში იცვლებოდა. ბოლოს პრემიერის ადგილი მიიღო „ლებერალმა" ვიტემ და გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც ბევრ ლამაზ სიტყვებს შეიცავდა. ეს ცნობა პირველად გავიგეთ ქალაქის თვითმართველობაში და დაიწყო ხალხმა თავის მოყრა სამმართველოსთან, საიდანაც დემონსტრაცია გამოემართა ბაღისკენ მარსელიოზის სიმღერით. აქ მოეწყო მიტინგი. ამ მანიფესტზე ზოგი უსუსური სოციალისტები დიდ იმედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს ამაყრებდენ. მენშევიკები ძლიერ ეშლაუბებოდენ და უნდოდათ მანიფესტით ესარგებლათ და პროგრამა მინიმუმის ზოგ მუხლებში დათმობაზედაც მიდიოდენ, მაგრამ ჩვენი, ე. ი. ბოლშევიკების შეხვედრა განსხვავდებოდა მანიფესტის შესახებ და ყველა მიტინგებზე ჩვენი ორატორები — ბუდუ, სერიოჟა, პაველ საყვარელიძე და სხვები ამტკიცებდენ, რომ ეს მანიფესტი უხორცო ძვალია ვიტეს მიერ გადმოგდებული, რომელითაც მხოლოდ თავს შეიქცევ და სახრავს ვერას ნახავ. მართლაც ასე იყო. აბა, როგორ მოიქცეოდა მთავრობა, რომელსაც იაპონიასთან ომის შემდეგ კრიტიკული მდგომარეობა შეექმნა. რევოლიუცია ვითარდებოდა. ასეთმა მდგომარეობამ აიძულა მეფის მთავრობა რაიმე დათმობებზე წასულიყო. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სანამ თვითმპყრობელი მთავრობა არსებობდა, არაფერი ხალხის საკეთილდღეო საქმე არ გაკეთდებოდა. ეს ჩვენი შეხედულება უკვე გამართლდა 19—22 ოქტომბერს ქ. ტფილისში, სადაც ჟენშარიტმა რუსებმა და კაზაკებმა პოგრომი მოაწყვეს.

ვსარგებლობდით 17 ოქტომბრის მანიფესტით და სოფლებში მიტინგებს ვაწყობდით. ამ მიზნით ორ სოფელში (პატრიკეთი და უკანეთი, ქუთაისის მაზრა) იყო დანიშნული მიტინგები და ხალხი გველოდებოდა. აღნიშნული მიტინგები ჩავატარეთ მე, პროკოფი დოლიძემ და ისაკი ურუშაძემ. სოფლიდან რიონის სადგურამდის დაახლოვებით ექვსი ვერსტი იქნება, გამოვწიეთ ფეხით. ერთი საათი იქნებოდა გასული ღამე, რომ მივედი რიონის სადგურში. სადგურში ხალხი თითქმის არ იყო, გარდა მოსამსახურეებისა. ვერ ნახავდი ყანდრებს, ისინი უკვე შეძვრენ სოროებში. ქუთაისიდან მატარებელმა დაიგვიანა, დავაპირეთ გვეკითხა სადგურის უფროსისათვის დაგვიანების მიზეზი. შევედით სამორიგეო ოთახში და რაღაც ჩურჩული იყო მოსამსახურეებში. შევეკითხეთ, თუ როდის იქნებოდა მატარებელი. პასუხის მოცემა რაღაც უჭირდათ და ბოლოს, როგორც იქნა, გვიპასუხეს: ქუთაისში რაღაც ამბავია და მატარებელი იმიტომ იგვიანებსო. გაიარა სულ ცოტა დრომ და ტელეფონით გადმოსცეს, მატარებელი გამოიგზავნა და ქალაქში სროლა არისო. ჩვენს განცვიფრებას და სიხარულს საზღვარი არ ქონდა ამ ამბის გაგონებით და მოუთმენლად მოველოდით მატარებელს. მატარებელი მოვიდა, მაგრამ დაწვრილებით ვერავინ ვერაფერი გადმოგვცა. ჩვენ სადგურის უფროსს წინადადება მივეცით, რომ მალე დაებრუნებია მატარებელი და არ მოეცადა ბათუმის მატარებლისთვის, დაგვანახვდა და ოც წუთში ჩავედით ქუთაისში. სროლის ხმა ყველა ქუჩიდან მოისმოდა და მეტ გაკვირვებას ახდენდა ზარების რეკა. სადგურზე მყოფი ხალხი არ გვირჩევდა ქალაქში გასვლას, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავიჯერეთ, წავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით: ისაკი სხვა გზით წავიდა მე და პროკოფია ერთად წავედით ძველი ტფილისის ქუჩით ბინაზე, სადაც გვქონდა ბლომად პოლიციიდან გამოტანილი თოფები. გზაში მთელი ხალხი ქუჩაზე იყო გამოსული. ზოგი სანადირო თოფით, რევოლვერებით და ცივი იარაღით და ბარიკადებს აკეთებდენ. მივედით სახლში, მაგრამ ჩვენი ბინა გაეტეხათ ამხანაგებს და თოფები სულ წაეღოთ. ჩვენ ჩამოვედით ბულვართან, ერთი არევ-დარევა იყო, ვინ ესვრის ვის არ ვიცი, ვის ნასილკები მოაქვს დაჭრილებისათვის, ვინ ბარიკადებს აკეთებს, ასე რომ ყველა თავის ინიციატივით მუშაობდა. ამ დროს ვიღაც ამხანაგმა დაიძახა, წავიდეთ სტროჟნიკების ბინაზე და იარაღი წამოვიღოთო. გავსწიეთ და მართლაც, 30—40 ცალი თოფი და რამდენიმე ასი პატრონა გამოვიტანეთ და თანაც ყველა სტრაჟნიკები წამოვიდა ჩვენთან ერთად კაზაკების წინააღმდეგ საბრძოლველად. თურმე განკარგულება მიეცა სტრაჟის უფროსისათვის გუბერნატორ სტაროსელსკის, რომ სტრაჟა დაეხმარებია ხალხისათვის. მოვიტანეთ იარაღი და სტრაჟებიც მოვიდნენ, სროლა არ წყნარდება და არც ვიცით, თუ ვინ ვის ესვრის. მთელი ქუჩა სავსე იყო დამტვრეული ბოთლებით, სადაც ვოთომ ცხენიანი კაზაკი ვერ გაეცლიდა. ბარიკადების უმრავლესობა ისე იყო მავთულით გახლართული, რომ უკან დახევა რომ დაგვჭირებოდა, ვერ დაიხევდი, რადგან შეკრული იყო ყოველი კუთხით ბარიკადი. მხოლოდ ერთად ერთი ბარიკადი იყო გაკეთებული,—გიმნაზიასთან პანსიონერების მიერ, რომელსაც ზარბაზანიც ვერ დააკლებდა ვერაფერს. მთელი ქუჩა სილის ტომრებით და ფქვილის ტომრებით იყო ამართული და ზემოდან ეკლიანი მავთულის ხლართი იყო გაბმული. ბოლოს წავედით ბალახვანის ქუჩით და მოსახვევთან რომ მივედით, ატყდა სერიოზული სროლა. თურმე ბალახვანის ქუჩით რამოდენიმე ათეული კაზაკი ფეხით მოიპარებოდა და შეეჩეხენ ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც წინ მიდიოდენ და ამათ დაუწყეს სროლა, რომლის დროს დაიჭრა ამხ. პეტროვი. ამ სროლას ჩვენც გავეცით პასუხი და კაზაკები გაიქცენ უკან. დაჭრილი პეტროვი გავაგზავნეთ საავადმყოფოში და რამოდენიმე ამხანაგი წამოვედით ბაღისკენ. სროლის ხმა აქა-იქ კიდევ მოისმოდა. ამასობაში ამხანაგებს მოლაპარაკება ქონდათ გუბერნატორ სტაროსელსკისთან და მოვიდა ცნობა, რომ კაზაკები ამის შემდეგ არ გამოვლენო. ეს გამოუცხადეს შეიარაღებულ ხალხს და დიდი უმრავლესობა დაიშალა. ნაწილი კი მაინც დარჩა ქალაქში სახალხო მილიციასთან. იმ ღამეს და მეორე დღეს პოლიციის და სასამართლოს ყველა საწყობებიდან გამოიტანეს იარაღი და გაინაწილეს ყველა პარტიებმა. მეორე დღეს შეიარაღებული წითელი რაზმები გამოვიდენ და სურათი გადაიღეს გორაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ დავასახელე მიზეზი, თუ რაზედ მოხდა არეულობა. როგორც გამოირკვა შემდეგ, თურმე ერთი ახალი რაზმელთაგანი, გვარად აფრიდონიძე ეტლით მისეირნობდა ბალახვანის ქუჩაზე და ცოტა ნაქეიფარიც ყოფილიყო, მასთან კიდევ სხვა მისი ამხანაგებიც იყვნენ. ამათ გზაზე შეხვედროდათ წყლიდან მომავალი კაზაკები და თურმე დაცინვა დაუწყეს აფრიდონიძეს, რომელსაც გურული ჩაქურა ეცვა. აფრიდონიძემ არ მოითმინა და თავის ამხანაგებთან ერთად დაერივნენ კაზაკებს. კაზაკები ბევრი გაიქცა და რამოდენიმე დარჩა ძალიანი ნაცემი, თუმცა ამათაც მოხვდათ გვარიანად. შემდეგ აფრიდონიძემ თავის ამხანაგებით დაუწყო სროლა გაქცეულ კაზაკებს და ამ სროლას მოყვა მთელი ქალაქის გამოხმაურება. ქუთაისის ამბავი მოედვა მთელ მაზრას და რამდენიმე დღის შემდეგ მთელი ხონის რაიონი, შეიარაღებული წითელი რაზმით, წამოვიდა ქუთაისისაკენ და დაბანაკდა ლაგირში. არც სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი ჩამორჩა ამ საერთო საქმეს. ამ მაზრების შეიარაღებული წითელი რაზმი დაძრულიყო ამხ. ლევან დადიშკელიანის, რუბენ ყიფიანის და ქიქია ჭიჭინაძის მეთაურობით (1905 წელში სამივე ბოლშევიკები იყვნენ). რაზმი იქნებოდა ათას კაცზე მეტი, რომელიც დაბანაკებული იყო ქუთაისზე 10-12 ვერსის მოშორებით. ამ რაზმის ჩამოსვლა რომ გავიგეთ, წავედით შესახვედრად, კომიტეტის წევრებიც წამოვიდნენ. მარა ისეთ სურათს წარმოადგენდა მათი ნახვა, თითქოს ფრონტზე მიდიოდნენ; ყავდათ ხელმძღვანელები დანიშნული და შეიარაღებულიც კარგად იყვნენ. დიდი ბოდიში და ხვეწნა დარჩა საჭირო, რომ დაბრუნებულიყვნენ უკან. მიტინგზე ბევრი დარწმუნდა, რომ მათი დახმარება მაშინ აღარ იყო საჭირო და, როგორც იქნა, დაგვთანხმდენ დაბრუნებაზე. განსაკუთრებით სვანები უარზე იყვნენ და გვიპასუხებდნენ: ჩვენ-ჩვენ ოჯახს და ცოლშვილს გამოვეთხოვეთ და წამოვიდით რუსებთან საჩხუბრად და ეხლა უჩხუბრად რომ ვბრუნდებით უკან, ჩვენი სირცხვილიაო, მაგრამ ლევანმა იმოქმედა მათზე და დაბრუნდენ უკან.

რევოლიუცია ღრმავდებოდა, მთელი ქალაქი ხალხის ხელში იყო. მილიცია ჩვენ შევადგინეთ, „პრისტავი“, „ოკოლოდნიკი“ და „გოროდოვები“ მიიმალენ. ოფიცრები „პაგონებით“ ვერ გამოდიოდენ გარეთ; სასამართლოები დაიკეტა და საქმეებს არჩევდენ პარტიულ კლუბებში და სოფლად კი არჩეული პირები იყო მოსამართლეებათ. 8 დეკემბერს მოიხსნა საყოველთაო რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა. მაგრამ მიმოსვლა მაინც შეჩერებული იყო. სადგურებს იცავდა სახალხო მილიცია. დადიოდა მხოლოდ სადელეგატო მატარებლები. აყარეს იარაღი ქ. ზესტაფონში საღლდათთა ორ ასეულს და ხაზინა ხალხმა ჩაიგდო ხელში. დაბა ბელაგორში მდგომი ასეულიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაიარაღეს, ტყიბულში განაიარაღეს ნახევარი ასეული და იარაღ აყრილი სალდათები გადაგვზავნეს ჭითურაში. ქალაქში შეიქნა ნავთის, შაქრის და პურის კრიზისი; ძალა-უფლება სრულიად პარტიების და ხალხის ხელში გადავიდა. ამ დროს ბაქოში და შემდეგ თბილისში დაიწყო სომეხ-თათართა ჟლეტა და გურიის რაზმი გაიგზავნა ტფილისში წესიერების აღსადგენად...

—:—

დეკემბრის თვის უკანასკნელი რიცხვებია. კანტი-კუნტად ხმები მოდიოდა,—რევოლიუცია დამარცხდა, რეაქცია იწყებაო, მაგრამ ნამდვილი ცნობა არ იყო, მხოლოდ ღამ-ღამობით ქუთაისში მდგომი საპაორის პოლკის ოფიცერ ლარიონოვის ასეულის კაზაკები გამოდიოდენ და მცხოვრებთ აწუხებდენ. ამ გარემოებამ აიძულა პარტიის შტაბი გაემგრებია და დაენიშნა რამოდენიმე საგუშაგოები ქალაქის განაპირა ნაწილებში. საგუშაგოებს იცავდენ ამხანაგები რიგ-რიგობით. ერთ დღეს ღამის სამი საათი იქნებოდა თედორე ასათიანი მოვარდა ჩვენთან ბინაზე, სადაც 5-6 ამხანაგი ვცხოვრობდით და იარაღის საწყობიც თანვე გვქონდა. გადმოგვცა: ოფიცერი ლარიონოვი თავის ასეული კაზაკებით წავიდა სოფელ ჭიშკრისკენო. ეს რაიონი ებარა ვანო გოგსაძეს და მართლაც, ჯიბურაში იყო მაგარი პოსტი, საიდანაც იცავდენ ზესტაფონში მიმავალ გზას და აგრეთვე იცავდენ ნავთის მილებს. ჩვენ იმ წამსვე გამოვეწყვეთ და წავედით შტაბში. გზაში კინაღამ დავხოცეთ ყუმბარით ექვსი ფედერალისტი. ჩვენ გვეგონა ხულიგნები და სიბნელეში ვერ გავარჩიეთ, ბოლოს მოვემზადეთ სასროლად და ამ დროს ვიცანით ხმა სილოვან ხუნდაძის და მელიტონ ჩაგავაძის, რომლებიც გამოელაპარაკენ ერთმანეთს.

შევედით შტაბში (შტაბი იყო გიორგი ჩხაიძის სასადილოს ზემო სართულში), იქ კოლია ქარცივაძე და დ. ჩადუნელი დაგვხვდა. გადავეცით ცნობა. გვითხრეს—არამც და არამც არ გაბედოთ შეტაკებაო. ჩვენც დავეთანხმეთ, მაგრამ თურმე იოსებ პატარიძეს მაინც შეეგროვებია საფიჩხიის რაზმი და ჩასაფრებოდა წყალ წითელის ხიდს აქეთ როყეებში, მაგრამ არც მას გამოეჩინა წინაალმდეგობა შტაბის ნებადაურთველად და მოხსნილიყო. ამასობაში თენდება კიდევაც და მოვიდა ერთი ამხანაგი და გადმოგვცა: წყალ-წითელას ხიდთან დახოცილი და დაჭრილი რაზმელები არიანო. უცბად ჩავჯექით ეტლში მე და ილიკო ჭაჭიაშვილი, მივედით პუნქტში და წავიყვანეთ მოწყალების და დაჭრილების შესახვედად. როგორც კი გავშორდით რკინის გზას, იქვე ახლოს ვიღაც ახალგაზრდა იწვა, როგორც კი მოვატანეთ თვალი, შეეაჩერეთ ეტლი, გადმოვედით და ვნახეთ წითელი რაზმელი ხოხიაშვილი, რომელსაც გაპობილი ქონდა თავი ლეკურით. ხალხი შიშით ვერ ეკარგებოდა და ვიღაც მადლიანს ცეცხლი დაენთო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრილის ახლოს, მაგრამ რას უშველიდა საცოდავს, თოვლი მაინც ათოვდა თავზე. იმ წამში შეუხვიეთ ჭრილობა. თურმე ჩვენ ვერ შევნიშნეთ და არც მას შეეძლო გადმოცემა, თუ სად ქონდა კიდევ ჭრილობა. გავაგზავნეთ ეტლით; შემდეგ ვიღაცამ გადმოგვცა, თუ როგორ დაეჭრათ ის კაზაკებს; თურმე ჯერ ლეკური დაკრეს თავში და როდესაც გაიქცა, გადმოხტა ერთი კაზაკი ცხენიდან, ამოიღო ხანჯალი, გააჩერა წვერით მუცელზედ და შემდეგ მუჯი დაკრა ხანჯლის თავს, რომელიც გასულიყო მეორე მხარეზე. თავის ჭრილობაც სახიფათო იყო, ვინაიდან მთელი თავი გაპობილი იყო ლეკურით და მთელი ტვინი ღიად მოსჩანდა. ასეთი ჭრილობა რომ დაინახა ჩვენმა მოწყალების დამ (მოწაფე იყო) გული წაუვიდა და მე და ერთმა სოფლელმა შეუხვიეთ ჭრილობა. ჩვენი ეტლით გავაგზავნეთ დაჭრილი და გავეშურეთ სხვა დაჭრილებთან, რომლებიც იყვნენ წყალ-წითელის ხიდთან. მივედით შორი-ახლო და დავინახეთ სხვადასხვა მხარეზე ეყარა ხალხი; ერთიც ხიდის თავთან ეგდო, მაგრამ მე ვერ წარმოვიდგენ ასეთ სურათს, რომ რომელიმე ომის ასპარეზზე მოხდეს, არც ერთ დახოცილს არ ქონია რომელიმე სახის ნაწილი. თვალები გადმოცვენილი, თავი დაჩეჩქვილი ქონდათ, ტვინი დანთხეული იყო მიწაზე. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ყველა გაგვაბოროტა და გამოგვაშტერა ამ საძაგელმა სურათმა. სულ დავკარგეთ მოსაზრება. არ ვიცოდით რა გვექნა, ვიდექით გაშტერებული და ვუყურებდით ამ სურათს. უკვე კარგა ხანი გაიდა გათენებიდან და სოფლელებმა დაიწყეს სიარული ქალაქისკენ და ჩვენც ცოტა გონს მოვედით და დავუწყეთ მიცვალებულს ხელის მოკიდება და გვინდოდა ყველასთვის მოგვეყარა თავი იქვე დუქნის წინ. აქ ჩვენი მოწყალების და საპატრონოდ გაგვიხდა; ჩვენ ვერ შევნიშნეთ და გულ-წასული გაიშლართა მიწაზედ. როგორც იყო, მოვაბრუნეთ და მივანდევით ვიღაც ახალგაზრდა ქალს, რომელიც სოფლიდან მოდიოდა და მოაშურა იმ ადგილს, სადაც დახოცილები იყვნენ. ჩვენ ორი ვერას ვხედებოდით, მაგრამ გამოგვიჩნდა ვიღაც მაღლიანი სოფელი ახალგაზრდა და მას მოეხმარა სხვა გლეხებიც და როგორც იყო, შეუყარეთ თავი თავის ტვინს, ძვლებს, შეუკარით ბინტებით, ჩაბალახებით და დავასვენეთ დუქნის წინ; თურმე ეს გლეხები მიცვალებულების სოფლელები ყოფილიყვნენ და სოფელში გააგზავნეს კაცი ურმების ჩამოსაყვანად. სოფელი ორის-სამი ვერსტით იყო დაშორებული და ერთი საათის განმავლობაში ურმებიც მოვიდნენ და თან დახოცილების მშობლები და ნათესავებიც მოყვნენ. ურმების მოსვლამდის გვითხრეს, რომ დაჭრილი გვიცდიდა მაღლა წისქვილში. ჩვენ ავედით და ვნახეთ ოცი-ოცდაორი წლის ახალგაზრდა, რომელიც ცეცხლთან იჯდა და იშრობდა ტანისამოსს, იყვნენ სხვა გლეხებიც და ეკითხებოდნენ, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ დასჭრეს. ჩვენი მისვლა ესიამოვნა ახალგაზრდას, რადგან შიშისაგან გაშეშებულიყო და ეგონა დიდი ჭრილობა ქონდა. ჩვენ გაუსინჯეთ ჭრილობა, რომელიც თავზე ქონდა, მაგრამ საშიში არაფერი იყო, რადგან მარტო თავის კანი ქონდა გაჭრილი, დაახლოებით ერთი ვერშოკი. ჩვენ მაინც მოვბანეთ და შეუხვიეთ მარლით და დავამშვიდეთ. შემდეგ დაიწყო გამოკითხვა, თუ როგორ მოხდა მათი დაჭერა და ამხანაგების დახოცვა; მან გვიამბო შემდეგი: ჩვენ ვიყავით 20-30 კაცი საგუშაგოდ გამოსული და ვიცავდით ქ. ყვირილაში მომავალ გზას და აგრეთვე ვიცავდით ნავთის მილს, ბინა გვქონდა წისქვილში. გზის დაცვა იმიტომ იყო საჭირო, რომ კაზაკები არ წამოსულიყვნენ ზესტაფონის რაზმის წინააღმდეგ და ნავთის მილს ვიცავდით იმიტომ, რომ გლეხები მოდიოდნენ და ნავთის მილებს სჭრიდენ. საყარაულო ადგილზე ვიცვლებოდით რიგ-რიგობით, ვიეახშმეთ და ცოტა ღვინოც დავლიეთ და ზოგი ამხანაგი დაწვა დასაძინებლად. ჩვენ გზაზედ გვყავდა გზირი და თუ რამე სახიფათო იქნებოდა, უნდა შეეტყობინებია, მაგრამ ჩვენ არაფერი გაგვიგია ისე შემოვიდენ კაზაკები და დაგვიჭირეს. ჩვენ, უმრავლესობას, გვქონდა სანადირო თოფები და დაცინვა დაიწყეს ჩვენს თოფებზე. ოფიცერმა აიღო ფილთა თოფი, მიარტყა კედელს, მაგრამ გავარდა თოფი და საფანტი მუცელში შეეყარა, იყვირა რუსულად და ჩაჯდა იქვე; ჩვენ იმ წამსვე გამოგვრეკეს გარეთ, შემოგვეხვიენ ცხენებით და წამოგვიყვანეს. დაჭრილი ოფიცერი ხელმოკიდებული მოყავდათ. გზაზე კაზაკები ლაპარაკობდენ რუსულად და ჩვენ არ გვესმოდა, გარდა ერთი ნასალდათევისა, რომელიც ჩვენთან იყო დაჭერილი. როდესაც შევდექით ხიდზე, მაშინ შექნეს ლაპარაკი და ამ დროს დაიძახა ჩვენმა ამხანაგმა, — არიქა უშველეთ თავს, თორემ გვხოცავენო. ჩვენ იმ წუთში უშველეთ თავს — ზოგი უკან გაიქცა და მე კი ხიდიდან გადავხტი და მაშინ მომხვდა თავში ლეკური. ამ ამბის გადმოცემის შემდეგ დავამშვიდეთ და ვურჩიეთ წასულიყო სოფელში. როდესაც დაბლა ჩამოვედი, ურმებზე დაეწყოთ მიცვალებულები და წაასვენეს სოფელში, ჩვენ კი დავრუნდით ქალაქში. მეორე დღეს ამხ. ხოხიაშვილიც გარდიცვალა საავადმყოფოში და წავასვენეთ სოფელ ნაგარევში, სადაც ყველა დახოცილები ერთ დღეს იქნენ დასაფლავებულ თავიანთ სოფლებში რევოლიუციონური ზეიმით. შემდეგ გამოირკვა, რომ სამი ამხანაგი ცოცხლად მიეყვანათ ყაზარძაში. ეს ამბავი გაიგო კომიტეტმა და იქონია მოლაპარაკება გუბერნატორ სტაროსელსკისთან. მოლაპარაკების შედეგი ის იყო, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ გაანთავისუფლეს ყველა. თურმე ოფიცერი ლარიონოვი გადაარჩინა ხანჯლის ტარმა, თორემ სასაცილო ფილთა თოფი გამოასალმებდა წუთი სოფელს. ასე იმსხვერპლა შავმა რეაქციამ ექვსი ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონერი: ჭუმბურიძენი, ნემსაძენი და ხოხიაშვილი, რომელთა დაფლეთილი ტვინი გაბნეული იყო წყალ-წითელას ხიდთან. მათი ხსოვნა უკვდავი იქნება ჩემში და სხვა ამხანაგებში, ვინც თავის თვალით ნახა წარმოუდგენელი სიმხეცის სურათი.

კარგი იქნებოდა, რომ ამ ალაგას რაიმე ნიშანი გაკეთდებოდეს ამ უდანაშაულო მსხვერპლთა მოსაგონრად.

—:—

იანვრის 2—3 უკვე ცნობა მოვიდა ქუთაისში, რომ ალიხანოვ-ავარსკი თავის რაზმით გამოვიდა მიხაილოვიდანო; წიფის გვირაბში განგებ აფეთქებულმა ორთქლმავალმა ვერ შეაჩერა ხულიგანი კაზაკები, ისინი გადმოსულიყვნენ სურამის უღელტეხილზედ. იქ თუმცა შეხვედროდენ რაზმელები, მაგრამ აბა რას გააჩერებდენ, მით უმეტეს, ცენტრიდან იყო ცნობა რევოლიუციის დამარცხების და მარტო ქუთაისი ხომ ვერ გაუმკლავდებოდა კონტრ-რევოლიუციას; აგრეთვე მოვიდა ამბავი ბელაგორის გადაწვის შესახებ. შემდეგ შევიტყვეთ ზესტაფონის დაწვა და აოხრება, ერთი სიტყვით, რეაქცია ცეცხლს აძლევდა ყველაფერს და ხოცავდა ყველას, ვინც ცოტა შენიშნული იყო მოძრაობაში. ეს ამბავი კარგად იცოდა შავმა ძალებმა, რომლებიც ამ დრომდე დატუქსული იყვნენ და სოროებში მიმალულნი ნოემბრის და დეკემბრის თვეებში. ახლა მათ დაიწყეს მზადება შესახვედრად. ვერც ერთ მკერავის სახელოსნოში ვერ ნახავდი რაიმე ფორმის, სირმებიან ტანსაცმელს და ერთ დღეს გამოჩნდა ბლიუზაკის სახელოსნოში ჟანდარმების და პოლიციელების სირმებიანი სერთუკები, მას სხვებიც აყვენ და მექუდეებმაც გამოაფინეს კაკარდიანი ქუდები ვიტრინაზედ. ამის დანახვამ, ცოტა არ იყოს, ცუდი გავლენა მოახდინა ყველა ამხანაგებზე, მაგრამ გულს არ ვიტეხდით იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავით რეაქციის უდღეურობაში, დარწმუნებული ვიყავით რევოლიუციის დროებით დამარცხებაში. საჭირო შეიქნა ყველა ამხანაგების ბინების გამოცვლა და ზოგის კი სოფლებში წასვლა, რომ დროებით მაინც იქ თავი შეეფარებიათ. სანამ ამხანაგები გაშორდებოდენ ქალაქს, დანიშნული იყო მოწაფეების დიდი მიტინგი ტყეში ღამით, რომელსაც პარტიულების გარდა დაესწრენ უპარტიო ახლო-მახლო მცხოვრებნი. ორატორები ყველა გამოთქვამდა იმ აზრს, რომ რეაქციამ დროებით გაიმარჯვა და გამარჯვება მაინც მუშათა კლასს ეკუთვნის მომავალ ბრძოლაშიო. განსაკურებული იყო რაფიელ ჩიხლაძის გამოსვლა. მის მიერ რევოლიუციის დამარცხების დახასიათებამ ისე იმოქმედა დამსწრეებზე, რომ მიტინგის უმრავლესობა თითქმის ქვითინებდა. კრება გათავდა დაახლოებით ღამის 12 საათზე და ხალხი დაიშალა.

—:—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ალიხანოვის რაზმი არ იყო შემოსული ქალაქში, რომ ქალაქს უკვე დაეტყო დაცალიერება: ვერსად ვერ ნახავდით ჩვეულებრივ ჯგუფებს ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში და როდესაც გაივლიდი ქალაქში, ადამიანი გრძნობდა რაღაც ბუნების სიმძიმეს და არა ჩვეულებრივ მომავალს...

ექვსი იანვარი, ე. ი. ნათლისღება უზეიმოდ ჩაატარა სამღვდელოებამ, არც ხალხი დასწრებია და არც ჯარს მიუღია მონაწილეობა; ასე გასტანა 12 იანვრამდე. 11 იანვარს დასწვეს რიონის სადგურზედ რამდენიმე კერძო სახლი და 12 იანვარს დილით ქალაქში გამოვიდნენ იაპონიის ომში გაწვეული პლასტუნები და დაიწყეს ნადირობა შენიშნულ პირებზე და დაჭრეულ ქალაქისა, და ცეცხლის გაჩენა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში. თვით ალიხანოვი ეწვია ქალაქს 13 იანვარს და როგორც ხმები გამოვიდა, ყოფ. გუბერნატორი სტაროსელსკი დაჭეული გაგზავნა თბილისში. რეაქციამ უკვე გაშალა ფრთები და ამოძვრენ სოროებიდან ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები. ერთ ღამეს რამოდენიმე ამხ. წითელ რაზმელები გამოიყვანეს ბინებიდან და იქვე დახოცეს, რომელთა შორის იყვნენ კვიმსაძე და პატარიძე (თუთუნის ფაბრიკის მუშები). ღამის სიარული აკრძალული იყო და ერთ კაცს ვერ ნახავდი ქუჩაში, გარდა პოლიციელებისა და ჯაზაკებისა. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა და არ იცოდა გაათენებდა თუ არა დილამდის. ალიხანოვის რეაქციამ დიდათ დააზარალა ბოლშევიკური პარტია.

———

მოგვიკლეს ამხ. იცკა რიეინაშვილი. ბევრმა შეიძლება არც კი იცის ვინ იყო ამხ. იცკა; ის იყო ღარიბი ებრაელის შვილი; დამამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. იყო სტუდენტი. იმ ხანებში ისეთი შიმშადებული ბოლშევიკი, როგორიც იყო ამხ. იცკა, ქუთაისში არ ყოფილა. ერთხელ ქუთაისის თეატრში ლექცია წაიკითხა ცნობილმა ანარქისტმა მ. წერეთელმა (თემა არ მახსოვს) მის წინააღმდეგ ვერავინ გამოვიდა მენშევიკებიდან, ვერც ბოლშევიკებიდან გარდა იცკასი და მ. ოკუჯავასი. მეორე ლექცია იყო მაქსიმალისტ-ესერის ეალოდია ოკუჯავასი (მიშას ძმაა). ეს ლექციაც მეცნიერული თემა იყო, აქაც მხოლოდ იცკა გამოვიდა ოპონენტად. ერთი სიტყვით, იცკას სახით ბევრი დაკარგა ბოლშევიკურმა პარტიამ და თვით ებრაელ ახალგაზდობამაც, რომელშიაც დიდი ნდობა ქონდა ამხ. იცკას დაწსახურებული. ამხ. იცკა ერთს დილით ადრე დაეტყვევებიათ ბინაზე პოლიციელებს და პოლიციის კარებთან მას გაუგმირა გული ებრაელმა „გოროდოვოიმ"—მოშიაშვილმა, მაგრამ არ გასულა რამოდენიმე თვე და იმასაც გაუხვრიტა ტვინი კამოს ჩამოტანილმა „მარსის" სისტემის სხვილმა ტყვიამ ამხ. კოლია იოსელია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ხელით. განსვენებულ იკკას გასვენებას ამხანაგების მცირე ნაწილი დაესწრო, რადგანაც რეაქცია მძვინვარებდა. ამხ. იკკას ხსოვნა დაუვიწყარი იქნება როგორც მის ამხანაგებში, ისე რევოლიუციის ისტორიაში...

—:—

ქუთაისში წითელ ხიდთან პატარა სტამბა იყო. სტამბის ბინა ისე იყო მოწყობილი, რომ მისი შენიშვნა ყოვლად შეუძლებელი იყო. ზემო სართულში ცხოვრობდა მენშევიკი მელიტონ ბერიშვილი, დაბლა ჯურღმულიდან არავითარი ხმაურობა არ ამოდიოდა. სახლის ცალ გვერდზე სარდაფივით ბინაში სამზარეულო იყო მოწყობილი

ამხ. იკკა რიჟინაშვილი.

პლიტით. ამ პლიტის „დუხოვკიდან" შეიძლებოდა სტამბაში გადასვლა. ოჯახში მარტო ბერიშვილმა იცოდა სტამბის არსებობა. მომუშავეები ისეთ დროს შედიოდნენ სამუშაოდ, რომ მათი დანახვა უცხო ვინმეს არ შეეძლო. სტამბით სარგებლობდენ როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები. რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა; ამოძრავდენ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები და ჯაშუშობამ, გამკეძლობამ თითქმის მასსიური ხასიათი მიიღო; ცნობილი პრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტავი ხულიგანი ლავრენტი მახარაძე დაინიშნა პრისტავად საპოლიციო რაიონში და ყნოსვით ეძებდა სოციალისტურ მოძრაობის ხელმძღვანელთ და ტეხნიკურ მოწყობილობას. ამ მსუნაგ პოლიციელს როგორლაც გაეგო, რომ იმ სახლში, სადაც ბერიშვილი იდგა, რაღაც საიდუმლო საქმე იყო მოწყობილი და მისულიყვნენ გასაჩხრეკად. ბევრი ებრუნებინათ სახლი, საბზარეულო, მაგრამ ვერაფერი ენახათ და წასულიყვნენ კუდ-ამოძუებულნი. სამი დღის შემდეგ კიდევ მივიდა გასაჩხრეკად: ბევრი უტრიალა თურმე პლიტას, მაგრამ ვერაფერი ნახა და კიდევ ხელცარიელი გაბრუნდა უკან. მეორედ რომ გაჩხრიკეს, მაშინ დავრწმუნდით, რომ სტამბა გაცემული იყო. მე პირველად გაჩხრეკის შესახებ გადმომცა ილიკო ჭაჭაშვილმა, მეორედ რომ გაჩხრიკეს, ეს გვაცნობეს ბინაზე. მაშინ კომიტეტის შემადგენლობა არც ბოლშევიკების და არც მენშევიკების ქუთაისში არ იმყოფებოდა. ყველანი გაბნეული იყვნენ სოფლებში და ჩვენ თვითონ გადავსწყვეტეთ სტამბის მოშორება საეჭვო ადგილიდან. იმ დღესვე ამხ. ბერიშვილის მთელი ოჯახი გავაგზავნეთ სოფელში იმ მიზნით, რომ საცხოვრებელი ბინის იატაკი უნდა აგვეღო და ისე უნდა ამოგვეტანა სტამბა. როგორც კი დასცალეს ბინა, მეორე დღესვე ავანგრიეთ იატაკი, დავშალეთ სტამბა და ჩავაწყვეთ ყუთებში. ახლა გადმოტანა შეიქნა ძნელი, რადგან თითო ყუთი 6—7 ფუთი იქნებოდა და ასეთი ყუთი კი ოთხი იყო. საჭიროო იყო საიმედო მუშები: ჩვენც გამოვნახეთ ისეთი მუშები, რომლებიც წრეებში მუშაობდნენ, მაგრამ არც მათ იცოდნენ, თუ რა იყო ყუთებში, თუმცა ზურგზედ რომ მოიდვეს, მაშინ ეჭვის თვალით ილიმებოდნენ. გადავიტანე ჩემს სახელოსნოში და გადავეცი მათ, რომ ყუთებში სლესრის ხელსაწყოა და უჩემოთ არავის გაატანოთ, რადგან ფული მართებს და სანამდის არ მივიღებ, არ მივცემ მეთქი. დაიჯერეს ჩემი სიტყვა და ერთი კვირა ეწყო იქ. შემდეგ ამხ. ილიკო ჭაჭიაშვილმა მოაწყო ბინა დიდ-ჯიხაიშში. ფულის ნაკლებობა იყო და როგორც იქნა, ვიშოვეთ და ორი ეტლით გავემგზავრეთ. მე გავაშორე ქალაქს, იქეთ გაყვა ამხ. ჭაჭიაშვილი და კოსტა ქაბჯანაძე და მშვიდობით ჩავედით ზანიშნულ ალაგას.

—:—

ალიხანოვის რეაქციას მოყვა უზომო ჭერა ყველა მაზრებში და რაიონებში. იჭერდნენ ყველა შენიშნულთ, ათის თავებს, ასის თავებს და წრეების ხელმძღვანელებს. აგრეთვე ქალაქში მომუშავე ამხანაგებს. ციხეში ტევა აღარ იყო. ამას გარდა ციხეში პოლიტიკური ტუსაღების მდგომარეობა აუტანელი იყო. ამ აუტანელი პირობების ინიციატორი და გამტარებელი გამოვიდა იმავე ციხის თანამშრომელი, ვინმე აფშილავა. მას მისცეს ციხის უფროსობა. აუტანელმა მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობამ აიძულა ტუსაღები მიემართა ამხანაგებისათვის, რომ რო-გორმე მოეშორებიათ თავიდან ციხის უფროსი. ეს ნატვრა მალე აუსრულეს ტერორისტებმა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ბ. აფშილავა მიბრძანდებოდა მოხსენებაზე გუბერნატორის კანცელარიაში თავის დამცველით, გიმნაზიის პირდაპირ დახვდენ სიმონა რაჭველი (გვარი დამავიწყდა), კოლია ბრეგვაძე და კოლია სლესარი და ორივეს დაუცხრილეს გვერდები. თვითონ კი მიიმალენ,—ასე რომ, მათი ასავალ-დასავლის ვერაფერი გაიგეს.

—:—

ალიხანოვს ბევრი სხვადასხვა ერის ხალხი უწყობდა ხელს, მაგრამ თვალსაჩინო იყო ერთი პიროვნება. ეს იყო ჩეჩენი, სახელად სულთანას ეძახდენ. საიდან გაჩნდა ის ქუთაისში, არავინ იცოდა. ეს ისეთი დახელოვნებული პოლიციელი იყო, რომ პირდაპირ სახეზედ და ტანსაცმელით ცნობილობდა სოციალისტებს. მისი შიშით ქუჩაში გამოსვლა ვერავის გაებედა და თუ გამოვიდოდა ქალაქში ეინმე ჩვენი ამხანაგთაგანი, უსათუოდ ყველა გზირად ვიდექით და კურდღელივით ვიცქირებოდით აქეთ-იქით, რომ სულთანა არ გამოჩენილიყო რომელიმე მხარეზე და თუ გამოჩნდებოდა თავის კაზაკებით ან სალდათებით, იმ წამში გავრბოდით.

კარგათ მახსოვს ბ. ბიბინეიშვილი მოდიოდა ბაღთან, სტაცა ხელი, მიაყოლა მაგრად, ჩასვა ეტლში და გაქანა პოლიციაში; დათიკო შარაშიძე და მასთან მეორე ამხანაგი ჩაადგო ეტლში და აკვრევინა თავი პოლიციაში, ამათ გარდა რამდენი კიდევ სხვა. გადავწყვიტეთ მისი მოკვლა. მოეშზადენ ბიჭები ყუმბარებით და რევოლვერებით, უსათუოდ ყუმბარით უნდა მოეკლათ. რევოლვერით ვერ მიუდგებოდი, რადგან ყოველთვის ახლდა ათი კაზაკი, ან სალდათი, რომლებიც გაბნეულად მისდევდა უკან. ერთ დღეს მართლაც ესროლა ყუმბარა მელიტონ ბერიშვილმა, მაგრამ ვერ მოკლა, მხოლოდ დასჭრა ფეხში და ერთი კვირის შემდეგ ადგა და ერთი ორად გამხეცდა. ყველას, ვინც არ მოეწონებოდა სახეზე ან გავლით, ვაი იმის ბრალი! ერთი სიტყვით, სულთანა შეიქნა ქალაქის ბატონ-პატრონი. რა დროსაც არ გასულიყავი ბაზარში, ყოველთვის გამოსული იყო. უმთავრესად ღღით ნადირობდა. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა არამც თუ პარტიისთვის, არამედ უბრალო მოქალაქეებიც შიშის ზარმა მოიცვა და ყველა წყევა-კრულვით იხსენიებდა სულთანას, მაგრამ მოქალაქეებს რა შეეძლოთ მის წინააღმდეგ. ყველა ტერორისტები მაშინ თავიანთ თავს უძახოდენ ზოგი ანარქისტ-კომუნიტს და ზოგი რევოლიუციონურ მაქსიმალისტ. ბოლშევიკების და მენშევიკების ტერორი ცოტა ხდებოდა. ისინი კი, თუ გაიგებდენ მოსაკლავ საქმეს, მუდამ მზად იყვნენ. აღნიშნული ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასდევდა სულთანას, მაგრამ მისი ხელში ჩავდება ვერ მოახერხეს. ბოლოს დიდი დევნის შემდეგ ყველა პარტიის შეერთებულმა ტეროორისტებმა: გოგოლაძემ, კ. ბრეგვაძემ, კ. თარხანოვმა (სლესარი), ვ. მორჩაძე, სიმონა რაჰველმა და კიდევ ორი იყო, რომლების სახელი დამავიწყდა, ჩაიგდეს ხელში მეხაშვილის ქუჩაზე, როდესაც ორი სალდათი ახლდა და ისე გაუხადეს გვერდები, როგორც ფაცერი. სროლა დაიწყო სამივე მხრიდან, ყველას მაუზერები ქონდათ და ბოლოს საავადმყოფოში გავიგეთ, რომ ორმოცამდე ტყვია ქონოდა მორტყმული. ისე გამწარებულიყვნენ ბიჭები, რომ როდესაც დაინახეს, რომ სალდათები გაქცეულიყვნენ, წაქცეულ სულთანას კიდევ თავზე დადგომოდნენ და ისე უშენდნენ მაუზერის ტყვიებს. ასე მოაშორეს ეს გახრწნილი ადამიანი ქუთაისს.

—:—

1905 წლის რევოლიუციამ ბევრი ახალგაზრდა მუშები და ხელოსნები ჩაითრია აქტიურ მოძრაობაში.

ქუთაისის ქუბერნიაში არ დარჩენილა სოფელი, სადაც არ ყოლოდათ ათის თავი და ასის თავები, რომლებიც სოფელს ხელმძღვანელობდნენ. სასამართლო და ადმინისტრაციაც არჩეული იყო. არც ერთ თემში მამასახლისი არ ყოფილა და თუ იყო სადმე დარჩენილი, ის უსათუოდ ხალხის ნება-სურვილებს ასრულებდა. როდესაც შეირყა მეფის ტახტი, გლეხობამაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო რევოლიუციაში. აღელვებული გლეხობა ეცემოდა სოფლის კანცელარიებს, გამოქონდა საქმეები, მეფის სურათები და ეცეცხლს აძლევდა. ბევრი იყო ისეთი შემთხვევა, როცა მთელ კანცელარიის შენობას ეცეცხლს უკიდებდენ და სწვავდენ. ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, არ იყო დასაშვები, მაგრამ აზღვავებული მასსის შეკავება იმ დროს შეუძლებელი იყო. ასეთი იყო მდგომარეობა სოფლებში, როდესაც ალიხანოვი მიადგა თავისი დამსჯელი რაზმით სოფლებსა და ქალაქებს. სოფლად აუწერელი მდგომარეობა შეიქნა. რევოლიუციისაგან განაწყენებული თავად-აზნაურობა რეაქციის სამსახურს შეუდგა, დაიწყეს ხელმძღვანელი გლეხების დაბეზღება. ვინც დაჭერას გადარჩა, ის შეუდგა არალეგალურ ცხოვრებას. ასეთ პირებს ძალა-უნებურად უხდებოდათ აქტიური გამოსვლა გამცემთა წინააღმდეგ. ამავე დროს ქალაქში ბლომათ იყვნენ არალეგალურად მცხოვრები ყოფილი წითელ რაზმელები და ტეროორისტები. ყველა ესენი დაინტერესებულნი იყვნენ, რაც შეიძლება მეტი გამცემი ჯაშუშები მოეშორებიათ და ასეც იქცეოდენ. ჭკლავდენ მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისებს, ჭკლავდენ გამცემლებს. რეაქციას, რა თქმა უნდა, ქართველი პოლიციელებიც თავ-გამოდებული ეხმარებოდენ და ებრძოდენ რევოლიუციის ხელმძღვანელთ. ესენი განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს, ისინი როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, კარგათ იცნობდენ ყველა აქტიურ მომუშავეებს. დადგა საკითხი მათი თავიდან მოშორების შესახებ. ტერორისტებმა გამოასალმეს წუთი სოფელს საყვარელიძე და ფხაკაძე. პოლიციელი საყვარელიძე პოლიციმეისტრის კანცელარიაში მოდიოდა. ივანოვის ქუჩაზე დახვდა მას ბართლომე ხოპერია და რევოლვერით მოკლა, თვით ხოპერია მშვიდობიანად გაუდგა გზას, ფხაკაძე კი მესამე ალექსანდრეს ქუჩაზე მოკლა კ. მორჩაძემ და ისიც უვნებლად გაუდგა გზას. ასეთი მკვლელობა ბევრი იყო: პრისტავი ესაიაშვილი დაჭრა იოსება ბრეგვაძემ ორპირის ქუჩაზე, მაგრამ გადარჩა. მე არ შემიძლია გავიხსენო ყველა ტერორისტული აქტები, რადგან ასეთები ბევრი იყო. კომიტეტს არავინ ეკითხებოდა და თუ კი დარწმუნდებოდენ ვინმეს გამცემლობაში, იმაზე ბევრ გამოძიებას არ ნიშნავდენ და თვითონ უსწორდებოდენ. ასეთმა მასსიურმა ტერორმა გასტანა თითქმის 1909 წლამდის და ამ ხნის განმავლობაში ტერორისტების ჯგუფებსაც აკლდებოდა წევრები: ზოგს იქერდენ და ასახლებდენ, ზოგსაც დაჭერის და ციხეში წაყვანის დროს გზაში კლავდენ.

—:—

კელამოვი ქუთაისში უცნობი იყო, მას არც ერთი პარტია არ იცნობდა; როგორც მახსოვს კელამოვი თბილისიდან იყო გამოწერილი ალიხანოვის მიერ. კელამოვი დაენიშნათ ზუგდიდის მაზრის უფროსად. ზუგდიდის მაზრის ზოგ რაიონში ესერები კარგ ძალას წარმოადგენდენ. (აქვე აღვნიშნავ, რომ სტუდენტი, ესერი აღშიბაია * ყაზახებს გამოეყვანათ გარეედ, მოეკლათ და სახლი დაეწვათ). ამიტომ ქუთაისის ესერებს გადაწყვეტათ კელამოვის მოკვლა. ჩვენ მოგვმართეს, რომ აქტიურად დავხმარებოდით, მაგრამ ჩვენ ვუარით ვუპასუხეთ, რადგან ჩვენი პარტია არ დასთანხმდა. ბოლოს გვთხოვეს იარაღი და ჩვენ ჩვენი საკუთარი სურვილით ვათხოვეთ ორი ნაგანი და ერთი მაუზერი: ჩემი, ა. დალაქიშვილის და ილიკო ჭაჭიაშვილის. ჩვენ ვიცოდით, რომ იარაღის მიცემის შემდეგ აქტი მოხდებოდა და გავაფრთხილეთ ზოგიერთი ამხანაგები მორიდებოდენ უბრალო სიარულს ქალაქში. მართლაც, აქტიც მოხდა დღის ორ საათზე ქუთაისის ბაღის ბოლოში, სადაც მონაწილეობა მიეღო სიმონა რაქველს, მიქაძეს და ორს კიდევ სხვას, რომლებსაც მე ვერ ვიცნობდი, მაგრამ ამ თავდასხმამ ვერაფითარი შედეგები მოგვცა. კელამოვი მხოლოდ დაიჭრა. მთელ ბაღს ალყა შემოარტყეს ყაზახებმა და დღის ორ საათიდან დაღამებამდე რამდენიმე მოსეირნე ასი ქალი და კაცი დააპატიმრეს და შეუდგენ მათი პიროვნების გამორკვევას. შენიშნულებს პოლიციაში აგზავნიდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დილით ადრე, ახალ გათენებულზე მივდიოდი ბაღისკენ. სანამ თეორ ხიდთან მივიდოდი, იქვე დუქნების წინ სისხლის ტბა იდგა და იქვე ეგდო ნაცრისფერი ქუდი. დავინტერესდი და პირდაპირ ერთ ნაცნობ ხელოსანს შევეკითხე, თუ ვინ იყო მოკლული. აღმოჩნდა მსახიობი, სამართველოში მოსამსახურე ხუსკოვაძე, რომელსაც დიდ პატივსა სცემდა ქუთაისის საზოგადოება. თურმე როდესაც პოლიციიდან გამოიყვანეს უთხრეს ციხეში მივდიგართო და ღამის სამ საათზე გზაში მოჰკლეს, თითქოს გაქცევას აპირებდა. იმავე დღეს პოლიციმეისტრის კანცელარიიდან გადაჰყავდათ ჩვენი ამხანაგი დულია რევაზიშვილი, რომელიც წინა საღამოს დაეპატიმრებიათ ბულვარში. განსვენებული დულია ძლიერ ამაყი კაცი იყო, არავის არ დაუთმობდა არაფერს და შეიძლება მისი სიამაყის მიზეზი ყოფილიყო მისი სიკეთილი. დღის 3-5 საათი იქნებოდა, როდესაც მიჰყავდათ საპოლიციო უბანში და გზაზე ეთქვათ ყაზახებს, რომ ჩამომჯდარიყო იქვე წაქცეულ ტელეგრაფის ბოძზე, ისიც დამჯდარიყო. და ამ დროს მოშორებით მყოფ ყაზახს ესროლა და იქვე მოეკლა. ეს მკვლელობა მოწყობილი იყო პოლიციის მიერ. ასე უტაქტოთ ჩაიარა კელამოვზე თავდასხმამ და მისი მიზეზით მოგვიკლეს ერთი თავდადებული რევოლიუციონერი, თვით თავდამსხმელებმა კი თავს უშველეს.

—:—

პირველ სათათბიროს, როგორც ჩვენ, აგრეთვე ესერ-მაქსიმალისტებიც უცხადებდენ ბოიკოტს და ყოველთვის ვცდილობდით შეგვეშალა ხელი არჩევნებისათვის პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით, ობსტრუქციებით და დემონსტრაციების საშუალებით. მენშევიკები და სხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები კი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ არჩევნების ჩატარებაში. სადაც შეგვეძლო ჩვენ ვახდენდით ზეგავლენას არჩევნებზე, მაგრამ არჩევნები მაინც მიდიოდა. უკანასკნელი საგუბერნიო არჩევნები სწარმოებდა ქალაქის თვითმართველობის შენობაში, სადაც დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი თვითმართველობის წინ და ეწეოდენ აგიტაციას ყველა პარტიების წარმომადგენლები თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ, ხელში აჩეჩებდენ თავიანთ სიებს ამომრჩევლებს. არჩევნები რამდენიმე დღე სწარმოებდა. შევკარით ბლოკი ესერებთან არჩევნების ჩასაშლელად: მოვიყარეთ თავი თვითმართველობის წინ და გავერიეთ ხალხში. ჩვენ საკუთარი დროშა არ გვქონდა მაშინ, ესერებს წამოეღოთ თავიანთი დროშა, ამინდი კარგი იყო და ხალხიც ბლომად იყო არჩევნებზე მოსული. ზოგი ამხანაგი ჩვენის მხრივ და ესერების მხრივ შიგნითაც იყვნენ შესული, სადაც ყუთები იდგა. დანიშნულ დროს ატყდა აურ-ზაური შიგნით, ყუთები გადაყარ-გადმოყარეს. ამ დროს გარეთ გაიშალა დროშა და ამხანაგები გაიძახოდენ: ძირს სახელმწიფო სათათ-

ბირო, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო. პოლიცია ვერას გახდა. რადგან რიცხვით ცოტა იყო და თვით მეწშევიკებმა და მათმა მიმდევარმა პარტიებმა გამოიღეს ხელი ჩვენ წინააღმდეგ და უნდოდათ დროშის წართმევა, მაგრამ მედროშე მიშა ჩხეიძე მაგრად იყო და დროშა არავის წაურთმევია. ამ ობსტრუქციამ, დემონსტრაციამ და ხელდახელ შეტაკებამ გასტანა ხუთი წუთი და ხალხიც გაიქც-გამოიქცა, მაგრამ არჩევნები მაინც შესდგა იმავე დღეს, რომელიც გათავდა მეწშევიკების გამარჯვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება II. ისტორიული წერილები

ს. თალაკვაძე.

პირველი მარქსისტი-თეორეტიკი საქართველოში 90-ან წლეგის დასაწყისში.

„რევოლიუციის მატიანეს“ წარსულ 7—8 №№-ში რედაქცია აცხადებდა, მოხუც ამხ. გაგლოევის ბინაზე ამ დღეებში აღმოჩენილ იქნა ამხ. ფ. მახარაძის ძველი, დაუბეჭდავი ხელთნაწერები: 1) „წერილები ჩვენი ცხოვრების შესახებ“, 2) „მწარე ფიქრები“, 3) „უთავ-ბოლოობის ნაყოფი“ და აგრეთვე ერთი კერძო წერილიც მისი ამ ნაწერების შესახებო.

რედაქცია იძლეოდა დაპირებას, ჟურნალის მორიგ შემდეგ ნომერში ამ წერილების გამოქვეყნებისას.

ეს შრომა ამხ. ფილიპესი შესრულებულია ვარშავაში 1891, 92, 93 წლებში, იმ დროს სწორეთ, როცა იგი მარქსისტი გამხდარიყო და ჩაბმოდა ვარშავის პროლეტარიატის მარქსისტულ ორგანიზაციებს, ეწეოდა იქ საშიშარ, დაუღალავ, არალეგალურ რევოლიუციონურ მუშაობას მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

პრაქტიკულ-რევოლიუციონურ მუშაობასთან ერთად ამხ. ფილიპე არ ივიწყებდა თეორიულსაც და კალმის, მწერლობის საშუალებით იგი აწვდიდა საქართველოს მოწინავე ელემენტებს თავის მარქსისტულ რევოლიუციონურ შრომას.

ამხ. ფილიპე სწერდა მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობილ პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებს, რომელიც მიმართული იყო საქართველოს მაშინდელ რეაქციონურ-თავად აზნაურულ, ბურჟუაზიულ-შოვინისტურ და წვრილ-ბურჟუაზიულ უტოპისტ-ნაროდნიკების იდეოლოგების წინააღმდეგ.

ამხ. ფილიპე მახარაძის (ფ. შემოქმედელის) ეს წერილები მოდიოდა ერთად-ერთ მაშინდელ ქართულ გაზეთ „ივერიის“ რედაქციის სახელზე, სადაც მოკალათებული იყვნენ სწორედ ზემოთ-ხსენებული რეაქციონურ-თავად-აზნაურული, ბურჟუაზიულ-შოვინისტური იდეოლოგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ფ. მახარაძის წერილებს არ ეღირსა სინათლე; „ივერიის“ რედაქციამ არ დაბეჭდა ისინი.

...არც იყო გასაკვირი, რომ მარქსისტ ამხ. ფილიპეს შრომას არ მიეცა ადგილი რეაქციონურ, ბურჟუაზიულ-შოვინისტურ ორგანოში—„ივერიაში“.

ეს წერილები გადადიოდა შემდეგ ამხ. ფილიპეს ნაცნობ-მეგობრების,—რევოლიუციონურ მშრომელ ინტელიგენტების ხელში, როგორიც იყვნენ: ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია, რაჟდენ კალაძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, ლადო კეცხოველი, სევერიანე ჯუღელი, კარლო ჩხეიძე და სხვები. ისინი კითხულობდენ მასში მარქსიზმს, მარქსისტულ თეორიას, მარქსისტულ მოძღვრებას...

რადგან „ივერია“-მ და მაშინ ახლად გამოსულმა ჟურნალმა „ცვალმა“ არ დაბეჭდეს რევოლიუციონური მუშაობისათვის მეტად საჭირო ამხ. ფილიპეს ეს წერილები, ფილიპეს მეგობრების ზეგავლენით, ქართულ ბეჭდვითი სიტყვის გამომცემელნი—კოწია თავართქილაძე და ზაქარია ჭიჭინაძე შეეცადენ ამ შრომის წიგნაკის სახით გამოცემას (იხ. ამის) შესახებ ფილიპეს კერძო წერილი აქვე მოთავსებული, სადაც მას ამ გამოცემის გამო წინასიტყვაობაც მოემზადებია).

როგორც შემდეგ ვიცით, გამოცემის მძიმე პირობებმა აქაც უმეხთლა ამხ. ფ. მახარაძის ამ შრომას.

იგი ვერ იქნა გამოცემული წიგნაკათ.

ამ ხანებში, ვარშავის რევოლიუციონურ არა-ლეგალურ ორგანიზაციაში მომუშავე ამხანაგი ფილიპეც დააპატიმრა ვარშავის ჟანდარმერიამ, მოსწყვიტა იგი რევოლიუციონურ მუშაობა-საქმიანობას.

მას შემდეგ, დღევანდლამდის,—32—33 წლის სიგრძეზე არაფერი ამ წერილების ბედის შესახებ ამხ. ფილიპემ და არც მისმა ამხანაგ-მეგობრებმა არ იცოდენ.

კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიისათვის, რომელიც იკვლევს და სწავლობს ჩვენს რევოლიუციონურ—პარტიულ წარსულს, მაინც მეტად საჭირო იყო იგი.

დღევანდლამდის სადავო იყო საკითხი—ვინ შემოიტანა მარქსიზმი საქართველოში; ვისი მეოხებით იწყო მან გავრცელება და დაედვა იგი საფუძვლად საქართველოს რევოლიუციონურ ორგანიზაციებს.

ამის შესახებ იმდენი სხვადასხვა აზრი ტრიალებდა, რამდენიც იყვნენ შერჩენილი ძველი რევოლიუციონერები, ძველი ამხანაგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კი ამ ხელნაწერების აღმოჩენით *) ფარდა აეხადა ამ საკითხს.

ამბ. ფ. მაახარაძე პირველი იყო საქართველოში 90-ან წლებში, 32-33 წლის წანეთ, რომელმაც შემოიტანა რევოლიუციონური მარქსიზმი, მისცა მსვლელობა მარქსისტულ თეორიას,—დაედვა იგი საფუძვლად ამოძრავებულ მუშათა კლასის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს.

ეს შრომა ამტკიცებს, ადასტურებს ამას.

აქ იბეჭდება ჯერ-ჯერობით „უთავბოლობის ნაყოფი". 1892 წელს დაწერილი, კრიტიკული შენიშვნების სახით, რომელიც მიმართულია „ივერიის" თანამშრომლის, საკუთარ მსოფლ-მხედველობა მოკლებულ, ბურჟუაზიულ ილიუზიებში შეტოპილ **მაჩხანელის** წინააღმდეგ.

ამბ. ფილიპე აქ პირველი ამცნობს საქართველოს საზოგადოებრივობას კლასთა ბრძოლის თეორიას, ისტორიის მატერიალისტურ შემეცნებას, მარქსიზმს, საზოგადოებრივობის ორათ,—მუშათა კლასათ და ბურჟუაზიულ კლასათ,—გაყოფას...

„უთავბოლობის" ნაყოფი**).

(კრიტიკული შენიშვნები)

I

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ უთუოდ იცის, რომ ამას წინათ, რამდენიმე ხნის განმავლობაში, გაზ. „ივერია"-ში იბეჭდებოდა ვრცელი სტატია შემდეგი სათაურით: „ჩვენი უთავბოლობა" ***).

*) სამწუხაროდ დღესაც არ არის აღმოჩენილი ორი ხელნაწერი—1) „მარქსისტული დიალექტიკა ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" (რეფერატის სახით წაკითხული ამბ. ფილიპეს მიერ ვარშავაში რევოლიუციონურ ახალგაზრდობისაგან კარლ მარქსის საპატივცემლოთ გამართულ დღეს) და 2) ნ. ყორდანიასთან მოწერილი წერილები მარქსისტული პარტიის დაარსებისა და მისი საბელწოდების შესახებ... როგორც ვიცით, ნ. ყორდანია ცდილობდა თავისი პროექტით—მარქსისტული პარტიისათვის საქართველოში ეწოდებინათ „ნაციონალ-დემოკრატიული", ამას კი წინააღეუდგა ამბ. ფ. მახარაძე მისდამი მიწერილ პირად წერილში, უარყო იგი და თხოულობდა მარქსისტულ პარტიისათვის დაერქვათ სახელი „სოციალ-დემოკრატიული", რაც მიღებული იყო ყველგან მარქსისტულ საფუძველზე მოწყობილ პარტიებისათვის. **ავტორი.**

) ეს შრომა იბეჭდება უცვლელად და გამოდის ცალკე წიგნაკადაც. **რედ.

***) იხ. ამ წლის „ივერია"-ს შემდეგი №№ 66, 67, 79, 87, 89, 90, 143, 150, 155, 161, 164, 169, 174, 176, 185 და 186. უქონლობის გამო ზოგიერთი №№—ბი ვგონებთ გამოვგრჩა. ამისათვის ბოდიშს ვითხოვთ მკითხველთან, თუ დანარჩენი №№ ვერ დავასახელეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სტატიის ავტორი, ბ. დ. მაჩხანელი საკმარისად ცნობილია ჩვენს ლარიბ მწერლობაში, თუმცა-ღა ცნობილობა, ერთი მხრით, ძლიერ გაუგებარია. რისთვისო? ალბათ იკითხავს მკითხველი,—განა ბ. დ. მაჩხანელი „ძმური სიტყვის“ ავტორი არ არისო, რომელიც 1887 წ. გაზ. „იბერია“-ში დაიბეჭდა და მერე ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ გამოიცა, რაც იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაშიო? რასაკვირველია, ეს რამდენიმეთ ჩვენც გვესმის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ამ გარეგნობას დიდ ყურადღებას არ ვიქცევთ; ჩვენ გვსურს უფრო ღრმად შეეხედოთ საქმეს და აი მაშინ რა აღმოჩნდება: „ძმურ სიტყვაში“ ბ. მაჩხანელს მხატვრობითი ხელოვნების მეთხებით გაჰყავს ერთი ფრიად დაძველებული და თითქმის მავნებელი აზრი, რომელიც ეკუთვნის, ეგრედ წოდებულ, ბურჟუაზიულ ეკონომიის მწერლებს და განსაკუთრებით, სმაილს, რომლის მოსაცდუნებელი წიგნაკები ქართულ ენაზედაც არსებობენ (მაგალ.: „თვითგანვითარება“ და „თვითმოქმედება“). ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ დასახელებული ეკონომიის წარმომადგენელნი გაიძახიან: „შრომა-გარჯაა“ ადამიანისათვის ყოველივე ბედნიერების, ნივთიერის თუ გონებრივის თავი და ბოლო; ადამიანმა უნდა მუყაითად იშრომოს, და ეს პირობა თუ შესრულებულია, მაშინ „მის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფსო“, როგორც ამბობს ბ. მაჩხანელი.

საუბედუროთ, ადგილის და დროს უქონლობის გამო „ძმურ სიტყვის“ გარჩევაზე ჩვენ ახლა ვერ გავჩერდებით, მხოლოდ რამდენიმე კითხვის პასუხს მოვსთხოვთ ბ. მაჩხანელს: საიდან არის ის, რომ რომელიმე ქარხნის მუშა დღითი და ღამით უზომოთ ჰხარჯავს თავის სამუშაო ძალას და ამასთანავე, როგორც გონებრივათ, ისე ნივთიერად*), სულ უკან იწევა და არა წინ? ამისათვის ის აღარ ზოგავს არც თავის ცოლს, და არც თავის პაწაწკინა ბავშვებს: როგორც პირველს, ისე უკანასკნელებს, ექვსი წლიდან დაწყებული, გზავნის იმავე ქარხანაში, სადაც თვითონ მუშაობს და ამ ნაირად ხდება მოწამე თავის ოჯახის ზნეობრივი გარყვნილებისა, ფიზიკური დასუსტებისა და უვიცობისა. როგორ უნდა ვიფიქროთ ახლა ჩვენ? თუ მაჩხანელს და მის მასწავლებელ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს მივყვეთო, მაშინ ამნაირი მუშის მდგომარეობა ბედნიერებით სავსე უნდა იყოს, რადგანაც, იმათი აზრით, შრომა-გარჯაა ყოველივე ბედნიერებისათვეე. მივხედოთ ეხლა მეორე მხარეს და ვკითხოთ ბ. მაჩხანელს, როგორ შრომა-გარჯას ჰხედავს ის თუნდ იქ იმ ქარხნების პატრონებშივე, რომლებიც დღე და ღამის განმავლობაში, ვინ მოსთვლის,

*) თუ უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთ ჩვენ ვხედავთ, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა, ამის მიზეზი სულ სხვეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ ნაირ სიამოვნებებს ეძლევიან, რომლების ცოლები მარტო იმაზე ჰფიქრობენ: რომ სახვალიო წვეულებაზე რანაირი მოდის კაბა შეიკერონ, მათი ბავშვები კი სხვადასხვა მხლებლებით დილის ცხრა საათზე გაემგზავრებიან სასწავლებლებში და ეს შრომაც ისე გაადვილებულია უკანასკნელთათვის, რომ გაკვეთილებსაც თითქმის სხვები სწავლობენ იმათ მაგიერ?

ახლა ვიკითხოთ, რომელი მხარე, ქარხნების მუშები თუ ქარხნების მეპატრონენი უფრო შრომობს და რომელი უფრო ტანჯვაშია. მიწის მუშებსა და მიწის მფლობელებზედაც იგივე ითქმის, რაც ქარხნის მუშებსა და მექარხნეებზე. ცხადია, რომ მარტო „შრომა-გარჯას“ ის ბედნიერება სრულებითაც არ მოსდევს, რომელსაც მას პირდებიან ბურჟუაზიული ეკონომისტები; ცხადია, რომ აქ რაღაც უკუღმართობა მეფობს: აქ არსებობს წინააღმდეგობა. მიგვინდვია ბ. მაჩხანელისათვის ამ წინააღმდეგობის გამორკვევა და ახსნა; მაგრამ მას შეეძლება ეს მხოლოდ მაშინ, როცა ის უარყოფს თავის პირველ აზრს ბედნიერების მოპოვების შესახებ *). ახლა კი დავუბრუნდეთ „ჩვენი უთავბოლობის“ კრიტიკულ განხილვას, რაც ამ წერილის მიზანს შეადგენს.

სტატიაში: „ჩვენი უთავბოლობა“ აღძრულია მრავალი საინტერესო და ამასთანავე სამძიმარი კითხვები, ასე რომ თითეული იმათგანის ჯეროვანად განხილვა ერცელ და საინტერესო გამოკვლევას შეადგენდა. აშკარაა, რომ საგაზეთო წერილში ჩვენ ამ მოთხოვნილებას ვერ დავაკმაყოფილებთ. დასახული მიზნის მისაღწევად ჩვენ ვეცდებით გამოვკრიბოთ ბ. მაჩხანელის სტატიიდან უმთავრესი პრინციპიალური აზრები და შემდეგ განვიხილოთ, თუ რამდენათ მართალა სჯის მათი ავტორი, მით უფრო, რომ სისტემატიურად გარჩევა ბ. მაჩხანელის სტატიისა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ერთი და იგივე მრავალ ალაგას არის განმეორებული. ამნაირ პრინციპიალურ შეხედულებებს ეკუთვნის პირველად ბ. მაჩხანელის აზრი ხალხის გონებრივ და ქონებრივ წარმატებაზე, შემდეგ აზრი იმის შესახებ, თუ რაზე ჰკიდია ქვეყნის ცხოვრების ავკარგიანობა, მერმეთ მოსაზრებანი მთავრობის მნიშვნელობის შესახებ და ბოლოს ავტორის აზრი გარჯა-შრომაზე. მაგრამ ამით სრულებით არ განისაზღვრება ჩვენი ავტორის სტატია.

როგორც მკითხველს ეცოდინება, ბ. მაჩხანელმა ჯერ კიდევ „წინასიტყვაობის მაგიერში“ („იბერია“ №№ 66 და 67) დაგვეპირდა,

---

*) ამ კითხვას ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვემოდ შეეკებებით. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა, მკითხველს ახსოვდეს, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში სახეში ვეაქვს თანამედროვე წარმოების კაპიტალისტური წესწყობილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „ჩენ უთავბოლობაში“ ის პირველად შეეხება დაწერილებით ჩვენი ხალხის ნივთიერ მდგომარეობას, შემდეგ იმას, თუ რა განწყობილება აქვს მიწის მწარმოებელ ხალხთან სხვადასხვა სამსახურის და წოდების კაცებს და ბოლოს ეცდება გვიჩვენოს „წამალიც ივ ეკონომიურ ჯირისა, რომელიც ძირს უთხრის ჩვენში ხალხის ნივთიერს და სულიერს ცხოვრებას“ („ივ.“ № 143). თუ როგორ შეასრულა ავტორმა თავის დანიშნულების პირველი ნაწილი, ამას ჩვენ აქ არ ვეხებით; რაც შეეხება დანიშნულების მეორე ნაწილს, ე. ი. წამლის ჩვენებას, ამის შესახებ აქ იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორს უზომოთ სწამს მის მიერ გამოგონილი წამალი: ის ამბობს, რომ მისი წამლის შემოღების შემდეგ „სააქაო ჯოჯოხეთი სამოთხეთ გადაგვექცევა“ („ივ.“ № 186). რასაკვირველია, ავტორის ამნაირი რწმენება მარტო უვიცობაა და სხვა არაფერი. მთელი კაცობრიობის გამოჩენილი მეცნიერნი ისტორიული ცხოვრების დაწყებიდან აქამდე ამ კითხვაზე ჰფიქრობენ და იმტვრევენ თავებს, რომ რამოდენიმედ მაინც გაუადვილონ კაცობრიობის ტანჯულ ნაწილს ეკლიანი გზა; მაგრამ არც ერთს იმათგანს არ მოუნდომებია ერთბაშათ „სააქაო ჯოჯოხეთის სამოთხედ გადაქცევა“, როგორც მოინდომა ბ. მაჩხანელმა. წინათ ჩვენ გვეგონა, რომ ბ. მაჩხანელი ხუმრობს თავის მკითხველთან, მაგრამ რა დროის ხუმრობა იყო, როცა „ივერია“-ში ამოვიკითხეთ: „წამალი, წამალი!—ღაღადებდა ბ. მაჩხანელი. წამალი ქვეყანას, თორემ იღუპება! აი წამლის წერასაც მივუახლოვდით—ჰსწერდა ავტორი, (მაშინ სწორედ თავისუფლად ამოვისუნთქეთ, თორემ თქვენი მტერი: გული კინაღამ წაგვივიდა!), თუ კი იკმარებს (მაშ არა და!) თავშეუდებელი ქვეყანა და შეუდგება ახალს გზას კეთილის ცხოვრებისასო“ („ივ.“ № 150). ამიტომ უმთავრესად საჭიროა ბ. მაჩხანელის მიერ ნაჩვენები „ახალი გზის“ განხილვაც, მაგრამ პირველად უმჯობესი იქნება განვიხილოთ ავტორის ზემოაღნიშნული შეხედულებანი, რითაც უფრო გაგვიადვილდება მისი „ახალი გზის“ განხილვაც.

II

ერთად ერთი საშუალება, რომელიც უსათუოდ გამოგვადგება ზემოაღნიშნულ კითხვების გამორკვევისათვის და რომელშიაც უნდა ვეძიოთ ნამდვილი კრიტერიუში, არის ისტორია. ავიღოთ, მაგალ., პირველი კითხვა, ე. ი. ხალხის გონებრივი და ეკონომიური წარმატება. ყოველნაირი მსჯელობა ამ საგნის შესახებ უსათუოდ დამყარებული უნდა იყოს ისტორიაზე, უამისოდ ის მოკლებული იქნება სისწორესა და სინამდვილეს. აი, ამის დასამტკიცებელი საბუთი: ბ. მაჩხანელი თავის „ჩენ უთავბოლობაში“ სცდილობს დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ ხალხის საზოგადო განვითარება სწარმოებს ინნაოთად, რომ ქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებრივი განვითარება ანუ სიმდიდრე წინ მიუძღვის მის გონებრივ განვითარებას; ჯერ ქონებრივი სიმდიდრე და მერე გონებრივი განვითარება, აი საყოველთაო კანონი, რომელსაც იცავს ბ. მაჩხანელი ყველა მისდამი მისაწდომელი იარაღებით.

ჯერ კიდევ „ჩვენი უთავბოლობის“ წინასიტყვაობის სამაგიეროში ჩვენს ავტორს გაეკვეა ის აზრი, რომ საზოგადო გონებრივი განვითარება ქონებრივი სიმდიდრისაგან არის წარმომდგარიო და ამის დასამტკიცებლად თავის თავი მოჰყავდა. ის ამბობდა: მამა ჩემს რომ ნივთიერი სიმდიდრე არ ჰქონებოდა, მაშინ მე, ცხრა თთას იქით გადაკარგულს, აღარ შემეძლებოდა ჩემს მოძმეებთან საუბარი და მათთვის ჩემი ღრმა აზრების გაზიარებაო“ („ივ.“ № 66). ამავე აზრს იმეორებს ავტორი მეორე ადგილასაც როცა ამბობს: „გონივრულ გარჯა-შრომას პატარაობიდანვე შესწავლა ეჰივრება და შესწავლას ფულები უნდა“ („ივ.“ № 143). მაგრამ საჭუბარო ის არის, რომ ავტორს ამ ფრიად საინტერესო აზრის დასამტკიცებლად მეტი არაფერი არ მოყავს, გარდა იმისა, რომ უკანასკნელ ფელეტონში ამბობს: „საზოგადო დეპო-კასები დაპბადებს ხალხში კეთილს ქონების, ურომლისოთაც ერის გონებრივი წარმატება, ვიმეორებ, ყოვლად შეუძლებელია: **ნივთიერი სიღატაკე გონება ზნეობის გამავაგლახებელი (??) და გამაბედშავებელი სიღატაკეა** (სიღატაკე-სიღატაკეა—(масло масляное) ან კი დაყამირებულ ტიტველა მინდორზე ედემის ბაღს (!) როგორ მოვაშენებთ, თუ საიმისო შეძლება არ გვექნება? საკვირველია ღმერთმანი—განაგრძობს ავტორი—დღეს ყველა ქუდიანი და უქუდო იმას უქადაგებს ხალხს, სკოლები დაიარსეთო, და იმას კი როდღა ჰფიქრობენ მოქალაქენი, რომ სკოლებისათვის მუდამ წელს ფულების გამოღებას და სკოლაში მოსიარულე შვილების შენახვას კი მაგარი წელი უნდა და დღეს-კი თითქმის ყველას წელი აქვს მოწყვეტილი სიღარიბისაგან“ („ივ.“ № 186).

აი ყოველივე, რაც ავტორს შეეძლო ეთქვა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაა ნივთიერ სიმდიდრესა და გონებრივ განვითარებას შორის. მაგრამ შეიძლება თუ არა, ამნაირი აზრის დამყარება ამნაირ ორპოფ საფუძვლებზე? რასაკვირველია, ავტორის ვიწრო შეხედულებით თუ გავსინჯავთ საქმეს, მართალი გამოდგება, რომ ბ. მაჩხანელის მამას ნივთიერი შეძლება რომ არ ჰქონდა, მაშინ ბ. მაჩხანელი ვეღარ უძღვნიდა ქართველ საზოგადოებას, ვერც „მძეოსიტყვას“, და ვერც „ჩვენ უთავბოლობას“, მაგრამ ქართველი საზოგადოებისათვის სულ ერთი იქნებოდა, მაჩხანელი მიაწოდებდა მას ამნაირ თხზულებებს, თუ სხვა ვინმე; საზოგადო ჯამი ერთი და იგივე იქნებოდა ორივე შემთხვევაში: იქნებოდა თუ არა ბ. მაჩხანელის მამა მდიდარი, თუ ღარიბი ნივთიერად. მაგრამ ამას თავი დავანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოთ და მივაქციოთ ყურადღება შემდეგ სიტყვებს: „ნივთიერი სიღატაკე გონება-ზნეობის გამავგლახებელი და გამაბედშავებელი სიღატაკეა". რას ნიშნავს ეს ფრაზა? ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ღარბი და ღატაკი ნივთიერი ქონებით დაცემულია როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივადაც, პირიქით, ყველა მდიდარი ნივთიერი ქონების მხრივ განათლებულია, როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივადაც. მაგრამ ავტორის ამნაირი აზრი ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც კი აქნამდის იცის განათლებულმა კაცობრიობამ. ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელმა გამოიჩინა საქმის სრული უცოდინარობა. რომელი ერთი მაგალითი მოვუყვანოთ ბ. მაჩხანელს მისი მიუტევებელი შეცდომის გასასწორებლად? ჩვენ ვურჩევთ ბ. მაჩხანელს გაკვრით მაინც გადაეხედოს მსოფლიო ისტორიას და იქ დაინახავს გამოჩენილ მოღვაწეებს, მეცნიერებს და, უმეტესად, მეცნიერებისათვის წამებულებს, რომლებიც მიუხედავათ ნივთიერი სიღატაკისა, იჩენდენ სამაგალითო გონებრივ და ზნეობრივ ძალას. ამ მაგალითებიდან ის აგრეთვე ცხადად დაინახავს თავის თავის საწინააღმდეგო აზრს, რომ არა „ნივთიერი სიღატაკე გონება ზნეობის გამაგლახებელი და გამაბედშავებელი სიღატაკე", არამედ ნივთიერი სიმდიდრე, რომელსაც არა თუ გუნდრუკს უკმევს ავტორი, არამედ პირდაპირ აღმერთებს (ჩვენ ვიცით, რომ ბ. მაჩხანელი დეპო-კასსებს მეორე ღმერთებს უწოდებს). გასაკვირალი ის არის ამ შემთხვევაში, რომ ის პირი, რომელიც მუდამ იხსენიებს ქრისტეს და მისი აფორიზმებით ხელმძღვანელობს, როცა დასჭირდა ქრისტეს უმთავრესი სწავლა სრულიად დაივიწყა და თავისი აზროვნობით ქრისტეს გამყიდველს, იუდას, მიემხრა ესეც კარგი მასალაა ავტორის ხასიათის შესასწავლად.

ახლა თუ ამავე საგანს შევეხებით უფრო ფართოდ და არა ისე, როგორც მოიქცა მას ბ. მაჩხანელი, ე. ი. თუ მეცნიერულს იარაღს ვიხმართ, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ არასოდეს ხალხის გონებრივი განვითარება მისი ნივთიერი სიმდიდრიდან არ წარმომდგარა, და თუ ოდესმე წარმომდგარა, ამნაირი გონებრივი განვითარება არ ყოფილა მკვიდრი და ადრეც გამქრალა. ამას აშკარად გვიმტკიცებს წინანდელი და ახლანდელ ცივილიზაციათა შედარება: წინანდელ ცივილიზაციებში ცოტა ადგილი ჰქონდა მიჩენილი აზროვნების მუშაობას და სხვათა შორის, ეს გარემოებაც ხელს უწყობდა ამ ცივილიზაციათა დანგრევას. ახლანდელ ცივილიზაციებს კი წინ მიუძღვის აზროვნების მუშაობა და აი ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ დღევანდელი კაცობრიობის მერმისი საკმარისად უზრუნველყოფილია. რასაკვირველია, ნივთიერ სიმდიდრეს, როგორც საზოგადოებრივ ძალას ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესად საურთიერთო შორისო განწყობილებაზე სხვადასხვა წოდებათა შორის.

ეს კითხვა ყველაზე უფრო საფუძვლიანად შესწავლილი აქვს ეგრედ წოდებულ ისტორიული მატერიალიზმის სკოლას, რომლის დამფუძნებელი არიან კარლ მარქსი და ფრიდ. ენგელსი. საქმე ის არის, რომ ამ სკოლას ესმის ეს კითხვა უფრო ფართოდ; ამისათვის მოვიყვანოთ თვით კ. მარქსის სიტყვები: „თავის საზოგადოებრივ ცხოვრებაში—ამბობს ის—ადამიანები აწყდებიან განსაკუთრებულ და მიუცილებელ ურთიერთობებს, სახელდობრ საწარმოვო ურთიერთობებს, რომლებიც შეესაბამებიან რომელიმე საწარმოვო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს (სტადიას). შეერთება წარმოების ყველა ამ ურთიერთობათა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუკტურას (შენობას), რეალურ საფუძველს, რომელზედაც აღიმართებიან იურიდიული და პოლიტიკური შენობები და რომელსაც ექვემდებარება საზოგადოებრივ ცნობიერების განსაზღვრული ფორმები... „Не понятия определяют общественную жизнь, но наоборот—их общественная жизнь обусловливает собою их понятия“. ამასთანავე გავიხსენოთ კიდევ ცნობილი ვიკოს სიტყვები: „იდეების სვლა ექვემდებარება ნივთების სვლას“. აქედან ჩვენ „გამოგვყავს ის დასკვნა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე მხარე დამოკიდებულია ნივთების ნამდვილ სვლისაგან და არა განყენებული იდეებისაგან, ამ ნივთების სვლას აქვს თავისი სხვადასხვა ისტორიული საფეხურები; ამის მიხედვით ვითარდებიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალები და მათ შორის საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც შეესაბამება ხალხის გონებრივ განვითარებას და შეადგენს უპირველეს ძალას მის ცხოვრებაში.

მაშასადამე, აქ არავითარი ადგილი არ აქვს ბ. მაჩხანელის მტკიცებას, ვითომც ყოველივე ეს დამოკიდებული იყოს ნივთიერი სიმდიდრისაგან. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაკვირველია, არსებობს როგორც ნივთიერი სიმდიდრე, ისე ნივთიერი სიღატაკეც. მაგრამ ამა ვინმემ სცადოს (გარდა მაჩხანელისა, რასაკვირველია) ამის დამტკიცება, რომ პროგრესიული მოძრაობა ხდება ნივთიერი სიმდიდრის მეოხებით. ჩვენ ვამტკიცებთ პირდაპირ ამის წინააღმდეგს. თუმცაღა ნივთიერი სიმდიდრე, როგორც ნივთიერი სიღატაკე მიუცილებელი ელემენტია ყოველნაირი ისტორიული პროცესისა, მაგრამ პირველი ყოველთვის აბრკოლებს და ჩაგრავს ყოველნაირ პროგრესსიულ მოძრაობას, მაშინ როდესაც ნივთიერი სიღატაკე ხელდახელი აქენები ანუ მომქმედია ამნაირი მოძრაობისა. ამა გადავავლოთ თვალი მსოფლიო ისტორიას და ჩვენ იქ ცხადათ დავინახავთ, რომ ყოველთვის პროგრესის დროშა გადაშლილი იყო ბედკრულთა რაზმებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მხრით, არც ის უნდა გაუშვათ მხედველობიდან, რომ ნივთიერი სიმდიდრის მოგროვება თხოულობს რამოდენიმედ განსაზღვრულ ტეხნიკურ ცოდნას და, მაშასადამე, წინდაწინვე იგულისხმება რამოდენიმედ გონებრივი განვითარება. ამას ნაწილობრივათ ბ. მაჩხანელიც ეტყვის: „გონიერული გარჯა-შრომა—ამბობს ის დამბადებელია ხალხის კეთილ ქონებისა, მაგრამ გონიერულ გარჯა-შრომას პატარაობიდანვე შესწავლა ეპირვება და შესწავლას ფულები უნდა". („ივ." № 143); მაგრამ ავტორი მაინც თავის აზრს მიუბრუნდა: „გონიერულ გარჯა-შრომის ფულებით (ნივთიერი სიმდიდრით) შეეიძენთ მხოლოდო". საუცხოვოა ის, თუ რა ორგინალობა გამოიჩინა ჩვენმა ავტორმა ამ შემთხვევაში: მან ხომ აღიარა პირველად, რომ გონიერულ გარჯა-შრომას უფულობით ვერ შეეიძენთო. ამის შემდეგ ის ამბობს: როდესაც ფულებს არც ღმერთი ჩამოგვიყრის ზეციდან (ღმერთი რაღა საჭიროა, როცა თქვენ თვითონ მშვენივრად ასრულებთ ამ როლს) და რადგანაც ეს არც მთავრობის ვალია, რომ ის სიღატაკის მოსასპობლად სწუხდესო:*) (!!!), ჩვენ დაგვრჩენია ერთად-ერთი ღონისძიებაო", („ივ." № 143). თუ რა ღონისძიებას გვირჩევს ბ. მაჩხანელი, ამაზედ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ ჩვენ გვსურდა მკითხველის ყურადღება მიგვექცია იმ გარემოებაზე, თუ რა ნაირი ცბიერი ხერხიანობით ხელმძღვანელობს ჩვენი ავტორი, როცა მას ჰსურს რომელიმე სამძიმო საგნის გამორკვევა. ის ამბობს, რომ თუმცაღა გონიერულ გარჯა-შრომისათვის საჭიროა პატარაობიდანვე სწავლა, მაგრამ, მეორე მხრით თვით სწავლის შეძენისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ფულების ქონლობა. შემდეგ ამისა ის სჯის ამნაირად, თუმცაღა ჩვენ, ქართველებს, ფულები არა გვაქვს და არც ვინმეიდგან მევალეთ იმათ მოცეშას, მაგრამ მე დაგასწავლით ამისთანა საშვალებასო, რომ ფულები ზედმეტი შეეიძინოთო და მერე შეიძლება, რომ სწავლასაც ხელი მოვკიდოთ; თორემ რომელი სულელია ის რომ ჭკადაგებს, რომ ყველამდი გამდიდრებამდის სკოლები დაიარსეთო; ეს შეუძლებელია და არსად ასე არ მომხდარა: ყოველგან უბრალო ხალხი ჯერ ნივთიერად გამდიდრებულა და მერე მხოლოდ გონებრივი განათლება შეუძენია. ამნაირად ავტორის ფრაზა: „გონიერულ გარჯა-შრომას პატარაობიდანვე სწავლა ეპიერებაო"

*) ამ სიტყვების შემდეგ მკითხველს ვთხოვ ეს წაკითხოს შემდეგი ფრაზები ჩვენი ავტორისა: „უმაღლესი მთავრობაც იგივეა თავის ხალხისათვის, რაც კეთილი დედ-მამა თავის შვილებისათვის" („ივ." № 164) ახლა ავტორს ვკითხოთ: ნუ თუ დედ-მამა არ უნდა ზრუნავდეს თავის შვილების ავკარგიანობაზე? მაგრამ კიდევ დაუჯდეთ ავტორს ყური: „მეფე მამაა ერისა და მთავრობა დედა" (ივ. № 186) ამავე ფელეტონში მას მოყავს კიდევ მეფე ფრიდრიხ დიდის (სიტყვები: „მეფე ის არისო, ვინც თავის ერის პირსა მკურნალებსო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა სრულიად გამოურკვეველი და ავტორი ხელახლა თავის წინანდელ შეხედულებას დაუბრუნდა, რომელიც მოკლედ იმაში მდგომარეობს, რომ უბრალო ხალხი ჯერ ნივთიერად გამდიდრდეს და მხოლოდ მერე დაიწყოს ლტოლვა გონებრივ განვითარებისადმიო.

ბ. მაჩხანელის ამნაირი შეხედულება, ერთის მხრით, ისტორიული სიცრუეა, რადგანაც საზოგადოების გაღატაკებულ კლასს ანუ წოდებას არასოდეს არ გაუმჯობესებია თავისი ხვითიერი მდგომარეობა სანამ რამოდენიმედ მაინც არ მოსულა თავის სოციალურ მდგომარეობის და მნიშვნელობის ცნობიერებაში. ეს უკანასკნელი გარემოება იმდენად აუცილებელია, რომ უიმისოდ ჩვენ პირდაპირ შეგვიძლია უარვყოთ ყოველნაირი პროგრესიული სვლა საზოგადოების დაჩაგრული ნაწილისა. მაგრამ ამნაირი ცნობიერობის გავრცელება ხალხში მარტო იმას ამტკიცებს, რომ ხალხის გონებრივი ძალა მატულობს, რომ ხალხი იწყებს გონიერ ცხოვრებას, ე. ი. იწყება ახალი ხანა გონებრივი განვითარებისა, რაც დაედება საფუძვლად ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესობის საქმეს.

მეორეს მხრით, რაც ყველაზე უფრო საშიშარია, ბ. მაჩხანელის ამნაირი შეხედულება მავნებელიც არის, რადგანაც ის პირდაპირ ამართლებს უმეცარი ხალხის შეხედულებას სწავლა-განათლებაზე, რომელიც უბრალო ხალხს რაღაც დიდი მედიდურება გონია და მეტი არაფერი. მაგრამ, ჩვენდა სანუგეშებლად, ჩვენი ხალხის რამდენიმე ნაწილი მაინც კი მიხვდა, რომ სწავლა-განათლება მედიდურება სრულიად არ არის, რომ ის ღარიბისათვის უფრო გამოსადეგი იარაღია ცხოვრებაში. თუმცა რას იზამთ, როცა ბ. მაჩხანელისთანა ავტორიტეტები გამოდიან და აშკარად ჰქადაგებენ, რომ ხალხმა სკოლებს თავი დაანებოს და მხოლოდ ყიდვა-გაყიდვას ანუ წმინდა საეჭრო საქმეებს მოჰკიდოს ხელიო, ეითომც ამის მშრუნველნი ჩვენ გვაკლდეს. ამნაირი თეორიის გატარებით, ბ. მაჩხანელი იქამდის მივიდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც უარჰყო მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საზოგადოებამ წერა-კითხვის და წიგნების ბეჭდვას მიჰყო (კარგი კიდეე, რომ მაინცა და მაინც ბეეფი წიგნები არ დაუბეჭდია ამ საზოგადოებას, თორემ მაშინ ეეღარ აუვიდოდა ბ. მაჩხანლის ყვედრებას), როცა ჩვენთვის სააღებ-მიცემო და საბირჟო „საქმეები იყო საჭიროვო, და მერე ამნაირად უკიჟინა იმათ, ვინც სკოლების დაარსებაზე იღწვიან: „სწორედ დიდი სირცხვილია, ღვინო არსად იყოს და ყვიროდეთ კი: ტიკები, ტიკები!.. ღვინო მირთვით, ღვინო!.. რატომ ღვინოს არ უწყალობებთ საზოგადო საქმეს, თქვე უკუღმართებო!„(ივ.“ № 186) *).

*) აქ არ შეგვიძლია არ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ერთ ფრიად საგულისხმო გარემოებაზე. ჩვენ ვამბობთ ჩვენი თანამედროვე პოეტის წერილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუნაირად უკეთმართნი არიან ბ. მაჩხანელის თვალში ისინი, ვინც სახალხო სკოლებზე იღწვიან და საალებ—მიცემო საქმეებს ხელიდან უშვებენ. ჩვენ კი მაინც არ დავეცემით სულიერათ და სრულს იმედს ვიქონიებთ, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებლები წინანდელზე უკეთ განაგრძობენ თავიანთ წმინდა მოვალეობას და მიაწვდიან ხალხს იმ „ღვინოს"—კი არა, რომელსაც ტაკებში ასხამენ, არამედ იმას, რომელიც ადამიანის ჭკუა-გონებას გაანათლებს.

III

ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი ადგილად დაინახავდა, თუ რა აზრისაა ბ. მაჩხანელი ხალხის გონებრივ განვითარებაზე საერთოდ და, კერძოდ სახალხო სწავლა—განათლებაზე, რომელიც მას სწამს მხოლოდ მდიდრებისათვის. აქედან, რასაკვირველია, ის პირდაპირი დასკვნა გამოდის, რომ სწავლა-განათლება რაღაც თავის თავად an und fürsicn ჩნდება ცხოვრების უმმართებოდ, მაშინ, როცა ის ხელს უწყობს ხალხის ყოველმხრივ წარმატებას და კეთილდღეობას, ე. ი. რაც ბ. მაჩხანლისათვის მიზნად ჩნდება, an sich, ის ჩვენთვის მხოლოდ საშვალებაა. აი, პრინციპიალური წერტილი, რომელზედაც ბ. მაჩხანელი და ჩვენ ვსცილდებით ერთი მეორეს.

ბ. მაჩხანლის ამნაირ შეხედულებიდან ხალხის ნივთიერ სიმდიდრეს და გონებრივ განვითარებაზე ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე მისი პრინციპიალური შეხედულება იმის შესახებ, თუ რაზე ჰკიდია ქვეყნის ავ-კარგიანობა, ე. ი. მისი კეთილდღეობა. ამ შემთხვევაში ავტორის აზრის გასაგებად მოვიყვანოთ აქ სიტყვა-სიტყვით მისი მსჯელობა ამ საგნის შესახებ, მით უფრო, რომ ის რამოდენიმე სიტყვაში ძლიერ ნათლად ჰხატავს თავისი აზრს; **ქვეყნის ცხოვრების** ავ-კარგიანობა—ამბობს ის—**ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ ჰკიდია** და ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის ალებ-მიცემობის ავ-კარგიანობაზედ. მაშასადამე, დაასკვნის ბ. მაჩხანელი—როგორც გარჯა-შრომა (გარჯა-შრომაზე ჩვენ მეორე ალაგას გვექნება საუბარი), ისეც ალებ-მიცემობა სათავეა ნივთიერ ცხოვრების ჭირნისაც და ლხინისაც, წარმატებისაც და შეფერხებისაც" („ივერ". № 150). უფრო ბნელად და ამასთანავე დაბნეულად ავტორი ამასვე მეორე ალაგას ამბობს: „სიმდიდრე" გონება-ქონების („გონება-ქონება! ავტორს ეტყობა ძლიერ უყვარს სიტყვებით თამაში!) სათავეა ქვეყნის მრავალგვარ კეთილდღეობისა" („ივ." № 143).

პეტერბურგის სტუდენტების მიმართ, რომელშიაც ეს პოეტი ამბობდა, რომ მას არა სწამს სიღატაკით მოპოვებული სწავლა („ივ" № 188). მაშ, რასაკვირველია, მას ეწამება მხოლოდ სიმდიდრით მოპოვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნაირად ავტორი გვარწმუნებს, რომ ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მხოლოდ „ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ". რამდენადაც მეტი ქონება არის მოგროვილი რომელიმე ქვეყანაში, იმდენად მისი საზოგადო კეთილდღეობა მაღლა სდგას. ბ. მაჩხანელის თვალში ის სულ ერთია, ვის ხელშია მოგროვილი ეს ქონებრივი სიმდიდრე ან როგორ არის განაწილებული ქვეყნის აუარებელი სიმდიდრე: ეს სიმდიდრე ერთი ანუ რამდენიმე პირების ხელშია, თუ უმრავლესობაშია განაწილებული, ამ უკანასკნელ კითხვას, ე. ი. წარმოების ნაყოფთა განაწილებას ის სულ არ ეხება, ვითომც იმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამიათვისაც არის, რომ ინგლისს ავტორი ამ შემთხვევაში სამაგალითოდ ქვეყნად ჰხდის და ამბობს, რომ „იმაზედ მდიდრულად არავინ სცხოვრობსო" („ივ." № 143). ცხადია, რომ თუ ავტორის ზემო ნათქვამი თეორია მართალია, მაშინ, რასაკვირველია, ინგლისს აბა რომელი ქვეყანა ანუ რომელი ერი შეედრება ნივთიერ სიმდიდრის მოგროვებით? მაგრამ ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ ამ სამაგალითო ინგლისის ნახევარი შეადგენს 150 პირების საკუთრებას, შოტლანდიის ნახევარი ეკუთვნის 10 თუ 12 პირს და მთელი ირლანდია გაყოფილია 15 პირს შორის (Letourneau, L'evolution de la propriété, 1889). ეხლა ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ბ. მაჩხანელის სიტყვები: „ინგლისზედ მდიდრულად არაევინ სცხოვრობსო". ეჭვი არ არის, რომ ბ. მაჩხანელს, როცა ის ამ სიტყვებს სწერდა, მარტო ეს აუარებელ საკუთრებათა მქონენი ჰქონდა სახეში და არა უმრავლესობა ანუ მწარმოებელი ხალხი. უამისოდ მის სიტყვებს, როგორც ქვემოდ დავინახავთ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

რომ ქონებათა რაოდენობა არ არის ნამდვილი გარანტია ქვეყნის კეთილდღეობისა, ამას თვალსაჩინოდ თვით ინგლისი გვიმტკიცებს. ბ. მაჩხანელი მართლა იმაში კი არ სცდება, რომ ინგლისს ერთ უმდიდრეს ქვეყნად ჰხდის (თუმცაღა ამაში შეცდომა ჩვენ არ ვიცოდით, როგორ გვეწოდებინა), მაგრამ ის სცდება უზომოდ, როცა მას ჰსურს ან ნივთიერი სიმდიდრიდან გამოიყვანოს მთელი ქვეყნის ანუ საზოგადო კეთილდღეობა. ინგლისის სიმდიდრე საკმარისად ცნობილია ყველასათვის და ამაზე საუბარს ჩვენ ახლა მეტად ვსთვლით. აქ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმის აღნიშვნა, თუ რას ეხედავთ ამ აუარებელ სიმდიდრის გვერდზედ? ამ უკანასკნელი კითხვის პასუხის მისაგებად სრულიად საკმარისია ის ფაქტები, რომლებიც აღნიშნულია კარლ მარქსის უკვდავ „Des Kapital"-ში. *) ეს ფაქტები ჩვენ

*) სრული სათაური ამ თხზულებისა, რომელმაც შექმნა ახალი ეპოქა პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებაში, არის: Das kapital, kritik der politischen Oekenomie I band. Productionsprocess des kapitales, ეს ტომი პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარად გეეუბნებიან, რომ კერძო პირების ხელში იმდენად გროვდებოდა სიმდიდრე, რამდენად უფრო მეტ პირებს, სახელდობრ მუშებს, ერთმეოდა მათივე შრომის ნაყოფი. ამნაირად კერძო პირების სიმდიდრე იმდენად იზრდებოდა, და დღემდისაც იზრდება, რამდენათაც მრავლდებოდა რიცხვი იმ საზოგადოებრივი კლასისა, რომლიდანაც კაპიტალისტები სწურავენ ყოველნაირ სარგებლობას. ეს, ე. ი. **სხვისი ნაშრომ-ნალვაწის მითვისება შეადგენს იმ წესწყობილების არსებას, რომელსაც კ. მარქსმა უწოდა კაპიტალისტური წესწყობილება, კაპიტალისტური წარმოება და რომელსაც ბ. მაჩხანელი გუნდრუკს უკმევს.**

რაც შეეხება კაპიტალისტური წესწყობილების მიერ შექმნილ ეგრედ წოდებულ „მეოთხე წოდების“ ნივთიერ მდგომარეობას, მის კეთილდღეობას, ამის შესახებ ჩვენ a priori-ულიდაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რანაირი უნდა იყოს ნივთიერი კეთილდღეობა იმ პირისა, რომლის ნაშრომ-ნალვაწს ითვისებს სხვა, მაგრამ ამის შესახებ დაუფასებელი ისტორიული მასალაა შეკრებილი, როგორც „კაპიტალის“, ისე ფრიდ. ენგელსის „Die Lage der Arbeitenben in England“ (1845 წ.) და მრავალი სხვ. ამ მასალის მეოხებით ჩვენ ვტყობილობთ, თუ როგორი იყო მწარმოებელი ხალხის ნივთიერი მდგომარეობა მეთექვსმეტე საუკუნედან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე. ძალდატანებითი ხარჯვა სამუშაო ძალისა, თავშეყრილი ცხოვრება ბნელ ნესტიან შენობებში, ნივთიერი სიღატაკე, გონებრივი და ზნეობრივი სიბნელე, ფიზიკური უძლურება, ქალების და მცირე წლოვანი ბავშვების უზომო შრომა და სხვ. აი რა წამოგვიდგება ჩვენ თვალწინ ამ ფაქტების შესწავლის შემდეგ.

ერთი სიტყვით, ადამიანი გაკვირვებაში მოდის, თუ როგორ შეეძლო მუშა ხალხს იმ ტანჯვათა და უბედურებათა ატანა, რომლებიც არსებობენ იმ ქვეყანაში, რომელზედაც ბ. მაჩხანელი ამბობს: „იმაზედ მდიდრულად არავინ სცხოვრობსო“. ამ უკანასკნელ წლებშიაც ამ მუშა ხალხის მდგომარეობა არაფერს სახარბიელო რასმეს არ წარმოადგენს ნივთიერი ქონების მხრივ; თუმცაღა მუშა ხალხს ინგლისში, როგორც ყოველგან ევროპაში, დაეტყო შესამჩნევად გონებრივი წინ წაწევა, რაც იხატება სხვადასხვა კანონიერ მოთხოვნილებებში, რომლებსაც მუშები აცხადებენ კაპიტალისტების წინაშე, მაგალ. რვა საათიანი სამუშაო დღე, საყოველთაო საარჩევნო კანონი etc. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი ღირსშესანიშნავი გარემოება, რომელმაც ძლიერ დააფიშმანა მთელი ბურჟუა-

---

გამოიცა 1876 წ. შემდეგ მეორე ტომი: Der corculations process des kapitales „Das kapital“-ი არის იმ საფუძველთა გაგრძელება, რომლებიც კ. მარქსს კიდევ 1859 წ. გახავდა თავის: „Zur kritik der politischen Oekonomie“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიული ქვეყანა, გამოწვეულია არა ქონებათა რაოდენობის გაზდის გამო, არამედ დაჩაგრული წოდების საზოგადოებრივი ცნობიერობის წინ-წაწევით.

ამნაირად, როგორც ჩვენ ვხედავთ, ქვეყნის კეთილდღეობა სრულებით არ არის დამოკიდებული ქვეყნის ქონების რაოდენობაზე, მაგრამ ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ვითომც ქონების რაოდენობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ხალხის ცხოვრებაში; ჩვენ ვამტკიცებთ მხოლოდ იმას, რომ ხალხის საზოგადო კეთილოდეობა პირველად და ყველაზე უფრო დამოკიდებულია წარმოების ნაყოფთა განაწილებისაგან. ამის საბუთს წარმოადგენს, როგორც ეხლანდელი ინგლისი კერძოდ, ისე მთელი ევროპა საერთოდ. ახლა ვიკითხოთ, თუ რა საფუძველი ჰქონდა ბ. მაჩხანელს, როცა ის სახალხო კეთილდღეობას ამყარებდა ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ?*) მას არ წარმოუდგენია ამის დასამტკიცებლად არც ისტორიული და არც სხვა რაიმე საბუთი. მაგრამ ამაზე ნაკლებ უსაფუძვლო არაა მეორე მისი რწმუნება, რომ ვითომც „ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის აღებ-მიცემობის ავ-კარგიანობაზედ“ („ივერ.“ № 150.)

საიდან მივიდა ბ. მაჩხანელი ამ დასკვნამდე? მის სტატიაში ჩვენ ამის შესახებ სრულიად ვერაფერს ვერ ვპოვებთ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ბ. მაჩხანელი ყოველგვარ ანალიზს ზურგს აქცევს და ისე მოულოდნელად გაისვრ-გამოისვრის წითელ-წითელ ფრაზებს. მარტო იმას შეუძლია ამისთანა ფრაზების წარმოთქმა, ვინც ან სრულებით არ ჰფიქრობს, რაზედაც სწერს, ან სრულებით არ ესმის ის, რაზედაც ლაპარაკობს. სულ უმარტივესი ცოდნაც საკმარისია პოლიტიკურ ეკონომიიდან იმის დასამტკიცებლად, რომ ქონების რაოდენობას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს აღებ-მიცემობის ანუ სყიდვა-გაყიდვის ავ-კარგიანობასთან. ეჭვი არ არის, რომ ავტორს სახეში აქვს დღევანდელი კაპიტალისტური წარმოება და არა წინანდელი, კომუნისტური, რადგანაც მაშინ სყიდვა-გაყიდვის ხსენებაც არ იყო. თუმცა ამასთანავე ავტორი ჩვენ არ გვიხსნის, თუ რაში მდგომარეობს აღებ-მიცემობის ავ-კარგი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ის კარგ აღებ-მიცემობას უძახის იმას,

*) პოლიტიკური ეკონომიის მამათ—მთავარი, ადამ სმიტი !თუ ამბობდა: „აუარებელი ზრდა წარმოებათა რაოდენობისა ყველანაირ სახელოსნოში, რომელიც (ზრდა) გამოდის შრომის გაყოფისაგან კეთილ განწყობილ საზოგადოებაში იწვევს საზოგადო კეთილდღეობას, რომელიც ვრცელდება ალხის უკანასკნელ წოდებამდის“ (Исследование о приходе и богат. народов 1,107), ვიმეორებთ, თუ ამას ამბობდა ად. სმიტი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ არ იყო გამწვავებული კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობანი, რაც მხოლოდ მის შემდეგ გამოაშკარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა იცვლება ერთმანეთ შორის ორი თანასწორი ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ერთ და იმავე რაოდენობის საზოგადოებრივ აუცილებელ შრომას (კ. მარქსი); „წინააღმდეგ შემთხვევაში აღებ-მიცემობა იქნება არანორმალური და, მაშასადამე, უვარგისი. მაგრამ კაპიტალისტურ წესწყობილებაში უფრო მეფობს ეს მეორე მოვლენა, რომელიც მდგომარეობს საბაზრო ფასის მუდმივ რყევა-ქანაობაში ხან ერთ მხარეს, ხან მეორეს, საქონლის საბაზრო ფასის ეს მუდმივი რყევა-ქანაობა შეადგენს კაპიტალისტური წესწყობილების კანონს, რომელსაც ის ცოტად თუ ბევრად ექვემდებარება თავის განვითარების ყველა სტადიაზე.

მაშასადამე, სად უნდა ვეძიოთ იმის მეზეზი, რომ საბაზრო ფასი მუდამ რყევაშია ხან მაღლა იწევა, ხან დაიწევა? ამ შესანიშნავი მოვლენის მიზეზი უთუოდ უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ სავაჭრო საქონელთა წარმოება კაპიტალისტურ წესწყობილებაში სრულიად არ ექვემდებარება ხალხის მოთხოვნილებებს და საჭიროებებს: კაპიტალისტები ჰხედავენ მხოლოდ სავაჭრო საქონლების ერთმანეთთან დამოკიდებულებებს, ვითომც ნივთების გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს თავის თავად. ადამიანურ განწყობილებათა გარეშე, კაპიტალისტების თვალში სავაჭრო ნივთები ამ სახით რაღაც ჯადოებათ იქცევიან და აი სწორედ ამ მოვლენას სამართლიანად უწოდა კ. მარქსმა ფეტიშიზმი (getische—ნიშნავს კერპის გამოხატულობას ანუ პირდაპირ კერპს). მაგრამ სწორედ ეს მოვლენა, ე. ი. სავაჭრო საქონლების გაღმერთება, სასტიკად სჯის, როგორც თვით კაპიტალისტებს, ისე უფრო შრომის წარმომადგენლებს: სავაჭრო საქონლები მზადდებიან მომეტებული რაოდენობით; ამისათვის სავაჭრო ნივთების ბაზრული ფასი თანდათან იწევა, სანამ არ დადგება ეგრედ წოდებული საღებ-მიცემო კრიზისი, რომელზედაც კ. მარქსი ამბობს: „კრიზისების დროს ჩნდება ეპიდემია (გადამდები სენი), რომელიც ყველა წინა საუკუნოებში მოგვეჩვენებოდა სისულელეთ—ეს არის სენი მომეტებული წარმოებისა; შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ საშინელმა სიმშილმა ანუ საყოველთაო და სასტიკმა ომიანობამ წაართვა მას (წარმოებას) ყოველსანაირი სასიცოცხლო საშუალებანი“.

ახლა ბ. მაჩხანელს ვკითხოთ: რა იწვევს ამ საზარელ სააღებ-მიცემო მოვლენის კრიზისებს? ბ. მაჩხანელი იძულებული იქნება მოგვიგოს, რომ მომეტებული წარმოებაო, რადგანაც მეტი გასავალი უკვე აღარ აქვს. რაღაა ეს მომეტებული წარმოება? სავაჭრო საქონლების აუარებელი რიცხვი, რომლებსაც გასავალი აღარ აქვთ საქვეყნო ბაზარზე. როგორ გსურთ ამ შემთხვევაში გააუმჯობესოთ საქმის მიმდინარეობა? ბ. მაჩხანელი გვეუბნება, რომ ქონების (სავაჭრო საქონლების) რაოდენობა, მაშასადამე ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაუმჯობესოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღებ-მიცემობა, ე. ი. დამოკიდებულია აღებ-მიცემის ავ-კარგიანობაზე. საგანო. დავამკვიდროთ სავაჭრო საქონლების სყიდვა გაყიდვა თანასწორ ღირებულებაზე. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იმდენი სავაჭრო ნივთები დამზადდება, რაც საზოგადოების ყოველ-გვარ საჭიროებას და მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს მხოლოდ და არა ზედმეტი. საუბედუროდ, კაპიტალისტიურ წესწყობილებაში ამ-ნაირი შეთანხმება წარმოების საზოგადოების მოთხოვნილებებთან ყოვლად შეუძლებელი საქმეა; ეს გარემოება არის ერთი იმ წინააღ-მდეგობათაგანი, რომლებსაც ჰბადებს კაპიტალისტური წარმოება. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების ნიადაგზე აღებ-მიცემობის გაუმჯობესება ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ, ამის მაგივრად ჩვენ აქ ცხადათ ვხედავთ, თუ რაზე არის დამოკიდებული თვით აღებ-მი-ცემობის ავ-კარგიანობა. სულ ცოტა გამჭრიახობაც საკმარისია იმის გასაგებად, რომ თვით აღებ მიცემობის ავკარგიანობა დამოკიდებუ-ლია სავაჭრო საქონლთა რაოდენობაზე: თუ ზედმეტია დამზადილი და გამოტანილი საქონლები ბაზარზე, მაშინ ნაკლებია იმათი ფასი, და პირიქით.

ამნაირად ჩვენ შეგვეძლო დაგვემტკიცებია ბ. მაჩხანელისათ-ვის, რომ კაპიტალისტურ წესწყობილებაში ვერაფერს არგებდა საქ-მის ავ-კარგიანობას, თუნდ რომ ერთი საღირელი იცვლებოდეს თანა-სწორ საღირალზე, რის თვალსაჩინო და ღირსშესანაშნავ მაგალითს წარმოგვიდგენს დღიური ფასი, მაგრამ ამის ანალიზი ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ამიტომ აქ ამას აღარ ვეხებით.

IV.

ჩვენ კიდევ ამ წერილის თავშივე შევეხეთ რამოდენიმედ იმ კითხვას, თუ რანაირად ესმის ჩვენს ავტორს „გარჯა-შრომა"; ვეცდებით ამის შესახებ ძალი:ნ არ გავაგრძელოთ საუბარი. „დაუცხრომელი გარჯა-შრომა—ამბობს ავტორი—წყაროა გონებითისა და ზნეობითის სიმდიდრისა და სიმდიდრე გონება-ქონებისა სათავეა ქვეყნის მრავალ გვარ კეთილდღეობისა" და სხვ. („იგ." № 143). ამ კატეგორიულ მსჯელობას ბ. მაჩხანელი არ უსვამს არავითარ პირობებს, მას მიაჩნია ეს რაღაც შეურყეველ ჭეშმარიტებად მაშინ, როცა ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოგვიდგენს შრომის წარმომადგენელი ხალხი სხვა და სხვა სახელმწიფოებში. მაგრამ, შეიძლება, ბ. მაჩხანელმა მოგვი-გოს, რომ მუშა ხალხის საზარელი მდგომარეობა წარმოსდგება იქი-დან, რომ „ის დაუცხრომელად არ მუშაობსო". მაგრამ ეს პირდაპი-რი ცილის წამება იქნება, რადგანაც ჩვენ ვიცით ნამდვილი ფაქტე-ბიდან, რომ ყოველდღიურმა ძალდატანებით სამუშაო ძალის ხარჯვამ თითქმის კინაღამ გადაშენებამდე მიიყვანა მეცხრამეტე საუკუნის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ ნახევარში მთელი ინგლისის მუშა ხალხი. ნუ თუ დღე და ღამის განმავლობაში 16-18 საათის შეუსვენებელი მუშაობა „დაუცხრომელ შრომად“ არ უნდა ჩაითვალოს? ეს კიდევ არაფერი. იყო ისეთი შემთხვევები, როცა სხვადასხვა ხელობის მუშები მუშაობდენ შეუსვენებლად 30—40 საათის განმავლობაში; თითქმის პაწაწკინა ბავშვებიც არ იყვენ ამ საუკუნის ნახევრამდის დაცული ამნაირ მხეცური მოკეკვისაგან. აქ იმაზე აღარ გავაგრძელებთ სიტყვას, თუ რანაირ მწუხარებაში და ტანჯვაში ატარებდნენ ცხოვრებას ეს „უბედურების შვილნი“, რომლებიც ბ. მაჩხანელის ლოღიკით სრული ბედნიერნი უნდა ყოფილიყვნენ, საინტერესო ცნობებს ამის შესახებ მკითხველი იპოვნის ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ კ. მარქსის და ფრ. ენგელსის თხზულებებში: *)

მაგრამ ყველა ამაზედ ბ. მაჩხანელს შეუძლია გვიპასუხოს, რომ მე ვამბობ მხოლოდ გონივრულ გარჯა-შრომაზედ და, რა ჩემი ბრალია, რომ მუშა ხალხი, როგორც უმეცრული შრომის წარმომადგენელი, საშინლად იტანჯებაო. ჩვენ იმას თავი დავანებოთ, რომ აქ ბ. მაჩხანელი თავის თავს ეწინააღმდეგება ნიკოიერ და გონებრივი განვითარების შესახებ, ჩვენ მივაქციოთ მხოლოდ ყურადღება, თუ როგორ ესმის ბ. მაჩხანელს გონივრული გარჯა-შრომა. ის ამბობს: „გარჯა-შრომა ორნაირია: გონივრული და უმეცრული“ („ივ.“ № 143). მაგრამ, სამწუხაროდ ავტორი, როგორც ყოველთვის, სრულებით არ გვიხსნის, თუ რას ნიშნავს ეს „გონივრული და უმეცრული გარჯა-შრომა“, მაშინ, როცა ეს საგანი ყველაზე უფრო საინტერესო იყო ჩვენთვის.

ამნაირად თუმცაღა ავტორმა დაიზარა ამ კითხვის თეორიულად განმარტება, მაგრამ ერთი მისი მაგალითიდან ჩვენ ადვილად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ როგორ შეუქმნია მას ეს საგანი. „ინგლისელებზე უნაყოფო დედამიწა—ამბობს ბ. მაჩხანელი—არავისა აქვს და საზოგადოთ იმათზედ მდიდრულად არავინა სცხოვრობს, რადგანაც იმათმა დაუცხრომელმა გარჯა—შრომის გონივრულმა უნარმა თვით უნაყოფო სალ-კლდეებსაც კი კეთილი ნაყოფი გამოაღებინა. ჩვენზედ ნაყოფიერი მიწა-წყალი თითქმის მთელს დედამიწის ზურგზედაც არავის აქვს და ჩვენის გლეხკაცისთანა ჭირ ვარამიან ცხოვრებას თვით აფრიკის ველურებიც (!) არ ატარებენ“ (?) „ივ.“ № 143),

აქედან ცხადია, რომ, როცა ბ. მაჩხანელი ლაპარაკობს გონივრულ გარჯა-შრომაზე, იმას სახეში აქვს მხოლოდ ტეხნიკური გაუმ-

*) დიდ სარგებლობას მოუტანს აგრეთვე მკითხველს ლუიო ბრენტანის თხზულება: Die Arleitergilden der gegenioart, რომელიც შეიცავს ისტორიას ევროდ წოდებული Trade-unions“-ისტების მუშათა კორპორაციებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობესება შრომის იარაღთა, ე. ი. შრომის საწარმოვო ძალის აწევა. მაგრამ შეეძლო, თუ არა, შრომის მარტო ტეხნიკურ გაუმჯობესობას მის შესაფერად დაჯილდოება? ამ კითხვას ბ. მაჩხანელი, სამწუხაროდ სულ არ ეხება, მაშინ, როცა მხოლოდ ამ კითხვის გამორკვევისაგან შეგვიძლია ჩვენ შევადგინოთ სწორი და ნამდვილი წარმოდგენა ხსენებულ საგანზე. ეგრედ წოდებულ „მანქანურ წარმოების“ ისტორიამ დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ მანქანების შემოღებიდან არა თუ შემცირდა სამუშაო დღე და გაუმჯობესდა მუშა ხალხის ნივთიერი მდგომარეობა, არამედ ყოველნაირი ლოდინის წინააღმდეგ სამუშაო დღემაც იმატა *) და ნივთიერ მდგომარეობაც შედარებით ძლიერ დაიწია.

მაშასადამე, მანქანების ჭეშმარიტი დანიშნულება — სამუშაო დღის შემცირება და მწარმოებელი ერის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესესა—დავიწყებულ იქნა და მანქანები კიდევ უფრო მეტი სამუშაო ძალის ექსპლუატატორებად გადაიქცენ, შევნიშნავთ აქვე, რომ ეს გარემოებაც კაპიტალისტური წესწყობილების ერთს წინააღმდეგობათაგან შეადგენს, რომელიც ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა დაირღვეს, რომ მის ნანგრევებზე აშენდეს სულ სხვანაირად მოწყობილი წესწყობილება, რომელშიაც აღარ ექნება ალაგი ერთის ნაშრომ-ნაღვაწის მეორეს მიერ მითვისებას, ახლა კი, როცა ჩვენ ამის წინააღმდეგ მხარეს ვხედავთ მკითხველი თვითონ მიხვდება, თუ რამდენათ მართალია ბ. მაჩხანელი, როცა ის ამნაირ გონიერულ გარჯაშრომაზე ლაპარაკობს. ბ. მაჩხანელი უფრო კაის იზამდა, რომ მუშა ხალხის გონებრივ განვითარებაზე და საზოგადო ცნობიერების აღორძინებაზე მიექცია თავისი უმთავრესი ყურადღება; მაგრამ როგორც ჩვენ ვიცით, ეს უკანასკნელი ფაქტორი იმას მომეტებულ მეფიდურებად მიაჩნია.

სანამ ბ. მაჩხანელის „ლიმფაზედ“, ე. ი. მის მიერ გამოგონებულ წამალზე გადავიდოდეთ, ჩვენ გვსურს მოკლეთ განვიხილოთ კიდევ ბ. მაჩხანელის მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ექცეოდენ მთავრობა და ინტელიგენცია უვიც ხალხს სხვადასხვა საკეთილდღეო ზომების შემოღებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელი სულ სხვანაირად იქცევა; როგორც მკითხველი შენიშნავდა ზემოთ, ბ. მაჩხანელი სრულიად არ სცდილობდა თავის აზრის დასაბუთებას, ახლა კი ავტორი თავის აზრს ამტკიცებს სხვადასხვა მოსა-

*) კიდევ უნდა გავახსენო მკითხველს, რომ სამუშაო დღემ ამ უკანასკნელ წლებში დასავლეთ ევროპაში შესამჩნევად იკლო შედარებით, მაგრამ ეს გარემობა გამოწვეულია თვით მუშა-ხალხის განვითარებით გონებრივად. ბრძოლა ამ სამუშაო დღის შესამცირებლად ჩვენს დროში უფრო მატულობს. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ბრძოლა დიდათ დაეჯდა მუშა ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრებით, თუმცა-ღა ყველა ეს მოსაზრებანი მოკლებული არიან ყოველნაირ გამჭრიახობას.

ჩვენს ავტორს არა სწამს არავითარი ძალა გაუნათლებელ ხალხში; ის სცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ხალხს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო, არც მეტს, არც ნაკლებსო. ამისათვის მისი აზრით, გაუნათლებელ ხალხის წინ წაწევა არ შეიძლება მთავრობის ძალა-დაუტანებლად; ავტორის აზრით სულ ერთია, მომზადებულია ხალხი რაიმე ახალი რეფორმის შემოსაღებად თუ არა; ამ უკანასკნელ გარემოებას ავტორის თვალში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რაიმე ახალი რეფორმის შემოღებისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ მთავრობამ სავალდებულოდ გახადოს ის ყველასათვის და ამასთანავე ინტელიგენციამ კვერი დაჰკრას მთავრობის ნათქვამს და უქადაგოს ხალხს, რომ სწორედ ეს არის საუკუნო ნეტარება, რომელსაც ყველანი უნდა ელტვოდეს საცხონებლად. „აკი მოგახსენეთო —ამბობს ბ. მაჩხანელი— წინმსვლელობის საქმეში უვიცი ხალხიც იგივე ბალღია და სწავლა რომ მარტო ბალღის ნება-ყოფლობაზედ მიაგდოთ, ის მარტო ალოლლოტია ბიჭ-ბუჭებში რბენას ირჩევს და წიგნში კი ერთხელაც არ ჩაიხედავს. არა თუ ბალღი—განაგრძობს ავტორი, თვით დიდებული გენიოსიც კი გაჩანჩურივანაჩდება, **იმის სულს რომ ძალად სამოქმედებელი ძალა გამოელიოსო**. მაშასადამე, დაასკვნის ბ. მაჩხანელი— საკეთილო ძალდატანება უდიდებულეს მადლის დამბადებელი ყოფილა და უმისოდ-კი ყურაქვიტა გენიოსიც გაჩანჩურიევანაჩდებოდა და ქვეყნის რეგრესსზედ შეიცვლებოდაო“ („ივ.“ № 176).

მეთვრამეტე საუკუნეში არსებობდა ერთნაირი ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ამტკიცებდა, რომ კაცობრიობა ითქმის ვარდებოდა განსაცდელში და იტანჯებოდა, რომ ის იყო სულელი და გაუნათლებელიო; მაგრამ მე-XVIII საუკუნეში ამოვიდა მზე გონებისა და კაცობრიობა ახლა განათლდება და, მაშასადამე, ერთბაშად შეიქნება ბედნიერიო. ამნაირი აზროვნობა, რასაკვირველია, დღევანდელი მეცნიერების შეხედულებით პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონთა თანხმობის ყოველნაირ ცნებას. დღევანდელი მეცნიერება გვეუბნება, რომ თუ წინათ კაცობრიობა სულელი იყო და განსაცდელში შედიოდა,— ყოველივე ეს დამოკიდებული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივ განწყობილებებზე. ამიტომ არავითარ „გონების მზეს“ არ შეუძლია ერთბაშად ბედნიერი გახადოს კაცობრიობა, თუ ჯერ საზოგადოებრივი განწყობილებანი არ შეიცვლებიან. მაგრამ ამ განწყობილებათა შეცვლა არ შეუძლია არავითარ გარეგან შთაგონებას და მით უფრო არავითარ რეფორმას. ამ განწყობილებათა შეცვლა დამოკიდებულია არსებობისათვის ბრძოლის პირობებზე. შეიცვლებიან ეს პირობები და მაშინ შეიცვლებიან ამათგანვე გამოწვეული საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოებრივი განწყობილებანიც, მაშასადამე, აქ მეფობს შინაგანი ლოგიკა, მოვლენათა კანონების სრული თანხმობა, რომელიც განმარტა ჰეგელმა და კ. მარქსმა, მაგრამ თუ მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებმა დაუშვეს ამ საგნის შესახებ დიდი შეცდომა, ჩვენს დროში კი ამნაირი შეცდომის განმეორება სწორედ რომ დიდ დანაშაულებად ჩაითვლება.

რაც შეეხება ბ. მაჩხანელს, ამ საგნის შესახებ მან გამოსთქვა სრულიად თავისებური და უკიდურესი შეხედულებანი. მაგალითად, ის ხალხს ადარებს უბარალო ბალღს, რომელიც თავის ნებით წიგნში თავის დღეში არ ჩაიხედავს, მაგრამ ნუ თუ ავტორმა არ იცის, რომ ბალღი მუდამ ბალღად არ რჩება, რომ ის თანდათან სიჭაბუკეში შედის და მერე ვაჟკაცად იქცევა, რომ ამისდამიხედვით ბალღობას ტოვებს და უფრო განვითარებულ ჭკუა—გონებას იძენს? ჩვენ გვგონია, რომ ამ თვალსაჩინო ფაქტს მაინც ვეღარ უარყოფს ჩვენი ავტორი. მაგრამ ეს საზოგადო განვითარების კანონი თუ მართალია ცალკე ადამიანის შესახებ, ნუ თუ ეს უმართლო იქნება მთელი ხალხის შესახებ? რათ არ შეიძლება დაუშვათ, რომ ხალხიც თანდათან ზრდასთან ერთად იმატებს, როგორც ჭკუა-გონებას, ისე ყოველნაირ განმოცდილებას, რაც დაედება საფუძვლად მის ყოველნაირ განვითარებას? ჩვენ სწორედ არ გვესმის, რათ ყავს ბ. მაჩხანელს ხალხი ყოველ სტადიაზე წარმოდგენილი ბალღურ მდგომარეობაში. მაგრამ ესეც რომ მართალი იყოს, ბ. მაჩხანელის ყოფა-ქცევა ამ ბალღებთან მაინც მოკლებულია ყოველნაირ პედაგოგიურ მოსაზრებას. ნუ თუ ბალღის გამოზრდა გარეგანი ბრძანებების მეოხებით შეიძლება?

ეხლა მიემართოთ ისტორიას.

ისტორი გვეუბნება ჩვენ, რომ ყველანაირი ცვლილება პირველად იბადება თვით ხალხში, თანდათან იძენს ძალას და მხოლოდ მერე მთავრობა იძულებული ხდება ეცნო ეს ცვლილება კანონიერად. რაც შეეხება იმნაირ ცვლილებებს, რომლებიც იწყებოდენ მთავრობიდან და რომელთათვის არ იყო მომზადებული ნიადაგი ხალხში, იმათ ვნების გარდა არა მოჰქონდათ რა მისთვის, თუნდაც რომ ძლიერ სასარგებლოც ყოფილიყვენ ისინი. ეს მიღებულია ჩვენს დროში როგორც საყოველთაო ისტორიული კანონი. მაგრამ რას იხამთ, როცა ბ. მაჩხანელი სხვადასხვა მაგალითებითაც კი ამტკიცებს თავის აზრს. ის ამბობს, მაგალ., რომ სწავლის სავალდებულოდ აღიარება ყოველგან დიდ ბედნიერებას შეადგენს. განა სწავლის წინააღმდეგი ვინმა არის ჩვენს დროში, მაგრამ ამასაც გააჩნია თავის განსაზღვრული საზოგადოებრივი პირობები. არის იმისთანა სტადია ხალხის ცხოვრებაში, როცა სწავლის სავალდებულოდ გახდომა მარტო ვნებას მოუტანდა საზოგადოებას. როგორ თუ ვნებასო? წამოიძახებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბად ავტორი,—განა სავალდებულო სწავლას საფრანგეთში ენენება მოაქვსო. საქმეც ის არის, ბ. მაჩხანელო, რომ თქვენ შემცდარი ხართ, როცა ამტკიცებთ („ივ.“ № 176), რომ ვითომც საფრანგეთის მთავრობას ძლიერ მოსდომებოდეს საფრანგეთის ელჭ კაცობის განათლება და იმიტომ, ვიღაც საბრალო ლიბერალების შთაგონებით, გეხეხდოს სწავლა სავალდებულოდ მდაბიო ხალხში, რომ ვითომც, როგორც ეს დაკანონება, ისე კიდევ სხვა მრავალი არ ყოფილიყოს გამოწვეული თვით ხალხის პირდაპირი მოთხოვნით. მაშ რაში მდგომარეობს მთელი საფრანგეთის ისტორია და მისი მსოფლიო მნიშვნელობა, თუ არა მთავრობის თანდათან დამორჩილებაში? ამნაირივე დაკანონებანი გამოიცა ეხლა ინგლისში; ნუ თუ იმასაც ბ. მაჩხანელი მთავრობას და მის ადეპტებს მიაწერს?

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენი ავტორის შეხედულებით გენიოსებიც მთაურობის განკარგულებით იბადებიან ხოლმე. ის პირდაპირ ამბობს: „მთავრობის უძალდატანებისოთ უურეკვეტა გენიოსიც გაჩანჩურივანიჩდებოდაო“ („ივ.“ № 176). ჩვენ კი ეს სწორედ ვერ წარმოგვიდგენია: ძალდატანებით გენიოსი! ამისთანა გენიოსები მარტო ბ. მაჩხანელისთვის მიგვინდია. ისევ მან გამოიყენოს თავის ადმინისტრატიული რეფორმების შესასრულებლად. ვინ იცის შეიძლება მთავრობასაც გამოადგეს ამისთანა „გენიოსები“, მაგრამ ხალხს კი სწორედ არ გამოადგება.

ბ. მაჩხანელი კიდევ არ კმარობს ამ საბუთებს, ის სცდილობს კიდევ სხვა ახირებული აზრი წარმოსთქვას. „ბატის ტვინა იქნებოდა—ამბობს ის, ადამიანი, რომელიც ადმინისტრაციას უკიჟინებდა ხალხს ძალდატანებით კალიას რათ აყლეტინებთ, გზებს რათ აკეთებინებთ“-ო და სხვ. („ივ.“ № 176) „თუ ამნაირი ფუნქციები მთავრობისა სასურველია, ამბობს ბ. მაჩხანელი, რომ სავალდებულოდ იყვენ გახდილნი, რათ ის კი არ იქნება სასურველი, რომ ყველანაირი ინიციატივა, ყველანაირი ცვლილება ინტელიგენციის შთაგონებით და მთავრობის ძალდატანებით არ იქმნენ დაწყებულიო“. ჩვენ არ ვიცით, როგორი წარმოდგენა აქვს ბ. მაჩხანელს სოციალურ ორგანიზმზე, მაგრამ ამნაირი მისი მსჯელობიდან აშკარად სჩანს, რომ ის სოციალურ ორგანიზმს ამგზავსებს ბიოლოგიურს. ბიოლოგიურს ორგანიზმში იმნაირათ არის შრომა გაყოფილი, რომ ერთი ორგანები ასრულებენ მუდამ ერთ და იმავე ფუნქციას, მაგალ. საქმლის მოსანელებელ იარაღს არ შეუძლია შეასრულოს ფუნქცია სისხლის ბრუნვის იარაღებისა და სხვ. ბ. მაჩხანელიც ამნაირად სჭრის: ის ამბობს, რომ ინტელიგენციამ უნდა მთავრობას შთააგონოს რაიმე ცვლილების შემოღების სარგებლობა, მერე მთავრობამ ეს სავალდებულოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გახადოს მდაბიო ხალხისათვის, რომელშიაც ის უსათუოდ სისრულეში უნდა მოიყვანოს.

ამნაირია შრომის განაწილება სოციალურ ორგანიზმში. ჩვენი ავტორის წარმოდგენით; თუ ვინცობაა, თვით ხალხში დაიწყო რაიმე ცვლილებაშ თავის ჩენა, ეს პატალოგიური მოვლენაა და მეტი არაფერი, რადგანაც ხალხი, ჩვენი ავტორის შეხედულობით ღებულობს ხოლმე დამზადილს რასმეს, როგორც მაგალ. სისხლის ბრუნვის იარღები ღებულობენ დამზადილს სისხლს მთელ ორგანიზმში გასავრცელებლად, მაგრამ თვითონ ამ იარაღებს სრულებით არ შეუძლიათ სისხლის დამზადება, რადგანაც ეს უკანასკნელი სულ სხვა იარაღების ფუნქციას შეადგენენ. მაგრამ, არა, ბ. მაჩხანელო, ამ თეორიას თქვენზე უფრო ნასწავლ-მეცნიერნი ყავდა თავის ადეპტებად (დრეპერი, ლოლეინფელდი, გერბ. სპენსერი, ბედ>ჯგოტი და სხვ.), მაგრამ ის საკმარისად შეირყა. ამ თეორიას ეწინააღმდეგება, როგორც წარსული, ისე დღევანდელი ცხოვრებაც. წარსული ცხოვრება ჩვენ გვეუბნება, რომ ყველა უდიდესი ცვლილებანი იბადებოდენ თვით ხალხში და მხოლოდ დიდის ბრძოლის შემდეგ მთავრობები იძულებული იყვნენ ეცნათ ეს ცვლილებანი კანონიერად. დღევანდელი ცხოვრებაც იმას გვეუბნება, რომ რომელიმე ცვლილებას და ან რეფორმას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ ის გამოწვეულია და დაბადებული თვით ხალხში. უამისოდ არც ერთს რეფორმას, თუნდ ის ძლიერ სასარგებლოც იყოს, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ხალხის ცხოვრებაში და თვით ცხოვრებაშიაც ყოველნაირად შეუძლებელია მისი გაყვანა. ამნაირად სოციალურ ორგანიზმში იმნაირი შრომის გაყოფა, როგორიც არსებობს ბიოლოგიურ ორგანიზმში, შეუძლებელია: სხვა და სხვა სოციალურ ფუნქციებში ღებულობს მონაწილეობას არა ერთი რომელიმე განსაზღვრული წოდება, არამედ აქ მოქმედებენ სულ სხვა და სხვანაირი სოციალური ელემენტები. მკითხველმა უნდა იქონიოს სახეში, რომ ჩვენ აქ მხოლოდ ერთის მხრით და ისიც გაკვრით ვეხებით ხსენებულ თეორიას, თორემ იმის საწინააღმდეგო ფაქტები სხვებიც არის.

რაც შეეხება სხვადასხვა ადმინისტრატიულ ზომებს, რომლებიც ბ. მაჩხანელს მოჰყავს მაგალითებად, ამ ზომების სისრულეში მოყვანა იმას კიდევ სრულებით არ ნიშნავს, რომ უვიც ხალხს ყოველივე მათრახის ცემით უნდა შეავსრულებინოთ. სადღა ქრება ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელის ჰუმანიური შეხედულება? გავიხსენოთ სხვათა შორის, რა გამოიწვია ადმინისტრატიულმა ზომებმა ხოლერის შესახებ რუსეთის მდაბიო ხალხში, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, რა შეუძლია მარტო სასარგებლო ადმინისტრატიულ ზომებს იქ, სადაც გონება დახშულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, ვისაც კეთილი რამ ჰსურს ხალხისათვის, პირველად იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ თვით ხალხის ჯგუფში დაჰბადოს წყურვილი სხვადასხვა ცვლილებათა მიმართ; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ ხალხის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამისათვის, რაც შეიძლება უფრო მეტი დამოუკიდებელი სვლა სახალხო განვითარებისა და უფრო ნაკლები ძალდატანებითი ძოძრაობა, როცა სულ უბრალოდ იხარჯება ხალხის ენერგია. აქ ეხსნება ფართო სარბიელი ინტელიგენციას, მაგრამ არა ისე, როგორც ბ. მაჩხანელს გონია. ამ უკანასკნელ კითხვას, ე. ი. ინტელიგენციის მოქმედებას, რომელიც ჩამოდის პიროვნების მნიშვნელობაზე ისტორიაში, ჩვენ ვსთვლით იმდენად საინტერესოთ, რომ იმას როდისმე ცალკე წერილს ვუძღვნით. ახლა კი დავუბრუნდეთ ბ. მაჩხანელის სტატიას.

VI.

როგორც ჩვენ ვიცით ოგ. კონტის (Auguste Comte) სისტემაში სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას ადამიანთა საზოგადოებაზე, უკანასკნელი ადგილი უჭირავს: ე. ი. სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, არის ძლიერ ახალი და ამასთანავე ყველა მეცნიერებებზე რთული. ადამიანთა საზოგადოებებში ჩვენ ვხედავთ იგივე მოვლენებს, რაც დანარჩენ ბუნებაში, რადგანაც ადამიანთა საზოგადოებანი შეადგენენ ამ ბუნების ერთ შტოთაგანს; მაგრამ აქ ჩვენ ვხედავთ ამასთანავე ამ მოვლენების სხვა და სხვაგვარ კომბინაციებს. ამის ანალოგიას წარმოგვიდგენს რამდენიმედ ქიმიის მეცნიერება, რომელიც შესდგება ორი დიდი განყოფილებისაგან: არაორგანიული ანუ მინერალური და ორგანიული ანუ ნახშირბადის შეერთებათა ქიმია. ეს ორივე განყოფილება ექვემდებარება ერთ და იმავე კანონებს, მაგრამ ორგანიულ ქიმიაში ხდება ათასნაირი კომბინაციები, რომლების შემჩნევა ძლიერ საძნელოა და ამიტომაც ორგანიული ქიმიაე შედარებით უფრო ძნელი გამოსაკვლევია, ვიდრე არა ორგანიული. ამ შემთხვევაში შეგვიძლია სოციოლოგიას საზოგადოებრივი ქიმია ვუწოდოთ.

ამ მოკლე შენიშვნით ჩვენ გვსურდა ის აზრი გაგვეყვანა, რომ სოციალური მოვლენები ბუნების სხვა მოვლენებთან შედარებით ძლიერ რთული არიან და ამასთანავე ჯერ არ არიან ისე სისწორით შესწავლილი, როგორც ბუნების სხვა მოვლენები. ამისათვის აქ საჭიროა სწორი და გულმოდგინე დაკვირვებანი და უმეტესად საფრთხილოა აჩქარებული დასკვნები. თუ ამასთანავე გვსურს რაიმე საზოგადოებრივი სენის მორჩენა და ვეძებთ ამის საშველას, ამ შემთხვევაში ჩვენი დანაშაულება უფრო გაფართოებულია. რასაკვირველია, რომ გულმოდგინება და სიფრთხილე აქ უფრო მეტი გვმართებს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ეს კიდევ არ კმარა: აქ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ღრმა ცოდნა სოციალურ მოვლენათა: ანალიზი და სინტეზი ერთი მეორეს უნდა ეხმარებოდეს და გენეტიური მეთოდი ნებას გვაძლევდეს შევისწავლოთ ყოველივე სოციალური მოვლენა თავიდან დაწყებული უკანასკნელ განვითარებამდე. ამავე დროს ყოველგვარ ამსოლიუტურ დასკვნებს წინდაწინვე უნდა ვერიდოთ. ახლა გავსინჯოთ, თუ როგორ მოიქცა ბ. მაჩხანელი.

ბ. მაჩხანელის უმთავრეს დანიშნულებას, როგორც უკვე ვიცით, შეადგენდა მოპოვება წამლისა „იმ ეკონომიური ჭირისა, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი ხალხის ნივთიერ და სულიერ ცხოვრებას". აქ ჩვენ ძალაუნებურად ცოტა უკან უნდა დავბრუნდეთ, ე. ი. საჭიროა მოვაგონოთ მკითხველს ის „ეკონომიური ჭირი, რომელიც ბ. მაჩხანელის აზრით ძირს უთხრის ჩვენი ხალხის ყოველგვარ კეთილდღეობას: საჭიროა გამოვარკვიოთ, მოკლედ მაინც, თუ რომელი ეკონომიური ჭირის მოშორება მიაჩნია ბ. მაჩხანელს სასარგებლოდ.

მკითხველს უეჭველად ეხსომება, რომ როცა ბ. მაჩხანელი ჩვენი გლეხ-კაცობის სიღატაკეზე ლაპარაკობდა, ამ სიღატაკის მიზეზს ის ჰხედავდა იმაში, რომ გლეხ-კაცობა ყველა წოდების წარმომადგენლებისაგან იყ�ფებაო. აქ ბ. მაჩხანელმა რამდენიმე წკიპურტი ჰკრა განურჩევლად ყველა ამ წოდებებს, რაზედაც ჩვენ არ ვსთვლით საჭიროდ გაჩერდეთ, და მერე იმ დასკვნამდის მივიდა, რომ უმთავრესი ჭირი, რომლის მოსპობის შემდეგ „საჲაქო ჯოჯოხეთი სამოთხეზედ გადაგვექცევა („ივ." № 186), არის ჩვენი ქვეყნის აღებ-მიცემობა, რომლისაგანაც ბ. მაჩხანელის აზრით, არის დამოკიდებული ყოველგვარი კეთილდღეობა. აი თვით ავტორის სიტყვები: „ქვეყნის ცხოვრების ავ-კარგიანობა ქვეყნის ქონების რაოდენობაზედ ჰკიდია და ქონების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის აღებ-მიცემის ავ-კარგიანობაზედ. მაშასადამე—დაასკვნის ავტორი—როგორც გარჯაშრომა, ისეც აღებ-მიცემობა სათავეა ნივთიერი ცხოვრების ჭირისაც და ლხინისაც, წარმატებისაც და შეფერხებისაც" („ივ." № 150).

მაშასადამე, ეკონომიური ჭირი ნაპოვნია—ეს არის აღებ-მიცემობის ცუდი მიმართულება. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ცუდი აღებ-მიცემობა? და არის თუ არა ის ყოველგვარ უკუღმართობის და ყველა უბედურებათა წინა პირველი მიზეზი, ე. ი. ძირი ყველა უკეთურებათა? უკანასკნელ კითხვას ბ. მაჩხანელი აღარ აჩერებს, რადგანაც ის დარწმუნებულია, რომ ყოველგვარი უბედურება მარტო აღებ-მიცემობის ცუდი მიმართულებიდან წარმოსდგება; მაგრამ პირველს კითხვას ის იკვლევს მათემათიკურის (უკეთ რომ ვსთქვათ, არითმეტიკულის) გამოთვლით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიღოთ ერთი სამას კომლიანი სოფელი; თითო კომლი ჭყიდულობს ერთი წლის განმავლობაში 80 მან. საქონელს, სესხულობს 20 მან. და ჭყიდის 100 მან. ჭირნახულს (კარგა კი გამოუანგარიშებია ავტორს). შემოსავალი ეთანასწორება გასავალს—100=—80+(—20). მაშასადამე, მთელი სოფელი ჭყიდულობს 24,000 მან. ივალებს 6.000 მან. და გაჭყიდის 30,000 მან. ჭირნახულს". შემდეგ ავტორს გამოჭყავს დეპო-კასებიან შედარებით, რომ „სულ მცირე ანგარიშიც რომ ავიღოთ, თვითეული კომლი ზარალობს წელიწადში 40 მან. და რადგანაც საქართველოში 200,000 კომლია, მაშასადამე, წლიური ზარალი ეთანასწორება 8.000.000 მანეთს', („ივ." № 150). სახუმრო ამბავია? რა მილიონი ერთ პატარა ჩვენს საქართველოსთანა სახელმწიფოს ეყოფოდა: ახლა კი ალებ-მიცემობის ცუდი მიმართულების გამო ტყეულ უბრალოდ იკარგება! ამის აღმოჩენა ეკუთვნის მხოლოდ ბ. დ. მაჩხანელს!

ჩვენ არ შეედიავართ ავტორის მიერ წარმოდგენილ ციფრების განხილვაში, რადგანაც ისინი პირდაპირ მისი ნებითაა აღებული: ცხოვრებაში კი ამნაირ უბრალო არითმეტიკულ გამოანგარიშებას, იშვიათად შეხვდებით; ჩვენი დრო არის, როგორც ზეევთ ვამბობდით, კაპიტალისტური წარმოების დრო, ამისათვის აქ მოქმედებს უფრო სხვანაირი გაცვლა-გამოცვლა: ადვილი შესაძლებელია, რომ ამავე სოფლის მესამედმა ნაწილმა გაჭყიდოს მხოლოდ ერთი თუმნის ჭირნახული ათი თუმნის მაგიერ, მეოთხედმა სამი თუმნის და მხოლოდ სულ მცირედმა ნაწილმა შეასრულოს ის პირობა, რომელიც ბ. მაჩხანელმა მთელ სოფელს ჩამოართვა. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ბ. მაჩხანლის გამოთვლა აქ არაფერს არ მოგვეხმარება. აქ საჭიროა მხოლოდ, რომ სოფლის მესამედმა ნაწილმა თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად უთუოდ უნდა იშოვოს რამენაირათ კიდეე 90 მან. მაგრამ ახლა იბადება კითხვა: საიდან? პირველს წელიწადს შეუძლია გაჭყიდოს საოჯახო ნივთები, თუ აუვიდა, მაგრამ მეორე წელიწადს ან მესამეს რაღას იზამს? ბოლოს იმას ჩრება ერთად ერთი გასავალი: გამოიტანოს ბაზარზე თავის ერთად ერთი საცაჯრო საქონელი—სამუშაო ძალა და გაჭყიდოს ისე, როგორც სხვა უბრალო საქონელი. რა მოსდეეს ამნაირად სამუშაო ძალის გაყიდვას? ამ კითხვის განხილვაში ჩვენ ეხლა ვერ შეედიავართ, რადგანაც ეს ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს, მხოლოდ მკითხველს კი ვსთხოვთ რომ ჯერ-ჯერობით ამ უკანასკნელ გარემოებას მიექციოს უმთავრესი თავისი ყურადღება და გასაჯოს, შეიძლება, თუ არა, ბ. მაჩხანელის არითმეტიკულ გამოთვლაზე დამყარება?

ასეა თუ ისე, მაგრამ ჩვენი ავტორი კი სრულიადაც არ იკვიანობს თავის გამოთვლის სინამდვილეში და მასზე ამყარებს მის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩენილ წამალს. ამისათვის ჩვენ თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, რომ რადგანაც ბ. მაჩხანელის წამალს ძლიერ საორპოფო საფუძველი უძევს. ესეც საკმარისი იქნება, რომ თვით წამალიც უარვჰყოთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა ცოდნა, მოკლედ მაინც ჩვენი ავტორის ნაჩვენები წამლისა.

ჩვენ გავიგეთ, რომ ავტორის აზრით უმთავრესი ფაქტორი ხალხის კეთილდღეობისა არის აღებ-მიცემობა; მაგრამ რადგანაც დღეს ეს აღებ-მიცემობა ცუდ გზას ადგია, ამიტომ უპირველესი და ამასთანავე ძირითადი ზომა, რომელიც უნდა იქნას მიღებული ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, არის სრულიად მოსპობა აწინდელი აღებ-მიცემობისა. რა ნაირად შეიძლება ეს? ავტორი გვეუბნება დეპო-კასსებითო. ვეცდებით რამოდენიმედ განვიხილოთ, თუ რა ახალ ხილს წარმოგვიდგენს ბ. მაჩხანელის დეპო-კასსები.

ბ. მაჩხანელი არკვევს ამ დეპო-კასსების მოქმედებას „ივერიის“ მე-155 №-ში. ის ამბობს: რამოდენიმე ადამიანს შეუძლიათ „ყოველად შემძლე ძმური ერთობის ძალ-ღონით და გონება-ზნეობით ჰარმონიულად განვითარებულის კაცის მოთავეობით დაიარსოს აღებ-მიცემის საკუთარი დუქანი ანუ დეპო შემნახველ-გამასესხებელი კასსა, მხოლოდ **სულ სხვა სისტემისა და მიმართულებისა და არა ისეთი, როგორიც არსებობენ უცხოეთში და არსებობდა სამიოდე დეპო საქართველოშიაც**“. ჩვენთვის საინტერესოა, თუ რაში მდგომარეობს ბ. მაჩხანლის დეპო-კასსების განსხვავება სხვა სისტემის დეპო-კასსებისაგან. ამაზე უჩვენებს თვით ავტორი, და მართლადაც, თუ ბ. მაჩხანლის დეპო-კასსა სულ სხვა სისტემის და მიმართულებისაა, რასაც აშკარად ჰლაღადებს ავტორი, რაში მდგომარეობს ის? თურმე ნუ იტყვით: ეს სხვა სისტემისა და მიმართულება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ვითომც „სხვა სისტემის დეპო-კასსების წმინდა მოგება რჩებათ კერძო პირებს“ და მხოლოდ ბ. მაჩხანელის მიერ გამოგონებული ახალი სისტემის და მიმართულების დეპო-კასსების „სარგებლობა რჩება ყველას საყოველთაოდ“. რას ნიშნავს ეს „ყველას საყოველთაოდ“? ჩვენის აზრით, რაშიაც ბ. მაჩხანელიც დაგვეთანხმება, ეს „ყველას საყოველთაოდ“ ნიშნავს მხოლოდ წევრებს განა სხვანაირად შეიძლება ამნაირ დაწესებულების სარგებლის გაყოფა? ჩვენ გვგონია, რომ სხვანაირი გაყოფა, გარდა საქველმოქმედო საქმისა, ყოვლად შეუძლებელია. ახლა მოდით და ნუ გაგიკვირდებათ ბ. მაჩხანელის საქციელი! რათ ბ. მაჩხანელმა არ დაასახელა ერთი რომელიმე უცხოეთის დეპო-კასსა, რომლის სარგებელი კერძო პირებს რჩებათ და არა იმათ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს იმ დეპო-კასსასთან? უამისოდ მის მტკიცებას არა აქვს არაევთარი სიმართლის ნიშანი. თუ რაიმე ბოროტ-მოქმედებაზე ლაპარაკობს ავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი, რაც ამნაირ დაწესებულებაში არა იშვიათ მოვლენას შეადგენს, ეს კიდევ კარგი; მაგრამ ნუ თუ ამნაირ ბოროტმოქმედებიდან დაზღვული იქნება ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასსები? ჩვენ სამართლიანად გვგონია, რომ არა ერთის მხრით, ვინ უნდა გამონახოს ის „გონება-ზნეობით ჰარმონიულად განვითარებული კაცი", რომლის ხელში იქნება დეპო-კასსების წარმოების საქმე? ადვილი შესაძლებელია, რომ ეს მოთავე არ დარჩება ჰარმონიულად განვითარებული" და, მაშასადამე, ბოროტმოქმედება თავისას იზამს. მეორე მხრით, ვის კანტროლის ქვეშ იქნება დეპო-კასსების გამგებელთა მოქმედება? ბ. მაჩხანელი არ იძლევა ამაზე პასუხს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მისი „სისტემის" დეპო-კასსების დაარსებაში ხალხი არ ღებულობს არავითარ მონაწილეობას. ბ. მაჩხანელის აზრით, ხალხს ძალდატანებით მთავრობამ უნდა დაუარსოს დეპო-კასსები; მაშასადამე, დეპო-კასსების გამგებელნიც მთავრობიდან უნდა იქნენ დანიშნულნი. ამნაირად დეპო-კასსების წევრებს ერთმეორეთ საშუალება თვალ-ყური ადევნონ იმათ მოქმედებას. ამისათვის ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასსებში უფრო ექნება გზა გახსნილი სხვადასხვაგვარ ბოროტ-მოქმედებებს.

რაც შეეხება ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასსების სიახლეს, ამის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ ამ სისტემის დეპო კასსებმა დიდი ხანია დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა და ახლა თუ არსებობენ უცხოეთში, სულ სხვა მიმართულებას და მიზანს ემსახურებიან. ბ. მაჩხანელის დეპო-კასსები მარტო იმით არიან ახალი, რომ მთავრობის ძალდატანებით და „შემოსილი მღვდლების ლოცვა-კურთხევით" კეთდებიან. სხვანაირი სიახლე აქ არ არის რა.

მაგრამ ჩვენ ნამეტანი შერთული დავრჩებოდით ბ. მაჩხანელთან, რომ ერთ გარემოებაზე არ გვეჩვენებია, რომელიც თუმცაღა ძლიერ შესამჩნევად ასხვავებს მის დეპო-კასსებს დასავლეთ ევროპის დეპო-კასსებისაგან, მაგრამ თვით დეპო-კასსების სისტემას და მათ მოწყობილობას სრულიად არ ეხება. საქმე ის არის, რომ დასავლეთ ევროპის დეპო-კასსები და უმეტესად შემნახველ გამსესხებული კასსები (ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია, მუშათა საზოგადოების კასსებზე) სულ სხვა მიზანს ემსახურებიან. დასავლეთ ევროპაში ამნაირ დაწესებულებებს იმდენნაი აქვთ მნიშვნელობა, რამდენათაც ისინი ხელს უწყობენ დაჩაგრულ ხალხს კაპიტალისტურ წესწყობილებასთან ბრძოლაში. და მართლადაც, განა შეიძლება, რომ დღევანდელ წესწყობილებაში სხვა რაიმე მნიშვნელობა იქონიოს ამნაირმა დაწესებულებებმა? ახლანდელს დროში, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც, მხოლოდ ამნაირი შეხედულებაა მიღებული ამ დაწესებულებებზე. მოუბრუნებლად წავიდა ის დრო დასავლეთ ევროპაში მაინც, როცა აწ უკვე განსვენებული შულცე დელიჩი ამტკიცებდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მიწის, ისე ქარხნების მუშებისათვის უკანასკნელ მნიშვნელობას შეადგენს იმნაირი დეპო-კასსების დაარსება, რომლების შემოღება თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ბ. მაჩხანელმა აუწყა ქართველ საზოგადოებას. შულცე დელიჩის აზრით, შრომის წარმომადგენელთათვის საჭიროა მხოლოდ საალბმიცემო დეპოების და შემნახველ-გამსესხებელ კასსების დაარსება, რომ იმათ სრული კეთილდღეობა დამიკვიდრონ „სოფელსა ამას შინა“, სადაც მეფობს კაპიტალისტური წარმოება, მაგრამ, ვიმეორებთ, შულცე დელიჩის ამნაირ წვრილ-ბურჟუაზიული ოცნება საუკუნოდ დამიარცხა მარტო ფერდ. ლასსალის წყალობითაც. კ. მარქსის და ფრიდრ. ენგელსის მუშაობამ და უმიტესად იმათმა მეცნიერულმა სოციალიზმმა ხომ სულ საბოლოოდ გაჰფანტა ამ ოცნების უკანასკნელი ანრდილიც. მაგრამ მოდით და გული ნუ მოგივათ, როცა ბ. მაჩხანელი მოურიდებლად გვიჰედავს თავს ტყუილებით: „საზოგადო დეოპ-კასსებს რომ უდიდებულესი მომავალი მოელით—ამბობს ის—მთელს ქვეყნად, ეს უეჭვო ჭეშმარიტებაა ყველა პოლიტიკურ ეკონომიის მცოდნესათვის; ამას წინასწარმეტყველებენ დღეს საუკეთესო ბრძენი (როგორც, მაგალ. ბ. დ. მაჩხანელი!) და ამავე აზრისა იყო (თუ იყვენ?) თვით დიდებული კარლი მარქსი (?!) და მისი თანამედროვე ფრიდრიხ ენგელი (ენგელსი?!) 1848 წლის დასაწყისშივე, როდესაც ინგლისში სათვალჩინოდ აღორძინდენ მუშათა შორის საასოციაციო დაწესებულებანი. მხოლოდ ჩვენსა გვძინავს ყურზედო“ („ივ.“ № 155) სწორედ რომ მარტო ძილს ნიშნავს ბ. მაჩხანელის მხრივ ამნაირი მოუფიქრებელი მსჯელობა. საინტერესოა ვიკოდეთ, ნეტა რომელი პოლიტიკური ეკონომიის ბრძენნი (გარდა მაჩხანელისა!) პირდებიან ქვეყანასა აყვავებას ამის მეოხებით? ნუ თუ ეს არ ნიშნავს მართლა, რომ ის მხოლოდ ძილში ოცნებობს? მაგრამ, თუ ერთის მხრით, ოცნებობს ძილში ბ. მაჩხანელი, მეორე მხრით, იმას ცილისწამებისთვისაც მოუკიდია ხელი: თურმე ნუ იტყვით, იმ პირებმა, რომლებმაც ბოლო მოუღეს სხვადასხვა შულცე დელიჩელების ფანტასტიკურ ‚მოგონებებს დეპოკასსების შესახებ, თურმე ნუ იტყვით, რომ „1847—წლის დასაწყისშივე“ ეს პირები ბ. მაჩხანელის აზრისა იყვნენ! არა, ბ. მაჩხანელო, 1848 წ. კი არა, მარქსმა და ენგელსმა კიდეე 1847 წ. გამოსცეს თავის შესანიშნავი „მანიფესტი“, რომლითაც დაედვა მკვიდრი საფუძველი მეცნიერულ სოციალიზმს და, მაშასადამე, 1848 წლის დასაწყისში კ. მარქსი და ფრიდ. ენგელსი წვრილ ბურჟუაზიული მიმართულების წარმომადგენელნი ვეღარ იქნებოდენ. ბ. მაჩხანელი უკეთეს იზამდა, რომ სხვისთვის ცილი არ დაეწამებია. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ძილში ბ. მაჩხანელმა ვეღარ გაარჩია და კ. მარქსის და ფრ. ენგელსის სახემ რაღაცნაირად დაჰფარა შულცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელიჩელი. ვიმეორებთ, ეს წარმოსადგენია მხოლოთ ძილში და არა ღვიძილში.

ამნაირად, ჩვენ რამდენიმეთ გავიგეთ, თუ რა განსხვავება ძევს შულცე დელიჩის და ახლანდელ დეპო-კასსებთა შორის. ეხლა ჩვენ გავსინჯოთ, თუ რა იმედებს ადებს ბ. მაჩხანელი დეპო-კასსებს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ საფუძველი, რომელზედაც ამყარებს ბ. მაჩხანელი თავის დეპო-კასსებს, ძლიერ საორჭოფო და უიმედოა და, მაშასადამე, ამნაირ საფუძველზე ვერც ეს დეპო-კასსები იხერეტენ. თვით დეპო-კასსების სისტემას და მოწყობილობას ჩვენ ამაზე მეტს აღარ შევეხებით, რადგანაც აქ „შემოსვილ მღვდლებს“ გარდა არაფერი ახალი არ უჩვენებია ჩვენს ავტორს. ვერაფერი საიმედოა აგრეთვე ბ. მაჩხანელის მტკიცება, რომ როცა „შემოსვილი მღვდლები“ აკურთხებენ დეპო კასსებს, რომლებიც უნდა ვიქონიოთ სახეში, მთავრობის ძალდატანებით იქნებიან შემოღებული, მაშინ უსათუოდ სამას კომლს შვიდასი კიდევ მოემატება (?), მსყიდველ-გამსყიდველი საზოგადოება საკმარისი იქნებაო და შემოსავალიც თანდათან იმატებსო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ჩვენ გავისინჯოთ, თუ როგორ აგვიწერს ავტორი იმ საზოგადოებას, რომელიც აშენებულია მისი სისტემის დეპო-კასსებზე.

აგვიწერა რა ავტორმა, თუ რა ცვლილებას მოახდენს მთელს დედამიწის ზურგზე მის მიერ აღმოჩენილი ახალი სისტემის დეპო-კასსები, ჰკადაგებს: ვიდრე უვიც ხალხს საკუთარ დეპო-კასსებს არ დაუარსებია მთავრობის დახმარებით და ინტელიგენციის მეთაურობით, მინამ ხალხის გონებით და ქონებით აყვავება*) სხვა არას გზით არ შეიძლება, არა და აითასჯერ არა! აი ცხოვრების უმთავრესი კითხვა და აი რას უნდა მიაქციოს ყველა ქვეყნის მთავრობამაც უმთავრესი ყურადღება, რადგანაც მეფე მამაა ერისა, მთავრობა დედაა“ და სხ. („ივ.“ № 186). მაგრამ ეს რა გვესმის ბ. მაჩხანლის ბაგეთაგან? ნუ თუ ეს ის მაჩხანელია, რომელიც იმას ჰქადაგებდა, რომ „მთავრობის ვალი, სრულებით არ არის, რომ ის სიღატაკის მოსასპობლად ზრუნავდესო“ („ივ.“ № 143)? ჩვენ კი იმაზე მეტი აქ აღარ გვეთქმის რა, გარდა იმისა, რომ ეს იგივე მაჩხანელი გახლავსთ, მხო-

*) სამოცდაათიან წლებში რუსეთში სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობდა ერთი ყველასაგან დავიწყებული ეკონომისტ-ფინანსისტი გვარად შიპოვი. აი სწორედ ეს შიპოვი იძლეოდა საოხუნჯო რეფორმებს; მაგალ., იმის აზრით სირაჯხანები (кабаки) რუსეთში, კარგი სისტემის მეთხებით, გაბდებოდენ ციველიზაციის და სწავლა-განათლების გამოცცელებელი საშუალებანი. ამნაირი პროექტის შესახებ შეიძლება მხოლოდ ოხუნჯობა, მაგრამ ღრმად გაშინჯეთ ბ. მაჩხანელის „ახალი პროექტი“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბ. შიპოვის და ბ. მაჩხანელის პროექტთა შორის განსხვავება ცოტაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ წინათ სხვაზე ლაპარაკობდა და რა გასაკვირველია, რომ წინანდელი ნათქვამი ახლა აღარ გაახსენდა; ეს უაზრობის ნიშანია და მეტი არაფერი. მაგრამ საჭიროა კიდევ მოვისმინოთ ბ. მაჩხანელის სიტყვები: „აი მაშინ, ე. ი. როცა დეპო-კასები დაარსდებიან, — ამბობს ავტორი, გაქრება სიღატაკე, განათლდება ერი, ამოვარდება ბარბაროსობა, გამეფდება ერთობა, სიმართლე, ღვთისნიერება და ღვთის მსახურება“ etc („ივ“ № 164).

ამნაირად ავტორს ჰსურს ჩაგონოს უმაღლეს მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა ძალდატანებით დაარსებინოს უვიც ხალხს ყველა სოფელში ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასსები და მერე კი ყველამ „ჩიტო ბზიტიავ, ბიჭო ტიტიავ“ ვიძახოთ, „ტინის ძირში რომ ლურჯი წყარო გმოჩანჩქარებსო“ („ივ.“ № 164), რადგანაც მაშინ დადგება ათასის წლის სასუფეველი (ხილიაზმი). აი როგორ ასწერს ბ. მაჩხანელი, ამ სასუფეველს ე. ი. დეპო-კასების დროს: მაშინ სახელმწიფოს მცხოვრენნი ნივთიერად გამდიდრდებიან, ავაზაკები მოისპობიან და დარჩებიან მხოლოდ კეთილმორწმუნენიო, ომიანობა სრულიად გადავარდება, ამისათვის უმაღლესი მთავრობაც დასტკბება თავის ქვეშმრდომთა ბედნიერებით, რადგანაც უკანასკნელნი ყოველგვარ გადასახადებს ადვილად გადაიხდიან, ქალაქებში მოქანცული ინტელიგენცია მოიპოვებს ტკბილს განსვენებას ჯანსაღი ცხოვრებისათვის სოფელში, სადაც ისწავლის და მოიაზრებს დიდათ საგულისხმიერო ფილოსოფიისათვის“, „მოისმინეს ციურის მელოდიით აღსავსე პოეზიას ხალხის გენიისას“, „გამოიჩინეს ნიჭს კეთილი სახელის მოსახვეჭად“ და სხვ. და სხვ. („ივ.“ № 164) ამისათვის ჩვენი ავტორი უფრო კარგს იზამდა, რომ დეპო-კასებისათვის ეწოდებია: „ხილიაზმის დამფუძნებელი სათავე“ და არა: ხალხის გონება-ქონების გამამდიდრებელი სათავე.“

ამნაირად ჩვენი ავტორის აზრით, დეპო-კასსების სტადია არის უკანასკნელი წერტილი კაცობრიობის ცხოვრებაში, კაცობრიობის უმაღლესი განვითარება, ათასის წლის სასუფეველი, რომლის შემდეგ დაგვრჩენია მხოლოდ ანტიქრისტეს მოსვლა და მეორედ მოსვლის ხანა! მაგრამ, უკაცრავად, თუმცაღა ჩვენ არ ვართ საკიამუნის მიმდევარი, რომელიც ამბობდა: „ბოროტი, ეს თვით არსებობა არისო“, მაგრამ არც ბ. მაჩხანელისთანა ოპტიმისტი *) ვართ, რომ ათასის წლის სასუფეველი გვწამდეს. არა, ჩვენ ვუარს ვყოფთ მიწაზე ხილიაზმს. მით უფრო არ გვწამს ეს ქვეყნიური ნეტარება ანუ „სააქაო სამოთხე“, როგორც ავტორი უწოდებს მას, რომ ბ. მაჩხანელი გვპირდება ამ ნე-

*) საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკიდურესი ოპტიმისტობა პესიმისტობაზე უფრო საშიშარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარებას დეპო-კასსების დაარსების მეთხებით, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ამნაირ დაწესებულებებს არსად არ მოყოლია ქვეყნიური ნეტარება, ჯოჯოხეთი სამოთხედ არსად არ გადაქცეულა. ბ. მაჩხანელის ამნაირი აზრი დეპო-კასსებიდან წარმომდგარ სამოთხეზე ეწინააღმდეგება ყოველნაირ ისტორიულ კანონებს.

მკითხველებს, ვგონებთ, საკმარისად მოვაწყინეთ თავი ამდენი ლაპარაკით ბ. მაჩხანელის „წამალზედ", მაგრამ არ შეგვიძლია უყურადღებოთ გაუშვათ კიდევ რამდენიმე გარემოება. მკითხველს უთუოდ ეხსომება, რომ როცა ჩვენ ვამბობდით ვაჭრობის ავ-კარგიანობაზე, მაშინ ჩვენ განვმარტეთ ის ნამდვილი ფაქტი, რომ სოფლის ერთი მესამედი ათი თუმნის მაგიერ ძლივს გაჰყიდის ერთი თუმნისას და სხვები ამაზე მეტს, მაშინ როცა სახარჯავი ერთი და იგივე აქვთ, როგორც სხვებს, რომლებიც ათი თუმნისას ჰყიდიან. რასაკვირველია, იქნებიან იმისთანებიც, რომლებიც ათ და ოც წილს მეტს გაჰყიდიან, მაგრამ განა ამათი განაყიდი სხვებს მიეხმარება? მაჩხანელის სისტემის დეპო კასები ხომ ფულებით ვაჭრობენ და ვისაც ფულები არ ექნება, იმისათვის დეპო-კასები ამა რა წითელ კვერცხებს შეადგენს? მაშასადამე, რა სარგებლობას მოუტანს დეპო-კასების არსებობა არამჭონე გლეხ-კაცობას, რომლის ინტერესებს ვითომც ძილშიც კი იცავს ბ. მაჩხანელი? საკვირველია სწორედ, როცა ბ. მაჩხანელს ჰსურს, მაშინ გლეხ-კაცობის სიღატაკეს საზღვარი აღარ აქვს და როცა არა, მაშინ საკმარისად შეძლებულად გამოჰყავს. ჯერ ამბობდა, რომ „გლეხ-კაცობა ისე დაცემულია, რომ აფრიკის ველურებიც ამაზედ უკეთესად ცხოვრობენო", და ახლა თავის დეპო-კასებს იმაზე ამაყარებს, რომ თითოეული კომლი წლითი წლობამდის ჰყიდულობს 80 მან. საქონელს, სესხულობს 20 მან. და ჰყიდის 100 მან. ჭირნახულს. ამას გარდა ამავე გლეხ-კაცობიდან უნდა შესდგეს სითანადო ფული, როგორც დეპობისა, ისე კასსებისა, თორემ უამისოდ როგორ შეიძლება ამათი მოქმედება? წინანდელ ნათქვამს ბ. მაჩხანელი ივიწყებს, ე. ი. გლეხ-კაცობის უკიდურეს სიღარიბეს და მხოლოდ უკანასკნელ გამოანგარიშებაზე აფუძნებს დეპო-კასსების მოქმედებას. მაგრამ ჩვენ მიერ დასახელებულ ფაქტების უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. მაშასადამე, აქ იბადება კითხვა: რას იზამენ ამ შემთხვევაში დეპო-კასსები? ცხადია, რომ იმით ისარგებლებენ ხელახლა შეძლებულნი და სოფლის იმ ნაწილის, რომელიც 100 მან. ჭირნახულის მაგიერ ვერ ჰყიდის მხოლოდ თუმნისას, დეპო-კასსები ვერაფერ სამსახურს გაუწევენ. ამისათვის ბ. მაჩხანელის სისტემის დეპო-კასსები ცოტა რამით განსხვავდებიან ჩვეულებრივი დუქნიდან და ბანკებიდან.

ამას გარდა, როგორც ვიცით, ბ. მაჩხანელი გვპირდება საყოველთაო წამალს, ის, როგორც მკითხველს ახსოვს, ოცნებობდა მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კაცობრიობის ნამდვილ გზაზე დაყენებას. ამისათვის სოფლის გლეხ-კაცობას ურჩია დეპო-კასსების დაარსება. რა წამლებიცაა ეს დეპო-კასსები, ჩვენ უკვე ვიცით რამდენიმეჯ მაინც. მაგრამ საქმე ის არის, რომ კაცობრიობა შესდგება არა მარტო გლეხ-კაცობისაგან: ჩვენს დროში კაცობრიობის დიდ და შესამჩნევ ნაწილს შეადგენენ, ერთის მხრით, ეგრედ წოდებული „მეითხე წოდება“ ანუ პროლეტარიატი, და მეორეს მხრით, კაპიტალისტები. ბ. მაჩხანელს კი არც ერთისათვის მოუქცევია ყურადღება და არც მეორესთვის. მაგრამ, შეიძლება თუ არა ზურგის შექცევა და თვალების დახუჭვა იმ მრისხანე შავი ღრუბლების წინაშე, რომლებიც მოიწევიან ჩვენსკენ ძლიერ გამშვავებული ურთიერთშორის დამოკიდებულებათა გამო მწარმოებლის და კაპიტალისტების კლასებთა შორის? ამნაირი ზურგის შექცევა მით უფრო გასაკვირალია, რომ ერთი მხრით დღევანდელი საზოგადოების დაყოფა ორ ნაწილად: კაპიტალისტებად და პროლეტარებად ყოველ დღე უფრო თვალსაჩინოდ ხდება და, მეორე მხრით, თვით ავტორი გვპირდებოდა საყოველთაო წამალს მთელი კაცობრიობისათვის. ავტორის დუმილი ალბათ იმას ნიშნავს, რომ მას დეპო-კასსები მიაჩნია წამლად პროლეტარიატის მოსარჩენადაც. მაგრამ ნუ თუ ეს შესანიშნავი „ლიმფა“ პირველად ბ. მაჩხანელმა აღმოაჩინა? არა, ბ. მაჩხანელო, თქვენ მიერ აღმოჩენილი „ლიმფა“ (დეპო-კასსები) იმ აზრით, რომ იმის დაარსების შემდეგ დამკვიდრდება „სოფელსა ამას შინა“ სათნოება, კაცმოყვარეობა, „სასუფეველი ცათა“, დიდი ხანია საფუძვლიანად უარყოფილია პოლიტიკურ ეკონომიაში, და თქვენ, როგორც პოლიტიკური ეკონომიის მცოდნეს (?), რადგანაც თქვენ თვითონ ამბობთ ამაზე, უნდა უეჭველად გცოდნოდათ ეს გარემოება, მით უფრო, რომ თქვენ ძლიერ საძნელო საქმეს მოკიდეთ ხელი. ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელსაც ისე მოსდის, როგორც, პ. იაკიმოვს თავის პროტექციონიზმით, რომელზედაც ბ. გ. მაიაშვილი ამბობს: „აი რას ნიშნავს ის გარემოება, როცა ადამიანმა არ იცის იმ შემთხვევათა გასინჯვა, რომლებიც ხდებიან მის გარშემო“ (იხ. „Новое Обоз.“ № 3003).

ერთ გარემოებაზე კიდევ გვსურს ჩვენ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, რაც კიდევ ამტკიცებს ბ. მაჩხანელის „წამლის“ თავისებურობას. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ ავტორი ძლიერ მოწადინებულია მისი „წამალი“ მთავრობის ძალდატანებით იქმნას გაყვანილი უვიც ხალხში. ამის შესახებ ჩვენ ზემოდ გვქონდა გამოთქმული საზოგადო მოსაზრებანი და ახლა კიდევ აღარ შევდიკართ იმის გასინჯვაში. შევნიშნავთ კიდევ, რომ მეტის მეტი ბრიყვი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც ამნაირი ღონისძიებით ესურვება ხალხის წინწაწევა. ამიტომ ავტორს სულ უმართლოდ გამოჰყავს ინ დასკვნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხალხი ამნაირ ძალდატანების შემდეგ, „აღტაცებით წარმოსთქვამს შემდეგს: „ან სად იყვნენ აქამდის და წინადვე არ გაგვიხსენეს ეგეთი ღვთისაგან დალოცვილი დეპოები ი კურთხეული შვილებმაო“ („ივ.“ № 455). ამნაირი ოპტიმისტიური შეხედულების შესარყევად ავტორს ეურჩევთ წაიკითხოს მაინც „ივერიის“ ამ წლის 188 №-ში დაბეჭდილი ფელეტონი, რომლის ავტორს ძლიერ საგულისხმიერო ფაქტები მოჰყავს, თუმცა თვითონაც უკანონო კომმენტარიებს უშვებს.

დაბოლოს საჭიროდ ვსთვლით რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ კიდევ, შეიძლება მკითხველმა დაგვწამოს ჩვენ ის აზრი, რომ დეპოკასსებს სულ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს სყიდვა-გაყიდვაში. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი ახლა ზედმეტი იქნება, რადგანაც მკითხველმა უკვე იცის, რომ ჩვენ უარვყაევით მხოლოდ ბ. მაჩხანელის თავისებური შეხედულება ამ საგანზე, თორემ საზოგადო დეპო-კასსას კი აოა, უბრალო საიაფო დუქანსაც კი შეუძლია რაიმე სარგებლობა მოუტანოს თავის მომხმარებლებს. „მაგრამ საზოგადო პრინციპი კი, როგორც ერთისა, ისე მეორესი, ერთი და იგივეა.

VII.

Xრამდენათაც შესაძლებელი იყო ჩვენის მხრით და რამდენათაც ნებას გვაძლევდა საგაზეთო წერილის ჩარჩოები, ჩვენ გავარჩიეთ ბ. მაჩხანელის სტატიის უმთავრესი პრინციპიალური წინადადებანი და იმ დასკვნამდის მივედით, რომ არც ერთი იმათგანი ჰეშმარიტებასთან დაახლოვებული არ არის და უმეტესად თითქმის ყველანი ეწინააღმდეგებიან თანამედროვე მეცნიერების შეხედულებას, მაგრამ „ჩვენი უთავბოლობა“ კიდევ უფრო უმსგავსო წინადადებებს აყენებს, ზოგიერთი ამ წინადადებათაგანი ბევრნაირად საინტერესოა: ამიტომ საჭიროდ ვსთვლით ამ უკანასკნელზე რამოდენიმედ მაინც მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ამ შემთხვევაში პირველად მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმას, თუ რა აზრისაა ბ. მაჩხანელი ჩვენი ინტელიგენციის შესახებ, რადგანაც ამ საგანს, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ავტორმა, თუმცაღა საკმარისად ბევრი ილაპარაკა ამ კითხვაზე („ივ.“ №№ 87 და 89), მაგრამ იმის ნათქვამიდან მხოლოდ ის გამოდის, რომ ეს ინტელიგენცია „თავიდან-ფეხებამდე“ წამხდარია, რომელსაც ხელიდან არაფერი არ გამოუვა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს აზრი არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენს ღარიბ მწერლობში და ძლიერ მართალიც არის, მეორეს მხრით, ბ. მაჩხანელიდანაც ამნაირ დასკვნას მოველოდით, რადგანაც ის საზოგადოთ მეცხრამეტე საუკუნეზე იმ აზრისაა, რომ ამ საუკუნეში ადამიანს დაუკარგავს „სულ ყოველივე ადამიანური თვისებანი“. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოთ ჩვენი ავტორი უკიდურესი ოპტიმისტია, და ეს როგორ მოხდა, რომ მეცხრამეტე საუკუნეზე, რომელიც მეცნიერების ყველა სფეროში შესხმულია ქებით, იმან ამნაირი პესიმისტური აზრი წარმოსთქვა? ჩვენი ინტელიგენცია რომ დაცემულია, ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ეს რა მეცხრამეტე საუკუნის ბრალია? ბ. მაჩხანელს ჰსურდა ჩვენი ინტელიგენციისათვის ეკიეინებია, მაგრამ ამის მაგივრად მთელს მეცხრამეტე საუკუნის კაცობრიობას უკიეინა.

ავტორი, რასაკვირველია, უფრო კარგს იზამდა, რომ მეცხრამეტე საუკუნისათვის თავი დაენებებია და ამის მაგივრად ჩვენი ინტელიგენციის დაცემის და უვარგისობის მიზეზი გამოეკვლია და ამასთანავე ეჩვენებია ჩვენი ხალხის ინტელექტუალური ძალის ასაღორძინებელი საშვალება (ავტორის აზრით, ამნაირი საშვალება დეპოკასსებია), მაგრამ იმან სულ უყურადღებოდ დატოვა პირველი საგანი. რაც შეეხება ჩვენი ინტელიგენციის გაუმჯობესების საქმეს, ამის შესახებ ჩვენმა ავტორმა წარმოსთქვა მეტად ორიგინალური აზრი, რომელიც მის შემდეგ თავ. მეშჩერსკიმ გაიმეორა თავის გაზეთში (იხ. ამ წლ. „Граж“ № 222). ბ. მაჩხანელი კატეგორიულად ამბობს, რომ ჩვენში მოწონავე საზოგადოების ამაღლებისათვის საჭიროა, რომ დღევანდელი უვარგისი ინტელიგენცია **სიკვდილით აღმოიფხვროს.** თავ. მეშჩერსკი ცოტა სხვანაირ პროექტს იძლევა: ის ამბობს, რომ ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ილია წინასწარმეტყველი მოექცა ვაალის წინასწარმეტყველებსო, ე. ი. მიიყვანა ისინი რუკისსონთან და დაჰკლაო. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ბ. მაჩხანელს და მეშჩერსკის შორის ცოტა განსხვავებაა: ორივეს სიკვდილი უკეთესს საშვალებად მიაჩნიათ ინტელიგენციის გასაწმედათ. ამნაირი აზრი სწორედ რომ მეტის მეტი ახირებლობაა. განა სად მომხდარა, რომ სიკვდილს აღმოეფხვრას რომელიმე წოდება ანუ რომელიმე დასი? ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა როსელიმე დასს არავითარი ნიადაგი არ აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მაშინ შესაძლოა, რომ როცა დაიხოცებიან ამ დასის შემადგენელი პირები, თვით დასსიც მოისპობა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რომელიმე დასის არსებობა უნიადაგოდ; ეს ეწინააღმდეგება ყოველნაირ ადამიანურ მოსაზრებას და ამას არ ამართლებს ისტორია. ამისათვის თუ ჩვენ ვცნობთ რომელიმე დასის ან წრის არსებობას, ჩვენ უკვე წინდაწინვე ვგულისხმობთ, რომ არსებობენ პირობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლებიც იწვევენ ხსენებულს დასს. მაშასადამე, დასი გამოწვეულია უკვე არსებული პირობებით, ამისათვის დასი იცოცხლებს მანამდის, სანამდის იქნებიან პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს იმათი არსებობა და ხელს უწყობენ მათ რომელიმე განსაზღვრულ ეპოქაში. ავიღოთ მაგალითი თანამედროვე ცხოვრებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა კაპიტალისტების კლასი მოისპობა როდშილდების სიკვდილით? კაპიტალისტების კლასისათვის სულ ერთია ვის ხელში იქნება აუარებელი მოგროვილი სიმდიდრე: მამა იქნება ეს თუ მისი შვილი, ან ბიძაშვილი, ან სულ სხვა ვინმე. მაგრამ თუ შეიცვლება თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების წესწყობილება, ე. ი. პირობები ამ წარმოებისა, რაც უეჭველად უნდა მოხდეს, მაშინ უეჭველად მოეღება ბოლო კაპიტალისტურ კლასსაც.

ნათქვამიდან მკითხველი ადვილად დაინახავს, თუ რა თავისებური აზრი წარმოსთქვა ბ. მაჩხანელმა ინტელიგენციის შესახებ, მაგრამ ამნაირი აზრი წარმოსთქვა მან იმიტომ, რომ არ შეესწავლა ის პირობები, რომლებშიაც იზრდება ჩვენი ახალი თაობა, მიტომ, რომ მას არ გაუკვლევია ის ნიადაგი, რომელიც ასაზრდოებს ჩვენ და ახალს თაობას, იმიტომ კიდევ, რომ მან მოინდომა ერთბაშად განსპეტაკება ჩვენი გათახსირებული ინტელიგენციისა. ბ. მაჩხანელს სჯირს ერთი დიდი ნაკლულევანება, რომელზედაც დამოკიდებულია ყველა მისი შეცდომები. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ თუმცაღა ბ. მაჩხანელს უყვარს ყოველგვარ საგანზე საუბარის გამართვა, მაგრამ, საუბედუროთ ის საგნის არსებით მხარეს არას გზით არ შეეხება: მისგან ნუ მოელით ნურც ანალიზს, ნურც გენეტიურ განხილვას, რაც ყოველნაირ ცოდნის საფუძველს შეადგენს.

ამნაირადვე შეეხო ჩვენი ავტორი ქართველ სტუდენტებსაც. რომლებსაც მან გვარიანი საგრძნობელი წკიპურტები ჭკრა და, რასაკვირველია, სამართლიანადაც: მაგრამ აქაც ავტორმა იგივე ნაკლულევანება გამოიჩინა, რაც ყოველგან: მან არ ეცადა გამოეკვლია ჩვენი სტუდენტების ასეთი უვარგისობის ღრმა მიზეზები. აქ შეეძლო ავტორს სხვათა შორის შეხებოდა, თუ რა საზოგადოებრივი პირობები არტყია გარშემო ჩვენს ახალგაზრდობას, სანამ ის არ გადავა მაღალ სასწავლებლებში; აქ ეძლეოდა მას საბაბი გამოეშკარავებია ჩვენი საზოგადოების ავ-კარგი და მისი გავლენა ამ ახალგაზრდობაზე; მერმეთ მას შეეძლო უფრო დაწვრილებით განეხილა ჩვენი ახალგაზრდობის ახალი პირობები, რომლებშიაც ის იმყოფება მაღალ სასწავლებელში შესვლისთანავე. აქ ის მრავალ საინტერესო და საყურადღებო ცნობებს გაიგებდა. მაგრამ ყველა ამის მაგიერ, ავტორმა იკმარა მარტო იმის აწერა, რომ ქართველი სტუდენტების ოთახში კალოშები ადგილზე არ აწყვია, წიგნები მიყრილ-მოყრილია აქა-იქ, ოთახი დაუგავია და თვითონ სტუდენტები „საროსკიპო ბაზარში" დადიანო და სხვ. ყველა ამას ვკითხულობდით და გვიკვირდა: განა მელნის ფასად ღირდა ამაების აწერა?

მაგრამ თუ ვინმეს უსამართლოდ მოეკცა ბ. მაჩხანელი, ეს მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს. ყველამ იცის რანაირი საძნელო თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდებობა არის სოფლის მასწავლებლობა; ყველამ იცის აგრეთვე, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან სოფლის მასწავლებლები ნივთიერი მდგომარეობის მხრივ. მაგრამ ამის და მიუხედავათ ჩვენ საქართველოს ყველა კუთხეებში ვხედავთ, რომ სოფლის მასწავლებელნი დიდის პატივით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ჩვენი სოფლის მასწავლებელნი უმეტეს ნაწილად ბავშვებთან მეცადინეობით სრულიადაც არ კმაყოფილდებიან: ისინი ხდებიან მეიელი სოფლის, დიდის თუ პატარასი, ქალის თუ ვაჟის, მასწავლებლებად და ხელმძღვანელებად და ამ შემთხვევაში იმათ სწორედ დაიმსახურეს სახელი **სოფლის მასწავლებელისა**. ამას გარდა, რომელი საზოგადო საქმე დაწყებულა ჩვენში, რომ სოფლის მასწავლებლებს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ? ერთი სიტყვით, ჩვენი სოფლის მასწავლებელნი არიან ერთად ერთი პირნი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ საზოგადოების წინაშე. რასაკვირველია, იმათ რიცხვშიაც არიან უვარგისნი, მაგრამ ესენი ძლიერ მცირეა. ბ. მაჩხანელმა კი არც ერთი ეს გარემოება არ მიიღო მხედველობაში და ერთბაშად უკიჟინა ყველა სოფლის მასწავლებლებს და მერე იცით რისთვის? იმიტომ, რომ სოფლის მასწავლებლები ხშირად არ დადიან ეკლესიაზე და როცა დადიანო, ბარძიმ-ფეშხუმის გამოსვენების დროს არ ჩოქებენ, იმ დროს, როდესაც თვის დიდებულნი მეფენიც კადრულობენ მუხლის მოდრეკასო და სოფლის მასწავლებელნი კი რა დიდი ვინმე არიანო? O sacta simphicitas! უთხრათ ჩვენ ბ. მაჩხანელს და მეტი არაფერი.

ახლა ჩვენ შეგვიძლია რამდენიმეთ წარმოდგენა ვიქონიოთ ბ. მაჩხანელის წერილის შინაარსზე; ჩვენ შეგვეძლო კიდევ დაწერილებით გავჩერებულიყავით „ჩვენ უთავბოლობაზე", მაგრამ, ეგონებთ, რაც ესთქვით, ისიც საკმარისი იქნება იმ შინაარსის დასაფასებლად, რომელიც მოქცეულია „ჩვენ უთავბოლობაში". დაგვრჩა, მაშასადამე, რამდენიმე სიტყვა გარეგანი მხრის შესახებ.

ამ შემთხვევაში პირველად მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ „ჩვენი უთავბოლობის" შინაარსის უთავბოლოო გაჭიანურებაზე. ავტორმა თუმცალა დაგვიხატა პლანი, რომლის შესრულებას ის გვპირდებოდა თავის წერილში, მაგრამ მისი დაპირება მხოლოდ დაპირებად დარჩა და საბრალო მკითხველი კი იძულებული იყო დღითი-დღე ეკითხა „ივერია"-ში ერთი და იგივე იმის ლოდინში, რომ ეგებ დღეს მაინც მოგვაწოდოს ბ. მაჩხანელმა რაიმე ახალი, თავის დაპირისამებრო; მაგრამ სულ ამაოდ: ყოველ დღე მკითხველი შემდეგს კითხულობდა „ივერია"-ში: ჩვენი ხალხის ყოველიეე სიმდიდრე ძაღლის და ღორის (ე. ი. ვაჭრების) ხელში გადადის და როცა დეპო-კასსები საქართველოს ყველა კუთხეებს მზის ცხოველ-მყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელი სხივივით მოეფინება, მაშინ დამყარდება ჩვენს ქვეყანაში საუკუნო ნეტარებაო. მაგრამ, როგორ? იკითხავს მკითხველი,—ყველა ზემოაღნიშნული საგნები, რომლებიც გარჩეულია თქვენს წერილში, ყველანი ბ. მაჩხანელის მიერ არ არიან აღძრულნიო? საქმეც ის არის ჩემო მკითხველო, რომ როგორც ბ. მაჩხანელის წერილის პლანი, ისე ის საგნებიც, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, აღძრული იყო ჩვენი ავტორის მიერ სრულიად მოუფიქრებლად: იმას სრულიადაც არ უკისრნია იმათი სისრულეში მოყვანა. მაშ, რაღაა გაჭიმული ამ აუარებელ წერილშიო? კიდევ იკითხავს გაჯავრებული მკითხველი. ვარდა იმისა, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, არაფერი. ეს გარემოება ერთის მხრით, ამტკიცებს ბ. მაჩხანელის წერილის სრულს უშნაარსობას და, მეორე მხრით, მის უთავბოლობას.

ამნაირად გარეგნობის მხრივ „ჩვენი უთავბოლობა“ წარმოადგენს ერთი და იმავე უმნიშვნელო აზრის დაუბოლოვებელ განმეორებას, ე. ი. ეს ის არის, რასაც წყლის ნაყვას ეტყვიან. მაგრამ, მეორეს მხრივ, აქ მკითხველი სხვანაირ გარემოებასაც ჰხედავს, რაც სხვა თხზულებაში იმას იშვიათად ან და სულ არ შეხვდება. ჩვენ ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომ ბ. მაჩხანელს მოუთავსებია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მოუგროვებია თავის წერილში აუარებელი რიცხვი სახალო ანდაზებისა, ამოცანებისა და ლექსებისა; ამის გარდა გაუფსია თავისი წერილი აგრეთვე ციტატებით არ. შოპენჰაუერის ყაიდის ფილოსოფოსებიდან, რომლებსაც ჩვენი ავტორი სულ ყოველთვის უმატებს შემდეგ სიტყვებს: მშვენივრად უთქვამს ამის თქმელსო, ან სწორედ ღვთაებრივი სიტყვებიაო. აქ ავტორს კიდევ თავის მხატვრობითი და პოეტური ნიჭიც უშინჯავს: უცდია რაღაც მოთხრობის მსგავსი რამ შეექმნა (იხ. „ივ.“ № 164).

მაგრამ, არ იკითხავთ რისთვის უკისრნია ბ. მაჩხანელს ამნაირი „ენციკლოპედიური“ შრომა? ის თვითონ ამბობს, რომ „მე თავის აზრის დასამტკიცებლად ზღაპრებით და ანდაზებით ვიხელმძღვანელებ და წინდაწინვე ვსთხოვ მკითხველებს, რომ უარი არა ჰყონ მათ ჩემს საკუთარ მეთოდსო“. (იხ. წინასიტყვაობის მაგიერი). ამ სიტყვებს რომ ვკითხულობდით ჩვენ, ძლიერ გვიკვირდა: როგორ შეიძლება სოციალურ და ეკონომიურ მოვლენათა შესახებ მსჯელობა რაღაც ანდაზებზედ დავამყაროთ? თვით ბ-ნ მაჩხანელის ამნაირი საქციელი იმას ამტკიცებს, რომ მას ნდომებია მკითხველის წინაშე თავის მოწონება, რომ აი მე შოპენჰაუერი წამიკითხავს, აი ნორდაუს პარდოქსები ვიცი, აი ზღაპრები და ანდაზები დამიზეპირებიაო და სხვა De te fabula parratvz*)—ვიტყვით ჩვენ ამ შემთხვევაში ბ.

*) არაკი შეეხება ნათქვამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩხანელზე, მასთან მისი ახალი მეთოდიც (თუმცაღა დოგმატიურ-ღვთისმეტყველებაში ის დიდი ხანია შემოღებულია) საკუთრივ მისთვის დაგვითმია.

დაუმატეთ ამას კიდევ ის გარემოება, რომ ბ. მაჩხანელი თითქმის თითეულ სტრიქონს თავის წერილისას შემდეგი სიტყვებით ამშვენებს: „სინდისო, „ნუ-ამუსო, სათოკე, „ საძაღლე მოვაჭრე-მოვახშენი, „ორფეა მგლები, „ მჭამელი მგელ-კაცები, „ საროსკიპო ბაზარში მოსიარულენი“, „ საპატარძლო ასი თუმანი, „ გინდ ის ასი თუმანი ჯოჯოხეთის მაშხალასაც ჰგვანდეს გარეგნობით (ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ეს რას ნიშნავს: როგორ შეიძლება რომ ასი თუმანი ჯოჯოხეთის მაშხალას ჰგვანდეს?) და მესაცრე ყარაჩების სულის თვისებით იყოს გაჟღენთილი“ („ ივ.“ № 164) etc. რას ნიშნავს ამნაირი უკმეხი და უზრდელი სიტყვების სროლა? ნუ თუ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველნაირ კვლევის უნარი დაუკარგავს და მარტო სოფლის დედაკაცურ ბოდვას მიჰყოლია? საზოგადოდ კილო მისი წერილისა იმნაირია, რომ ის ერთის მხრით ღიმილს იწვევს ადამიანში, და მეორეს მხრით ღრმა მწუხარებას: რა უბედურებაა ეს ჩვენში, რომ ისეთები „იხვეჭენ“ მწერლის სახელს, რომლებისათვის არა თუ არ არსებობს მთელი დღევანდელი მეცნიერება, არამედ თვით ცხოვრებაც აკრძალულ ხილს შეადგენს. სწორედ ის არის უმთავრესი მავნებელი მიზეზი ჩვენი ცხოვრების წარმატებისა, რომ ჩვენში ფეხს იდგამენ ამნაირი ჯურის მწერლები. ბ. მაჩხანელმა, მაგალ., მოინდომა ჩვენში „კეთილი სახელის მოხვეჭა“ და აბა ამაზე ადვილი რაღა იყო: გაიხედ-გამოიხედა, წაიკითხა არ. შოპენჰაუერი, სმაილისი და რამოდენიმე კიდევ ამათი ყაიდის მწერალი, იგრძნო თავის არსებაში მიკული სელიანინოვიჩის ძალა და დასწერა „ ძმური სიტყვა“, შემდეგ ამისა მან წაიკითხა შულცე დელიჩელი, რამდენიმე რუსული ჟურნალი და გაზეთი და, ერთის მხრით, იგრძნო პოლიტიკური ეკონომიის ცოდნა და მეორე მხრით, პუბლიცისტური მოწოდება და დაჰბეჭდა გაზ. „ივერიაში“ „ ჩვენი უთავბოლობა“. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ შულცე დელიჩელის წაკითხვით რამე მოიმატა ბ. მაჩხანელმა. არა. თუ „ ძმურ სიტყვაში“ ერთი ღრმა შეცდომა ჰქონდა ბ. მაჩხანელს, „ ჩვენს უთავბოლობაში“ ეს შეცდომა გაორკეცა.

აი რას ნიშნავს, როცა ადამიანი მოუფიქრებლად ეკიდება საქმეს. ის ერთობ გულკეთილი კაცია: იმას ჰსურს დაჩაგრული ხალხის პატრონობა; ამისათვის ეძებს ყოველნაირ ლონისძიებას, რომ გამოიხსნას ის ტანჯვისაგან, მაგრამ რადგანაც მას არ შეუძლია არც ერთი საშუალების კრიტიკული დაფასება, ანალიზი, ამისათვის სარგებლობის მაგიერ მოაქვს მარტო ვნება.

ბ. მაჩხანელი გაეცნო სმაილს და მაშინვე იმის მიმდევარი გახდა, შემდეგ წაიკითხა შოპენჰაუერი, რომელსაც თავის მხრივ საკმარისად წარეტაცა ჩვენი ავტორი, მაგრამ უკანასკნელად მხოლოდ შულცე დელიჩელმა მოჰხიბლა ის მოუბრუნებლად.

ამნაირად ბ. მაჩხანელმა არც ერთი სხვისი შეხედულება კრიტიკულად არ განიხილა და ისე არ შეითვისა: ის ერთსაც უჯერებს და მეორესაც, თუნდ ეს მეორე პირველის პირდაპირ საწინააღმდეგოს ამბობდეს; მისი ჭკუით ის შულცე დელიჩელის მომხრეც არის და იმავე დროს კ. მარქსისაც, იუდასიც და ქრისტესიც. სწორედ ამას ქვია დამოუკიდებელი მსჯელობის სრული უქონლობა. მაგრამ ამასთანავე ბ. მაჩხანელი იწვის კეთილი წადილით, რომ რაიმე სარგებლობა მოუტანოს თავის მოძმეებს და რამოდენიმე უნიჭო თხზულებების წაკითხვის შემდეგ ერთბაშათ ჰსურს გახდეს ბელეტრისტი, სოციოლოგი და პუბლიცისტიც და ამავე დროს კი არავითარ ანგარიშს არ აძლევს თავის თავს, არ სწონის თავის ცოდნას და თავის ინტელექტუალურ ძალას.

ამიტომ ბ. მაჩხანელმა თავის წერილში „ჩვენი უთავბოლობა“ რა კითხვა გინდათ არ აღეძრა და ვის გინდათ, რომ ის არ ეცა? ჯერ გვიჩვენა ვითომც მთელი კაცობრიობის ლტოლვილება; მერე დაგვპირდა ჩვენი ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გამოკვლევას; შემდეგ იკისრა ფრიად საძნელო საქმე: ჩვენი ხალხის დაცემის წამალის ჩვენება; ამას გარდა, რომელი წოდება ან დაწესებულება არ გინდათ, რომ მას არ ეთქვას: ეს ამნაირია, ის იმნაირია, ეს წამხდარია, ის გაფუჭებულიაო, იქონიეთ სახეში, რომ ყოველივე ეს ერთი კალმის მოსმით. მაგრამ ამათ ავტორი არ კმარობს, ის ეხება უფრო პრინციპიალურ მხარეს: ის პირდაპირ ამტკიცებს, რომ ჯერ ხალხი უნდა გამდიდრდეს ყელამდის ნივთიერი ქონებით და მხოლოდ მერე იზრუნოს სწავლა-განათლებაზე, რომ ქვეყნის კეთილდღეობა სავაჭრო ნივთების რაოდენობაზე ჰკიდია და სხვ. თუ რამდენად მართალია ავტორის ამგვარი მსჯელობა ჩვენ უკვე რამოდენიმედ ვიცით; ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ავტორის იმნაირი თავგამოდებითი ქადაგება, როგორიც მან გამოიჩინა „ჩვენ უთავბოლობაში“, გარდა ვნებისა, არაფერს არ მოიტანს. მაგრამ მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ბ. მაჩხანელს ეს განზრახ მოსდიოდეს. არა, ჩემო მკითხველო, აქ ძევს უფრო სამწუხარო მიზეზები. ჩვენ ვამბობთ **ხელმძღვანელი დედა აზრის (იდეას) უქონლობაზე**.

ბ. მაჩხანელსავით დაემართება ყველას, ვინც წინასწარ არ შეადგენს თავის გონებაში რაიმე საერთო დედაარზს, არ ეცდება იმის შემუშავებას, არ გაუკეთებს იმას კრიტიკულ ანალიზს, არ შეუფარდებს მას სხვა შეხედულებას,—ერთი სიტყვით, არ შეისწავლის იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საშუალებით, რომელსაც გვაძლევს თანამედროვე მეცნიერება. აი სწორედ ამ ხელმძღვანელი დედაზრის უქონლობა ჩვენ გვაძლევს სრულს უფლებას ბ. მაჩხანელის „ჩვენ უთავბოლობას“ ვუწოდოთ **„უთავბოლობის ნაყოფი“.** **ფ. შემოქმედელი.**

ვარშავა, 1892 წ. 2 ღვინობისთვე.

ეს წერილი ჩვენ გათავებული გვქონდა, როცა გაზ. „ივერიაში“ (№ 200) „ჩვენი უთავბოლობის“ მეოთხე თავის ბეჭდვა დაიწყო ჩვენი ინტელიგენციის შესახებ. მაგრამ რადგანაც აქ ბ. მაჩხანელი მხოლოდ თავის წინანდელ ნათქვამს იმეორებს, ამიტომ ჩვენის მხრით დიდი დანაშაულება არ იქნება, თუ ამ უკანასკნელი თავის განხილვას სრულიად არ შეუდგები, მხოლოდ ერთ გარემოებაზედ კი გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ; წინათ ბ. მაჩხანელი ამბობდა: „ეს ბურთი და ეს სამოთხის მოედანი, წინ ვინ დაგვიდგება საქვეყნო კეთილის საქმეების განხორციელებაში თუ არა ჩვენივე დამღუპავი თავ-შეუდებლობა“ და სხ. (იხ. „ივ.“ № 186). ახლა კი ის ჭლალდებს, რომ „საქვეყნო კეთილი საქმეებისათვის“ რომ ვიმოქმედეთო, ჯერ ჩვენთვის საჭიროა ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლებაო („ივ.“ № 207).

მაშასადამე, როგორც მკითხველი ჰხედავს, თვით ბ. მაჩხანელი რამოდენიმედ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სამოთხის მოედანი“ ჯერ ჩვენ წინ სრულიად არ ყოფილა. მას რომ ამ უკანასკნელ გარემოებისთვის მიექცია თავის ყურადღება, მაშინ ჩვენ გვგონია, მისი შეცდომების რაოდენობა ძლიერ იკლებდა. **ფ. შ.**

ვარშავა
1893 აპრილის 6-ს.

ძმაო კოწიავ!

დღეს მივიღე თქვენგან წიგნები და წერილიც, ძლიერ მადლობელი ვართ, როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვისაც.—თქვენს აზრსა და პირობებს მე სრულიად ვეთანხმები შემდეგი დამატებით: პირველად, მე ვსთვლი საჭიროდ, რომ ამ წერილებთან დაიბეჭდოს მეორე წერილი, რომელიც ამას წინათ „კვალს“ გაუგზავნე. „კვალის“ მეათე ნომერში წაიკითხავდი რა პასუხი მომცა ამ ახალმა redakciamd ჩემ წერილზე („კვალის“ ფოსტა: ვ-ს მ-ძეს) ის წერილი ეხლა ჰეინაძეს აქვს, რადგანაც ამას წინეთ ის მწერდა, რომ თუ რამე წერილი გაქვს, მე გამოგაცემო, და რადგანაც თქვენგან არაფერი პასუხი მივიღე, იმას მიეწერე, წერილი გამოართვი მეთქი; დღეს იმასაც გაუგზავნე წერილი და შეუთვალე, რომ ბ. კ. თავვართქილაძემ როგორც მოჯწეროს, ისე გარდაეცი ის წერილი მეთქი; უნდა იცოდეთ, რომ უსათუოდ გარდმოგცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ მე ის უნდა მოგახსენო, რომ რადგანაც ეს წერილები დანაშნული იყო დროებითი გამოცემისათვის და რადგანაც მე ფიქრადაც არ მქონებია, რომ ცალკე წიგნაკად გამომეცა, ამიტომ მე ესთელი საჭიროდ ორიოდე სიტყვა წინასიტყვაობის მაგიერ ჩაურთო თავში, აი ამნაირად:

ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ყველასთვის ცხადია, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ეროვნობის საქმე: მწერლობა, რომელიც უსარველესნი და პირდაპირ გამომხატველია ყოველივე სახოგადოებური აზროვნებისა, ჩვენში დაჩაგრულია. ამ დაჩაგრულობის მიზეზები, რასაკვირველია, მრავალია. აქ საკმარისი იქნება მხოლოდ უმთავრესი მათგანის დასახელება. ეჭვი არ არის, რომ უმთავრესი ადგილი იმათ შორის ეკუთვნის ჩვენი მწერლობის უფერულობას, მის რაღაცნაირ განუსაზღვრელ და გამოუოკველელ ხასიათს; აქ არ არის არც ერთი განსაზღვრული მიმართულება, რომლის ამოკვლევება შეეძლოს ახალგაზრდა მწერალს. ამნაირად, განსაზღვრული ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ და მიმართულების უქონლობა ჩვენს მწერლობაში რაღაც სპეციფიკურ მოვლენად გარდაიქცა. აქ არ არის საჭირო მეცნიერების თვალით შეხედვა საკანონ: ჩვენში ვისაც ანბანი უსწავლია და „ᲔᲔᲤᲮᲕᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ წაუკითხავს, ის პოეტიცაა, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, და თუ გნებავსთ, ხანდისხან ისტორიკოსიც. განა ამაზე მეტი შეურაცყოფა მწერლობისა შეიძლება *)?

ეს ლეშეი ეკუთვნის ერთს ახალგაზრდა „პოეტს“, თ. რაზიკაშვილს, რომელიც „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ“ ვარსკვლავად ითვლება.

მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ამნაირ ბღალჯველებისაგან შემდგარი გუნდი მაგრად იკეტავს კარს, რომ სინათლემ არსაიდან შემოსწყოს ფეხი და მით არ გამოაშკარავდეს ჩვენი ეროვნობაო. ამას კარგათ სცნობენ ჩვენი აწინდელი მწერლობის „მმართველნი“ და აი სწორეთ ამით აიხსნება ამ უკანასკნელთა განწყობილება ახლად ამომცონარე მწერლებთან, რომელთა გამოჩენა იმათ რაღაც ელდასავით ეცემათ ხოლმე. ამ ახლად ამომცონარე მწერლების ყველა ნაწარმოებს სწორეთ ამ თვალით უცქერიან ჩვენი სხვადასხვა „ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ“ და ამიტომ რა გასაკვირალია, რომ პირველები სულ უფრო და უფრო იდევნებიან და გამარჯვების დროშა ᲯᲣᲠ-ᲯᲣᲠᲝᲑᲝᲜ რჩება სულ უფრო და უფრო ეკიცობას. ვინც კი მოთმინებას იჩენინებს და მოისტვენს ჩემი სიტყვების შემოწმებას, იმას შეუძლია თვალი გადაავლოს ჩვენი მწერლობის ისტორიას 60-70 წლებიდან ვიდრე აქამდე, და ის უსათუოდ დარწმუნდება, თუ როგორ თანდათან დაწერილმანებულა ჩვენი მწერლობა, ის მიხვდება, თუ რამდენად მომზადებული იყო და გაცილებით

---

*) ამას წინეთ აი როგორი ლეშეი იყო დაბეჭდილი გაზ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ“ (№ 59, 1893 წ.).

დასსხი, დასსხეინე,
დალიე, დამალეინე,
თუ ეერ დავცალე, ძალითა
ასწიე, დამაცლეინე და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა იდგა სამოციან და სამოცდა-ათიან წლების თაობა, ვიდრე ეხლანდელი სანრები, ფრონელები და რაზიკაშვილები*).

— ეს ყოველივე ესეაო — იტყვის მკითხველი, მაგრამ ეს ვგონებ, თქვენს წერილებს არ უნდა ეხებოდესო, რადგანაც ამ წერილებით თქვენ ვერაფერს ახალს ვერ შესძენთ ჩვენს ჩამორჩენილ მწერლობასო. ამ შენიშვნაზე მე არა თუ დაეთანხმები მკითხველს, არამედ მე კიდევ უფრო შორს წავალ და ვიტყვი, რომ ამ წერილებმა ცალკე წიგნად დაბეჭდვა მე სრულიად არ მჭირნეია სახელი და თუ ამას ვბედავ ეხლა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ გარემოებამ მაიძულა, რომ ასე მოექცეულიყავი: 1892 წ. განმავლობაში დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ ვრცელი წერილი ბ. დ. მაჩხანელისა. ხსენებული წერილი ეხებოდა ათასგვარ საკირო და საავალდებულო კითხვებს და ბ. მაჩხანელის თავისებურ მსჯელობას ამ კითხვებზე შეუძლებელი იყო, რომ ვინმეს ყურადღება არ მიექცია. სხვათა შორის იმ წერილის დასრულებისთანავე წარსული წლის სექტემბრის დამლევს მეც გავეზავინე გაზ. „ივერიაში“ ჩემი შენიშვნები ბ. მაჩხანელის წერილზე ზოგიერთ უმთავრესი კითხვების შესახებ. გავიდა ხუთ თვეზე მეტი, ჩემი წერილი ამ ხნის განმავლობაში განისვენებდა „ივერიის“ რედაქციაში, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავის მოვალეობად სრულებით არ ჩასთვალა არა თუ დაბეჭდვა, არამედ მარტო იმის გადათვალიერებაც. „ივერიის“ ამნაირი საქციელი მე დიდი ხანია გაგებული მჭონდა ჯამოცდილებით, მაგრამ რას ვიზამდი, როცა იმ დროს ჩვენ „ივერიის“ გარდა სხვა სალიტერატურო ორგანო არ გვქონებია. ამიტომ, რასაკვირველია, ყველა ჭეშმარიტი ქართველი სიხარულით მიეგება ახალ გაზეთის დაბადებას, მით უფრო, რომ, ამ უკანასკნელმა პირველ თავის ნომერშივე აღნიშნა, თუმცა ძლიერ ბუნდად, ჩვენი ერონალ-გაზეთობის ნაკლი და ამასთანავე გამოსთქვა ის აზრი, რომ ამ ნაკლის ასაკილებლად საჭიროა ერთი აზრის მეორე აზრთან შეტაკება და შეფარდებაო (იხ. „ეკალი“ № 1). ახლად დაბადებული გაზეთის ამნირმა აღსარებამ ჩვენი ახალგაზრდობა დიდათ დაამშვიდოვნა იმის შესახებ, რომ შეიძლება ამას შემდეგ ეროტ-ეროტათი მაინც იწყოს ჩვენმა მწერლობამ შეფერიანება და რაიმე განსაზღვრულ მიმართულების გზაზედ დადგომა. თავდა-პირველად საკმე იქნობამდის მივიდა, რომ „ივერიამ“ და „ეკალმა“ ერთი-ერთმანეთს თითქმის ოშიც გამოუცხადეს. მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს ომი? „აქლემმა რწყილი შეაო“, ნათქვამია, თურმენე იტყვიან: „ივერია“, და „ეკალი“ ეფიქრობდენ ერთი-ერთმანეთს რაღაც წერილ-წერილ ამბების შესახებ და არა იმ იდეის და მიმართულების სახელით, რომელიც ასულდგმულებს და კეკეტავს საზოგადოებურ მოღვაწეს და რომელიც ყოველთვის წინ უნდა ჰქონდეს დასახული საზოგადოებური ორგანოს მწარმოებელთ.

ამ წერილ-წერილ ამბების ლეკვად იქნობამდის მიიყვანა საკმე, რომ დანაბოლოს ორთავე ხსენებულ გაზეთებსაც შერტხეთ თავის საკიელი, მიიხედ-მოიხედეს და მაშინვე მიხვდენ, რომ ნუ თუ მოგვეტაევება ჩვენ ამნაირი განწყობილება ერთმანეთ შორის, ნუ ,ოუ ჩვენ ერთი და იგივე შთამომავლობიდან არ წარმოვიდგებითო, და თუმცა ნათქვამიაო, რომ „ძაღლს ძაღლის კბილი არ ეტკინებაო“ მაგრამ ჩვენ, როგორც კეთილშობლიური სისხლის წარმომადგენლებს, სწორედ არ შეგვწვენის ამნაირი საქციელიო და მოდი ისევ ქართველურად დავშეგობრდეთო. ეს რომ ასე მოხდებოდა ჩვენ, რასაკვირველია, თავიდანვე ვიცოდით, მაგრამ სწორედ რომ ესთქვათ დიდ ეპეიანობაში შეგვიყვანა „ეკალის“ პირველმა განცხადებამ. ჩვენ ადრევე ვიცოდით, რომ „ეკალის“ დაბადებით ჩვენში სრულებით არ ჩნდება ახალი რამ, თუმცა, ეიმორეს, ბევრს ეს ასე ეგონა; დღეს კი ეს უკვე

*) იმედია, ამ სიტყვებიდამ არავინ იფიქრებს, რომ ვითომ დიდი თაყვანისმცემელი ვიყო 60-70 წლების თაობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველასათვის აშკარაა. და მართლადაც ერთი და იგივე ბუჩქის ძირიდამ შეიძლება სხვა გვარის ღეროების ან ფოთლების აღმოცენება? ჩვენ გვწამს ორგანიული სხეულის ბეტაპარფოზა ანუ გარდაქმნა, გადაგვარება, მაგრამ თვთრ-ეკალიდან პირდაპირ ძეწნის წარმოდგომა ბუნების ყოველივე კანონის საწინააღმდეგო მოვლენა იქნება. შესაძლებელია მხოლოდ, რომ თეთრ-ეკალამ თავის ძირიდამ ამოიწვას სხვადასხვა სიგძის ღეროები; შესაძლებელია აგრეთვე ერთი ღეროს ფოთოლი განსხვავდებოდეს მეორესაგან, მაგრამ არსებითი თვისებანი როგორც ერთისა, ისე მეორესაც ერთი და იგივე იქნებიან. ამის შემდეგ ცხადია, თუ რა განსხვავება უნდა ჩამოვარდნილიყო „კვალს" და „ივერიას" შორის, მემკვიდრეობის კანონებათა ძალით, ე. ი. ეს განსხვავება წვრილ-წვრილ ამბებს ვერ გასცილდებოდა. ქეშშარიტად სამწუხაროა ეს მემკვიდრეობა და მეტადრე მაშინ, როცა წარმოვიდგენთ, რომ მთელი ჩვენი მწერლობა ამ მემკვიდეთეობითი ცოდვით იტანჯება. აბა გაშინჯეთ, ვინ უდგანან ჩვენს გაზეთებს სათავეში რუსული „ახალი მიმოხილვიდამ" დაწყებული! ამ ფაქტის აღიარებით მე არავისი შეურაყოფა არა მსურს, მე მინდა ამით ესთქვა მხოლოდ ის, რომ თუ ჩვენს დედა-ქალაქში სამი და ოთხი გაზეთი ემსახურება ერთ წოდებას, ნუ თუ სხვა წოდებათა ინტერესებში არ თბოფლობენ დაცვას? ჩვენ, რასაკვირველია, გვეტყვიან, რომ ეს შემეფდა ანრი არისო, რომ ჩვენი გაზეთები ყველა წოდების ინტერესებს იცავენო. მაგრამ ეს ჩვენ ეხლა უკვე აღარ გვჯერა, ჩვენ თვალი გვაქვს და ყური და მარტო წითელ-წითელი, მითომდა პატრიოტული ფრაზებით ჩვენ აღარ ვკმაყოფილდებით. ჩვენ ვთხოულობთ სიტყვების მოკმედებით დამტკიცებას და ეი სწორედ ეს მოკმედება გვეუბნება წითელ-წითელი ფრაზების წინააღმდეგ. აბა ერთი იკითხეთ, თუ რა საშვალება და წყარო აღმოუჩინეს მთელ კახეთ-ქიზიყის დამშეულ ბლეტ-კაცობას ჩვენმა საყოველთაო გამკეთებლებმა? ერთი ღონეცი-კი არავის ამოუღია; მაგრამ აბა ერთი თავად-აზნაურობის ჯიბის „გასქელებაზე" ჩამოვარდნილიყო საქმე, თუ მაშინვე არ დაეწყოთ საქვეყნოდ ძახილი პატრიოტობის, ცივილიზაციის და კაცობრიობის სახელით, თუ მაშინვე არ დაეწყოთ თათბირი სხვადასხვა საზოგადოებათა დაარსებაზე, რკინის გზის გაყვანაზე და სხვ.

ეიცი, მეტყვიან ხელ-ახლა, რა გასაკვირალია, რომ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი თავად-აზნაურობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნავდესო? რასაკვირველია, აკ გასაკვირაალი არა არის რა, მაგრამ ნუ თუ თავად-აზნაურობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ბლეტ-კაცობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უნდა ნიშნავდეს? აი სწორედ ამ ოცნების შესარყევად, რომელიც დღეს ჩვენში თითქმის ყველას მოსდგია, დავწერე მეორე წერილი, რომელიც ამ წიგნაკშია მოთავსებული, შემდეგის სათაურით: „მწარე ფიქრები" და „გაუგზავნე „კვალს" დასაბეჭდათ. სხვათა შორის აკ „ივერიის" მიმართულებაზედაც არის რამოდენიმე საუბარი, მაგრამ როცა „კვალი" მიხედა, რომ აკ წერილ-წერილ ამბებით საკმე აღარ თავდება, არამედ თვით „ივერიის" და „კვალის" საერთო მიმართულებაზე იყო მსჯელობა ეს, რასაკვირველია, აღარ ეკუბნეკა მას და აღარც დაბეჭდა.

აი ზემოაღნიშნული გარემოებანი მკონდა მე სათქმელად მკითხველთან ამ წიგნაკნი მოთავსებული წერილების შესახებ. ცხადია, რომ როცა მე ამ წერილებს ეწერავდი, იმ დროს სრულებით არ მკონდა სახეში, რომ ისინი ცალკე ბროშიურად დამებეჭდა; ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ მე იმათ არც „ივერიას" და „კვალს" გაუგზავნიდი და რამოდენიმეჯერ სხეა გარეგან სახესაც მივსცემდი. მაგრამ მე თავის თავზე მაინც არ ავიღებდი იმნაირ სამძიმო საქმეს, როგორიც არის მწერლობის საქმე და დროგამოშვებითი გამოცემისათვის დანიშნულ წერილებს ცალკე წიგნაკად დაბეჭდვას არ გავბედავდი, რომ ზოგიერთ ჩემს კარგ მეგობრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ერჩიათ ჩემთვის ეს. ამასთანავე აკვე უნდა განვაცხადო, რომ ეს წერილები მე მას შემდეგ, რაც რედაქციებში გავგზავნე, არ მინახავს, და მაშასადამე, არც მათი შეცვლა შემეძლო. მაგრამ ეს შეუცვლელობა ერთობ საინტერესოც უნდა იყოს მკითხველი საზოგადოებისათვის, რადგანაც ის ამით რამოდენიმე ახრს შეადგენს „ივერიის“ და „კვალის“ რედაქციაზე. ვგონებ ჩამოთვლილი გარემოებანი ჩემს აწინდელს განსრახვას გაამართლებენ მკითხველების წინაშე.

ფ. შემოქმედელი.

ქ. ვარშავა.
1893 წ. აპრილის 6-ს.

აი ეს წინასიტყვაობა უნდა მოათავსო, ჩემო კოწიავ, ჩემის ფიქრით და თქვენ როგორც ისურვებთ ისე ქენით. სხვა ამას გარდა სათაურად რა ეჭნება გარეგან კანზე არ ვიცი, რადგანაც წიგნაკში ორი წერილი იქნება მოთავსებული. მე მგონია ასე იქნება: „ორი წერილი ფ. შემოქმედელისა“. თორემ თქვენ როგორც გსურდეს ეგ სულ ერთია. გვარის მოწერა ვგონებ არ არის საჭირო. ყველანი მიხვდებიან, რომ ეს ჩემია. სასყიდლის შესახებ რასაც იწერები ეს სულ უბრალოა, განა შესაძლებელია, რომ მე მაგაში რამე ვითხოვო, და განა იმიტომ დავწერეო ვგონებ, რომ არა.

ცენზურას ხომ თბილისში უნდა წარუდგინო და მეორე წერილი იქ არის. ისწერე, თქვენ როგორ გადმოქცეს ზაკარიამ.

სხვა ნახვამდის. მომიკითხე მაკაურები. სახლში უსათუოდ უნდა წამოვიდე.

შენი ძმა **ფ. მახარაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოტიკე ჩიქვილაძე.

ტფილისის სასულიერო სემინარია გასული საუკუნის მე-80 წლებში

სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობა.

დასასრული, იხ. „რევ. მატ." №№ 2—3 (7—8).

ლაღიაშვილს შეეძლო რექტორის დაჭრის შემდეგ ბინიდან გამოსულიყო სრულიად შეუმჩნეველად და მიმალულიყო, მაგრამ ეს არ შედიოდა მის გეგმაში. სხვადასხვა მოსაზრებით და ამიტომ დაჭრილ რექტორს უკან დაედევნა. მისი ერთად-ერთი მიზანი იყო რექტორის სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ აივნამდის მისდია და თავს სჭრიდა რექტორს, რომ ამ დროს არ მიესწროთ მასწავლებლებს და არ შეეჩერებიათ.

სწორედ თორმეტი საათი იქნებოდა, რომ ჩვენ ერთმა სემინარიელმა გადმოგვცა ეს ამბავი და გაგვაფრთხილა. ვიცოდით, რომ ამ საქმეზე მოგვიკითხავდენ და შევუდექით მზადებას: ყველა აკრძალული წიგნები და საეკვო ქაღალდები საჩქაროდ საიდუმლო წიგნთსაცავში გადავზიდეთ და ველოდით დაუპატიჟებელ სტუმრებს. იმათაც არ დააყოვნეს და მეორე ღამეს გვეწვივნენ, გაგვჩხრიკეს და დაგვაპატიმრეს. თითქმის ყველა გამორიცხულები ციხეში ჩაგვსვეს. ვისაც სოფელში წასვლა მოესწრო, ისინიც დაჭერილი ჩამოიყვანეს. დაპატიმრებულნი ცალ-ცალკე მოგვათავსეს და სასტიკათ გვეპყრობოდენ—არ გვაძლევდენ თამბაქოს, წიგნებს და სხ.

ჩვენ დაკითხვის დროს უარი განვაცხადეთ მკვლელობაში რაიმე მონაწილეობაზე და დახმარებაზე, მაგრამ გამოძებნეს მოწმეები: მე, უზნაძეს, მენაბდეს და ბარნაბიშვილს, რომელნიც ერთად ვიდექით, გვადებდა ხელს ჩვენ ახლოს მდგომი პოლკოვნიკი (გვარი არ მახსოვს) და ორი მისი ასული, რომ ჩვენ გვქონდა ხანჯალი, ხმალი და სხვა იარაღი. დაკითხეს ჩვენს დიასახლისს, ციხეშიაც ჩასვეს იგი, მაგრამ მან ჩვენ იარაღის შესახებ ხელი არ დაგვადო. თან ლაღიაშვილი სრულიად გადაჭრილად უარყოფდა ვისმეს მონაწილეობას ამ საქმეში. ამიტომ ჩვენ ბრალდება მოგვხსნეს და ჟანდარმერიას გადაგვცეს ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილსაიმედოების გამოსარკვევათ და შესაფერი სასჯელის მოსაცემად.

საქმის გამოძიება მალე დამთავრდა და გადაეცა სამხედრო სასამართლოს გასარჩევად. საქმე გაირჩა 16 ივნისს 1886 წ. ღია კარებში. სასამართლოს თავმჯდომარეობდა სამხედრო მოსამართლე პოლკოვნიკი იაჩევსკი, დროებით წევრები: პოლკოვნიკები— საგინოვი და ბაიკოვი, კაპიტანი სარაჯევი და შტაბს-კაპიტანი მაქსიმოვი. ბრალს სდებდა სამხედრო ბრალმდებლის თანაშემწე ორნატსკი. ბრალდებულს სასამართლოს დავალებით იცავდა ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი.

სასამართლოში გამოცხადდა ამ საქმეზე 12 მოწმე. ორი კი, სიმამრი ჩუდეცკისა, მღვდელი მანკელი და თანაშემწე სემინარიის ინსპექტორისა მახათაძე, არ მოვიდნენ: პირველი ავადყოფობისა გამო ხოლო მეორე ყელეზნოვოდსკაში წასვლის გამო. ორი მოწმის მოუსვლელობამ საქმე ვერ დაამბრკოლა და სასამართლო შეუდგა მის გარჩევას.

ბრალდებულის მცირე დაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს საბრალმდებლო ოქმს: ეს ოქმი საკმაოთ ასურათებს სემინარიის აშმორებულ ცხოვრებას. თითქმის უცვლელად მოგვყავს იგი:

„24 მაისს 1886 წელს, დილის $10^1/_2$ საათზე თფილისის სემინარიის მე 2 და მე-3 კლასის მოწაფეების და მასწავლებლების ბიკტორ ლაცოკკისა და გიორგი ჩეტირკინის ყურადღება მიიქცია ქალის საშინელმა ყვირილმა, რომელიც ისმოდა სემინარიის ეზოდან. შეგირდები მაშინ საეგზამენო თხზულებასა სწერდენ და მასწავლებლებიც თავალყურს ადევნებდენ მოწაფეთა მუშაობას. ყვირილის გაგონებაზე მასწავლებელნიც და მოსწავლენიც აიკანზე გამოცვივდენ და დაინახეს, რომ მათ პირდაპირ აიკანზე, რომელზედაც რექტორის სადგომის კარი გამოდის, შიგ კარებშივე, სდგას თვით გასისხლიანებული რექტორი სემინარიისა, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი და მის გვერდითვე სდგანან მისი მეუღლე მარიამ ანანიას ასული და იმის ღვიძლი დაი, გასათხოვარი ეკატერინე მანკელი და იფარვენ რექტორს სემინარიიდან გამორიცხულ იოსებ ლაღიაშვილისაგან, რომელიც იდგა იქვე და იქნევდა ამოღებულ ხანჯალს. მასწავლებელი ლაცოკკი და ჩეტირკინი დაუყოვნებლივ გაიქცნენ იქითკენ და ორთავე ხელი დაუჭირეს ლაღიაშვილს. ამავე წამს მოვიდა თავის სადგომიდან ინსპექტორის თანაშემწე, ნიკოლოზ მახათაძე, გამოსტაცა მან ლაღიაშვილს ამოღებული ხანჯალი და შემდეგ თვით ლაღიაშვილი წაიყვანა თავის სადგომში, სადაც შეუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდენ—ჯერ მასწავლებელნი, ხოლო შემდეგ პოლიციის მოხელე სოკოლოვსკი.

„დაჭრილი რექტორი შევიდა თავის კაბინეტში, გაიხადა წაღები, აიღო საწოლიდან ბალიში, დაწვა იატაკზე და სთქვა: „ეკვდებიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამ დროს მოვიდა სემინარიის ინსპექტორი იაკობ სტეფანოვიმან დაუყოვნებლივ გაგზავნა კაცი ექიმთან და შეატყობინა მთავრობის ყველა წარმომადგენელთ.

მალე მოვიდნენ მე-3 ნაწილის ბოქაული კუზმინსკი და ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ჩაიკოვსკი. როცა ამათ კითხეს დეკანოზ ჩუდეცკის, ვინ დაგჭრაო, დეკანოზმა უზასუხა: „ლალიაშვილმაო“. ეს გარემოება ოქმში იქნა შეტანილი. შემდეგ ალარა უკითხავთ-რა, რადგანაც დაჭრილი ძლიერ დასუსტებული იყო.

მალე მოვიდენ ექიმებიც და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი რუსანოვი. როცა ექიმებმა თავის საქმე გააკეთეს, სასამართლოს გამომძიებელმა დაუწყო დეკანოზს გამოკითხვა საქმის შესახებ. დეკანოზმა სთქვა: „მე დამჭრა სემინარიიდან გამორიცხულმა მოსწავლე ლალიაშვილმა შურის ძიების მიზეზით. დამჭრა ტალანში. შემდეგ დეკანოზმა ვერ შესძლო ლაპარაკი, გადიქცა და მალე გარდაიცვალა.

„როცა გვამი გაშინჯეს გარეგან და გასჭრეს, აღმოჩნდა, რომ ორივე ხელი სხვადასხვა ალაგას ქონდა დაჭრილი და ამას გარდა, კიდევ სხვა სამი ჭრილობა აღმოაჩნდა: ერთი კისერზე, მეორე ფერდებზე. ეს იარა ღრმად წასულიყო მუცელში ზემოთ და მარცხნივ. კუჭი და დიდი წელი დაზარალებული იყო, ხოლო ვვრილი წელი სამ ალაგას იყო ნახევრობადე გაჭრილი და ერთ ალაგას კი სულ მთლად გაკვეთილი იყო. გაჭრილი იყო აგრეთვე დიდი წელისა და მუცლის ქონი და ღვიძლიც მარცხნივ მხრით. თავის სარქველების ძვლები დაზიანებული არ იყო, ექიმებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ რექტორი მოკვდა მუცლის სასიკვდილო ჭრილობითა და სისხლისაგან დაცლის გამო.

„ამ ამბის პირველმა მოწმემ, დეკანოზ ჩუდეცკის მეუღლემ მარიამმა და მისმა დამ, წ-და ნინოს სასწავლებლის მასწავლებელმა ეკატერინე მანჭელიმ ერთნაირათ აჩვენეს შემდეგი: პირველმა სთქვა, რომ როცა საკუჭნაოდან გამოვდიოდი, შევნიშნე, რომ წინა კარებიდან შემოდიოდა ტალანში მოწაფე ქაღალდებით ხელში. მე არ ჩავაკვერდი ამ მოწაფეს. გავიარე დიდი ოთახი, სასტუმრო და შევედი კაბინეტში, სადაც ჩემი ქმარი მუშაობდა. მას უთხარი, რომ მოწაფე არის მეთქი. როცა ჩემი ქმარი გავიდა მოწაფესთან, მე და ჩემი და ეკატერინე დავრჩ>თ კაბინეტში. ორისა, თუ სამი წამის შემდეგ მოგვესმა საშინელი ყვირილი დეკანოზისა. ერთ წამს გავედით კაბინეტიდან, გავიარეთ სასტუმრო ოთახი და შევედით ზალაში. დეკანოზი ჩვენსკენ მოდიოდა გაჩქარებითი, ორისავე ხელით მუცელი ეჭირა, უკან მოსდევდა მოწაფე ამოღებული ხანჯლითა. მაშინ შევნიშნე, რომ ის მოწაფე იყო ლალიაშვილი, რომელსაც წინათაც ვიცნობდი. დეკანოზი შევიყვანეთ კაბინეტში და ჩვენ ორმა დამ სწრაფათ. მოვხურეთ კარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი სასტუმრო ოთახისა და კარს მხარი მივეცით, რომ ლაღიაშვილი აღარ შემოგვეშვა, მაგრამ გვიანღა იყო. ლაღიაშვილმა მოასწრო ფეხის შემოდგომა კარებში და შემოჰყო აგრეთვე ხელი, რომელშიაც ამოღებული ხანჯალი ეჭირა. მანამ ეს ამბავი იყო, დეკანოზმა მოასწრო და კაბინეტიდან მეორე ოთახში გავიდა, რომელიც სასადილოთ იყო დანიშნული. ამ ოთახშივე გავიდა ეკატერინე მანჟელეი, მოხურა კარები და მოაწვა. მე კაბინეტში დავრჩი და სახელოში წავავლე ხელი ლაღიაშვილსა, მაგრამ ვერ დავამაგრე. მაშინ კარებს დაუწყე აქეთ წევა, მაგრამ ლაღიაშვილმა დამძალა და შევიდა სასადილო ოთახში. დეკანოზი ჩუდეცკი ამ დროს ოთახის უკანა კარებიდან გასულიყო ტალანში და მერე იქიდან ზემოხსენებულ აივანზე. როცა ლაღიაშვილი შეეარდა სასადილო ოთახში, ორთავე დამ ვსტაცეთ ხელი. ერთმა სახელოში და მეორემ პალტოში, მაგრამ ვერ დავამაგრეთ. გამოეკიდა კიდევ დეკანოზს ჩუდეცკისა, დაეწია ბალკონზე ღა დაკრა ამოღებული ხანჯალი კისერში: როცა აქ ბრძოლა დაიწყეს მათ, მე ვსტაცე ხელი ამართულ ხანჯალს და ხელები დავიჭერი. სწორეთ ამ დროს მოგვეშველენ მასწავლებელნი ლაცოცკი, ჩეტირკინი და შეიპყრეს ლაღიაშვილი.

„ზემო აღწერილი გზა დევნილის დეკანოზის ჩუდეცკისა, რომ სწორეთ ასეთი იყო, დამტკიცდა იმ ოქმითაც, რომელიც შედგენილი იყო რექტორის ბინის გაშინჯვის დროს. კარები ხალისა და წინა ტალანის შუა, აგრეთვე ამ ტალანის ერთი კედელთაგანი იატაკი სისხლით პრის შესვრილი. შემდეგ დიდძალი სისხლი სჩანს იატაკზე ხალაში, სასტუმრო ოთახში, კაბინეტში, სასადილო ოთახში და უკანა ტალანში. იქვე ახლოს, ერთ ალაგას იყო დაგუბებული სისხლი. ქარქაში ლაღიაშვილის ხანჯლისა თეთრი იყო, ტყავით გარშემო უკერელი და ორსავე პირზე სისხლის ლაქები ამჩნევია. თვით ხანჯალი სიგრძით ათი გოჯია და სიგანით ერთ გოჯზე ცოტა მეტი. ზედაც და ღერზედაც ეტყობა წითელი ლაქები, რომლებიც ექიმის პოტაპოვის აზრით სისხლისაა—ისეთი, როგორც თვით ქარქაშზე“.

„შეპყრობილ ლაღიაშაილს მარცხენა ხელზე სამი ჭრილობა ქონდა. იოსებ ლაღიაშვილს ეცვა დრაფის პალტო და ქვეშ ბლუზა. მარცხენა კალთა პალტოსი სისხლით არის მოსვრილი, მარჯვენა კალთას კი ცოტა სისხლი ამჩნევია. სისხლი ეტყობოდა ორსავე სახელოს, სისხლი აღმოჩნდა აგრეთვე ზურგზე მარჯვენა მხართან და პალტოს უკანა კალთაზეც. მარცხენა კალთაც ბლუზისა აგრეთვე სისხლშია გასვრილი. მარცხენა კალთას კი სისხლი ნაკლებათ ამჩნევია“.

„როცა იმავე დღეს, 24-ს მაისს, გამოკითხვა დაუწყეს იოსებ ლაღიაშვილს. მან სთქვა, რომ მე არ ვარ დამნაშავე სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობაში. დილით მივედი რექტორთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არზა უნდა მიმერთმია. არზითა ვთხოვდი, რომ მოეცათ ჩემთვის მოწმობა გორის სასულიერო სასწავლებელში კურსის დასრულებისა, რომელიც სემინარიაში იყო ჩემ მიერ წარდგენილიო. შემდეგ რა მოხდა აღარ მახსოვსო. არც ის მახსოვს, დავჭერი რექტორი თუ არაო. ხანჯალი რომ წარუდგინეს, სთქვა, რომ ჩემიაო. ამ კვირა ნახევრის წინად ერთი უცნობი ოსისგან შევიძინეო. როდესაც კითხეს,—სისხლი საიდგან გაჩნდა ხანჯალზეო; უპასუხა—არ ვიციო. დანარჩენ შეკითხვებზე ლაღიაშვილმა პასუხი არ გასცა და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა".

„პოლიციის მოხელემ სოკოლოვსკიმ აჩვენა, რომ, როცა იოსებ ლაღიაშვილი ჩემს მხედველობის ქვეშ იყო მახათაძის ოთახში, ამოიღო პალტოს ჯიბიდან ქაღალდები და უნდოდა დაეხია, მაგრამ მე გამოვართვი და გამომძიებელს წარვუდგინეთ".

„როცა ეს ქაღალდი გასინჯეს მათ შორის ორი შემდეგი ქაღალდი იყო: ერთზე ეწერა: „1886 წელს სასულიერო სემინარიაში ბევრი შევიწროების ატანა მომიხდა. სხვათა შორის მე წამართვეს დღიური, რომელშიაც ვლანძღავდი სემინარიის მთავრობას უსამართლობისათვის. ი. ლაღიაშვილი". მეორე თაბახი ორად იყო შეკეცილი. პირველსა და მეორე გვერდზედ ფანქარით არის დაწერილი შავად არზა ი. ლაღიაშვილისა საქართველოს ეგზარხოსთან. არზაში სთხოვს იგი ეგზარხოსს, დამნიშნე მთავრად სადმე ან სოფელში, ან ქალაქშიო. ქვემოდ დაწერილია 1886 წ. აპრილის 11 დღესა". მესამე გვერდზე სწერია ფანქარითვე შავად არზა ლაღიაშვილისა სემინარიის რექტორთან. ამ არზითა სთხოვს, დამიბრუნეთ მოწმობა სასულიერო სასწავლებლისაო და ჩემი სამი რვეულიო. არზის ბოლოში სწერია—1886 წ. აპრილის 10 დღესა. მეოთხე გვერდზე სწერია: მიეწყოს ყოველსა ღირსებისამებრ მისისა".

„ამას გარდა, როცა ლაღიაშვილი გაჩხრიკეს, იქვე სემინარიაში, პალტოს ჯიბეში უპოვეს უკვე თეთრად გადაწერილი არზა საქართველოს ეგზარხოსთან, რომ დიაკვნათ დამნიშნე ან სოფელში, ან ქალაქშიო. არზას ბოლოში რიცხეი აწერია: „1886 წელსა 17 მაისი". შარვლის ერთ ჯიბეში უპოვეს აგრეთვე ერთი ნაჭერი მიტკლისა 15 გოჯი სიგრძით და ერთი გოჯი სიგანით.

„ეს ნაჭერი, მოხსენებული ქაღალდები, აგრეთვე გასვრილი სისხლში ლაღიაშვილის ტანისამოსი და ხანჯალი საქმეშია ჩართული, როგორც საქმის დამამტკიცებელი თვალსაჩინო საბუთი.

„ლაღიაშვილის სადგომში, ერეკლის ქუჩაზე, მე-6 ვორონცოვის საპოლიციო უბანში, შენობა ელიოზოვისა, სახლი ფელდფებელის შაპოვალოვისა, სხვათა შორის, აღმოჩნდა რვეული, რომლის 12 გვერდი ფანქარით არის დაწერილი. ზემოდან შემდეგი ეპიგრაფია აწერია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცოდნა აზატობაა, ცოდნა—სინათლეა, თუ კაცს ცოდნა არა აქვს, მონაა“. (ბერანჟე). პირველ გვერდზე რეკულს სათაურად აწერია: „ჩემი თავგადასავალი 1885-6 წელს“.

„სემინარიის ინსპექტორმა, იაკობ სტეფანისძე სტეფანოვმა აჩვენა, რომ პედაგოგიური საბჭოს ჟურნალისამებრ 9 დეკემბრიდან 1885 წელსა, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეგზარხოსის მიერ, მესამე კლასის მოწაფეს იოსებ ლაღიაშვილს მოესპო სახელმწიფო ხარჯი, რადგანაც უპოვეს დღიური, რომელშიაც ისეთი რამ ეწერა, რომელიც ამტკიცებდა მოწაფის შეუწყნარებელ მიმართულებას. ეს მიმართულება იმით გამოჩნდა, რომ ლაღიაშვილი არად აგდებდა საეკლესიო მოძღვრებათა და სასულიერო პირთა, აგრეთვე მძულვარებით ლაპარაკობდა თავის დღიურში ერთ-ერთ მასწავლებელზე და დასასრულ მონაწილეობას იღებდა **საიდუმლო ხელნაწერ გაზეთში, რომელსაც ქართულად სწერდენ და რომელსაც** სახელად ერქვა „ყვავილი“. სრული სახარჯოს მაგიერ ექვსი მანეთის ძლევა დაუწყეს თვეში. ამ ზომამ არ გასჭრა და ლაღიაშვილმა თავისი არ დაიშალა. 12-ს მარტს, როდესაც სტეფანოვი მივიდა იმის სახლში, ლაღიაშვილმა თავის წიგნები და რვეულები არ აჩვენა იმ მიზეზით, რომ ყველა წიგნები მე არ მეკუთვნისო და ჩემ წიგნებში სხვისაც ურევიაო. როდესაც წიგნები გაუსინჯეს, უპოვეს ერთი მოზრდილი წიგნი: ჟურნალ „Отечественныя записки“—და წიგნში რვეული შემდეგის ეიპგრაფიითა: „ცოდნა, სინათლეა, თავისუფლებას აძლევს კაცს; თუ ცოდნა არა გაქვს, არც თავისუფალი ხარ? [1]) როდესაც ლაღიაშვილს ეს წიგნი სთხოვეს, მან უპასუხა, რომ „თქვენ ნება არა გაქვსთ, წიგნები წაიღოთო“. მეორე დღესაც ბევრი შეურაცყოფა მიაყენა სტეფანოვს, რომელიც სემინარიის მართველობაში უჩივლა. რეკტორმა წინადადება მისცა ლაღიაშვილს, რათა გასვლის თხოვნა შეეტანა. თხოვნის თანახმად ლაღიაშვილი დათხოვნილ იქნა 13 მარტს და ყოფა-ქცევის ნიშანი მოწმობაში დაუსვეს 4 (ოთხი). ამის შემდეგ ლაღიაშვილმა ინსპექტორს სტეფანოვს მიმართა და სთხოვა, რომ წართმეული დღიური მომეცითო და რექტორს კიდევ რაღაც წიგნებსა სთხოვდა. უკანასკნელად, 10 დღის წინად მკვლელობისა, ლაღიაშვილი კიდევ მისულა სტეფანოვთან და დამუქრებია მას და რექტორს. ეს ამბავი კვლავ შეატყობინა სტეფანოვმა რექტორს და გააფრთხილა, მაგრამ, საუბედუროთ, ამ გაფრთხილებაზე ყურადღება არ იქნა მიქცეული“.

---

[1]) ლაღიაშვილი ყველა თავის რვეულებს ამ ეპიგრაფიას აწერდა. ინსპექტორი სტეფანოვიც ლაღიაშვილის წინააღმდეგ ხშირათ იმეორებდა: ლაღიაშვილი ბერანჟეს კითხულობს და მისი ნაწერებით მოწაფეებს მირყვნისოო“.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამასთანავე ინსპექტორმა სტეფანოვმა წარუდგინა გამომძიებელს ლაღიაშვილისაგან ჩამორთმეული „დღიური“. ეს დღიური გამომძიებელს თფილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლისათვის უჩვენებია, ხოლო მას დღიური საქმეში არ ჩაუთავაზ და არ განუხილავს. ოქმში მხოლოდ შემდეგი შენიშვნაა დღიურზე: დღიური 27 ფურცელია in guarto. ამათში 18 ფურცელი დაწერილია, ხოლო დანარჩენი სუფთა ფურცლებია. დღიურის პირველი ფურცლის მეორე გვერდზე რაღაც მცირე მხატვრობა არის წარწერით— „ყვავილი“. პირველ გვერდზე აწერია: „იოსებ ლაღიაშვილი“. რვეული რუსულ ენაზეა დაწერილი, ხოლო შიგა და შიგ ქართული სიტყვებია და რიცხვთა ნიშნები. დღიურში შემდეგ წინადადებებს შეხვდებით: „3 ოქტომბერს 1885 წელსა. სემინარიის მე-3 კლასის მოწაფეებმა დაარსეს ქართული ჟურნალი „ყვავილი“. 12-ს ოქტომბერს არც ერთმა მე-3 კლასის მოწაფემ არ წარადგინა სამოქალაქო ისტორიის თხზულება, რისთვისაც ინსპექტორმა ყოფაქცევაში ყველას თითო რიცხვი მოუკლო. „საყვარელო ძმაო დავით; გთხოვ, რომ შენი შრომა ჟურნალ „ყვავილში“ არ შესწყვიტო“. „1885 წ. ოქტომბრის 21-ს სემინარიელებმა ყიჟინა დასცეს ახალ ზედამხედველს დიმიტრი ნიკოლოზის-ძეს იმის გამო, რომ მან ჯერ ამ ლიტაღილი მოწაფეთა საწოლ ოთახებში ღამ-ღამობით“. „26-ს ოქტომბერს ქართული ენის მასწავლებელმა ეორდანიამ გამოუცხადა მოწაფეებს, რომ ამის შემდეგ დავითნს წაგაკითხებთ ხოლმე ქართულ ენაზედ, ზეპირათ შეგასწავლით საეკლესიო საგალობელსა და სხვა და სხვა იეზუიტურ საგნებსაო“. „ინსპექტორი სადილის უკან (5 საათზე) შემოდის ხოლმე კლასში, თუ ცოტა შექეფიანებულია“. „ინსპექტორის, დემურჩ-ოღლის, პირველ ჯაშუშს თინეიეს არავინ არ ეკარება, ყველა ერიდება, როგორც ქეციან ძაღლსა“. „1885 წელს 9 ნოემბერს მე მთხოვა №-მა, რომ ყოველდღე ვიაროო იმ წრეში, რომელიც სემინარიელებისაგან შესდგებაო; ამ წრეებმა უნდა აღზარდონ ახალი თაობა მტკიცე ხასიათით და კეთილგონიერებით სავსე, ნამდვილი მოღვაწენი. იოსები“. „ინსპექტორმა გაშინჯა მე-2 კლასის მოწაფენი, ერთი რვეული და ერთი ქართული წიგნი გამოართვა“. „მე-12 ფურცელზე აღწერილია ლაფლეის თხზულებიდან წერილები. ეს თხზულება ლაფლეისა რექტორმა წაართო?“ „მე, შემატავა, ჩიქვილაძე, მატაფეევი, ხასუტოვი და უზნაძე ვიყავით კრებაზე კუკიაში. იოსები“. „ამ წრეში კვირაში ორჯერ უნდა ვიაროთ, სამშაბათობით და პარასკეობით? „აღმოჩნდა, რომ რეკტორი ღამ-ღამობით დადის და მოწაფეების ყუთებში წიგნებს დაეძებს“.

„28 მაისს ხელახლად ჩვენება ჩამოართვეს დამნაშავე ლაღიაშვილს და მან აჩვენა, რომ ჯერ სემინარიაში ვცხოვრობდი, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერში 1885 წელს, როდესაც ლღიური წამართვეს და მის გამო „პანსიონიდან“ დამითხოვეს და მის მაგიერ 6 მანეთის ძლივა დამიწყეს თვეში, მე ცალკე ოთახი დავიჭირეო. 1886 წლის იანვრიდან კი გაკვეთილები ვიშოვე. ვასწავლიდი აქაური კომანდის ფელდფებელის შაპილოვის შვილებს, რომელნიც გიმნაზიაში სწავლობდნ. გასამრჯელოთ იგი ბინას და ხარჯს მაძლევდა. მათთან მე ვცხოვრობდი უკანასკნელ დრომდე. მარტში ჩემ ბინაზე მოვიდა ინსპექტორი ზედამხედველით და ჩემ წიგნებში მიპოვეს პისემსკის თხზულება: „მეორმოცე წლების მოღვაწენი“ და რვეული, რომელშიაც მე ჩემ თავგადასავალსა ვსწერდიო. მე არ ვიცი ინსპეკტორს ეს წიგნი რატომ ეურნ. „Отечественныя записки“ ეგონა და წიგნი და რვეული მომთხოვა. მე არ მივეცი და იმიტომ ძალმომრეობით სემინარიიდან გასვლის თხოვნა შემატანინეს. დამითხოვეს და ყოფაქცევის ნიშნად 4 დამისვეს. ამ ნიშნით მე არსად არ შემეძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდი მით უფრო, რომ ივნისიდან ფელდფებელთან გაკვეთილები აღარ მქონდა და სრულიად უმწეოთ ვრჩებოდინ. რამდენჯერმე მივედი რეკტორთან და ვსთხოვე, რომ გადაესწორებინა ყოფაქცევის ნიშანი 5-ზე, მაგრამ რეკტორი ყოველთვის უარს მეუბნებოდაო. ბოლოს ვსთხოვე დაებრუნებია სასულიერო სასწავლებლის მიერ მოცემული მოწმობა მაინც, მაგრამ ამაზედაც უარი მითხრაო. შეწუხებულმა რეკტორის ამგვარის მოქმედებით და ჩავარდნილმა უკიდურეს მდგომარეობაში, გადაესწყვიტე რეკტორის მოკვლა. ეს აზრი მე მომივიდა 24-ს მაისზე ორი კვირით ადრე. სწორეთ იმ ხანებში მომიხდა ვერის ხიდზე გავლაო. იქ, რომელიღაც ოსისაგან ვიყიდე ეს ხანჯალი სამ მანეთადო. ხანჯალი მაშინვე წავიღე პეტრე-პაველეს სასაფლაოზე, რომელიც აელაბარშია და დაეგმალე ბალახებშიო. ერთი კვირის წინ მკვლელობამდე მე ეკსარ. ხოსთან ვიყავ და ვსთხოვე მთავრის ადგილი, მაგრამ ამაზე ეგზარ. ხოსმა მითხრა, რომ ჯერ პრიჩედნიკათ უნდა დაჰყო რამდენიმე ხანი. ამის გამო მე დავსწერე თხოვნა პრიჩეტნიკის ადგილის შესახებ და 23-ს მაისს ხელ-ახლა მივედი ეგზარხოსთან, მაგრამ ეგზარხოსმა რაღაც მიზეზების გამო არ მიმიღოო. ეს ის თხოვნაა, რომელიც პოლიციის მოხელემ მე ჯიბეში მინახა. ამის შემდეგ მე კიდევ მივედი რეკტორთან და ვსთხოვე ყოფაქცევის ნიშანი გამოცვლა, მაგრამ კიდევ უარი მივიღეო. მაშინვე, 24-ს მაისს, დილით, წავედი სასაფლაოზე, ვიპოვე ხანჯალი და ჩამოვიკიდე ქამარზე პალტოს ქვეშ. შევედი სემინარიაში წინა კარით და მაშინვე გავეშურე რეკტორის სადგომისაკენ და იქ რეკტორის მეუღლე დავინახეო. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოვიდა თვითონ რეკტორი. მე მიმართე თხოვნა-მოწმობის შესახებ, მაგრამ ჩემს თხოვნაზე უარი განაცხადა რეკტორმა. მე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედი ოთახიდან, მაგრამ მალე კვლავ უკან დავბრუნდი იმ აზრით, რომ რეკტორმა იქნება შემიბრალოს. მაშინ რექტორი იდგა წინა ოთახის ახლოს. მე განვიმეორე ჩემი თხოვნა, მაგრამ რეკტორმა კვლავაც უარი მითხრა. მაშინ კი გამოვიდი მოთმინებიდან და ხანჯალი დავეცი რეკტორსა. რამდენჯერ შემოკვარ ხანჯალი, ან რა ალაგას, ეს მე არ მახსოვსო. არც ის მახსოვს ხელი როგორ გავიკაწრე. **ჩემი განზრახვა რეკტორის მოკვლის შესახებ არავინ არ იცოდა, რადგანაც არავისთვის არ მითქვამსო.** ინსპეკტორისაგან წარმოდგენილი დღიური სწორეთ ისაა, რომელიც ჩამომართვესო.

„ფელდფებელმა სტეფანე შაპოვალოვმა და მისმა მეუღლამ მარიამ დიმიტრის ასულმა აჩვენეს, რომ ლაღიაშვილი, რომელიც ასწავლიდა მათ ყმაწვილებს, სცხოვრობდა ძლიერ ღარიბათ. როდესაც დაითხოვეს სემინარიიდან, იგი ყველაზე უფრო ჯავრობდა ინსპექციაზე და ამბობდა, რომ იმან დამაბეზღაო. რექტორზე კი ცუდათ არასოდეს არ ულაპარაკნია. სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ იგი უფრო გულმოდგინეთ მოეკიდა სწავლას და ამბობდა, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში უნდა შევიდეო. შემდეგ გამოგვიცხადა, რომ იმ ყოფაქცევის ნიშნით, რომელიც მე მომცა სემინარიის მთავრობამ, ინსტიტუტშიაც არ მიმიღებენო და როდესაც ჩვენ ურჩიეთ, რომ სთხოვე რექტორს იქნებ გადაგისწოროსო, მან გვიპასუხა: ვსთხოვე, მაგრამ არაფერი გამოვიდაო. ჰე, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, წავალ გორს და იქ შევალ სასწავლებელში. გორის სასულიერო სასწავლებლიდან გამოვიტან მოწმობას, იქ „5“ მაქვს ყოფაქცევაში“. ამას მარიამ შაპალოვისამ დაუმატა, რომ როდესაც ლაღიაშვილმა არ მისცა წიგნი ინსპექტორს, ჩვენ ვურჩიეთ, რომ ბოდიში მოეთხოვა, მაგრამ მან გვიპასუხა: „ვითხოვე, მაგრამ ყურიც არ მათხოვეთ“.

„ბრალდებული ლაღიაშვილი, როგორც სჩანს, სხვადასხვა ცნობებიდან, არის შვილი გორის მაზრის, სოფ. ხურვალეთის მღვდლის იაკობ ლაღიაშვილისა. შვიდი წლის ყოფილა იგი, როცა მოკვდომია ჯერ დედა, შემდეგ მამა და როცა აუყვანია იგი გასაზრდელად მის ბებიას, ნინა მახარაშვილისას, რომელიც სცხოვრობდა ქ. გორში. ერთი წლის შემდეგ იგი შეიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში.

„ნინა მახარაშვილმა, მისმა შვილებმა და ნათესავებმა, აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა და მასწავლებლებმა, როგორც ეს სჩანს თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის მიერ შეკრებილ ცნობებიდან, აჩვენეს, რომ იოსებ ლაღიაშვილი იყო ძლიერ კარგი ყოფაქცევის ყმაწვილი, კარგი ხასიათისა, ჩუმი, წყნარი, პატივის მცემელი, მოშიმენი და არაფერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდში შენიშნული არ ყოფილაო. ნინა მახარაშვილისამ ამის გარდა ისიც სთქვა, რომ ჩემ ღვიძლ შვილებზე უფრო მიყვარდაო".

ოისებ ლაღიაშვილის წლოვანების შესახებ შემდეგი ცნობებია შეკრებილი: საქართველო-იმერეთის უწ. უმართებულესის სინოდის კანტორა 30 მაისს 1886 წ. 3096 №-ით იუწყება, რომ სამეგრელოს ეპარქიის, ნაჯახეფის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მეტრიკის წიგნში, 1866 წლის დაბადებულების სიაში სწერია: „დაიბადა 2-ს იანვარს, მოინათლა 10-ს იმავე წლისა იანვარში—ოისები. მისი მშობლები: მღვდელი იაკობ ლაღიაშვილი და კანონიერი ცოლი მისი კლემანცია. ამასთანავე კანტორა აცხადებს, რომ საეჭვოა ეს ცნობა, რადგანაც ამ საქმის გამოსარკვევად ჩვენ მიერ შემდეგი ცნობები იყო შეგროვილი: 1) სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის იაკობ ლაღიაშვილის ნამსახურობის აღწერილობის პირი 1865—66 წლისა. ამ აღწერილობაში სწერია: „ცოლიანია, ჰყავს შვილი ოისები, რომელიც დედმამასთან ცხოვრობს." 2) მღვდლად კურთხევის ღრამოტაში, რომელიც მასწავლებელს იაკობ ლაღიაშვილს 30 სექტემბერს 1866 წელს მიუღია, ნამდვილში სწერია: „ერთი წლის შვილი ოისები ყავს." ამავე ღრამოტაზე ეგზარხოსის ევსევის ხელთაა მიწერილი, რომლიდაც სჩანს, რომ იაკობ ლაღიაშვილი 13 ოქტომბერს არის მღვდლათ ნაკურთხი. 3) საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის 1865 წლის გადაწყვეტილებით სჩანს: „წინად მასწავლებლისა, დღეს მღვდელის იაკობ ლაღიაშვილის და მღვდლის თეოდორე დანილოვის ქალის კლემანციას დაქორწინება, როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, ნამდვილი ყოფილა და მომხდარა 27 აპრილს 1864 წელს." „ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მღვდელს იაკობ ლაღიაშვილსა და მის მეუღლის კლემენციას დაბადებიათ 2-ს იანვარს შვილი ოისები. თვით ოისები აჩვენებს, რომ 19 წლისა ვარო."

„ყველა იმის ძალით, რაც ზემოდ მოხსენებულია, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამორიცხული მღვდლის შვილი ოისებ ლაღიაშვილი სამხედრო სამართალში ეძლევა და ბრალდება, რომ იმის შემდეგ, როდესაც სემინარიის რექტორმა რამდენჯერმე უარი უთხრა ლაღიაშვილს მოწმობაში ნიშანი 4-ს 5-ზე გადაესწორებინა და აგრეთვე არ მისცა გორის სასულიერო სასწავლებლის მოწმობა, რომელიც სემინარიაში ინახებოდა, ლაღიაშვილმა განიზრახა რექტორის დეკანოზ ᲗᲐ. ჩუდეცკის მოკვლა. ამ განზრახვით 24 მაისს 1886 წელს ლაღიაშვილი მივიდა რექტორთან, დაუწყო მარტო ლაპარაკი და ამ დროს ხანჯლით მძიმეთ დასჭრა იგი. მეტადრე მძიმე ჭრილობა ქონდა მუცელში და ამ ჭრილობის გამო დეკანოზი ჩუდეცკი გარდაიცვალა. მოქმედება ესე ექვემდებარება სასჯელთა წესდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის 1454 მუხ. და უმაღლესის ბრძანებით დამნაშავე პასუხის გებაში ეძლევა 279 მუხ. XXII წიგ. 1869 წ. გამოცემა მე 2—1 მუხლის მიხედვით.*

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ სასამართლომ მოუსმინა საქმის ვითარების შესახებ ბარალდებულს ლაღიაშვილს, შემდეგ კი მოწმეებს. ლაღიაშვილმა თითქმის იგივე გაიმეორა, რაც გამომძიებელთან ჭონდა ნაჩვენები. მოწმეებმაც დაადასტურეს თავიანთი ჩვენება. მხოლოდ სემინარიის ინსპექტორმა სტეფანოვმა დასძინა: „ლაღიაშვილის ბინის გაჩხრეკის და იქ აკრძალული წიგნების აღმოჩენის შესახებ მე მოვახსენე განსვენებულ სემინარიის რეკტორს. ლაღიაშვილი მისულიყო სემინარიის მოსამსახურეებთან როგორც ეს მიაბმო მოსამსახურე ჩიჩომ და ეთქვა, რომ ღმერთი არ არის, რომ ყოველივე ბუნების შექმნილია და ხელმწიფეც არ არისო. იმავე საღამოს, როცა ეს ჩაედინა, რეკტორმა შეკრიბა წევრები სემინარიის სამმართველოსი და ლაღიაშვილი თავის სურვილისამებრ დათხოვნილ იქნა სემინარიიდან. ყოფა-ქცევაში დაუსვეს 4, რომელიც ნიშნავს ძალიან კარგს. დათხოვნის მოწმობა მიეცა მაისის 2-ში. ჩემთვის არ უთხოვნია ლაღიაშვილს 4-ს 5-ზე გადასწორება და არც გორის სასწავლებლის მოწმობა. როცა ლაღიაშვილს მივეცით დათხოვნის მოწმობა მეც და ლექტორძა აღუთქვით, რომ თუ რომელიმე სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას დააპირებდა და ჩვენ მოგვთხოვდენ ცნობას, მაშინ შეგეწევით და კარგ ცნობას მივცემთ—თქო. წამოსვლისას ლაღიაშვილმა ითხოვა 4 მან. 50 კ. თავის სოფელში წასასვლელად. მე ფული მივეცი, მაგრამ იგი ისევ თბილისში დარჩა. დათხოვნის შემდეგ ლაღიაშვილი რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან და სულ ღღიურს თხოულობდა. სასულიერო სასწავლებლიდან მიცემულ მოწმობაზე მას ჩემთან არა უთქვამს-რა. თუნდაც ეთქვა, არ შეიძლებოდა მისი მიცემა თანახმად სემინარიის წესდების და უწმინდესი სინოდის განკარგულებისა, რადგანაც იგი სემინარიის მე-3 კლასის მოწაფე იყო. რეკტორსაც თავის თავად არა შეეძლო გადაესწორებინა ნიშანი 4 ყოფაქცევაში 5-ზე.“

სამხედრო ბრალმდებლის ამხანაგმა ორნატსკი თავის სიტყვას იწყებს ლაღიაშვილის სიტყვებით: „მიეწყოს თვითეულს ღირსებისამებრ“, რომელიც რეკტორის ჩუდეიკის სახელზე შავად დაწერილ თხოვნის მეორე გვერდზე იყო ლაღიაშვილის მიერ მიწერილი. შემდეგ ეხება საქმის შესახებ საბუთებს და ამბობს, რომ „საქმე ერთობ ცხადია უფრო იმიტომ, რომ მკვლელი იქვე შეიპყრეს, ამიტომ ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არისო“.

ბრალმდებელი უარყოფს იმ მიზეზებს, რომელნიც ლაღიაშვილმა მოიყვანა თავის გასამართლებლად ჩუდეიკის მკვლელობის გამო. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ეხება ლაღიაშვილის გამორიცხვას ჯერ სახელმწიფო ხარჯიდან და შემდეგ სემინარიიდანაც ამბობს, რომ „ეადგილოა ჩემის მხრით ამაზე მსჯელობა, რადგან ამ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა სემინარიის მთავრობის საქმეა“-ო.

შემდეგ ეხება იმ გარემოებას, რომ ლაღიაშვილს გამორიცხვის შემდეგ მოუხდებოდა ეფიქრნა თავის თავზე. ლუკმა პურზე და ინსპაკტორის სტეფანოვის ჩვენების ძალით ბრალმდებული ამტკიცებს: „ლაღიაშვილისათვის საჭირო არ იყო, რომ ის თავგამოდებით თხოულობდა ყოფაქცევაში 4-ის 5-ზე გადასწორებას, რადგანაც 4—ძალიან კარგს ნიშნავსო?

„ჩვენება ლაღიაშვილისა, ვითომც ის 16-ჯერ მივიდა რეკტორთან სათხოვნელად, სრულიად უმართლოა, რადგანაც ხშირის მსვლელობით თავს მოაბეზრებდა და მაისის 24-ში აღარ მიიღებდა მას რეკტორიო“. „ლაღიაშვილის ლაპარაკი იმაზე, ვითომ იმას ინსტიტუტში არ მიიღებდენ 4-ით ყოფაქცევაში ერთობ საეჭვოა. „ლაღიაშვილს ქონდა განზრახვა წასულიყო გორში ბებიასთან, მაგრამ ეს არ აღასრულა, როგორც არ აღასრულა, სახელმწიფო, ან კერძო სამსახურშიო“.

ყველა აქედან ბრალმდებელს ის დასკვნა გამოყავს, რომ „ლაღიაშვილი სრულიადაც არა ყოფილა ისეთ განწირულს მდგომარეობაში, რომ ჩაედინა ასეთი საშინელი მკვლელობა“.

მას არ მიაჩნია სიმართლეთ არც ის განცხადება ბრალდებულისა, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა აღელვების ჟამს.

შემდეგ ადარებს რეკტორის ცოლის და მანქელეების ჩვენებას ლაღიაშვილის განცხადებასთან ჩუდეცკისთან საუბრის შესახებ და მიუთითებს სასამართლოს ამ სხვადასხვაობაზე.

„ხანჯალიო, ამბობს ბრალმდებელი, შემთხვევით არ ჩაეარდნია ხელში ლაღიაშვილს. მან იგი განზრახ შეიძინა“-ო.

დასასრულ ბრალმდებელი აცხადებს, რომ „ლაღიაშვილი მაისის 24-ს მივიდა დეკანოზ ჩუდეცკისთან წინათ გადაწყვეტილის ნიშნით, რათა რეკტორი მოეკლა“-ო.

ბრალმდებელის აზრით ლაღიაშვილის საქციელი ექვემდებარება 1452 მუხ. დასჯათა წესდ. და უმაღლესის ბრძანების ძალით, რომელიც ამ საქმის გამო მიღებულია, ექვემდებარება 279 მუხ. სამხედ. დასჯის წესდ. ე. ი. ლაღიაშვილი სიკვდილით უნდა დაისაჯოსო, მაგრამ მცირე წლოვანების გამო ბრალდებულისა ეს კანონი წესდებისა უნდა შემსუბუქდესო.

გაარჩია-რა და შეადარა ყოველნაირი ცნობანი ლაღიაშვილის წლოვანებისა გამო, შეიწყნარა, რომ ლაღიაშვილი ნამდვილ 1866 წლის 2-ს იანვარს არის დაბადებული. ამიტომ ლაპარაკობს სასჯელის შე-

მსუბუქებაზე და ადარებს-რა სამხედრო წესდების მე-80-ცე მუხლს დასჯ. წესდ. 139 მუხლთან და მასთან ხელმძღვანელობს-რა უმაღლესის სამხედრო სასამართლოს 1870 წლის № 40-ს განაჩენით, მოითხოვს, რომ სასჯელად ოც წლით კატორგაში მუშაობაზე ნაკლების მიცემა არ შეიძლებაო.

ნაფიცი ვექილი ტურკევიჩი, ლაღიაშვილის დამცველი, ამტკიცებს თავის სიტყვაში, რომ ლაღიაშვილი გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ ვეღარსად შევიდა და მას შიმშილით სიკვდილი მოელოდაო.

მოწმეების ჩვენებიდან ასურათებს ლაღიაშვილის მდგომარეობას, მის ხასიათს და ამბობს, რომ „ლაღიაშვილი საბრალო კაცია. ოც წელიწადს კატორღაში გაგზავნა არ მიაჩნია მას ლაღიაშვილის დანაშაულის შესაბამისათ და ამიტომ სთხოვს სასამარლოს შუამდგომლობას ხელმწიფე იმპერატორის წინაშე სასჯელის შემსუბუქების შესახებ, რათა ოცი წლის კატორღა შეეცვალოს ლაღიაშვილს ციმბირში სამუდამო გადასახლებაზე.

სასამართლო საღამოს 8½ საათზე გავიდა და 10 საათზე და 15 წუთზე გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ლაღიაშვილს მიესაჯა 20 წელიწადი მძიმე მუშაობა. ლაღიაშვილს უფლება ეძლეოდა განესაჩივრებია სასამართლოს განაჩენი მეფის სახელზე ორი კვირის განმავლობაში.

ლაღიაშვილმა მეფის თხოვნა-ვედრებაზე უარი განაცხადა, სამხედრო სასამართლოს განაჩენი არ განასაჩივრა და ამიტომ განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ამნაირად ეგზარხოსის და მთავარმართებლის იმედები პროკურატურამ და ყანდარმერიამ ვერ გაამართლა. თფილისის სასულიერო სემინარიაში „ჩაბუდებულმა კრამოლნიკებმა“ სასჯელს თავი დაიხწიეს და ჩუდეკის მკვლელობამ მარტო ლაღიაშვილი იმსხვერპლა.

განრისხდა ეგზარხოსი პავლე. მან დაივიწყა არამც თუ ქრისტიანული „მოყვასის სიყვარული“, არამედ ელემენტარული სამართლიანობაც კი და რექტორის მკვლელობის გამო საერთოდ ქართველების წინააღმდეგ გაიღაშქრა.

ჩუდეკის გასვენების დროს მან ცხარე და გესლით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა, სადაც, სხვათა შორის, დასწყევლა და შეაჩვენა ის ერი, რომლის წრიდანაც რექტორი ჩუდეკის მკვლელი გამოვიდა.

ეგზარხოსის ასეთი ბალაშქრება ქართველი საზოგადოების საბრძოლველად გამოწვევა იყო. ეს იყო რექტორის მკვლელობის გამო ქართველობისაგან მსხვერპლის მოთხოვნა.

ქართველობა აღაშფოთა ეგზარხოსის ასე შეუფერებელმა და ზიზღით აღსავსე გამოსვლამ და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა წინაამძღოლის დიმიტრი ყიფიანის პირით ხმა აღიმაღლა და პროტესტი გამოუცხადა ეგზარხოსს:

დიმიტრი ყიფიანი სწერს ეგზარხოსს:

„თქვენო მაღალ სამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსთ-მთავრული მოწყალება და თუ გატაცებული, დაუჯერებელი ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან“.

„ოგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდველეს სიტყვების გამო, რომელიც ვითომ წარმოსთქვით“.

„თუ ყველა, ეს უფალო, მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემრაცხმყოფელი შეურაცხყოფილ ქვეყნიდგან დაუყონებლივ იქნას გაყვანილი. ამას მოგახსენებთ ფრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან აიცილოს ქვეყანას რაიმე ახალი შეცოდება.

„ხოლო თუ ყოველივე ეს ტყვილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსთმთავრული ხელით. თქვენი მაღალ სამღვდელოების მორჩილი მსახური **დიმიტრი ყიფიანი**. 8 ივნისი 1886 წ. ს. მიხაილოვი.“

ამნაირად ეგზარხოსს პავლეს სურვილი შეუსრულდა. „პატრიოტებმა“ მისგან გადასროლილი ხელთათმანი აიღეს.

დიმიტრი ყიფიანი თავის დროზე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, მონაწილე შემთქმულებისა მთავრობის წინააღმდეგ 1832 წ. და შემდეგ მებაირახტრე იმ ქართველ ჩინოსანთა ჯგუფისა, რომელსაც დროშაზე ეწერა: „ხელმწიფისადმი ერთგული ქვეშევრდომობა და მამულისადმი გულმოდგინება“. ამ ჩინოსან მაღალ ფრიდან გამოსულ ქართველ მოღვაწეებს ეგონათ და ღრმათ სწამდათ, რომ ხელმწიფისადმი ერთგულება მისცემდა მათ საშუალებას ენის, კულტურის შენარჩუნებისას და საქართველოს აყვავებისათვის. ამიტომ, როდესაც მთავრობის წარმომადგენელმა, საქართველოს ეგზარხოსის სახით, ქართველი ერი ასე უდიერათ მოიხსენია და შეაჩვენა, ამ ჯგუფის ბელადმა, როგორც „ხელმწიფის ერთგულმა ქვეშერდომმა“, ვერ მოითმინა და მას პასუხი მოსთხოვა.

ეგზარხოსმა პავლემ დიმიტრი ყიფიანს მკვახე და შეუფერებელ კილოთი გასცა პასუხი.

ის სწერს ყიფიანს:

„მოწყალეო ხელმწიფეე, დიმიტრი ივანეს-ძეე! თქვენი ალმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეეკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ № 199, [1]) რაც შეეხება უგნურ (нелепых) ხმებს, რომელსაც, თქვენ წერილში იხსენიებთ, ჩემი ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება. თქვენი ალმატებულების მორჩილი მსახური **პავლე**, არქიეპისკოპოზი, საქართველოს ეგზარხოსი. 9 ივნისი 1886 წ.“

ეს მიწერ-მოწერა დასრულდა მით, რომ 73 წლის მოხუცს თავად-აზნაურთა წინამძღოლობის თანამდებობა ჩამოართვეს და საცხოვრებლად სტავროპოლში გაგზავნეს. აქ მას მიუჩინეს მოსყიდული ბნელი პირები და ერთი წლის შემდეგ წუთისოფელს გამოასალმეს მთავრობის მიერ დაქირავებულმა აგენტებმა.

1887 წლის „ივერიის“ 34—№-ში ვკითხულობთ: „დიმიტრი ყიფიანი მოკლეს ღამე 24 ოქტომბერს მძინარე. თავში დაუციათ სასწორის ქვა“. „გამოძიება ერთ საოცარ ამბავს მიადგა... დიმიტრისთან ძლიერ ხშირად დაიარებოდა უკანასკნელ დროს ერთი საეჭვო კაცი, ნაცრის ფერი პალტო ეცვა მას. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრის და მოსვენებას არ აძლევდა მოხუცსა. მკვლელობის შემდეგ ნაცრის ფერი პალტო სადღაც გაქრა“.

სწორედ ეს „ნაცრის ფერი პალტო“ გახლდათ მთავრობისაგან მოსყიდული მკვლელი ყიფიანისა. დიმიტრი ყიფიანი, ეს „ხელმწიფის, ერთეული ქვეშევრდომი“ და ჩინოსანი მაღალი წრის მოხელეც კი იმდენად საეჭვო და მავნებელ პირათ მიაჩნდათ რუსიფიკატორებს, რომ არ დაინდვეს და „ოხრანკის“ აგენტებს მოაკვლევინეს.

ასე ტრაგიკულათ დაიღუპა დიმიტრი ყიფიანი. იგი გახდა მსხვერპლი იმ პოლიტიკურ მკვლელობისა, რომელსაც ადგილი ქონდა სემინარიაში.

მაგრამ ჩუდეეკის მკვლელობას სხვა მსხვერპლიც მოყვა. ამ მკვლელობის გამო დაინიშნა სინოდის რევიზია. რევიზიამ თუმცა ბევრი რამ უწესობა და მოწაფეების შევიწროვება აღმოაჩინა, მაგრამ ყველა ეს მიაფუჩეჩა და რისხვა ისევ მოწაფეებს დაატყდა თავს. მრავალი მოწაფე დაითხოვეს. ზოგს მათგანს რუსეთის სემინარიებში უკრეს თავი და მათ ადგილას რუსეთიდან გადმოიყვანეს მოწაფენი. რუსიფიკატორული პოლიტიკა და ქართული ენის დევნა კი რევი-

[1]) „კავკაზის“ 199 №-ში, რასაკვირველია, გამოტოვებულია ადგილი ქართველი ერის წყევა-კრულვის შესახებ.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიის მიერ მოწონებულ იქნა. ამნაირად, აღდგენილ იქნა სასულიერო სემინარიაში „წესიერება“ და განდევნილი იქიდან „კრამოლა“. რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა. გარედან სემინარიაში სიარული მოისპო, სასწავლებელი ჩაკეტეს და მონასტერს დაამხგავსეს.

ამნაირ პოლიტიკამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო და ჩვენ მოწამენი გავხდით 1893—94 წლებში სემინარიის მოწაფეთა საერთო „ბუნტისა“. სემინარიის მოწაფენი გამოვიდენ, როგორც ერთი კაცი. უარი სთქვეს სწავლაზე, აირჩეს დელეგაცია და წაუყენეს ეგზარხოსს წერილობითი მოთხოვნილებანი, რომელიც რამდენათაც ვიცით შედგენილი იყო ამბ. მიხა ცხაკაიას მიერ სემინარიის მოწაფეთა თხოვნით.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ხელთ ამ მოთხოვნილების დედანი, მასთან ჩვენს საგანს არ შეადგენს ამ გამოსვლის ამბის მოთხრობა. იმედია, ვინც ამ გამოსვლაში მონაწილეობას ღებულობდა, ის დაგვიტოვებს ამ ამბავს. ჩვენ კი ისევ ლაღიაშვილს დავუბრუნდებით.

მე და ჩემი ამხანაგები ტანდარმერიამ ერთხანს გვაწამა ციხეში. ეძებდენ იმ ბინებს, სადაც წრის მუშაობა სწარმოებდა. ეძებდენ საიდუმლო ბიბლიოთეკას და სხ. რომ ვერას გახდენ, ყველანი ჩვენ-ჩვენ სამშობლო სოფლებში გადაგვაგზავნეს პოლიციის მხედველობის ქვეშ.

ლაღიაშვილის კატორღაში გაგზავნის წინ მე გამოვეპარე ადგილობრივ პოლიციას სოფლიდან, ჩამოვედი თფილისში და ვინახულე ლაღიაშვილი. იგი სრულიად დამშვიდებული და კმაყოფილი იყო თავის ბედისა. იგი გაგზავნეს სახალინის მადნებში სამუშაოთ.

ამ დღიდან კარგა ხანმა გაიარა, რომ ლაღიაშვილის არა ისმოდა-რა. რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდა თბილისში ლაღიაშვილის წერილი ამერიკიდან.

ამ წერილიდან გავიგეთ, რომ ლაღიაშვილს სახალინში თავის მშვიდი და პატიოსანი ხასიათის წყალობით ციხის უფროსის ყურადღება დაემსახურებია და მიეწვია იგი მას თავის შვილების მასწავლებლად. უფროსი იმდენათ ენდობოდა ლაღიაშვილს, რომ მას არ უშლიდენ სეირნობას და მთელი დღეები თავისუფლად დასეირნობდა. ლაღიაშვილი თურმე დაუმეგობრდა ერთ რუს სტუდენტს და გადასწყვიტეს ორთავემ გაქცევა. ერთ დღეს ჩაჯდენ ნავში და შეაცურეს ოკეანეში. ერთი კვირის გაშლილ ზღვაში ცურვის შემდეგ, ნავი შეამჩნია ამერიკის გემმა, მიუახლოვდა მას, მიიღო შიგ მჯდომი მგზავრები და ამერიკაში წაიყვანა.

ამერიკაში ლაღიაშვილმა დაიწყო მუშაობა ერთ ფერმაში. მალე შეისწავლა ენა იმდენათ, რომ უნივერსიტეტში ლექციას ისმენდა. სახელი და გვარი გამოიცვალა, დაირქვა „ჯოზეფ ლანტე“ და ჩაეწერა ამერიკის მოქალაქედ.

ეს ამბავი გაიგეს სემინარიელებმა და მეექვსე კლასში, როდესაც რეკტორმა დატუქსა მოწაფენი, მოწაფეებმა თავის მხრით ლაღიაშვილს ამბავი უამბეს, რომ ამით მოეხდინათ გავლენა რეკტორზე. რეკტორმა თავის მხრით ეს ამბავი აცნობა სადაც ჯერ არს.

რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ მოვიდა ლაღიაშვილის წერილი თბილისში. ლაღიაშვილი იწერებოდა, რომ დამდევენ დასაჭერად, დღე ვერ ვჩნდები ქუჩაში, მხოლოდ ღამ-ღამობით დავდივარ ქ. ბოსტონის ბნელ ქუჩებშიო.

ამის შემდეგ მე ლაღიაშვილის შესახებ არაფერი გამიგია.

თუ ხმებს დაუჯერებთ, იგი ახლაც ცოცხალი უნდა იყოს ამერიკაში და მიწერ-მოწერა ქონდეს თავის ძმასთან, რომელსაც ბაქოში სავაჭრო აქვს.

ვათავებ რა ამ პატარა შენიშვნას ლაღიაშვილის მიერ სემინარიის რეკტორის ჩუდეცკის მკვლელობის შესახებ, ვიმედოვნებ, რომ, რაც ჩვენ დაგვავიწყდა და გამოგვრჩა, შეავსებენ ის ამხანაგები, რომელთაც ბედმა არგუნა სასულიერო სემინარიაში იმ ხანებში ცხოვრება და რუსის ბერების მზრუნველობა.

ვიმეორებთ, რევოლიუციის ისტორიის შესადგენათ თფილისის და ქუთაისის სემინარია, იქ წარმოებული პოლიტიკა, ანტი-პედაგოგიური და მოწაფეთა დამმახინჯებელი სწავლის წესების შესწავლა იმდენათ არის საჭირო და საინტერესო, რამდენათ იგინი ხელს უწყობდა და რევოლიუციის ბანაკში ერეკებოდა მოსწავლეთა უფრო ნიჭიერს, გულადს და გულწრფელს ნაწილს.

15 მაისი, 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება III. პროვოკატორები.

ჟანდარმერიის „საიდუმლო თანამშრომელნი"

(საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის მასალებიდან).

როგორც ვიცით, ჟანდარმერიისა და ოხრანის განყოფილებებთან იმ პირებს გარდა, რომელნიც აშკარად მსახურებდენ, მსახურებდენ აგრეთვე „საიდუმლო აგენტები".

ფილერები ანუ როგორც მათ რევოლიუციონერები ეძახდენ, შპიკები, ასრულებდენ „გარეგანი მეთვალყურის" როლს, მათ ანდობდენ ამა თუ იმ რევოლიუციონერის თვალყურის დევნებას,—და შპიკიც ყოველდღიურად იწერდა თავის „დღიურში" სად წავიდოდა მის მეთვალყურობის ქვეშ მყოფი პირი, სად რამდენ ხანს დარჩებოდა და სხ. ამ დღიურის მიხედვით შემდეგ მუშაობდა ჟანდარმერია. საიდუმლო მიწერ-მოწერის საწარმოებლათ ყველა დიდ ქალაქებში მოწყობილი ჰქონდათ ცალკე ბინები, მაგალითად, ამიერ-კავკასიაში ასეთი მისამართებით—

ქ. ტფილისი:

1) ოლღას ქ. სახ. № 41, ივანე პეტრესძე ტარაშკევიჩს.

2) პეტრე დიდის ქ. 19 სახლი არამანცისა, იოსებ ვიკენტისძე ტავრიდოვიჩს.

3. პეტრე დიდის ქ. სახ. № 18, ბინა 5—თეოდორე ივანესძე როშჩინს.

ქ. ბაქო:

საგუბერნიო და სპარსეთის ქ. კუთხე № 14/39 გრიგოლ ლეონტიძე როდიონოვს.

ქ. ბათუმი:

მარინეს პროსპ. სახ. 56 კარპ. აბრამიძე ანტონოვს.

ქ. ერევანი:

1) ბაზრის ქ. სახ. № 27 ნიკოლოზ სიმონისძე უსტინსკის.

2) ბაზრის ქ. 27 ნიკოლოზ პეტრესძე ლებედევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ალექსანდროპოლი:

ბებუთოვის ქ. სახ. დრამპოვისა ლეონიდ სიმონისძე სისოევს.

ქ. ყარსი:

ნაბერეჟნაია, სახ. ჩალტიკოვისა, ალექსანდრე ალექსანდრესძე ვლოსოვს.

ქ. ქუთაისი:

ჭავჭავაძის ქ. სახ. რაჟდენ როშაქიძისა, სიმონ სტეფანესძე ნოსკოვს.

უფრო დიდს როლს ასრულებდენ „პოლიტიკური მაძებრობის“ საქმეში საიდუმლო თანამშრომლები ანუ, რევოლიუციონერების ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, პროვოკატორები.

ამათ „ოხრანკა“ გზავნიდა წევრებათ რევოლიუციონურ პარტიებში, ასეთი მიგზავნილი კაცი იმსახურებდა პარტიის წევრთა ნდობას და შემდეგ ორგანიზაციის შესახებ ცნობებს აწვდიდა ჟანდარმერიას. ხშირად ასეთ საპროვოკატორო პირები „ოხრანკას“ აჰყავდა პოლიტიკურ ტუსაღებიდანაც. ხშირი იყო შემთხვევა, როცა პოლიტიკურ ტუსაღებში მოხვდებოდენ მხდალნი ან ანგარების მოყვარულნი. აი სწორედ ესენი დაშინებით თუ მოსყიდვითი გადაჰყავდა ჟანდარმერიას თავის მხარეზე.

მაგრამ ხშირად ჟანდარმერიის ცდა ამ მხრით არც იმდენათ ნაყოფიერი ყოფილა.

„თანამშრომლის“ ძებნაში.

აი ერთი საბუთი იმისი, თუ როგორ ეძებდა ჟანდარმერია „თანამშრომელს“ რევოლიუციონერებში:

„ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი 1913 წლის დეკემბრის 7 თარიღით (№ 95) სწერს „მის მაღალ კეთილშობილებას“ ა. ფ. ბონდარენკოს,—თავის თანაშემწეს ბათუმის ოლქში. პირადით, **სრულიად საიდუმლოთ.**

„მოწყალეო ხელმწიფევ ალექსეი ფეოკტისტისძევ!

ჩქვენ მიერ აღძრული მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ ნ. ლ. ჭუმბურიძე მონაწილეობას ღებულობდა ამიერ-კავკასიის სოც. დემ. საოლქო კონფერენციაზე როგორც ფოთის დელეგატი. მაშასადამე, მან უნდა იცოდეს ხსენებული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ყველაფერი.

„მხედველობაში მისაღებია მისი ხასიათის ზოგიერთი განსაკუთრებული თვისებები და ნივთიერი მდგომარეობა. ამიტომ საფუძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მაქვს ვიფიქრო, რომ შესაძლოა მისი ჩამბა სააგენტურო მუშაობაში. ამიტომ იხმარეთ ყოველგვარი საშვალება, რომ მასზე იმოქმედოთ ამ მიმართულებით. გააფრთხილეთ, რომ მხოლოდ აშკარა, გულახდილი ჩვენება დაიხსნის მას ციმბირის შორეულ ადგილებში გადასახლებისაგან. თქვენი პატივისმცემელი **კ. ტრესკინი.**

პასუხი:

კ. კ. ტრესკინს,—ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს. პირადათ, სრულიად საიდუმლოთ (31 დეკემბერი 1913 წ. № 3801/95)

მოწყალეო ხელმწიფევ, კონსტანტინ კონსტანტინესძე.

„ყოველი ზომა მივიღე, რომ ნიკოლოზ ჭუმბურიძე ჩამება სააგენტურო მუშაობაში, რის შესახებ მასთან ფოთის ციხეში ცალკე დიდხანს ვაწარმოვე მოლაპარაკება, 30 დეკემბერს, მაგრამ სასურველს შედეგს ვერ მივაღწიე.

„როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ჭუმბურიძე უარყოფდა თავის დანაშაულს.

„დაკითხვის დროს ყურადღება მივაქცევ; იმ გარემოებას, რომ ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს ცნობის თანახმად (რაც მიწერ-მოწერაში იმყოფება) მას აკრძალული აქვს კავკასიის საზღვრებში ცხოვრება. მან კი განაცხადა, რომ ამის შესახებ მე არაფერი ვიცი. თქვენი პატივის მცემელი, მორჩილი მსახური

ა. ბონდარენკო.

არა საიმედო თანამშრომლები.

პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი 1912 წლის 30 სექტემბრის თარიღით ცირკულიარულად იუწყება, რომ

1) „ამიერ-კავკასიის რკინიგზის საპოლიციო სამმართველოს საიდუმლო თანამშრომელი „გალაქტიონის“ სახელწოდებით, რომელიც შედიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვიდე სარაიონო კომიტეტის შემადგენლობაში, ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, პატარა ონის მცხოვრები **გალაქტიონ ფილიპესძე მახხარაშვილი** არ არის საიმედო, ვინაიდან პროვოკაციის საშვალებით აპირობს მუშაობას.

იგივე ვიცე დირექტორი 1913 წელს 9 ივნისის თარიღით (№ 100, 800) იუწყება, რომ

2) „ქუთაისის გუბერნიის შოპრაპნის მაზრის სოფ. სიკმაურის მცხოვრები თავადი **პოლიევკტ ვლადიმერისძე იაშვილი**, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლოთ მსახურებს „путевой“ სახელწოდებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჟანდარმთა საპოლიციო განყოფილების უფროსთან პოლიტიკურ მაძებრობის საქმეში გამოდგა უსარგებლო. ჩამოთვლილია მისი ნიშნები.

3) ხარკოვის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოსთან მყოფი საიდუმლო თანამშრომელი სახელწოდებით „ключ“, რომელსაც დავალებული აქვს სომხური ორგანიზაციებისათვის და უმაღლეს სასწაველებლის მოწაფეთა თვალყურის დევნება, თფილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის მცხოვრები **აშოტ ავეტისძე მეგრაბიანცი** აღმოჩნდა არა საიმედო როგორც შანტაჟის და სიცრუის მიდრეკილების ადამიანი.

4) ქუთაისის ჟანდარმთა საპოლიციო ამიერ-კავკასიის რკინის გზის განყოფილების საიდუმლო თანამშრომელი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში „სკრიპინსკის“ ფსევდონიმით, შორაპნის მაზრის გლები **ზალიკო (ვალერიან) ალექსისძე თუთბერიძე** აღმოჩნდა ნდობის მხრით არა საიმედო.

5) ჯერ ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს და შემდეგ ქუთაისის სამმართველოს საიდუმლო თანამშრომელი „სიმონ“-ის სახელწოდებით, **აზნაური ნიკოლოზ ირაკლისძე მხეიძე** აღმოჩნდა არა საიმედო, ვინაიდან მიდრეკილებას იჩენს პროვოკაციისადმი.

6) ქ. დონის როსტოვის მაძებარ პუნქტში მყოფი საიდუმლო თანამშრომელი „ბალშევიკურ“ ფრაქციაში „მიხაილოვის“ სახელწოდებით, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი **პეტრე პეტრესძე ისკონიცკი**, რომელსაც მეტად სერიოზული პარტიული კავშირი აქვს ორგანიზაციებთან, აღმოჩნდა ალკოგოლიკი, რის გამო სრულიად არ შეჰფერის მას იყოს საიდუმლო თანამშრომელი.

მაძებარი პოლიციის აგენტ-შანტაჟისტი.

პოლიციის დეპერტამენტის ვიცე დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი 1909 წლის ნოემბრის 9-ს თარიღით (№ 138768) ციოკულიარულად სწერს:

„წარსული ოქტომბრის გასულს ტფილისიდან მოსკოვს გაემგზავრა პატიმრობისაგან განთავისუფლებული, კავკასიის საზღვრებიდან სამი წლის ვადით გაძევებული. ტფილისის მცხოვრები **ევგენია ოსეპის ასული მელიქ-შახნაზაროვისა**, რომელმაც განაცხადა, რომ საცხოვრებელ ადგილად ირჩევს მოსკოვის გუბერნიის სოფ. ბოროდინოს. ვიდრე დაიპატიმრებდენ, შახნაზაროვისა ითვლებოდა მაძებარი პოლიციის აგენტად და ეწოდა შატაჟს, მაჭანკლობას, — აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირი ჰქონდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან, რომელთაც შველოდა იარაღის შეძენაში. როცა გასულ წელს ის შეიპყრეს, მან ტფილისის დაცვის განყოფილებას შესთავაზა სამსახური საიდუმლო თანამშრომლისა დაშნაკცუტუნის პარტიაში, მაგრამ ჩქარა მექრთამეობისათვის შეპყრობილ იქნა. განთავისუფლების შემდეგ ასეთივე სამსახური კვლავ შესთავაზა შახნაზაროვის ქალმა, რაც დაცვის განყოფილების უფროსმა, მოლაპარაკებისა და რამდენჯერმე მასთან შეხვედრის შემდეგ უარყო. ევგენია შახნაზაროვის უფროსი ქალი იზაბელა ერთ დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ტფილისის ორგანიზაციაში იმყოფებოდა.

აგენტების მიერ შეკრებილ ცნობებით განთავისუფლების შემდეგ შახნაზაროვისამ იშოვნა სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და დაშნაკცუტიუნის „იავკები", რომელთაც კაპსიულში შეხვეულთ თან ატარებს. ამას გარდა სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას მან აცნობა სახელი და გვარი, აგრეთვე ნიშნები ამიერ-კავკასიის და ტფილისის დაცვის განყოფილებათა აფიცრებისა და მოსამსახურეთა. ამასთან პროვოკაციულად თავი სოციალისტ-რევოლიუციონური პარტიის წევრად აღიარაა; ამის შედეგი ის არის, რომ ამ ჟამად სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიაში სიკითხი არის დაყენებული ქანდარმთა სამმართველოს განყოფილების ერთ-ერთი მოხელის მოკვლის შესახებ. შახნაზაროვის ქალს იმედი აქვს, რომ მოსკოვში ის ფულით დახმარებას მიიღებს სომეხ-მდიდრების ჯამგაროვის, საარბეკოვისა და სხ. და შემდეგ ამ პირთა დახმარებით მოეწყობა მოსკოვში და განაგრძობს თავის ბოროტ-მოქმედებას."

ყველა ამის შემდეგ პოლიტიკურ საქმეთა ძიების ხელმძღვანელთ ეძლევათ წინადადება ფრთხილად მოიქცნენ, უკეთუ შახნაზაროვის ქალი მათ სამსახურს შესთავაზებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლოდ.

„საიდუმლო“ აგენტების შესანახად.

ანგარიში

ქუთაისის საგუბერნიო ქანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწისა ბათუმის ოლქში იმ ფულებისა, რომელიც დაიხარჯა 1912 წლის მაისში საიდუმლო აგენტების შესანახად:

მეტი სახელი	ორგანიზაცია.	რომელი დროიდან იმყოფება სამსახურში		რამდენს ღებულობს.	რამდენი მიეცა ამ თვეში	ვინ უწევს ხელმძღვ. თანამშრომელს.
		წელ.	თვე			
გოლუბოვი	სოც. დემოკრატიული	1910	მაისი	50 მ.	50 მ.	
ხუდადოვი	პანისლამიზმი	1911	თებერ.	40 „	40 „	
პორტოვოი	სოც. რევოლ.	1911	მაისი	25 „	25 „	
კანტორშჩიკი	დაშნაკცუტ. და ჰინჩაკი	„	ივლისი	40 „	40 „	
შტუჩნიკი	—	—	—	—	10 „	
	ს უ ლ				165	

კიდევ ანგარიში...

მეორე ანგარიში (1914 წ. ნოემბრის) იმავე ბათუმის ოლქის ქანდარმერიისა ასეთია:

№№	მეტი სახელი	ორგანიზაცია	რომელი დროიდან მსახურობს	რამდენს ღებულობს.	
1	პარტიული	შავი ზღვის მეზღვაურთა კავშ.	1911 წ. მაისი	60	60
2	კანტორშჩიკი	სოც. რევ. ჰინჩაკი	1911 „ ივლის.	60	60
3	მორსკოი	ფოთის ორგანიზ. რუს. ს. დ. მ. პ.	1914 „ მაისი	30	30
4	„ფაშა“	პანისლამიზმი	1914 „ თებერ.	25	25+6.50
5	შემმხვევითი მთხრობელი	ჯარის ნაწილებში	—	25	—
6	დაიხარჯა საგენტურის პუნქტის საჭიროებისათ.	—	—	—	15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ანგარიში სხვათა შორის იმით არის საყურადღებო, რომ აქ ვტყობილობთ თუ, ვინ იყო საიდუმლო თანამშრომელი „**ხუდადოვი**".

მოლა არ გამოდგა საიდუმლო აგენტად.

ამის შესახებ ბათუმის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, სრულიად საიდუმლოთ—პირადათ" 1914 წ. იანვრის 24-ს თარიღით (№ 132) ატყობინებს ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსს შემდეგს:

„პანისლამიზმის საქმეზე ჩემთან მყოფი საიდუმლო თანამშრომელი, მეტ-სახელად „**ხუდადოვი**" ნამდვილად კი მოლა კადირ ეფენდი სეიდ ემიდარ ზადე **დევიძე**, მუდმივად ბათუმში მცხოვრები, უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა პოლიტიკურ ძიების საქმეში სრულიად უსარგებლო კაცი, რასაც მოგახსენებ და გთხოვ ამორიცხულ იქნას ჩემდამი რწმუნებულ პუნქტის საიდუმლო თანამშრომელთა სიიდან. ნიშნები: 32 წლისაა, დაბალი, შავგვრემანი, პატარა ულვაშები და წვერი, ჭრელი თვალები.

ყურადღება მოწაფეთ.

1902 წლის იანვრის 14-ს თარიღით (№ 571) პოლიციის დეპარტამენტი საიდუმლო ცირკულიარით აცნობებს საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოების უფროსთ შემდეგს:

„უკანასკნელ ხანებში დაწესებულმა თვალყურის დევნამ გამოარკვია, რომ საუნივერსიტეტო ქალაქებში მომხდარ უწესოებაში მონაწილე პირები, უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც გაძევებულ იქნენ ამ ქალაქებიდან, აგრეთვე ის პირები, რომელნიც პოლიტიკურად შენიშნულნი არიან, ხშირად უახლოვდებიან ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზრდობას, აცნობენ მათ მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობაზე ახდენენ მავნე გავლენას—ამზადებენ მათ მომავალ სარევოლიუციო მოღვაწეობისათვის.

„თავის მხრით სახალხო განათლების სამინისტრო ზრუნავს დაამწესოს თვალყურის დევნება საშუალო სასწავლებელთა მოწაფეების სკოლის გარეშე ცხოვრებაზე, რათა ასე აღკვეთილ იქნას მათზე მავნე გავლენა, მაგრამ არ მოეპოვება საკმაო ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელთა კავშირი მოსწავლეებთან საზარალოა.

„ამიტომ, რათა საჭირო დახმარება აღმოეჩინოს სამოსწავლო მთავრობას სკოლის გარეშე ცხოვრების საქმის თვალყურის დევნებაში და მოსალოდნელ საფრთხის თავიდან აცილებაში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოოთ აცნობოთ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს იმ პირთა შესახებ, რომელნიც გამოძიების ქვეშ იქნებიან ფორმალურად ანდა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერ-მოწერაში იქნებიან მოხსენებულნი, როგორც ანტი-სახელმწიფოებრივ დანაშაულის მონაწილენი,—იმ შემთხვევაში, უკეთუ დასახელებული პირები ცხოვრობენ თქვენდამი რწმუნებულ რაიონში, სადაც. მოიპოვება უმაღლესი და საშვალო ვაჟთა და ქალთა სასწავლებლები

„ამასთანავე დავსძენ, რომ მისი მაღალ აღმატებულება წინადადებას აძლევს ბატონთ გუბერნატორებს, რათა მათ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აცნობონ იმ პირთა შესახებ, რომელნიც პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

თვალყურის დევნების ერთ-ერთ შედეგთაგანი.

ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს დაცვის უნტერ-ოფიცერი, გაგზავნილი ოზურგეთის მაზრაში 1905 წლის იანვრის 31-ს თარიღით (№ 10) ოზურგეთიდან „საიდუმლოთ“ აცნობებს:

„მოვახსენებ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, რომ 30 იანვარს ჩემ მიერ მიღებული ცნობების თანახმად ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში 29 ამა თვეს, მოსწავლემ, რომლის ვინაობაც გამორკვეული არ არის, ჩამოიღო ხელმწიფე იმპერატორის პორტრეტი, დადო კლასში მაგიდაზე პირ-ჩალმა და ზედ წაწერა: ვინც ამ სურათს ხელს ახლებს, ის მოკლული იქნება.—

„დავსძენ, რომ ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები ფიქრობენ გაფიცვის მოწყობას, აზრად აქვთ მიანგრ-მოანგრიონ მთელი კლასი და იკვეხნიან კიდეც, რომ ინსპექტორს მოვკლავთო.

„31 იანვარს მე მივიღე კერძო, მაგრამ სარწმუნო, შემდეგი ცნობები: იმავ სასწავლებელში დილის 9 საათზე კლასში შეიკრიბენ მოსწავლენი. მოსწავლეებს მასწავლებლებმა წინადადება მისცეს ეგალობათ სწავლის დაწყების წინ ლოცვა, მოწაფეებმა იგალობეს დაწესებული ლოცვები, და როცა უნდა ეგალობათ ლოცვა მეფისა და მამულისათვის, მოსწავლეებმა მორთეს სიცილი, ხველა, ცხინკვება და უშვერი სიტყვების წამოსროლაც იწყეს ხელმწიფე იმპერატორის და მთავრობის წინააღმდეგ (т. е. свобода Дзирс Николозе—по русски вниз Николай).

„შემდეგ სასწავლებლის შუა ადგილას გამოვიდა გურიანთის ნაწილის ბოქაულის თანაშემწის ისიდორე კვაშლის შვილი და მოწაფეებს მასწავლებლების თანადასწრებით მიმართა ხელმწიფე იმპერატორის საწინააღმდეგო სიტყვებით. ამბობდა—(ის ხელმწიფე კი არა, მგელია, ის ჩვენ სისხლსა გვწოვსო).

რასაც მოვახსენებ თქვენს მაღალკეთილშობილებას

უნტერ-ოფიცერი **რეზნიკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაუებს მოსწავლე ქალებმაც მიბაძეს.

საიდუმლოდ.

„მოვახსენებ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, რომ ოზურგეთის ქალთა საქალაქო სასწავლებელში 7 მარტს დილის 10 ს. გაიფიცენ მოწაფე ქალები. მეცადინეობის დროს კედლიდან ჩამოხსნეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის პორტრეტი, რომელსაც საძაგლათ დასცინოდენ და შეურაცყოფას აყენებდენ: ამოთხარეს თვალები, მოსჭრეს ცხვირ-პირი და საერთოდ დასცინოდენ მის უდიდებულესობას; შემდეგ ჩაამტვრიეს ფანჯრებში მინები და გაიქცნენ.

„გაფიცვის დროს ხსენებულ სასწავლებელში იმყოფებოდნენ სამეცადინოთ მღვდელი სერგი გალოგრე, სასწავლებლის უფროსი სალაყაიას ქალი, მასწავლებელი ქალები პელაგი მამულაიშვილი და კილაძე.

უნტერ-ოფიცერი **ფეოკტისტ რეზნიკოვი.**

„საიდუმლო თანამშრომლები" მასწავლებელთა შორის.

პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარი 1910 წლის თებერვლის 2-ს თარიღით (№ 105, 595) მოითხოვს ჟანდარმერიისაგან გაიჩინოს საიდუმლო თანამშრომლები მასწავლებელთა შორისაც.

„...მასწავლებლობამ უნდა იცოდეს სკოლის ცხოვრების უარყოფითი მხარეები და ჟანდარმთა თვალყურის დევნასთან ერთად მასწავლებლობა ყოველის მხრით ვალდებულია იზრუნოს, რათა დაიცვას მოსწავლე ახალგაზრდობა, რომ მასში არ განვითარდეს დამღუპველი იდეები.

„ამ შეხედულებას სავსებით იზიარებს სახალხო განათლების სამინისტროც, რომელიც უკანასკნელ ხანებში სასწავლებლებში აღმოცენებული მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციების გავრცელების გამო დიდ მნიშვნელობას ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს აძლევს. ამ მიზნით ის მოითხოვს, რათა ჟანდარმთა სამმართველომ გადასცეს სამოსწავლო მთავრობას მოსწავლეთა შესახები ყოველგვარი ცნობები, რომ ასეთი საშუალებით ჩამოშორებულ იქნას სასკოლო ცხოვრებისაგან მავნე ელემენტები...

„... და უკეთუ ამა თუ იმ სასწავლებლის მთავრობა, რომლის მოსწავლეთა შორის ფეხს იკიდებს მავნე მიმართულება, თანაგრძნობით ეკიდება თქვენს წინადადებას და საერთოდ ნდობის ღირსია, თქვენ არ უნდა დაკმაყოფილდეთ ასეთ მთავრობისათვის ზემო მოყვა-

ნილ ცირკულიარში ჩამოთვლილ ცნობების გადაცემით არა საიმედო მოწაფეებზე, არამედ უნდა შეატყობინოთ ამ საგანზე მიღებული აგენტურის ცნობებიც კი იმ საზღვრებში, რომელშიაც შესაძლებელი იქნება აგენტურის დაცვა „ჩავარდნისაგან“...

უმაღლესი და საშუალო სკოლის მოწაფენი „საიდუმლო სამსახურისათვის“.

პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარიდან № 111, 602—1913 წ. 1 მაისის თარიღით.

„... აგენტურის გზით მოწაფეთა სულიერი განწყობილების გამორკვევა იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, უკეთუ ამისთვის დაარსებულ საიდუმლო აგენტურაში შევლენ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი, რომელთაც როგორც ჰასაკის, ისე განვითარების მხრით შეუძლიათ შეგნებულათ და სერიოზულად მოეკიდონ საქმეს.

მაგრამ სულ სხვაა იმავე პოლიციის დეპარტამენტის აზრით საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზდრობა.

„...მაძებარმა დაწესებულებებმა უპირველეს ყოვლისა, რათა დაცულ იქნას საშუალო სასწავლებლები რევოლიუციონური იდეების გავლენისგან, აგენტურის მუშაობა უნდა მიმართონ იმ წრის მიმართ, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ამისთვის საჭირო არ არის თვით მოწაფეთა სამსახურით სარგებლობა, რადგანაც ეს უკანასკნელი (მოსწავლენი) არიან მხოლოდ ობიექტი პროპაგანდისა და თავიანთი განვითარებით ძალა არ შესწევთ შეგნებულათ და სერიოზულად მოეპყრან საიდუმლო აგენტის მოვალეობას“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასონ ჯორბენაძე

წარსულის ერთი ეპიზოდი

(პროფოკატორი სევერიანე ბახტაძე)

მე მინდა მკითხველ ამხანაგებს გადავცე, ჩემი გამოუცდელი კალმის მიხედვით, ერთი ეპიზოდი 1908 წლის მეტეხის ციხის ტუსაღების ცხოვრებიდან, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ამბავი არ იქნება ინტერესს მოკლებული.

1907 წ. დამლევს ანდარამერიამ დაგვატყვევა თბილისში ბოლშევიკურ ფრაქციის წევრები ამხ. ფ. მახარაძე, თ. კალანდაძე და სამხედრო დრგანიზაციის წარმდგენელი ამხ. ბუტრინი. ჩვენ დიდ ხანს ვიჯექით და განვიცადეთ ყველა ის „ღონისძიებანი", რომლებიც ხვედრი იყო ყველა დაჭერილ ამხანაგებისა: ციხეში სურათების გადაღება ანდარმერიისათვის, დაუსრულებელი დაკითხვები, პირისპირ წაყენება ვიღაც უცნობ მოქალაქეებთან და სხვა. ჩვენ საქმეს აწარმოებდა ანდარმის როტმისტრი ფირალოვი. მე და ამხ. თ. კალანდაძე ვიჯექით ახალ შენობაში, ესერების ჯგუფთან ერთად (არხაროვი, სემიონოვი, ნუცუბიძე და სხვ.) ამხ. ფილიპე კი მოათავსეს ძველ შენობაში, სადაც ისხდნენ მენშევიკები: ი. რამიშვილი, ჩხიკვიშვილი, რუხაძე. პირველი ორი დღეს იმყოფებიან ჩვენი მტრების ბანაკში, მეორე ინტერნაციონალის რიგებში, უკანასკნელი კი, როგორც ყოფილი მუშა, (იარალოვის ქარხნისა) გაერკვა დღეკანდელ პირობებში, გონს მოვიდა და იყო ერთი იმ მთავარ ინიციატორთაგანი ყოფილ მენშევიკთა შორის, რომელებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოს მენშევიკთა გახრწნას. ის დღესაც აქტიურად მდქმედებს ჩვენს რიგებში და ამჟაღენებს მენშევიკების „გმირულ მოღვაწეობას". მაშინ ციხის საავადმყოფოში, სადაც არის კარცერი და ამბულატორია, ისხდნენ აგრეთვე მესამე ჯგუფი ავადმყოფ ამხანაგების. ამ ჯგუფებს აშორებდა ერთმანეთს ციხის მასიური კედლები, ასე რომ არავითარი ურთიერთობა არ შეიძლებოდა ტუსაღებს შორის. მაგრამ, როგორც ეს კარგათ იციან ძველმა რევოლიუციონერებმა, რომლებმაც გამოსცადეს მეფის ჯალათური მთავრობის მთელი საშინელებანი,—ათასგვარი მოხერხებით ჩვენ მაინც ვპოულობდით ერთმანეთთან კავშირის საშვალებას. უმთავრესად ეს ხდებოდა „ჰარაშკის", (ბოჭკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბინძურით) გატანის და აგრეთვე წყალის ან სადილის მიღების დროს. ხან მოვიგონებდით რაიმე ავადმყოფობას და გავეწერებოდით ამბულატორიაში, სადაც გვეგულებოდა მეგობარი ექიმი და მედპერსონალი, ან წავიდოდით აბანოში, თითქოს თეთრეულის გასარეცხად, ხანგამოშვებით შევხვდებოდით ერთმანეთს „გისეირნების“, ანდა ციხის დუქანში პაპიროსების ყიდვის დროს, სადაც დღეში ერთხელ შეეძლო შესვლა ყველა პატიმარს, როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს და სადაც „მახორკის“ წევით თავს ვიქცევდით, ისეთებიც, რომლებსაც თუთუნი არასოდეს არ მოგვიწევია—თუ ამ საშუალებებით ვერ მოვახერხებოთ ცნობების გადაცემას, მაშინ გისეირნების დროს დავსწერდით პატარა წერილებს, დავარგვალებდით და პურში გახვეულს, გადვისროლიდით ამხანაგების მეორე ეზოში. კარგი თუ ასეთ „შპარგალკას“ წაიწყდებოდენ ამხანაგები, მაგრამ საუბედუროთ იყო შემთხვევა, როცა ასეთი ცნობები ხელში ჩაუვარდებოდათ ციხის ჯალათებს,—ზედამხედველებს. მაშინ დასჯიდენ იმ ეზოს ყველა ტუსაღებს. ჩაკეტავდენ კამერებში როგორც პირუტყვებს რამდენიმე დღით, იმის და მიხედვით, თუ რა ხასიათის იყოს „ზაპისკა“. ამ შემთხვევაში ამხანაგების შევიწროების თავიდან ასაცილებლად, ხშირად გამოდიოდა რომელიმე გამბედავი ტუსაღი და თავის თავზე მიიღებდა წერილის ავტორობას. აღსანიშნავია ის მტკიცე დისციპლინა, რომელიც იყო მაშინ ტუსაღებში. ერთმანეთს არ გასცემდენ არამც თუ პოლიტიკურები,—ხშირად სისხლის სამართლის ტუსაღებიც, თუმცა პოლიტიკურების და უბრალო ტუსაღების ურთიერთ დამოკიდებულება ძალზე გამწვავებული იყო, რომლის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

ასე სასტიკათ შევიწროებულ პირობებში გვიხდებოდა კრების მოწვევა-მოლაპარაკება ათასგვარ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიც იყო მაგ.: ვის ესაჭიროებოდა დახმარება ციხეში ან გარეთ, ვინ არის ახალი ტუსაღი, რა მიმართულებას ემსახურება, რისთვის და რა პირობებში დაიჭირეს და და სხვა. ხშირად, როდესაც ზოგიერთ ამხანაგებს ანთავისუფლებდნენ,—საჭირო იყო „იავკის“ მიცემა წერილობით, თუ ეს, რასაკვირველია, მოხერხდებოდა, ან სიტყვიერათ. სანდო ამხანაგების საშუალებით ციხე საუცხოვო „ლაბარატორია“ იყო ამხანაგების მტკიცე ან სუსტი ხასიათის გამოსაცნობათ და რადგან მაშინდელ პირობებში მუშაობა უკიდურესათ კონსპირატიული იყო,—ჩვენ საშუალება გვქონდა ციხიდან განთავისუფლებულ ამხანაგისათვის მიგვეცა ისეთი დანაშნულება, რომელსაც ის შესძლებდა თავისუფლათ და უხიფათოთ, როგორც პარტიისათვის, აგრეთვე თავისთვისაც. ეს საჭირო იყო მაშინდელ რეაქციის გამო, 1905 წ. გამოსვლების დამარცხების და სტოლიპინის მიერ საშინელ სამაგიეროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდის დროს. იმ ხანებში თითქმის ყველა ჩვენი ამხანაგები გაბაწრეს და ციხეში ჩაჰყარეს, დიდი ნაწილიც დარჩა **საკნებში** თებერვლის რევოლიუციამდე. განსაკუთრებით ნადირობდენ ჟანდარმები კომუნისტებზე. (ამას ხაზი უნდა გავუსვა განსაკუთრებით უპარტიო ამხანაგების საყურადღებოთ) ნიკოლოზის მთავრობა ჩვენზე, კომუნისტებზე, განსაკუთრებული მხედველობით უბრალოთ როდი ნადირობდა. მან იცოდა, ის გრძნობდა, რომ მენშევიკებთან პირველი რევოლიუციის შემდეგ ის ადვილად შეინახავდა „საერთო ენას“, მან იცოდა, რომ მენშევიკებს კონტაკტი ექნებოდა ბურჟუაზიასთან და ამნაირათ მათი გამყიდველი ხასიათი მაშინაც ცხადი იყო როგორც ჩვენთვის, აგრეთვე მთავრობისათვის. მაშინ ქართველი მუშები ისე იყო მოწამლული „მენშევიკურ ღმერთების“ მიერ, რომ მუშებს არ სჯეროდათ ჩვენი მტკიცება მენშევიკების გამყიდველობის შესახებ, ისტორიამ საკვლებით გაამართლა ამ მხრით ჩვენი დებულებანი, როგორც რუსეთ-საქართველოში, აგრედვე გერმანიაშიც და დღეს, ჩვენდა სასიხარულოთ, აღარ დარჩენილა საქართველოში არც ერთი მენშევიკი მუშა, რომელსაც არ აეხილოს თვალები მენშევიზმის ნამდვილ სულისკვეთებაზე. საქართველოს მენშევიკ-ინტერვენციონისტები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ფეხებსაც კი ულოკავდნენ მელიერან-პუანკარეებს და ვილსონ-ლოიდ-ჯორჯებს „მხოლოდ რამდენიმე კორპუსისათვის“ ქართველ მუშების „მოსაპკვიანებლად“, ე. ი. კადეტ-რამიშვილების გასაბატონებლად.—შედმანის გერმანია,—რომელმაც სისხლის მორევში ჩაახრჩო გერმანეთის პროლეტარიატის გმირული გამოსვლები და დღესაც განაგრძობს, წყალწყალებული, აბალ ახალი საშინელებების შექმნას კომუნისტების წინააღმდეგ,—ოლონდაც კი ისევ იბატონონ მუშათა კლასის ზურგზე, თუნდაც რამდენიმე დღით და საათით,—აი ის ისტორიული ტეშმარიტება, რომელსაც ჩვენი ბელადები უწინასწარმეტყველებდნენ იმ ხანებში ქართველ მუშებს და რომელიც მშვენიერათ გამართლდა! ეხლა საბოლოოდ დარწმუნდენ ჩვენი მუშები ჩვენს სიმართლეში და სწორეთ ისინი, რომლებიც მაშინ თავგამოდებით იცავდნენ მგზშევიკების სოციალისტობას,—ეხლა არა ნაკლები ენერგია-გატაცებით ამჟღავნებენ მათ და ასამართლებენ მათ „სოციალისტურ“ წარსულს. მე რამდენიმეთ დავშორდი პირდაპირ საკითხს, მაგრამ ჯერ კიდევ არ ამოშლილა ჩვენი მეხსიერებიდან მენშევიკების გუშინდელი ბაქა-ბუქი მათი ორტოდოდოქსალობის შესახებ.

ამნაირათ, ციხეში ჩვენ მოვაწყეთ პატარა ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდენ წარმომადგენლები ციხის ყველა ნაწილებიდან, პოლიტიკური ტუსაღების რაოდენობის მიხედვით. ამ ორგანიზაციაში შემოდიოდენ ორი წარმომადგენელი ახალი შენობიდან—მე და ესერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხაროვი, ძველი შენობიდან ამხ. ფ. მახარაძე, ის. რამაშვილი ნ. ჩხიკვიშვილი, საავთმყოფოდან კი გიორგი მარსაგოვი. ეს ჯგუფი ხშირად იკრიბებოდა ჩვენი თანამგრძნობ ზედამხედველ ოპედნიკოვის დახმარებით, რადგან ამ წერილის მთავარი მიზანია გორის ორგანიზაციაში მომხდარ გამცემლობის და მისი ჩამდენის ამბავის გადმოცემა,—საჭიროა ვიცოდეთ ვინ იყო მაშინ მოთავსებული ციხის საავთმყოფოში, რადგან მხოლოდ მათი საშუალებით გამოირკვა ეს საქმე. იქ ისხდნენ ამხ ს. უტნელიძე, რომელიც დასჩრა ციხის დარაჯმა პირში და თვალში, როდესაც ის ელაპარაკებოდა ციხიდან თავის ნაცნობს ქუჩაში მიმავალს, სახე მას სულ მთლად დასახიჩრებული ჰქონდა, დაჭრის დროს ფეხმძიმეთ იყო და ეყოლა ციხეში ვაჟი, რომელიც აღსაზრდელად აიყვანა მოქ. პოლუმორდვინოვმა. როგორც ბავშვი, აგრეთვე დედა დღეს ცოცხლებია. დები ბაქრაძეები, მიმართულებით ს. რ. ერთი მათგანი საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს, მაგრამ იქიდან მოხერხებულად გააპარეს ჩვენმა ამხანაგებმა გიმნაზიელის ფორმაში გადაცმული. აქვე იჯდა სვეტლოვას ქალი, რომელიც გაიქცა, კალათაში ჩაწოლილი. ბევრმა დღესაც არ იცის, თუ როგორ მოხდა სვეტლოვას გაქცევა. საქმე ასე იყო. საგუბერნიო ციხის უფროსის თანაშემწე, რომელიც ცხოვრობდა ციხის შენობაში,—გადაიყვანეს საცხოვრებლათ ქალაქში, კერძო ბინაზე, და აი ერთ-ერთ მისი ნივთების ჩასალაგებელ კალათაში ჩაწვა სვეტლოვა, კარებში დარაჯმა აღარ გაჩხრიკა კალათი, რადგან იცოდა, რომ ციხის მოსამსახურის ნივთები უნდა გადაეზიდათ. ამნაირათ დაახწია ციხეს თავი ამ გაბედულმა ქალმა. აქვე იჯდენ აგრეთვე ამხ. ნ. კიკნაძე, რომელიც კატორღელი იყო. დღეს ის მსახურობს აბასთუმნის პირველ სანატორიუმში მოწყალების დათ. აქვე იჯდენ: ოლია გაბუნია, ჩვენი ამხანაგის, ვ. არეშიძის ცოლი, აწ გარდაცვალებული, გიორგი მარსაგოვი, რკინის გზის მუშა, რომელსაც კატორღა ჰქონდა მისჯილი, ს. დ. კეცხოველი, რომელიც გორში იქნა მოკლული აჯანჯეებულ გლეხების მიერ. ამათთან ერთად იჯდა სევერიანე ბახტაძე, რომელმაც როგორც ეს შემდეგში დოკუმენტალურად დამტკიცდა, გასცა გორის მთელი ჩვენი ორგანიზაცია, რომლის გამცემლობით საშუდამოთ იყვნენ ციმბირში გადასახლებულნი კეცხოველი, გულიაშამბაროვი და მგონი პავლე საყვარელიძე (ეხლა გაზ. „მუშის" რედაქტორია).

ავთმყოფობის გამო მე ხშირად დავდიოდი ციხის ამბულატორიაში და ვნახულობდი იქაურ ამხანაგებს. ხშირად მათთან ერთად ვიმუშავებდით გასარჩევ საქმეთა სიას. ერთხელ მე შევეკითხე ამხ. მარსაგოვს—რა საქმეზე იყვნენ დაჭერილი. მან საიდუმლოთ მითხრა, რომ ერთმა მოღალატე ამხანაგთაგანმა გასცა გორის ორგანიზაცია და მისი ყველა წევრები დააჭერინა ტანდარმერიას. თანაც დაასახელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამცემი, ის ყოფილიყო სევერიანე ბახტაძე, რომელსაც 2 წელი ეკუთვნოდა მისჯილი და რომელიც ჩვენს კამერაში იჯდა და იმ ხანებში პატიმრობის ვადაც უთავდებოდა. თავის-თავათ საეჭვო იყო ის გარემოება, რომ ერთ და იმავე საქმეზე ამხანაგების ერთ ჯგუფს მისჯილი ჰქონდა სამუდამო გადასახლება,—ბახტაძეს კი 2 წელი. გარდა ამისა, მაშინ ძალიანი გაძნელებული იყო ტუსაღების ნახვა, ბახტაძესთან კი თავისუფლად შემოდიოდა ერთი რუსი ქალიშვილი და რჩებოდა მასთან საათობით. ამ ქალს ჩვენც ვეხდებოდით რადგან ბახტაძის საცოლე გვეგონა. მე დამაინტერესა მარსაგოვის სიტყვებმა და უფრო დაწვრილებით გამოვკითხე ბახტაძის შესახებ. მარსაგოვმა გადმომცა, რომ ბახტაძეს გაეთავებია ხონის სემინარია, შემდეგ ქუთაისის საბალოსნო სასწავლებელი და როგორც მომზადებული ინტელიგენტი, თ. კ. გადაეგზავნა გორში ინსტრუქტორათ. ამის შემდეგ გორის ამხანაგებს შეეყვანათ ის ორგანიზაციის წევრათ, მაგრამ რადგან გარეგნული შეხედულება მას საეჭვო ჰქონდა,—იყო მომაღლო ხმელი ტანის, ატარებდა შავ სათვალეს და გრძელ თმას,—ჟანდარმებმა ჩაინიშნეს, დაატპატიმრეს, დაუწყეს „დამუშავება“ და გააცემინეს ყველა წევრები. იმ ხანებში გორის ორგანიზაციის წევრები, გულიშამბაროვა და კეცხოველი გადასახლებულნი იყვენ ციმბირში პირდაპირ თფილისიდან. მე მაშინვე შევეკითხე ამხანაგებს ქალაქში ამის შესახებ. გაუგზავნე აგრეთვე კითხვა საგუბერნიო ციხის ტუსაღებს. მე ვთხოულობდი ეცნობებიათ ჩვენთვის სინამდვილე ამ საქმის შესახებ, რადგან საჭირო იყო დაუყოვნებლივ ზომების მიღება, რადგან ბახტაძეს ციხეში ყველა ენდობოდა! მაშინ ჩვენთან ისხდნენ ესერები, ს. ფ., დაშნაკები, ხშირათ იმართებოდა დისკუსიები, რომელზედაც მოხსენებებით გამოდიოდენ თ. კალანდაძე, ი. ნუცუბიძე (ს. რ.) სიხარულიძე (მენშევიკი) და სხვები. აქვე კამათობდა ჩვენთან ს. ბახტაძეც, რომელსაც მთელი ორგანიზაცია გადაეცა ჟანდარმებისათვის. საინტერესოა, რომ ამ კამათის დროს ბახტაძე ორ სკამზე იჯდა, ემხრობოდა ბოლშევიკებსაც და ესერებსაც. ჩემთან ის იმ ხანებში კარგ განწყობილებაში იყო, ხშირად მესაუბრებოდა პოლიტიკურ და სხვა საკითხებზე, მაგრამ არასოდეს არ უთქვამს, რომ ჟანდარმებმა გამოსტყუეს მას ცნობები და გააცემინეს ამხანაგები. მან ერთხელ მითხრა მხოლოდ, რომ დაიჭირეს და გაასამართლეს გორის საქმეზე და რადგან ათავებს თავის ვადას,—მთხოვა დამესვა ამხანაგებთან საკითხი მისთვის „იაკის“ მიცემის შესახებ, რადგან ტუსაღობის გამო მოსწყდა ამხანაგებს და გაუჭირდება მუშაობის განახლება განთავისუფლების შემდეგ, თანაც დაუმატა, რომ არხაროვსაც სთხოვა ამის შესახებ. ერთხელ მე მიველ ციხის საავთმყოფოში და გადავეცი ამხანაგებს, რომ ს. ბახტაძეს 2 თვის შემდეგ გაანთავისუფლებენ, რადგან ვადა უთავდება და თხოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს მივცეთ ჩვენი წერილი ამხანაგებთან მეთქი. ამ სიტყვებზე ამბ. მარსაგოვმა აღშფოთებით მითხრა შემდეგი: „იცით, ამხ. იასონ, ბახტაძე გამცემია, მან დაღუპა მთელი გორის ორგანიზაცია". მხოლოდ ამის შემდეგ, როგორც ზევით ვსთქვი, მე შევეკითხე საგუბერნიო ციხის ტუსაღებს და ზოგიერთ ამხანაგებს ქალაქში ბახტაძის შესაეებ, მაგრამ ცნობების მიღება ასე დაჩქარებით არც ისე ადვილი იყო მაშინდელ პირობებში. ამასობაში ბახტაძის განთავისუფლების დროც მოახლოვდა და ის დაჟინებით მოითხოვდა ჩვენს რეკომენდაციას. მე იძულებული ვიყავი დამესვა ეს საკითხი ციხის კომიტეტის სხდომაზე. კოებს დაესწრენ ამხ. ფ. მახარაძე, ი. რამიშვილი, გ. მარსაგოვი, არხაროვი (ბახტაძის ამხანაგი) და მე. ჩემს მოხსენებაში მე აღვნიშნე, რომ ამხ. მარსაგოვი აბრალებდა ბახტაძეს გორის კომიტეტის გაცემას, რის გამო მე წინააღმდეგი ვიყავი „იავკის" მიცემის. თანაც მე ვაცნობე კრებას, რომ უკვე მივიღე ზომები საქმის საბოლოოთ გამოსარკვევათ, ბრალდების დამამტკიცებელ მასალების მისაღებათ. არხაროვი არ დამეთანხმა მე და აღნიშნა, რომ ბახტაძე იჯდა მასთან ერთად, იყო მეტად შეგნებული და სარგებლობას მოუტანს საქმესო. მაგრამ კომიტეტი მას არ დაეთანხმა და ხმის უმეტესობით უარყო ბახტაძის თხოვნა. ამავე კრებაზე გადაწყდა ერთი სერიოზული საკითხი ციხის ცხოვრებიდან, სახელდობრ პოლიტიკურ და სისხლის სამართლის ტუსაღებს შორის დამოკიდებულების შესახებ. ეს დამოკიდებულება იმდენად გამწვავებული იყო, რომ ორი ამხ. დაგვიპრეს ქურდ-ბაკაცებმა. ახალ ტუსაღებს ავიწროებდნენ, ამცირებდნენ, ართმევდნენ ფულებს, ნივთებს, აძრობდნენ ტანსაცმელებს. იყო შემთხვევა, როცა ციხის პირობებთან გაუცნობელ ახალ ტუსაღებს აბამდნენ განსაკუთრებულ მახეში და აუპატიურებდნენ. ციხე სავსე იყო ყაჩაღებით და თავზე ხელაღებული ელემენტებით, რომლებსაც ადმინისტრაცია ციხეში ვაჭრობის ნებას აძლევდა. ღიმე გამოუშვებდნენ ამ ელემენტებს ქალაქში საგასტროლოთ და ადმინისტრაციაც იყოფდა „ნადავლს". ყველა ამაების შესახებ ჩვენ გამოვიტანეთ დადგენილება. ჩვენ გადაეწყვეტეთ გვებრძოლა ამ მოვლენებთან მთელი ჩვენი ენერგიით, თუ საჭირო იქნებოდა სიმშილობის გამოცხადებამდე. ჩვენ მივაწოდეთ ინფორმაცია საზოგადოებას ამის შესახებ და ამავე დროს ციხის უფროსსაც ვაცნობეთ ჩვენი დადგენილება. მაშინ ციხის უფროსათ იყო რიმკევიჩი, რომელმაც დარბევა მოახდინა ცარიცინის ციხეში, რის გამო მას მისცეს აღმატება და თფილისში გადმოიყვანეს. ეს მხეცი მუდამ რევოლვერ ამოღებული შემოდიოდა კამერაში და ვინ მას, ვინც ვერ მოასწრებდა ადგომას ან და არ გაკმინდავდა ხმას.—მას 2-3 დღით კარცერი ელოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის კრება, რომელმაც უარყო ბახტაძის თხოვნა, გათავდა, ჩვენ გამოვედით შენობიდან და ის იყო თავიანთ კამერაში უნდა წავსულიყავით,—ამ დროს მე კარებში დამხვდა ბახტაძე, რომელიც თურმე უცდიდა კრების გადაწყვეტილებას. ის მოვიდა ჩემთან და შემეკითხა მისი საქმის შესახებ. მე განვუცხადე, რომ ვერ მოვასწარით გარჩევა, რადგან ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმე გვქონდა მეთქი. საუბედუროთ მე არ გამიფრთხილებია წინდაწინვე არხაროვი—თუ რა უნდა ეთქვა მას ბახტაძისათვის. ჩვენ შევედით კამერებში, ბახტაძე კი პირდაპირ არხაროვთან წასულიყო, რომელსაც გადაეცა მისთვის ყველაფერი. იმ დღეს ჩვენ გამოგვიძახეს „პროგულ-კაზე". ჩვენი შენობის ეზო ძლიერ პატარა იყო, სიგძით ათი და სიგანით სამი საჟენი. ზოგნი ისხდნენ, ზოგნიც თამაშობდნენ ეგრეთ წოდებულ „ჯორი-ღლეტიას". მე ცალკე ვიჯექი და რაღაცაზე ჩაფიქრებული ვიყავი. ამ დროს მოდის ჩემთან პროვაკატორი ბახტაძე და მეუბნება: **შენ არამზადავ**, როგორ გაბედე გაგეცხადებია ჩემს შესახებ კომიტეტში ასეთი სისულელეო". ეს სიტყვები მან ისე მითხრა, რომ ამხანაგებს არც კი გაუგონიათ, მე ისე ამაღელვა მისმა უტიფრობა—თავხედობამ, რომ პირველად სიბრაზისაგან თვალები დამიბნელდა, მერე წამოვხტი და ვუწოდე პადლეცი, გამყიდველი და თანაც ისეთი სილა გავარტყი, რომ წაიბორძიკა. მოცვივდნენ ამხანაგები და გაგვთიშეს. მაგრამ წარმოიდგინეთ, როცა ესერებმა გაიგონეს ჩემი სიტყვები, განსაკუთრებით „გამყიდველი" დაიწყეს დაცვა ბახტაძისა, მოითხოვეს ჩემგან დაჟინებით და კატეგორიულად დასამტკიცებელი საბუთების წარდგენა. თუ მე ამას ვერ დავამტკიცებდი,—მაშინ ბახტაძეს უფლება ეძლეოდა გაესწორებია ჩემთან „ანგარიში" მისი სურვილისამებრ. გარდა ამისა, მე უნდა გავესამართლებიე ჩემს ამხანაგებს, როგორც ცილისმწამებელი. ამ მოლაპარაკებაჩოჩქოლის დროს გამოჩნდა ისევ ბახტაძე, რომელსაც სადღაც ეშოვნა ფინური დანა და ის იყო უნდა ჩაეცა ჩემთვის მუცელში,—მაგრამ ამბ. შარუხიამ დროზე სტაცა მას ხელი და სიკვდილს გადამარჩინა. ხმაურობა-განგაშზე გამოჩნდნენ ზედამხედველები და ჩაგვკეტეს კამერებში, თანაც ყველას მოგვისვეს „სეირნობის" უფლება. იმ დღეს არც მე და არც ბახტაძე ეზოში არ გამოგვიშვეს. ამხანაგებმა გადმომცეს ჩვენი კომიტეტის დადგენილება, რომლითაც მე მეძლეოდა ერთი კვირის ვადა ბრალდების დასამტკიცებლად. ჩემი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იყო. მე ამ დროს განვიცდიდი ისეთ სულიერ ტანჯვას, რომლის მსგავსი ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა. მე არ მქონდა ხელთ საბუთები, ჩემი განცხადება ფრთხილი და საქმიანი იყო, ჩვენ უნდა მიგვეღო ზომები საკითხის გამოსარკვევათ და მერე უნდა გავსწორებოდით ბახტაძეს, თუ ის მართლაც აღმოჩნდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამცემი, მაგრამ ბახტაძემ ადრე გაიგო ჩემი განზრახვა და შექმნა ინციდენტი. სხვა რა ღონე მქონდა. ისევ მე უნდა შევსდგომოდი ჭეშმარიტების გამოკვლევას. მე დავწერე წერილი ჩემი კარგი ამხანაგის ექვ. სართანიას სახელზე, რომელიც იყო ბოლშევიკი და ითვლებოდა პირველი რაიონის ხელმძღვანელად. წერილი მე გავატანე ერთ უბრალო ტუსაღს, რომელსაც შევპირდი დიდ საჩუქარს. და მართლაც, ამხ. ექვთიმე სართანია დაუყოვნებლივ მოვიდა ჩემთან. ნახვის დროს მას გავაცანი შექმნილი მდგომარეობა, ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ მან კატეგორიული და გარკვეული ვერაფერი მითხრა. სთქვა მხოლოდ, რომ „მგონია ბახტაძე გამორიცხულია პარტიიდანო“ ეს „მგონია“ ჩემთვის პირდაპირ ლახვარი იყო, ის კიდევ უფრო აძლელებდა ჩემს მდგომარეობას. ექვთიმემ მე შემპირდა დახმარება, რაც კი გაეწყობოდა. მე ვთხოულობდი საქმის დაჩქარებას, რადგან ჩემს განკარგულებაში ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ამ საქმის გამო მე ისედაც ავადმყოფი, კინაღამ ლოგინათ ჩავვარდი, ისე ძმეშალა ნერვები. ბრალდება, რომელიც მე წავუყენე ადამიანს, საშინელი იყო, ჩემს ხელთ კი, გარდა ხმებისა, არავითარი საბუთები არ მოიპოვებოდა. ამავე დროს მე ციხეში ვიყავი გამოკეტილი და მოკლებული საშვალებას დამემტკიცებია ბრალდება... ამასობაში ეს ამბავი მოედო მთელ ციხეს, გაიგო ადმინისტრაციამაც. მეორე დღეს მე მოულოდნელად გამომიძახეს ამბულატორიაში. მე არ გამიცხადებია ავათმყოფობის შესახებ და ამ უეცარმა მიპატიჟებამ თან გამაოცა, თან დამფიქრა, ავდექი და შევედი ამბულატორიაში. ამ დროს ჩემთან მოდის ქერა და ხმელი ტანის კაცი, სამხედრო ტანთსაცმელში და მეკითხება.— „თქვენნ ხართ ჯორბენაძე?“ როცა დავადასტურე, ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა,—„თქვენს სახალზე წერილია ამხანაგებისაგან, მაგრამ ჯერ დაჯექი გაგშინჯო“. თან მეკითხება ჯანმრთელობის შესახებ, მშინჯავს, და ამავე დროს ჩუმათ გადმომცემს წერილს ისე მოხერხებულათ, რომ ვერც ერთმა იქ მდგომმა ტუსაღმა ვერ დაინახა. „მაშ, ჩაიცვით, მე გამოგიწერთ პარაშოკებს, დალიეთ ღამე, დაძინებამდე“ მითხრა მან. „შეგიძლიათ არც დალიოთ“, დაუმატა ჩუმათ. ეს კაცი გამოდგა ექიმი ხოდნეკი, რომელიც მაშინ დაენიშნათ ციხეში. ეს ექიმი ძალიან კარგათ გვეპყრობოდა, ხშირად შემოდიოდა კამერაში, გვივლიდა შეძლებისდაგვარათ, ეს შენიშნეს ჯალათებმა და მალეც მოგვაშორეს.

მე გავეშურე კამერისაკენ წერილის წასაკითხავათ. ეს იყო თბილისის კომიტეტის დადგენილება, ბეჭედით დადასტურებული. შიგ ეწერა: „სევერინე ბახტაძე გამორიცხულ იქნა პარტიიდან გორის ორგანიზაციის გაცემისათვის ჯერ კიდევ 1906 წელში, რის შესახებ გამოცხადებული იყო პარტიულ ორგანოებში.“ ამის შემდეგ ჩემი მდგომარეობა შემსუბუქდა, ეხლა უკვე ვერაკინ გაბედავდა ეწოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია ჩემთვის ცილის მწამებელი, როგორც ამას ცდილობდნენ მოუფიქრებელი ესერები.

იმ წერილში იყო აგრეთვე მეორე წერილობითი ცნობა, რომლიდან დოკუმენტალურად სჩანდა, რომ გორის ორგანიზაციის საქმე გაირჩა სასამართლო პალატაში, დამცველებათ გამოდიოდენ ვექილი კოწია ჯაფარიძე და სხვები. მე მოვითხოვე თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებიდან რამენაირათ ეშოვნათ ეს „საქმე“ და შემოეგზავნათ ციხეში. ჩემდა მოულოდნელათ, ესეც ადვილათ მოეწყო იმავე ხოდნევის საშუალებით. ამნაირათ, ჩემს ხელთ თავი მოიყარა ყველა იმ უტყუარმა მასალებმა, რომლებიც აშკარათ და უდავოთ ამტკიცებდენ სევერიანე ბახტაძის მიერ მთელი გორის ორგანიზაციის გაცემას, ამის შემდეგ ჩვენ საჩქაროთ მოვიწვიეთ ციხის კომიტეტის კრება ძველ შენობაში. მასალებთან გაცნობის შემდეგ კრებაზე მოგვიწვიეს მე, ბახტაიე, არხაროვი, სემიონოვი და ნუკუბიძე. უმრავლესობა ესერები იყვენენ, რომლებსაც არ სჯეროდათ ბახტაძის პროვოკატორობა. ამ კრებას დაესწრენ ფ. მახარაძე და ის. რამიშვილი. გადასინჯეს მთელი საქმე, წაკითხულ იქნა ბახტაძის მიერ ხელმოწერილი ჩვენება ჟანდარმებისადმი, რომელშიაც ის სიტყვა სიტყვით ამბობდა შემდეგს: „ჩემი ხვედრის შესასუბუქებლად გაცნობებთ, რომ გორის კომიტეტში მუშაობდნენ“... და შემდეგ ჩამოთვლილი იყო ყველა ამხანაგები. როდესაც ის. რამიშვილმა გადაიკითხა ეს ადგილი, ბახტაძე სიკვდილის აჩრდილს დაეშზგავსა, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს, მის თვალებში გამოიხატებოდა საშინელი შურის ძიების გრძნობა ჩემდამი. ამის შემდეგ ჩვენ გაგვისტუმრეს კამერებში, გარდა ის. რამიშვილისა და ერთი ესერისა და თვით ბახტაძისა. მე შემდეგ გავიგე, რომ ის. რამიშვილი შეეცადა მიეცა ბახტაძისათვის „მამობრივი“ დირიგება, ერთი სიტყვით, შეემსუბუქებია მისი მდგომარეობა. ასეთი საქმე ხშირად მოსდის ამხანაგებს და როდესაც აქედან გახვალ, ნამდვილი რევოლიუციონური მუშაობით გამოისყიდი ამ დანაშაულსო“. თავის თავად ცხადია, კრებამ მე გამამართლა, მან დაადასტურა, რომ უფლება მქონდა მეწოდებია ბახტაძისათვის გამყიდველი. ესერი არხაროვი შემდეგ საშინლად დაღონებული იყო, რადგან თურმე ესერები სავსებით ენდობოდენ ბახტაძეს და მასთან ბევრ საიდუმლო საქმეებზე ბაასობდნენ. ბახტაძის ამბავი ელვასავით მოედო ციხეს, ყველა ამ საქმეზე ლაპარაკობდა. რაც დღე გადიოდა,—ახალ-ახალი ამბავი მოდიოდა ბახტაძის შესახებ. მაგ. გამოიკვა, რომ მას ხშირად უშვებდენ ქალაქში ღამით თავისუფლად. ამ კრების შემდეგ გავიდა ორი დღე და ციხეს დაეცა მთელი ხროვა ჟანდარმებისა, გაჩხრიკეს ყველა და ყველაფერი, ეძებდნენ ბახტაძის შესახებ შედგენილ „საქმეს“ ჟანდარმის კანცელარიისას, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ხელთ ვიგდეთ, და რომელიც უკანეე გადავეცით თავის დროზე. ერთი კვირის შემდეგ მე და ამხ. ფილიპეს გამოგვიცხადეს, რომ ვიგზავნებით ტურუხანის მხარეში ხუთი წლით და იმავე დღეს გადაგვიყვანეს საგუბერნიო ციხეში. ასე გადაკარგულ ქვეყანაში გადასახლება მაშინ იყო პირველი მაგალითი და ეს გამოიწვია ბახტაძის საქმემ. შემდეგ ჩვენ მივიღეთ პოლიტიკურებიდან წერილი, ჩვენ გვატყობინებდნენ რომ ბახტაძეს გაეცა არა მარტო გორის ორგანიზაცია, არამედ ორი წლის განმავლობაში აწვდიდა ანდარმერიას ყველა ცნობებს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. ესერებმა მას გადაუხადეს სამაგიერო, მათ ააფეთქეს თფილისში მეორე საპოლიციო უბნის სამართველო, სადაც ბახტაძის ეგრედ წოდებული საცოლო, ნამდვილათ კი ჯაშუში ქალი მსახურებდა, აფეთქების დღეს დაიკარგა ბახტაძეც. შემდეგ გამოირკვა, რომ ის მოკჭლეს და მტკვარში ჩაგდეს ესერებმა.

ჩემი და ამხ. ფილიპეს ბედი გადაწყვეტილი იყო, ჩვენ უკვე უნდა გავმგზავრებულიყავით ეტაპით შორეულ ციმბირში, მაგრამ ამ დროს ერთგვარი კარგი „ბედი" გვეწვია. თფილისში რაღაც საქმეზე ჩამოვიდა პეტროგრადელი ადვოკატი სოკოლოვი, რომელიც ერთ დროს თურმე ახლო ამხანაგი იყო მაშინდელ ცნობილ ტფილისის გუბერნატორის ლოზინო-ლოზინსკის. სოკოლოვმა რომ გაიგო ჩვენი გადასახლების შესახებ,—იშუამდგომლა გუბერნატორის წინაშე და შესძლო ჩვენი გადასახლების ადგილის შეცვლა, დაბოლოს ამხ. ფილიპე გაგზავნეს ასტრახანში, მე კი—ორენბურგის გუბერნიაში.

ალასთუმანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება IV. მოგონებანი.

კ. ცინცაძე.

ჩემი მოგონებანი

(1903—1920 წლამდე) *)

1917 წლის 4 მარტი იყო. თითქმის მთელი კვირა გასულიყო რევოლიუციის შემდეგ, მაგრამ ქ. ტფილისს სრულებით არ ეტყობოდა ცვლილება. ძველი მთავრობა ისევ თავის ადგილას იყო. პოლიცია—ჯარი, მეფის მოადგილე, აფიცრები და გენერლები ავტომობილებით დაჰქროდენ. რაღაც გამოუკვეველი მდგომარეობა სუფევდა. თითქო ხალხს არ სჯეროდა პოლიტიკური გადატრიალება, თითქო რაღაცა მოლოდინში იყო რევოლიუციონური ძალები, ნამძინარევ და ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულ ადამიანს წაადგავდა მცხოვრებთა მდგომარეობა.

გული ვერ ურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას, მუშათა დეპუტატების სხდომაზე გაჩქარებით მივექანებოდი. იმედი მქონდა, რომ იქ მუშების წარმომადგენლები, რევოლიუციონერები, პარტია და მისი რევოლიუციონური ნაბიჯები უკმაყოფილო სულს დაკმაყოფილებდა, რევოლიუციის სადავეს მაგრად ხელს ჩასჭიდებდა და მეფის მთავრობის მოსპობას მშრომელთ აგრძნობინებდა. როდესაც შევედი სახალხო სახლის დარბაზში კრება გახსნილი იყო. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ციხიდან გამოსული ამხანაგები გვესტუმრაო. იგრიალა ტაშმა. მხოლოდ პრეზიდიუმს, რომელიც თითქმის მენშევიკებისაგან შესდგებოდა, უგულო ტაშის ცემა ეტყობოდა. მიზეზი არ არის ძნელი ასახსნელი. შეიქნა მსჯელობა შექმნილ მდგომარეობის შესახებ. ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. საბჭოს კრება დიდათ არ განირჩეოდა საერთო მასის მდგომარეობისაგან: იგივე გაუბედაობა, იგივე გაურკვევლობა, რაღაც პესიმიზმი ახასიათებდა მუშათა წარმომადგენლების კრებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კრების ბალშევიკურ ნაწილს, რომელსაც გაცილებით მეტი სიცოცხლე, მეტი რევოლიუციონური აღფრთოვანება ეჰჩნეოდა.

---

*) იხ. „რევ. მატ." № 2—3 (7—8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსჯელობის დროს გამოირკვა ორი მიმდინარეობა, ორი შეხედულება რევოლიუციაზე. აქ ერთმანეთს დაუპირდაპირდა მენშევიზმი —მუდამ მშვიდობიანი, გაუბედავი, მოძრაობის მაჩანჩალა, უგულუსულო, მშიშარა ყოველი რევოლიუციონურ ნაბიჯების წინაშე და ბოლშევიზმი—მუდამ რევოლიუციონურად განწყობილი, გაბედული, აღფრთოვანებული, იმედებით აღსავსე.

კითხვა იმადება: რა ვაკეთოთ, რა აკეთოს საბჭომ. ჩვენ, ბალშევიკები, წინადადებას ვიძლეოდით საბჭო მთავრობის როლში გამოსულიყო, ძალა-უფლება ხელთ ეგდო, რეაქცია ან მოსალოდნელი კონტრ-რევოლიუცია განეიარაღებინა, რევოლიუციონური წესრიგი დაემყარებია, მუშები შეეიარაღებინა და სხვადასხვა. მენშევიკები კი დიამეტრალურად წინააღმდეგ წინადადებებს იძლეოდნენ: ჯერ მოლაპარაკება გავმართოთ მეფის მოადგილესთან, გავგზავნოთ დელეგაცია მუშებისაგან და ქალაქის თვითმართველობისაგან. გავიგოთ რას ფიქრობენ ისინი, მდგომარეობას ნუ გავამწვავებთ, აღვუთქვათ თვითმართველობას ჩვენი თანამშრომლობა ეკონომიურ ორგანოებში, რომ სასურსათო კრიზისი შევასუსტოთ და რევოლიუციის გაღრმავებას შემდეგაც მოვესწრებითო.

ჩემი წინადადება აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის და მისი ყველა უფლებებით აჭურვის შესახებ ყუმბარასავით გავარდა მენშევიკთა ბანაკში. მხოლოდ რამდენიმე ძველი მუშა მენშევიკი —ალექსანდრე დგებუაძე, სანდრო მაისურაძე და ორი-სამი, რომელთაც კიდევ შერჩენოდათ რევოლიუციონური ალღო, მხარს უჭერდა ამ წინადადებას. მენშევიკების თითქმის ყველა ლიდერები წინააღმდეგი იყო ამისა. აღმასკომის არჩევა დასამარებული იქნებოდა, რომ ამ დროს (კამათის დროს) ერთი მუშა (რომლის გვარი სამწუხაროდ არ მახსოვს) არ შემოსულიყო გარედან და არ განეცხადებინა შემდეგი: „ამხანაგებო, ქუჩაში ხულიგანები, ჰეშმარიტი რუსები დათარეშობენ, მუშებს იჭერენ, სცემენ, ისერიან, რაღაც პროვოკაციას ამზადებენ, ერთი მუშა, მგონი, კიდევაც მოჰკლეს, მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებას, მოგვეცით იარაღი მუშებს, რომ თავი დავიცვათო“.

ამ უბრალო განცხადებამ, უბრალო მუშისამ, ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა და კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო წინადადება აღმასკომის არჩევისა და მისი უფლებებით აღჭურვისა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი. წევრების სახელი და გვარები არ მახსოვს, მხოლოდ მახსოვს, რომ ბალშევიკებიდგან შეიყვანეს (უმრავლესობა საბჭოსი მენშევიკები იყვნენ) ორი თუ სამი კაცი. მათ შორის ვალიკო ჯუღელი, რომელიც მაშინ ბალშევიკების ფრაქციას ეკუთვნოდა და ასე თუ ისე რევოლიუციონურად ეჭირა თავი. (შემდეგ კი უსაზიზღრესი რენეგატი გახდა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების დახურვის შემდეგ შეიკრიბა აღმასკომი სხვადასხვა კითხვების გადასაჭრელად. სხდომაზე როგორღაც მეც მიმიწვიეს. პირველი და უმთავრესი კითხვა იყო წითელი გვარდიის შექმნა, რაც დიდი კამათის შემდეგ მიიღო აღმასკომმა. მეორე კითხვა, ჟანდარმერიისა და მთავრობის დაწესებულებათა ხელში ჩაგდებაც, გადაწყდა. დამახასიათებელია ის, რომ ჟანდარმერიის გაჩხრეკა-დაპატიმრება და მასთან შეკავშირებული მოქმედება მხოლოდ ბალშევიკებს მიანდვეს: ს. ქავთარაძეს, თომა ჩუბინიძეს, მე, ჯუღელს და სხვებს. მონდობილობა ზედმიწევნით იქნა შესრულებული, ხხოლოდ რაღას იპოვიდი ჟანდარმთა სამმართველოში, როდესაც თითქმის ერთი კვირა გავიდა რევოლიუციის შემდეგ და მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია: ყველა საინტერესო დოკუმენტები და ქაღალდები ან დამწვარი იყო, ან გადამალული. ერთი სიტყვით, ტფილისის ორგანიზაციამ ვერ ისარგებლა მომენტით, ვერ გამოიჩინა რევოლიუციონური ინსტინქტი და ამიტომ ბევრი საყურადღებო რამეები ხელიდან გაუშვა. ამის მიზეზათ ითვლება ის, რომ ორგანიზაციაში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ.

ჩვენ, ბალშევიკებმა, ვიგრძენით რა რევოლიუციის წინაშე პასუხისმგებლობა, ვიგრძენით რა მენშევიკების უილაჯობა, მათი დაკნინება, მათი საგრძნობლად გადახრა ბურჟუაზიის მხარეზე—მოვინდომეთ გამოყოფა და ცალკე ორგანიზაციის შექმნა. მოვიწვიეთ პირველი დამფუძნებელი კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა ტფილისის კომიტეტი (ბალშევიკებისა) და ბალშევიკების ინფორმაციული ბიურო. კრებას დაესწრო 50 კაცამდე. ტფილისის კომიტეტში არჩეულ იქმნენ: მიხა ჩოდრიშვილი, რაჟდენ კალაძე, იასონ ჯორბენაძე, ერმილე კალანდაძე, არუსიაკ ტერ-პეტროსოვი, თედორე კალანდაძე, კ. ცინცაძე და სხვა, რომელთა გვარები აღარ მახსოვს. აქავე არჩეულ იქნა ბალშევიკების ინფორმაციული ბიურო, არჩეულ იქნენ (თუ მეხსიერება არ მღალატობს): თედორე კალანდაძე, სერიოჟა ქავთარაძე, კ. ცინცაძე, მ. ტოროშელიძე, ლადო დუმბაძე, არ. ტერ-პეტროსოვი და კიდევ ორი თუ სამი ამხანაგი, რომელთა გვარები აღარ მახსოვს.

ჩვენი, ბალშევიკების, მიზანი იყო რევოლიუციონურ პროლეტარული პოლიტიკა დაგვეპირდაპირებინა მენშევიკური ოპორტიუნისტული პოლიტიკისთვის, გაგვეტარებია რევოლიუციის გაღრმავებული ხაზი და მენშევიკური შემრიგებელი პოლიტიკისათვის ლახვარი ჩაგვეცა. ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ორგანიზაცია გამოეყოფოდა მენშევიკურ ორგანიზაციას და საკუთარ პოლიტიკის წარმოებას შეუდგებოდა. მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში ყოფნა, მათი დისციპლინის დამორჩილება ჩვენს ხაზს, ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედებას, რევოლიუციონურ პოლიტიკას დაჩრდილავდა, გათქვეუ-
და მენშევიკურ უმრავლესობაში.

მუშათა მასისათვის გაურკვეველი დარჩებოდა, თუ სად იყო
რევოლიუციონური ფრთა ჩვენი პარტიისა და სად ოპორტიუნისტუ-
ლი ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანი იყო მუშათა კლასისათვის გარ-
კვეული, ნათელი პოლიტიკა დაგვენახვებინა. ამისთვის საჭირო იყო
ცალკე ორგანიზაცია, ცალკე გაზეთი, პრესა, მუშაობა და გამოსვლე-
ბი. მაგრამ ამ ჩვენს ტაქტიკას სავსებით არ იზიარებდნენ ზოგიერთი
ბოლშევიკები—ინტელიგენტები, როგორიც მაგ. მაშინ იყო კოლია ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათიშვის წინააღმდეგ შემდეგი იყო: გათიშვა დაქსაცსაზ რევოლიუ-ციონურ ძალებს, საჭიროა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი და სხვა და სხვა. მისმა გამოსვლამ ბევრი მერყეევი ამხანაგი კიდევ უფ· რო შეარყია და კენჭის ყრის დროს ხმები ორ თანასწორ ნაწილად გაიყო. ამგვარად გ. სტურუას გამოსვლამ და ხმების გაყოფამ გამო-იწვია ძველი მდგომარეობის დატოვება, ე. ი. მენშევიკებთან ერთ ორგანიზაციაში მუშაობა; ძვირად დაგვიჯდა შემდეგ ამ შეცდომის გამოსწორება — თითქმის მთელი სამი თვე მოვუნდით იმის მოწყობას, რომ მენშევიკებს გამოვთიშოდით და ცალკე ორგანიზაცია, პროლე-ტარული ორგანიზაცია, დაგვეარსებია.

ამის შემდეგ ბაქოში თანდათანობით მოიყარა თავი ძველმა მუშაკებმა, ბაქოს მუშების საყვარელ და საამაყო ამხანაგებმა. ბაქოში ჩამოვიდა ალეოშა ჯაფარიძე, სტეფანე შაუშიანი, ზევინი, მუშაობას მოჰკიდა ხელი ვიქტორ ნანეიშვილმა, (რომელიც რამოდენიმე წლით რევოლიუციამდის თითქმის ჩამოშორებული იყო პარტიულ მუშაობას) და სხვები.

გაჩაღდა მუშაობა. მომენტი სერიოზული იყო. ხდებოდა უძლი-ერესი გარდატეხა: სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური. პოლიტიკურ მოღვაწეს, რევოლიუციონერს, პროლეტარულ მოძრაო-ბისათვის გამოცდა უნდა ჩაებარებინა. ბევრი, ბევრი გამოჩენილი, წარსულში კარგი რევოლიუციონერი, შედრკა იმ ჯერ არ ნახულ ნგრევისა და ცვლილების წინაშე, რომელსაც რევოლიუცია ადგებო-და. წვრილ-ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულმა პარტიებმა შექმნეს ერთი მთლიანი ფრონტი პროლეტარული პარტიის წინააღმდეგ. კე-რენსკის მთავრობა არავითარ საშვალებას არ ზოგავდა, რომ პრო-ლეტარული ორგანიზაციები დაენგრია, შეეიწროებია, მათი გავლენა დაეკარგა. საზიზღარი პროვოკაციით, დაუშვებელი აგიტაცია-პრო-პაგანდით ცდილობდა გაბატონებული პარტიები—ესერები და მენ-შევიკები—პროლეტარულ პარტიის, კომუნისტური პარტიის —სახე-ლის გატეხას, დამცირებას, ირევ-დარევას. ეს ის დრო იყო, როდე-საც თვით კომუნისტებშიაც ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ბოლშევიკებშიც აქა-იქ რყევა ეჩინეოდა, ლენინის მიერ ნაკარნახევ გზის, მის მიერ აღებულ გეზს ზოგიერთი ბოლშევიკები გაბედულად ვერ მიყვე-ბოდა. ლენინის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები: სამოქალა-ქო ომი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგიერ კომუნისტურის შექმნა, ძალა-უფლების ხელში ჩაგდება მუშათა კლასის მიერ,—ბევრ ბოლშევიკს აშინებდა, კონსერვატიულ განწყობილებას ბადებდა მათ-ში. ასეთ „კონსერვატიულ“ ტენდენციებს პირობებიც ხელს უწყობ-და. ერთი მხრით ლოზუნგების სიდიადე, თითქო მათი ცხოვრებაში შეუსაბამობა, მომენტის სირთულე, მეორე მხრით კი მოწინააღმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთა მიერ შექმნილი ეაკხანალია; დღენა, პროვოკაცია, პროლეტარული პარტიის იზოლიაცია ერთგვარ შიშს ბადებდა ჩვენს რიგებში, შიშს ბადებდა მომავლის წინაშე. ამიტომაც იყო, რომ პირველ მოხსენებაზე, რომელიც ამბ. ლენინმა გაიკეთა პეტროგრადში, მან მხოლოდ რამოდენიმე ხმა მიიღო (3—4).

უსწორო ბრძოლა გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ესერებსა და მენშევიკებს მასის დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს, ჯარში და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებში (მუშებში კი საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენდნენ), ისინი (ესერებ-მენშევიკები) მაინც ძრწოდნენ პროლეტარული პარტიის წინაშე, თითქოს გრძნობდნენ, რომ მათი დღეები დათვლილიაო. ამიტომ ისინი იკბინებოდნენ როგორც შემოდგომის ბუზები. არ ჩერდებოდნენ არავითარი დეენისა და შეურაცყოფის წინაშე. ხშირი მაგალითი იყო ჩვენი ამხანაგების თვითგასამართლება მიტინგებზე და კრებებზე მენშევიკებისა და ესერების პროვოკაციული მოწოდებების გამო.

ჩვენ, ბოლშევიკები, მაინც არ ვერიდებოდით და არ ყოფილა ისეთი მიტინგი ან კრება, რომ ჩვენი ამხანაგები არ გამოსულიყვენ და პროლეტარული ლოზუნგები მასაში არ გადაესროლათ. მახსოვს ერთხელ კასპის ზღვის მატროსებში გამგზავნეს მიტინგზე. მატროსების დიდი უმრავლესობა ესერებს თანაუგრძნობდა. თან გამაყოლეს კრონშტადიდან ჩამოსული ამხანაგი მატროსი, რომლის საშვალებით გვინდოდა მატროსებზე გავლენა მოგვეხდინა. ესერები ტრიბუნაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენს გინებაში. განსაკუთრებით ილაშქრებდნენ ამბ. ლენინის წინააღმდეგ, რომელსაც გერმანიის ჯაშუშს უწოდებდნენ. თავს იჩენდა ლენინის გინებაში, განსაკუთრებით განირჩეოდა ვიღაც თურქია. როგორც იყო, სიტყვა ჩვენს ამხანაგს, კრონშტადელს ეერგო. გაიგეს თუ არა, რომ ის ბოლშევიკია, ტრიბუნიდან ჩამოაგდეს—სულ რაღაც 5-8 წუთი არ დაეცალეს ლაპარაკი ესერების კლაკიორებმა. სიტყვა მეც მერგო. საშინელი სულიერი განწყობილება არსებობდა. მტრული სულისკვეთებით იყო მთელი მიტინგი გაჟღენთილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბიბიეიბათის მუშებს, რომლებიც ლომებივით იბრძოდნენ, მაგრამ უმცირესობაში იყვნენ. არავითარი იმედი რაიმე გავლენის მოხდენისა არ იყო. გადავწყვიტე ამიტომ რაც შეიძლებოდა მწვავედ გამოესულიყავი. ჩემი სიტყვა დავიწყე ასე: „მე ვამაყობ მით, რომ ვეკუთვნი კომუნისტურ პარტიას, იმ პარტიას, რომელიც შერჩა მუშათა კლასს და თავგამოდებით იცავს მის ინტერესებს, კიდევ უფრო ვამაყობ მითი, რომ არ ვეკუთვნი ამ (მიუთითე ესერებს) ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა ხროვას, რომელიც მუშათა კლასს სისხლში ახრჩობს და სხვადასხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთმა მკვახე და გაბედულმა გამოსვლამ ამ საშინელ ატმოსფერაში, რაღაც გაელენა იქონია და ჩემი სიტყვა გაგრძელდა $^1/_2$ საათს. მიტინგი სდუმდა. ეს არ ესიამოვნა ესერებს და შექმნეს ყვირილი: „ძირს, პროვოკატორი, ძირს გერმანიის აგენტი, თვითგასამართლება მაგას“ და სხვა. მაგრამ მიტინგი თითქმის ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი მკიცხავდა, მეორე მუშტებით მოიწევდა, კინაღამ სისხლი დაიღვარა, რომ ბიბი-ეიბათის მუშებს ხერხისთვის არ მიემართათ. რამოდენიმე მუშა მოვიდა ტრიბუნასთან და მითხრა: ამხ. ციბაძე, ჩამოდი ტრიბუნიდან, წავიდეთ ჩვენ, მუშები, აქედგან, მუშებს ამათთან არაფერი საქმე არა აქვთო. გამიტაცეს და გავიდით მიტინგიდან. ესერები ნანობდენ, რომ ვერ მოახერხეს ჩემი თვით-გასამართლება და ერთი „ურჯულოს“ სისხლი ვერ დაღვარეს.

ასეთი მაგალითები ფრიად ხშირი იყო, მიუხედავად ამისა ბაქოს პროლეტარიატი თავის ხაზს მედგრად ატარებდა, მას ვერ აშინებდა მტრის გველური სისინი. ყველა ამას ისიც უნდა დავუმატოთ რომ ჩვენი პრესაც შეეიწროებული იყო. პირველ ხანებში, როდესაც პრესა თავისუფალი იყო, თვით ბოლშევიკები ვერ სარგებლობდნენ. პირიქით, ცდილობდნენ დამოკიდებულება არ გაემწვავებიათ გაბატონებულ პარტიებთან და ათავსებდნენ „ლმობიერ“ წერილებს, თუმცა ბოლშევიკურს, მაგრამ მაინც „მშვიდობიანს“. პირადათ მე ასეთ მდგომარეობას ვერ ვურიგდებოდი. არ ვიცი რითი აიხსნება—დიდი რევოლიუციონური ინსტინქტით, თუ დიდი უჭკუობით ასეთ მშვიდობიან კილოს ჩვენი პრესისას ვერ ვიტანდი. ამავე დროს პეტროგრადიდან და მოსკოვიდან ვღებულობდით ბალშევიკურ გაზეთებს, რომლებთან შედარებით ბაქოს ჩვენი გაზეთები „მენშევიკური“ გაზეთს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბალშევიკურს. რამდენჯერმე მე და ნუშიკ ზავარიანმა მივეცით წინადადება რედაქციას და ორგანიზაციას, რომ ზოგიერთი უფრო მწვავე წერილები გადმოგვებეჭდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ არ თანხმდებოდენ—დამოკიდებულებას გაამწვავებსო *). ამის შემდეგ ორგანიზაციის „გარეშე“ („დისციპლინა დავარღვიეთ“) ამხ. ნუშიკ ზავარიანის ქალმა და მე მოვილაპარაკეთ, მოვნახეთ მესტამბე, ამოკრიფეთ ყველა მოსული ნომრებიდან მოსკოვის „სოციალ დემოკრატიდან“ და პეტროგრადის „პრავდა“-ან რაც რამ მწვავე და მაგარი წერილები იყო და გამოვუშვით გაზეთის კრებული „პრავდა“-ს

*) ჩემზე უფრო თავგამოდებით გაზეთის საქმეში მუშაობდა ამხ. ნუშიკი. აღსანიშნავია, რომ ამხ. ნუშიკი დაუღალავი მუშაკი იყო. ყოველთვის არალეგალური მუშაობის დროს ერთად ერთი ამხანაგი იყო ნუშიკი, რომელიც თითქმის ყველაზე მეტს მუშაობდა პრაქტიკულად. თითქმის მთელი ბაქოს ორგანიზაცია იმ დროს მასზედ იყო დამოკიდებული. ეს უნარი მუშაობისა მას შერჩა მენშევიკების დროსაც და დღემდისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით რიცხვით 8 ათასი ეგზემპლიარი. 5 ათასი ბაქოში გავავრცელეთ უფასოდ და სამი მე წამოვიღე ტფილისში გასავრცელებლად. ასეთი კრებულის გამოშვების წინააღმდეგ ამბ. სტეფანე შაუმიანიც იყო. ეს კრებული ყუმბარასავით გავარდა, როგორც ესერებში და მენშევიკებში, ისე ჩვენებშიაც ნაწილობრივ. მუშები და ჯარისკაცები პირდაპირ იტაცებდნენ გაზეთებს. ამ ხანებში ბაქოს კომიტეტის მდივანი ვიყავი. ორგანიზაციამ პასუხი მოგვთხოვა ასეთი „ურჩობისთვის", მაგრამ აქ დაგვეხმარა ამბ. შაუმიანი, რომელმაც გამონახა რაღაც პარტიული წესდების მუხლი, რომლის ძალით ყველა ჯგუფს უფლება ჰქონდა თავისი გაზეთი გამოეშვა. თუმცა მე და ნუშიკი ჯგუფი არ ვიყავით, მაგრამ საკითხი უყურადღებოთ დასტოვეს: არავითარი ზომებისათვის არ მიუმართავს ორგანიზაციას, მხოლოდ ჩვენ ვატყობდით, რომ კომიტეტის წევრებს არსებითად ამ კრებულის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

აგვისტოს შუა რიცხვებში აკათმყოფობის გამო იძულებული ვიყავი ბაქო დამეტოვებინა და ტფილისს ვსტუმრებოდი. ტფილისშიდაც საშინელი გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა. განსხვავება ის იყო, რომ ჯარისკაცები ტფილისში თავის დიდი უმრავლესობით ბოლშევიკებს უჭერდა მხარს, მხოლოდ მუშებში და გლეხებში მენშევიკები სჭარბობდნენ, შეიძლება ითქვას, რომ დიდი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ამ დროს უკვე ამბ. ლენინის ცნობილი თეზისები და მისი ლოზუნგები ჩვენი პარტიის უმრავლესობის მხრით მიღებულ იქნა. ამ ნიადაგზე გაჩაღდა ხელ-ჩართული ბრძოლა მენშევიკებთან. ბოლშევიკური ლოზუნგები: „ძირს ომი", „გაუმარჯოს ზავს", „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", „მიწა გლეხებს" მალამოსავით მოედო რუსეთის მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს. როგორც გაზაფხულზე ყინული, დაიძრა ჯარისკაცები ფრონტიდან და სახლისკენ გაეშურა. ფაქტიურად ოსმალეთის საზღვარზე ომი შეწყდა, ზავი ჩამოვარდა. კერენსკის მთავრობას არ შეელოდა არავითარი აგიტაცია, არ უშველა არც 18 ივნისის შეტევამ დასავლეთის ფრონტზე. ჯარს დასვენება უნდოდა, ჯარი სახლისკენ მიილტვოდა, ასეთივე სურათს წარმოადგენდა რუსეთ-ოსმალეთის ფრონტიც. ნიადაგი მზადდებოდა ჩვენი გამარჯვებისა. ჰაერში ოქტომბრის გადატრიალების სუნი დატრიალდა. ყველაფერი იმაზე ლაპარაკობდა, რომ დღეს თუ ხვალ ბოლშევიკები ჩაიგდებდნენ ძალა-უფლებას ხელში. მხოლოდ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ჩვენი უბედურება ის იყო, რომ ჩვენი ორგანიზაცია სუსტი იყო მენშევიკებთან შედარებით. ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკების ბლოკი. მუშების უმრავლესობა მენშევიკების მხარეზე იყო, რადგან ამ უკანასკნელებმა თავისი ცრუ-სოციალისტური ფირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით შესძლეს მუშათა მოწინავე რიგების გაბიაბრუება და ანტი-მუშურ გზაზე დაყენება. ბალშევიკურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა საოლქო კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქნა რევოლიუციის შემდეგ კავკასიის პირველ ლეგალურ ყრილობაზე. საოლქო კომიტეტში შედიოდა: ფილიპე მახარაძე, სტეფანე შაუმიანი, სერგო ქავთარაძე, ალიოშა ჯაფარიძე, არშაკ ათაბეგოვი, ვანო ფიალეტოვი, მალაქია ტოროშელიძე, ნაზარეტიანი ამაიკ, ორი ჩრდილო კავკასიიდან (გვარები არ მახსოვს), სხვების გვარები აღარ მაგონდება. მხოლოდ შემდეგ კოოპტაციის საშვალებით შეყვანილ იქნა ლადო დუმბაძე და კოტე ცინცაძე. უმთავრესი ყურადღება საოლქო კომიტეტს მიქცეული ქონდა მასის უმრავლესობის დაპყრობისაკენ, მისი ორგანიზაციულად დარაზმვისაკენ. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ამ ამოცანას ის ასრულებდა. საოლქო კომიტეტთან არსებობდა სამხედრო ორგანიზაცია, რომლის სულის ჩამდგმელად იმ დროს ითვლებოდა ამხ. კორგანოვი. სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობდნენ ამხ. კუზნეცოვი, მარტინოვი, პისკუნოვი. მათ მოვალეობას შეადგენდა ჯარში მუშაობა და მისი ორგანიზაცია. გარდა ამისა, არსებობდა საოლქო კომიტეტთანვე პარტიული სამხედრო შტაბი, რომლის სათავეში იდგნენ ლადო დუმბაძე და კ. ცინცაძე. შტაბის მოვალეობა იყო მუშების შეიარაღება, იარაღის შეძენა და მზადება აჯანყებისთვის. თუ არ ეცდები, ეს იყო 1917 აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში. საოლქო კომიტეტი გაფაციცებით ემზადებოდა იმ მომენტისთვის, როდესაც პეტროგრადისა და მოსკოვის მუშები ძალა-ღონეს ხელში ჩაიგდებდენ, რომ აქაც შეგეძლებოდა აჯანყების საშვალებით ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მოახლოვდა მეორე საბჭოთა ყრილობა. საშინელი ნერვიულობა ეტყობოდა მენშევიკ-ესერებს, ნერვიულობდით (ვდელავდით) ჩვენც. ყველა რაღაცას მოველოდით, გაფაციცებული მუშაობაა: ორგანიზატორების კრებები, ინსტრუქციების დარიგება მათთვის, ძალთა აღნუსხვა, იარაღების აღწერა, ხუთეულების და ათეულების შედგენა რაიონებში, აგიტაცია, პროპაგანდა, ერთი სიტყვით, ყველა ამხანაგი, ყველა გულ-წრფელი ბალშევიკი, რომელთაც არ გაჰქრობოდა რევოლიუციონური ცეცხლი თითქო ელექტრონით იყო გაჟღენთილიო, დაუღალავად მოქმედებდა, რაც შეეძლო არ ზოგავდა ენერგიასა და ძალ-ღონეს. მოახლოვდა საბჭოთა (რუსეთის) მეორე ყრილობის დღეც—25 ოქტომბერი. ძარღვებ დაჭიმული ველოდებით ცნობებს, საკმარისია პატარა ნაპერწკალი, რომ ცეცხლი დაინთოს, შეებას ორი ძალა, ძალა ბურჟუაზიული წყობილების დამცველებისა და პროლეტარული რევოლიუციის მებაირახტრეთა: მენშევიკ ნუსაშატ-დაშნაკთა ბლოკი და ბოლშევიკები კბილებ დალესილები ერთმანეთს შესქერიან. გავიდა 25 ოქტომბერი, ცნობები არ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან უკეთ რომ ვსთქვათ, არ იძლევიან მთავრობის განკარგულებათ. ისმის კანტი-კუნტათ, რომ ბალშევიკებმა გაიმარჯვის, ძალა-უფლება საბჭოებმა აიღეს ხელშიო, სწორი ცნობა არ არის, მაგრამ დიდხანს ვერ მოახერხეს ცნობების დამალვა. მეორე თუ მესამე დღეს დეპეშები გამოქვეყნდა. პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვა, ლენინის სტრატეგიამ გასჯრა, მუშათა და გლეხთა მტრები ჩამოგდებულ იქნენ, გზა გაეკაფა საერთაშორისო რევოლიუციას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც წინად ცენტროკიევების ბუდეს წარმოადგენდა, ბურჟუაზიულ ცენტრს ემორჩილებოდა, პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ, პროლეტარულ ცენტრს არ დაემორჩილა და ამიერ-კავკასიის კომისარიატი გამოყოფილ ამიერ-კავკასიის მთავრობათ გამოაცხადეს.

გაამლიერეს დევნა ჩვენი ორგანიზაციისა, ალაგმეს პრესა, გააჩაღეს საზიზღარი კამპანია ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გავიგეთ ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება, მაგრამ ამავე დროს ჩვენი სიხარული მწუხარებითაც იყო მოცული: ჩვენ ვერ შევსძელით მხარი დაგვეჭირა და პეტროგრად-მოსკოვის მუშებთან ერთად აგვეფრიალებინა ოქტომბრის დროშა ამიერ-კავკასიაშიაც.

ცდით ვცადეთ, მაგრამ მოწინააღმდეგეთა სიმრავლემ გვძლია. პირველი ცდა ჩვენი იყო არსენალის ხელში ჩაგდება. არსენალს იცავდნენ კომპარტიის თანამგრძნობი ჯარისკაცები. ჩვენც ვისარგებლეთ ამით და მოვინდომეთ არსენალიდან დაგვეწყო მოქმედება, მაგრამ არც მენშევიკ-დაშნაკელების ბანაკს ეძინა. მათაც კარგად იცოდნენ, რომ არსენალი დიდ ძალას წარმოადგენდა და ამიტომ განიზრახეს მისი სავსებით დაუფლება. მივიღეთ ცნობა, რომ არსენალს მენშევიკ-დაშნაკებმა ალყა შემოარტყესო. მაშინვე შეიკრიბა საოლქო კომიტეტი და სამხედრო შტაბი, სადაც გადაწყდა უბრძოლველად არსენალი არ დაგვენებებინა, თუ ამისთვის ცოტაოდენი შესაძლებლობა იქნებოდა. ამ დროს შტაბის უფროსი ვიყავი. მოვამზადეთ ტყვიისმფრქეველების გუნდი ამბ. კიკეკუანის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის გუნდით უნდა შესულიყო არსენალში და შიგ მყოფი მომხრე ჯარის ნაწილისთვის მხარი გაემაგრებინა. მე, ამბ. კუზნეცოვი და პისკუნოვი დელეგაციის სახით არსენალში უნდა შევსულიყავით. საოლქო კომიტეტმა და შტაბმა დელეგაციის ფორმა მოიგონა, რომ როგორმე მენშევიკების ალყა გაგვეველო და არსენალში ამხანაგები გაგვემხნევებია და მათთან ერთად გვემოქმედა, სამხედრო ხელმძღვანელობა გაგვეწია. თუ ამბ. კიკეკუანი მოასწრებდა ალყის სავსებით შემორტყმამდის არსენალში შესვლას, —საქმეს თითქმის მოგებულად ვთელიდით. ამავე დროს ჯარის სხვა ნაწილებშიაც ენერგიული მუ-

შეობაა აჯანყების მოსაწყობად. თან მუშათა რაზმებიც მზადდებიან. ჩვენ (მე, კუზნეცოვი, პისკუნოვი) გავსწიეთ არსენალისკენ, თან სადელეგაციო მანდატი გვაქვს (დელეგაცია თითქო იმიტომ მიდიოდა, რომ საქმე მშვიდობიანად გაეთავებინა). გულში კი სულ სხვა გეგმები გვიტრიალებდა. მივადექით არსენალის კარებს. აქ სადარაჯოებს წავაწყდით. ყველა მენშევიკებია. ჩვენ ვუჩვენეთ მანდატები. აქაც გვესმის ლაპარაკი, რომ ავტომობილი დაიჭირეს ბოლშევიკებით სავსე, ტყვიისმფრქეველები უპოვეს და სხვა. ჰკა მაგათო—გაისმოდა. დარაჯების პირველმა რიგმა გაგვიშვა. მეორე რიგს წავაწყდით. ისინიც გაგვიშვებდა, რომ ნოე ხომერიკს არ დავენახეთ. დამინახა თუ არა, ხომერიკმა, მოვარდა და ბრძანება გასცა დაიჭირეთო. „გაჩხრიკეთ, მაგას იარაღიც ექნება, ალბათ ჩვენი სისხლის დასაღვრელად არის მოსულიო". არსებითად არ სტყუოდა. მომინდომეს იარაღის აყრა. მე არ დავანებე. მოვიდა ალექსანდრე დგებუაძე, რომელმაც მთხოვა მისთვის მიმეტარებინა რევოლვერი. ვხედავდი სხვა გზა არ იყო. ავიღე და მივეცი, ვითომ „მივაბარე". ასევე მოექცნენ ამხ. კუზნეცოვს და პისკუნოვსაც, ჩვენ დავაწვეთ ფორმალურ მხარეს და შეტევაზე გადავედით: „არც კი გრცხვენიათ დელეგაციას იჭერთ, ჩვენ გვინდა საქმე უსისხლოდ გათავდეს, თქვენ კი გვიჭერთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლი გწყურიათ და სხვა და სხვა". ჩვენს ასეთ განცხადებაზე გვიპასუხეს, რომ ჩვენ არავინ დაგვიჭერია, `თავის თავს დატუსაღებულად ნუ სთვლითო და სხვა. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება. ჩვენ მოვახერხეთ არსენალის დამცველ ჩვენი ამხანაგებისათვის შეგვეტყობინებია საქმის მდგომარეობა, გავაგებინეთ, რომ არსენალის დაცვა ჯარის სხვა ნაწილს არაფრამდის არ დაუთმონ და სხვა. წინააღმდეგობის გაწევაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგან არსენალი ფაქტიურად დაჭერილი იყო ჯარებით—ქართული და სომხური ნაციონალური ჯარებით გაესებული იყო ყველაფერი. ამბ. კიეკუცანმა ველარ მოასწრო არსენალში შემოსვლა და სადარაჯოზე დაატყვევეს თავის გუნდით და ტყვიისმფრქეველებით. ისეთი პიროობები შეიქნა, რომ მართლაც დელეგატების როლი უნდა შეგვესრულებინა. მუჯელობა ტრიალებდა იმის გარშემო, თუ ჯარის რომელ ნაწილს მიეცდოს არსენალის დაცვა. ჩვენი „დელეგაცია" საკითხს აყენებდა ასე: რა მოსაზრებით და რისთვის არ ენდობით თქვენ იმ ნაწილს, რომელიც აქამდე იცავდა და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ისინი სდუმდენ ამ კითხვაზე, რადგან აშკარად ვერ ბეღაედნენ უნდობლობა გამოეცხადებინათ ჯარის ნაწილისთვის. თვით ის ნაწილი, რომელიც არსენალს იცავდა, აგრეთვე აყენებდა კითხვას: რა უფლება გაქვთ, რომ ჩვენ უნდობლობას გვიცხადებთო. მიუხედავად მენშევიკ-დაშნაკების ღონის-ძიებისა მათ ვერ შესძლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილის გამოცვლა და თავისიანების ჩაყენება. დაბოლოს შევთანხმდით, რომ დაგვეტოვებინა ისევე ძველი სადარაჯო და კიდევ ერთი ნაწილი ქართულ სომხურ ნაციონალური ჯარისა, რომელსაც მენშევიკ-დაშნაკები ენდობოდენ, და მოლაპარაკება კი დაგვემთავრებინა სასახლეში. ამავე დროს თითქო სასახლიდანაც დაეძახათ, რომ მოლაპარაკება შესწყვიტეთ, აქ მოდით და გავგრძელოთ ლაპარაკიო. ჩავსხედით ავტომობილში და წავედით სასახლეში. ჩვენ გზაში პროტესტს ვიცხადებთ ჩვენი დატყვევების გამო. გზაშივე ალექსანდრე დგებუაძემ დამიბრუნა ჩემი რევოლვერი. სასახლეში მისვლისთანავე კიდევ განვაცხადეთ პროტესტი. გამოვიდა ნოე ჟორდანია და გამოგვიცხადა, რომ ჩვენ სულ ტყუილ უბრალოდ ვთელით თავს დატყვევებულად, რომ ჩვენ არავის დაუტყვევებივართ, მხოლოდ აქ თუ მოგიყვანეს—ეს იმიტომ, რომ მოლაპარაკება დავამთავროთ და ბოლო მოვუღოთ მოსალოდნელ გაუგებრობასო. ჩვენს გარდა კიდევ გამოიწვიეს ერთი წევრი საოლქო კომიტეტისა, მგონი ამხ. ნაზარეტიანი. დაიწერა ხელშეკრულება, რომლის ძალით არსენალის „მფლობელათ" მესამე მხარეთ ბოლშევიკებიც შედიოდა. არსენალის დაცვა ენდობა (თუ მეხსიერება არ მღალატობს) შერეულ ჯარის ნაწილებს, არც ერთი თოფი არ გაიცემა თუ სამივე მხარეს თანხმობა არ არის. საქმე იმაში იყო, რომ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები იარაღს იტაცებდნენ. უფრო სარგებლობდენ დაშნაკები. ათასობით თოფები, მილიონობით პატრონები გაჰქონდათ „დაშნაკებს" და „მუსავატლებს" და ამ დროს ჩვენ, ბოლშევიკები, უიარაღოთ ვიჯექით. ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ რაზმებს, რომლებიც ყარაულოვის ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, ტფილისის არსენალიდან გაჰქონდათ იარაღი. სწორედ ამიტომ შევიტანეთ ის მუხლი, რომლის ძალით იარაღის გაცემა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო სამივე მხარის დაუთანხმებლად. დაწერილებით მოგონება ფრიად ძნელია ხელშეკრულებისა. ცხადია, რომ ხელშეკრულება უბრალო ფარატინა ქაღალდი იყო, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ძალთა განწყობილება იქნებოდა მუშათა და ჯარის ორგანიზაციებში. თუ კი ჩვენ, ბოლშევიკები, შეეძლებდით უმრავლესობის შექმნას ჯარში და მუშებში, კითხვა გადაჭრილი იქნებოდა. მენშევიკ-დაშნაკებიც ასე მოიქცნენ; ვრძნობდნენ რა უმრავლესობას მუშათა და ჯარის ორგანიზაციებში თავის მხარეზე, მათ იერიში იერიშზე მოქონდათ, რომ მთელი ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოთ, სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყვნენ მდგომარეობისა. ცხადია, ისინი ცდილობდნენ ზუგრი გაემაგრებინათ და ჩვენის მხრით მოსალოდნელი იერიშები ადვილად მოეგერებინათ, ამ მიზნით ისინი განუწყვეტელ აგიტაციას ეწეოდნენ რუსის ჯარის ნაწილებში სახლში წასვლის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ. იმათ იცოდნენ, რომ რუსის ჯარში ჩვენ დიდი გავლენა და ავტორიტეტი გვაქვს. ჩვენ კი ვცდილობთ ჯარის საუკეთესო ნაწილები შეგვემგრებინა და გვესარგებლა მით მეწშევიკ-დაშნაკების ჩამოსაგდებათ.

მგონი დეკემბრის პირველ რიცხვებში, როდესაც მეწშევიკებმა იარაღით ხელში არსენალი ხელთ იგდეს და რამდენიმე დარაჯი მოჭკლეს, --საშინელი მღელვარება დაიწყო ტფილისის გარნიზონში. განსაკუთრებით ღელავდა „საპიორონი“ ბატალიონი. ამავე დროს ჩვენ შეესძელით ქართული ჯარის რამოდენიმე პოლკი ხელთ გვეგდო, ბოლშევიკურად მოგვემზადებინა. ასეთი გარემოებით ვისარგებლეთ და მოვინდომეთ ამ ჯარისა და ჩვენი მუშათა ორგანიზაციის საშვალებით გადატრიალება მოგვეხდინა.

სიგნალი „საპიორონი“ ბატალიონიდან უნდა მიგვეცა, ამ მიზნით მე და კუზნეცოვი ჩავჯექით ზემოხსენებულ ბატალიონის ყაზარმაში. საბურთალოზე ქართული ჯარის ნაწილებიც მზად იყო. თითქმის გარნიზონის დიდი უმრავლესობა მზათ იყო გამოსვლისათვის. უკანასკნელ ცნობებს ველოდებით ყაზარმაში, რომ გამოსვლის ნიშანი მივცეთ. მივიღეთ ცნობები, რომლებიც ხელ-საყრელი არ იყო. თითქმის გარნიზონის უმრავლესობაში მეწშევიკებს თავისი საზიზღარი აგიტაციით რყევა შეეტანა: მათ გადაეგდოთ ლოზუნგი სახლში წასვლისა: რათ უნდა დაღვაროთ ძმათა სისხლი, უმჯობესი არ არის ცოლ-შვილთან მშვიდობიანად წახვიდეთ და სხვადასხვა. ჯარში ისედაც იყო ძლიერი განწყობილება სახლში წასვლისა, ასე რომ, მეწშევიკების აგიტაცია ნოყიერ ნიადაგზე დაეცა. ჯარი შერყა. ცხადია, რომ ასეთი სულისკვეთება დაფარული არ დარჩა „საპიორონი“ ბატალიონისთვისაც, რამაც ისინი რყევაში შეიყვანა. დავინახეთ რა ასეთი სულიერი მდგომარეობა, ჩვენ იძულებული ვიყავით ლიკვიდაცია მოგვეხდინა დაწყებული საქმისა. ასე და ამგვარად, ჩვენი მეორე ცდაც უნაყოფოდ დამთავრდა.

ამის შემდეგ საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა უფრო ხანგრძლივი და დადებითი მუშაობა ეწარმოებინა მეწშევიკ-დაშნაკ-მუსავათთა მთავრობის წინააღმდეგ. და ამ მიმართულებით გადაჯგუფა თავისი ძალები. საჭირო იყო რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება. თითქმის სავსებით მოწყვეტილი ვიყავით ოქტომბრის რევოლიუციის ცენტრს. ბაქო კერენსკის მთავრობის მომხრეთა ხელში იყო. ჩრდილო კავკასიაში (თერგის ოლქში, დაღესტანში) უარაულოვი თარეშობდა. ყუბანი და დონის ნაწილები კონტრ-რევოლიუციონური ყაზახების ხელში იყო. ეს ის ხანა იყო, როდესაც კონტრ-რევოლიუციონური ძალები ირაზმებოდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ბუდეთ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუბანი და დონი ამოირჩიეს. ამგვარად ჩვენი,—ბოლშევიკური, ორ-განიზაცია ამიერ კავკასიაში ერთავად მოწყვეტილი იყო თავის ცენტრს. მიუხედავად ამისა ადგილობრივი ორგანიზაცია საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით საკსებით სწორს, პროლეტარულ პოლიტიკას აწარმოებდა ამიერ-კავკასიაში.

საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა ჩემი გაგზავნა პეტროგრადს კავშირის აღსადგენათ, ინფორმაციის გასაკეთებლად და მატერიალური დახმარების გამოსათხოვად. ფრიად ძნელი იყო. დავალების შესრულება, რადგან მე უნდა გამევლო მენშევიკ-ესერების ბაქო, კონტრრევოლიუციონური დაღესტანი, თერგი, ყუბანი და დონი. მიმოსვლა საშინელი ძნელი იყო. მატარებლები თითქმის კვირაობით არ იძვროდნენ ხაზებზე ან თუ დაიძვროდნენ, იმედი არ იყო მიგვიყვანდა დანიშნულ ადგილამდის, თუ სადმე გადაიჩეხებოდა. როსტოვში ჩავედი. აქ უნდა გადავმჯდარიყავი ხარკოვში მიმავალ მატარებელში. როსტოვის სადგურზე გულმოდგინეთ გაგვეხრიკეს. მეშინოდა წელზე აკრული სერიოვას და სტეფანეს წერილები არ გამოეძროთ, თორემ ციხეში არ წამიყვანდნენ—იქვე, ხალხის დასანახავად, ალბათ, სადგურის პირველ ბოძზე ჩამომკიდებდნენ. აეწერელი ზიზღი და მტრობა ეტყობოდა სულ უბრალო ყაზახებს ბოლშევიკებისადმი. როგორც იყო, ყაზახების გულმოდგინე ჩხრეკას ჩემმა წერილების გულმოდგინეთ „შემოკვრმა წელზე“ აჯობა და გადავრჩი. ყაზახებს კი გადავრჩი, მაგრამ მატარებელში შესვლა არ გინდა?! ჯერ ერთი, მატარებელი სახელად ჰქვიოდა, მხოლოდ არც ერთი ფანჯარა არ ჰქონია, თითქო არას დროს არ ქონებოდეს შუშებიო. აუარებელი ხალხი, ბავშვები, მოხუცნი, ქალები. არც კი არჩევენ საით მიდის მატარებელი. სულ ერთია, ოღონდ როსტოვს გაშორდნენ, სადმე ახალ ადგილას მოიკალათოს და კვირაობით კიდევ უცადოს რომელიმე მხარეზე მიმავალ მატარებელს. ვაგონში შესასვლელად მუშტი-კრივი იყო საჭირო. მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა და როგორც იყო, ვაგონის კიბეებამდის მივედი. რა ახლოს არის ბედნიერება! რამოდენიმე წამის შემდეგ თუ ვაგონში არა, კარიდორში მაინც მოვხვდები. დიდი გაჭირვებით კარიდორში მოვხვდი, მატარებელიც დაიძრა. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ხარკოვში ჩავედით. აქ კიდევ გადაჯდომა დაგვჭირდა. ხარკოვი ბოლშევიკების ხელშია. სადგური გაჭედილია ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცებით. წარმოიდგინეთ, რომ ბილეთის ყიდვაში დამეხმარა ბოლშევიკური დოკუმენტები, რომელიც აქ უშიშრად გამოვიღე დღის სინათლეზე. გაამზადეს მატარებელი, მაგრამ ის უკვე ხალხით გატენილი აღმოჩნდა, პირველ ზარს და მეორეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც მატარებელი უგდებს ყურს. ხან ზარამდის მიდის, ხან კი მესამე ზარის შემდეგ ნახევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე დგას. უკანასკნელი ენერგია მოვიკრიბე და ვაი-ვაგლახით ზოგი ძალით, ზოგი ხერხით ვაგონის ასასვლელ კიბეებამდის მივაღწიე. პირველ საფეხურზე ფეხი ჩამოვდგი და ხელი რკინის მოაჯირს ჩავკიდე. წინსვლაზე ფიქრი ოცნებაა. ჩემს გარდა კიდევ ხუთი კაცია (ჯარისკაცი) დაკიდული საფეხურზე. მატარებელი დაიძრა. საშინელი ყინვა და სიცივეა. ორი თუ სამი სადგური საფეხურზე დაკიდულები ვმგზავრობთ, მეოთხე სადგურზე ორი საფეხური ავიცავლეთ და მხოლოდ თავი შევყავი კორიდორში. მეექვსე თუ მეშვიდე სადგურზე კორიდორში დავდექი, მხოლოდ ისეა გატენილი კორიდორი, რომ ფეხები იატაკზე აღარ მიდგას, ჰაერში ვარ აყვანილი. ვორონეჟს რომ მიუახლოვდით, ვაგონის შიგნით კორიდორში შეველი თუ შეიძლება შესვლა დაუძახოთ ასეთ შეთრევას. აქ კი თითქო პირველი კლასის კუპე იყოს ჩემთვის. ადამიანები ერთმანეთს აწევან, მეც ვიღაცეებს დავაწევი. არაქათი აღარ არის ფეხზე დგომის. შეუძლებელია საპირფარეშოში შესვლა. ბუნებრივ მოთხოვნილებას, სადაც წვანან თუ დგანან, იქვე იკმაყოფილებენ. მგონია, რომ არაფის შეეხარბება ასეთი მგზავრობა. გულში ვფიქრობ: რა პირუტყვია ადამიანი! ყველაფერს შეურიგდება, ყოველ გაჭირვებიდან გამოძვრება. ერთ-ერთ რომელღაც სადგურზე მატარებელი დადგა და გავიგეთ, რომ ამას იქით ის აღარ წავა. იქვე გვერდით მეორე სამარგო მატარებელი დგას. ორთქლმავალი მოსკოვის. კენ უბია. ბევრი აღარ მიფიქრია, ერთ-ერთ „ტეპლუშკაში“ შევათრიე თავი. სავსეა ვაგონი ჯარისკაცებით, „მეტომრეებით“, (Мешочники) ვაშლი ვერსად დავარდებაო ისეთი მდგომარეობაა. კარები ვაგონის ღიაა. სიცივე და ყინვა ძვალ-რბილში ატანს.

ასეთ ყოფაში მოსკოვს მივაღწიეთ. მოსკოვში სურათი თითქმის სავსებით იცვლება. აქ წესიერების აღდგენა მოუსწრიათ. ყველაფერი თავის ადგილას დგას; მატარებლებზე ისე ანარქისტულად, როგორც სხვა სადგურებზე, ხალხს აღარ უშვებენ. სახალხო მატარებლები ოდნაე უკეთეს მდგომარეობაშია. პეტროგრადში მიმავალი მატარებელი გამზადებულია. თვალი მოვავლე პროტექციონულ ვაგონს. აღარ მახსოვს, მგონი ამბ. სკლიანსკის ეკუთვნოდა. მიუხედავად ვაგონის კომენდანტის პროტესტისა, შევედი ვაგონში. ადგილები არ არისო მითხრეს. რათ მინდა ადგილი, როდესაც პირველი კლასის ვაგონის კორიდორი სულ თავისუფალია. იატაკზედაც ნოხი აგია. ამასთან ერთად თბილა საუცხოოდ. რომ შემეხვეწონ, კუპეში არც შეველ. დოკუმენტები გამისინჯეს და ვაგონში დამტოვეს. თავისუფლად ამოვისუნთქე. მაშ, პეტროგრადს ჩქარა ვინახულებ, ოქტომბრის რევოლიუციის დედა ქალაქს ვესტუმრები, მის შტაბში—სმოლნი ინსტიტუტში—რევოლიუციის ბელადებს ვნახავ. პირველად ვარ პეტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

√ გრადში. სადგურიდან გავედი. გზა არ ვიცი. იქვე ეტლი დგას. მინდა შენობებს, ქუჩებს შევხედო, წავიკითხო ოქტომბრის სიდიადე. თითქო გავიზარდე. ჩემი თავი დიდი რაღაც მგონია, როდესაც პეტროგრადში ვიმყოფები. გამახსენდა თბილისელი ამხანაგები, რომლებსაც პეტროგრადი ოქტომბრის შემდეგ არ უნახავთ. ბევრია ისეთი ამხანაგებო, რომლებიც ნიკოლოზ II-ის პეტროგრადში ცხოვრობდენ, ყველა ქუჩები იციან, უბრძოლიათ თვითმპყრობლობის წინააღმდეგ; მე კი მეფის მთავრობის პეტროგრადი არ მინახავს, ეხლა კი წითელი პეტროგრადი ვნახე, ვამაყობ ‘ამითი, თითქო იმ ამხანაგებზე უფრო გავიზარდე მე ვნახე, მათ ამბავს ვეტყვი.—ასე ვფიქრობდი თავისთვის, სანამ მეეტლეს დაველაპარაკებოდი. საუბედუროდ ჩემდა, ბურუსიანი დღეა, კარგათ არ სჩანან შენობები, ხალხი ქუჩები. მეეტლეს ვაჭრობა არც კი დავუწყე, მეჩქარება, რა დროს ვაჭრობაა: სმოლნისკენ მივეჩქარები, იქ ლენინს ვნახავ, იმ ლენინს, რომელმაც ახალ ცხოვრებას, ახალ ბრძოლას საფუძველი ჩაუყარა. დედამიწა შეარყია, ვნახავ ოქტომბრის ავტორს, უნებლიეთ თვალწინ მეორე ბუმბერაზი წარმომიდგა, მეორე საუკეთესო თანამშრომელი ამხ. ილიჩისა, ამხ. ტროცკი. ამას მესამე, მეოთხე მოყვა. გონებაში ამიკერძა ოქტომბრის ყველა ხელმძღვანელები. არც კი გამიგია ისე მიუახლოვდით „სმოლნის“. ეზოში შემოიყვანა ეტლმა. „სმოლნის“ წინ ადამიანების ფუსფუსი, ავტომობილების ხრიალი, ზოგი მიდის, ზოგი მოდის. ეტლები, ადამიანები, შეიარაღებულები, წითელი მოლაშქრენი, წითელ გვარდიელები, ერთი მეორეს სცვლიან. ფანჯრებში ტყვიის მფრქვევლების ტუჩები მოსჩანს... ყველას საქმიანობა ემჩნევა. ყველა სადღაც მიიჩქარის, მოიჩქარის, ასე მგონია „უსაქმო“ მხოლოდ მე ვარ; ბევრი დრო მაქვს არე-მარის სათვალიერებლად, სხვებს კი ამისთვის არ სცალია; ალბათ რევოლიუცია მოითხოვს ყველას საქმიანობას, სიჩქარეს: რაღაც გამზრინა ტანში, ერუანტელმა დამიარა, გრძნობები ამიჩუყდა: მეც მინდა ამ საერთო ფერხულში ჩავერიო, სადმე მივეჩქაროდე, რაიმე დავალებას, დიდ დავალებას ვასრულებდე. თფილისი დამავიწყდა, რამოდენიმე წამით თავი პეტროგრადის მუშაკათ წარმოვიდგინე: თითქო მეც გავრბივარ სადღაც, ვფუსფუსებ, დავალებებს ვისმენ, ვასრულებ, სხვას ვავალებ, პასუხს ვსთხოვ და სხვა და სხვა. ათასგვარი ფიქრები მიტრიალებს თავში, ერთი ოცნება მეორეს სცვლის ელვის სისწრაფით. არც კი გამიგია როგორ გავისტუმრე მეეტლე, არც ვიცი ფული მივეცი თუ არა: ალბათ მივცემდი, რადგან არ მაწუხებს. კიდევ დიდხანს ვიქნებოდი ოცნებაში გართული, რომ ერთი ჯარისკაცი არ მოსულიყო და არ ეკითხა: „თქვენ რა, ან ვინ ბნებავთ“? ამ კითხვამ გამომარკვია. პასუხი უცბათ ვერ მივეცი. შემდეგ უთხარი სტალინთან უნდა მივიდე თქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტები გასინჯა, ტელეფონით შეეკითხა სტალინს შეიძლება თუ არა ჩემი გაშვება. დასტური მიიღო. ადგილი მიჩვენა სად უნდა გავჩერებულიყავი რიგში და გასაშვები ბარათი მიმეღო. ის „სმოლნის“ კომენდანტი გამოდგა. საეჭვო პირათ მოვეჩვენე, როდესაც რამოდენიმე წამი უსაქმოთ და წყნარად ვიდექი „სმოლნის“ შესავალ კარებში. რევოლიუციონური ხანა იყო—ბუნებრივია ასეთი ეჭვები. ჩემი რიგიც მოვიდა, ბარათი მივიღე. ელვის სისწრაფით მეორე თუ მესამე სართულში ამოვყავი თავი. სტალინის კაბინეტი ვიკითხე. კრებაზე მიმითითეს. შესვლა დავაპირე, მაგრამ ტანში ისევ სიხარულის ერუანტელმა დამიარა: ვიფიქრე იქნება სტალინის კაბინეტში ილიჩს წავაწყდე თქვა. ალბათ ყველას გამოუცდია ასეთი მდგომარეობა: როცა რამე გინდა მთელი არსებით, ილტვი მისკენ და სურვილი მოულოდნელად აგისრულდება—რაღაც გული ატოკდება, თითქო გაექანაო, სისხლი მთელ ძარღვებში დაგვლის და უცბათ შეჩერდები, მიზნის მიღწევას რამოდენიმე წამით მაინც დააგვიანებ. ასეთ ფსიხიოლოგიურ განცდას განვიცდიდი, როდესაც სტალინის კაბინეტის კარები შევაღე და შევედი. ოთახში მხოლოდ სტალინი იჯდა. დიდი ხნის უნახავები ვიყავით. ძლიერ გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა.

მოკლე ინფორმაციის შემდეგ ამხ. შაუმიანის წერილი ლენინისადმი გადავეცი. ის იყო ამხ. ლენინთან უნდა მივსულიყავით, რომ კარები გაიღო და ილიჩი შემოვიდა. სანამ სტალინი იტყოდა ლენინიაო. რაღაც ინსტინქტიურად ვიგრძენი, რომ ის იყო და ვკითხე—„ეს ლენინი ხომ არ არის თქვა“ მანაც დამიდასტურა. წამოვდექი და მივეგებე. სტალინმა ორგინალურად გააცნო ჩემი თავი: „ეს არის საქართველოს ძველი ექსპორიატორ-ტერორისტი კოტეო“.

ლენინს სახე უღიმოდა, ეტყობოდა, რომ დიდი ხანი არ იყო რაც დევნისათვის თავი დაუხწევია. ივლისის დღეებში გაპარსული წვერ-ულვაში ახლად ამოსდიოდა. „აბა მომიყევით საქართველოს ამბები-“ო, მითხრა მან. ამბების მოყოლამდის წერილი წაიკითხა. ვიცოდი, რომ დრო ცოტა ქონდა და მინდოდა მოკლედ მოვყოლოდი ჩვენი ამბები, მაგრამ ვერ მოვახერხე, როგორც იყო, არსენალის ამბებამდის უთხარი ყველაფერი. როდესაც არსენალის ამბავს უყვებოდი და აღვნიშნე მისი (არსენლის) მენშეიკების მიერ ხელში ჩაგდება, მან შემაჩერა და მითხრა: „მაშ, არსენალი მენშევიკებს მიეცით?!“ მე მინდოდა მიზეზები მეთქვა, ამეხსნა რატომ მოხდა ეს და განვაგრძე, მაგრამ მან კიდევ გამაწყვეტინა და ხელმეორეთ შემეკითხა: „არსენალი ხომ მაინც ჩააბარეთ მენშევიკებს“! მე გავიგე, რომ მიზეზები მას ჩემზე უკეთ ესმის, ან უკეთ გაიგო და გავსწყვიტე ლაპარაკი. შემდეგ ამისა მკითხა ყველა მისი ნაცნობი ამხანაგების შესახებ. მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგონა თითქმის ყველანი. ამ დროს ამხ. კამოც შემოვიდა. ლენინს ეჩქარებოდა. წამოდგა, ხელი გამომიწოდა და სტალინს მიმართა... ყველაფერი, რაც საჭირო იყოს და მოითხოვონ, შეუსრულეთ საჩქაროდ. ნუ დაგვიიანებთო." წასვლისას სთქვა: მე წავალ, თქვენ კი განაგრძეთ მუსაიფი, „ჭუჭუნი"-ო აუწერელი შთაბეჭდილება დასტოვა. სულ უბრალო ადამიანი, უბრალო ამხანაგი. ადამიანი, რომელიც მთელ ქვეყანას აზანზარებს, რომელიც ყველას საშინელ ადამიანად ყავს წარმოდგენილი (ცხადია ამხანაგები არ მყავს მხედველობაში), აგერ, სულ რამდენიმე წუთის წინ ჩემთან მუსაიფობდა, იცინოდა, მასხარაობდა, უბრალოდ, სადათ ჩაცმული, უბრალოვე მოქცეული მოსაუბრეს იზიდავდა, განწყობილიც რომ არ ყოფილიყავი, მოკრძალებასაც რომ არ ჰქონებოდა ადგილი ანუ უხეროულობაც რომ გეგრძნო ისე დაიწყებდა ლაპარაკს, ისე მოგექცეოდა, რომ ყველაფერი დაგავიწყდებოდა და თავ. მის სწორად იგრძნობდი, ან უკეთ. რომ ვთქვა გაგრძნობინებდა, რომ საქმე სრულებით შენს თანასწორ ანხანაგთან გაქვს. ამიტომ სითამამე გემატებოდა და რაც სათქმელი იყო, გაბედულად, დაუფარავად ეუბნებოდი. (ამას მით უმეტეს ვამბობ, რომ მე მასთან შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ მომიხვდა შეხვედრა) მაგრამ მის უბრალოებაში (თუ შეიძლება ასე ითქვას) გრძნობ სიძლიერეს, გრძნობ, რომ ეს ადამიანი გიპყრობს, გხიბლავს, გაჯადოებს, რწმენას გიმტკიცებს. გიღრმავებს შეხედულებას და ერთიანად ბრძოლის ენერგიას გიმტკიცებს. ვისაც მასთან ულაპარაკნია, ვისაც ის უნახავს, ადვილად ახსნის მის ასეთ გავლენას და ავტორიტეტს.

ერთი სიტყვით, სრული კმაყოფილება ვიგრძენი, ვიგრძენი, რომ ოქტომბრის ბედი მძლავრ ხელებშია და მიუხედავად სერიოზულ მდგომარეობისა, რომელშიაც მაშინ საბჭოთა მთავრობა იმყოფებოდა, ვგრძნობ რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს.

ლენინის გასელის შემდეგ სტალინმა, კამოს და მე ვილაპარაკეთ ჩემი და კამოს ჩასელის მიზნის შესახებ, გადავწყვიტეთ, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა, ორ დღეში უნდა გამოვბრუნებულიყავით. რამდენიმე მილიონი მანეთი (ნიკოლოზის ფულების ნიშნებით) მიეცეთ, თან ერთი სამხედრო პირი (ერთ ერთი იმ აფიცერთაგანი, რომელიც პირველ დღეებშივე მიეხმარა ოქტომბრის რევოლიუციას) პოლკოვნიკი ამხ. შერმეტიევი უნდა წამოგვყვანა, როგორც სამხედრო ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში.

როდესაც ყველაფერი გავამზადეთ, პეტროგრადს გამოვეთხოვეთ მგონი 25 – 26 დეკემბერს ძველი სტილით. მატარებელი დაიძრა. ძნელია იმ გრძნობების გადმოცემა, რომელსაც განვიცდიდით: თითქო რევოლიუციონური ტალღები ნელდებოდა რამდენადაც ვშორდებოდით პეტროგრადს. თითქო ხმაურობა, რევოლიუციის დუღილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომელსაც პეტროგრადში ვგრძნობდი, თან და თან წყდება და რა-ღაც მშვიდობიანად განწყობილ არე მარეში გადავდიოდი. ამასთანა-ვე ვფიქრობდი, ვოცნებობდი, რომ იქ, სადაც მივდივარ, დაიწყება ისეთივე ხმაურობა, რევოლიუციის დუღილი, ერიამული, საქმიანობა პატარა მასშტაბით მაინც, და ჩრდილოეთის რევოლიუციონური ცეცხლის ნაღვერდალი ჩქარა შეუერთდება სამხრეთისას: დიახ! ეს ასე უნდა მოხდეს. ეს აუცილებელია, განა ამიტომ არ ებრუნდებით ასე ჩქარა უკან? განა ცეცხლის დასანთებათ არ მივდიეართ ყველანი ჩვენ?! ასე ვფიქრობდი, ასე ვმსჯელობდი თავისთვის. ფრიად მძიმე მგზავ-რობა განვიცადეთ, კიდევ კარგი, რომ ყველა გზაჯვარედინზე დიდ დახმარებას გვიწევდა პეტროგრადიდან წამოღებული მოწერილო-ბანი. ძილზე ან წოლაზე ფიქრი ოცნებობა იქნებოდა, სხვა არაფერი.

რის ვაი ვაგლახით და გაჭირვებით ხარკოვამდის მოვაღწიეთ. ხარკოვიდან რამოდენიმე ათეული ვერსის მანძილზე ფრონტია. მა-ტარებლებს მხოლოდ ცარიცინის ხაზზე უშვებენ. დიდი ნაწილი ცა-რიცინის ხაზისაც დაჭერილია კაზაკების მიერ თითქმის ეკატერინო-დარამდის. გარდა თვით ცარიცინისა და ტიხორეცკაისი, ზოგ ად-გილას ერთ სადგურზე წითელი მოლაშქრენი დგანან, მეორეზე ყაზა-ღები, მესამეზე წითელი არმია, მეოთხეზე კონტრ-რევოლიუციონერები. ბოლოს კი იცი როცა შედიხარ რომელ სადგურზე ვის წაადწყდები. ნნოლოდ ამ ხაზზე ჯერ აშკარა ბრძოლა-შეტაკებები არ არის: ემზადება ომისათვის ორივე მხარე. ხარკოვში საჭირო იყო ფულისა და დოკუ-მენტების ისე გაკეთება, რომ გზაში ვერ ეპოვათ. ვიყიდეთ ორი დი-დი ხის კოლოფი ერთისათვის ორი ძირი უნდა გაგვეკეთებინა—მე-ორე მასალად გვეხმარა. ხარკოვში ამბ. ანტონოვ-ოვსეენკომ, რომე-ლიც მაშინ წითელ ლაშქარს უფროსობდა თეთრებია წინააღმდეგ, გვირჩია ჯერ სარატოვზე წავსულიყავით და სარატოვიდან ასტრა-ხანის რკინის გზით. იქიდან კი ზღვით ბაქოში. ჩვენც დაუჯერეთ, რადგან სხვა ცნობები არც მას და არც ჩვენ არ გვქონდა. მივედით სარატოვში. მივმართეთ აღმასკომს დახმარების აღმოსაჩენად. ბინა თვით აღმასკომში მოგვცეს. ცნობები შევკრიბეთ მარშრუტის შესა-ხებ, გამოირკვა, რომ ასტრახანიზე შეუძლებელია წასვლა. ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ და ცარიცინის ხაზით ვიმგზავრეთ. ცხადია, რომ თეთრების ტერიტორიაზე მოგვიხდება გავლა, მაგრამ სხვა გზა არ არის, თბილისში ჩასვლა კი აუცილებელია. აღმასკომის თავმჯდომა-რეს ვთხოვთ ერთი ცალკე ოთახი მოეცა და ცოტა რამ ინსტრუ-მენტები, კოლოფები გაგვემზადებინა და ფული და დოკუმენტები ჩაგვემალა. თავმჯდომარემ (ანტონოვი იყო) მოგვცა, მაგრამ თან „შერლოკ ხლომბაც“ უნდა გამოეჩინა. ჩვენ გავამზადეთ ყველაფე-რი, ორი ძირი გაუკეთეთ კოლოფს. შიგ მოვაქციეთ, რაც ზედმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საიდუმლო დოკუმენტები იყო, ამის შემდეგ შემოდის თავმჯდომარე სამი-ოთხი ამხანაგეების თანახლებით და მოითხოვენ კოლოფის გახსნას. თურმე თვალ-ყურს გვადევნებდენ, როცა ვმუშაობდით და, ეგონათ, რომ ჩვენ მტრის ბანაკიდან შემოპარულებს გვინდა ავაფეთქოთ აღმასკომი. ბოდიში კი მოიხადეს, მაგრამ „დროს ბრალეიაო“ „რა ექნათო“. ერთი მხრით მართლები იყვნენ, მხოლოდ მეორე მხრით არა, რადგან სანამ გავაკეთებდით, მანამდის უნდა მოეთხოვათ დოკუმენტებიც და ჩვენი „მუშაობის“ მიზეზებიც. ჩვენ სასტიკი პროტესტი განვაცხადეთ, ბოლოს ერთ-ერთს გაუტყდით, თუ რაში იყო საქმე. თავი დაგვანებეს და გამოვსწიეთ ისევ უკან, ხარკოვისაკენ. რომელლაც სადგურზე გადავჯექით ცარიცინზე მიმავალ მატარებელში. თეთრების ტერიტორიაზე ცოტათი კი ვმშობდით, რომ ჩვენი საიდუმლოება არ აღმოეჩინათ, მაგრამ რას იზამ: „ცდა ბედის მონაწილეაო“ ნათქვამია და ჩვენც აღარ ვერიდებით დაბრკოლებებს. ცარიცინში მშვიდობიანად მოვედით. აქ აღმასკომის თავმჯდომარის საშვალებით შევსძელით მატარებელში ადგილები დაგვეჭირა და გავსწიეთ ტიხორეცკაიაზე. აქ უნდა გავიგოთ არის თუ არა გზა კავკაკვზე. თუ არ არის, ან საეჭვოა, მაშინ ნოვოროსიისკზე წავალთ და იქიდან ზღვით ბათუმში. ხაზზე მდგომარეობა ასეთია: ცარიცინიდან ორი სადგურის შემდეგ თეთრებია სადგურ „ტორგოვაიამდე“, შემდეგ ჩვენები (32 დივიზია) ტიხორეცკაიამდის. შემდეგ ორი-სამი სადგურისა კვლავ თეთრები სადგურ კრიმსკაიამდის, შემდეგ ნოვოროსიის რესპუბლიკა იწყება.

კავკაკვზე გზა არ აღმოჩნდა. გავსწიეთ ნოვოროსიისაკენ. გზაში ვიღაცას ხმა გაევრცელებია, რომ პეტროგრადიდან კომისრები მოდიანო. ერთ-ერთ სადგურზე ყაზახები გვესტუმრნ. „თქვენა ხართ კომისრებიო“—შეგვეკითხენ, ჩვენ გაკვირვებული სახით მიუგეთ: „რის კომისრები, რა კომისრები, ჩვენ უბრალო მგზავრები ვართ, სამშობლოში ვბრუნდებით“. ცარიცინის სადგურის ადმინისტრაციამ დათვური სამსახური გაგვიწია. ალბად იმიტომ, რომ კონდუკტორებს ყურადღება მიექციათ და ჩვენს კუპეში არავინ შემოეშვათ,—ჩვენ დიდი კაცების სახელით მოკვნათლა. კონდუკტორებმა კი ხმა გაავრცელეს და ეს ხმები ყაზახებამდის მივიდა.

მაგრამ გვიშველა ჩვენმა პოლკოვნიკმა შერემეტიევმა, მან ამოიღო ძველი, ნიკოლოზ II მთავრობის დოკუმენტები და მიაწოდა ყაზახების უფროსს. თან უთხრა, რომ საექიმოდ მიდიოდა ამიერ-კავკასიაში. ჩვენ კი სამშობლოში მივდივართ.—კამომ თავი ვეპრათ გააცნო. ალბათ იმიტომ, რომ დამოკიდებულება ისე გამწვავებული არ იყო თეთრებსა და წითლებს შორის, თავი დაგვანებეს და წავიდნენ. კამომ რაღაც ქრთამიც კი მიაჩეჩა მგონია. ერთი თვის შემდეგ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევხვედროდით იმავე კაზაკებს ალბათ ნაკუწ-ნაკუწათ გვაქცევდნენ: ერთი თვის შემდეგ უკვე ბრძოლები დაიწყო და დამოკიდებულება ძალზე გამწვავდა.

მშვიდობით ჩამოვედით ნოვოროსიისკში. გემების მიმოსვლა მატროსებზე იყო დამოკიდებული, მთავრობას და ადმინისტრაციას ეროვნული გაგლენა არა აქვთ: უნდა წავლენ მატროსები, უნდა არა, საჭირო იყო მატროსებთან მოლაპარაკება. მე და შერემეტიევი წავედით გემ „იერუსალიმზე", რომელიც ნავთ-სადგურში იდგა. სხვა გემები არ ყოფილა და თუ იყო, უვარგისნი. ვნახეთ მატროსების კომიტეტის წევრები. აუხსენით საქმის მდგომარეობა. იმათ მოუყარეს თავი ყველა მატროსებს: საერთო კრებამ უნდა გადასწყვიტოს წავიდეს გემი თუ არა და მოითხოვს თუ არა გარემოება ჩვენს წასვლას. საერთო კრებაზე დდებული სიტყვა წარმოსთქვა ამბ. შერემეტიევმა. წაუკითხა ყველა დოკუმენტები პეტროგრადიდან წამოღებული. ოროოდე სიტყვა მეც უთხარი. ბოლოს ითათბირეს და ერთხმად გადასწყვიტეს წასულიყვნენ ბათომში იმიტომ, რომ ჩვენ წავეყვანეთ. ამგვარად ბათუმში ამოვყავით თავი. ბათუმიდან თბილისამდის მენშევიკების თეთრ-გვარდიელებია საშიში. მართლაც, მენშევიკური „სოციალისტური" მთავრობის აგენტები გაცილებით უფრო უდიერად, უხეშათ მოგვეპყრო, ვიდრე კონტრ-რევოლიუციონერი ყაზახები. სადგურ სამტრედიაში ყველანი გაგვჩხრიკეს. იარაღები წაგვართვეს, გვაგინეს. შეურაცყოფა მოგვაყენეს. განსაკუთრებით ვარჯიშობდა ვიღაც ოფიცერი დონდუა (სახელი არ მახსოვს). ცხადია, ლანძღვა-გინება არც ჩვენ დაგვიკლია, მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ „დემოკრატიის" წარმომადგენლებმა და დემოკრატიულ მთავრობამ მენშევიკებისა უხეშობაში მანარქისტებს, (ჩრდილო კავკასიისას) გენერლებს და ოფიცრებს წააჯარბეს. ნახვით მენშევიკების წესიერების დამცველებმა ვერაფერი გვიპოვეს. ყველაფერი, რაც გვქონდა, უკლებლივ თბილისში ჩამოვიტანეთ და საოლქო კომიტეტს ჩავაბარეთ.

7 თუ 8 ივნვარია. დამფუძნებელი კრების გარეკის ამბებიც ჩამოვიდა. მენშევიკები, ესერები და ყველა პარტიები ერთმანეთს ეხეთქებიან, ბოლშევიკების ასეთი „თავხედობა" ვერ წარმოედგინათ, ოპოორტიუნისტული პარტიების წმიდათა-წმიდა აღარ არსებობს. შეიარაღებულმა მუშამ შეუგინა ის. გინებას, ლანძღვას, პროვოკაციას ხომ საზღვარი არა აქვს. დამფუძნებელი კრების გარეკის აქტი მენშევიკებს სურდათ გამოეყენებინათ ერთ-ერთ ძძლავრ სადემაგოგიო მასალათ ჩვენს წინააღმდეგ. მასალა მართლაც სერიოზული იყო. მაგრამ ვისთვის?! მუშების და გლეხების უმრავლესობის ფართო მასები სრულიად გულ-გრილად შეხვდნენ ამ აქტს. პირიქით, ჩქარა დარწმუნდნენ, რომ დამფუძნებელი კრების გარეკამ დიდი სარგებლობა მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანა მათ: ყველა ის მოთხოვნილებები, რომლებიც რევოლიუციას უნდა გაენაღდებია მშრომელთათვის, მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ცხოვრებაში, მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ დააყენა კითხვები პრაქტიკულ ნიადაგზე. დამფუძნებელი კრება კი მუხრუჭი იქნებოდა რევოლიუციისათვის. საზოგადოების „დემოკრატიული" ნაწილი კი, როგორც მაგ. ინტელიგენცია, წვრილი ბურჟუაზია, კულაკები, „დემოკრატიული" აფიცრობა და სხვა მაგგვარი ხროვა მუშების და გლეხების სისხლის მწოველთა—ფრიად ააღელვა ბოლშევიკების „არა დემოკრატიულმა" მოქმედებამ. ყოველ შემთხვევაში, მენშევიკებმა საკმარისად ისარგებლეს საქართველოში ამ მასალით და ატმოსფერა ძლიერ გაახურეს, ერთგვარი ანტი-ბოლშევიკური განწყობილება მასის დიდ უმრავლესობაში შექმნეს.

ფრიად ძნელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ერთი მხრივ მხოლოდ ბოლშევიკური პარტია უმცირესობის თანაგრძნობით და მეორე მხრით ყველა დანარჩენი პარტიები და ჯგუფები მოტყუებული უმრავლესობის თანაგრძნობით. ამ მხრით რუსეთში თითქმის წინააღმდეგი მდგომარეობა იყო. იქ ბოლშევიკური პარტია მუშათა და გლეხების უმრავლესობის თანაგრძნობით თავს მაგრად გრძნობდა, მტრების სისინი კი არაფრად მიაჩნდათ. ასე არ იყო მაშინ საქართველოში. მხოლოდ ჯარის ნაწილებში თანაგრძნობა ბოლშევიკების მხარეზე იყო. ალბათ ამას ხელს უწყობდა ლოზუნგი ზავის ჩამოგდებისა. საოლქო კომიტეტმაც ეს გარემოება უყურადღებოთ არ დატოვა, მან კიდევ უფრო გააძლიერა ჯარებში მუშაობა, მათი ორგანიზაციულად დარაზმვის საქმე საუკეთესო ამხანაგებს მიანდო. თანაგრძნობა იყო როგორც რუსულ ჯარების ნაწილებში, ისე ქართულშიაც. მხოლოდ სომხური ნაციონალური ჯარები, რომლებიც „დაშნაკელების" ხელმძღვანელობით შესდგა და მთელი უფროსების შემადგენლობა დაშნაკელები იყო და მენშევიკური გვარდია, წარმოადგენდნენ ასე თუ ისე მაგარ დასაყრდნობ ძალას მთავრობისათვის, რომელიც მაშინ კიდევ ამიერ კავკასიის კომისარიატის სახით არსებობდა. მხოლოდ ამიერ-კავკასიის კომისარიატში ტონის მიმცემ ძალას მენშევიკები წარმოადგენდნენ. ჩვენ ვცდილობდით „გაგვეხრწნა" ჯარების ყველა ნაწილები, შევსძელით ეს სომხური ჯარის ნაწილებშიაც. ჯარის კაცთა უბრალო მასის საგრძნობი ნაწილი გაეხადეთ აშკარა მომხრე და თანამგრძნობი ჩვენი პარტიისა.

როდესაც მენშევიკებმა (უმთავრესად მენშევიკებს მიტომ ვახსენებ, რომ მაშინდელი პოლიტიკის ხელმძღვანელ როლს ისინი ასრულებდნენ) იგრძნეს თითქმის ყველა ჯარის ნაწილების მერყევი განწყობილება—ხელი მიყვეს ეგრედ წოდებულ წითელი გვარდიის შეიარაღების გაძლიერებას, მის ორგანიზაციულად დაწყობას, გამოყვეს აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე განსაკუთრებული რაზმი, რომელიც $^{9}/_{10}$ შემადგენლობით სანდო და კაკი-ჯამია, უმთავრესად ქართველი აფიცრებისგან შესდგებოდა. განსაკუთრებულ რაზმში ბევრი სხვა ეროვნებებისაგან იყვნენ მოსამსახურეები (რაზმის წევრები). ეს განსაკუთრებული რაზმი გადაიქცა შემდეგ მენშევიკების ეანდარმერიად.

ჩვენი პარტიის ცდამ დაეპყრო ჯარის ნაწილები ნაყოფი გამოიღო. თამამად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო. საოლქო კომიტეტის მუშაობა ამ მხრით თბილისით და საქართველთი არ თავდებოდა. მას ინსტრუქტორები და ორგანიზატორები ჰყავდათ დაგზავნილი თითქმის ყველა ფრონტებზე—სარაყამიშის მიმართულებით, სპარსეთის, ტრაპეზუნდის და სხვა. სარაყამიშის მიმართულებით უმთავრესად მუშაობდნენ ამხ. ს. პეტრენკო, შმულევიჩი და სხვები, რომელთა გვარები აღარ მახსოვს. ტრაპეზუნდში გაგზავნილ იქნა ძმები ლევან და პეტია აღნიაშვილები, ადგილობრივად მუშაობდნენ ბესო კვირკელია, სტანსკი და სხვები.

საოლქო კომიტეტის მიზანი იყო: 1) გამოეწვია აჯანყება საქართველოს მუშებში და გლეხებში, 2) ამ აჯანყების გასამარჯვებლად გამოეყენებია ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის ნაწილები. მაგრამ ვინაიდან შეიარაღებულ ძალას გადამწყვეტი მნიშნელობა ჰქონდა ამ ბრძოლაში, საოლქო კომიტეტმაც უმთავრესი სიმძიმე თავის მუშაობისა ჯარში გადაიტანა.

სარაყამიშიდან და სპარსეთიდან მომავალი ჯარები აუცილებლად თბილისს გაივლიდნენ, საჭირო იყო ტრაპეზუნდიდან დაბრუნებული ჯარი, რომელიც თითქმის ყველა ნოვოროსიისაკენ მიდიოდა, ბათუმისკენ წამოგვეყვანა, რომ ბათუმი ხელში ჩაგვეგდო. ამ მიზნების მისაღწევად საოლქო კომიტეტმა გამოყო კვლავ სამხედრო შტაბი, რომლის წევრებათ აირჩია: ამხ. ლადო ლემბაძე, კოტე ცინცაძე, ამხ. შერმეტიევი (პეტრაგრადიდან ჩამოყვანილი). ეს იყო უმთავრესი საბეული. თუ მეხსიერება არ მოალატობს, შტაბი ხუთი წევრისგან შესდგებოდა—მხოლოდ ორი დანარჩენის გვარები აღარ მახსოვს. შტაბის უფროსათ მე ვითვლებოდი, მხოლოდ ტეხნიკურ სამხედრო აპერაციების ხელმძღვანელად ამხ. შერმეტიევი. შტაბმა დაისახა მიზნათ ხუთი უმთავრესი საგანი: 1) საჭირო იყო ჯარებს ფრონტიდან ორგანიზაციულად მოხსნა და დარაზმული წამოყვანა. ამ შემთხვევაში უმთავრეს როლს ორგანიზატორისას და აგიტატორისას ასრულებდა ამხ. ს. პეტრენკო, რომელიც საოლქო კომიტეტისგან დანიშნული იყო კომისრათ სარაყამიშის რაიონის ყველა ჯარების. ამხ. პეტრენკო დიდის ენერგიითა და გულწრფელობით ასრულებდა დავალებას. 2) საჭირო იყო ამ დარაზმული ჯარის საშვალებით თბილისის ხელში ჩაგდება, ძალით, რასაკვირველია. ამ შემთხვევაში უმთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს როლს ასრულებდა ამხ. ლადო, კოტე, კუზნეცოვი. ამათ განკარგულებაში იყო მთელ რიგი ამხანაგებისა რაიონებიდან, რომელთაგან ზოგი ორგანიზატორის როლს ასრულებდა, ზოგი აგიტატორის, ზოგი ტეხნიკურ მომზადებას ეწეოდა, (იარაღი, სანიტარული ნაწილი და სხვა), ზოგი კონტრ-მზვერავების (**разведка**) და სხვა და სხვა. 3) ნაწილები ჯარისა, რომელნიც ბაქოსკენ გაემართებოდნენ, მათ გზა და გზა უნდა დაეპირათ სადგურები და უმთავრეს ძალას კი ბაქო ჩაეგდო ხელში. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა იმ დროს ბაქოსთან კავშირი. თბილისი სავსებით მოწყვეტილი იყო ბაქოზე. 4) ტრაპეზუნდიდგან მომავალ ჯარის ნაწილებს ბათუმი უნდა დაეჭირა. ხელმძღვანელებათ იყვნენ დანიშნული ბ. კვირკელია, პეტია ალნიაშვილი. 5) მაზრებში გლეხების აჯანყებების მოწყობა. ამ დროს გლეხობაში უკვე დაიწყო უკმაყოფილება მეწშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ასე რომ ნიადაგი მომზადებულიყო. ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხ. ლადო დუმბაძე, უმთავრეს პრაქტიკულ მუშაობას ადგილებზე მაზრებში ასრულებდნენ ამხ. თომა ჩუბინიძე, ვიქტორ ცინცაძე, მიხა პაპუნაშვილი.

აჰავე დროს დასავლეთ საქართველოში მიდიოდა იგივე მუშაობა, სადაც მთელი სიმძიმე მუშაობისა ამხ. ბუდუ მდივანს, დათიკო ლორთქიფანიძეს და სხვებს აწვა კისერზე. დასავლეთ საქართველოს მაზრებში ამ დროს დიდი მოძრაობა იყო გლეხებში. ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა კუთხეებში შუშაობა გაცხოველებული იყო. თბილისის ყველა მაზრებში როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთში, პატარ-პატარა შეტაკებები ხდებოდა ერთი მხრით მთავრობის ძალებსა და რევოლიუციონურ ჯარისა და გლეხებს შორის, მეორე მხრით. მაგრამ საოლქო კომიტეტი ცდილობდა ძალაქსულ გამოსვლებისათვის ბოლო მოეღო და მოძრაობისათვის უფრო ორგანიზაციული, გეგმიური ხასიათი მიეცა. თუ სადმე ამას ვერ შესძლებდა, მაშინ იძულებული იყო ხელმძღვანელობა გაეწია. ასე იყო თელავში, გორში, დუშეთში, ქუთაისში, სოხუმში, შორაპანში და სხვებან. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში შეეუდექით გეგმის განხორციელებას: სარაყამიშიდან მომავალი ჯარები თავს მე-300-სე ვერსზე იყრიდა. იქ ჩვენი ორგანიზატორ-ინსტრუქტორებიც ხვდებოდნენ და ჯარს ამიერ-კავკასიის კომისარიატის ჩამოსაგდებათ მოუწოდებდნენ. აქავე მეწშევიკები ხვდებოდნენ და წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ. თბილისი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. რაც შეიარაღებული ძალები ჰყავდა მთავრობას, ყველა ფეხზე იდგა. თბილისის გარშემო მაღლობები ხარბაზნებით და ტყვიისმტყორცნელებით იყო მოფენილი. ჯარი როდესაც ფრონტიდან მოდიოდა, მზათ იყო თბილისის ასაღებათ, მხოლოდ, როდესაც თბილისს უახლოვდებოდა და მე-300-ე ვერსზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმენდნენ მენშევიკების დემაგოგიურ სიტყვებს, სულიერი განწყობილება ეცვლებოდა და იდეია სახლში წასვლისა, ცოლ-შვილის ნახვისა, დასვენებისა სჭარბობდა რევოლიუციონურ აღტყინებას. და ბოლოს უარს ამბობდნენ და სტიქიურად რუსეთისაკენ, შინისაკენ მიისწრაფეზოდნენ. იმდენად ძლიერი იყო სახლისაკენ სწრაფვა, რომ ჯარხე არ იმოქმედა არც 10 თებერვლის სისხლის ღვრამ ალექსანდროვის ბაღში, სადაც ორი სამი ჯარის კაციც მოკვდა მესამასე ვერსტიდან მიტინგზე ჩამოსული. ამგვარად რამდენიმე ათეულმა დივიზიებმა, პოლკებმა გაიარა თბილისის ახლოს, მაგრამ ჩვენ ვერ შეესწარით მათი გამოყენება თბილისის ასაღებათ. ყველა შინისკენ მიიჩქეროდა. ლოზუნგი „სახლისაკენ", „ომი გათავდა" რაღაც ჯადოსნურათ მოქმედებდა ჯარისკაცებზე და მენშევიკებიც ფრიად სარგებლობდნენ ამ ლოზუნგით. მხოლოდ ამ ლოზუნგს ენდა მიეწეროს ამიერ-კავკასიის მთავრობის გადარჩენა იმ ხანაში. იმდენად ძლიერ სწყურდა ჯარს დასვენება და სახლის ნახვა, რომ ბაქოსაკენ მიმავალ ჯარს, რომელიც თურქებს თხებივით ერეკებოდა ომის დროს, ახერბაიჯანელთა უმნიშვნელო ბანდები (ბეგების და მენშევიკების მიერ მოწყობილი და შედგენილი) იარაღს [illegible], ხოკავდა ათასობით, მაგრამ ისინი მაინც შინისკენ მიდიოდნენ: იარაღს აძლევდნენ, დახოკილებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ ერთმა დივიზიამ მოახერხა იარაღით ხელში, ბრძოლით გზის გაკაფვა და ბაქომდე მიღწევა. აღსანიშნავია ამ მხრით მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების სახიზღარი მოქმედება: მესამასე ვერსზე ჯარს ბუხლ-მოდრეკილი ეხვეწებოდნენ სახლში წასულიყო და ამავე დროს გზაში ბრბოებს ახვევდებდნენ და სისხლის აბანოს უმზადებდნენ.

ასე და ამგვარად უშედეგოთ მიმდინარეობდა ჩვენი გეგმის განხორციელების საქმე სარაყამიშიდან მომავალი ჯარის მხრით 10 თებერვლამდის.

აღსანიშნავია 10 თებერვალი 1918 წლისა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ატმოსფერა საშინლად გახურებული იყო. მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელები აშკარად დადგნენ ანტი-რევოლიუციონურ გზას, სასტიკ ხმებს მიმართავდენ პროლეტარული პარტიის წინააღმდეგ. მათ მოინდომეს რუსეთიდან სავსებით გამოთიშვა და ამიერ-კავკასიის მთავრობის შექმნა სეიმის სახით. ჩვენი პარტია სასტიკ მუშაობას ეწეოდა ამის წინააღმდეგ. დიდი პოლიტიკური კამპანიის შემდეგ კომპარტიამ განიზრახა დემონსტრაციების და მიტინგების მოწყობა. დემონსტრაციის დღეთ დანიშნულ იქნა სეიმის გახსნის დღე. რამდენიმე ათასი კაცი 15—20 ათასი მუშები და ჯარისკაცები წითელი დროშით ხელში თავს იყრის ალექსანდროვის ბაღში. მთავრობის მხრით ქუჩაში სიარული დემონსტრაციის სახით აკრძალული იყო. მაგრამ მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავთ ამისა აუარებელი ხალხი მოისწრაფოდა ალექსანდროვის ბაღისკენ მიტინგზე. საათის 12 იქნებოდა მიტინგი გახსნა ამბ. სერგო ქავთარაძემ. სოლქო კომიტეტი თითქმის მთელი თავისი შემადგენლობით ტრიბუნაზე იყო. პირველმა ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს. იმ დროს, როდესაც ამბ. ნ. ცერცვაძე ლაპარაკობდა, პარიატინის ქუჩის მხრით გამოჩნდნენ მთავრობის რაზმელები. წინ მოუძღოდა იმნაძე, (სახელი არ მახსოვს) ავაკიანი და რამდენიმე უცნობი აფიცერი. იმათაც „წითელი" დროშა უჭირავთ ხელში. როდესაც მიტინგს დაუახლოვდნენ, რაზმის ერთი ნაწილი მარჯვნივ და მეორე მარცხნივ გაეჩქარენ მიტინგის ირგვლივ. მესამე შუა ნაწილი კი მიტინგს უახლოვდებოდა. მიტინგი შედგა. მაგრამ ამბ. თავმჯდომარე (ს. ქავთარაძემ) დაიწყნარა და უთხრა: „არ შეშინდეთ, ამხანაგებია, მიტინგს ურთდებიან", მართლაც ასე გვეგონა, რადგანაც მთავრობის რაზმის ხელმძღვანელნი გვიცნობდნენ და ხელებით გვანიშნებდნენ „ნუ გეშინიათ ჩვენია". ამბ. სერგო ქავთარაძეს სიტყვა დამთავრებული არ ქონებია, რომ მოულოდნელად საშინელი სროლა ასტეხეს, ტყვიისმფრქეველებისაგან. პირველი გასროლა ტრიბუნას დაუშიზნეს, ხალხს არ სჯეროდა, რომ „სოციალისტური" მთავრობა მუშებს ტყვიით გაუმასპინძლდებოდა მშვიდობიანი მიტინგის მოწყობის გამო. ამიტომ პირველ სროლაზე ხალხი არ განძრეულა. მხოლოდ არეკ-დარეკა ეტყობოდა. პირველს მეორე მწყობრი გასროლა მოყვა ისევ ტყვიისმფრქეველებისაგან, როდესაც ხალხმა დაიწახა სისხლი, დაიძრა და ბრეულად გაიქცა-გამოიქცნენ. მიტინგის საგრძნობი ნაწილი იქვე დაწვა. სროლა გრძელდებოდა. დაწოლილ ხალხს—თევზებივით ჩაწყობილებს ესროდნენ თოფებიდან და ტყვიისმფრქეველებიდან. თითქმის ათი წამი გაგრძელდა სროლა. დაჭრილ-დახოცილების, სისხლით მოსვრილი მოედანიც არ აჩერებს ჯალათებს. ერთი წამით სროლა შეწყდა. ზეზე წამოვდექით. ისევ სროლა ასტეხეს. ისევ დავწევით. ამბ. თოდრია წამოვარდა და საშინელი ლანძღვა-გინებით მიმართა მტარვალებს. ექიმებს დაჭრილების დახმარების უფლებასაც არ აძლევდნენ. ზოგი მკვდარი, ზოგი დაჭრილი სულთ-მობრძავი ჰყრია მიწაზე. გულშემზარავი სურათი იყო. როგორც იქნა, ადგომის უფლება მოგვცეს. ხალხს ვერ ამაგრებენ—გაქცევა უნდათ, უნდათ მოშორდენ მტარვალების თვალებიდან. წასვლის ნებას აძლევენ, მაგრამ ზოგი კიდევ ვერ ბედავს: ჭგონიათ პროვოკაციას მოუწყობენ. ასე თუ ისე ხალხი სასწრაფოთ დაიშალა. მე და ამბ. ნაზარეტიანი დაგვატყვევეს და იქვე გაგვაჩერეს. თავზე დაგვაყენეს ორი ქართველი ჯარის-კაცი—ალბად განსაკუთრებული რაზმის წევრები. ეტყობოდა უბრალო ჯარის-კაცები იყვნენ. მომხდარ ამბავს ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე. სულ ცახცახობდნენ აღელვებისაგან, ორი თუ სამი წამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს გვადგენ და შემდეგ ერთმა უთხრა მეორეს: „წავიდეთ, წავიდეთ ძმაო, რა ჩვენი საქმეა ამათი დარაჯობაო". დავეტოვეს და წავიდენ. ჩვენ გადავწყვიტეთ ხელიდან დავძრომოდით გამხეცებულ ოფიცრებს. ჯერ კიდევ დაჭრილები მოკრეფილები არ იყვნენ. ჩვენც სხვებთან ერთად მოვკიდეთ ხელი ერთ დაჭრილს და გვინდოდა ამ სახით ალეკსანდროვის ბაღიდან გავსულიყავით, მაგრამ დაგვინახა თუ არა დაჭრილი მიგვაქვს ავაქიანმა (ესერობდა) გამოგვიდა, გამოგვყო მე და ნაზარეტიანი და ისევ დაგვატყვევა. აქვე ამ დროს ესერი მერხალევი გაჩნდა საიდგანღაც. დაგვინახა დატყვევებულები თუ არა, მივიდა რაზმის უფროსთან და ავაქიანთან და სთხოვა ჩვენი განთავისუფლება თავის თავმდებობის ქვეშ. ავაქიანი უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ, როგორც იყო, დაითანხმა. (მერხალევმა ალბათ, სინდისის გასარეცხათ მოიმოქმედა ასეთი ლმობიერი საქციელი). ჩვენ წინადადება მოგვცეს წავსულიყავით და ვორონცოვის ხიდისაკენ გასავლელ კარებში გავსულიყავით, იმ დროს, როდესაც ბარიატინის ქუჩის გასავლელ კარებთან ახლოს ვიდექით. ალბათ უნდოდათ ისევ ბაღის ტერიტორიაზე გაგვეგზავნა და უკანიდან ტყვეები მოეყოლებინათ. ჩვენ არ დავთანხმდით იქით წასვლაზე და გამოვედით ბარიატინის ქუჩაზე.

როგორც იყო თავი დავაღწიეთ ჯალათებს, მაგრამ გული არ ისვენებს. არ ვიცი ვინ გადარჩა ცოცხალი, ვინ დაიხოცა.

ათმა თებერვალმა აშკარად დაუმტკიცა ყველას, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკების „დემოკრატიული" მართველობა. ბევრს ურწმუნო თომებს თვალები აუხილა, ილიუზიები გაუქრა: ვისაც სჯეროდა კიდევ მენშევიკების სოციალისტობა, ისინიც დარწმუნდნენ წინააღმდეგობაში. იმავე დღეს საოლქო კომიტეტიც შეკრიბა. საოლქო კომიტეტის სხდომაზე პირველ კითხვათ შექმნილი მდგომარეობა დაისვა. საჭირო იყო მომენტის დაფასება, ძალების გადაჯგუფება.

იდეა და გეგმა ფრონტიდან ჯარების გამოყენებისა პრაკტიკულად ვერ გამოდგა. რამოდენიმეჯერ ცდამ სავსებით დაამტკიცა ამ ტაკტიკის შეუფერებლობა. რომც რომელიმე ჯარის ნაწილი თბილისში შემოსულიყო, დაეჭირა ის—არავითარი გარანტია არ იყო, რომ ხვალ ის სახლში არ წავიდოდა და ქალაქს არ დატოვებდა, მით უმეტეს, რომ ჯარის დემობილიზაცია უკვე კაი ხანია გამოცხადებული იყო. საჭირო იყო შინაური ძალების დარაზმვა, ადგილობრივი მუშებისა და გლეხების საშვალებით და მისი ძალ-ღონით ბრძოლა მენშევიკების მთავრობასთან. ამ უკანასკნელ გზას დაადგა საოლქო კომიტეტიც: უარყო ჯარების გამოყენების იდეა და შეუდგა აჯანყების მზადებას თვით საქართველოს შრომელთა შორის. ის ძალები, რომელიც პარტიამ ჯარებში გადაისროლა—ეხლა მაზრებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლებს მოეკლინა სამუშაოთ. ხანგრძლივი მუშაობა კი დასჭირდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ შემთხვევით მომენტებს ადგილი აღარ ექნებოდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ამ მიმართულებითაც იყო მუშაობა, მაგრამ ჯარში მუშაობას იმ ხანებში უფრო დაკვრითი ხასიათი ჰქონდა. სულის კვეთება გლეხობაში ფრიად ხელ-საყრელი იყო. მენშევიკების მთავრობამ ვერ გააძართლა რევოლიუციის დანაპირები, ეკონომიური მდგომარეობა დაეცა, გლეხები დამშვიდა, მუშებიც ფრიად ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მუშებში მენშევიკებმა შექმნეს მუშათა არისტოკატია, რომლის საშვალებით ისინი იმორჩილებდენ მუშათა უმრავლესობის თანაგრძნობას. შედარებით გლეხებთან მუშებს გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ და ცდილობდნენ მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას: ამავე დროს სიტყვიერი თუ წერილობით აგიტაციის საშვალებით, პირდაპირი ტყუილებითა და სიცრუით უხატავდნენ მუშებს და გლეხებს რუსეთის ცხოვრებას კომუნისტური პარტიის მართველობის ქვეშ. საშინელ სურათებს უშლიდნენ თვალ წინ საქართველოს მშრომელთ რუსეთის ცხოვრებიდან: პირდაპირ მოგონილი ამბებით კვებავდნენ ხალხის გონებასა და შეგნებას. ცილის წამებას ხომ საზღვარი არ ჰქონდა. რამდენათაც შეგვეძლო არალეგალურ პირობებში, ჩვენ ვცდილობდით გაგვეფუანტა ეს ცილის წამებანი, მაგრამ ძნელი იყო ეს, რადგან სახელმწიფო აპარატი მათ ხელში იყო და ბოროტათ იყენებდენ მას.

ათი თებერვლის შემდეგ მენშევიკებმა ჩვენი დევნა ერთი ასად გააძლიერეს. შეიქმნა საშინელი პირობები მუშაობისა. ზოგიერთი ამ ხანებში იძულებული იყო თავი მოეფარებინა, ზოგი უკვე „იატაკ-ქვეშ“ გადასულყო სამუშაოდ. ამავე დროს ოსმალეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა. მენშევიკები ომის გამოცდებას ჩვენ, ბალშევიკებს, გვაბრალებდა, რომ ამით მასა ჩვენთვის გადაემტერებინა. მათი მხრით ეს იყო პოლიტიკური ხრიკი მასის განწყობილების მოსაბრუნებლად ბალშევიკების წინააღმდეგ. მათ აგიტაციას ცოტათი ხელი შეუწყო ბრესტის ხელშეკრულებამ, რომლის ძალით ბათუმი ოსმალეთის მფლობელობაში გადადიოდა. მენშევიკებმა გარგათ ისარგებლეს ამ გარემოებით და ბათუმის გამყიდველებათ ჩვენ, ბალშევიკები, გამოგვიყანეს. მათ იცოდენ, რომ ქართველ ხალხს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთ ბათუმი ძლიერ უყვარდა. უყვარდა მისი სილამაზისათვის კი არა, არამედ მისი ეკონომიური სიძლიერისთვის. ბათუმი ეს ერთად-ერთი ქალაქი იყო დასავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით, სადაც ღარიბი გლეხ-კაცობა სამუშაოს შოულობდა, საიდანაც გაჭირვების დროს საექმოთ მიემგზავრებოდნენ, გასასყიდათ რაიმეს წაიღებდნენ და სხვა და სხვა. იცოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ რა ასეთი სულისკვეთება გლეხობისა—მენშევიკები სარგებლობდნენ და საზიზღარ აგიტაციას ეწეოდნენ ამ ნიადაგზე. ასეთმა აგიტაციამ ნაწილად გასჭრა. შეიქმნა წარმოუდგენალი გახურებული ატმოსფერა ბალშევიკების წინააღმდეგ. „სამშობლოს მოღალატენი, ბათუმის გამყიდველები, ქვეყნის დამანგრეველნი, „ურჯულოების“ (ოსმალეთის) აგენტები და სხვა და სხვა—აი მენშევიკების სალაპარაკო საგანი ჩვენს წინააღმდეგ. ფრიად რთული და სერიოზული მდგომარეობა დაგვიდგა. საჭირო იყო გზის გამონახვა, პოზიციის გარკვევა. ამ შემთხვევაშიაც საოლქო კომიტეტმა სწორი, ნათელი და რევოლიუციონური ხაზი გამონახა და ორგანიზაციებს მიაწოდა. საოლქო კომიტეტმა მუშებს და გლეხებს მოუწოდა ომის წინააღმდეგ, მოუწოდა ბრესტის ხელშეკრულების დასაცველად. მენშევიკების მხრით სამეიდრო მზადება და ომის გამოცხადება ოსმალეთისთვის დაგმო: მაგრამ მენშევიკური ავანტიურის შეჩერება არ მოხდა. გამოცხადდა ომი. მთელი მცხოვრებელები საომრად იყო მოწოდებული მენშევიკების მიერ. ზოგ-ზოგ ადგილას ჩვენი შეიარაღებული ძალები, რაზმები იძულებული დარჩა ამაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ ცდილობდნენ, რომ ძალები არ დაეკარგათ და მენშევიკებში არ გათქვეფილიყვნენ.

ამავე დროს ჩვენ ვცდილობდით ომის გათავებისას—კარგად დამთავრებებოდა თუ ცუდათ—ძალები შეგვენარჩუნებია და დაგვეცხო მენშევიკებისათვის. საომარი ხანა დიდ-ხანს არ გაგრძელებულა. პირველ შეტაკებისათანავე მენშევიკები დამარცხდნენ. ისინი იძულებული გახდნენ სამარცხვინო ზავზე ხელი მოეწერათ, რომ ოსმალეთი უფრო შიგნით,-საქართველოში, არ გამოუეულიყო. არა თუ ის, რასაც ოსმალეთი საქართველოდან მოითხოვდა, არამედ კიდეც ზედმეტი დაუთმეს მენშევიკებმა. ამიტომ მასაში ერთგვარი უკმაყოფილება დაიბადა. ერთგვარად გამართლდა ჩვენი პოზიცია, რომელიც ომის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა უსისხლოდ დათბობას ამა თუ იმ მოთხოვნილებებისას. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი ჯარები ვერაფითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ოსმალეთის ჯარებს. მენშევიკები კი ამ შემთხვევაში ის მოიქცნენ, როგორც საშვალო საუკუნეების რაინდები: როგორ შეუძლია საქართველოს მთავრობას ერთი გოჯი მიწა-წყალი დაუთმოს მტერს უბრძოლველადო. მაგრამ მოქნეული მუშტი ჰაერში დატრიალდა და ომის გამოცხადებით ხალხის თვალში ბეცი პოლიტიკოსების სიხელი გაუვარდათ. ზავის შეკვრის შემდეგ ჩვენ ვისარგებლეთ შეიარაღებული ძალებით და მშრომელთა უკმაყოფილებით. სადაც კი შესძლებელი იყო, საოლქო კომიტეტმა ნება დართო შეიარაღებული გამოსვლებისა. განსაკუთრებულ როლს ამ გამოსვლებში ძველი ჯარისკაცები თამაშობდა, რომლებიც ბოლშევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური სულის კვეთებით გაჟღენთილი ჩამოვიდნენ იმპერიალისტური ომის გათავების შემდეგ.

ეს გეგმა საოლქო კომიტეტმა მიიღო ქუთაისის თათბირზე. თუ მეხსიერება არ მღალატობს 1918 წელს მარტში თუ აპრილში, ამა თათბირს დაესწრნენ ამხ. ბუდუ მდივანი, ფ. მახარაძე, ლადო დუმბაძე, დათიკო ლორთქიფანიძე, კოტე ცინცაძე, ს. ქავთარაძე, მ. ტყარეშელიძე, გეგეჭკორი და სხვები, რომელთა გვარები ალარ მაგონდება. დაახლოებით ასეთი იყო გადაწყვეტილება: მენშევიკების მთავრობის ასარეკ-დასარევად, დეზორგანიზაციის შესატანად, მასის სულისკვეთების კიდევ უფრო ასაწევად—**სადაც შესაძლებელია** შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა, ნება დართულ იქნეს. ამავე თათბირმა აირჩია სამეული ამ გამოსვლების სახელმძღვანელოდ: ლადო დუმბაძე, კოტე ცინცაძე, ალ. გეგეჭკორი და დათიკო ლორთქიფანიძე, რომელნადაც მაასოვს მგონი ხუთეული იყო. ჩქარა დაიწყო გამოსვლებიც. პირველად სამეგრელოში იჩინა თავი ამ გამოსვლებმა. შემდეგ შორაპნის მაზრაში, ქუთაისის სხვადასხვა რაიონებში, სოხუმის ოლქში, ლეჩხუმში და სხვა და სხვა. სამეგრელოს გამოსვლებს ხელმძღვანელობდა საშა გეგეჭკორი და შალიკო ასკურავა, რომლებიც პასუხის მგებლები იყვნენ საოლქო კომიტეტის წინაშე. ასეთივე გამოსვლები იყო გორის მაზრაში და ნაწილობრივ დუშეთში და თბილისის მაზრაში. მენშევიკური მთავრობა ამ გამოსვლებმა ფრიად დააფიქრიანა. გლეხების წინააღმდეგ თოფ-ზარბაზნებით გამოსვლა, სახლების გადაბუგვა, რევოლუციონერი გლეხების ხოცვა-ჟლეტვა, მთელი მაზრების კანონს ჯარეშე გამოცხადება (ლეჩხუმის მაზრა) და სხვა ამგვარი რეპრესიებით გამოსპინძლება მათი ძნელი საქმე იყო, მაგრამ ძალა-უფლებით მთვრალი მენშევიკები, ბურჟუაზიას ლაქია პარტია, რას დაგიდევდა გლეხი იქნებოდა თუ მუშა. მენშევიკური მთავრობაც დაადგა ცეცხლითა და მახვილით დამშვიდების გზას. სადაც გაუჭირდა თავისი ძალით გამკლავებოდა აჯანყებულთან, იქ გერმანულ ჯარებს იშველიებდა. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ რას გააწყობდა გლეხები თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებულთ მთავრობის წინააღმდეგ. გლეხები ძლიერ ცუდათ იყო შეიარაღებულნი: თუ თოფები საკმათ იყო—ვაზნები აკლდათ, სადაც ვაზნები ჰქონდა, თოფები არ იყო. აი ამიტომ ამ უსწორო ბრძოლაში გლეხები კვლავ დამარცხდნენ. მხოლოდ ერთი იყო ყველასათვის აშკარა: მენშევიკური მთავრობა იმ ხანებში მხოლოდ ხიშტების საშვალებით ბატონობდა. აქა იქ საქართველოს კუთხეებში მაინც გაისმოდა თოფებისა და ტყვიის მფქვეველების ტკაცანი—ეს მთავრობა ებრძოდა უკვე ტყეებში გადამალულ რევოლუციონერ რაზმებს. საოლქო კომიტეტის წინაშე კვლავ დადგა ახალი საკითხი: რა ტაქტიკას დაადგეს რევოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიონური ორგანიზაციები ამ „დამშვიდების“ შემდეგ. ხელ ახალი გამოსვლების იმედი აღარ იყო. საუკეთესო ამხანაგები „იატაკ ქვეშ“ გადავიდნენ, ბოლშევიკური შეიარაღებული ძალები ტყეების სტუმრებად გახდნენ, სადაც საშინელ გაჭირვებასა და შიმშილს, სიცივს და სიტიტვლეს განიცდიდნენ. აუცილებელი იყო ამ რაზმების შენახვა, ზოგიერთა ამხანაგების, რომელთაც თუ მთავრობას ხელში ჩაუვარდებოდნენ სიკდილით დასჯიდნენ, გადარჩენა და სხვა. ერთ სიტყვით, საჭირო იყო ცოცხალი ძალების შენარჩუნება ახალი და მომავალი ბრძოლისათვის. ამავე დროს მთავრობის მხრით რეპრესიებმა ყოველ საზღვარს გაადაჭარბა. დატყვევებულ იქნა ამხ. ბუდუ მდივანი, ეს უმთავრესი ხელმძღვანელი მოძრაობისა დასავლეთ საქართველოში. დატყვევებულ იქნენ სხვებიც. დატყვევება მოელოდა ყველას, რადგან ძნელი იყო ჩვენთვის საქართველოში თავის შენახვა: ჩვენი პიროვნებანი ძლიერ ნაცნობი იყო მთავრობისათვის და მისი აგენტებისათვის.. მიიღო რა საოლქო კომიტეტმა ზემოაღნიშნული პირობები, დაადგინა: ითელი სიმძიმე მომავალი მუშაობისა და ბრძოლისა გადატანილ იქმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში—ქ. კავკაზში. იქ უნდა გადასულიყო საოლქო კომიტეტიც. ცხადია, საქართველოს დატოვება უმუშაკებოთ შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ მოუყარეთ თავი ასე თუ ისე ახალ, მთავრობისათვის უცნობ ამხანაგებს, მივეცით მათ სათანადო დირექტივები, დავტოვეთ აქ საოლქო კომიტეტის თბილისის ბიურო, რომელსაც დაუკავშირეთ პროვინციებში არსებული ორგანიზაციები და საოლქო კომიტეტი გადაბარგდა ჩრდილო კავკასიაში. თბილისის ბიურო შედიოდნენ: 1) ამხ. ლოლა წულიკიძე, 2) საშა დარახველიძე...

ამასთანავე ყველა ჩვენ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებიც იმალებოდნენ, საოლქო კომიტეტმა მისცა შემდეგი დირექტივები: ის ამხანაგები ან მთელი ჯგუფები, რომლებსაც არავითარი იმედები არა აქვთ ლეგალურად გამოსვლისას და მშვიდობიანად ცხოვრების, შეჯგუფულიყვნენ ერთად და გადასულიყვნენ თავისი იარაღით ჩრდილო კავკასიაში—თავი საბჭოთა მთავრობისათვის შეეფარებინათ. ეისაც კი შეეძლო მთავრობის თვალის ახვევა და სოფელში დარჩენა უნდა დარჩენილიყო. უმთავრესად ისეთი რაზმები დასავლეთ საქართველოში არსებობდნენ. შეძლებისა-და გვარად ამ რაზმებს მატერიალური დახმარებაც ეძლეოდათ გზაში თუ ადგილობრივად. დეფექტები ასეთ ტაქტიკას, ცხადია, რომ ჰქონდა. რადგან საუკეთესო ძალები იხიზნებოდნენ და ახალი ძალები კი საქართველოში ფრიად სუსტი იყო: გარდა ამისა სხვა სახელწოდად მუშაობის ხელმძღვანელობა ძნელია და ნაკლებათ ნაყოფიერი, მაგრამ სხვა გზა არ იყო; ნაკლები ბოროტება სჯობდა დიდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარად მენშევიკებს საშვალება მიეცათ შედარებით „მშვიდობიან“ პირობებში განეგრძოთ ბატონობა.

1918 წლის ივნისში ზემოხსენებული გადაჯგუფება ჩვენი ორგანიზაციისა უკვე დამთავრებული იყო. ვინც წასაველელი იყო წავიდა, ვინც დასარჩენი ყველამ თავის ადგილი დაიპირა და მუშაობას შეუდგა. სოლოქო კომიტეტის აზრი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გახეხნულ ყველა ამხანაგებისათვის თავი მოეყარა, შეეჯგუფებინა ისინი, იარაღი შეეძინა საკმაოდ, ნაწილი იარაღისა სხვა და სხვა საშვალებებით საქართველოს ორგანიზაციისათვის გადაეწოდებინა, თვით ჩრდილო კავკასიაში მოემზადებინა მაგარი მუშტი რევოლიუციონური რაზმისა და ხელ-საყრელ მომენტში აშკარა ბრძოლა გადმოეცხადებინა მენშევიკების მთავრობისათვის. ჩრდილოეთ კავკასიაში შეიიარაღებული რაზმების მომზადება ტეხნიკურად, კავშირი საქართველოსთან, იარაღის შეძენა და სხვა ამ საქმესთან დაკავშირებული მუშაობა მინდობილი ჰქონდა ამხ. ლადო დუმბაძეს, კოტე ციწკაძეს, ვასო ელერდოვს. აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ვანო კარაპეტოვი, მარტინოვი, ბენო კალანდაძე. შემდეგ ამ ამხანაგებს მოემატა სამა გეგეჭკორი, რომელმაც კავკავში ჩამოიყვანა სამეგრელოს, ლეჩხუმის და რაჭის შეიარაღებული რაზმები, არკადი ელბაქიძე, ყრუაშვილი, ბენო კალანდაძე. (საჭიროა აღინიშნოს, რომ ამხ. ლადო დუმბაძე ერთი თვით ადრე იყო წასული ამ ნიადაგზე საშუამაო.) მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, ასეთი დიდი საქმის მოსამზადებლად საოლქო კომიტეტს ცოტა დრო დარჩა, სულ რაღაც $1^1/_2$ თვე. ანის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში, დუშეთის მაზრაში, მოულოდნელად, სტიქიურად იფეთქა გლეხობის აჯანყებამ მთავრობის მიერ განიარაღების ნიადაგზე. დუშეთის მაზრის ასეთი სულისკვეთება ჯერ კიდევ ადრე იცოდა საოლქო კომიტეტმა, იცოდა ეს კავკავში გადასვლამდის, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა უდროო გამოსვლა არ მომხდარიყო და მთავრობას საშვალება არ მისცემოდა აჯანყებულ გლეხებს ცალ-ცალკე გამკლავებოდა: საოლქო კომიტეტი ფიქრობდა ერთდროულ გამოსვლებზე მაზრებში. ამიტომ დუშეთის მაზრის გლეხების სურვილს აჯანყების საშვალებით გამოსვლისას აჩერებდა. ამ დროს დუშეთში მუშაობდნენ ამხ. თომა ჩუბინიძე, ვიქტორ ცინცაძე, მიხა პაპუნაშვილი, შუშიაშვილი, რომელთაც საოლქო კომიტეტიდან დავალებული ჰქონდათ მაზრაში მოძრაობის ხელმძღვანელობა. მაგრამ როდესაც მენშევიკურმა მთავრობამ გლეხებს იარაღის აყრა მოუნდომა ზემოჩამოთვლილმა ამხანაგებმა ვეღარ შესძლეს ხალხის დამაგრება. არც შეიძლებოდა, რადგან განიარაღებული გლეხები შემდეგ აჯანყებისათვის აღარ გამოდგებოდნენ. დაინახეს რა ამხანაგებმა, რომ მოძრაობა სტიქიურ ხასიათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებს, სათავეში ჩაუდგნენ და ხელმძღვანელის როლი ითამაშეს. ბოლშევიზმი სწორედ ამით განირჩევა მენშევიზმისაგან: თუ შესაძლებელია სტიქიის უდროოდ გამოსვლა შეაჩერონ—შეაჩერებენ უფრო ხელსაყრელ მომენტამდის, თუ არა, სათავეში ჩაუდგებიან და ხელმძღვანელობას გაუწევენ. დუშეთშიც ასე მოხდა. სწორედ ამ აჯანყების წინა დღეებში ამბ. ლადო დუმბაძეც გამოემგზავრა თბილისში ორგანიზაციის მუშაობის გასაცნობათ (ის გამოყვა ამბ. სამუელ ბუაჩიძის ცხედრს), მაგრამ დაბრუნებისას უკვე აჯანყება გაჩაღებული იყო და ამბ. ლადოც სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. აჯანყება ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ მთელი მაზრა აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში, აირჩიეს გლეხთა საბჭოები, აღმასკომი, გზა გახსნეს კავკავამდის და მეიდრო კავშირი დაიჭირეს საოლქო კომიტეტთან კავკავში. მთელი ორი კვირა მაზრა აჯანყებულთა ხელში იყო. მენშევიკების მთავრობა დაიბნა. მხოლოდ ჩქარა გონს მოვიდა და დაიწყო შეტევა გლეხების წინააღმდეგ. საუკეთესო ჯარები, გვარდია და თოფ-ზარბაზნები მიუშვირა გლეხებს მთავრობამ. გლეხები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ რას გააწყობდა კბილებამდის შეიარაღებულ უამრავ ჯართან, აჯანყებულთ, როგორც ყოველთვის, ბრძოლის გახანგრძლივების დროს—იარაღი აკლდა, განსაკუთრებით ვაზნები. გავიგეთ თუ არა კავკავში მენშევიკების შემოტევა და აჯანყებულთა უკან დახევა, მაშინვე მოვკრიბეთ თუ რამ გაგვაჩნდა მომზადებული: იარაღი, ვაზნები, რაზმები, ორი ზარბაზანი და გამოვამგზავრეთ დასახმარებლად. მაგრამ კარგათ მომზადებული და საკმაო სამხედრო მასალა არც იქ მოგვეპოვებოდა. ჩვენი დახმარება პირველ ხანებში საკმარისი აღარ გამოდგა. საჭირო იყო კიდევ გაგვეწია დახმარება. ამ დროს ახალ ჩამოსული იყო სამეგრელო-ლეჩხუმ-რაჭის შეიარაღებული რაზმი ს. გეგეჭკორის მეთაურობით. ამ რაზმს უფროსობდა ოფიცერი (ბოლშევიკების თანამგრძნობი) ჯაჯანიძე. სხვა ხელმძღვანელთა შორის აღსანიშნავია ამბ. მიშა გეგეჭკორი. ამ რაზმს საოლქო კომიტეტის რაზმი ეწოდებოდა.

საოლქო კომიტეტმა რაზმს წინადადება მისცა აჯანყებულთა დასახმარებლად გამზადებულიყო და ბჯას გადგომოდა. ბრძანება ფიცხლავ შესრულებულ იქნა და რაზმიც საქართველოს სამხედრო ბჯას გაუდგა. გამოანგარიშებული იყო, რომ ეს რაზმი აჯანყებულთ მიუსწრებდა გუდაურში, მაგრამ რაზმი დაბანდდა ყაზბეგში, რამაც დაავიანა დახმარება. აჯანყებულები იძულებულნი იყვნენ ეს უკანასკნელი (გუდაურის სიმაღლე) სიმაგრე დაეტოვებინათ.

საოლქო კომიტეტის რაზმის ყაზბეგში დაბანდება ამ რაზმის ხელმძღვანელთა შეცდომა იყო. ჩემის აზრით (და მაშინ საოლქო კომიტეტიც ასეთი აზრის იყო), არავითარი სერიოზული საბუთი არ

ამხ. კოტე ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო რაზმის ყაზბეგში შესაჩერებლად. იმისი თქმა, ცხადია, არ შეიძლება, თითქო რაზმი რომ თავის დროზე მიშველებოდა, აჯანყება გაიმარჯვებდა, მაგრამ ბრძოლა უფრო გახანგრძლივდებოდა, მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა და გლეხებში ერთგვარი რევოლიუციონური ტრადიცია შეიქნებოდა. გუდაურის გადმოლახვის შემდეგ მენშევიკების ჯარის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, უკანასკნელი ბრძოლა აჯანყებულთ მისცეს ყაზბეგსა და დარიალის ხიდის შუა.

ამ უკანასკნელ ბრძოლაში დაიღუპნენ ამხანაგები: თომა ჩუბინიძე, მიხა პაპუნაშვილი, მიშა გეგეჭკორი, ჭავჭანიძე და მრავალნი სხვანი.

ვადარჩა ხელმძღვანელებიდან მხოლოდ ამხ. ვიქტორ ცინცაძე. მსუბუქად დაჭრილი. თითქმის მთელი თვე მოუნდა მენშევიკების ჯარს და გვარდიას ამ აჯანყების ჩასაქრობათ. საგულისხმიეროა ის, რომ ჯარის ნაწილები ისე მკაცრად არ მოქმედებდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ, როგორც გვარდია. საქართველოს სხვა კუთხეებში ამ დროს სიჩუმე იყო, რადგან არც ორგანიზაციები და არც ხალხი ტეხნიკურად არ იყვნენ მომზადებული აჯანყებისათვის.

ეს იყო უკანასკნელი ხმა ქართველი გლეხებისა 1918 წლის განმავლობაში. ბევრი აჯანყებული გლეხები კავკავს შემოეხიზნენ, რადგან-საშშობლოში მათ ქლეტა და ხვრეტა მოელოდა. საბჭოთა მთავრობამ საოლქო კომიტეტის წინადადებით ყველანი მიიღო, ბინა მისცა, სურსათით და ტანისამოსით შეძლებისა დაგვარად დააკმაყოფილა, შეაიარაღა. საოლქო კომიტეტმა თავი მოუყარა ისევ გადმოხიზნულ რევოლიუციონურ გლეხებს და შექმნა ახალი რაზმი.

საქართველოში კი ახალი დირექტივები მისცა ორგანიზაციებს ბრძოლის გასაგრძელებლად. ცხადია, რომ კვლავ აჯანყებებზე იმ ხანებში ზედმეტი იყო ლაპარაკი. საჭირო იყო ახალი მზადება ახალი გამოსვლებისათვის.

ამავე დროს თერგის ოლქში დაიწყო კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები. საბჭოთა მთავრობის ბედიც ბეწვზე ეკიდა. ამ რაზმმა ჩინებული როლი შეასრულა კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში განსაკუთრებით სახელი გაითქვა ამ რაზმიდან დუშეთის მაზრის გლეხებმა—კახელებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თოდრია.

ალიონიდან გათენებამდე.

პირადი მოგონებანი.

იხ. „რევ. მატ.“ № 2—3 (7—8).

როგორც წინეთ მქონდა მოხსენებული, ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩვენში ბოლშევიკებსა და ყველა დანარჩენ პარტიებს შორის დაიწყო პეტროგრადში მომხდარ ბალშევიკურ გადატრიალებისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ხელში ძალაუფლების აღების შემდეგ.

წინათ იშვიათათ, მარა მაინც ჰქონდა ადგილი მენშევიკ-ბალშევიკების გაერთიანებულ გამოსვლებს დანარჩენ ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ. ამიერიდან ასეთ რამეს ადგილი აღარ ჰქონია; პირიქით, ბალშევიკების წინააღმდეგ ირაზმებოდენ ეხლა ყველა დანარჩენი პარტიები მენშევიკების ბელადობით.

ოქტომბრის გადატრიალებამდე თუ რუსეთში სოციალ-რევოლიუციონერების გეგემონია იყო და მენშევიკები იქ მათ კუდში მიჩანჩალებდენ, აქ, ამიერ-კავკასიაში, მენშევიკები საზოგადოთ და საქართველოს მენშევიკები კერძოთ ხელმძღვანელობდენ სხვა დანარჩენ პარტიებს. ჩვენ, ბალშევიკები, დიდ უმცირესობას შევადგენდით და მართვა-გამგეობის აპარატს ჩამოშორებული ვიყავით. მხოლოთ ბაქოში გვქონდა საგრძნობი ძალა, მაგრამ ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობის ცენტრი თბილისი იყო და არა ბაქო.

პეტროგრადში მომხდარ გადატრიალების შემდეგ ჩვენ მოწყვეტილი დავრჩით ცენტრიდან. დონის ოლქი კაზაკებს ეპირა გენერალ კალედინის მეთაურობით. ისინი არ სცნობდენ პეტროგრადის ბალშევიკურ მთავრობას. ამიერ-კავკასიაშიაც შესდგა კომისარიატი, რომელიც არა ნაკლებ კალედინის მთავრობისა, მტრულ განწყობილებაში იყო სახალხო კომისართა საბჭოს მიმართ.

პეტროგრადიდან მოსულ ცნობებს ჯერ მათ ხელში უნდა გამოეკლო და ისინი კი აქვეყნებდენ ბალშევიკების სასარგებლო ცნობებს მხოლოთ მაშინ, როდესაც მისი დამალვა აღარ შეიძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ზედ დასძენდენ ათჯერ მეტ შეთხზულ სიცრუეს, ბალშევიკების საწინააღმდეგო ამბებს.

პეტროგრადში გადატრიალება მოხდა 25 ოქტომბერს და მთავარობის სათავეში ბალშევიკი კომისრები ჩადგენ, თბილისის გაზეთები კი ამ ცნობებს გარდა ბეჭდავდენ ესერების მინისტრების ჩერნოვის და აქვსენტიევის ლაპარაკს პირდაპირი მავთულით ამიერ-კავკასიის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე დონსკოისთან 10—15 ნოემბრის რიცხვებშიაც კი.

ამიერ-კავკასიის მთავარ-სარდლობასაც ძველ სარდლობის ბანაკთან ჰქონდა კავშირი და ამიტომ საქმის ნამდვილი ვითარება არც ჯარმა იცოდა.

საქმის ასეთმა მდგომარეობამ ჩვენ მეტათ ორჭოფულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ჩვენი გამოსვლისა და აქ ძალა-უფლების ხელში აღების შესახებ ფიქრიც მეტი იყო ასეთ მდგომარეობაში. ჩვენს გაზეთებში ტელეგრაფის სააგენტოს ცნობებს ვბეჭდავდით მხოლოთ და მხურვალე წერილებს ვათავსებდით სახალხო კომისართა საბჭოსა და პეტროგრადის მებრძოლ პროლეტარიატის და ჯარისკაცთა საქებსადიდებლათ, მაგრამ იმავე დროს ციე ოფლი გვასხამდა, როდესაც ვღებულობდით პროვოკაციულ ცნობებს ამ კომისართა საბჭოსა და პროლეტარიატის დამარცხების შესახებ.

ამ დროს ხდებოდა დამფუძნებელი კრების წევრების არჩევნები და სხვა პარტიებსავით ჩვენც ამ საქმეში ვიყავით თავგამოდებით გართული. ამ არჩევნებზე და დამფუძნებელ კრების გახსნაზე ამყარებდენ დიდ იმედებს ყველა პარტიები და ჩვენც მათ ფეხის ხმას ვეუბეით. თავშიდაც არ მოგვდიოდა ის აზრი, რომ საბჭოთა სისტემა და დამფუძნებელი კრება—ეს ორი ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე ანტიპოდებია და მათი ერთსა და იმავე დროს არსებობა ყოველად შეუძლებელი იყო.

მხოლოთ ნოემბრის ოც რიცხვებში, როცა მოვიდა ცნობა ძველი მთავარსარდლის დუბონინის და მისი შტაბის დატუსაღების შესახებ და მის მაგიერ კრილენკოს დანიშვნის ამბავი, ჩვენ უფრო თამამათ დავიწყეთ ლოზუნგების წამოყენება ჩვენი გაზეთების ფურცლებზე,—მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო. მაგრამ დღის წესრიგში აქტიურათ საბჭოთა მთავრობისთვის მხარის დაჭერა ჩვენშიაც გადატრიალების მოხდენით ჯერ არ დასმული.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, არჩეული სხვადასხვა პარტიების, ორგანიზაციების და ნაციონალურ საბჭოების კრებაზე, მტკიცეთ იდგამდა ფეხს. მართალია, კომისარიატსა და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს შორის სუფევდა რამდენიმეთ ანტოგონიზმი, მაგრამ მაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერში კომისარიატს მხარს უმაგრებდენ ნაციონალური საბჭოები, შემდგარი ამა თუ იმ ერის ყველა პარტიების წარმომადგენლებისგან.

როგორ იყვნენ შეკრებილი მუსულმანების და სომხების ეროვნული საბჭოები ეს არ ვიცი, მაგრამ საყურადღებოა საქართველოს ეროვნული საბჭოს შეკრების ისტორია.

ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ დღეებში—1917 წ. აპრილში იქნა დაარსებული საქართველოში მომქმედ ყველა პარტიების ინტერპარტიული საინფორმაციო ბიურო. ეს ბიურო ვითომც ჯერ მიზნათ ისახავდა ქართული პოლკების დაარსებას. შემდეგ მისი ფუნქცია გაფართოვდა ქართველ თავად-აზნაურობის მიერ მათი საზოგადო ქონების ხალხისადმი გადაცემით. რა საკითხები ირჩეოდენ ამ ბიუროში კიდევ, ეს არ ვიცით, მარა ისინი მეტათ „პიკანტური“ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ბიუროს არსებობა საიდუმლოთ ინახებოდა. აგვისტოში ერთ სხდომაზე, რომელსაც თვით ჟორდანია თავმჯდომარეობდა, ბიურომ დაადგინა თავისი სახელწოდების გამოცვლა და გარდაქმნა „საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოთ“. ასეთმა სახელწოდებამ დაიფარეთხო ალბათ ესერები და დაშნაკები და მათ გამოამჟღავნეს პრესაში ამ საბჭოს არსებობა. მენშევიკები იძულებული შეიქნენ გამოეწვიათ თავიანთი წარმომადგენლები საბჭოდან—ჟორდანია, ჩხენკელი და რამიშვილი და პრესაში რამდენიმეთ ბოდიში მოეხადათ და თავი ემართლებიათ.

მაგრამ საბჭოს არსებობა ამითი არ გათავებულა. პეტროგრადში ბალშევიკურ გადატრიალებისთანავე მან ისევ წამოყო თავი აშკარათ. მენშევიკები ახლა აღარ ფარავდენ თავიანთ მჭიდრო კავშირს სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან. პირიქით, ისინი ხელმძღვანელობდენ ამ ინტერპარტიულ საბჭოს.

აი ამ ინტერპარტიულმა საბჭომ მოიწვია საქართველოს ეროვნული ყრილობა 20 ნოემბერს 1917 წ., რომელსაც ნოე ჟორდანია და ჩხენკელი თავმჯდომარეობდენ და ხელმძღვანელობდენ.

მეტათ საყურადღებოა ნ. ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული ამ ყრილობაზე. აი, როგორ დაიწყო მან ეს სიტყვა:

„მე მომანდო ჩვენმა ინტერპარტიულმა საბჭომ მოხსენების წაკითხვა. თქვენ იცით, რომ ინტერპარტიულ საბჭოში შედიან ყველა ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და თუ მათ იცვნეს შესაძლებლათ ერთი პირისთვის მიენდოთ მოხსენების წაკითხვა, აშკარაა, ყოფილა საერთო ნიადაგი და ამ საერთო ნიადაგზე იქნება სწორეთ ჩემი მოხსენებაც აგებული“.

აი როგორ ათავებს ნოე ჟორდანია თავის მოხსენებას ამ ეროვნულ ყრილობაზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამნაირათ, ჩვენი თვითგამორკვევა დღესაც ისეთია, როგორც იყო ამ ასი წლის წინათ. ამ მხრით ჩვენ ვერ წავედით შორს ჩვენ წინაპრებთან შედარებით. დღესაც იმასვე ვფიქრობთ, იმასვე მოვითხოვთ: უნდა დავრჩეთ რუსეთის ჩარჩოში და მოგვეცეს შინაური თვითმართველობა. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ მაშინ ამ თვითმართველობის მეთაური და ბჭენი იყო ქართველი მეფეები, დღეს კი მათი მოადგილეა ქართველი ხალხი და დემოკრატია“.

ნოე ჟორდანიას ასეთ სიტყვეების საპასუხოთ ერთი ორატორი აცხადებს, რომ „ამიერიდან იგი (ჟორდანია) არის სახელოვანი ბელადი არა მარტო დემოკრატიისა, არამედ მთელი ერისაᲗ!“

ამის შემდეგ მენშევიკებმა უკან მოუხედავათ გასწიეს არამც თუ „რუსეთის ჩარჩოებიდან“, არამედ ამიერ-კავკასიის ფარგლებშიდაც კი ეროვნულ დამოუკიდებლობისაკენ, რომელმაც, ისინი მიიყვანა ყველასაგან დამოკიდებულებამდე, გარდა რუსეთისა და ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხისა.

ამ ხოლოთ ჩვენმა წარმომადგენელმა ფ. მახარაძემ შეიტანა დისონანსი ამ ყველა პარტიების შეხმატკბილებულ გალობაში ნოე ჟორდანიას ლოტბარობით. ფილიპემ პროტესტი განაცხადა მენშევიკების სიტყვისა და საქმის სხვა და სხვაობაზე. მან გააფრთხილა ისინი, რომ ყოველივე ამითი მიდიან რუსეთის დიდი რევოლიუციისგან გამოთიშვის გზაზე, რითაც აკეთებენ კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს. ფილიპეს სიტყვამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია დამსწრეთა შორის.

მაგრამ, ალბათ, ამ სიტყვის შედეგი იყო, რომ ყრილობამ თავის მიღებულ რეზოლიუციის პირველსავე მუხლში მაინც შეიტანა განცხადება, რომ ის სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე. მაგრამ ეს განცხადება იმდენათ დაუჯერებელი იყო ყველა ნამოქმედარის შემდეგ, რომ მიმღებთ ხომ არ სწამდათ და არა მისი გულწრფელობა, მაგრამ არც სხვებს სჯეროდათ. და არც შეიძლებოდა დაჯერება, რადგან სიტყვებს საქმეები არ ეხამებოდენ.

რუსეთში ფაქტიურათ ბოლშევიკური მთავრობა არსებობდა. თუ კი „რუსეთის ჩარჩოებში“ სურდათ დარჩენა, როგორც ამას აცხადებდა ჟორდანია ეროვნულ ყრილობაზე, იმ შემთხვევაში აუცილებელი საჭირო იყო ამ არსებულ მთავრობასთან რაიმე კავშირის გაბმა. არაფერს ამგვარს ადგილი არ ჰქონია. რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ კავკასიის საგანგებო კომისრათ ამხ. სტ. შაუმიანი იქნა დანიშნული, მაგრამ ის არ იქნა ცნობილი ადგილობრივ ორგანოებისაგან, რომლებშიაც მენშევიკები, ესერები და სხვა პარტიები გვჭარბობდენ.

29 ნოემბერს მოგვიხდა შეტაკება იარაღით ხელში ნაციონალურ პოლკებთან და წითელგვარდიელებთან. საქმე შემდეგში იყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანელებთან და მათ მოკავშირეებთან ზავზე მოლაპარაკების დაწყების შემდეგ ზოგიერთმა ჯარის ნაწილებმა იწყეს ფრონტიდან მოხსნა და შინ დაბრუნება. ჩრდილოეთ კავკასიაში ამ ნაწილებს თავს ესხმოდნენ მთიელები და იარაღს ყრიდნენ. ამ დროს ამიერ-კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრმა განაკარგულება გასცა, რომ თბილისის არსენალიდან გამოეტანათ ორასი თოფი ვითომც გვარდიელების შესაიარაღებლათ. არსენალში გუშაგათ იდგნენ ჩვენი მომხრე ჯარისკაცები მე-218 პოლკიდან, გაიგეს რა მათ ამბავი თოფების მოთხოვნის შესახებ, ეჭვი შეეპარათ მის დანიშნულებაში და არ დაანებეს გატანა. თან ჩვენ ამხანაგებს სამხედრო ცენტრში აცნობეს ამის შესახებ. ზოგიერთი ამხანაგები წავიდნენ საქმის გამოსარკვევად, მაგრამ გამორკვევის მაგიერ კიდევ უფრო გართულდა საქმე და არსენალის გარშემო ატყდა სროლა. ეროვნულმა ნაწილებმა და სახალხო გვარდიელებმა დაიკავეს არსენალი და მოხსნეს იქიდან 218 პოლკის გუშაგები. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტი გამწვავება და აღშფოთება გამოიწვია ჯარის ნაწილებში. საქმე კინაღამ ჯარის საერთო გამოსვლებით გათავდა, მაგრამ ჩვენი გაზეთების და აგიტატორების საშვალებით შევაჩერეთ ეს გამოსვლა. ამის შემდეგ გაჯავრებულები მე-218 პოლკის ჯარისკაცები მოიხსნენ და წავიდნენ კიდევაც თბილისიდან. ჩვენ კი ვფიქრობდით მომავალ მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობებზე, რომლებიც დანიშნული იყო დეკემბრის შუა რიცხვებში, მოგვეპოვებია უმრავლესობა და ამითი გაგვემტკიცებია საბჭოთა ხელისუფლება ამიერ-კავკასიაში.

მიუხედავათ იმისა, რომ ნოემბრის გამოსვლები ჩვენ შევაჩერეთ, ჩვენს წინააღმდეგ მკაცრი ზომები მაინც იქნა მიღებული ამიერ-კავკასიის კომისარიატისა და საბჭოების ცენტრის მიერ. ეს სიმკაცრე, სხვათა შორის გამოიხატა ჩვენი რედაქციების და სტამბის დაწიოკებაში. დაშნაკელების მაუზერელები შემოეკრენ სტამბაში და მიანგრ-მოანგრიეს „Кавказский Рабочий“-ს აწყობილი ნომერი. „ბრძოლის“ ასოთამწყობებმა ძლივს გადაარჩინეს ნაბოლი დანგრევისაგან. გაზეთების გამოსვლა არ შეგვიჩერებია, მხოლოდ ამ დღეს ნახევარი ნომრის გამოშვება მოგვიხდა.

მაუზერელებმა წაიყვანეს რედაქციიდან სასაბლაღეში რამდენიმე თანამშრომელი, მარა რადგან ისინი არ იყვნენ პირველ ხარისხოვანი პასუხისმგებლები გაზეთებისა, ამიტომ მოულაპარაკებლათ გამოუშვეს იმ წუთში. საღამოზე საბჭოთა ცენტრის სხდომაზე შეკითხვა მისცა ს. ქავთარაძემ და ყორლანოვმა ნ. ჟორდანიას სტამბაში და რედაქციაში მომხდარ ამბების შესახებ, მაგრამ მან მხოლოდ მხრები შეიშმუშნა და საქმის სრული უცოდინარობა განაცხადა, თუმცა ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა გვქონდა, რომ ორდერი რედაქტორების სასახლეში მიწვევის შესახებ მისგან იყო ხელმოწერილი. მან განაცხადა, რომ მე მხოლოთ ზოგიერთ საკითხებზე მოსალაპარაკებლათ მოვიწვიე პასუხისმგებელი რედაქტორები და რედაქციების და სტამბის დარბევა არავისთვის მიმინდვიაო. გამოურკვეველი დარჩა, თუ რა ჰქონდა მას მოსალაპარაკებელი რედაქტორებთან, რადგან არავითარი მოლაპარაკება არ გაუმართავს ამ საღამოს ს. ქავთარაძესთან, რომელიც იყო პასუხისმგებელი რედაქტორი „Кавк. Рабоч."-ის. რადგან ჩვენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებში და მათ აღმასრულებელ ცენტრში უმცირესობას შევადგენდით, ამიტომ მათი ხელახალი გადარჩევის მოთხოვნა წამოვაყენეთ იმ იმედით, რომ ეხლა შესაძლებელი იყო უმრავლესობა მოგვეპოვებია ამ ორგანოებში. პეტროგრადში ჩვენი ძალა-უფლების დამყარების შემდეგ ეს მოსალოდნელიც იყო.

დეკემბრის 10—15 რიცხვებში შეიკრიბა ჯარისკაცთა მეორე ყრილობა. ამ ყრილობაზე ჩვენ შევადგენდით სულ მცირე უმრავლესობას, სხვა დანარჩენ პარტიების შეერთებულ წარმომადგენლობასთან დაპირდაპირებულს. ყრილობა მეტად მღელვარებით ჩატარდა, მებრძოლი მხარეები აღარ ერიდებოდენ არავითარ საშვალებას ერთი მეორის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ჩვენს დელეგატს პოლისუკს ეგგ. გეგეკორმა პროვოკატორობა დასწამა. შუმიანმა კომისარიატს დაუბრალა კალედინისთვის იარაღის მიცემა. ერთი სიტყვით, ჩვენსა და სხვა პარტიებს შორის ბრძოლა ამ ყრილობაზე უმწვერვალესამდე მივიდა. სოლქო ცენტრის არჩევნების დროს ჩვენი დელეგატები გავიდნენ 52, მოწინააღმდეგეების 48. ამნაირათ ჩვენ მხოლოთ 4 ხმით უმრავლესობას შევადგენდით, ისიც დიდი უმრავლესობა ახალი დელეგატები იყვნენ. მოწინააღმდეგეთა უმცირესობა შესდგებოდა ძველი ცენტრის უკვე გამოცდილ წევრებისაგან. ამიტომ მათ ისარგებლეს თავიანთი გამოცდილებით ცენტრის აპარატის ცოდნით და არ დაუშვეს მართვა-გამგეობის საქმეებში ჩვენი ამხანაგები, რის გამოც ისინი იძულებული შეიქნენ უარი ეთქვათ ცენტრის მოქმედების პასუხისმგებლობაზე, დაიყენენ სამ ნაწილათ: ნაწილი ფრონტზე წავიდა ჯარისთვის საქმის მდგომარეობის გასაცნობათ, ნაწილი ბაქოში გადავიდა, სადაც ჩვენ ძლიერი ვიყავით და საბჭოების ხელში იყო ძალა-უფლება, ნაწილი კი თბილისში დარჩა.

ნოემბერში არსენალის გარშემო მომხდარმა ამბებმა, ყრილობის შემდეგ საოლქო ცენტრის უმცირესობის ასეთმა საქციელმა, ეროვნული ნაწილების მიერ ფრონტის მიტოვებამ და თავთავიანთ ეროვნულ სივრცეზე „წესრიგის" დასამყარებლათ დაბრუნებამ, აგრეთვე ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ ოსმალეთთან კერძო, ბოლშევიკურ მთავრობასთან დამოუკიდებლათ მოლაპარაკების გამართვამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის მოთმინების ფიალა აავსო და „იწყო ფრონტიდან მათი უწესრიგოთ მოხსნა.

ჯერ კიდევ ჯარისკაცთა ყრილობა არ იყო დამთავრებული, რომ შესდგა მუშათა საბჭოების ყრილობა. ეს ყრილობა კიდევ უფრო მეტი აყალ-მაყალით მიმდინარეობდა და ბოლოს დელეგატების საგრძნობი ნაწილი იძულებული შეიქნა დაეტოვებია ყრილობა. საქმის გამწვავება გამოიწვია შემდეგმა საკითხმა:

ყრილობის მოსაწვევ დებულების მიხედვით ყოველ 500 ამრჩევლებზე უნდა ერთი წარმომადგენელი ყოფილიყო არჩეული. ასე ჩატარდა არჩევნები თბილისში და დასავლეთ კავკასიაში. ბაქოში და ჩრდილო-კავკასიაში კი ხალხისა და ხარჯების ხელმომპირნეობის გამო ყოველ 2090 ამრჩევლებს გამოეკზავნათ თითო წარმომადგენელი. და აი, ყრილობაზე ამ წარმომადგენლებმა მოითხოვეს დასავლეთ კავკასიის და თბილისის დელეგატების რიცხვის შემცირება ისე, რომ თითო დელეგატი ყოფილიყო 2000 ამრჩეველებისგან, ანადა მათთვის ხმების გადიდება იმდენათ, რომ თითეულს 4 ხმა ჰქონოდა, რითაც ისინი გათანასწორებული იქნებოდენ სხვებთან. ყრილობის „ხუთასიანმა“ უმრავლესობამ ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც „ორიათასიანებმა“ დასტოვეს ყრილობა, რადგან ისინი დიდ უმკირესობაში იქნებოდენ, თუ მათი წინადადება არ იქნებოდა მიღებული. ამნაირათ ფაქტიურათ მოხდა გაყოფა საბჭოების,—ამ ყრილობაზე არჩეული ცენტრი უკვე აღარ წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიას და ბაქოს საბჭოებს. ამიერ-კავკასიის კომისარიატის ძალა-უფლებასაც სცნობდენ მხოლოთ ნაციონალური საბჭოები და მათში გაბატონებული ბურჟუაზიული პარტიები და არა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები — გარდა დასავლეთ-კავკასიისა, რომელიც აგრეთვე ეჭვის თვალით უყურებდა მას, მაგრამ მენშევიკების გავლენით ემორჩილებოდა.

ზავის საკითხშიაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი „რუსეთის ჩარჩოებიდან“ ჩამოშორების გზას დაადგა. სანამ ძველი დროებითი მთავრობა მთავარსარდალი დუხონინი უდგა სათავეში მხედრობას, ამიერ-კავკასიის სარდლობა მას ექვემდებარებოდა; როდესაც დუხონინის შტაბი გარეკილი იქნა და სათავეში ბალშევიკების მთავარსარდალი კრილენკო ჩადგა ამიერ-კავკასიის კომისარიატის ლოცვა-კურთხევით კავკასიის ფრონტის სარდლობა ვენერალ პრეევალსკის მეთაურობით ჩამოშორდა მთლიან რუსეთის სარდლობას და დაექვემდებარა კომისარიატს, რომელმაც კერძო მოლაპარაკება გამართა ოსმალეთის სარდლობასთან ზავის შესახებ. იმ დროს, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკში ბალშევიკური მთავრობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას ახდენდენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან, ამიერ-კავკასიის კომისარიატის დელეგატები ერზიჯანში აწარმოებდენ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკებას ვითომ „მთლიან რუსეთის დემოკრატიული მთავრობის“ პრინციპების მიხედვით.

ეს დემოკრატიული მთავრობა კი უნდა შემდგარიყო მომავალ დამფუძნებელი კრების შეკრების შემდეგ. ეს დელეგატები არ გრძნობდენ უხერხულობას, როდესაც ამიერ-კავკასიის კომისარიატის და რუსეთში არ არსებულ „დემოკრატიული მთავრობის“ სახელით აწარმოებდენ მოლაპარაკებას, მაგრამ თვით ოსმალეთის დელეგატები გამოდგენ უფრო რეალისტები და სურდათ გამოერკვიათ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. ისინი წინადადებას აძლევდენ ამ დელეგატებს დამდგარიყვენ „ბრესტ-ლიტოვსკის დელეგაციის მოლაპარაკების ნიადაგზე“.

ვეხიბ-ფაშა, ოსმალეთის სარდალი, აცნობებს გენერალ ოდიშელიძის საშვალებით ამიერ-კავკასიის კომისარიატს შემდეგს: „მონდობილი მაქვს ვაცნობო ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელნი, შეკრებილნი ბრესტლიტოვსკში, მზათ არიან მიიღონ ყოველივე ზომები ამიერ-კავკასიის მთავრობის საცნობათ, რომელსაც, დაამედებულს საქმის წარმატებაში, შეუძლია გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში“.

მაგრამ, იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო. შესდგა რა ამიერ-კავკასიის კომისარიატი „დამოუკიდებლობის“ გზაზე იმ თავითვე, არავითარ შემთხვევაში აღარ სურდა რაიმე კავშირის დაჭერა ცენტრალურ ბალშევიკურ მთავრობასთან, თუნდაც ასეთი გაწყვეტა ყოველივე კავშირისა, საზარალოც ყოფილიყო კომისარიატისთვის.

ბრესტ-ლიტოვსკში მიპატიჟებაზე ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უარით უპასუხა და კერძო მოლაპარაკება ამჯობინა. გერმანია-ოსმალეთის კავშირსაც სწორეთ ეს უნდოდა, მით უმეტეს, რომ უკრაინაც ბალშევიკების ზურგს უკან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ამნაირათ რუსეთი დაქუცმაცებული გამოდიოდა მოწინააღმდეგის გაერთიანებულ ფრონტის მიპირდაპირეთ.

გერმანელებმა ჯენტლმენურათ მოიხადეს თავისი მოვალეობა და ერთხელ კიდევ აცნობეს-იანვრის შუა რიცხვებში ამიერ კავკასიის კომისარიატს ბრესტ-ლიტოვსკში მათი წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ, მაგრამ კომისარიატმა ახლაც არ ისურვა იქ დელეგატების გაგზავნა და ცალკე მოლაპარაკება გამართა გერმანია-ოსმალეთთან.

მოწინააღმდეგემ მოხერხებულათ ისარგებლა ამ გარემოებით და ვითომ უკეთეს ზაკის პირობებსაც კი უდებდა რუსეთს ჩამოშორებულ უკრაინის და ამიერ-კავკასიის მთავრობებს.

„ერთობის“ ათი დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ გულჩვიადურ და ტრაბახულ წერილს, რომელიც ახასიათებს ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელთა, უმთავრესათ მენშევიკების სიბეცეს:

„ადგილობრივი კომისარიატის შედგენას პირველი შესამჩნევი ნაბიჯი მოჰყვა—ამ საოცნებო მიზნის განხორციელება. კავკასიის არმიასა და ოსმალეთის ჯარს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალით დროებითი მორიგება ფრონტზე უნდა გაგრძელდეს სრული საზავო მოლაპარაკების დამთავრებამდე. განსაკუთრებული თვისებები კავკასიის ფრონტის მორიგების დასავლეთის ფრონტის პირობებთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ: 1) ეს მორიგება გრძელდება ზავის ჩამოგდებამდე, მაშინ, როდესაც დასავლეთის ფრონტზე მხოლოდ 1-ლ იანვრამდე; 2) აქ სავსებით აკრძალულია ჯარების გადაყვანა მესოპოტომიის და სირიის ფრონტზე და ამით დაცულია სავსებით მოკავშირე სახელმწიფოთა ინტერესებიც; 3) პირობის დარღვევა და საომარ მოქმედების განახლება უნდა ეცნობოს მოპირდაპირე მხარეებს 14 დღით ადრე, დასავლეთის -ფრონტზე კი 7 დღით ადრე. აქედან ცხადია, რომ მოლაპარაკება, რომელსაც აწარმოებს შეერთებული და ძლიერი დემოკრატიული მთავრობა, შეუძლია საპატიო პირობების შემუშავება, ხოლო უზურპატორთა მოლაპარაკებას კი მხოლოთ სამარცხვინო ზავის მოტანა მოჰყვება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელსაც წილათ ხვდა ამ მორიგების ხელმძღვანელობა, არ შეეძლო საყოველთაო ზავზე ლაპარაკი „იმიტომ, რომ იგი მხოლოთ ადგილობრივი მთავრობაა და არა საერთოთ მთელი რუსეთის. ამ შეზღუდულ ფარგლებში კი მან მიაღწია სწორეთ ისეთ ზავს, რომელიც ხალხის ინტერესებს და პატივს სავსებით შეეფერება“.

ეგეგე ტრაბახი გაიმეორა საზაო დელეგაციის ერთმა წევრმა—თევზაიამ საბჭოთა ცენტრის კრებაზე.

მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ როგორ გათავდა ეს „საპატიო ზავი“ ამიერ-კავკასიის მთავრობასთან და უკრაინასთან დადებული გერმანია-ოსმალეთის მიერ. ეს მთავრობები იძულებული შეიქნენ ჩქარა დამორჩილებოდენ გერმანია-ოსმალეთის სარდლობას და მათი ჯარები გაეტარებიათ თავიანთ მიწა-წყალზე ბალშევიკებთან საბრძოლველათ. აბა ვიღას ახსოვდა სირიაში და მესოპოტამიაში ჯარების გადაჯგუფებაზე, როდესაც თვით წამოადგათ თავზე ოსმალეთ-გერმანელების ხიშტები.

ერზიჯანში დადებული დროებითი „საპატიო ზავი“ ჩქარა იქნა დაფხრეწილი ოსმალეთის მიერ და გაცემული იქნა ბრძანება ჯარისადმი—იარეთ წინ, სანამ რუსეთის ჯარები არ შეგხვდებათო.

რუსეთის ჯარები კი ყოველივე იმ ზომების შემდეგ, რომლებიც იყო მიღებული მათ გასაბრახელათ ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ, თანდათან იხსნებოდა ფრონტიდან და მიეშურებოდა იქითკენ, სადაც სახალხო კომისართა საბჭოს და მის დეკრეტებს ჰქონდათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალი. მართალია, მათ იქითკენ მისწრაფებას ბევრი ხიფათები ეღობებოდენ წინ, მაგრამ ისინი ამ ხიფათების დაბრკოლებებს სისხლის ღვრით არღვევდენ და მიდიოდენ. ამიერ-კავკასიის კომისარიატს დიდი წილი მიუძღოდა ჯარის ასეთ დაბრკოლებებით ჩრდილოეთისკენ მოგზაურობაში.

ამიერ-კავკასიის მესვეურებმა ჩქარა იგრძნეს თავიანთი შეცდომა, როდესაც მარტონი დასდგენ პირის-პირ ოსმალეთის ძალებთან, რომელიც მათ აღარავითარ ანგარიშს აღარ უწევდა. ახლა კი მორთეს წუწუნი, მაგრამ გვიანღა იყო.

ყველაფერში მაინც ბოლშევიკებს ამტყუნებდენ,—თავიანთ რუსეთიდან გამოყოფასაც კი. აი რას სწერდა „ერთობა“ 19 იანვრის ნომერში,—მას შემდეგ, როდესაც მათი გამოცალკევებული მოლაპარაკება ოსმალეთთან მათ საბედისწერო ხასიათს ღებულობდა და ოსმალები თბილისში თხოულობდენ საზავო დელეგაციის მოწვევას.

„ეს გარემოება (ძალების შესუსტება) უფრო გაძლიერდა, როცა ბალშევიკების „მთავრობამ“ მთელი რუსეთი წვრილ-წვრილ ერთეულებათ დაანაწილა და ეს ერთეულები ყოველ მხრივ სრულ სისუსტეს განიცდიან. თუ მთლიანი რუსეთი ვერ ახერხებდა მტრის მოგერიებას, როგორ უნდა მოახერხოს პატარა ერთეულმა—თუნდაც იგივე ამიერ-კავკასიამ, რომელსაც მტერი კარს ადგია და მუდამ მოსალოდნელია მისი წალეკა... როცა რუსეთის ჯარი ფრონტიდან მთლათ დაინძრა და იგი გაატიტვლა, ამიერ-კავკასიის მცხოვრებთათვის სრულიად შეუძლებელია ახლა საკუთარ ძალ-ღონით ფრონტი დაიცვას—თუნდაც ძველ საზღვრებში. ამისთვის ჩვენ არც მატერიალური და არც სულიერი ძალა არ მოგვეპოება“.

ასე წუწუნობს ამიერკავკასიის პოლიტიკის ხელმძღვანელ პარტიის, მენშევიკების ორგანო მას შემდეგ, როდესაც დღიდან ოქტომბრის გადატრიალებისა ზემოთ მოყვანილ წუწუნის ატეხამდე ათასნაირ ჭორებს ავრცელებდა ბალშევიკების ცენტრალურ მთავრობის შესახებ, რათა გაემართლებია ამიერკავკასიის ცალკე გამოყოფა და რომელიც ყოველივე ზომებს ღებულობდა, რათა რუსეთის ჯარი აქედან წასულიყო. როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ დღეებში ინტერპარტიულმა საბჭომ გადასწყვიტა ეროვნული პოლკების დაარსება, რისთვისაც ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები იყვნენ გამოწვეული. ამავე ეროვნული პოლკების მიერ არსენალის დაკავება; ჯარისკაცთა ყრილობაზე არჩეულ ცენტრის უმრავლესობის უმცირესობის მიერ არ დაშვება მართვა-გამგეობის საქმეებთან; ოსმალეთთან ცალკე მოლაპარაკების გამართვა ზავზე იმ დროს, როდესაც ბალშევიკების მთავრობა აწარმოებდა ამ მოლაპარაკებას მთელი რუსეთის სახელით,—ყოველივე ესენი ხომ ხელს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუწყობდენ კავკასიის ფრონტის გამაგრებას! დაუმატოთ ამას კიდევ ის გარემოება, რომ ფრონტიდან მოხსნილ ზოგიერთ ჯარის ნაწილებს გზაში თავს ესხმოდენ ბრბოები, იარაღს ყრიდენ და ხოცავდენ,— ხშირათ ეროვნული ნაწილების მეთაურობით, რომლებიც ეროვნულ საბჭოებს უფრო ექვემდებარებოდენ, ვიდრე ამიერკავკასიის კომისარიატს.

საზოგადოთ ეროვნული საბჭოები ცხადათ იჩენდენ მისწრაფებებს ამიერკავკასიის ფარგლებშიდაც ეროვნულ დანაწილებისაკენ და თავიანთ ხელში ამ ეროვნულ ნიადაგზე მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებისაკენ. მათმა ასეთმა მისწრაფებამ შიშიც კი გამოიწვია მუშათა საბჭოში და 17 იანვრის სხდომაზე მუშათა ცენტრმა დაადგინა, რათა „გაერთიანებულ ცენტრს წინადადება მიეცეს, რომ ეროვნული საბჭოები სახელმწიფოებრივი უფლებით არ იყონ აღჭურვილნი“.

22 იანვარს გაიხსნა ამიერკავკასიაში რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის არჩეულ დეპუტატების კრება. თანახმათ ჯერ კიდევ ნოემბერში გაერთიანებულ საბჭოთა ცენტრის დადგენილებისა, ამ კრებას უნდა გამოეცხადებია თავი ამიერკავკასიის სეიმათ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დამფუძნებელი კრება ვერ შესდგებოდა. და რადგან ბალშევიკების მთავრობამ გარეკა დამფუძნებელი კრება 5 იანვარს, დადგენილების მიხედვით შეიკრიბენ ამიერკავკასიის დეპუტატები. მენშევიკები და მუსავატისტები თანახმა იყვნენ, რომ დეპუტატების რიცხვი გაედიდებიათ სამჯერ და კრებული გამოეცხადებიათ ამიერკავკასიის კანონმდებელ სეიმათ. მხოლოთ დაშნაკელები და ესერების ნაწილი (რუსები) არ იყვნენ ამის თანახმა. დაშნაკელები შიშობდენ თავიანთი ეროვნული საბჭოს ძალა-უფლების შეკვეცაზე სეიმის სასარგებლოთ; ესერები კი სეიმის დაარსებაში ხედავდენ ამიერკავკასიის ერთხელ და სამუდამოთ რუსეთიდან გამოყოფის ნიშნებს.

მენშევიკების და ესერების ნაწილის ხმების უმრავლესობით დადგენილ იქნა დელეგატების რიცხვის სამათ გადიდება და კანონმდებელი სეიმის მოწვევა 10 თებერვლისთვის.

დეპუტატების ერთი სამათ გადიდების დროს ბოლშევიკებსაც ხვდებოდათ სეიმში მონაწილეობის მიღება. სეიმის მომწვევმა კომისიამ მიმართა ჩვენ საოლქო კომიტეტს წინადადებით, რომ გაგვეგზავნა ჩვენი დეპუტატებიც, რაზედაც საოლქო კომიტეტმა შემდეგი პასუხი გასცა, რომელიც წაკითხული იქნა დეპუტატების თათბირზე 23 იანვარს:

„...ბოლშევიკების კავკასიის კომიტეტი აცხადებს შემდეგს: იღებს რა მხედველობაში 1) რომ ამ ჟამათ მოწვეულ ამიერ კავკასიის სეიმს არავითარი უფლებები არა აქვს ამიერ-კავკასიის ხალხისაგან, ვინაიდან დამფუძნებელ კრების მომავალ დეპუტატებს სრულებითაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირჩევდენ ამიერ-კავკასიის სეიმისთვის; 2) რომ ეს სეიმი არის მხოლოთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის გაგრძელება, რომელსაც საბოლოოთ გაუტყდა სახელი მცხოვრებთა შორის; 3) ამიერ კავკასიის სეიმის მოწვევა რუსეთში შექმნილ მდგომარეობის დროს მოასწავებს ამიერ-კავკასიის რუსეთიდან ფაქტიურათ ჩამოშორებას და ხალხის სურვილებისა და ნების გარეშე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას, ამავე დროს მოასწავებს საბჭოების ძალა-უფლების წინააღმდეგ ბრძოლას, ე. ი. სხვანაირათ რომ ვსთქვათ, მუშებისა და გლეხების მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციონერებისა, ბურჟუაზიისა და მემამულეებთან ერთად; 4) ამიერ-კავკასიის სეიმს იწვევენ რუსეთში გამოცხადებულ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ილებს რა ყოველივე ამას მხედველობაში რ. ს.-დ. მ. პ.-ბოლშევიკების კავკასიის კომიტეტი უარს აცხადებს ყოველგვარ მონაწილეობაზე ამიერ-კავკასიის სეიმში, რომელსაც ამ ჟამად იწვევენ და ამასთანავე აცხადებს, რომ ბალშევიკების პარტია მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ, გამოაშკარავოს ამიერ კავკასიის სეიმის ინიციატორები, თუ როგორ ატყუილებენ ისინი ხალხს".

სეიმის გახსნის წინასწარ თათბირის დროს ჩვენს გაზეთებში გამოცხადებული იყო სტ. შაუმიანის განცხადება, რომ ის დანიშნულია სახალხო კომისართა მიერ საგანგებო კომისრათ კავკასიაში და ყოველივე საქმეების შესახებ ღებულობს მოქალაქეებს კოჩუბეის ქუჩაზე, შავერდოვის ბინაზე.

თუმცა შაუმიანი ჯერ კიდევ 18 დეკემბერს იქნა დანიშნული ამ თანამდებობაზე, მაგრამ მისი მანდატი მიღებული იქნა მხოლოთ იანვრის შუა რიცხვებში, რომელიც ჩამოიტანეს პეტროგრადში გაგზავნილმა ამხ. კოტე ცინცაძემ, ლადო დუმბაძემ და კამომ.

წაიკითხა თუ არა შაუმიანის განცხადება გაზეთებში ამიერკავკასიის კომისარიატმა განკარგულება გასცა, რათა შაუმიანს და მის მდივანს კუზნეცოვს ოცდა-ოთხი საათის განმავლობაში დაეტოვებია ამიერკავკასიის სამზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაპატიმრებული იქნებოდენ.

ამ განკარგულების შემდეგ შაუმიანი იძულებული შეიქნა გამოეცვალა ბინა. ის გადმოვიდა კადეტის კორპუსის შესახვევში ერთი ექიმის ბინაზე (მგონი აგაჯანოვის) და ეხლა ფარულათ განაგრძობდა მოქმედებას. აქ შეეხვდი მე მას უკანასკნელათ, რის შემდეგ მე ის აღარ მინახავს. ერთად-ერთ უმთავრეს დასაყრდნობ ძალას ეხლა შეადგენდა ფრონტიდან მოხსნილი ჯარები და მუშების უმცირესობა. განსაკუთრებით გვიპერდენ ჩვენ მხარს ერზერუმის პოლკი, 218 პოლკის ჯერ კიდევ დარჩენილი ნაწილები, საპაორები და სხ. იმათი საშეალებით ჩვენ შეგვეძლო ძალა-უფლების ხელში აღება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტათ ფრთხილათ ვიქცეოდით და ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევდა ზოგიერთ ამხანაგებში,-უფრო კი ჯარისკაცებში. აუცილებელი იყო საქმის სიჩქარე, თორემ ძალა თანდათან გვაკლდებოდა, რადგან ჯარს უსაქმოთ გაჩერება ერთ ადგილას არ სურდა. შაუმიანმაც გადასწყვიტა არ გაეშვა დრო და 31 იანვარს გამოუშვით დიდი გაზეთი „სახალხო კომისართა კავკასიის უწყება", რომელშიაც გამოცხადებული იყო სახალხო კომისართა დეკრეტი შაუმიანის კავკასიის საგანგებო კომისრათ დანიშვნის შესახებ, თვით შაუმიანის მოწოდება მუშებისა, გლეხებისა და ჯარისკაცების მიმართ და რამდენიმე დეკრეტი, გამოცემული სახალხო კომისართა მიერ. სამართლიანათ ამ გაზეთის გამოშვებას უნდა მოჰყოლოდა ცდა ძალა-უფლების ხელში აღებაზე და ამისათვის აუცილებელი ბრძოლა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და აი რატომ:

ჩვენ ვიცით, რომ პეტერბურგში ბოლშევიკებმა ძალა-უფლება აიღეს საბჭოების ყრილობის დროს და მისი სახელით. შაუმიანი კი თავის მოწოდებაში ერთი სიტყვითაც არ ანბობდა, რომ დაუყოვნებლივ ძალა-უფლება უნდა გადასულიყო საბჭოების ხელში და ამისთვის საბრძოლველათ დღესვე გამოსულიყვნენ მუშები და ჯარისკაცები. თუმცა ის ერთ ადგილას ამბობს, რომ „საბჭოთა მთავრობა კავკასიაში უნდა იქნეს შექმნილი დაუყოვნებლათო," მაგრამ ამავე მოწოდებაში ხაზ-გასმით სწერს: „მე მივმართავ კავკასიის უდიდეს საბჭოებს: ბაქოსას, თბილისისას, გროზნისას და სხვ: და აგრეთვე საოლქო ცენტრის ნაწყვეტებს—მოწოდებით აიღონ ხელში მეთაურობა საჩქაროთ, დაუყოვნებლათ კავკასიის საბჭოთა ყრილობის მოწვევისა ცენტრალური ნდობით აღჭურვილი საბჭოთა მთავრობის შესაქმნელათ."

ამ მოწოდების შემდეგ მიდის ჩვეულებრივი ცნობები რკინის გზებზე ჯარის ბრბოსაგან განიარაღების შესახებ, გლეხთა მოძრაობის ამბავი სხვა და სხვა ადგილებში და სხვ.

ერთის მხრით ამ გაზეთის გამოშვება თითქოს სიგნალი იყო ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ, მეორე მხრით კი ამ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების დრო იდებოდა ყრილობის მოწვევამდის. ამნაირათ ეს მეორე ცდა ძალა-უფლების აღებისა უშედეგოთ ჩაიარა. ჩვენს წინააღმდეგ ამიერკავკასიის კომისარიატის რეპრესიები კი კიდევ უფრო გაძლიერდა. ჯარების ნაწილებიც დაიძრენ წასასვლელათ და შაუმიანიც იძულებული შეიქნა ერთ-ერთ ეშელონს გაჰყოლოდა ბაქოში, სადაც საბჭოს ხელში იყო ძალა-უფლება, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ექვემდებარებოდა მხოლოთ მასში შემავალ ზოგი პარტიების სახით, მუსავატელების, დაშნაკების, ესერების და მენშევიკების, მარა მთლიანათ კი კომისარიატისაგან დამოუკიდებელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 თებერვალს დილით მოვიდა ჩვენ სტამბაში გვარდიელების და ნაციონალურ პოლკების ნაწილი და დაგვიბეჭდა სტამბა. ეს სტამბეკუთვნოდა კავკასიის საოლქო კომიტეტს და ითვლებოდა პოლიკოკიკალეშვილის და დ. გაგლოევის სახელზე. სტამბის დაბეჭდვამ რა თქმა უნდა გაზეთების გამოშვება შეაჩერა. სტამბაც ამ მიზნით იქნა დაბეჭდილი სწორეთ.

ამ გარემოებამ ჩვენ შინაურ ამხანაგების წრეში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მე და ვანო ბოლქვაძე წავედით რკინის გზის სახელოსნოებში, რომ იქაურ ამხანაგებისათვის,—გ. ჩხეიძესა, არაქელასა და სხვებისთვის გვეცნობებია ეს ამბავი. სხვები სხვა ფაბრიკაქარხნებისკენ გაემართენ. გაიმართა საპროტესტო მიტინგები ყოველგან. სტამბების მომუშავეთა ნაწილმა საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა. მიტინგებზე საპროტესტო რეზოლიუციები გამოჰქონდათ, მაგრამ მათი გამოქვეყნება არ შეგვეძლო ბეჭდვითი ორგანოების და სტამბის უქონლობის გამო. მივმართე კერძო სტამბებს, მაგრამ უარი მითხრეს გაზეთის დაბეჭდვაზე, რადგან მთავრობის წარმომადგენელს გაეფრთხილებია მესტამბეები, რომ არაფერი დაებეჭდათ ბოლშევიკების, თორემ სტამბის დახურვით დამუქრებოდა. ცხრა თებერვალს ბევრ აღგილებში ჩატარდა საპროტესტო მიტინგები. ათ თებერვალს კი ალექსანდრეს ბაღში უნდა შემდგარიყო ჩვეულებრივ მიტინგი. ამ ბაღში განუწყვეტლათ იმართებოდა მიტინგები რევოლიუციის პირველ დღეებიდან. ამ დღეს იხსნებოდა ამიერ-კავკასიის სეიმი. ჩვენც გადავწყვიტეთ ბაღში მიტინგისათვის ფართე ხასიათი მიგვეცა და სეიმის წინაალმდეგ და ჩვენი გაზეთების დახურვის საპროტესტო რეზოლიუციები მიგვეღებინებია. სეიმის გახსნას დავესწარი, მაგრამ ის დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან მუსულმანი დელეგატები აზერბეიჯანიდან არ გამოცხადდენ და კრება გადაიდვა სამი დღით. კულუარებში ზოგიერთ მენშევიკ მუშებთან შელაპარაკება მომიხდა. მე და შენ დაგვჭირდება ამ სეიმის გარეკა მეთქი ვეუბნებოდი ზოგ იმათგანს, რომლებიც არ იყვნენ კმაყოფილნი საბჭოებიდან ძალა-უფლების სეიმის ხელში გადასვლით. ამის შესახებ მენშევიკების წრეებში, უფრო მუშებში დიდი მითქმა-მოთქმა და ყოყმანი იყო. ბევრს არ მოსწონდა საბჭოების უფლების შეზღუდვა და სეიმისათვის კანონმდებლობის უფლების მინიჭება.

სეიმიდან, რომელიც საოპერო თეატრში იყო გახსნილი, წამოვედი ალექსანდრეს ბაღში. იქ მიტინგი დილიდანვე განუწყვეტლათ მიმდინარეობდა. საგანგებოთ გაკეთებულ ფიცრულ მაღლობზე იყო მიტინგის პრეზიდიუმი და სხვა მოწინავე ამხანაგები. მეც ავედი ამ ფიცრულზე. თავმჯდომარეობდა მიტინგს ს. ქავთარაძე. სიტყვას ამბობდა ნესტორ ცერცვაძე. მიტინგზე ხალხი ნაწილი მოდიოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მიდიოდა. უეცრათ გამოჩნდა ეროვნული პოლკის ნაწილი მილიციონერებით და წითელი დროშით. როცა შეეხვედე მიტინგისკენ მომავალ ამ ნაწილს, სიხარულით დამიწყო გულმა ტოკვა. ვიფიქრე, რომ მიტინგზე მწყობრათ მოდიან დროშით ხელში ეროვნული პოლკის ნაწილი და მილიციონერები მეთქი. შემოვიდნენ თუ არა ქუჩიდან ბაღის კარებში, შეჩერდენ, ჩამწკრივდენ და იმავ წუთში გახდა თოფების ფათქა-ფუთქი. გონს ვერ მოვსულიყავით. ალბათ სხვებიც ჩემსავით ფიქრობდენ ამ ნაწილის მიტინგზე დასასწრებლათ მოსვლის შესახებ. თავმჯდომარემ—ს. ქავთარაძემ დამშვიდებაც კი დაუწყო მიტინგს: „ნუ გეშინიათ, მაღლა ისვრიანო“, მაგრამ ჩქარა ცხადი შეიქნა, რომ მაღლა კი არა, პირდაპირ მიტინგს ესროდენ, რადგან რამდენიმე კაცი წაიქცა მძიმეთ და სასიკვდილოთ დაჭრილი. მაშინ კი მსწრაფულ ჩამოვხტით ფიცრის მაღლობიდან და იქვე გაეწექით მიწაზე, მიტინგის ნაწილი კი გაიფანტა ბაღში. დაწოლილებს გარს შემოგვერტყენ მილიციონერები და ქართული პოლკის ნაწილის ჯარისკაცები. სროლა წუთით შესწყდა, მაგრამ კვლავ განახლდა. მე და მამია ორახელაშვილი ერთათ ვიყავით ჩაწოლილი. გვერდში ერთი რუსი მუშა საცოდავათ კვნესოდა მძიმეთ დაჭრილი. გარშემო უკვე გაციებული ვეამები ეყარენ. ჩემს პირდაპირ მახლობლათ ერთი ჯარისკაცი ყუმბარით ხელში გვიყვიროდა არ გაინძრეთ, თვარა გესვრითო. მე უეცრათ გავფიცხდი და მივაყვირე: ხომ ხედავ, ბიჭო, ვწევართ და რაღას გვიღერ ყუმბარას მეთქი. ამის შემდეგ სროლა შეწყდა. მოვიდა ნაწილის უფროსი ოფიცერი და მისი ხელმძღვანელობით დაიწყეს ძებნა ჩვენი მეთაური ამხანაგების. საიდანღაც გამოჩნდენ ესერები მერხალეევი და თუმანოვი, რომლებმაც გამოგვიყვანა ბაღიდან მე, ნაზარეტიანი, მამია ორახელაშვილი და სხვები. ბაღს რომ გავშორდი და წავედი ვანქის ქუჩაზე, გამვლელებმა შემაჩერეს და დამიწყეს გამოკითხვა, თუ სისხლში რათ ვიყავი გასვრილი. თურმე პალტოს ზურგი სულ გასვრილი მქონდა სისხლით, ალბათ გვერდზე რომ დაჭრილი მუშა კვნესოდა, იმისი სისხლი იყო.

ამნაირათ, ამიერკავკასიის სეიმის გახსნა აღნიშნული იქნა ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიანი მიტინგის სისხლის დაღვრით. სეიმის ხელმძღვანელები ფიქრობდენ სისხლის დაღვრით თავიანთი ნიადაგის გაპოხიერებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: სეიმი უდღეური გამოდგა, მან მხოლოთ სამ თვე ნახევარი იცოცხლა და სამარცხვინოთ დაამთავრა თავისი არსებობა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. ი. ზერმანი.

ამხ. კამო.

(ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაცია.)

ერევნის მოედანზე გატაცებული ფულის გამსაღებლები, მართალია, ევროპის მთავრობებმა მეფის მთავრობას არ გადასცეს, მაგრამ თვით ამ სახელმწიფოებმა ამხ. კამოს ხელის შემწყობნი გაასამართლეს და დასაჯეს. ასე მაგ., მიუნხენში არსებული რუსეთის დიპლომატიური მისიის ცნობით სამი რუსი ქვეშერდომის საქმე, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ ამ ქალაქში და ბრალად ედებოდათ 1907 წელს 13 ივნისს ტფილისში თავდასხმა სახაზინო ფულის ტრანსპორტზე, გაირჩა 1908 წლის ივნისში მიუნხენის სასამართლოს მეორე კამერაში ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლათ სასამართლოს დირექტორის თავმჯდომარეობით. მათ ბრალათ ედებოდა გატაცებული ფულების გადამალვა კი არა, როგორც პირველად ფიქრობდენ, არამედ—ბოროტმოქმედებისათვის ხელის შეწყობა. დამნაშნაეთ მიესაჯა ერთი წლით საპყრობილე.

მთელი რიგი დაპატიმრების შემდეგ ტფილისში, რაც დაკავშირებული იყო ერევნის მოედანზე გატაცებულ 500 მანეთიანების დახურდავებასთან, დაბოლოს, როცა გერმანიამ რუსეთს მისცა კამო, გამომძიებელს ხელში ჩაუვარდა ნამდვილი დამნაშავე. ტფილისში მოყვანის შემდეგ, 1909 წლის 19 ოქტომბერს პირველად დაჰკითხა ამხ. კამო ტფილისის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა მალინოვსკიმ. საქმის გამოძიებამდე კამო მოთავსებულ იქნა მეტეხის ციხეში. იმავე წლის 26 ოქტომბერს გამომძიებელის დადგენილებით დაპატიმრებულ იქნა ავსტრიის ქვეშეერდომი, აზნაური დმიტრი ივანეს ძე მირსკი, რომლის პასპორტითაც კამომ ისარგებლა საზღვარგარეთ წასელის დროს. ამავე წლის 31 დეკემბერს დასრულდა საქმის გამოძიება და მთელი მასალა, დაახლოვებით 13 ტომამდე, წარედგინა ტფილისის საოლქო სასამართლოს, მაგრამ ამ საქმეს არ მიეცა ნორმალური მსვლელობა. სამი დღით ადრე, ვიდრე საქმე პროკურორს გადაეცემოდა, ტფილისის გენ. გუბერნატორმა, გენერალ-მაიორ რიაბიკინმა აცნობა პროკურორს, რომ მან საჭიროდ დაინახა ამ საქმის გარჩევა სამხედრო დროის წესების მიხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლვით კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოში. სამხედრო სასამართლოს სხდომა შესდგა 1910 წლის 26 აპრილს. აი როგორ აცნობა ამ სხდომის შედეგი პროკურორმა იუსტიციის მინისტრს: „26 აპრილს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო შედგა 13 ივნისს. 1907 წელს ერევნის მოედანზე მომხდარ სახაზინო ფულის გატაცების საქმის გარჩევას. სასამართლოს შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე დოლგინსკი, დროებითი მოსამართლენი ვაჩნაძე და პენტკო. ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული იყვნენ ქ. გორის მცხოვრები სიმონ ტერ-პეტროსოვი და აზნაური დიმიტრი მირსკი, რომელთაგან პირველს, დანაშაულის დამამტკიცებელ სხვა საბუთთა გარდა, რომელიც აშკარად ამტკიცებს მის მონაწილეობას ამ საქმეში, მას მარჯვენა ხელში აღმოაჩნდა იმ პატრუქის ნატეხები, რომლითაც ყუმბარა ააფეთქა. ამასთან პეტროსიანცი პირველად დაპატიმრებულ იქნა ბერლინში ასაფეთქებელი მასალებით და შორის მანძილზე სასროლი ელექტრო-მამოძრავებლით; გერმანიის მთავრობამ ის აღიარა „მეტად საშიშარ ანარქისტად“. არც ერთი გამოძიების დროს პეტროსიანცს არ გამოუწვევია ეჭვი იმაში, რომ ის არანორმალური ადამიანია, პირიქით, ის მეტად თავდაჭერილ, მოფიქრებულ პასუხს იძლეოდა და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ექსპერტების შემოწმების შემდეგ დაურწმუნეველი საბუთები აღმოჩნდა მისი დანაშაულის დამამტკიცებელი და დარწმუნდა რა, თუ რა სასჯელი მოელოდა, სასამართლოს სხდომების დაწყების წინ თავი შეშლილად გამოაჩინა, რაც აშკარა სიმულაციაა. სამხედრო სასამართლომ ოთხი ექსპერტი ექიმის (ჩუდნოვსკის, ორბელის, მონსე და გედევანოვის. ეს უკანასკნელი ძმაა იმ ოფიცერ გედევანოვისა, რომელმაც გაძარცვა დუშეთის ხაზინა და გაიტაცა 315.000 მან., რომელთაგან სამი მოწვეული იყო დამნაშავის მიერ), დასკვნის თანახმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საქმის გარჩევა არსებითად შეჩერებული იქნას და ტერ-პეტროსოვი შემოწმებულ იქნას გონებრივათ სპეციალურ საავადმყოფოში მოთავსებით. თუ რა სახით უნდა იქნას განხორციელებული სამხედრო სასამართლოს დადგენილება პეტროსიანცის მიმართ, (რომელიც გამოჩენილი რევოლიუციონერია და სახელგანთქმული არა მარტო რუსეთის ორგანიზაციებში, არამედ—საერთაშორისო მასშტაბით (სასამართლოს სხდომის წინ პრუსიის რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატებმა შეკითხვა შეიტანეს იმის შესახებ), თითქოს ის გერმანიის მთავრობამ უკანონოდ გადასცა რუსეთს, მე მოგახსენებთ დამატებით. რადგანაც ტფილისში ისეთი ფსიქიატრიული საავადმყოფო არ არის, საიდანაც შესაძლებელი არ იყოს პეტროსიანცის გაქცევა, ამიტომ ახლავე საჭიროა ისეთი საავადმყოფოს ამორჩევა, საიდანაც პეტროსიანცი გაქცევას ვერ მოახერხებს. ზემოდ თქმულს დავსძენ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის შეკითხვაზე პოლიციის დეპარტამენტმა პირდაპირ პასუხი არ მისცა თუ როგორ არის დასაბუთებული გერმანიის მთავრობის მიერ პეტროსიანცს გაცემა, მაგრამ მთავარ სამხედრო პროკურორის ცნობიდან სჩანს, რომ რუსეთის მთავრობას პეტროსიანცის გაცემის შესახებ მოთხოვნა არ წარუდგენია, პეტროსიანცი მხოლოდ გადასახლებულ იქნა გერმანიის საზღვრებიდან. გერმანიაში პეტროსიანცს იცავდა ვექეი კონი, რომელმაც ის შეიყვანა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და როგორც სამხედრო სასამართლოს მიწერ-მოწერიდან სჩანს, კვლავ განაგრძობს შუამდგომლობას პეტროსიანცის საქმის შესახებ.

რეიხსტაგში შეტანილი მემარცხენე ფრაქციის შეკითხვისა და გერმანულ პრესაში დაწყებული კამათის გამო კამოს შესახებ საინტერესო მიწერ-მოწერა გაჩაღდა შინაგან საქმეთა მინისტრის სტოლიპინის და კავკას. მეფის მოადგილის ვორონცოვ-დაშკოვის შორის. 1910 წლის 7 მაისს სტოლიპინმა შემდეგი წერილით მიმართა მეფის მოადგილეს: „მოწყალეო ხელმწიფეე, გრაფ ილარიონ ივანესძეე! საგარეო საქმეთა მინისტრმა ა/წ. 27 აპრილს წერილით მაცნობა, რომ გერმანელი დემოკრატიული პრესა უკანასკნელ დღეებში მეტად თავგამოდებული სწერს რუსეთის ქვეშევრდომის არშაკოვის (იგივე მირსკის და ტერ-პეტროსოვი) ბედის შესახებ, რომელიც პასუხის გებაშია მიცემული ქ. ტფილისში 1907 წელს სახახნო ფულის ტრანსპორტზე თავდასხმის გამო. რადიკალური ორგანოები „ფორვერტსი“ და სხ. თავს ესხმიან გერმანულ პოლიციას, რომელმაც არშაკოვი— მირსკი გააძევა რუსეთში ბერლინის საქალაქო სულით ავადმყოფთა თავშესაფარიდან გამოსვლისას. რუსეთში ის მყისვე შეპყრობილ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ. პრესის თავდასხმა გერმანიის მთავრობაზე კიდევ უფრო გაძლიერდება, უკეთუ მირსკის მიუსჯიან სიკვდილით დასჯას და ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით შექმნის რუსეთის ინტერესებისათვის არა სასურველ გავლენას ანარქისტების გადასახლების საქმეში“. ამის პასუხად ვორონცოვ-დაშკოვმა 1910 წლის 28 მაისის თარიღით უპასუხა: „მოწყალეო ხელმწიფეე, პეტრე არკადისძეე! თქვენი წერილის პასუხად საჭიროდ მიმაჩნია გაუწყოთ, რომ სიმონ არშაკისძე ტერ-პეტროსოვი (მირსკი) სამხედრო-სოლქო სასამართლოში იყო მაცემული სამხედრო წესების მიხედვით 1907 წელს ერევნის მოედანზე თავდასხმისათვის. 26 აპრილს კავკასიის სამხედრო-საველე სასამართლომ დაადგინა, შემოწმებულ იქნას ტერ-პეტროსოვის გონებრივი მდგომარეობა და საქმე ხელ-ახლა გამოსაძიებლათ დაუბრუნდა პროკურორს. ამ ჟამად ტერ-პეტროსოვი მოთავსებულია მეტეხის ციხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს შიშს, თითქოს ტერ-პეტროსოვის სიკვდილით დასჯით გერმანიის პრესის თავდასხმა გაძლიერდებოდეს გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ, რაც არა სასურველ გავლენას მოახდენდეს ანარქისტების გადასახლების საქმეზე, ეს მოსაზრება მიღებული იქნება ჩემს მიერ მხედველობაში, როცა წარმომიდგენენ ტერ-პეტროსოვის შესახებ განაჩენს დასამტკიცებლათ".

მაგრამ აღარ მოუხდა ვორონცოვ-დაშკოვს ამ განაჩენის დამტკიცება. 15 აგვისტოს 1911 წელს კამო გაიქცა მიხეილის საავადმყოფოდ. მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

ამხ. კამო საზღვარ გარეთ.

კავკასიის „ოხრანის" განყოფილების საქმეში (№ 103—1911 წლ.) „ტუსაღის სიმონ არშაკისძე ტერ-პეტროსოვის შესახებ", ჩვენ ოთხს დოკუმენტს წავაწყდით, რომელიც საკმაოდ ახასიათებენ ამხ. კამოს ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც მან გაატარა საზღვარ გარეთ იარაღის და სხვა ასაფეთქებელი მასალების შესაძენად, რაიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მისი რევოლიუციონური ამოცანების მისაღწევად.

1913 წლის სექტემბრის 20-ს ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა ჟანდარმის სამმართველოში გაგზავნა იმ წერილის ასლი, რომელიც აღმოჩენილ აქნა მეტეხის ციხის კორიდორში. ეს წერილი წარმოადგენდა ამხ. კამოს დღიურის ნაწილს. პროკურორი ჟანდარმთა პოლკოვნიკის ყურადღებას მიაქცევდა დღიურის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია ოსმალეთის პოლიციის დამოკიდებულებაზე რუს რევოლიუციონერებისადმი; როგორ ეხმარებოდა ეს პოლიცია რევოლიუციონერებს იარაღის და ასაფეთქებელი ნივთიერების გადაზიდვაში. იმდენათ საინტერესოა დღიურის ეს ადგილი, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი თითქმის სავსებით მოყვანა.

საზღვარ გარეთ დაუსრულებელი ხეტიალის დროს კამო კონსტანტინეპოლიდან ბოლგარეთში გადავიდა, სადაც ის შეპყრობილ იქნა, და მოსთხოვეს მას თავდები ე. ი. ისეთი პირი, უნდა გამოენახა ბოლგარეთში, რომელიც მას იცნობდა და დაამოწმებდა მის ვინაობას, მხოლოდ ამის შემდეგ გაანთავისუფლებდენ. „ჯერ მე ვიფიქრე დამესახელებინა ილიჩი, როგორც ინტერნაციონალური ბიუროს წევრი, მაგრამ მერმე დავასახელე ბლაგოევი, ადგილობრივი ესდეკების ლიდერი, რომ ის მიცნობს საზღვარ გარეთიდან, თუ არ დავიწყიავარ და სხ. ამის შემდეგ გამაყოლეს საიდუმლო აგენტი, რომელსაც უბრძანეს ეჩვენებინა ჩემთვის ბლაგოევის სახლი. და თუ ბლაგოევი დაამოწმებდა ჩემს ვინაობას, გამიშვებდენ. შეეუდექი აგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნტთან ერთად ბლაგოევის ძებნას და შემოხვევით მას ქუჩაში წავაწყდი. მე მადლობა გადავუხადე აგენტს და გავყევი ბლაგოევს, აეუხსენი მას რაშიც იყო საქმე და ვუთხარი ვინც ვიყავი. ის განცვიფრდა და შემნიშნა, რომ იცის ჩემს შესახებ გაზეთებიდან და კოპენგაგენის საერთაშორისო კონგრესიდან, ვინაიდან მან გაიგონა, თუ როგორ ესაუბრებოდა ჩემს შესახებ რუს დელეგატებს გერმანელი დელეგატი კონი. ამის შემდეგ მან მაშინვე დააპირა ჩემთან ერთად „გრადონაჩალნიკთან“ წასვლა, მაგრამ გადასწყვიტა ტელეფონით დალაპარაკებოდა მას. ერთის საათის შემდეგ მე განმიცხადეს, რომ თავისუფალი ვიყავი, რადგანაც ბლაგოევმა და კირკოვმა მითავდებეს, ამასთან ერთად ბოდიში მოიხადეს, რომ უმიზეზოდ დამაპატიმრეს, გაზეთებშიც გამოაცხადეს, რომ დაპატიმრებული იყო ორი რუსი, კონსტანტინეპოლიდან მოსული—ერთი აფიცერი და ერთიც სოციალისტი, რომელიც ითავმდებეს ბლაგოევმა და კირკოვმა და ამიტომ ბოდიშს ვიხდით მათ წინაშეო.“

„როცა პოლიციიდან გამანთავისუფლეს, მოვნახე ჩვენები, რომელთაც არაფერი არ სცოდნოდათ. ჩემთვის მოამზადეს კარგი ვახშამი. ვახშამზე იყო ორი მაკედონელი მებრძოლი. მე ყველაფერი ვუამბე როგორც მოხდა და ვსთქვი, რომ 24 საათის ვადა მაქეს მოცემული აქედან წასასვლელად და წასვლაც ნება დართულია მხოლოდ რუმინეთით. ჩვენები უკმაყოფილონი დარჩენ, რადგანაც მე უნდა წავსულიყავი ბურგას—ტრაპიზონით: ამიტომ გადასწყვიტეს: ხვალ ერთ-ერთი მაკედონელი მისულიყო „გრადონაჩალნიკთან“ და ეთქვა, რომ მართალია, მე სოციალისტი ვარ, მაგრამ იმავე დროს ვითვლები ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიანების დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის წევრად. ამიტომ ჩემთვის ნება უნდა დაერთოთ საათიც მინდოდა, იქეთ წავსულიყავი. „გრადონაჩალნიკმა“ ამისი ნება დამრთო და ერთხელ კიდევ ბოდიშიც მოიხადა.“

„მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო და მე ერთ მაკედონელთან ერთად გავემგზავრე ბურგასში. იქ მან მე ამიღო ბილეთი კონსტანტინეპოლამდე, რადგანაც ტრაპიზონამდე პირდაპირი მიმოსვლა არ ყოფილა. მან შეიტანა ჩემი ნივთები გემზე, დამაბინავა. მე ის დავსაჩუქრე როგორც ნათქვამი იყო და გამოვემგზავრე. კონსტანტინეპოლში ჩვენი გემი ნაპირს არ მისდგომია. ნაპირად გავგზავნე მენავე ჩემს ნაცნობ მეფუქნე—თარჯიმანთან. ის ტფილისიდან იყო გაქცეული ამ 25 წლის წინად და იქ კონდრაბანდის საქმეს აწარმოებდა. ეს თარჯიმანი მე მოვიწვიე გემზე. როცა მოვიდა, მე ეუთხარი, რომ ჩემი ნივთები (იარაღი და დინამიტი, დ. შ.) გადაეტანა ნაპირზე ან თუ გემი ბათუმისაკენ მიდიოდა, პირდაპირ გემზე გადაეტანა. ის წავიდა, გაიგო როდის მიდიოდა გემი და როცა მობრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდა, ასე მითხრა—4 დღის შემდეგ ავსტრიის გემი მიდის ბათუმში და პირდაპირ ნაპირზე გადმოუსვლელად შეიძლება იქ გადაჯდომაო. როდესაც გემიდან გემზე გადადიან ხოლმე ნაპირზე გადმოუსვლელად, საბაჟოს მოხელეები ნივთებს არ სინჯავენო. რადგანაც მე არ ვიყავი გაცნობილი ადგილობრივ პირობებს, უნდა დავთანხმებოდი გამოცდილს კაცს.

„ჩვენ ჩვენი ნივთებით მოვემზადეთ ჯერ ნავში და შემდეგ იქიდან გემში ჩასაჯდომათ, მაგრამ რამდენიმე საჟენის გავლაც ვერ მოვასწარით, რომ დაგვეწია საბაჟოს მოხელე და გააჩერა ჩვენი ნავი. ჩემმა თარჯიმანმა ენერგიული პროტესტი განაცხადა, რომ მას არ აქვს უფლება ჩვენი დაკავებისა, როცა ერთი გემიდან მეორეზე გადადვივართ. მათ ჩვენს პროტესტს არ მიაქციეს არავითარი ყურადღება და წაგვიყვანეს პირდაპირ საბაჟოში. თარჯიმანის საშვალებით მე ვსთხოვე მათ, რომ აქ არ გაეხსნათ ჩემი ნივთები და გავეგზავნეთ პირდაპირ პოლიციაში. ისინი დაგვეთანხმენ და ჩვენ გავემგზავრეთ პოლიციის პრეზიდიუმში. იქ მე გამომიძახა თვით კონსტანტინეპოლის პოლიციის პრეზიდენტმა. მე ვუთხარი, რომ ვარ ქართველი ფედერალისტი ივანე ზოიძე, მოვედი აქ რამოდენიმე კვირის წინად, რომ გავსცნობოდი ოსმალეთის გავლენიან პარტიების ლიდერებს და წინადადება მიმეცა მათთვის ისეთივე როლი შეესრულებიათ მით კავკასიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც მაკედონიაში და ალბანიაში. რადგანაც, ვამბობდი მე, ტრიპოლისის ომის გამო რუსეთი ჯარს აგროვებს ყარსში, რომ თქვენ გაიძულოთ გახსნათ სრუტეები და შესაძლოა ომმაც იფეთქოს, ამიტომ ჩვენი სურვილია, რომ მოგვყიდოთ იარაღი და ცოტაოდენი დახმარება აღმოგვიჩინოთ; და ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ახლავე, ვიდრე გვიანი არ არის. თორემ როცა ომი ატყდება, მაშინ თქვენ დიდ დახმარებასაც კი გაგვიწევთ, მაგრამ გვიან იქნება და ის იარაღი, რომელიც ახლა დაკაკვეთ, მე იმისთვის მესაჭიროება, რომ მოვემზადო, ეს იარაღი მე მიმაქვს ბათუმში. ყველა ჩემს განცხადებაზე მხოლოდ ერთი გაოცებული პასუხი მესმოდა: „პეკი, პეკი", ე. ი. კეთილი. შემდეგ ჩვენება ჩამომართვეს. ვსთქვი, რომ იარაღი მიმქონდა გემზე, რომელიც 3—4 დღის შემდეგ გადაიოდა ბათუმში. დაკითხვის შემდეგ შემპირდენ, რომ საღამოს გამანთავისუფლებდენ, მანამდე კი მომათავსეს სასტუმროს ჩინებულად მორთულ ოთახში, მომიტანეს საუცხოო სადილი და საღამოთი მთხოვეს დილამდე დამეცადა, ამიკრძალეს ქუჩაში გამოსვლა.

„დილით 8 საათზე ავდექი. ჩემმა დარაჯმა მკითხა, თუ რას მოვისურვებდი საუზმედ, რადგანაც მე ნაბრძანები მაქვს ყოველის მხრით დაგაკმაყოფილოვო. ჩემმა დარაჯმა უკვე იცოდა რა ნაირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენება მივეცი მე დაკითხვის დროს, თითქოს ეს იარაღი მე წამომეღოს უნგრეთის საზღვრებიდან,—დამიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ ეზიდებოდენ დაშნაკები იარაღს საბერძნეთიდან იქ მცხოვრები სომხების დახმარებით და მირჩევდა—თუ მომავალში შენთვის იარაღი იქნება საჭირო, ათინაში მონახე სომხური ეკლესია, სადაც გაეცნობი აქედან გაქცეულ დაშნაკებს, მათი საშვალებით ყოველგვარ იარაღს იშოვნით, მხოლოდ უნდა განაცხადოთ, რომ თქვენ სომეხი ხართო.

„საუზმის შემდეგ მე წამიყვანეს პოლიციის პრეზიდიუმში, სადაც მთხოვეს, რომ შეურაკეყოფილად არ მეგრძნო თავი, დავრჩენილიყავი ამავე პირობებში კიდევ 7 დღე, ვიდრე გაზეთები არ შესწყვეტდენ წერას ვიღაც რუსი ანარქისტის (ე. ი. ჩემი) დაპატიმრების შესახებ.

„გაზეთში თქვენი დაპატიმრების შესახებ ცნობა შემთხვევით იქნა მოთავსებული. რუსეთის მთავრობამ უკვე გაიგო და ახლა რომ გაგანთავისუფლოთ, მთავრობა გაიგებს და უსიამოვნება შეგვემთხვევა, ერთი კვირის შემდეგ კი, როცა მივიწყებული იქნება, ჩვენ გაგაგზავნით საიდუმლოთ ბათუმშიო.

„მე, რა თქმა უნდა დავთანხმდი, მაგრამ ამ 8 დღით პრივილეგიურ დაპატიმრების პირობებში ერთი უბედურება იყო,—მეძლეოდა საუკეთესო, არისტოკრატიული საღილები, ღამის გასათევად საუკეთესო ოთახი და ყველაფერი ეს ჩემს ხარჯზე, ყველაფერი ეს დღეღამეში მიჯდებოდა 4 მანეთი.

„ეკონომიისათვის მინდოდა მეთხოვა ციხეში გადაყვანა, მაგრამ მეშინოდა, რომ ასე არ შემელახა თავისი პრესტიჟი, რადგანაც მე მოვლიდენ კავკასიის მომავალ შეფკი—ფაშად. ვფიქრობდი რა, რომ ეს მომავალში ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა, თავი მოვიავადმყოფე და ვიწყე ნახევრად შიმშილობა, მაგრამ არც ამან მიშველა, რადგანაც ყველაფერი შეკვეთილი იყო ჩემს ხარჯზე. ასე იყო თუ ისე, 8 დღის შემდეგ მე გამაგზავნეს ათინაში მეორე კლასით, ისევ ჩემი ხარჯით.

„გაგზავნის წინად მე გამიწვია შინაგან საქმეთა მინისტრმა და გამომიცხადა, რომ ჩქარა მე გამანთავისუფლებენ, და ის, როგორც კერძო პიროვნება, მეკითხება რამდენათ ძლიერი არიან რუსი რევოლიუციონერები საერთოდ და კავკასიაში კერძოთ. მე ყველაფერი მომხიბლველად ავუწერე. გადმომცა რა ჩემი პასპორტი, მითხრა: თქვენ შეგიძლიათ მოხვიდეთ ჩვენში და წაიღოთ აქედან რაცა გსურთ, მაგრამ სიფრთხილით, როცა მოხვიდეთ გამოცხადდით ჩვენთან, რომ ჩვენ დაგეხმაროთ—შემთხვევით, არ დაგაპატიმრონ. და თუ თქვენ და თქვენი ორგანიზაცია რითიმე თავს გამოიჩენს, ჩვენ საიდუმლოთ აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგიჩენთ ყოველგვარ დახმარებას, რაც კი თქვენთვის საჭირო იქნებაო. მივედით პირეიაში; იქ ჩქარა ვიპოვნე სომეხი-მენავე. მან მასწავლა როგორ შეიძლებოდა ათინაში მისვლა. როცა ათინაში მივედი, შევუდექი სომხური ეკლესიის ძებნას"...

* *
*

მეორე დოკუმენტი წარმოადგენს ვინმე მიხეილ ორლოვის წერილს, კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილს 1913 წლის 8 აგვისტოს თარიღით სასამართლოს პროკურორის სახელზე. წერილის ავტორის ვინაობა გამოურკვეველი დარჩა.

„გივიგე რა გაზეთებიდან ვიღაც კამოს, სომეხი—ექსპროპრიატორის დაპატიმრების ამბავი,—სწერს ორლოვი—გაცნობებთ შემდეგს: ევროპიდან მოსვლისას კამო აქ ოსმალეთის მთავრობამ შეიპყრო საბაჟოში. კონსტანტინეპოლში (ფერიკუსში) არსებულ მონასტერის ქართველ კათოლიკე ბერების შუამდგომლობით ის განთავისუფლებულ იქნა. ყუმბარები, რომელიც მას აღმოაჩნდა, ჩამოართვეს. კამო დროებით დასახლდა მონასტერის კუთვნილ სახლში—პაპას-კუპრში. ბერებმა მას უშოვეს ვიღაც ბულგარელის პასპორტი და გაგზავნეს ბულგარეთში იარაღის შესაძენად და იქიდან რუმინეთი რუსეთსა და კავკასიაში გადასატანად. როგორც ამბობენ, წასვლისას კამო ბერებს შეჰპირდა ფულით დახმარებას სემინარიის ასაგებათ".

ამასთან ერთად იყო ერთი ოფიციალური დოკუმენტი—ოფიციალური მოხსენება ოსმალეთში არსებულ საიდუმლო აგენტურის გამგისა (მესამე დოკუმენტი). ამ მოხსენების თანახმად ქართველმა „პეტრო"-მ მიიღო რა ფულები ქართველ კათოლიკეთა ძმობის და II სახელმწიფო სათათბიროს წევრის. არშაკ ზურაბოვისაგან, გაემგზავრა ამერიკაში. წასვლამდე პეტრო იყო 1912 წელში იქ მცხოვრებ კამოსთან, რომელსაც დაეხმარა 18 კილოგრამი დინამიტის გადმოგზავნაში რუსეთში.

იმავე ქართველ კათოლიკე ბერებზე ლაპარაკია კამოს წერილში (მეოთხე დოკუმენტი) მისი დის ჯავაირასადმი; ამ წერილის გაგზავნა მან ვერ მოახერხა, რადგანაც 1913 წელს ჩხრეკის დროს წაართვეს. ამ წერილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აქ მოთხრობილი სიმართლეს შეესაბამება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასოთ-ამწყობი ხ. ლომთათიძე.

ჩემი მოგონებანი ძველ რევოლიუციონერ მუშაკებზე.

1890 წელს მე დასრულებული მქონდა ორკლასიანი სასწავლებელი სოფ. ბასილეთში (ოზურგეთის მაზრა), სადაც მასწავლებლად იყენენ ცნობილი მთელ გურიაში არსენ წითლიძე და სიმონ ორჯონიკიძე. მე მათთან ვითვლებოდი მოწინავე მოწაფეთ და დიდ ყურადღებასაც მაქცევდენ, მაგრამ მამაჩემს არ ჰქონდა საღსარი, რომ მე სწავლა განმეგრძო. 13 წლისა ვიყავი, როდესაც მამაჩემმა, ერმილემ, გამომგზავნა ტფილისში 1891 წ. ჩემს ბიძაშვილს მიხეილ ჯიბლაძესთან, რომალიც მაშინ სწავლობდა სასულიერო სემინარიაში (მე—V კლასში).

ტფილისში მიხ. ჯიბლაძემ მიმაბარა შეგირდათ სტამბაში ექვთიმე ხელაძესთან, ორი წლის შეგირდობის შემდეგ მე დამენიშნა თვეში 6 მანეთი, რომელიც ვიცოტავე და გავექეცი კიდეც, დავიწყე მუშაობა გაზეთ „**ივერიაზე**“ *). ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ილია ჭავჭავაძე. ამ გაზეთზე ასოთ-ამწყობნი იყვენენ: ვლასა მგელაძე, სოლომონ ვადაჭკორია, მანასე გოგვაძე, პლატონ გოგვაძე, მაკარი გოგვაძე, ბიქტორ წულაძე, დიმიტრი ქვლივიძე და სხვანი. სტამბა ეკუთვნოდა მაქსიმე შარაძეს და ამხანაგობას.

ერთი წელიწადი ვიმუშავე ამ გაზეთზე და შემდეგ გადავედი სხვადასხვა სტამბებში ხელობის კარგათ შესასწავლად ჯამაგირები მაშინ ცოტა იყო და სამუშაო დღე 10 საათს აღემატებოდა.

ამ დროიდან მე მიხდებოდა ცხოვრება მთაწმინდაში შემდეგ ამხანაგებთან: ვლასა მგელაძესთან, ერასტი ჩანტლაძესთან, აოსენ ორმოცაძესთან (გარდაიცვალა დაახლოვებით ცხრაასიან წლეებში) სამსონ ვაშაყმაძესთან (კბილის ექიმია) და ბართლომე კილაძესთან.

აქ ჩვენ გვქონდა პატარა წრე, სადაც ვკითხულობდით სხვადასხვა წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს. ჩვენთან მოდიოდენ და ხელს

*) ტფილისში პირველი გაფიცვა ამ გაზეთზე მოხდა, რომელიც დამთავრდა მუშების დაკმაყოფილებით 1897 წ. (წელიწადი არ მახსოვს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიწყობდენ პეტრე გელეიშვილი, ისიდორე კვიცარიძე, სემინარიის მოსწავლენი: პოლიო კალანდაძე (ირეთელი), არჩილ დოლიძე და სხვანი. ესენი გვიხსნიდენ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს და ხშირად გვაწოდებდნენ არალეგალურ ბროშიურებს რუსულ და ქართულ ენებზე, რაც ძლიერ გვაინტერესებდა ყველას.

პირველად მოგვიტანეს წიგნაკი „ოთხი ძმა", რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

ამ დროს გამოდიოდა ყოველ-კვირეული ჟურნალი **„კვალი" გიორგი წერეთლის რედაქტორობით.** ამ ჟურნალზე ასოთ ამწყობათ იყვნენ ვლასა მგელაძე და არსენ ორმოკაძე, რომლებმაც ბოლოს მეც მიმიწვიეს. „კვალზე" მუშაობამ და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების კითხვამ ჩვენში დიდი სურვილი აღძრა მუშათა კლასის საკითხის გარკვევაში და მის შესწავლაში. აქედან ჩვენ ვტყობილობდით, თუ რა ხდებოდა რუსეთში და საზღვარ-გარეთ, ხშირად ვმართავდით საღამოობთ და კვირა-უქმე დღეებში კამათს ამა თუ იმ საკითხზე და განსაკუთრებით კი მუშათა მოძრაობაზე დასავლეთ ევროპაში, რომ შეგვესწავლა და მიგვებაძა მათთვის.

აქ ჩვენ გვიკითხავდენ წიგნებს „საიდან გაჩნდენ ადამიანები" ანუ „დარვინიზმი", „ასი წლის შემდეგ" და სხვა... ასეთმა წიგნების კითხვამ ჩვენში დიდი ცვლილება მოახდინა და გავიგეთ, თუ რა უმდაბლესი ფორმიდან წარმოიშვა ადამიანი და სხვა ცხოველებიც.

ასე გასტანა ორმა წელმა, სანამ ზოგიერთი ამხანაგები არ დაგვშორდენ. ამის შემდეგ მე, არსენ ორმოკაძე, ვლასა მგელაძე და ერ. ჩანტლაძე გადავედით ცალკე ოთახში და ერთად ვცხოვრობდით. აქაც მოდიოდენ ძველი ამხანაგები და განსაკუთრებით სემინარიიდან გამოცდილი მოსწავლენი, რომლებსაც ჩვენთან მოჰქონდათ აკრძალული ბროშიურები. ჩვენ ვგებულობდით პოლიტიკურ პარტიების არსებობას, როგორც ჩვენში, აგრეთვე რუსეთშიც. (ჩვენს ერთად ცხოვრებას არს. ორმოკაძე „კომუნუს" უწოდებდა). „კვალში" ვკითხულობდით **„მესამე დასის"** მწერლების წერილებს; იქ სწერდენ: ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ალ. წულუკიძე, სილ. ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ნოე ჟორდანია (საზღვარ-გარეთიდან) და სხვანი.

ამ „მესამე დასის" ხელმძღვანელებს იმ დროს ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ჟურნალ „კვალს" ჰყავდა მთავრობიდან დანიშნული ცენზორი. ის არც ერთ წერილს არ გაუშვებდა ისე, რომ არ დაემახინჯებია და არ შეეცვალა მისი შინაარსი. ჩვენ ასოთ-ამწყობნიც ვიტანჯებოდით წერილების გადაკეთებაში. ხშირად ცენზორი მთელ წერილსაც დაიჭერდა, რომლის მაგივრად უნდა აგვეწყო და ჟურნალი როგორმე შეგვეესო. ამ პირობებში იყო ეს ჟურნალი დიდი ხნის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ვლასა მგელაძემ ბურთის თამაშობის დროს მარჯვენა ცერი მოიტეხა და ოპერაციის დროს ექიმებმა სრულიად მოსჭრეს. ის ანებებს თავს „ყვალის“ აწყობას და მის ალაგს იჭერს სხვა ასოთ-ამწყობი. მეც მივანებე თავი აქ მუშაობას და გადავედი სხვა სტამბაში.

ამ დროს ამხანაგები მეუბნებიან, რომ ქუთაისში საჭიროა ასოთ-ამწყობი ქართულ ჟურნალზე და თუ გსურს წადიო. მე ბევრი ვიფიქრე ამის შესახებ და შემდეგ დავეთანხმე წასვლაზე.

არსენ ორმოცაძე მეკითხება: გყავს თუ არა ქუთაისში ვინმე ნაცნობი ან მეგობარი, რომ უბრალოდ არ მოგიხდეს წასვლა და დროს დაკარგვაო: მე მიუგე, რომ არავინ მყავს მეთქი. მაშინ ის სწერს წერილს თავის ნაცნობ მეგობართან და მეუბნება, რომ ამ წერილს მიიტან ქუთაისში წერეთლის წიგნის მაღაზიაში და გადასცემ ჩემს კარგ მეგობარს მიხა ცხაკაიასო და ამას იქით იქ გეყოლება ერთგული და განვითარებული მეგობარიო.

მივედი ქუთაისში და იმ საათშივე გავეშურე წერეთლის წიგნის მაღაზიაში, მაგრამ მიხა იქ არ დამიხვდა. მითხრეს დღეს ან ხვალ შემოიარეო. იქიდან მივედი გამრეკელოვის სტამბაში და იქვე დამხვდა ჟურნალ „მეურნის“ რედაქტორი ილია ჭყონია, რომელმაც გადმოქცა გაზეთის მასალები და შეეუდექი მუშაობას.

მეორე დღეს კიდევ გავიარე წერეთლის წიგნის მაღაზიაში და მიხაც იქ დამხვდა, რომელმაც გამომართვა წერილი და გულდასმით წაიკითხა. გამომკითხა ავრეთვე, თუ სად ვიმუშავებდი და ვისთან.

ამის შემდეგ მე ხშირად დავდიოდი მიხასთან, ვკითხულობდი მასთან გაზეთებს და ვახდენდით აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ხშირად მიხა ჩემთანაც მოდიოდა სტამბაში, სადაც ჟურნალი იწყობოდა და წერილებსაც გადახედავდა ხოლმე. რამდენიმე ხნის შემდეგ მიხამ თავის წერილებიც მოათავსა „მეურნეში“ და თვითონ ასწორებდა კორექტურას თავის წერილებისას; როგორც მახსოვს, იმ დროს მიხა სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებლად იყო და როგორც პოლიტიკურად შენიშნული, პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. არ შეეძლო სადმე წასულიყო და ყოველ კვირაში ორჯერ უნდა გამოცხადებულიყო ქანდარმერიაში.

თითქმის ორი წელიწადი ვიმუშავე ამ ჟურნალზე, სადაც მიხას წერილები ზედი-ზედ იბეჭდებოდა პოლიტიკური, ეკონომიური და სამეურნეო ხასიათისა. ილია ჭყონიას ძალზე ეშინოდა მიხას წერილების დაბეჭდვის და ვერც უარს ეუბნებოდა. ბოლოს უკანასკნელი წერილიც უნდა დაბეჭდილიყო, როგორც გაგრძელება პირველისა, მაგრამ რედაქტორი ძალზე შეშინდა და უარი უთხრა მის დაბე-

ჭდეაზე. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილება და შეჯახებაც მოუხდათ ორთავეს.

ამის შემდეგ მე თავი დავანებე „მეურნეს“ და გადავედი ჟურნალ „მწყემსზე“, რომელიც გამოდიოდა დავით ღამბაშიძის რედაქტორობით. ჩემთან მუშაობდა ბართლ. კილაძე, ალ. რუხაძე და სხვები. ამ ჟურნალზე კორექტორათ ჩვენ, მუშებმა, მიხა მოვიწვიეთ და ამის შემდეგ უფრო დაუახლოვდით ერთმანეთს.

ერთ კვირა დღეს მიხას თაოსნობით (ათი მუშა) წავედით ვითომც ექსკურსიაზე, *) მაგრამ მიზანი იყო კრების მოხდენა, სადაც უნდა გველაპარაკნა პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

ჩვენ გავიარეთ ქალაქი და ვეძებდით შესაფერ ადგილს, რომ პოლიციას არ დავენახეთ და სიცხესაც არ შევეწუხებიეთ, მაგრამ ასეთი ალაგი ვერ ვიშოვეთ და ჩავედით სასაფლაოს გალავანში, სადაც სიცხეს თავი შევაფარეთ.

დავსხედით; ყველანი სმენათ გადავიქეცით, ყველანი მიხას შევყურებდით, თუ რას გვეტყოდა, ამ დროს თავზე წამოგვადგა თოფიანი რუსი სალდათი და მოითხოვა გავსულვიყავით იქიდან. ჩვენ ბევრი ველაპარაკეთ სალდათს, მაგრამ ვერაფერს გავხდით, ბოლოს მიხამ აუხსნა სალდათს, რომ მას ჰყავს შვილი დამარხული და საფლავის სანახავად ვართ მოსულნო და არავითარი უფლება არა გაქვს დაგვიშალოო. ამის შემდეგ სალდათი მოგვშორდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კიდევ მოვიდა და მოითხოვა გავსულვიყავით იქიდან. ჩვენც ბევრი ალარ ვილაპარაკეთ სალდათთან და დავტოვეთ სასაფლაო. გავიარეთ რამოდენიმე მანძილი და მივადექით ტყეს. აქ ვიპოვეთ გრილი ალაგი და დავსხედით.

მიხას ვთხოვეთ სანამ არავინ ხელს გვიშლის დაეწყო ლაპარაკი მუშათა საკითხზე. ჩვენი თხოვნა შესრულებულ იქნა. თითქმის საათზე მეტი ილაპარაკა მიხამ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. ჩვენ ყველანი სმენათ გადავიქეცით. შევატყვეთ მიხას ტოტა ალელვებაც და ბოლოს თვალებზე ცრემლებიც შევნიშნეთ, რამაც ჩვენშიაც გამოიწვია ასეთები.

დაღამებამდის იქ ვისხედით და ვისმენდით მიხას ლაპარაკს სხვადასხვა საკითხებზე. შემდეგ წამოველით ქალაქისაკენ და გზაში ნელა-ნელა დავიშალენით, რომ პოლიციას არ დავენახეთ.

ამის შემდეგ ჩვენ მიხა ხშირად გვაწოდებდა ხოლმე აკრძალულ ბროშიურებს რუსულ და ქართულ ენაზე და ხშირადაც მოდიოდა ჩვენთან სალაპარაკოდ.

---

*) ვგონებ ეს დღე პირველი მაისი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ ლამბაშიძემ დამითხოვა სტამბიდან და იძულებული ვიყავი წავსულიყავი ტფილისში. თუმცა ძალზე მწყინდა ამხანაგების დაშორება, მაგრამ სხვა გზა არ იყო, დავტოვე ქუთაისი.

ტფილისში ვნახე ძველი ამხანაგები და მუშაობაც დავიწყე ვალ. გუნიას სტამბაში, სადაც გამგეთ იყო ლადო კეცხოველი. მე მას არ ვიცნობდი დაახლოვებით. აქვე იბეჭდებოდა გაზ. „ცნობის ფურცელი“ ვალ. გუნიას რედაქტორობით.

მე ლადო კეცხოველმა განმიცხადა: რადგან მუდმივი სამუშაო არა მაქვს, ამიტომ ნაჭრობით იმუშავეო. მეც დავეთანხმე, ყველა ცალკე ფორმებს, ბლანკებს ან ბროშიურებს (ცალ-ცალკე შევაფასებდით და შევთანხმდებოდით; მაგრამ როცა საქმეს ჩავაბარებდი, ამ გარიგების თანახმად, ის მუდამ პირობას შემიშლიდა—არა, ეგრე როდის გაგრძელდიო და იძლეოდა იმის ნახევარს, ისიც დიდის დაგვიანებით. მე ვერ შეეფერებდი კეცხოველის ასეთ ქცევას და მივმართე იქ მომუშავე ამხანაგებს: ერ. ჩანტლაძეს, მანასე გოგვაძეს და სოლომონ ვადაჭკორიას. იმათ გამაცნეს ლადო კეცხოველის პიროვნება და მითხრეს, რომ კეცხოველი საუკეთესო სოციალისტიაო და თუ შენ ეგრე გექცევა, ალბად შენი გამოცდა ენდომებაო.

ის მაინც განაგრძობდა ჩემდამი ასე მოქცევას თითქმის ორი თვე. მე ძალზე ნაწყენი ვიყავი და ხანდისხან გავებუტებოდი ხოლმე, ბოლოს გუნიასთანაც კი ვიჩივლე ამის შესახებ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მე ვერ წარმომედგინა სოციალისტისაგან ასეთი მოქმედება. ჩემ იქ ყოფნაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ გარიგება სისრულეში მოეყვანა. ბოლოს გადავწყვიტე გამეგო, თუ რა პიროვნებაა ლადო კეცხოველი, ვისი მომხრე იყო იმ დროს,—მუშის თუ ქარხნის პატრონის და მიველი რჩევა-დარიგებისთვის ნოე ჟორდანიასთან სახლში. მე მასთან ხშირად დავიარებოდი. ის იყო იმ დროს გაზ. „კვალის“ რედაქტორი. მე ავუხსენი ჩემი მუშაობის პირობები და განცვიფრებაც კეცხოველის მოქმედების შესახებ და ვთხოვე აეხსნა ჩემთვის, თუ როგორ მოვქცეულიყავი.

ნოემ ამიხსნა, თუ ვინ იყო ლადო კეცხოველი და სხვათა შორის სთქვა, რომ საერთოდ სტამბების პირობები დღეს აუტანელია და ეს სტამბა, როგორც ყველაზე უღარიბესი, შეიძლება დიდ კრიზისს განიცდიდეს და კეცხოველი ალბად ამ მდგომარეობას უწევს ანგარიშსა. მაგრამ აღმითქვა დახმარება და კერძოდ მოლაპარაკება მასთან.

ერთ კვირა დღეს საათის 2 იქნებოდა ვზიავართ გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო „ინტელგენციი“ს წინ,—მე, ერ. ჩანტლაძე, აოს. ორმოცაძე, ელასა მგელაძე და სხვ. შევნიშნე შორიდან, რომ კეცხოელი მოდიოდა. მე ფერმა გადამკრა, დავაპირე წასვლა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი შევიკავე და ამ დროს კეცხოველიც თავზე წამოგვადგა. ლადომ ყველას ხელი ჩამოართვა და მე კი სიცილით მომმართა შემდეგი სიტყვებით: „ჩემო ხარიტონ, რად დაგჭირდა ნოესთან ჩემი დაბეზღება? შენ გეგონა, რომ მე ნოე ციმბირში გადამასახლებდამ?“.. —მე ძალზე შევკრთი, მაგრამ თავი ვიმართლე.

ამის შემდეგ ლადო კეცხოელთან ჩემი დამოკიდებულება უკეთ შეიცვალა და დავიწყებას მივეცით წარსული უკმაყოფილება, (თურმე მართლა მცდიდა).

———

რამდენიმე ხნის შემდეგ მე დავსტოვე ტფილისი და წაველ ბაქოში სამუშაოდ. იქ ვნახე შემთხვევით ის. კვიცარიძე, ილ. თაყაიშვილი და სხვ. მეგობრები. ოთხი თვე დავრჩი ბაქოში და რადგან სალდათობაც მიწევდა, დავბრუნდი ისევ ქუთაისში, სადაც ვნახე მიხა ცხაკაია და სხვა ამხანაგები.

მუშაობა დავიწყე ილია ჭყონიას სტამბაში, სადაც ერთი წელიწადი ვიმუშავე. რადგან სტამბის საქმე ცუდად მიდიოდა, ვერ მაძლევდენ ჯამაგირს, (ერთი თვის ჯამაგირი არ მომცა) მივატოვე ქუთაისი და ამხანაგების დახმარებით წაველ ბათუმში. რადგან ბათუმში არსად სამუშაო არ აღმოჩნდა, გავსწიე რუსეთისაკენ, მაგრამ დროებით დავრჩი ფეოდოსიაში და მუშაობა დავიწყე რკინის გზის მუშებთან, სეიტლერის სადგურში (სიმფეროპოლის მიმართულებით). ერთი თვის მუშაობის შემდეგ მუშები (რიცხვით 50 კაცი) წაველით ფულის მისაღებად ფეოდოსიაში, მაგრამ მოლარემ ორი დღე გვაცდევინა მუშები და არ მოგვცა თავის დროზე ხვედრი ფული, რამაც გამოიწვია დიდი მღელვარება და გამწარებულმა მუშებმა ჩალეწეს შენობის ფანჯრები და სკემეს კასირს, რის გამოც ოთხი კაცი დაგვაპატიმრეს ერთი დღით. როცა ფულები ავიღეთ, ბევრმა არ მოისურვა უკან სამუშაოზე დაბრუნება და მეც მატარებლით გავსწიე სევასტოპოლში. იქ იმ დღესვე ვიშოვე სამუშაო სტამბაში და დავრჩი ორი წელიწადი. იქიდან ადესაში წაველ და დავბრუნდი ბათუმში 1898 წ. და დავიწყე მუშაობა გაზ. „Черном. Вестник“-ზე რომელსაც რედაქტორობდა არტისტი პალმი. აქ ვიმუშავე სამი წელი; აქ მოხდა პირველი გაფიცვა ამ გაზეთზე გურსკაიას სტამბაში 1901 წ ივნისში.

ამ სამი წლის განმავლობაში მე დავიარებოდი საკვირაო სკოლაში, სადაც მასწავლებლად იყვნენ ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე. ისინი გვიკითხავდენ ლექციებს და წერა-კითხვას ასწავლიდენ ქარხნის მუშებს; გარდა ამისა ჩვენ გვქონდა წრე,—სადაც ირჩეოდა პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები. გაზეთზე გაფიცვის წინა ხანებში რამდენიმე მუშა დავდიოდით ქალაქ გარეთ სალაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოთ. ჩვენთან იყვნენ მომზადებული და პარტიული ამხანაგებიც: სილ. თოდრია, ლადო ფუმბაძე, მაქს. წულაძე, ვლასა მგელაძე და სხვ. ვ. მგელაძე სულ ჩვენთან დაიარებოდა და ის გვიხსნიდა ყველა საჭირო საკითხებს.

———

კარლო ჩხეიძისა და ვლასა მგელაძის დავალებით მე მონდობილი მქონდა სტამბიდან ქართული ასოების გამოტანა, ხოლო რუსულის ვლ. მგელაძემ მიანდო სილ. თოდრიას, რომელიც მაშინ ჩემთან ერთად მუშაობდა. ეს ასოები მოვაგროვეთ ჩვენს ოთახში დაახლოვებით ფუთ-ნახევარი. ჩავყარეთ იაშიკში, მაგრად დავკეედეთ და წავიღეთ სადგურზე მე და ვლასა მგელაძემ. მივაგდეთ ვაგონის კუთხეში და ვლასაც თან გაჰყვა მატარებელს. მე არ ვიცოდი, თუ სად მიჰქონდა ეს ასოები, მხოლოდ შევეკითხე: გზაში, რომ გიპოვნონ, რით გიამართლებ თავს მეთქი.—მიპასუხა: მე ვიტყვი, რომ არ ვიცი ვისია, ხოლო თუ მშვიდობიანათ მიეედი დანიშნულ ალაგას, ჩემი ზურგით გადავიტან ვაგონიდანო.

მატარებელი დაიძრა და ვლასაც დამშორდა: მე სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა დღე ეწეოდა მას გზაში. გავიდა სამი თვე და ვლასას ამბავი არაფერი ვიცოდით. ერთ ღამეს, საათის სამზე, ვიღაცა ფანჯარას გვიკაკუნებს. შიშის ზარმა ამიტანა, ვიფიქრე ამ დროს ვინ უნდა იყოს თქვა. საჩქაროთ გავაღვიძე ჩემი ამხანაგი უშანგი ჯაში (ასოთ-ამწყობი). ის ღრმა ძილში იყო, მაგრამ მაინც თვალები აგვიტა. ხმა გავიგე ჩქარა გააღეო. მე ავანთე სანთელი და მიველი კარებთან, სადაც ვხედავ ვიღაც ბოხჩა აკიდებულ კაცს. გავაღე კარები და სახლში შემოვიდა ვლასა მგელაძე, რომელმაც დაახათქა ბოხჩა ჯაშის ლოგინზე და სთქვა. „ბიჭებო, ხომ არ შეგეშინდათ?.. აი „**ბრძოლა**“ მოგიტანეთო და გახსნა კიდეც, საიდანაც ამოალაგა 50 მეტი ცალი „ბრძოლის“ № 1. მე უთხარი: „რათ დაგვაფეთიანე და შიშში ჩაგვადგე, რატომ არ დაიძახე, თუ შენ იყავი თქვა“—ეგ არაფერიაო მითხრა და დაგვავალა საჩქაროდ დაგვერიგებია საიმედო ამხანაგებში და ნაცნობებში. მე რამდენიმე ცალი წავიღე ბარცხანაში და ჩავაბარე ქარხნებში მომუშავე ამხანაგებს. დანარჩენი დაარიგა უშანგი ჯაშმა.

———

გაზეთზე (Черном. Вестн.) მუშაობის პირობები ჩვენთვის ძალზე ცუდი იყო და მუდამ დღე უკმაყოფილება გვქონდა როგორც სტამბის პატრონთან, ისე რედაქტორთან. ერთხელ მე და სილ. თოდრია რედაქტორთან წაველით მოსალაპარაკებლად, მაგრამ რედაქტორმა კარები გვიჩვენა. თოდრიამ ვერ მოითმინა რედაქტორის ასეთი თავგასულობა და აღელვებულმა შესაფერი პასუხით გაუმასპინძლდა, რამაც გამოიწვია დიდი აურ-ზაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც რედაქციაში უკმაყოფილება მოგვივიდა, რომ ჩვენ ვეძებდით შესაფერ დროს დაგვეწყო გაფიცვა და სამაგიერო გადაგვეხადა რედაქტორისათვის *). რამოდენიმე გაზეთის მუშებიც დაგვეთანხმა გაფიცვის დაწყებაზე.

ჩვენ ვიცოდით, რომ ამ გაფიცვაში უეჭველად პოლიცია ჩაერეოდა და ფიზიზლად ვიყავით ყოველ შემთხვევისათვის.

ერთ დღეს გადავწყვიტეთ სტამბის პატრონისათვის გაზეთის მუშების მოთხოვნილება წაგვერდგინა, რაც სისრულეში მოვიყვანეთ. სტამბის პატრონმა უარი გვითხრა ჩვენს მოთხოვნილებაზე და კიდევაც დაგვემუქრა დათხოვნით და სხვა რეპრესიებით.

ეს იყო სწორედ გაფიცვის გამომწვევი მიზეზები და კიდევაც დავიწყეთ გაფიცვა: ჯერ გაზეთის აწყობა შევაჩერეთ და სამი კაცი გაველით გარეთ. დანარჩენებს ვერ გაებედნათ ჩვენი გამოყოლა. შემდეგ სილ. თოდრიამ შეაჩერა მბეჭდავი მანქანა, დაიხურა ქუდი და გამოვიდა გარეთ ჩვენთან. მანქანის შეჩერებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუშებზე. არ ეგონათ, თუ გაზეთის შეჩერებას მოჰყვებოდა სხვა საქმის შეჩერებაც; ამან უფრო გაამხნევა სხვებიც. ლადო დუმბაძე მაშინ მუშაობდა წვრილ საქმეებზე (ანუ აქციდენციაზე) და მასთან უმრავლესობა ქალები იყვნენ, დაინახა რა ლადომ ასეთი მდგომარეობა, მიატოვა მუშაობა და შემოგვიერთდა. ამას მიჰყვენ სხვა მუშებიც და ყველანი გარეთ გამოვიდენ გარდა რამდენიმე მშიშარა მუშისა და ქალებისა, რომლებიც განაგრძობდენ მუშაობას.

სტამბის პატრონი გურსკაია მივარდა ტელეფონს, ჯერ მოიწვია პოლიცია და შემდეგ გაიქცა რედაქციაში მოსალაპარაკებლათ.

იმ დღეს გაზეთი არ გამოსულა. მეორე დღეს ჩვენ დაგვიბარეს პოლიციაში, სადაც პოლიციმეისტერი ფეხების ბრაგუნით და დიდის მუქარით გვემუქრებოდა... ჩვენ აუხსენით საქმის მდგომარეობა, მაგრამ ამაოთ. საქმე გამწვავდა. დილიდან საღამომდის დაატუსაღეს ს. თოდრია და ლადო დუმბაძე, შემდეგ გამოუშვეს.

მე დავალებული მქონდა დილით დავხვედროდი გზაში სტამბაში მომავალ მუშებს და არ გამეშვა სამუშაოზე, აქ მუშაობდენ ზოგიერთი ლოთი რუსები, რომლებიც დღე და ღამე მუშაობდენ. მე ვისარგებლე მათი სუსტი ხასიათით და მიმყავდა სამიკიტნოში, სადაც ვუხსნიდი გაფიცვის მნიშვნელობას და თანაც არყით ვათრობდი. სწორედ ამ დროს აგონდებოდათ მათ მესტამბის ჯავრის ამოყრა, ამნაირად ისინიც ჩვენ შემოგვიერთდენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ნახე-

*) „მატიანეში“ ამბ. ლ. დუმბაძე სწერს: ეს გაფიცვა სოც.-დემ. პარტიამ დაგვავალაო. ნამდვილად კი გაფიცვა გამოწვეული იყო მუშების აუტანელი მდგომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი ნომერი გაზეთისა მაინკ გამოდიოდა დღე გამოშვებით ზოგიერთი მოღალატე მუშების წყალობით, რომლებიც ღამე ჩუმად მუშაობდენ.

// ეს გაფიცვა პირველი იყო ბათუმში (1901 წ.) და დიდ ყურადღებასაც იპყრობდა განსაკუთრებით ბათუმის დიდ ქარხნების მუშების მხრით. მე და სილ. თოდრია ხშირად მივდიოდით სახლში კარლო ჩხეიძესთან და ალ. წულუკიძესთან, (რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ მაშინ) რჩევა-დარიგებისთვის, თუ როგორ მოვქცეულიყავით. ისინი შესაფერ დარიგებას გვაძლევდენ და ფულებითაც კი დაგვეხმარენ გაფიცვის განსაგრძობლად. ამ დროს ვლასა მგელაძე სულ ჩვენთან იყო და ყველას გვამხნევებდა, როგორც გამოუცდელებს. //

გავიგეთ, რომ სტამბის პატრონმა ტფილისში აფრინა კაცი ასოთ-ამწყობების ჩამოსაყვანად. მე მაშინვე ვამოვუგზავნე წერილი ერთს ჩემ ამხანაგს და მეგობარს ასოთ-ამწყობს სოლომონ ვადაჭკორიას, რომელსაც ვეხვეწებოდი, რო მოეხდინა რაიმე გავლენა მუშებზე არავინ წამოსულიყო და ხელი არ შეეშალათ ჩვენთვის, მაგრამ მაშინ ტფილისში არავითარი ორგანიზაცია არ არსებობდა და მარტო მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. აღმოჩნდა რამდენიმე შეუგნებელი მუშა (რიცხვით 5 კაცი) და ვიღაც ელჩიევის *) მეთაურობით ჩამოვიდნენ ბათუმში.

ჩვენ გავიცანით ისინი. ვურჩიეთ არ დაეწყოთ მუშაობა, ფულებიც შეეაძლიეთ, რომ უკან წასულიყვნენ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. შემდეგ მე წაველი ბარეხანაში და იქიდან მოვიყვანე რამდენიმე ლონიერი ამხანაგი და დავაპირეთ საღამოს სასადილოში დავეცემოდით თავზე და კარგათაც მიგვებეჟა. ჯერ მოლაპარაკება გამართა ცალკე, ფაბრიკის მუშამ ფრიდონ ლომთათიძემ, მაგრამ ვერაფერი გააწყო, შემდეგ მეორემ სცადა, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რა. ჩვენი მიზანი იყო ცოტათი დაგვეშინებია, მაგრამ ისინი, პირიქით, ჩვენ გვემუქრებოდენ. ბოლოს შევცვალეთ ტაქტიკა, ვიცოდით, რომ ცემა არაფერ ნაყოფს მოიტანდა და საქმესაც გავამწვავებდით. მივანებეთ თავი.

ბოლოს მე და სილ. თოდრია წავედით გუბერნატორთან თხოვნით, სადაც ვუხსნიდით ჩვენს აუტანელ პირობებს და ვთხოვდით გამოეძება საქმე, მაგრამ გუბერნატორმა ორთავე გამოგვრეკა გარეთ. იქვე დაგვხვდა პოლიცმეისტერიც, რომელიც თითების ქნევით გვემუქრებოდა. როცა ქუჩაში გამოველით, იქვე გვიცდიდა ამბის გასაგებათ ვლასა მგელაძე. ჩვენ ვინახულეთ კარლო ჩხეიძე და ალ. წუ-

*) ეს ელჩიევი 1905 წ. ტფილისში „პაგრომის" დროს, როცა კაზაკებმა იარმუკაში ცეცხლი ანთეს, ხელაძის სტამბას ცეცხლი წაუკიდეს, იქ მოჰყვა ცეცხლში და დაიღუპა.

ლუკიძე, ავუხსენით ჩვენი მდგომარეობა და ვთხოვეთ ერჩჩიათ, თუ რა გზას დავსდგომოდით. მათ გვირჩიეს მოლაპარაკებით გაგვეთავებია საქმე და დაგვარიგეს მიგვეგზავნა ისეთი კაცი, რომელიც შენიშნული არ იქნებოდა პოლიციიდან. მაშინ ჩვენ მიუგზავნეთ შუაკაცად მღვდელი თოთიბაძე, რომელმაც იკისრა მოლაპარაკება.

სტამბის პატრონი დათანხმდა ზოგიერთი მუშების მიღებაზე, მხოლოდ სიღ. თოდრია, ლადო დუმბაძე და ხარ. ლომთათიძე დაგვითხოვეს.

ამის შემდეგ მე დიდ ხანს არ დავრჩენილვარ ბათუმში, მაგრამ უკანასკნელ ბათუმის დიდ გაფიცვამდე იქ ვიყავი.

ამ პირველ სტამბის გაფიცვის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მოხდა მუშების მნიშვნელოვანი გამოსვლები თითქმის ბათუმის ყველა დიდ ქარხნებში.

— —

ბათუმში არსებობდა წრე ის. რაჰიშვილის, კარლო ჩხეიძის და სხვა ხელმძღვანელობით. მათ ქონდათ კავშირი ფაბრიკების შეგნებულ მუშებთან, სადაც ემზადებოდენ საერთო გაფიცვისათვის. ამ პირებს გარდა აქ მონაწილეობას იღებდენ სხვებიც: ვლ. მგელაძე, კ. გოგოლაძე, კალანდაძე, იასონ მეგრელიძე, მიხა ორმოცაძე, მ. წულაძე და სხვანი. მიუხედავად მათი თავდადებული მუშაობისა გარედან ძალიან ძნელი იყო გაფიცვების მოწყობა.

აი ამ დროს ჩვენ ვხედავთ ქარხანაში მუშათ შესულს მიხა ცხაკაიას, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში ნიადაგი მოუმზადა ქარხნებში საერთო გაფიცვას და მოახდინა შიგნიდან დიდი აფეთქება. ეს გაფიცვა გაიზარდა და მოედო მთელ ბათუმის ქარხნებს. ბოლოს ყველამ გაიგო, რომ გაფიცვის მომწყობი მიხა ცხაკაია იყო.

გაფიცვების დამთავრების შემდეგ მიხა დაიჭირეს და, როგორც მახსოვს, გაგზავნეს რუსეთში.

ერთხელ წავიკითხე მისი უკანასკნელი წერილი ჟურ. „კვალში" (თბილისში), რამაც დიდათ დამაფიქრა. ის ამ წერილს უძღვნიდა თავის მეუღლეს (ფსევდონიმით).

მე დავტოვე ბათუმი. დავბრუნდი ისევ ტფილისში, ვინახულე ძველი ამხანაგები და დავიწყე მუშაობა მნაცაკ მარტიროსიანცის სტამბაში (მიხეილის ქუჩაზე), ვცხოვრობდი მთაწმინდაში. ამ სტამბაში გამოდიოდა თვიური ჟურნალი „Кавказский Вестник" ყორგანოვის რედაქტორობით. ამ ჟურნალზე ვიმუშავე ერთი წელიწადი (1903 წ.). ამ ხნის განმავლობაში ბევრი საიდუმლო კრებების დამსწრე ვიყავი, სადაც ირჩეოდა მუშათა საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხანებში მოხდა მუშების გამოსვლები ქალაქის სხვადასხვა ალაგებში, გოლოვინის პროსპექტზე და სხვაგან, სადაც მივიღეთ მონაწილეობა. ვანო ბოლქვაძემ, ალისტრო ვადაპკორიამ, მანასე გოგვაძემ, მაკარი გოგვაძემ, სოლ. ვადაპკორიამ, სერგო ქორიძემ, მიროსი კვაჭაძემ, ხ. ლომთათიძემ, ბიკ. წულაძემ, უშანგი ჯაშმა, ი. ბაბილოძემ, ვასო ურუშაძემ, სანდრო იაშვილმა, ვალ. ბილანოვმა და სხ. (ესენი სტამბის მუშებია) მეორე დემონსტრაცია მოხდა თავისუფლების მოედანზე. დემონსტრანტები გაეშურენ სიონის მხარეს, რომ თავი შეეფარებიათ ვიწრო ქუჩებში. აქ მოხდა ხელჩართული ბრძოლა ცხენოსან კაზაკებთან, სადაც უშანგი ჯაში ჩავარდა ცხენებ ქვეშ და ჭრილობა მიიღო თავში, ძლივს გადავარჩინეთ. ამ დროს სერგო ქორიძემ კაზაკი ცხენიდან გადმოაგდო, მაგრამ მათრახით ისიც დაშავდა სახეზე. უშანგი ჯაში მაშინ ჩემთან მუშაობდა და როცა სტამბის პატრონი მეკითხებოდა სად არისო,—მე ვმალავდი მის ავადმყოფობას, რომ მესტამბეს არ დაეთხოვა.

ერთხელ ვანო ბოლქვაძე მოვიდა ჩემთან სახლში და დამავალა, რომ საიდუმლო სტამბისათვის საჭიროა რუსული ასოები და მის შოვნას შენ გავალებო.—ეს დავალება ძალზე საფრთხილოა, ეიცი გაგიძნელდება, მაგრამ მაინც უნდა შეასრულოვო. მე ბევრი ვიფიქრე ამაზე, მაგრამ უარი მაინც ვერ უთხარი, რადგან ასეთი დავალების შეუსრულებლობა თავის დამცირება იქნებოდა და დავპირდი ასრულებას.

საჭირო იყო ერთი ფორმის ასოების გამოტანა (ე. ი. 16 გვერდი) იმ ჟურნალისა, რომელსაც მე ვაწყობდი—განით $6^1/_2$ კვადრატი და სიგრძით 11 კვადრატი. მაშინ ტფილისში გაძლიერებული დაკვის წესები იყო გამოცხადებული, ორი კაცი ერთად ვერ გაივლიდა, ყველგან ჩხრეკა-დაპატიმრება ხდებოდა და ამ დროს ასეთი საქმის დაკისრება დიდ შიშსა მგვრიდა... მაშინ ასეთი საქმისათვის ბევრი მუშები იყო გაგზავნილი ციმბირში და ვიცოდი, თუ დამიჭერდნენ მეც ეს დღე დამადგებოდა, მაგრამ მაინც ვიკისრე.

მე დაუნიშნე ალაგი, სადაც უნდა მომეგროვებია ეს ასოები და შევუდექი საქმეს. გადავწყვიტე ნაწილ-ნაწილ მომეგროვებია ეს ასოები ვინმე საიმედო მუშასთან.

მე ვიშოვე საიმედო ამხანაგი, რომელიც მაშინ მუშაობდა ნაუმენკოს საკანდიტეროში (კოზლოვსკის სტამბის ეზოში, გოლოვინის პროსპ.) ეს მუშა იყო მიროსი კვაჭაძე (ის მოკლეს კაზაკებმა ყარსის გზაზე). მე შეუდექი ასოების გამოტანას.

ჩემთან უფროს მუშათ იყო დანიშნული პოლიტიკურად კარგად მომზადებული ასოთ-ამწყობი რომან ალშევსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სტამბის პატრონისაგან თვალყური ედევნებია სტამბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის და „სტოროჟსაც“ დაავალა გაეჩხრიკა სტამბიდან გამოსვლის დროს მუშები, რომ არაფერი გაეტანათ. ჯიბეების ჩხრეკა ყოველთვის ხდებოდა. მაშინ მთავრობას სტამბის მუშების ძალზე ეშინოდა და ამიტომ ავალებდა მესტამბეებს ყურადღება მიექცია.

საქმე ვერ მიდიოდა ისე, როგორც მე მინდოდა. მე დავალებული მქონდა, რომ ჟურნალი თავის დროზე ჩამებარებია და რადგან ვერ ვასწრობდი აწყობას, ამიტომ ნება ავიღე მესტამბისაგან მეტი საათები მემუშავნა შაბაშის შემდეგ. როცა ყველა წავიდოდა, მე მარტო ვრჩებოდი სტამბაში და 2-3 საათს მუდამ ვმუშაობდი ზედმეტათ დღეში.

აი ამ დროს ესარგებლობდი შემთხვევით და დაბეჭდილ ვადასარჩევ გვერდებს შუაზე ვყოფდი, შევკრავდი, გავახვევდი ქაღალდში და გავიესებდი ფიჯაკის და პალტოს ჯიბეებს. სტოროჟი ამ დროს კანტორას ალაგებდა და ჩემთვის არ ეცალა, მეც ვათვალთვალებდი ხომ არ მიყურებს მეთქი, რომ ჯიბის გაჩხრეკა არ მოეხდინა, მე გამოვდიოდი სტამბის ეზოს კარებიდან და ამ ნაირად პირველმა ცდამ კარგად ჩაიარა, მხოლოდ ეზლა გზაში ვფრთხილობდი ჟანდრმეს და პოლიციას არ გავეჩხრიკე. ვათვალიერებდი, თუ რომელ მხრიდან სჯობდა წასვლა. პირველი ნაბიჯი კარგად ჩატარდა, მეველი დანიშნულ ალაგას, ჯერ ერთი გვერდი და შემდეგ მეტიც მივიტანე. ასე გასტანა მთელმა კვირამ და თითქმის ყოველ დღე ვახერხებდი გვერდების წამოღებას. რვა გვერდი უკვე გამოზიდული მქონდა, როცა ალშევსკიმ შეიტყო გადასარჩევი გვერდების სიცოტავე და მკითხა სად გაქვს გვერდებიო, მე ზოგი ვაჩვენე, ზოგიც გადარჩეული მაქვს მეთქი და ზოგიც აწყობილი, ექვი ვერ აიღო და დაჩუმდა. მინდოდა ეს რვა გვერდი ჩამებარებია ვანო ბოლქვაძისათვის, მაგრამ ვიცოდი ცოტა იყო და განვაგრძე ისევ ამ საშუალებით გამოზიდვა, ახლა ორ ორი გვერდის გამოზიდვა დავიწყე, რათა დამეჩქარებია და მომეშორებია თავიდან სახიფათო საქმე.

———

ერთხელ გავიცვე ყველა ჯიბეები შეკრული ასოებით. გზაში, ალექსანდროვის ბაღთან, ვხედავ, ჩხრეკაა. დავაპირე უკან დაბრუნება, მაგრამ თავი შევიკავე, უკან დაბრუნება უფრო სახიფათო იყო და გავსწიე წინ. თანაც იმას ვფიქრობდი—ვაი თუ ჯიბეებმა ვერ გაუძლოს ასოების სიმძიმეს და ქუჩაში დაცვივდეს მეთქი. ვხედავ ჟანდარმები აჩერებენ ზოგიერთ პირებს და ჩხრეკენ, პროკლამაციებს ეძებდენ, ზოგი ჟანდარმი გვერდზე გამიელიდა, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდა. მე უზომოდ დავიღალე როგორც ნამუშევარი და თანაც ასოების სიმძიმითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარიატინსკის ქუჩაზე, სადაც გრიაზნოვი მოკლეს, ვხედავ მოდის ჩემი კარგი მეგობარი ასოთ-ამწყობი სერგო ქორიძე, რომელიც ჩქარის ნაბიჯით მოეშურებოდა ჩემსკენ. მე შევაჩერე. მან შემატყო დაღონება-დაქანცვა. უკან მივიხედე, ხომ არავინ მომდევს მეთქი. ბოლოს ვეღარ დავფარე და უთხარი ქორიძეს ჩემი გასაჭირი და ვთხოვე თუ დამიჭირონ, ამბავი მაინც მიეტანა ამხანაგებისთვის.

ქორიძეს ძალიან გაუკვირდა ჩემი ასეთი საიდუმლოს გადაცემა და მითხრა, რომ უკან ნუ იხედები, თორემ უარესია, ამით ეჭვს აიღებენო და მირჩია პირდაპირ წავსულიყავი და თვითონაც უკან გამომყვა დანიშნულ ალაგას მისვლამდე. როგორც იყო, გადავრჩი. ეს ასოების გამოტანის ბოლო ხანი იყო.

ამ საღამოს გოლოვინის პროსპექტზე ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა და ამის გამო გაჩაღდა საშინელი ჩხრეკა: ეს მოხდა საღამოს 7—3 საათზე. მე ვზიავარ კანდიტერის მუშებთან და რომ ეჭვი არ აიღონ, სიმღერა დავიწყეთ და დასაკრავს უკრავდით. იმ ეზოში დაიწყო ჩხრეკა. ამ დროს შემოდიან ჩვენთან „ოკოლოდოჩნიკი" და ორი „გოროდოვოი" და გვეკითხება იარაღი ხომ არ გაქვთო. ჩვენ აუხსენით, რომ აქაური მუშები ვართ და იარაღი არა გვაქს-თქო. ჩხრეკა არ მოუხდენიათ და ცოტა ხნის შემდეგ წავიდნენ. აქაც გადავრჩით დავიდარაბას.

მე ვფიქრობდი, ოღონდ ეს ასოები ჩავაბარო ვ. ბოლქვაძეს, მერე ჯანდაბას რაც მოხდება მეთქი.

რომ იმ ბინაზე ჩხრეკა მომხდარიყო და ასოები ეპოვნათ, ყველა იქ მყოფი მუშები დავიღუპებოდით, თუმცა ეს საქმე მარტო ორმა კაცმა ვიცოდით. ეს დღე იყო შაბათი. მეორე დღეს გავაგებინე ვანოს, რომ რაც დამავალე შესრულებულია და წაიღე მეთქი. ხვალ საღამოს მოვალ და იქ დამხვდიო. კვირას, საათის 6 იქნებოდა, იმ ოთახში შემოვიდა ვანო და ერთიც უცნობი, თუ არ ვცდები ვგონებ კამო უნდა ყოფილიყო. მოიტანეს ტომარა, ჩავაწყვეთ შეკრული ასოები და ეტლით საჩაქაროთ გასწიეს სადღაც. მე მოვიშორე თავიდან სახიფათო საქმე, მაგრამ ახლა იმის შიში დამებადა, ეაი თუ გზაში დაიჭირონ მეთქი, მაგრამ არაფერი არ მომხდარა. ასეთი დავალება პირნათლად შეესრულე.

ჩემზე მოიტანა ეჭვი სტამბის პატრონმა, რადგან ჟურნალს ასოები არ ყოფნიდა და გაუფრთხილებლად დამითხოვა. (არ მოუცია ერთი კვირის ჯამაგირი).

ეს ჩემი საიდუმლოება იცოდა მაშინ ჩემთან მომუშავე შეგირდმა ილიკო დარჩიამ, რომელიც ხელს მიწყობდა ასოების გატანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ დავიწყე მუშაობა სახელმწიფო სტამბაში გან. „Кавказ"-ზე, და აქ გავატარე 4 წელიწადი. აქ მუშები ვიყავით აუტანელ პირობებში. ჩვენთვის არ არსებობდა განსაზღვრული დრო, დღე და ღამეს მუშაობაში ვატარებდით. აქ ხშირად იცვლებოდენ მუშები, ვერ უძლებდენ მძიმე პირობებს და ვერც ახერხებდენ პიროპების შეცვლას. ჩვენ ნამდვილი მონები ვიყავით. ყველგან გაფიცვები ხდებოდა, ყველგან ახალი მოთხოვნილებები. გვინდოდა ჩვენც ასე მოვქცეულიყავით, მაგრამ ვინ გაბედავდა?... ჩვენ ყველა გაფიცვების დროს სალდათების ქვეშ გვამუშავებდენ.

სანამ ამის შესახებ ვილაპარაკებდე, მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ერთ პატარა შემთხვევას.

ჩემთან ხშირად მოდიოდა ამ სტამბაში სხვადასხვა საიდუმლო სტამბების მასალების წასაღებად კამო. საღამოობით დამადგებოდა თავზე და ხან ლინეიკებს გამომატანიებდა, ხან შპონებს, კვადრატებს და სხვა ტეხნიკურად საჭირო სტამბის ხელსაწყო მასალებს. მე ეჭვი მებადებოდა კამოზე, რადგან კარგათ არ ვიცნობდი, მაგრამ მახსოვდა მისი სახე ასოების წაღების დროს და ვფიქრობდი ალბად ვანო ბოლქვაძე გამოგზავნიდა მეთქი ჩემთან და ამიტომ უარს ვერ ვეუბნებოდი. შემდეგ მე ის ვნახე სხვადასხვა კრებებზე, სადაც ერთმანეთს ვებაასებოდით.

მას შემდეგ გავიდა დიდი ხანი, რაც კამო არ მინახავს. მხოლოდ 1918 წელს ვნახე ლადო დუმბაძესთან ერთად სტამბის ეზოში. (ძველი სემინარიის ეზოში).

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ლაფანაშვილი.

ჩემი მოგონებანი.

მე დავიბადე 1898 წელს. 11 წლისა ვიყავი, როცა დედა ჩემმა (მამა მკვდარი მყავდა) ტფილისში გამომგზავნა და მიმაბარა შეგირდათ ერთ ერთ სპარიკმახეროში. 3 წლის შემდეგ ე. ი. 1912 გავათავე ამ ხელობის სწავლა და დავიწყე ქარგლათ მუშაობა. მაგრამ მალე ამ ხელობას თავი დავანებე, რადგანაც მე ამ პროფესიას ვერ შევეგუე და ხელმეორეთ დავდექი შეგირდათ ერთ დახელოვნებულ ქალების პარიკმახერთან, სადაც 1915 წლამდე დავყავი. რის შემდეგაც განვაგრძობდი მუშაობას ტფილისში.

1915—16 წლიდან დაიწყო ჩემი რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმა და მუშაობა, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ 1912 წლიდან მე უკვე სათანადოთ ვეცნობოდი რევოლიუციონურ ლიტერატურას და ჩემს თავს საკმაოდ შეგნებულ სოციალ დემოკრატად ვთვლიდი იმ ხანებში, კარგათ ვერ ვიყავი გარკვეული მენშევიკურ-ბოლშევიკურ ფრაქციათა განსხვავებებში.

1912—13 წელს გავიცანი ამხ. სევასტი თალაკვაძე, მიხა ჩოდრიშვილი, პეტრე ავლობაშვილი (რვა მუშელი) და მრავალი სხვა ამხ., რომელთა დახმარებით მე შევსძელი გავცნობოდი როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ მიმართულებას.

მე მივაკუთვნე ჩემი თავი ბოლშევიკურ ფრაქციას.

1915—16 წელს მე უკვე სოც.-დემოკრატ. ორგან. ბოლშევიკური ფრაქციის წევრი ვიყავი და ვეწეოდი მუშაობას ტფილისში. ჩვენი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელები პირველ ხანებში ამხ ალიოშა ჯაფარიძე იყო, ხოლო, მისი დაჭერის შემდეგ კი კოტე ცინცაძე. თვით ორგანიზაციის შემადგენლობას მე კარგად არ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ ის, რომ ჩვენი ფრაქციის ორგანიზატორებათ და მის მუდმივ მუშაკებათ ითვლებოდნენ შემდეგი ამხანაგები: შალვა ასკურავა, ს. თალაკვაძე, ლ. მირიოტაძე, ლ. წულუკიძე, ლ. სუხიშვილი, საშა ტიგიშვილი, არ. სოლოვიანი, არუსიაკა, ს. ქავთარაძე, ა. ბედუკიძე და კიდევ მრავალი სხვები.

1916 წ. აგვისტოში ქ. ტფილისში ჩვენი მოწინავე ამხანაგები— ამხ. კოტე ცინცაძე, შ. ასკურავა, ს. თალაკვაძე, თეოდორე კალანდაძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ქავთარაძე და ვ. ჯუღელი (მაშინ ბოლშევიკი იყო) ყველანი დაჰატიმრა ერთ ღამეს ჟანდარმერიამ. ასეთმა მდგომარეობამ კი ძლიერ შეუშალა ხელი ჩვენი ფრაქციის ორგანიზაციულ მუშაობას.

1917 წლის დასაწყისში, იანვარში, მეტეხში მყოფ ამხანაგებს, კოტე ცინცაძის გარდა, შორეულ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. (კოტე უნდა გაესამართლებიათ და დაიტოვეს), როგორც შემდეგ ვიცით მას მოუსწრო თებერვლის რევოლიუციამ და გაანთავისუფლა.

1916 წ. მიწურულში პოლიციამ მეც დამიწყო დევნა და იძულებული გავხდი ტფილისი დამეტოვებინა. მე წაველი დუშეთის მაზრაში. აქ მე თებერვლის რევოლიუციამ ბაბალეთის თემში სოფ. საკრამულში მომისწრო. ამ დროს მე ვსცხოვრობდი ბიძაჩემთან, ჩვენი პარტიის წევრ აბრამ როსტომაშვილთან.

1917 წ. 10 მარტს, ქ. დუშეთში პირველად შესდგა დიდი საჯარო მიტინგი, სადაც მე დავესწარი და შემდეგ ტფილისში წამოვედი. ტფილისის მთელი ძველი პოლიციის განიარაღების შემდეგ ქალაქში შეიქმნა ახალი რევოლიუციონური ხელისუფლება და მეც 12 მარტიდან მუშაობა დავიწყე ტფილისის მილიციაში, სადაც დავყავი 1918 წ. 10 თებერვლამდე. ამ ხნის განმავლობაში შევძელი მილიციაში ბოლშევიკური იაჩეიკის დაარსება, დაბოლოს პროფკავშირის შექმნა და მისი სათანადო დონეზე ამაღლება. ამ მუშაობაში აქტიურ დახმარებას მიწევდა ამხ. აბოვიანი, პ. დანდუროვი და ჯანელიძე. ტფილისის მილიციაში 1917—1918 წლამდე ჩვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი აღწევდა არა ნაკლებ 30—40 ამხანაგამდე და მისი ბიურო კი შესდგებოდა 3 წევრისაგან, სადაც შევდიოდი მე, ამხ. აბოვიანი და პ. დანდუროვი. 1917—1918 წ. 10 თებერვლამდე მილიციაში მუშაობის გარდა ხშირად გამოვდიოდი ხოლმე სალაპარაკოდ, როგორც მუშათა მიტინგებზე, ისე ალექსანდროვის ბაღში არსებულ ტრიბუნაზედ. 1918 წ. 10 თებერვლისთვის ჩვენმა ბოლშევიკურმა ბიურომ თანახმად ჩვენი პარტ-უმაღლეს ორგანოს დირექტივისა მოიწვია გაერთიანებული კრება ბოლშევიკ და მემარცხენე ესერებისა. ვერის ხიდთან არსებულ ესკიკოვის ცირკის შენობაში, სადაც პროტესტი უნდა გამოგვეცხადებინა ამიერ კავკასიის ახლათ მოწვეულ კონტრრევოლიუციონურ სეიმისთვის, რომელიც ამავე დღეს უნდა გახსნილიყო ტფილისში. მაგრამ ეს ჩვენი მიზანი ცხოვრებაში ვერ გავატარეთ შემდეგი მიზნების გამო: მთავრობას ჩვენ მიერ დაკავებული ცირკის შენობა გადაეცა რუსულ ნაციონალურ პოლკების ოფიცრებისთვის და ცირკს კი გაძლიერებული გვარდიელთა რზმით იცავდენ. მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა დანიშნულ დროს ბევრმა ამხანაგმა მოიყარა ცირკთან თავი და, რადგანაც ჩვენი კრება ბინის უქონლობის გამო ჩაგვეშალა, აქედან ჩვენ ყველანი ალექსანდროვის ბაღში წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვედით. იქაც საპროტესტო მიტინგი იყო მოწვეული და გვსურად იქ მაინც მიგვეღო მონაწილეობა. მარა ვიდრე დანიშნულ ალაგას მივიდოდით, იქ უკვე მენშევიკურ რაზმს უიარაღო მშვიდობიანი მიტინგი ტყვიისმფრქველებით დაეცხოლა. ამ სიმხეცის შემდეგ კი ქალაქში დაიწყეს ჩვენი მოწინავე ამხ. მასიური დაპატიმრება და ამავე 10 თებერვალს ღამის 2 საათზე დამაპატიმრეს და მეტეხის ციხეში გამგზავნეს, სადაც ჩემზედ წინ დაპატიმრებული შემდეგი ამხ. დამხვდა: 1. თედ. კალანდაძე, 2. ილიკო მამულია, 3. თომა კამალოვი, 4. მ. გახოკია, 5. გიორგი პარკაძე, 6. პეტრენკო, 7. შმულევიჩი, 8. აბოვიანი 9. და ამხ. პ. დანდუროვი. რამდენიმე დღის შემდეგ მოიყვანეს ამხ. სერიოჟა ქავთარაძეც. ორი კვირის პატიმრობის შემდეგ გამოვაცხადეთ შიმშილობა და 4 დღე ამ შიმშილობის შემდეგ, ნაწილ ჩვენთაგანს მთავრობამ ამიერ კავკასიიდან გადასახლება მოგვისაჯა. ამ გადასახლებულთა შემადგენლობაში შევდიოდით: მე, ამხ. ილიკო მამულია, მიხა გახოკია, აბოვიანი და პ. დანდუროვი. ჩვენ ციხიდან გამოგვიშვეს 27 თებერვალს, პირობით, რომ —სამ დღეში ამიერ კავკასიის საზღვრები დაგვეტოვებინა. ასეთი პირობის შემდეგ მე თუმცა არ მჭონდა უფლება საქართველოში დარჩენის, მარა ჩვენი პარტიის დავალების მერე საქართველოში დავრჩი და დუშეთის მაზრაში დავიწყე პარტიული მუშაობა.

ამისათვის სათანადო მანდატი და ინსტრუქციები მე მივიღე ტფილისის მე-II რაიკომიდან. კერძოთ კი ყველაფერი ეს გადმომცა ამხ. მოსე კვარაცხელიამ, რომელიც წევრი იყო ოაიკომის. (პარტ. ორგანიზაცია ამ დროს დანგრეული იყო მენშევიკების მიერ შექმნილ რეპრესიების გამო) ამას გარდა (კოტაოდენი მატერიალური დახმარება კი, რაიც მჭირდებოდა მაზრაში თავის შესანახად, მე მივიღე განსვენებულ ამხ. თედო შუშიაშვილისგან. პარტიის მიერ ჭქონდა დავალებული მას პროვინციაში მიმავალ პარტ-მომუშავეთათვის ერთდროული მატერიალური დახმარების აღმოჩენა. მალე ჩემი მოვალეობის ასრულებას შევუდექი და დუშეთის მაზრას მივაშურე. 1918 წ. მარტის 1-ში, მე უკვე ქ. დუშეთში ვიყავი, და თანახმად ამხ. თ. შუშიაშვილის მიერ მოცემულ მიმართვისა, დუშეთში მე მიველ ამხ. გაბო მწითურთან, რომელიც ჩვენი პარტიის წევრი იყო და ცხოვრობდა ქ. დუშეთში. ამხ. მწითურის დახმარებით მე შევძელი დაახლოვებით გაცნობა მაზრაში შექმნილ მდგომარეობის და იმ ატმოსფერის, რომელიც სუფევდა მაზრის მშრომელ გლეხობაში. ჩემი მასპინძელი ამხ. გაბო მწითური როგორც ძველი ჯარისკაცი და მასთან ბოლშევიკი, ბაზალეთის თემის წითელ რაზმს ხელმძღვანელობდა. მეორე დღეს კი, სოფ. ბაზალეთში მოწვეული იყო მთელი თემის მცხოვრებთა საჯარო მიტინგი, სადაც ამხ. მწითურთან ერთად მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავესწარი და საჯარო მიტინგზე ჩვენი პარტიის ხახი გავატარე, რომელიც შეეხებოდა ბრესტის ზავს და ოსმალების შემოსევას ჩვენში. ამ პირველმა საჯარო მიტინგმა ერთხმათ მოიწონა საბჭოთა მთავრობის მიერ დიდებული ზავი და უარი განაცხადა მენშევიკების მიერ გამოცხადებულ მობილიზაციაში წასვლაზე. ბაზალეთის თემის რამოდენიმე სოფლის შემოვლის შემდეგ მუშაობა დავიწყე საგურამოს თემში. ჩემი ასეთი მუშაობა დიდხანს არ გაგრძელდა; რადგანაც მე იძულებული გავხდი მაზრა დამეტოვებინა და ჩრდილოეთ კავკასიაში წავსულიყავ. ქ. კავკავში აპრილის თვის ბოლო ხანამდე დავრჩი. მარა რადგანაც აქ მხოლოთ რუსული ენის ცოდნა იყო საჭირო და მე კი ამ მხრით მოვიკოჭლებდი, ამისათვის მალე ქ. კავკავიდან ისევ დუშეთის მაზრაში დავბრუნდი. ჩემი კავკავში ყოფნის დროს ქ. ტფილისიდან, დუშეთის მაზრაში პარტ-სამუშაოთ ჩამოსულიყვნენ ამხ. მიხა პაპუნაშვილი, თომა ჩუბინიძე და ვ. ცინცაძე. მალე მათ მეც შევუერთდი და მაზრაში დავიწყეთ ენერგიული პარტ-მუშაობა. რამოდენიმე თვის შემდეგ კი, მაზრა აჯანყების ალში გაეხვია. მე ზემო მოხსენებულ ამხ. ერთად აჯანყებას ვხელმძღვანელობდი...

ჩვენ ამ აჯანყებაში დავმარცხდით. იძულებული გავხდი ისევ საქართველოში დავმალულიყავ. დამალვით კი ხან ტფილისს ვაფარებდი თავს და ხან დუშეთის მაზრის მთიან ადგილებს. როცა ტფილისში ჩამოვდიოდი ამხ. მიხა ცხაკაიას ვნახულობდი. იგი ცხოვრობდა ხუბალაშვილის თავშესაფარში. ამხ. მიხას მაშინ ამხანაგურ ნუგეშის მოცემის მეტი არაფერი შეეძლო. მთავრობა მდევნიდა სხვა მრავალ ამხანაგებთან ერთად.

მე დამპატიმრეს დუშეთში ერთ ნათესავ მეწისქვილესთან. არ ვიცი რას უნდა მივაწერო ჩემი დამჭერის მაშინდელი მოქმედება, რომ მის მიერ პირობათ ვიქმენ განთავისუფლებული, რის ძალითაც მეორე დღეს ჩემი ფეხით უნდა გამოცხადებულიყავი ქ. დუშეთში.

მე მომითხოვდა სამხედრო საველე სასამართლო. ეს სასამართლოც აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იყო შემდგარი და მუშაობდა მეამბოხეებს დაუზოგავათ უსჯიდა სიკვდილით დასჯას. ამ საფრთხისათვის რომ თავი დამეღწია მე ქ. ტფილისში ჩამოველი და ამხ. ალექსი ბედუკიძესთან მოვეწყეე. ხშირათ ამხ. მიხა ჩოდრიშვილთანაც დავიარებოდი. ასეთი ჩემი მდგომარეობა გაგრძელდა 1919 წლამდე.

შემდეგ ისევ დუშეთში წავედი და შევეცადე პარტ-მუშაობის განახლებას.

1919 წ. ივლისის 15-ს თბილისიდან ჩამოვიდენ პარტ-სამუშაოთ ამხ. ამხ. ლეონ მირიოტაძე და ლადო სუხიშვილი. ამავე წლის აგვისტოს თვის ბოლო რიცხვებში ჩვენ ქ. დუშეთში მოვიწვიეთ მაზრ. პარტ-არალეგალური კონფერენცია, სადაც როგორც ადგილობრივი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ცენტრის წარმომაღგენლებიც დაესწრენ. ესენი იყვნენ: გრამიტონ მოწონელიძე და ამბ. ვასილ კილასონიძე. ამ კონფერენციაზედ არჩეულ იქნა მაზრ. პარტკომი; პარტკომის მდივნათ ამორჩიეს მე. მეორე დღეს ამბ. მირიტაძე, სუხიშვილი და ვ. კილასონიძე უკან, თბილისში დაბრუნდნენ. ჩვენთან დარჩა მხოლოდ ამბ. გ. მოწონელიძე, მარა ერთი კვირის შემდეგ ამბ. მოწონელიძეც შექმნილ მდგომარეობის გამო იძულებული გახდა მაზრა დაეტოვებინა.

ცენტრმა ჩემი მოთხოვნისამებრ გამოგზავნა ამბ. სუხიშვილი მაზრაში სამუშაოთ. მე და ამბ. სუხიშვილი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ სასადილოში დაგვაპატიმრა და ერთ ბინძურ პატარა საკანში ჩაგვამწყვდია, სადაც ქურდები იყვნენ მოთავსებულნი. ამ დროს მაზრის ერობის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსათ იყო ფარნიევი; რომელიც ჩვენამდი მოპყრობაში, ბევრათ აჭარბებდა გააფთრებულ ტყის ნადირს. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ გამოგვიგზავნეს ქ. თბილისში და მოგვათავსეს საგუბერნიო ციხეში. აქ ჩვენ დაგვხდნენ ის ამხანაგი გლეხები, რომლებიც 1918 წ. დუშეთის აჯანყების დროს დააპატიმრეს. ეს ამბ. კი იყვნენ ამბ. პავლე ჩხუტიაშვილი, შაქრო მანგიაშვილი, ვანო პაპკიაური, ილო დიდებაშვილი, ლექსო მაჭარაშვილი და მრავალი სხვები.

ჩვენი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ მალე მე და ამხანაგი ლადო აქედან მეტეხში გადაგვიყვანეს. ეს იყო 1919 წ. სექტემბრის 20. მეტეხში ჯდომის დროს ორჯერ ვიშიმშილეთ.

1920 წ. აპრილის 29-ში ჩვენ მეტეხში მყოფი ყველა ამხანაგი მთავრობამ ქ. ქუთაისში გადაგვიყვანა და საკატორღო ციხეში მოგვათავსეს. ამავე წლის 14 მაისში კი, თანახმად საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებისა, ჩვენ ყველანი ციხიდან გამოგვიშვეს. მეორე დღეს მე ქ. თბილისში წამოველი და ერთი კვირის შემდეგ კი, დუშეთის მაზრაში წაველი, სადაც ჩვენთან ერთად გამოშვებულ ამხანაგების დახმარებით მაზრაში პარტ-მუშაობა დავიწყეთ. 15 ივნისში ცენტრის მიერ გამოგზავნილ პარტ-სამუშაოთ ამბ. დავით აფციაური და ვ. სიხარულიძე ჩამოვიდნენ. ამავ თვის 27-ში მოვიწვიეთ ლეგალური მაზ. პარტკონფერენცია, რისი უფლებაც ოფიციალურად გვქონდა... მარა ვიდრე კონფერენცია შეიკრებებოდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კონფერენციის მთელი შემადგენლობა დააპატიმრა რიცხვით 30 ამბ. მეორე დღეს აქედან 8 ამბ. გარდა ყველა გაანთავისუფლეს და ჩვენ ქ. თბილისში გადმოგვგზავნეს. ჩვენს შორის იყო ამბ. დ. აფციაური, ვ. სიხარულიძე, შ. მანგიაშვილი, შ. აბრამაშვილი, ს. აგაშენაშვილი გ. ვერძეული, დ. კარიაული და მე. ჩვენ მოგვათავსეს მეტეხის ციხეში, სადაც ჩვენ დაგვხვდნენ შემდეგი ამბ.: ნიკო და გიგო კიკნაძეები, განსვენებული პავლე მარდალეიშვილი, სანდრო თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანოვი, სანდრო იაშვილი, ს. მეგრელიშვილი და ამხ. ალექსი ბედუკიძე. მე მეტეხში დავყავი 1920 წ. 6 სექტემბრამდის და მხოლოდ აგვისტოს თვის პოლიტიკურ შიმშილობის შემდეგ, რომელშაც 4 დღენახევარი გასტანა, იძულებული გახდა მთავრობა, რათა ნაწილი ჩვენთაგანი გადაესახლებინა და ზოგიც მთლად გაეშვა. გადასახლებულთა შორის ვიყავით: ამხ. ნიკო და გიგო კიკნაძეები, ს. მეგრელიშვილი, ვ. სიხარულიძე, დ. აფციაური, ს. იაშვილი, და მე. ჩვენ ყველა აზერბეიჯანში გაგვგზავნეს, დარჩა მხოლოდ ამხ. სანდრო იაშვილი და ვგონებ მალე ციხიდანაც გაანთავისუფლეს. ქ. ბაქოში ჩასვლისას დავესწარი ალმოსავლეთ ხალხთა ყრილობას, როგორც დელეგატი. ყრილობის გათავების შემდეგ, ვგონებ 10 სექტემბერს, მოწვეულ იქნა საქართველოდან ჩამოსულ კომუნისტ დელეგატების კრება, სადაც დაესწრო ამხ. ფილიპე მახარაძეც. ამ კრების დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი, სახელდობრ—თუ როგორ წარმოებულიყო პარტ-მუშაობა. მოწვეულ იქნა საერთო, საქართველოში მომუშავე კომუნისტთა კრება, ქ. ბაქოში ცენტრალ. მუშათა კლუბში, და აქ უკვე კრებამ აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ქ. ბაქოშე. მე აქ, ბაქოში, ამ დროს ვმუშაობდი აზერბეიჯანის კომუნალურ დაწესებულ. მუშა მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობაში. 1921 წ. 17 თებერვალს სხვა ამხ. ერთად ქ. ბაქო მეც დავტოვე და საქართველოში წამოველ. 25 თებერვალს კი წითელ ჯართან ერთად ქ. თბილისში შემოველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფრომ მგალობლიშვილი

სოციალ-რევოლიუციონური (ხალხოსნური) მოძრაობა საქართველოში 1870—1880 წ. *).

(ჩემი მოგონებანი).

1.

ერთის თვალის გადავლებით.

მინამ ჩვენებურს ხალხოსნურ მოძრაობას და რევოლიუციონერებს შევეხეოდე, ერთის თვალის გადავლებით შევეხები, რამდენიმე სიტყვით, რუსეთის სოციალ-რევოლიუციონურ მოძრაობას, რომლის პირდაპირი შედეგი იყო მოძრაობის დაწყობა ჩვენშიც.

ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც იზდებოდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს, როცა ახლად გამტკიცებულ 1855 წელში ალექსანდრე მეორე შეუდგა რეფორმებს—ძველის ნგრევას და ახლის შენებას, იზიარებდა მაშინდელ რუსეთის დიდებულ მწერალთა იდეებს. რუსეთის სამოციან წლების მწერლებს, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი ორგანო—ჟურნალი „თანამედროვე" („სოვრემენნიკი"), დიდი გონებითი და მორალური გავლენა ჰქონდათ არა თუ ჩვენს ახალგაზრდობაზე, არამედ მთელს რუსეთზე.

1861 წელს თებერვლის 19-ს თარიღით გამოვიდა მანიფესტი ბატონ-ყმობის მოსპობაზე: გლეხი განთავისუფლდა პირადად, **უმამულოდ**. ამ გარემოებამ რუსეთის მოწინავე მოაზროვნეებში გამოიწვია სოციალ-რევოლიუციონური მოძრაობა. აქ ჩაიდო პირველი დვრიტა, ეხლა იაჩეიკას რომ იტყვიან. რუსეთში ნიკოლოზ ჩერნიშევსკიმ თავის ჟურნალ „სოვრემენნიკში" აღძრა საკითხი გლეხების მიწით განთავისუფლებაზე. ისეთი განთავისუფლება, როგორიც მეფე ალექსანდრემ მოახდინა, იყო ცალმხრივი, ცალყბივი. მეფე ალექსანდრემ არ გადაუხვია მამის ანდარძს: ნიკოლოზის 1 რკინის გული ასე სჯიდა: „მიწა არის საკუთრება არა გლეხთა, —რომელნიც მასზედ არიან დასახლე-

*) ეს მოგონებანი, როგორც მასალა, იბეჭდება უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულნი, არამედ მებატონეებისა—ეს არის უპირველესი საგანი მომავალი მშვიდობიანობისა. ან რა მოეთხოვებოდა იმისთანა თვითნება და თავხედს მეფეს ნიკოლოზ I, რომელმაც მცოდნე და ევროპიულად განვითარებულს მოსკოვის გუბერნატორს გალიკინს ადვოკატების საჭიროებაზე სასამართლოებში ასე უპასუხა: „მე, როგორც ვხედავ, შენ საფრანგეთში ხანგრძლივ იცხოვრე, მგონი თვით რევოლიუციის დროს, ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ შენ იქაური წესწყობილება შეითვისე. ვინ დაღუპა საფრანგეთი, თუ არ ადვოკატებმა? აბა კარგათ მოიგონე!.. ვინ იყვნენ მირაბო, მარატი, რობსპიერი და სხვ.? მინამ მე ვმეფობ, რუსეთში ადვოკატები საჭირონი არ არიან, უმამოთოთაც ვიცხოვრებთ“ *). ვერ გადაუხვია ალექსანდრე მეორემ ტრადიციას, მამის კვალს და გლეხები ისევ ბატონების ხელში ჩაჰყარა. გლეხთა განთავისუფლების მანიფესტს მან თებერვლის 19-ს მოაწერა ხელი, მაგრამ იგი გამოცხადდა პეტერბურგს და მოსკოვს მხოლოდ მარტის 5-ს, სხვა ქალაქებში კი უფრო გვიან, ეს მანიფესტი თითქმის ორი წელიწადი უმოძრაოდ ედო; ამ ხანში ისევ ძველი ბატონყმური განწყობილება სუფევდა მთელს რუსეთში.

ასე ჰოქმანობდა მეფე, რომელსაც ეტყობა მონარქიის ერთი ბოძის წაქცევისა ეშინოდა—თავად-აზნაურობისა. მის ჰოქმანს ყურს ვინ უგდებდა. მთელი რუსეთი ააბორგა „სოვრემენნიკმა“ და არალეგალურმა გაზეთმა „ველიკოროსმა“, საზღვარგარეთ კი გერცენის „კოლოკოლმა“ (ზარი). თავი და თავი გლეხთა ინტერესების დამცველი იყო „სოვრემენნიკი“ (თანამედროვე), რომლის სული და გული იყო ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი და ამისი მარჯვენა ხელი ნიკოლაზ ალექსანდრეს-ძე დობროლიუბოვი. ჩერნიშევსკის და მთლად „სოვრემენიკის“ და „ველიკოროსის“ პროგრამას შეადგენდა გლეხთა განთავისუფლება იმ მიწით, რომელიც მათ მფლობელობაში იყო ბატონყმობის გადავარდნამდე. გერცენის „კოლოკოლიც“ ამ აზრს იზიარებდა სავსებით—თხოულობდა გლეხთა განთავისუფლებას მიწით. მაშინ გერცენს და მის გაზეთს რუსეთში დიდს ანგარიშს უწევდნენ; თვით სასახლეს მისდიოდა „კოლოკოლი“, ყველას ეშინოდა „კოლოკოლის“ ყბაში არ ჩავარდნილიყო. ერთხელ თურმე ლონდონში კატკოვმა უთხრა გერცენს: „კოლოკოლი—ძალაა“. ამას თვით გერცენი უმატებს: „ამავე აზრისანი იყვნენ თვით ტურგენევი, აქსაკოვი, სამარინი და კაველენი—ეს ლიბერალთა გენერლები, თვით ბოტკინი, ეს მუდამი თაყვანისმცემელი ყოველნაირ ძალისაო“.

ლიბერალებს არ სჯეროდათ ამ ახალი მოძრაობის ძალა, თავადგებეთი უყურებდნენ, გარდამავალ ხანად მიაჩნდათ, მათ არ ესმოდათ

*) იხ. Эпоха Импер. Николая I, გერშენზონის გამოცემა 1910 წ. გვ. 62—53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსხი და სტვენა „სოვრემენიკისა“, იმათ ეგონათ, რომ ეს ახირებული, მიუხვედრელი ხალხი ჰლუბავენ ლიბერალური ეპოქის ვარდფევილიან იმედებსაო. მაგრამ მკაცრმა, შეუბრალებელმა კრიტიკამ ჩაჭკლა ლიბერალები, კრიჟა შეუკრა. რუსულ ლიტერატურაში პირველად ჩერნიშევსკისაგან დამყარდა კლასობრივი შეხედულობა ცხოვრების მოვლენებზე; პირველად აქ გაჩნდნენ სასტიკი და შეურყეველი დამცველნი მშრომელი მასისა. დობროლიუბოვის წერილები კავურის ლიბერალურ პოლიტიკაზე, ჩერნიშევსკის წერილები ივლისის მონარქიაზე, მისივე გამორკვევა ეკონომიური მხარისა მილლის პოლიტიკური ეკონომიის შენიშვნები—ყველა ესენი იყო საჭირო ელემენტები სოციალური თვალსაზრისისა, ყველა ამან შექმნა რუსთა აზროვნობაში მომავალი სოციალური პარტიის ელემენტები. მაშინდელ „От. зап“-ების კრიტიკოსმა გრომეკამ უსაყვედურა „სოვრემ“-ს პუბლიცისტებს უგულობა, რაზედაც ჩერნიშევსკიმ თავის წერილში „Полемическия красоты“ ასე უპასუხა: „რა ზღაპარია? ქათამსაც კი აქვს გული, ამათ კი არ ჰქონიათ... გვაქვს, ჩემო კარგო, გვაქვს და ძალიან ბრაზიანი და სასტიკი, მხოლოდ თქვენზე კი არა“!!....

რუსის ლიბერალები, განსაკუთრებით კველინი და ტურგენევი, სიხარულით ფეხზე არ იდგენ, რომ სოციალ-რევოლიუციონური მოძრაობა სამოციან წლებისათვის თავად მიიცვალაო. ეს იმის გამო დაასკვნეს, რომ უდროოდ გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა კრიტიკოსი დობროლიუბოვი, გაგზავნეს ციმბირის კატორღაში ჯერ პოეტი მ. მიხაილოვი და მერე ზედ მიაყოლეს ჩერნიშევსკიც. მაგრამ ლიბერალების სიხარული მხოლოდ ოცნების ნაყოფი ყოფილა. მარჯვე და მცოდნე მთესველთაგან გადაპნეულმა აზრებმა გააღაღა აზროვნების ჯეჯილები. რევოლიუციის იმ არწივებს ზედიზედ მოჰყვენ უკვე დაბუმბულებული ბარტყები, რომელნიც მტკიცედ შეუდგენ მუშაობასა. ამ მუშაობას ხელს უმართავდენ საზღვარ გარეთიდან ლავროვი, გერცენი, კროპოტკინი, ბაკუნინი და სხვ. მოედო მთელს რუსეთის იმპერიას ლავროვის ჟურნალი „წინ“ (ვპერიოდ), მისი „ისტორიული წერილები“, მირტოვის ფსევდონიმით, ბაკუნინის პროგრამები, გერცენის „კოლოკოლი“ და აუარებელი წიგნაკები რევოლიუციონური შინაარსისა.

რევოლიუციის ბუდეთ გახდა პეტერბურგი, სადაც დაიწყო მოქმედება ჩაიკოვსკის ჯგუფმა; გაჩნდა დიდ ქალაქებში სხვა ჯგუფებიც, იწყო ხალხში გასვლა 1870 წლიდან. ბევრი იჩანჩხარეს ლიბერალებმა, ტურგენევმა დიდი რომანი დასწერა 1870 წ. სახელად „ნოვი“ („Новь“), რომელშიც გაამასხარავა ხალხოსნური მოძრაობა, მაგრამ არა გამოვიდა რა. პოლიტიკურმა პროცესებმა ხომ ლიბერალებს ცეცხლზე წყალი დაუსხა: ჯერ 50, შემდეგ 193 ის სხვათა პროცესებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს თვალები აუხილა. ორმოცდა-ათიანების პროცესში ჩვენი თანამემამულენიც ერევნენ: ივანე ჯაბადარი, ალექსანდრე ციცაშვილი, მიხეილ ჩიკოიძე, გიორგი ზდანოვიჩი და გამყრელიძე, რომელთაც კატორგა გამოიარეს; ამათში ციცაშვილი და ჩიკოიძე ციმბირში დაიხოცნენ.

ალექსანდრე მესამემ საშინელი შავი რეაქცია გაამეფა: დევნა, დახრჩობა, გაციმბირება, ციხეები პოლიტიკურებს ვეღარ იტევდა. მაგრამ არც რევოლიუციონერებს ეძინათ. იყო ორი რევოლიუციონური მიმდინარეობა რუსეთში—ბაკუნინისა, რომელიც ქადაგებდა ბრძოლას, ბრძოლას ბოლომდე და ლავროვისა, რომელიც მშვიდობიანის, პროპაგანდის გზით მიდიოდა რევოლიუციისაკენ. მაგრამ ალექსანდრე მესამის რეაქციამ შეაერთა ეს ორი მიმდინარეობა. შეთანხმდენ, დაიწყო ანარქიული გამოსვლები, დაიწყო ორთავე მხრივ შეუბრალებელი ბრძოლა.

ამ რუსეთის მოძრაობას ჰქონდა ჩვენს ახალგაზრდობაზე გავლენა, რუსეთში აღზრდილმა ახალგაზრდობამ ჩვენში გადმოიტანა ესეთივე მოძრაობა, რომელსაც ადგილობრივი ინტელიგენცია გამოეპასუხა.

2.

ჩ ვ ე ნ შ ი.

ეს თავი არ შემიძლიან არ დავიწყო ფილოსოფ ლეიბნიცის სიტყვით: „აწმყო, წმობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. აწმყო ცხოვრება პირმშო შვილია წარსულ ცხოვრებისა, აწმყოში ცხოვრების მოქმედთა უნარიანობაზე ეყრდნობა დიდება და სახელი ჩვენი მყოობადისა, ჩვენის მომავალი თაობისა. ასეთია ცხოვრების კანონი. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლა სოციალისტმა (არ დავასახელებ, ვგონებ ჩვენმა პრესამ იცის ვიზედაც ვამბობ) „კვალში“ დასტამბულ წერილში ლირიკულად განაცხადა, რომ **ჩვენი წარსული ფურთხის ღირსიაო** (კურსივი ჩემია). მაგრამ კარგად რომ ჩაჭუიქრებოდა, ამას არ იტყოდა, ვინაიდან თვით იყო მაშინ ფურთხის ღირსი.

აი ამ ჩვენი წარსულის მაფურთხებელს არას ვეტყვით: მართალია, წარსული მიდის, იგი ჰბარდება ისტორიას, მაგრამ მისი ბინა დამჩნეული სიკეთის კვალი სრულიად არ ჰქრება აწმყოში, ბნელს უმთვარო ღამეში სამშობლოს ფირუზოვან ცაზე, უფრო ჩაღად ციმციმებს ვარსკვლავები, ბდღვრიალებენ ჩვენს წარსულს, ერთობ კაეშანიანს, უკუნეთ წყვდიადს ღამეს ანათებენ აი ის სამშობლო ცის ვარსკვლავნი; ჩვენ წინ იშლება მთელი რაზმი ნათელი, ბრწყინვალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდადებული ახალგაზრდებისა. ნუ თუ ესენი, როგორც წარსულნი, ფურთხის ღირსნი არიან!?

აი მე დღეს სამოცდა-ათიან წლების წყვდიადს ღამეებს მინდა ავბადო ფარდა და დავანახვო ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას ის ნათელი, ბრწყინვალე ვარსკვლავები, რომელნიც ამ წყვდიადს ნათელს ჰფენდნენ, რომელთა ვინაობა დღევანდელმა ქართველმა არ იცის.

ყველაზე მძლავრად ჩვენში რუსეთის მოძრაობას გამოეპასუხა ილია ჭავჭავაძე და საზღვარ გარეთ რუსეთიდან გაქცეული ნიკო ნიკოლაძე, რომელიც გერცენის „კოლოკოლში“ სწერდა წერილებს ვლეხების განთავისუფლებაზე მიწით. ილია ჭავჭავაძემ რეფოლიუციონული სული თავის ნაწარმოებს ჩააქსოვა: „კაცია-ადამიანი“!? „კაკო ყაჩაღი“, „ბლახის ნაამბობი“, ლექსი—„მუშა“, პოემა „აჩრდილი“, რომელშიაც გაატარა სოციალური იდეები. მაგრამ ჭავჭავაძემ თვის ფარშევნო ირა თუ ვერ შეძნა ჯგუფი, ერთ ხანს თვითაც გაექცა ლიტერატურასაც კი, მიხურა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და ოსსამართლეობა არჩია დუშეთში. ილიას პრაქტიკული მუშაობა არ შეეძლო, მაშინდელი ცხოვრების გარემოება ამას ხელს არ უმართავდა: ამის გამო იგი ხალხში ვერ გაეიდოდა და გერც პროპაგანდას შექმნიდა. მართალია, იგი დიდი მოაზროვნე იყო, მაგრამ პრაქტიკულს ნაბიჯს გაურბოდა. აღზრდილი ჩერნიშევსკის დროს, იგი საკუთარი ალ ახიარებდა ჩერნიშევსკის და გერცენის აზრს: გლეხთა განთავისუფლებას იმ მიწით, რომელზედაც იყვნენ დასახლებულნი და რომელიც იმათ ხელში და მფარველობაში იყო განთავისუფლებამდე. ილია ჭავჭავაძე თავის თხზულებაში „ცხოვრება და კანონი“ პირდაპირ ასე ამბობს გლეხთა განთავისუფლების მნიშვნელობაზე მიწით, რომელიც იმის საკუთრებათ უნდა ყოფილიყო აღიარებული. იგი ამბობს: „1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზები—კაკი ეკალ აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარე ამ სახელოვანი ცვლილებისა... ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდა, უამისოდ გლეხის თავისუფლება ამას ეფგვანება, რომ კაცისთვის ეთქვათ: „წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო“. **ჩვენდა სასიკეთოდ ეს ასე არ მოხდა, გლეხს ბინა მიეცა. მიწა მიეცა“** [1]). (ეტესიები ჩვენია). აქ ილია **„ნადელის“** მიცემას ჩამონაჭრებს უწოდებს—**„მიწა მიეცათ“**. ეს არ ნიშნავს გლეხების მიწით განთავისუფლებას, რომელსაც გულისხმობდენ ჩერნიშევსკი, გერცენი და მათი შემდეგი მიმდევარნი.

[1]) იხ. კვირეული „ივერია“ № 1. 1877 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ილიას და ნიკო ნიკოლაძეს დიდი გავლენა ჰქონდა მოსწავლე ასალგაზდობაზე, განსაკუთრებით ნიკოლაძის ჩამოსვლამ სახლვარ გარეთიდან სულ ახალი მიმართულება შექმნა ლიტერატურაში და ცხოვრებაში: დაარსდა სამკითხველო, სადაც დიდ ძალ წიგნებს მოუყარეს თავი, მოსწავლე ახალგაზრდობა დაეწყოფა წიგნების კითხვას და შეუდგა თვითგანვითარებას.

1872 წლიდან უკვე იწყობა ქ. ტფილისში აქა-იქ კრებები, ესწრებიან მოსწავლე ახალგაზდანი, კითხულობენ, სხვათა შორის, არა ლეგალურს წიგნებსა; სასწავლებლებში ფუძნდება საიდუმლო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება „სოვრემენიკი", „ველიკორუსი", დობროლიუბოვი, პისარევი, ისტორიული წიგნები, განსაკუთრებით საფრანგეთის რევოლიუციისა, ლასალი, პროუდონი და სხვ. ვინაიდან გვაკლდა განვითარება, შესწავლა ისტორიისა, სოციალური მეცნიერებისა, მიზნით დავისახეთ თვითგანვითარება და შემდეგ ხალხში გასვლა საქადაგებლად მონარქიული წესწყობილების წინააღმდეგ. რუსეთიდან ჩამოდიოდნენ ჩვენში გამორიცხული ქართველი სტუდენტობა, რომელიც ინტელიგენციაში ავრცელებდნენ ახალ აზრებსა. ყველას პირზე ეკერა ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, მიხაილოვი, გერცენი, ბაკუნინი, ლავროვი, კირაკოსოვი და სხვ.

საქართველოში კანტი-კუნტად აქტიური ხალხოსნური, ანუ სოციალ-რევოლიუციონური მოქმედება იწყობა 1873 წლიდან. ამ წლის ენკენისთვეში ჩავედი მასწავლებლად ქ. გორს და ჩავები რევოლიუციონურს მოძრაობაშიც. მე ხშირად მოვიხდება ლაპარაკი ჩემ თავზედაც, იმედია ეს გარემოება არ ჩამომერთმეფა თავის გამოდებასა და ვეებნაში.

3.

გორის წრე და ეგნატე იოსელიანი

გორში ერთი კერძო გაკვეთილიც ვიშოვნე; სწავლებელში ქართული ენის რვა გაკვეთილი იყო, ამისათვის ხაზინიდან არ იყო დადებული ფული და მასწავლებლები აგრე რიგად ქართული ენის სწავლებით თავს არ იტკივებდენ, მე უსასყიდლოთ ვიკისრე სწავლება; ეს გარემოება ჩემთვის ძალიან ხელსაყოფელი იყო: ქართულით მოწაფეებს დავაინტერესებდი და ნელ-ნელა შევიტანდი ახალგაზდობაში, ოლგორც მამულიშვილურს, ისე კიდევ ახალი მიმართულების აზრებსა. ამისათვის მაშინდელი დროის მიხედვით საკმაო ქართული და რუსული წიგნებიც მქონდა: „საქართველოს მოამბის" და „ცისკარი"ს ნომრები, „ჯაკია-ადამიანი?", „სურამის ციხე", ლექსთა კრებული „ონგური", „ვეფხის ტყაოსანი" „სიბრძნე-სიცრუის წიგნი", „არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას ლექსი“ სხვა და სხვა ვარიანტებით და სხვ. რუსულიდან—ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია, ისტორიები ბოკლისა და ლრეპერისა და სხვ. აი ეს იყო სულ ჩემი ჭკუის ბაღაჟი და საუნჯე. მოწაფეებს ვუკითხავდი და ვუხსნიდი ქართული მოთხრობების შინაარსსა, ილიას და აკაკის ლექსებს ვაზეპირებდი. ბავშვები სულ განაბული მიგდებდენ ყურს და სიხარულით მოელოდნენ ხოლმე ქართულის გაკვეთილსა.

გორში საშინელი მეუდროება იყო, მოსაწყენი, კაეშნის აღმძვრელი, გამომწვევი ღვინოში დარდების ჩაკვლისა. ერთის სიტყვით, „არსაით ხმა, არსით ახლილი; მშობელი შობილს არას მეტყოდა“, პოეტისა არ იყოს. სასწავლებელში, ბედათ ჩემდა, დამხვდა ჩემი ნამასწავლებლარი პაველ ბურჯანაძე, კაცი გონიერი, ჩახვედრილი და ზნემაღალი. გავუზიარე ჩემი აზრები და მისწრაფებანი; იმანაც შემომჩივლა მარტოობა; თანაგრძნობით შემხვდა, იგიც იზიარებდა ახალს აზრებს, მიმითითა თავის მეგობარ ვასო დეკანოზიშვილზე.

გავიცანი ფიცხლავე. გავაცანი ჩემი მისწრაფებანი. იამა, სიხარულით აინთო.

— მარტო ვარ, ძმა, მარტო. რას შეეძლებ... წიგნები ბლომად მაქვს, ამხანაგები არა მყავს, რომ აზრი ჩემი გავუზიარო, შეექმნა წრე სამოქმედო; გორი და მთლად ქართლი უდაბნოა, მაგრამ აქა-იქ ამოციალდნენ ახალგაზდები. აქ გორში მარტო პაველ ბურჯანაძეა ჩემი აზრისა.

ვასო დეკანოზიშვილს უკვე ქართველ სტუდენტობასთან ჰქონდა კავშირი: ცნობილ ნიკო ხუდადოვთან, ქაიხოსრო ფურცელაძესთან, თავის დისწულ რომან ფავლენიშვილთან, იცოდა მეორე დისწულის მიხეილ ჩიკოიძის ამბავიც. სტუდენტებს ჩამოეტანათ ვასოსთვის სხვა დასხვა რევოლიუციონური შინაარსის წიგნები—ლავროვის „ვპერიოდ“ (წინ), გერცენის „კოლოკოლი“-ს ნომრები, ბევრი პატარ-პატარა წიგნაკები.

ჩვენ ნელ-ნელა შევუდექით ჩვენი აზრების გავრცელებას ჯერ ინტელიგენტთა შორის, დავუახლოვდით ხელოსნებს; ჩვენი წრე, ცოტა არ იყო, გაიზარდა: 1873 გასულს და 1874 წლის პირველ ნახევარში საკმო რიცხვი წევრებისა უკვე გვაკვდა; 1875 წელში ხომ თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამ წელს გორის ხაზინის ბუჰგალტრად გამოამწესეს კიევის სასულიერო აკადემიელი მათე კერესელიძე, დიდათ განვითარებული, ნაკითხი, მჭონე რევოლიუციონური და აგრეთვე სხვადასხვა წიგნებისა. იგი მოვიდა ჩემთან თფილისიდან ანტონ ფურცელაძის წერილით, რომლითაც იგი მიოლოცავდა საუცხოვო ამხანაგის და ახალი აზრებისათვის თავდადებული კაცის მოსვლას გორში. 1875 სამუდამო წრეში უკვე ითვლებოდენ: ვასო დეკანოზიშვილი, მათე კერესელიძე, პაველ ბურჯანაძე (მასწავლებელი) ვანო ხიმშიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე), სამხედრო ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, მისი ძმა დათიკო, ანტონ ფურცელაძე, რომელიც ტფილისიდან მალ-მალ მიდიოდა, გიგო ავალიშვილი, ტყვიავის მღვდელი ვასილ სამადაშვილი, ტყვიაველი რომან და კოლა ფავლენიშვილები, მეჯვრის ხევის ცნობილი მასწავლებელი მოსე ნათაძე, ლუარსაბ და კოტე ერისთავები, ილიკო მაჭავარიანი, ილიკო ჯავახიშვილი და სხვ.

ჩვენი მიმართულების ლიდერები და გზის და მიმართულების მაჩვენებელი იყვნენ ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანი, რომელიც დღეს-აც ცოცხალია, ცხოვრობს ქ. ტფილისში და შინელ ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

ეგნატე იოსელიანმა მიიღო უმაღლესი განათლება პეტერბურგში. სამშობლოში დაბრუნებისავე უმალ შეუდგა კულტურულ მუშაობას; მან გარს შემოიხვია მოსწავლე ახალგაზრდობა, სასწავლებლიდან გამორიცხულნი, უპატრონოდ და უსწავლელად დარჩენილნი, რომელთა განვითარებას ეგნატე ბეჯითად შეუდგა. შესდგა ახალგაზრდათა რევოლიუციონური რაზმი. ამ ახალგაზრდათა რაზმს განსაკუთრებით მარქსისტული განვითარება არა თუ აკლდა, სრულიად გაგება არ ჰქონდა.

ეგნატე იოსელიანმა პირველ ყოვლისა ამ განვითარებისათვის იზრუნა. სხვათა შორის, მან განიზრახა თბილისში ბიბლიოთეკის დაარსება. ჯერ რუსეთში ყოფნის დროს დიდძალი წიგნაკი შეიძინა თავის ხარჯით და ისეც მოაგროვა; ერთხელობა კიდეც გამოგზავნა რამდენიმე ყუთი წიგნებითა, მაგრამ, საუბედუროთ, ყუთებმა ადგილამდე ვერ მოაღწია, სადღაც დაიკარგა. ეგნატეს მეორედ მოუხდა მოგროვება და შეძენა წიგნებისა, მეორედ რამდენიმე ყუთი თვით ჩამოიტანა და გადასცა მაშინდელ ქართველ ახალგაზრდა მოღვაწეებს, რომელნიც იყვნენ „დროების“ გარშემო შეკრებილნი; გამართეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო შაბუროვის სახლებში, სადაც შემდეგში ეგრედ წოდებული „სევერნი ნომრები“ იყო. ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამეედ ჩაყენეს ეინმე ივანოვი, რის გამო დაერქვა ამ საზოგადო ბიბლიოთეკას **ივანოვის ბიბლიოთეკა**. ეგნატე იოსელიანმა იშრომა, სახელი კი სხვას დარჩა. ასეთი ბედი აქვს მშვიდობიან მოღვაწეს, რომელიც თავის-თავზე მაღლა არ ჰყვირის. ამ სამკითხველოში დაიარებოდა საშუალო სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობა. აქვე იყრიდნენ ხოლმე თავს ქართულ, სომხურ და რუსულ დროგამოშვებით გამოცემათა მეთაურნი და თანამშრომელნი.

აქ არ შემიძლიან არ მოვიყვანო ერთი ეპიზოდი, დამახასიათებელი მაშინდელი მწერლების პატრიოტული მიმართულებისა. მოწაფეებმა ერთხელ ვნახეთ ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ლიტერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორები; სხვათა შორის, იყვნენ აკაკი წერეთელი და გრიგოლ ... წრუნი, „მშაკის“ რედაქტორი. მაშინდელი მწერლები პატრიოტი-მით იყვნენ გამსჭვალულ—გატაცებულნი. არწრუნიმ აკაკის უკითხა პატრიოტობა და სომხებისადმი სიძულვილი; აკაკიმ უპასუხა: „ნე სხვა ეროვნების პატივისცემა იმდენად მიყვარს, რამდენათაც იგი ჩემს ერს მტრობას არ უწევს, არ უჯიკავებს უფსკრულში გადასაჩეხად. რაც შეეხება პატრიოტობას, შენისთანა პატრიოტი დედა-მიწის ზურგზე არ მოინახება:-მთელი სომხეთი არარატის მთიანად ზურგზე გკიდია“-ო. ასტყდა სიცილი. გრიგოლ არწრუნი კუზიანი იყო და აკაკის შხამიანმა ენამ ამ კუზზე უჩვენა—„სომხეთი ზურგზე გკიდიაო“.

აი ასეთმა ამბებმაც თვალსაჩინო გავლენა იქონია ჩვენზე, ჩა-გვახედა ჩვენს ეინაობაში, თუ ვინ ვართ და რას უნდა ველტოდეთ.

ეგნატე იოსელიანს თვითონაც ჰქონდა სახლში ძვირფასი, ბდი-დარი ბიბილიოთეკა, დღესაც აქვს. ყოველნაირი წიგნი მოიპოვებო-და იმის ბიბილიოთეკაში. თბილისის ახალგაზრდობისათვის ეგნატეს სახლის კარი ღია იყო; უხვად აძლევდა წიგნებს: აძლევდა დარიგე-ბას, უჩვენებდა, რა გვარი წიგნები უნდა ეკითხათ, ამა და ამ წიგნში რა ადგილებისათვის უნდა მიექციათ ყურადღება. მისი გავლენით შესდგა თბილისში ჯგუფები; დაიწყო ხელოსნებსა და მუშებს შორის ახალი ახრების გატარება; თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ამ ჯგუფ-ში შიო დავითაშვილმა, რომელმაც თვით მკაზმავობა შეისწავლა: რასაკვირველია, ეგნატეს მოქმედება ენდადარმერიას არ გამოეპარა: ეგნატე ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც სამი წელიწადი გაატარა მა-რტოდ გამომწყვდეულმა, შემდეგ 1878 წელს უკრეს თავი ორენბურ-გში. მისი მამა-ბიძანი დაფაცურდნენ, რომ ეშველნათ რამე და დაეხ-სნათ ეგნატე ციმბირიდან.

მაშინ რუსეთს სათავეში მოექცა გენერალი ლორის-მელიქოვი, რომელმაც ცოტა არ იყო ლიბერალობა დაიწყო. იმის დროს ყირიმი-დან მოკიდებული პეტერბურგამდე სამგან მოაწყვეს რევოლიუციონე-რებმა მეფის მოკვლა. ამან შეაფიქრიანა სასახლე. ლორის-მელიქო-ვის რჩევით დაიწყეს სჯა-ბაასი საზოგადოების ჩარევაზე სახელმწი-ფო საქმეებში. ამისთანავე ახრით მიმართეს მეფეს ძმამ კონსტანტი-ნეზე და მინისტრმა ვალუევმა (ეს ლიტერატორობდა კიდეცა), მაგრამ ამ ახრს გაეწინააღმდეგა მემკვიდრე მეფისა ალექსანდრე მესამე, რო-მელიც ამტკიცებდა, რომ ამგვარი რეფორმა ეწინააღმდეგება რუსე-თის სახელმწიფოს წესწყობილებას, რომ კონსტიტუციის გამოცხადე-ბით უარესი აღელვება მოხდებაო. იმდენი ჰქნა, რომ თავისი ახრი გაიყვანა. ამას ხელი შეუწყო სასახლის აფეთქებამ, რომელიც მოაწ-ყო ცნობილმა მუშამ ხალტურინმა. ამ აფეთქებას მოჰყვა დაწესება უმაღლესი გამწესრიგებელი კომისიისა, რომლის სათავეში მოექცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფილი ხარკოვის გუბერნატორი ლორის-მელიქოვი, რომელიც
და მთელი რუსეთის სამხედრო-პოლიციური დიქტატორი იმ მიზნით,
რომ ჩაეტარა და ჩაეხრჩო რევოლიუციონური მოძრაობა. პირველივ-
ე ლორის-მელიქოვმა მიმართა მეცარს საშუალებას რევოლიუციის
წინააღმდეგ, თან ცბიერად ელაქუცებოდა ლიბერალებს, მათ წინაშე
მელაკუდობდა. უნდოდა მოეხიბლნა და აემხედრებინა რევოლიუციო-
ნერებთან საბრძოლველად. აი ამ მელაკუდა ლორის-მელიქოვის მიმარ
თეს პირადათ ეგნატე იოსელიანის მამამ და ბიძამ, როგორც ნაცნობ-
ებმა. მან სულგრძელობა გამოიჩინა და დაადაბრუნა სამშობლოში ეგნა-
ტე იოსელიანი, მიშა ყიფიანი და სხვებიც. ერთი ხელით ამისთანა
რამეს რომ შვებოდა, მეორეთი მუსრს აყლებდა რევოლიუციონერებსა.

ეგნატეს მაინც არ ასცდა ციმბირი: 1884 წ. თავი უკრეს უს-
ტკამეგორსკისკენ. რამდენიმე წლის შემდეგ, მგონი, ამნისტიის ძალით
დაადაბრუნეს ის, მიშა ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი, ივ. ჯაბადარი
და გიორგი ზდანოვიჩი. ციციშვილი და ჩიკოიძე ციმბირში დაიხოცა-
ნენ, რომლებიც ზემოთაც მოვიხსენიეთ.

მეორე ლიდერი ხალხისნური მოძრაობისა ჩვენში იყო მიხეილ
(მიშა) ყიფიანი. ის მოქმედობდა ჯერ იმერეთში, შემდეგ ქართლ-ში-
ქუთაისიდან 1876 წლის გაზაფხულზე გამოგზავნა ჩვენთან ქ. გორს იაგორ
იოსელიანი წერილებით ჩემთან და ვასო დეკანოზიშვილთან. ვასომ
გიგო ავალიშვილის პირით შემატყობინა, ჩამოდი ჩემთან, ქუთაისი-
დან მოსასაგან „ჩვენი კაცი" მოვიდაო.

ჩავედი. ამხანაგები თავმოყრილნი იყვნენ. ვასო ძალიან დაკვი-
ვებული პიროვნება იყო, დიდი ფსიხოლოგი, ძნელად გამოეპარებო-
და ადამიანის სულის მოძრაობა.

— რომ არ ვენდოთ მიშას, არ შეიძლება,— დაიწყო ვასომ.
მაგრამ იმის გამოგზავნილ კაცზე როგორღაც გული არ მიმწევსო. მი-
ნამ თქვენ გიხმობდით, მჭონდა მასთან, იაგორა იოსელიანთან, ლა-
პარაკი. მე მაგას არავითარი ინტელიგენტობისა არა შევატყე რა, აგ-
რე რიგათ აოც ჩვენი საქმისა გაეგება რამე; იქნება, სხვა უნარი აქვს
რისამ, მაგალითად შიკრიკობა, ანბის მიტან-მოტანა, იმერული ეშმა-
კობა და ხრიკები და ამიტომ თუ გზავნის მაგას მიშა... მე როგორ-
ღაც გული მეთანღრება, ეგ კაცი ჯაშუში არ გამოდგეს. ჩვენ მაინც
ეგრე რიგად გულს ნუ გადვუშლით.

ეს წინასწარმეტყველება ვასოსი მართალი გამოდგა: იაგორა
იოსელიანი, „ჩვენი კაცი", მთავრობის ჯაშუში აღმოჩნდა. მიშა ყი-
ფიანი შე და ვასოს გვწერდა, ეცადეთ, ყველა ამხანაგებს შეატყობი-
ნოთ ამ კაცის პირით, რომ ამ ზაფხულს ქართლში, სოფ. ტყვიავში,
ფავლენიშვილიანთას, ან იმერეთში ფურცელაძიანსა კონფერენცია
მოვაწყოთ და შევიმუშაოთ გეგმა ჩვენის მუშაობისა. ამისთან გვწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: დავათავეთ, თუ არა ჩვენ, ნაკისრი წიგნაკების თარგმნა, ან რომორ არის სტამბის საქმე სოფ. ტყვიავში, რომლის მოწყობა იკისრა მღვდელმა ვასილ სამადაშვილმაო. მე და ვასოს დაკისრებული გვქონდა თარგმნა „ოთხი ძმის ზღაპრისა", „ზღაპარი კაპეიკზე", „შიმშილი სამარაში". (Самарский голодъ). „ცბიერი მექანიკა".

მღვდელი სამადაშვილი სტამბის ხელობის მცოდნე იყო. ტფილისის სემენარიაში სწავლის დროს ის, მე და პოეტი სოსიკო ბაქრაძე დავიარებოდით ანტონ ფურცელაძესთან „მნათობის" რედაქციაში, იქვე სტამბა იყო. აქ სამადაშვილმა შეისწავლა ასოთ-აწყობობა, ბეჭდვა და აკინძვა, ჩვენც ვსწავლობდით, მე განსაკუთრებით შევისწავლე კორექტორობა. აი ამ სამადაშვილმა, რომელიც მაშინ სოფ. ტყვიავში მღვდლობდა, მოაწყო პატარა სტამბა თავის სახლში, რომელიც მდებარეობდა სოფლის გარე, მდ. პატარა-ლიახვის პირად; გვქონდა ასოები და ერთი ხელით სამუშავებელი საბეჭდავი დაზგა, თავისი მოწყობილობით.

ჩვენ „ჩვენს კაცს" გულტხვად გაუმასპინძლდით. ვასო დეკანოზიშვილი საუცხოვო დამკვრელი იყო სალამურზე და უფრო მშვენიერი მთქმელი ბესიკის სიმღერებისა. ჩვენ ქართველურად ღვინით შევეხურდით: ვასომ თვისი სალამური აალაპარაკა; სიმღერას, კლამბურებს, ვასოს სიტყვა-მოსწრებულებას და ოხუნჯობას საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღეს იაგორა იოსელიანს დავულოცეთ გზა ტფილისისაკენ; მე წერილები მივწერე ჩემს მეგობრებს და სკოლის ამხანაგებს სოსიკო ბაქრაძეს და გიორგი უთურგაულს, რათა „ჩვენი კაცისათვის" დახმარება აღმოეჩინათ.

ტფილისიდან ამოვლაზე „ჩვენმა კაცმა" ამხანაგების ამბავი მოგვიტანა. ჩავიდა ქუთაისს ყიფიანთან, რომლისაგანაც საჩქაროდ მოგვივიდა ამბავი, რომ კონფერენცია დანიშნულია მარიამობისთვის 6 ს, ფერცელაძეზე დღეს სოფ. მეორეში ქალხოსრო და დათიკო ფერცელაძესთან და იქ გამოვცხადდით. მე იმ ზაფხულს სოფ. მეჯვრისხევში ვიყავი. სწორედ ფერცელაძეზე საღამოს სოფ. მეჯვრისხევში სახალხო წარმოდგენა გვქონდა დანიშნული მე და მასწავლებელს მოსე ნათაძეს. სკოლის დარბაზში. მე და ნათაძემ ფილიალი ადრე დავაპირეთ ცხენებით წასვლა კონფერენციაზე და უკანვე დაბრუნება წარმოდგენისათვის. ავიდ-დავიღეთ, ვიფიქრეთ, ვაი თუ დღეს კონფერენცია ვერ გათავდეს, წარმოდგენა მოგვიცდეს და ხალხი მოტყუილებული დაგვრჩეს, გადავფიქრეთ წასვლა. მერე საინტერესო საღამო იყო. მე უნდა წამეკითხა ხალხური სცენა „პოსრედნიკთან", რომელშიაც გამოყენებულია სისაძაგლე მომრიგებელ შუამავლისა და მისგან გლეხების შეწუხება. ამას გარდა უნდა მეამბნა ხალხისათვის სოფელ კვარ-

ხელებისაგან ბატონობის მოკვლა ნუკრაძის ხელით. გლეხობას ძალიან ეინტერესებოდა ამ ამბის მოსმენა.

სოფ. მერეთში კონფერენცია შესდგა. სჯა-ბაასის დროს იაგორა იოსელიანი ხშირად გამორბოდა თურმე და უბის წიგნში იწერდა ნალაპარაკევს. როცა ქაიხოსროო ფურცელაძემ შენიშნა ეს გარემოება, იოსელიანმა უპასუხა, რომ კუში აქვს მოშლილი და ეს აიძულებს გარედ გასვლასა.

— შე კაი კაცო, უთხრა ექიმმა ფურცელაძემ: მეტყოდი, აგერ სახლში მაქვს სოფლელებისათვის პატარა აფთიქაო.

იოსელიანს ერთი შეკდომა მოუვიდა ჯაშუშობაში. წერილების ორგანალები კი არ წარუდგინა ჟანდარმთა გამგეობას, მხოლოდ მათი ასლები. ამ გზრემოებამ ძალიან გვიშველა.

4.

ჩხრეკა და დაპატიმრება.

ორ გაუვლია ორ-სამ კვირას კონფერენციის შემდეგ, რომ „ჩვენი კაცის“ ჯაშუშობა გამოაშკარავდა: ენკენისთვეში, 1876 წ. უცებ ყველგან მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება. გორში გაჩნდა ჟანდარმის ოფიცერი ბრისტოფოროვი. ამაზე ცნობა გვქონდა და სიფრთხილის ზომები მივიღეთ: გადავმალეთ აკრძალული წიგნები, შევატყობინეთ ტყვიავს, მერეთს. გორში გამიშინჯეს სახლი მე, კერესელიძეს, ხიმშიაშვილს, ექიმს ფურცელაძეს, ჟანდარმოზშვილს. მე ჟანდარმის უნტერ-ოფიცერმა გაკვეთილიდან წამიყვანა. დაწიოკდენ მოწაფეები, მთელი კლასი უკან გამომედევნა, ჟანდარმს კალთებზე ეკიდებოდენ. სახლში მარტო სამს მოგვასწრეს. ვასო ჟანდარმოზშვილი სოფელში იყო. ხიმშიაშვილიც სამსახურის გამო მაზრაში იყო წასული.

კერესელიძე ადვილად გადარჩა, რადგან მიხეილ ყიფიანი ჯერ მას არ იცნობდა და მიწერ-მოწერა არა ჰქონდა. როტმისტრმა დამიწყო დაკითხვა საღამოს ექვსი საათიდან ღამის თორმეტამდე. ჩამაცივდა თარგმანების შესახებ, ტყვიავის სტამბაში დაბეჭდეთ, თუ ხელთნაწერად გაავრცელეთო.

— მე არავითარი აკრძალული წიგნი არ მითარგმნია, არც სტამბა გვქონია ტყვიავში. ეს ყველა სულ ტყუილია, ჯაშუშის შეთხზულია. იაშ. რად გწერს ყიფიანი?

— ყიფიანს ჩემთვის არა მოუწერია რა; აბა მიჩვენეთ ყიფიანის წერილი? არა ეს იმის ხელი არ არის; მიჩვენეთ დედანი.

ჟანდარმმა ულვაშებში ჩაიცინა; ჩემი პასუხი არ ეპიტნავა.

— მაშ, არც სოსიკო ბაქრაძისა და გიორგი უთურგაულისათვის მიგიწერია წერილი?—არა, თქვენს აგენტს მოუტყუილებიხართ. აბა მიჩვენეთ ჩემი ხელთნაწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მაპროწიალა ღამის თორმეტ საათამდე. ბოლოს გამომეგ[illegible]
და, რომ მე იგი დამატყვევებს და ციხეში ამაღამვე გამგზავნის. ქვეშ-
ქვეშიდან დამიწყო ზვერვა, ალბად ფიქრობდა, როგორ იმოქმედებდა
ჩემზე მისი მუქარა.

— ეგ თქვენი უფლებაა, მე რა შემიძლიან,— დინჯათ უპასუხე.—
მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ უსამართლოდ მიჭერთ; ჩემის აზრით
თქვენ ჩემი ბრალდება ფაქტიურად სრულიადაც ვერ დაამტკიცეთ.
ჰკითხეთ მაზრის უფროსს, პოლკოვნიკ რევაზ ერისთავს, როგორი
მიმართულებისა ვარ; როდესმე შეუნიშნივარ რაშიმე?

ხრისტოფოროვი გაჩუმდა, პაპიროზს მიმართა, ზრდილობიანათ
მითავაზა. მადლობა შევსწირე, არ ვეწევი მეთქი.

ვიყავით ერთად გაჩუმებული. იგი ჩემ-ჩუმად თვალს მავლებდა,
მეც არხეინად თითებს მაგიდაზე ვაოთამაშებდი. ბოლოს მითხრა:

— წამოაყენე თავდები ორმოცდაათი თუმანისა, გაგიშვებ.

დერეფანში მიცდიდა ჩემი დიდადშვილი გიორგი თოიძე, გო-
რელი მოქალაქე, მისი თავდების ქვეშ ტყვეობიდან ვიხსენ თავი. სა-
ხლიდან წაღებული წიგნები: დობროლიუბოვი, პისარევი, ლუი ბლა-
ნის საფრანგეთის რევოლიუცია, ტომი I „სოვრომენიკის“ ნომრე-
ბი არ დამიბრუნა, თუმცა ბევრი ვემუდარე.

მეორე დილით ადრიანად შემოვიდა ჩემთან ვასო დეკანოზი-
შვილი, ღამე ჩამოსულიყო და გაეგო ჩემი ამბავი. გადამკოცნა, იამა,
რომ ადვილად გადავრჩენივარ „ლურჯოსნებსა“,—ასე ვეძახდით ჟან-
დარმებსა. მე ვურჩიე, დაუყოვნებლივ წასულიყო გორიდან, თორემ
შეიძლება დაგიჭირონ-მეთქი, ერთობ ხშირად გკითხულობს ჟანდარ-
მი და თავის შეფარება სჯობიან-მეთქი. ის იმ დღესვე წავიდა ძმას-
თან ახალციხეს. გორიდამ ბორჯომამდე ფეხით ავიდა; გზა-გზა თავს
იფარავდა მეგობრებთან, ახალციხის მაზრაში ქართველ ბეგებთან,
რომელთაც მეგობრობდა მისი ძმა, ოთხ თვეს შეაფარა თავი.

ჩემი გაჩხრეკის მეორე დღეს ჩემ კარ წინ ჩამოატარეს ჩაფრებმა
მღვდელი ვასილ სამადაშვილი და დათიკო ფურცელაძე, რომლებიც
პირდაპირ გაისტუმრეს ტფილისს. ფურცელაძეს ბრალდებოდა რუ-
სეთში უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანიზაციაში მონაწილეობის
მიღება ქიქოძესთან ერთად; ქიქოძეს, რომელიც „მუტრუკეს“ ფსევ-
დონიმით იყო ცნობილი, ძალიან დაეძებდნენ, მაგრამ მან ოსმალეთს
შეაფარა თავი და რუს-ოსმალოს ომის დროს ოსმალთა ჯარში სანი-
ტარად ირიცხებოდა თურმე.

ვასილ სამადაშვილს სტამბა ვერ უპოვეს, თუმცა ძალიან გუ-
ლიანად ეძებნათ, მამა ვასილს დაზგა ეკლესიის ტრაპეზში დაეშალნა
და აბა ჟანდარმი რას მოიფიქრებდა, თუ ღვთის სახლს მაშინ რევო-
ლიუციის საწყობად გახდიდა ვინმე. სახლში უპოვეს მხოლოდ რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე ასო. აქედან დარწმუნდნენ, რომ სტამბა უეჭველში იყო. ბალანინმა დაშვილმა აუხსნა, რომ ასოები გამოჰყვა მას ჟურნალ „ზნეობის" სტამბიდან და სახსოვრად მქონდა შენახულიო. მაგრამ ვინ დაუჯერა.

ჩხრეკა და დაჭერა მთელს საქართველოში იყო. საქმეში ჩაბმული იყო მხოლოდ ინტელიგენცია, თავად-აზნაურების მოსწავლე შვილები. ქუთაისში დაიჭირეს მიხეილ ყიფიანი, ტფილისში ეგნატე იოსელიანი. ქუთაისში იმ დროს ყიფიანი გაეცნო აფხაზეთის მთავრის მიხეილის ძმის ალექსანდრეს ქალიშვილებს—ელისაბეტს (ლიზას) და მარიამს. ალექსანდრეს შვილები რუსის მეფის მადლიერნი არ იყვნენ. ისინი აჰყარეს აფხაზეთიდან და გორის მაზრის სოფ. ხოვლეს გადმოასახლეს. ლიზას შეუყვარდა მიშა ყიფიანი და ქუთაისის ციხეში დაიწერა მასზე ჯვარი.

იმერეთში რევოლიუციონერები თავს იყრიდნენ ხოლმე ვახტანგ დავითის ძე გურიელთან, ეგრედ წოდებულს მალთაყვაში, სადაც ჰქონდა სახლი; აქედან ავრცელებდნენ წიგნებს, აქ ინახავდა ვახტანგი გამოქცეულ რევოლიუციონერებსა. მალთაყვა ძალიან სტრატეგიული ადგილია, მდებარეობს მდინარე კაპარჩის და პალიასტომის ტბის პირად. ერთის მხრიდან მდინარე, მეორედან ტბა. თუ ვახტანგს ტბიდან შემოეპარებოდა ვინმე, გაიყვანდა მდინარით ტყეში, თუ მდინარის მხრიდან—ტბაში გაუშვებდა ნავით.

ამ ჩხრეკის დროს ჩამოთვლილთ გარდა პეტერბურგში დააპატიმრეს ტფილისიდან მიწოდებული ცნობით სტუდენტი—ტყვიაფული სიმონ ფავლენიშვილი, რომელიც ციხეში დაჭლექდა, ავადმყოფი გამოუშვეს და სახლში გარდაიცვალა.

5.

ჯაშუშის ძებნა.

ანდარმის პოლიციამ იაგორ იოსელიანი მიმალა; ბოლოს გამოვიდა მთხრობელი, რომ იგი ხან ქუთაისში, ხან ბათომში იმალება, ღამ-ღამე გამოდის ბილიარდის სათამაშოთო. იმის მოკვლა შეიძლება მხოლოდ საწამლავის საშუალებითაო. ვახტანგ გურიელმა მთელი იმერეთი გადააბრუნა და ვერსად ვერ მიაგნო იოსელიანის კვალსა, ბოლოს ის ვიღაც მთხრობელი დაჰპირებულიყო, საწამლავი მიშოვეთ, მე ვკისრულობ იმის მოკვლასო. ვახტანგს გაგონილი ჰქონდა მიშა ყიფიანისაგან, რომ ქართლის რევოლიუციონერებში ურეკეია ექიმი ფურცელაძე, სოფ. მერეთიდან. გურიელი ორი შეიარაღებული მარჯვე ბიჭით გაჩნდება სოფ. მერეთში. სახლში დახვდა მხოლოდ დედა ფურცელაძისა. შეიტყო თუ არა, შენი შვილის სანახავად მოვიდნენ იმერეთიდანო, დედამ ხელები გაასავსავა, ერთი შვილი ჯაშუშის წყალო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით დაიპირეს და ეხლა მეორის დაჭერაც მოუწადინიათო; გამოუცხადა, წადით, თვალით არავინ დამენახოთო.

გურიელი დაბრუნდა გორს, ეს იყო 1877 წ. თებერვალში. გორი ჯარებით იყო სავსე. რუსეთი ემზადებოდა ოსმალეთთან საბრძოლველად. საღამო ქამია. დიდ ქუჩაზე, რესტორანში ვართ შეყრილნი. სასტუმროდან კაცი მოვიდა ფურცელაძესთან და უთხრა, რომ ვახტანგ გურიელი სასტუმროშია და თქვენი ნახვა სურსო. ჩვენ ვიცოდით, რომ ვახტანგი ხალხისნურ მოძრაობაში ერია, ვიცოდით იგიც გაჩხრიკეს და ვითომ ზის კიდეც ციხეში. ექვის თვალით შევხედეთ ამ ამბავს. ერთმა ოფიცერთაგანმა გვითხრა, მე ვიცნობ გურიელს, წავალ და შეგიტყობინებო. მოვიდა ოფიცერი გოცირიძე, გვითხრა. ჩამოაგავს ვახტანგს, რომელიც მე ამ ორი წლის წინად ოზურგეთში ვნახეო, მაგრამ ძალიან ცვლილებას ვამჩნევ, დღევანდელი ვახტანგი დევს ჭაგს, დაჯოშილა, დავაკაცებულა, ამან დამაეჭვაო, ამ ლაპარაკს ჩვენნა ამხანაგმა კოლა შარვაშიძემ მოჰკრა ყური, წავიდეთ ესე ერთობით; მე კარგად ვიცნობ, თუ ის არ აღმოჩნდება, წიწილასავით გავკლეჯოთო. უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ექიმი ფურცელაძე ძალიან მძლავრი ვაჟკაცი იყო და ერთობ გამბედავი: ყველანიც: ილიკო მაჭავარიანი, ილიკო ჯავახიშვილი, ვანო ხიმშიაშვილი, ერთობრივ ვაჟკაცები იყვნენ. ჩავედით სასტუმროში. ოთახის კარებთან, აქეთ-იქით ორი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ჩაქურად გამოწყობილი გურული იდგა. ოთახში შევიდნენ შარვაშიძე და ფურცელაძე. შარვაშიძემ და გურიელმა იცნეს ერთმანეთი; უამბო მისვლის მიზანი და განაზრახვა, თუ რა სწადდათ, თუ იგი ნამდვილი ვახტანგი არ აღმოჩნდებოდა.

— რეიზა ამოგვწყვეტდა ი წუნწკალა, ცალთვალა იოსელიანი ამდენ ხალხსო... ამოდენე ხალხი ჩააჯინეს ციხეებში ი?ის წყალობით და კინაღამ ჩვენც ერთმანეთს შეგვატაკაო.

გამოირკვა ვინაობა, ავუსრულეთ სურვილი: ექიმმა ფურცელაძემ თვით დაუმზადა სამხედრო აფთექაში საწამლავი. იაგორა იოსელიანი მაინც ვერ იპოვეს. ოცი წლის შემდეგ, როცა ქ. ფოთში ემსახურობდი, იაგორა იოსელიანს შეეხვედი ათანასე ხოშტარიის სახლში სადილზე. მე აზრს ვეღარ მოველ: გორში იგი ვნახე შავ თმა-წვერიანი, დღეს კი მთლად გათეთრებული, მხოლოდ ცალთვალობა ამხელდა მისს იაგორა იოსელიანობას. ამერია სული და გული, ღელვამ ამიტაცა, გავითვალისწინე მისი ჯაშუშობით ციხეში დახოცილი საყვარელი, ძვირფასი ამხანაგები—რომან ფავლენიშვილი, ვასო დეკანოზიშვილი, გაცამბირება ეკატე ოსელიანისა და მიშო ყიფიანისა, დანარჩენების ციხეში ჯდომა. ვეღარ მოვითმინე, წამოვდექ ფეხზე და ხმის კანკალით ვუთხარ იოსელიანს:

— თქვენ იაგორა იოსელიანი ხართ? ველარ მიცან? მე კი გიცანი.

მან უარი მტკიცა: მე მას მოვაგონე გორის ამბები, იმერეთის კონფერენცია, ჩვენი დატყვევება, დახოცილი ამხანაგები, გაციმბირებულები.

— თავალზე გიცან,—არ ვეშვებოდი მე,—რომ ჯაშუში იაგორა ხარ.

იგი გაწითლდა, სახე აელეწა, აღმური ავარდა.

— გამოტყდი რალა? შევუყვირე.

იოსელიანმა წამოიწია ასადგომათ. მე ღვინით სავსე ჭიქა სახეში შევასხი, წავწვდი თმაში და სუფრაზე ვუცეცქვე თავი.

შეიქნა სახლში ალიაქოთი. ყველა შეწუხდა. მე ვუამბე ჩვენი თავგადასავალი და იოსელიანის ჯაშუშობის მსხვერპლების ამბავი.

იგი გაიპარა ფოთიდან და რამდენიმე თვის შემდეგ ბათომში ჩავდა.

6.

შიო დავითაშვილი.

თვალსაჩინო შემატება იყო კერძოდ გორისათვის და საზოგადოთ მთელი მოძრაობისათვის ქართლში შიო დავითაშვილის მოსვლა. იგი ჯერ ხანად ტფილისში მუშაობდა, მუშაობდა მუყაითად, კვალდაჩნევით. სასულიერო სემინარიაში იგი ძალიან წყნარი და შშვიდობიანი ყმაწვილი იყო, ღვთის მოყვარე, „ცერკოვნიკად" (ეკლესიის მსახურად) ჰყავდათ სემინარიის ეკლესიაში. მაგრამ ნიშა გზა არ დაჰკარგა: იგი მოყვა ეგნატე იოსელიანის წრეში, გაიწვრთნა, გაიწაფა და შეუდგა ხალხოსნურ მოძრაობას. იგი იყო მთელ ქართლ-კახეთში ალბა ლეგალური ლიტერატურის გამავრცელებელი. სად იყო და სად არა, მომიდგებოდა გორში ყოველ კვირა „ჩვენი შიო" წერნაკებით აესებული დიდი ტომრით. მოძრაობა შეიჭრა ბურ ეუების სახლებშიც. მდიდარი პავლე საფაროვის შვილები—არშაკა, ოლღა და ვარო გარევოლიუციოდნენ. ოლღა დაიჭირეს და ვარო შიო დავითაშვილმა გამოაპარა გორისაკენ; ვარო საფაროვისა, შემდეგ სტეპკო ჭრელაშვილის ცოლი, სულ არ იქნებოდა 14—15 წლისა. შიომ აიყვანა იგი დათიკო ფურცელაძესთან; შიომ ოსური ენა კარგათ იცოდა, ჩრდილო ოსეთში იყო გაზრდილი ძმებთან, რომელნიც იქ მსახურებდნენ; გადაიყვანა მთაზე დიდი გაჭირვებით და ჩაიყვანა ვლადიკავკაზში.

დავითაშვილმა ტფილისში წიგნის კაზმა შეისწავლა, ამითი ირჩენდა თავსა და თან საქმეს აკეთებდა. ტფილისში რაკი აღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედგომინებოდა, გორს მოატანა. აქ გორის საოსტატო სემინარიაში „ეზმაობის ადგილი იშოვნა; შიო დატრიალდა. მოწაფეებში, ნიადაგი ნაყოფიერი აღმოეჩნდა. მაგრამ მალე შეუტყეს და იძულებული გახდა ტფილისს წასულიყო. 1877 წ. ისევ დაბრუნდა გორში. პირველ ხანებში გორში დიდი გაჭირვება გამოიარა, ამხანაგები ვეშველოდით, რაც კი შეგვეძლო. გაჭირვებას სრულიადაც არ იმჩნევდა, სიცილად არა ყოფნიდა თავისი გაჭირვება. ჩვენ რა სიბრალულის თვალით ვუცქეროდით, შიო სიცილით შეგვხვდებოდა და ჩვენც იმაზე დარდი გულიდან გადაგვეყრებოდა. თუ ჩვენ არ მივხედავდით იმის ცოლ-შვილს, იგი შემწეობისათვის არავის შეაწუხებდა; იგი იყო ამისთან დიდი კონსპერატორი; საიდუმლოებას არავის გაუხიარებდა, მინამ კარგათ არ ასწონ-დასწონიდა, ვერავინ ვერ ჩაიპერდა მას ხელში, ამიტომ იყო, რომ გვიანობამდე თავისუფლად მოქმედობდა, მხოლოდ 1884 წ. დაიპირეს მაშო ყიფიანთან ერთად და მეტეხის ციხეში გაგზავნეს. მაშინ იგი გორის ქალაქის თვითმართველობის მდივნად იყო და სამაგალითოდ ასრულებდა თანამდებობას. ამასთან თურმე მსახურებდა მწერლად რუსი რევოლიუციონერი. არავინ არ ვიცოდით მისი გორში ყოფნა, მანამ არ გაიპარა. ასეთი ფრთხილი იყო შიო დავითაშვილი. ეკმი ქაიხოსრო ფურცელაძე მას ეზმაკის შექმნილს ეძახდა.

ხალხსნული მოძრაობა, რუსული „ნაროდნიკობა", თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. ხალხი ჩვენ არ გვეკარებდა, განსაკუთრებით გლეხობა. ხალხში გავდიოდით ვასო დეკანოზიშვილი, შიო დავითაშვილი და ზაფხულობით მეც. ქართლ-კახელი გლეხი ერთობ გულჩათხრობილია. ბატონყმობის უღელმა მთლად დაუკარგა ხალხს ყველაფრის იმედი, სასოება აღარავიზედ არ ჰქონდა. როგორც კედელს ცერცვი, ისე ხვდებოდა ხალხს ჩვენი სიტყვა.

ერთხელ ჩემს სოფელში, რომლის მცხოვრებლებს ხუთი თითი-ვით ვიცნობდით, მათთან გავიზარდე, ასე გასინჯეთ. ჩემი მოთხრობებს გმირებიც კი, რომელთაც იცოდნენ ამ მოთხრობის შინაარსი,— შეეკარე ყველანი, მიტინგი გავმართე, გავუბი ლაპარაკი, რომ მიწა მშრომელი გლეხისაა, მიწის მუშისაა, რომ მეფემ გლეხი უმიწოთ გაანთავისუფლა და ამიტომ ისინი ისევ ბატონყმობას განიცდიან, უფრო უარეს ყოფაში ჩაცვივდნენ, რომ მეფემ მხოლოდ ძველი გადუგდო მათ, როგორც მაჩხუბარ ძაღლებსა; რომ ამისთანა მთავრობა დასაგმობია, მას ძალა-უფლება უნდა წაერთვას და ხალხს გადაეცეს.

გლეხებმა ამაზე ასე მიპასუხეს:

ეჰეი, ხეწიფის ორგულობა როგორ შეიძლება, შენი პირიმეღვთისაგან დაყენებული კაცია; ბატონყმობა გუშინ იმან არ გადააგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო, მაშ ვინა? მართალია მიწა არა გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ, როგორც იქნება შევიყიდოთ... ნწ! არა, ძმაო, ხელწიფეს ვერ ეუღალატებთ... ეიბე რგორ იქნება...

რრდესაც ჩვენ ვუამბობდით „ოთხი ძმის ზღაპრის", „ცნობიერი მექანიკის" შინაარსს, ან ვუამბობდით ბატონების უდიერებას, ეგრედ წოდებულს „პირველ ღამის" ჩვეულებას: ახლად მოყვანილი პატარძალი უნდა ჯერ ბატონს ეგემნა. დიამბეგების დროის შეწუხებაზე, დღევანდელ ბოქაულებზე, მეფის სხვადასხვა მოხელეთაგან ხალხის შეწუხებაზე, ვუამბობდით, რომ მეფეიდან დაწყობილი უკანასკნელ ჩაფრამდე, მუშა-გლეხის კისერზედ სხედან, მაშინ ჩაფიქრდებოდნენ.

— მართალს ამბობენ, ხალხო, მართალს.

— მართალია, მართალია... გაისმოდა ყოველი მხრიდან.

მაგრამ როცა საქმე მიდგებოდა ასრულებაზე, რაიმე ნაბიჯის გადადგმაზე, ხელებს ასავსავებდნენ.

7.

ფრონტის შეცვლა.

რაკი ხალხში გასვლით ვერ გავაწყეთ რა, ჩვენი მოქმედების ფრონტი და ტაქტიკა შეცვალეთ, გადავწყვიტეთ, მასწავლებლებს გვემოქმედნა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ხელოსნებზე, გვემართნა იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები. ამ მიზნით კიდევაც ქ. გორში დავაარსეთ მოყვარულთა წრე; წარმოდგენები იმართებოდა სოფლებშიაც. მონაწილეობას იღებდნენ ყველა ამხანაგები, საპასუხისმგებლო როლებს თამაშობდა შიო დავითაშვილი; მე ვკითხულობდი რაფიელ ერთისთავის და ჩემს საკუთარს სცენებს ხალხის ცხოვრებიდან. რაფიელის სცენებს თანამედროვე მოთხოვნილების შინაარსი მიეეცი და ისე ვკითხულობდი.

საკვეხურად არ ჩამომერთმევა ესთქვა, რომ ხალხური სცენების კითხვა პირველად მე შევიტანე სცენაზე. ვკითხულობდი ჩემს საკუთარს სცენებს; სცენებში გამოხატული იყო ცხადათ თუ თვალსაჩინოთ, მუშა-გლეხის ჯირვარამი, ნაბატონარისაგან, სხვადასხვა მოხელეთაგან მიყენებული უჯიათობა, უსამართლობა, შეწუხება. სცენების საკითხავად საგანგებოდ მქონდა გლეხური ტანისამოსი, ვკითხულობდი ნამდვილი გლეხური კოლოთი, ხამი, უცნობი ყაკი ნამდვილ გლეხში ვერ შარჩევდა. ამ სცენებს დიდი გავლენა ჰქონდა სოფლად.

მასწავლებლები შევუდექით სკოლაში ახალ სიოს შეტანას; უფროსს კლასებში, სადაც უკვე 14—15 წლის ყმაწვილები ისხდნენ, შეგვქონდა რევოლიუციონური შინაარსის ნაწერები, მოთხრობები ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველათ მე, როგორც ქართული ენის მასწავლებელს. გზა გახსნილი მქონდა. აშკარად შემქონდა მესამესა და მეოთხეში, განსაკუთრებით მეოთხეში ჩვენთა მწერალ-პოეტთა მოთხრობები, პატრიოტული ლექსები: იმისთანა ლექსები, როგორც „მუშა“ ილიასი, „მუშა ბოქულაძე“ გრ. ორბელიანისა,—შემთხვევას მაძლევდნენ მოწაფეთა წინაშე გადამეშალა მუშა-გლეხის ყოფა-მდგომარეობა; ვაცნობდი ქართული მწერლობის და ენის დევნა-შეეფწროებას მონარქიული რეჟიმისაგან, ეუკითხავდი შესანიშნავ ისტორიულ ამბებს, რომელსაც მე თვით საგანგებოდ ვამზადებდი; ბავშვებს შეუყვარდათ ქართული ისტორია, სამშობლო, დედა-ენა, ქართული მწერლობა; გაიღვიძა მათში მიდუნებულმა ქართულმა სულმა. უფრო უმჯობესად წავიდა საქმე, როცა მეოთხეში შემოვიღე ხელთნაწერი ჟურნალი; ვაწერინებდი ზღაპრებს, ხალხურ ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს, ცოუმოოწმუნებებს, ხალხურ ჩვეულებებს, მაგ. დღეობის (ხატობის) აღწერებს. ისე დახელოვდნენ, რომ მოთხრობებსაც კი მიწერდნენ. მაგ. როგორც კობა ცინცაძე (დღეს უკვე ცნობილი ბელეტრისტი ია ეკალაძე), რომელმაც პირველი გამოცემა თავის მოთხრობებისა მე მიძღვნა, როგორც თვის მასწავლებელს, შიო ჩიტაძე, დიდათ ნიჭიერი მოწაფე, ნილა კასრაძე, მშვენიერი ადამიანი, განვითარებული, მომავალი ქართველი ფილოსოფოსი, საბრალო,—სტუდენტობაში გარდაიცვალა, დათიკო დავითაშვილი, რომელიც რედაქტორობდა მეოთხეში ჟურნალსა, თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ ამისთანა მიმართულებით გორის სასულიერო სასწავლებელმა თვალსაჩინო ლიტერატურული მოღვაწენი და სოციალ-რევოლიუციონერები მისცა სამშობლოს, მაგ. დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ია ეკალაძე, შიო ჩიტაძე, მისი ძმა გოლა ჩიტაძე, ძმანი კეცხოველები—სანდრო, ნიკო და ლადო, სოსო ჯუღაშვილი (დღეევანდელი სტალინი), იოსებ ლაღიაშვილი, სეიბინარიის რეტორის ჩუდეეკის მკვლელი, მიშა დავითაშვილი, შიო დავითაშვილის ძმისწული, კორნილი კასრაძე, ცნობილი ტეროროისტი და სხვ. და სხვ. მე ამითი იმის თქმა არ მინდა, რომ ოგენი გორის სასწავლებლიდან მზა-მზარეულნი გამოვიდნენ. არა, იმათ ამ სასწავლებელში ჩაესახათ სიყვარული ძმობისა და ერთობისა, სიყვარული სიმართლისა, უკვე სიჭაბუკეში შესულს ყმაწვილებს ეღვიძებოდათ მამულიშვილური გრძნობა. მეფის რეჟიმისაგან ხალხში ჩაქრობილი, გრძნობა უსამართლობისა, გრძნობა უსამართლობასთან ბრძოლისა, და აქედან ერთი ნაბიჯიღია რევოლიუციონურ გრძნობამდე.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, „ნაროდნიკობა“, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ჯერ ინტელიგენციას მოედო, მერე გადავიდა სტუდენტობაზე. ხალხში კი ეგრე რიგად ვერ მოიკიდა ფეხი. ეს მოძრაობა უტოპიური გამოდგა, მშვიდობიანი გზით რევოლიუცია ვის გაუგონია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვცდილობდით ხალხი პირდაპირ გადაგვესკუპებინა, კაპიტალისტურის ხანის გაუვლელად, სოციალიზმში. ჩვენ გვეგონა, ხალხს ერთს რომ დავუწრუპუნებდით, მაშინვე ანაზდეულათ გასოციალისტდებოდნენ. ეს შეუძლებელი გახდა და ზოგიერთებმა სხვა გზით დავიწყეთ მუშაობა, ფრონტი შევცვალეთ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

8.

გორის ციხეში.

რუსეთში მომხდარ ყოველ ტერორისტულ აქტს ჩვენშიაც ჰქონდა გამოძახილი. იქ რომ ვისმეს ჩაჰკლავდნენ, აქ ჩვენ ციხეში გვიკრავდნენ ხოლმე თავსა.

1878 წელს ზაფხულში, მგონი აგვისტოში, სერგი კრაჭჩინსკიმ—სტეპნიაკმა პეტერბურგში მოკლა ხანჯლით, სეირნობის დროს, დილით, ჟანდარმთა შეფი, გენერალი მეზენცოვი. მოკვდა მეზენცოვი, მაგრამ მისი სიკვდილის ნალმა ჩვენც გვიწია: ვინც კი 1876 წ. დაგვშინჯეს, ყველას ციხეში გვიკრეს თავი. ჩემი მდგომარეობა უკიდურესი იყო: მასწავლებლობისგან დამითხოვდნენ; ისე მომიხერხეს ამხანაგებმა საქმე, რომ მე ვითომ ავად ვარ რევმატიზმით და საწამლებლად მივდივარ ტფილისში, აბანოებში ვანების მისაღებად; ექიმმა საკაკაშვილმა მოწმობა მომცა და სასწავლებელმა შვებულება. მაზრის უფროსი ერისთავი მადლიანი კაცი იყო, მიმიწერა წერილი ციხის უფროსს ზაზა ყიფიანთან, რომ კანცელარიის ოთახში მოვეთავსებინე. ყიფიანს მეც კარგათ ვიცნობდი.

საღამოთი მივედი ციხეში მაზრის უფროსის მიწერილობით და წერილით, ყიფიანმა გაიოცა ჩემი ამბავი. დამიწყო ქადაგება, რომ აგალეგაზდები გადირიენით, რუსთ ხელმწიფესი მთელ დუნიას ეშინიან, თქვენ რა ისეთები გამოხვედით, რომ გადაადგოთ ტახტიდანო. არ გაუვლია ნახევარ საათს ამ ჩვენ ლაპარაკში, რომ ციხეში მოიყვანეს ჩემი ამხანაგები კოტე ყიფიანი და გიგო ავალიშვილი.

ზაზა ყიფიანი, ციხის უფროსი, სულ გადირია, დაიწყო ხელების შლა და ბოლთა ოთახში.

— ბიჭო, კოტე, შენცა?.. ჰაა?.. დიდი დიმიტრის შვილი...

— რა ვუყოთ ბიძა ჩემო. დიდი დიმიტრი უფრო ჩემზე ადრე არ იჯდა ციხეში?.. ყიფიანთ მოსდგამთ...

— მიშა გაგზავნეს, შენ აქ ჩაგსვეს. რაო? გვარის შემარცხვენლები ხართ სწორედ, დაიწყო წუწუნი ზაზამ... კაცო, ესენი კიდევ-კიდევ, მაგრამ შენ რაღაზედაც დაგიჭირეს? შეეკითხა ზაზა გიგო ავალიშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგო გაუნათლებელი კაცი იყო, რუსული ძალიან ნაკლებათ იცოდა, ქართული კი გვარიანად; ენაწყალიანი, ოხუნჯი იყო, ამასთან ლაზათიანი, ლამაზი შეხედულობისა და უცხო რამ ტანისა. ზაზას შეკითხვაზე გიგომ ღიმილით უპასუხა.

— მე რაღა უკანონო კაცის შვილი ვარ. მამა ჩემი ერთ დროს ბორჯომის მებატონე იყო. აბა, მე დამიჭირეს, თორემ ეგენი ჩემთან რა მოსატოლი არიან.

მაინც?

— ნიორისათვის...

— რას ამბობ, კაცო? რა დროს ხუმრობაა, გამაგებინე.

მე და კოტე ყიფიანს სიცილი წაგვსკდა, ვიცოდით ნივრის ისტორია.

— როცა სახლს მიჩხრეკდნენ, დაიწყო გიგომ,—დედა ჩემი ერთს ყუთს დააჯდა; ჟანდარმის როტმისტრმა სახლი სულ გადააქოთიალა, ბოლოს მიადგა დედი ჩემის ყუთსა. ჟანდარმმა სთხოვა ამდგარიყო. დედამ ხელები გაასავსავა, მიაყოლა დამტვრეული რუსული; „ნიატუ, ნიატუ, ზდეს ნიატუო“, და მის დასარწმუნებლად თან გულმოდგინეთ პიჯვარს იწერდა. ჟანდარმს ეგონა: „ეს არის მივაგენ ხაზინასაო. წამოაყენეს დედა ჩემი ყუთიდან, ახადეს და ნივრით კი იყო გატენილი.“ —უი, დამიდგეს თვალები. ვაი, სირცხვილო, გაიძახოდა დედა-ჩემი,—რას იტყვის ეს უცხო კაციო... ასე ბატონო ზაზა, ჩემ სახლში ნივრის მეტი ვერა აღმოაჩინეს რა და რად გქონდა ნიორიო, აი, ამისათვის დამიჭირეს.

იქნებოდა ესე ღამის ათი საათი, ციხის კარს ეტლით ვიღაც მოადგა. შემოიყვანა ორმა ჟანდარმის უნტერ-ოფიცერმა დათიკო ფურცელაძე, რომელსაც რვა თვე ჰქონდა მისჯილი. ესეც ზაზას ნათესავი იყო: იგი დაიღრიჯა, ხელების შლით საჩქაროდ ბოლთაობა დაიწყო —ბიჭო, შვილო, მწარის ღიმილით შეგვათვალიერა ზაზამ ყველანი,—რა თქვენი საქმეა მეფის წინააღმდეგობა, იმ მეფისა, რომელმაც თათრობისაგან დაგვიხსნა... სხვა რა გინდათ? ე, ბატონ-ყმობაც ხომ გადაავდო. ჰაა...

ჩვენ ვსდუმდით.

ჩვენ სამნი—მე კოტე და გიგო ერთად მოგვათავსეს, ხოლო ფურცელაძე ტუსაღთა საზოგადო კამერაში. ჩვენი ოთახი იყო მყარალი, ნოტრო, კოტეს ერთი ფლაკონი ოდეკალონი ჰქონდა, ღამით ვაღვიძებდით, რომ სუნი მოეკლა. ჩვენ დაუკეტელ ოთახში ვისხედით, ზედამხედველი მოვისყიდეთ და ფურცელაძე დღე სულ ჩვენთან იყო, ერთად ვსადილ-ვახშმობდით. ჩვენ მთელი დღე წიგნების კითხვაში ვატარებდით დროსა. უნდა მოგახსენოთ, რომ ციხეში ძალიან შინაურულათ მოვეწყენით; მნახველი არ გვაკლდა, ამხანაგები ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვნახულობდნენ, შემოჰქონდათ ჯიბე-უბით არალეგალური წიგნაკები. ციხის უფროსი ზაზა ყიფიანი არ გვაწუხებდა. რაც კი რამ ხდებოდა გარეგ, ჩვენს წრეში ყოველივე ვიცოდით. აქ შევიტყვეთ, რომ ვასო დეკანოზიშვილი ციხეში ავად გამხდარა, ძმებს საავადმყოფოში მოუხერხებიათ გადაყვანა, რომ ეს დევი ვაკაცი ჭლექს შეუპყრია და ძმები ცდილობენ იმის გამოყვანას ციხიდან ავადმყოფობის გამო. აქვე შევიტყეთ სიმონ ფავლენიშვილი უკვე გადაცვლილიყო ტყვიავში ჭლექისაგან. შეგვაწუხა, მოგვშალა ამ საშინელმა ამბავმა. მაგრამ ტყვე ქმნილნი რას მოუშატებდით.

ტუსაღები ციხის სინესტისაგან მთლად მოწამლულნი იყვნენ, ყველა ცოვებ-ცხელებით იყვნენ ავად. მომეტებულ ნაწილს ტუსაღებისას ოსები შეადგენდნენ, ქურდ-ბაცაცობისა და ცარცვა-გლეჯისათვის იყვნენ დაპატიმრებულნი. ამ დროს ციხეში ცნობილი ყაჩაღის ტატო წულუკიძის ორი ამხანაგი იჯდა, დამორკილებულნი, გველესიანი და სარქისოვი, ორივე ლამაზნი, ნაკვთიანი, ბრგენი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდანი, განსაკუთრებით გველესიანი იპყრობდა ჩვენს ყურადღებას თვისი ნიჭით, სიმპატიური სახით და ზრდილობიანი ქცევით. არც ერთს მათგანს სისხლში ხელი არ ქონდათ გასვრილი. ტუსაღებმა რომ შეიტყვეს ჩვენი ვინაობა, ბრალდება, დაინტერესდნენ, დაგვიახლოვდნენ, განსაკუთრებით გველესიანი, რომელიც გულიანად გვიგდებდა ყურს. ჩვენ გადუშალეთ მათ ცხოვრების წიგნი, ხალხის ცხოვრება, მუშა-გლეხის გაჭირვება, მათი მოკეთეების, რომელთაც რევოლიუციონერებს, ბუნტოვჩიკებს ეძახიან, დევნა, გაციმბირება, დახრობა, მდიდრების პარპაში, „დაბალთ ჩაგვრა, მტაცებლობა და ხვეჭა“ და სხვ., ისინი სწრაფად შეიცვალნენ, თვალები ანათლეს. გველესიანი მთლად გამოიცვალა, ქართული წიგნები ვაჩუქეთ, დაეწაფა კითხვას. არსენას ლექი რომ წაიკითხა, გეითხრა:

— ჩვენ აი სწორედ არსენა ყაჩაღივით მდიდრებს ვართმევდით, ღარიბს ვაძლევდით. ტატო წულუკიძე ციხემ გააყაჩაღა; ციხის ტანჯვა წვალება გამოსულისას მდიდრებზე, მეფის მოხელეებზე გადაიტანა. ის დაუნდობელი იყო, თუ გუნებაზე არ იყო, ძუძუ მწოვარა ბავშსაც კი არ დაინდობდა... აბა ყაჩაღობას, ცარცვა-გლეჯვას, ეს თქვენი ხელობა არა სჯობიან!? ეეჰ, რა ვიცოდით, თუ ქვეყანაზე თქვენისთანებიც ყოფილან... ნეტავი მეც თქვენსავით ხალხის გულისათვის ვიყო დაჭერილი; კაი კაცობისათვის ციხე არაფრათ არაა მისამჩნევი, ამისათვის ჭირს გაუძლებს კაცი... ჩვენს სულსა და გულს არაფერი საზდო არა აქვს, მარტო კაცის სისხლი გვწყურიან, მგელივით სულ ტყეში ვიყურებით... ნეტავი თქვენა! ნეტავი, თქვენი სიცოცხლით, თქვენთან მომკლა, თქვენთან მამყოფა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ჩიოდა ახალგაზრდა კაცი, დუხჭირი ცხოვრებისგან გაყაჩაღებული.

დაავადებული, ციებისაგან დაზარმაცებული ტუსაღები, ცოტა არ იყოს, ავიყოლიეთ, ავაქოთეთ: ვმართავდით ვრცელ ეზოში ბურთაობას, ცეკვას, ოთურმას, ხან ჭიდაობასაც, მერე სიმღერით ვათავებდით; საბრალონი გამოცოცხლდნენ, მიდგომ-მოდგომამ, განძრევამ იმათ ჯანმრთელობას სიკეთე დაამჩნია. ჩვენმა მოთხრობებმა ოთხ ძმაზე, სამარის სიმშილზე და სხვებმა, შუქი ჩაყენა მათ გაყინულ და უმეცრებით შებოჭვილს სულში.

ციხეში გავიცანით ერთი უცნაური ეგზემპლიარი—კაცი, რუსი, სახელად ტიმოთე. ის „ბრადიაღად“ ეწერა (მაწანწალად), გვარს არ ამბობდა. შესანიშნავი კულინარი იყო; ციხის უფროსს ემსახურებოდა, ჩვენც ის გვიმზადებდა სადილს და ჩვენთან სადილობდა. გაიგო ჩვენი ვინაობა, ძალიან დაგვიახლოვდა, შევატყეთ იტელიგენტობა, ჩვენ გაუზიარეთ ჩვენი სულთა სწრაფვა, მიმართულება, დავუსახელეთ რუსეთის შესანიშნავი რევოლიუციონერები; იგი ილიმებოდა, კონსპირატობდა, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა გამოგვიტყდა, აღმოჩნდა იგი „ნაროდნიკი“ მუშათაგანი. დაეპირათ და მაწანწალად აღიარებინა თავისი თავი; მისი გვარი კარგად არ მახსოვს, მგონი ნაზაროვი იყო. იგი მუდამ ბაზარში დადიოდა უთოფო ყარაულით სანოვაგისათვის. ჩაუდეთ თავში აზრი გაპარვისა. მართლაც, ჩვენი ციხიდან გამოსვლის შემდეგ, გაპარულიყო.

ყოველ შაბათობით ჩამოდიოდა შვილთან დიმიტრი ყიფიანი თავის მეუღლე ნინო იაგორეოვნათი. ჩამოგვიტანდა ძვირფას მოსაკითხს: ხაჭაპურებს, ქათმებს, ნაზუქებს, ხილს, ასე გაშინჯეთ, ღვინოსაც კი.

გორის სატუსაღო ეზო ფართო იყო, მუდამ მატიტელა ბალახით დაფარული, რადგან ეზოს ოთხივ მხრივ მდინარეები ჩაუდიოდა. ეზო სავსე იყო ციხის უფროსის ყიფიანის ქათმებით, ინდოურებით, ბატებით და გოჭებით. ერთხელ კოტე ჩამაცივდა, ინდოური დავიჭიროთ და ტიმოთეს შევაწვევინოთო, ბიძაჩემს ზაზას მე მოურიგდებიო, გამოუდექით ინდოურს, იგი შუაში გამოგვისხლტა და მე და კოტე თავებით ერთმანეთს დავეტაკენით ისე მაგრათ, რომ კოტეს პენსნე ცხვირში ჩაერჭო და ერთ წამს გული გადაუფერდა. ექიმმა შეეკრა, მაგრამ ცხვირი გაეღუნა, გაუკეხინადა; კოტე ცხოვრებაში ხშირად მომაგონებდა ხოლმე ცხვირს და ჩვენს ნადირობას ინდოურზე.

მორიგ შაბათს მშობლები ეწვივნენ კოტეს. მამამ დიმიტრიმ შეიტყო ცხვირის ისტორია, თავისებურად დინჯათ წარმოსთქვა:

ჯარგია მოსაგონებლად... ციხეში ჯდომა უფრო დაგახსოვდებათო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

9.

მიხეილ ყიფიანი.

ორენბურგიდან მიშო ყიფიანი და ეგნატე იოსელიანი მალე დაბრუნდენ. ამ დროს გორის საოსტატო სემინარიის ქართული ენის მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე, რომელიც აგრეთვე ჩვენი ჯგუფის წევრი იყო, გორიდან გადაიყვანეს და ქართული ენის მასწავლებლად დანიშნეს მიშო ყიფიანი. გასაკვირლად დაგვირჩა ყველას ეს ამბავი. ყიფიანის მასწავლებლად ყოფნის ხანა დაუვიწყარი გახდა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. ყიფიანის მოსვლის დროს ვასო დეკანოზიშვილი და რომან ფავლენიშვილი უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ.

ყიფიანის ჩამოსვლისთანავე პირველ ყოვლისა მოვაწყეთ წიგნთსაცავი, შევიტანეთ წიგნები—ყიფიანმა, მათე კერესელიძემ და მე; ანტონ ფურცელაძემაც მოგვაწოდა ტფილისიდან. შევადგინეთ, მაშინდელ დროის შესაფერად, საკმაოდ ვრცელი წიგნთსაცავი; წიგნები ელაგა ჩემს ბინაზე, კედლის დიდ შკაფს—თაროში; გავიჩინეთ დავთარი, მოწაფეები აწერდნენ ხელს და ისე მიჰქონდათ, მიჰქონდათ უფრო საოსტატო სემინარიის მოწაფეებს—ვაჟა-ფშაველას, ლეონიძეს, თეოფილე ხუსკივაძეს, ალექსანდრე ნათაძეს და სხე. ამათ ყველამ ლიტერატურაში იჩინეს თავი. სემინარიაში სწავლობდა ოსი თედო გოლიევი, ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა, ქართულის მცოდნე, რომელიც დღესაც ცოცხალია და ბოლშევიკურ მიმართულებას ადგია. ამ გოლიევმა და ალექსანდრე ნათაძემ ბევრი წიგნები აღარ დაგვიბრუნეს და კურსის გათავების შემდეგ თან გაიყოლიეს; იძულებული გავხდით წიგნთსაცავი დაგვეხურა და რაც წიგნები დარჩა, პატრონებისათვის დაგვებრუნებია.

მიშო ყიფიანი ცოლ-შვილით დაბინავდა გორში; იმის მოსვლიდან იწყობა განახლება ჩვენი წრისა, რომელსაც ყაფიანამდე შემოეკრიბა შიო დავითაშვილი და არტილერისტი კაპიტანი ნეზლობინი; ხშირი სტუმარი იყო ანტონ ფურცელაძე და აკაკი წერეთელი. თვით მიშო იყო ენაწყალიანი, მჭერმეტყველი, ტკბილი მოამბე, მიმზიდველი, შემპარავი ხასიათისა, განვითარებული. ქართული ენის სწავლება სემინარიაში საეუცხოოდ დააყენა. მაშინდელი სემინარიის დირექტორი სემიონოვი დიდი ლიბერალი იყო; ქართული ენის მასწავლებელი სრული თავისუფლებით სარგებლობდა. ყიფიანმა თავისი ტკბილი ლაპარაკით, მჭერმეტყველებით გაიტაცა მოწაფენი; იგი გადიოდა ქართულს ლიტერატურას, ისტორიას. მოწაფეები ამზადებდნენ რეფერატებს სხვადასხვა ისტორიულ ხანაზე, მწერლებზე; ყიფიანის ხელმძღვანელობით კითხულობდნენ წიგნებსა, იღებდნენ მონაწილეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულს წარმოდგენაში. მოწაფენი დაიარებოდნენ ოჯახებში: ყიფიანთან, კერესელიძესთან, ჩემთან. შემოდგომის მიწურულიდან გაზაფხულამდე გორს ჩამოდიოდნენ სოფლებიდან ამხანაგები. ამ დროს ოჯახებში იმართებოდა საღამოები; იყო სჯა-ბაასი თანამედროვე და წარსულ ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიიდან შესანიშნავ ეპოქებზე, რუსეთის სოციალ-რევოლიუციონურ მოძრაობაზე და სხვ. აი ამ წრეში აიზარდნენ ჩვენი დიდებული პოეტები ნიკო და ლუკა რაზიკაშვილები (ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა), თეოფილე ხუსკივაძე, ალექსანდრე ნათაძე, ნიკო ლეონიძე, საბა ციმაკურიძე, რომელთაც თავი ისახელეს ცხოვრებაში მწერლობით და საზოგადო მოღვაწეობით.

მიწის მფლობელობის დამოკიდებულებამ ნაბატონრებთან გლეხთა და ნაბატონართ შორის ბევრგან გამოიწვია სიმწვავე. გლეხთა დასაცავად მიჩენილი გვყვანდა ანტონ ფურცელაძე, რომელიც მაშინ ვექილობდა ხოლმე. იგი იყო მათი მცველი და პატრონი, თავდადებულად ებრძოდა ყოფილ ფეოდალებს. იყო ორი შესანიშნავი პროცესი—ზაქარა ტეტუნაშვილისა ტირძანის მებატონე ლიბერალ ივანე სულხანიშვილთან, რომელმაც წაართვა ტეტუნაშვილს, საეკლესიო გლეხს ძველად, კათალიკოსისაგან ნაბოძები მამული, რის დამოწმებული საბუთები ჰქონდა. „ტირძნისი მთლად ჩემია, შენც ჩემი ხარო“ ეს იყო საბუთი სულხანიშვილისა.—მეორე პროცესი იყო სოფ. მეჯვრიხეველ ზაქარა მღებრიშვილისა, რომელსაც მომრიგებელმა შუამავალმა წაართვა კარ-წინ ნაფუძარი და გადასცა მებატონეს. აქაც ანტონი ვექილობდა. მაგრამ სასამართლოებში შველოდნენ მებატონეებს. ნათესავი მოხელეები და გლეხები ვერ იმარჯვებდნენ. მაინც ეს ორი ზაქარა ბრძოლის იარაღს ხელიდან არ უშვებდნენ, იბრძოდენ. ეს დავა იქამდე მივიდა, რომ ბოლოს ტირძნისში სისხლიი ეი დათაეედა.

ეს ორი ზაქარას—ტეტუნაშვილის და მღებრიშვილის ხასიათი, მისწრაფებანი ერთად შეეკეცა და მასალად დავუდე ჩემს მოთხრობას „ჯორ-ზაქარა“, რომელიც გაზეთ „მიწაში“ იბეჭდებოდა, მთავრობამ ეს გაზეთი დახურა და ჩემი მოთხრობის ბოლო დაიკარგა, ასე რომ, ცალკე წიგნად გამოცემის დროს დაკარგული ნაწილის აღდგენა მომიხდა.

მიშო ყიფიანი პირდაპირი, სიმართლის მთქმელი, მოურიდებელი, უშიშარი ხასიათისა იყო, მასთან ლმობიერი და გულწრფელი. უბრალო მწუხარება, ამხანაგ-მეგობრის შეპირვება მასში ცრემლს იწვევდა. ანტონ ფურცელაძეს ილია ჭავჭავაძის ენა არ მოსწონდა. საზოგადოთ იმ ხანაში, ოთხმოციან წლებში ანტონი ძალიან სდევნიდა ილიას, მისი სახელი გულზე ადგა ლურსმნად, ჯავრი სჭირდა იმის გამო, რომ ილიამ პოლემიკაში ანტონი ჩაჰკლა „ბექაობას“ თავი ანებე (ანტონი ქერელი ბექას ფსევდონიმით სწერდა „ცისკარში“).

— ანტონ, საყვარელი კაცი ხარ, კარგი მოღვაწე, სანაქებო წევრი ჩვენი პატარა რევოლიუციონური ოჯახისა, —უთხრა ერთხელ ყიფიანმა ლიტერატურულ საღამოზე, მაგრამ შენ, რომელმაც ენაც კი გაანგიგლისტე, როგორ სწუნობ ილიას ენას? მტრობა და შური პირადათ შეგიძლიან იქონიოთ ილიასთან, მის ნაწერებს კი ნუ სდევნი, ნუ ამაგებ, განსაკუთრებით ენის მხრივ. შენი ნაწერების ყველა სიტყვაში, ყველა სტრიქონში სტილის, ენის, სიტყვა-წყობილების უმრავი შეცდომებია, განსაკუთრებით შენს პოემებში.

აქ გადმოსული „თამარ ლაზნელი“, „ციასკარა“ და თვალნათლად დაუმტკიცა ნათქვამი, მაგრამ ანტონი ისეთი ჯიუტი იყო, რომ ვერა საბუთით ვერ შეიჯერიებდი და „ვითა ჯორი უცილობლობდა არა ჩემი სჯობსო“.

იმ ხანებში, როცა მიშო ყიფიანი გორში და საზოგადოთ ქართლში მუშაობდა, რუსეთში მოძრაობამ იმატა, ტერორისტულმა მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია: მოჰკლეს მეფე ალექსანდრე მეორე. ამ ამბავს ჩვენი აკაკიც გამოეხმაურა ლექსით: „დღეს მერცხალი შემოფრინდა ჰიჰიკითა გადმომძახა: გაზაფხული, გაზაფხული, გულს იმედი დამესახა“... (ლექსი „მერცხალი“), გამეფდა „საშინელი შავი რიაქცია. ალექსანდრე მესამე, ლოთი-მეფე, ვერა ძღებოდა რევოლიუციონერთა სისხლით, შარბათივით სვამდა „ოტკასთან“ ერთად. ჩვენშიაც ავმოძრავდით. ყიფიანთან იზრდებოდა პატარა შიო ქუჩუკაშვილი, დღეს ჩვენი „ძია შიო“—მეგზიმელი, ის იყო გამოვიდა აკაკის ქართული მარსელიოზა—„ხანჯალი“, პატარა შიოს ვაერცელებინებდით ამ ლექსს მოწაფეებში. ჩვენც ხალხს ვუხსნიდით და ვუმარტავდით მეფის სიკვდილის მნიშვნელობას, ‚ვაცნობდით ახალი მეფის ჯალათობას: მე ეს ერთს ხალხურს სცენაში თეატრში გავატარე (სცენა „სადღეგრძელო“). ხალხმა ცოტა არ იყოს, ყური გვათხოვა.

გორში ბლომად გაჩნდნენ რუსი რევოლიუციონერები: ზემოდ დასახელებულ კაპიტან ნეზლობინთან მოდიოდნენ. ომის შემდეგ სოფ. ხიდისთავში, გორის ახლო დაბანაკებული იყო ყაზახთა სამთო არტილერია, რომლის ოფიცრობა რევოლიუციონურ მოძრაობას თანაუგრძნობდა. ამ დროს ჩამოვიდა ნეზლობინის და არტილერისტების ამხანაგი **დეგაევი**, ტომით ოსი. ამას მგონი ბრალდებოდა ტანდარმის ოფიცერის სუდეიკინის თუ გეიკინგის (ტანდარმების შეფი) მოკვლა. მახსოვს რკინის გზის სადგურების ბუფეტებში დეგაევის სურათები იყო გამოკიდებული ზედ წარწერით: ვინც დაიჭერს ან მოჰკლავს დეგაევს, ჯილდოთ ჰპირდებოდნენ 5.000 მანეთს. სურათზე დეგაევი გრძელი თმით და წვერ-ულვაშით იყო, ან მთლად გაპარსული. ასე რომ, მისი ცნობა ყოვლად შეუძლებელი იყო. გავიყვან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ვაგზალში, თვისი სურათის ქვეშ დავსვამდით ხოლმ; აქ იკრიბებოდნენ არტილერიის ოფიცრებიც. დეგაევმა გადმოგვცა, რომ საშინელი შავი რეაქციის გამო ამ ჟამად რევოლიუციონერებმა სხვა გეზი დაიჭირეს; ჩვენი ემიგრანტები ცდილობენ შექმნან შრომის განთავისუფლების ჯგუფი და მუშათა განთავისუფლების ბრძოლის კავშირი. შრომის განთავისუფლების ჯგუფი შექმნეს საზღვარგარეთ გიორგი პლეხანოვმა, ვერა ზასულიჩმა, რომელმაც პეტერბურგის ქალაქის უფროსი ტრეპოვი (Градоначальник) დასჭრა რევოლიუციონერის ბოგოლიუბოვის წამებისათვის და პროცესის შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა, აქსელორდმა, დეიჩმა და სხვ. ეს მოხდა 1883 წელში. ბრძოლის კავშირი ამ დრომდეც იყო პეტროგრადშიც, დაფუძნებული ცნობილი ხალტურინისაგან.—დეგაევი დარჩა ჩვენთან ერთს კვირას და მიიქცა ისევ რუსეთად, სადაც, როგორც გადმოგვცეს შემდეგში ამხანაგებმა, თურმე მოჰკლეს ღალატისათვის.

შავმა რეაქციამ რეპრესიებს უმატა, მან ფრთა გაშალა; ჩვენამდინაც უწია; გორში დაიჭირეს 1884 წ. მგონი მარტში, მიშო ყიფიანი, შიო დავითაშვილი, მგონი ილია მაჭავარიანიც. მე იმ დროს ტიფით ვიყავი ავად, რამაც გადამარჩინა დაჭერას, მაგრამ ეანდარმერიის პოლიციის სასტიკ მხედველობის ქვეშ ვიყავი. ტფილისში დაიჭირეს ეგნატე იოსელიანი, ეს და ყიფიანი გაგზავნეს ქ. უსტკამენოგორსკს. რამდენიმე თვის შემდეგ ყიფიანის ცოლშვილიც გავისტუმრეთ.

ბედი სდევნიდა მიშო ყიფიანს; ეს წუთი სოფელი იმისთვის მამინაცვალი იყო; მთელი სიცოცხლე, ყმაწვილკაცობა ციხეებში, ციმბირში, ტანჯვა-წამებაში გაატარა; ცოლი ლიზა უსტკამენგორსკში მოკვდა; დაეხოცა მასთან დარჩენილი სამი შვილიც; მისი ტანჯვა-წამება, წუხილი, დარდი და ვარამი აწერილია მის წერილებში ჩემთან, რომელიც უფრო მჭერმეტყველურად ხატავენ მის ყოფასა. მაშ, ავალაპარაკოთ თვით წერილები:

„დამნაშავე შენ კი არა ხარ, მე ვარ, რომ ეს მეორედ მომდის შენი მშვენიერი წერილი და ძლივს პასუხს გწერ. ჩემსავით გადაკარგულ კაცს საყვარელი სამშობლოდან წერილი მოუვიდეს, ისიც შენისთანა მეგობრიდან, აგონებდეს სურათ-სურათად „ცნობილთა პირთა და ცნობილთა ალაგთ“, სადაც ყოფნით შეიძლება მხოლოდ ჩემი სიცოცხლე ბედნიერ, ნამდვილ და სრულ ბედნიერება—ესეები სულ ასე იყოს და დამნაშავეც შენ გამოხვიდე—ეს მეტის მეტია, ძმაოჯან, და ვიკი უარს არ მეტყვი, რომ ისევ მე მერგოს დანაშაულობა. რომ იცოდე, სოფრომ-ჯან, რა კარგი რამ არის, ციმბირში სამშობლო ქვეყნიდან მიღებული ბარათი. მეტად ტკბილი რამ არის, გარწმუნებ, კონვერტს რომ გახსნი და წერილის კუთხეს თვალს მოავლებ... ჰო,

ჭო, ადამიანო... ერთი სიტყვით, რაღა მე ამასობაში და რაღა ლუარსაბ თათქარიძე ჩაბუტბუტებულ ბოზბაშზე გადადებული კანჭის მოგონებით, ან ის გორელი მორცხვი გოგო, რომელმაც ილიკოსი რაღაცა დაინახა ფანჯრიდან და ტანში გაეჭროლა—უჰ, უჰ, ჩემო თვალებო, რა დაინახეთო.—რა იყო, ქალო, რა დაინახეო, ჭკითხავს ნინო,—უიმე, თქვენი ჭირიმე... საბნის წვერი ფარჩის საბნისაო". მაგრამ რას ვამბობ? ვერც თათქარიძე და ვერც ის გორელი გოგო, სწორე გითხრა, ვერ შემოდგებიან სურვილის სიძლიერეში—სწორედ რომ სად ერეკლე და სად... ღვინის მთხლე". მაგრამ ესეც კი, რამდენათაც კარგია მანდეთგან მოწერილი წერილი, იმდენათ უფერულია აქედგან მოწერილი. ან რა უნდა მოიწეროს ამ გასაოხრებელი ქვეყნისაგან. ბარათის დაწერა ისე როგორ მოახერხოს კაცმა, რომ უპირველეს თავის ვარამზე არა თქვას რა. რა არის ჩვენი დიდი ვარამი, შემაწუხებელი დედმამისა, მაწამებელი შვილებისა? ეს, ოხერი აქაური ზამთარი, გარედ საშინელი დაუსრულებელი ყინვა, შიგნით საძაგელი „უგარი". დღეს დილაზე და ამაღამ ყინვა ოცდაათ გრადუსამდე ადის, და წარმოიდგინე ეს ვითომ არაფერი აქაურებისათვის, მეტადრე ქალებისათვის, რომლებიც მთელი ზამთარი უნიფზოები დატლიკინობენ. ჩვენ კი ასეთები ვართ ამ დროს, ისე დაშინებულები, რომ თითონ გამოსვლისა გვეშინიან, და შვილები ხომ ცხვირს ვერ გამოყოფენ დერეფანშია. ჩემი შვილები რომ გაჩვენა, შეგებრალება, ყაფაზში ვართ ჩაყრილი, ჩიტებივით სხედან ამოხუთულ ოთახებში. აი „უგარიც"—დღეს ლიზა ცოდვილობდა სადილის საქმეს და ისეთი „უგარი" მოუვიდა, რომ საშინლად გააცივა და თავბრუდახვეული წევს, ავდ არის. იმდენი მე და შენ გამარჯვება, რამდენჯერ მე აქ მეთქვას—შე ოხერო ჩემო თავო, რა მოგატლიკინებდა ამ საბაბაყულო ქვეყანაში მეთქი; არა, რას აკეთებ, რად მოთრეულხარ ამ ოხერში"?.. ვჯავრობ, ვლრინავ უკბილო ძაღლივით, მაგრამ რა გამოვიდა... ბოლოს მაინც მე ხომ არ გამოვალ დამნაშავე. ახლა მიეუბრუნდები გრაფსა (ამას ამბობს ლორის-მელიქოვზე) და ვეუბნები, ტყუანის მამის სული, რომ ჩემის აქ გამოგზავნით მამაშენი არ ცხონდეს. მაგრამ არც ამით გამოდის რა და ბოლოს ისევ ვშოშმინდები და ვინატრი ჩემი მშვენიერი სამშობლოს კეთილსა აწმყო და წომავალ, წარსულში... აქ მწუხარების მეტს ვერას ვხედავ...

აქაურ ქართველებისა გითხრა, ყველაზე ორიოდე სიტყვა. ლიზა თავისი მოხუცი დედით და მარიამ დით კარგათ არიან, (ლიზა ცოლია, მარიამ ცოლის და); ეს საცოდავი სიდედრი ცოტა არ იყოს უქეიფობს და ყოველივე მომატება სისუსტისა სულსა და გულს გვიწვავს. ეს მოხუცებული დედა რომ საღათ ვერ ჩამოვიყვანოთ, სიკვდილი იქნება ჩვენთვის... ჩემი შვილები სწავლობენ ქართულად, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველია, და ამასთან ისე, რომ სწავლა არის ამათთვის ამათგანვე სახვეწური რამ. ისე მიმყავს, რომ თითონვე მეხვეწებიან—მასწავლეო, და მეც ვინაზები, ვითომდა რაღა. თუმცა სწორედ ეს რაზედაც მენატრება მუდამ დრო, არის ჩემი ფიქრი და ზრუნვა. პედაგოგია მოხერხებული დიდი ძალაა. ამ ზამთარ მთელ წინ წავიდნენ გონების გავარჯიშებაში და განვითარებაში ჩემი ორი შვილი—შალო და ვახტანგი, პატარა სალომეზე ჯერ არ ითქმის რა. შალო კარგათ კითხულობს და ლამაზად სწერს ქართულად. ზეპირი რუსულიც ძლიერ კარგათ იციან ორთავემ. წერა იქნება შემდეგ ზამთარში დავაწყებინო შალოსა. არ ვეშურები ამასა. ჩემდა სამწუხაროდ, „ნობათი“ შეჩერდა, შენი ნაწერები ორთავემ კარგათ იციან. ნეტა განახვა ვახტანგს რომ შალო გადმოსძახებს: „ნათლი ყაყიტა“ და სხვ. ვახტანგი ჯოხზე დაეყრდნობა, ვითომ თოხზე, თვალებს მოისუსტებს და გაჰყურებს, ვითომ ვერ არჩევს, ვინ ელაპარაკება... ვწუხვარ „ნობათსა“.

ნანეიშვილი ამ ზამთარს აატარებს ქ. სემიპალატინსკში, გაზაფხულზე აქ მოველით. სტეპკო აქ არის, სადილობს ჩემთან (ჭრელაშვილზე ამბობს), გასაოცრათ მეცადინეობს სტეპკო, სწავლობს და კითხულობს მეტის მეტად და ბეჯითად, ენები შეისწავლა; ძალიან მხნე ბიჭია და ბევრსაც გააკეთებს. საზოგადოთ ჩვენი სული, გული და გონება მანდ, ჩვენს ქვეყანაშია და ამიტომ ყოველი ჩვენი მეცადინეობა მანდ სახეიროთ არის მომართული. ამასვე ნანეიშვილზე ვამბობ. კიდევ ქართველთაგანი არის მელენჩუკის ცოლი სონა, ჯორჯაძის ქალი. ქმარს გამოჰყვა. აქ შვილი—ბიჭი მიეცა და იმაზედ არის მთლად მიჩენილი. თითონ მელენჩუკი დედით არის ჩერქეზი, მამით მალაროსი და თითონ ტფილისის გიმნაზიაში კურს შესრულებული და საზღვარ გარეთ ნაყოფი. მანდ ერთი მამაძაღლი ვირია, მასწავლებელი დმიტრიევი, რომლის მეგობრად ითვლიდა თავსა *). სხვა ქართველები აღარავინ ვართ აქ ახლო-მახლო. აღმოსავლეთში კი შემდეგნი არიან, ესთე: ჩიკოიძე ამას წინად კატორღიდან გამოვიდა და ახლა გლეხის საზოგადოებას უნდა მიეწეროს, კირენსკის ქალაქში უნდა იყოს ამ ხანად. სრულიად საღად არის და გულმაგრად იგივე მხიარული და მოუწყინარი. ჯაბადარი თავის ცოლით კირენსკში არის და დიდი იმედი აქვს, რომ ტომსკში გადმოვა მალე. ესეევე იმედი აქვს გიორგი ზდანოვიჩს, რომელიც ამ ხანად, როგორც ჯაბადარი, სულ და მხოლოდ სამშობლო ქვეყნის ნახვის იმედით სულდგმულ არიან. დიდი სანატრელი რამ არის სამშობლო მხარე ათ წელიწად „კატორღაში“ გატარების შემდეგ. ნეტავ შეგვაწერინა უკანასკნელი ჯანი ჩვე-

*) ეს დმიტრიევი მასწავლებელი იყო. რევოლიუციონერობდა, მაგრამ ბოლოს ჯაშუშობა დაიწყო. მელენჩუკი მან დაიბეზღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სიცოცხლისა ჩვენი ქვეყნისაო"—აი ამათი ნატვრა გულწრფელი და გულმართალი. ამიტომ ამათს დაბრუნებას უნდა ეცადოს ყოველი პატიოსანი, ხეირიანი ქართველი. ანტონი, ვიცი ცდილობს (ფურცელაძეზე ამბობს). ღმერთო, უშველე ანტონს. ღმერთო გაუმარჯვე ყველას, ვინც ამ კარგი ქართველების დაბრუნებას ეცდება... გამყრელიძე გაანთავისუფლეს თითქმის. ეხლა ტომსკში ცხოვრობს და რამდენიმე წელიწადის შემდეგ ნება ეძლება შინ დაბრუნებისა. ალექსანდრე ციციშვილი გარდაიცვალა საავადმყოფოში, ამის უკანასკნელი ფიქრი სამშობლო ქვეყანას ეფლებოდა. უნუგეშოდ დაიმარხა აღმოსავლეთ ციმბირის ციხე მიწაშია. საბრალო ალექსანდრე... ააცილოს ყოველ ქართველს ძნელი ბედი, რომელმაც შენ მანდ დაგასაფლავა...—ოსი ალდასენოვი იყო ადმინისტრატიულად. საბრალომ ბევრი ეცადნო ნახა ამ ოხერს ციმბირში. არ ვიცი, რა გულით დაბრუნდა.—ამას წინეთ მოგვივიდა ბარათი თედო გოლიევისაგან. ადმინისტრატიულად ამოუყოფინებიათ ამ საბრალოსათვის თავი პერმის ერთს საშინელად მიყრუებულს ქალაქუნაში, ძალიან გაჭირვებულია საწყალი და ბევრი მწუხარება და ვაიც გამოუვლია, საბრალო თედოს. ეს არის აქაური წერილმანი ამბები. სასიამოვნო არაფერია გარდა იმისა, რომ ჭირს არ უვარდებით, იმედიანათ ვართ, კიდევ მხნეთ დაბრუნებას აუცილებლად ვაპირებთ 1887 წელსა.

წინედ შენგან გამოგზავნილი „კაპიტალი" მივიღე ძლიერ კარგად და შენახულად. ახლა ერთი დიდი სათხოვარი მაქვს შენთან, შენი სულის პირიმე, ორი წიგნი უნდა გამომიგზავნო, შენს სულს ვენაცვალე; ერთის სიტყვით, როგორც სხვაში არაფერში დამზარებიხარ, ამაშიაც ნუ დამზარდები: 1. ლასალის კაპიტალი, პატარა წიგნი არის მანდ სადღაც, პატარა შიომ იცის (ძლვიმელზე ამბობს), ის გამოართვი—ეს ერთი. 2. კოტე გვარამაძეს უეჭველად აქვს ჩემი წიგნი—პოლიტიკური ეკონომია ჩერნიშევსკის შენიშვნებითა (პირველი წიგნი მილლის ეკონომიისა) გამოართვი შენი სულის პირიმე, უსათუოდ გამოართვი; ეს ორი წიგნი ტილოში გახვიე, ან ქაღალდში კარგათ გაახვიე ერთად და გამოგზავნე ჩემს სახელზედ: ქ. უსტკამენოგორსკი, სემიპალატინსკის „ობლასტი", მოქ. ყიფიანს. ასე ჩემო ძმაოჯან. მანდ ჩემი წიგნები და ქაღალდები რომ არის, არავის ააჩხრეკინო გეთაყვანე. აქედან გორში „სათუოდ გავჩერდები და უპირველესად გორელებს თავს დაუკრავ. მაინც გარწმუნებ, გორი მეტად მიყვარს, მინდა მანდაური „მოქალაქე" შევიქნე და ჩავსახლდე. ერთი მარგანეცი გამოჩნდეს და ვერ ავაშენებ თუ... ვაი თუ მარგანეცსაც ისეთი საქმე მოუვიდეს, როგორც მოუვიდა ქვეშხეთის ჩემს სახლს, საძირკველის ჩაგდებით გათავდა. ეჰ, რა გაეწყობა, ამითაც თავს არ შევიწუხებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას უკვირდეს, ვისაც არ დაუკარგავს რა, მე რა არ დამიკარგავს, რომ უმარგანეცობამ გამაკვიროს. არა, კარგი კი იქნება, მართლა რომ იაროს, იაროს მარგანეცმა და სწორედ ჩემს მიწაში ამოჰყოს თავი— ესეც აღმართში ქვის მოწევას ესგავსება, მაგრამ არა ქვისა დამაზიანებელისა, არამედ ქვისა აღმშენებელისა. სოფრომ, იქნება მართლა აგვიხდეს ერთხელ ნალაპარაკეები და აგვიხდეს სხვათა შორის—გორში გამოვცეთ გაზეთი „ქართლი". ვინც რა უნდა სთქვას... ეჰ, კარგი იქნება რომ გავმდიდრდეთ, მაგრამ...

„დროების" აკრძალვამ იმდენათ გული მოგვიკლა, რამდენათაც გული გაგვიმხიარულა „ივერიის" გადიდგაზეთებამ, რომ იცოდე, როგორ მოველით. ამ დღეებში უნდა მოგვივიდეს. თქვენ ერიჰა, რამდენი ხანია ჰკითხულობთ ქართულ გაზეთსა. პროგრამა დარბაისლურად არის შემდგარი, შნოიანად. ყიფშიძესი კი რა მოგახსენო, იმ სიძე პატონისა—მე იმისი არც სიცოცხლე მწამს, ძმაო და არც სიკვდილი. ხიზანოვი, როგორც იცი არ მეპატნავება, ცუდი ზნის კაცია, ორთავენი, ხიზანოვი და ყიფშიძე მეტად გონებრივად მონა ადამიანები არიან, და ამიტომ ამათთან ადამიანებს შესუდვრა შეუძლიანთ, სიკვდილის ფერის დადება და არა სიცოცხლის შეკეთება, ყოველ საქმეს, ჩემის ფიქრით, იმათ ხელში სასიკვდილო კვალი დაადგებათ, ფხას ვერ გამოიჩენენ, თუმცა ორთავენი მკაფიოდ ილაპარაკებენ, მაგრამ განა ჯაფარამ არ იცის ხოლმე მკაფიოდ ლაპარაკი ყიფშიძესავით: „ვიცი, რომ არა ვიცი რა", იძახებს. ზოგი იტყვის და იქნება ილიამაც დააბეჯითოს, რომ ყიფშიძე სიბრძნეს ამბობს; მაგრამ რა გამოვიდა: ჯაფარა ბრძენი არ შეიძლება იყოს, ისევ ჯაფარად დარჩება, იმის სიტყვა უაზრო სიტყვად. ნეტავი და სულ ტყუილი გამოდგეს ეს ჩემი სიტყვები. მეც ეს მინდა.

ამსვა-დამსვა, თქვენში ჩამსვა, ხელში მომცა ღვინით დოქი და მიმაძინა ცეცხლის პირა... ტყვიავი, გორი და მთელი საქართველო მომიკითხე... ცივება მიდგია ტანში. უმადური წერილი გამოვიდა". 1886 წ. 20 ივნვარი ქ. უსტაკამენოგოროსკი„

მე შეეგატყობინე, რომ სოფ. წიფაში, სადაც ქვიშხეთელი ყიფიანების მამულია, მარგანეცის ნიშნები იპოვნეს, გორელმა მდიდარმა სომეხმა თუთუნოვმა იკისრა საქმის აღება, ამიტომ მწერს მარგანეცის თაობაზე.

1887 წ. მიშო ყიფიანი გაანთავისუფლეს, თითონ ჩამოვიდა სამშობლოში, ცოლ-შვილი დასტოვა უსტაკამენოგოსკში, ჩამოვიდა ფულის მომძარაგებისათვის, რომ გაეგზავნა ცოლისათვის ჩამოსასვლელად. ამასობაში ცოლი იქ გარდაეცვალა. ერთი ჭირი არ ეყო საბრალოს, მეორეც დაერთო. აი რა ტრაგიზმით სავსე წერილსა სწერს იგი კო-

ლა ფაველენიშვილს, რომელმაც ფულით დახმარება აღმოუჩინა ცოლის გადმოსვენების დროს.

„1887 წ. 6 ივლისი. დ. სურამი. ჩვენს უბედურებაზედ რაღა გელაპარაკო! ჭეშმარიტად საზღვარი აღარსად მიჩანს! წარმოიდგინე, ისეთი ალაგი ვეღარ წარმომიდგენია მიწაზედ, სიცოცხლეში, საგონებელში, სადაც ხალხია და ტვინს შეეძლოს ცოტაოდენი მოსვენების პოვნა; მწერ გაუმაგრდი შენს უბედურებასაო. ძალად სიცოცხლე განა სიცოცხლედ ჩაითვლება? გარწმუნებ, სიცოცხლე კაცისა „глупый безсмысленный мираж и вечный самообман и только!“ რა გაეწყობა, მეც რაღა დამრჩენია, თუ არა თავისი თავის მოტყუება, რომ საჭირო ვარ თუნდ შვილებისათვის. ორი შვილი (ვახტანგი და შალო) აქ სურამში მყვანან. შალო მარიამს მოჰყავს, ძლიერ იტანჯება და ჩივის: „ჯერ მამა წავიდა სურამს და ეხლა დედამ დამტოვაო, სტირის (მოუტყუებიათ, უცებ წავიდა დედა ყირიმში საწამლებლადაო).

მარიამ პეტერბურგშია. მინისტისთვის გამოუთხოვია ნება ლიზას წამოსვენებისა **открытый лист** მარიამს გაუგზავნია ამბანაგებისათვის. ბაქომდინ მოსვენება ჯდება 750 მან. რომელიც ბანკით უნდა გადავცეს ამ დღეებში ციმბირს. ბაქოდან ხაშურამდინ მოსვენება ეღირება 200 მან. ქვიშხეთში უნდა დავასვენო სიცოცხლით მოსვენებამოკლებული ჩემი ლიზა, ჩემი ბატონი, რომელმაც მე, მის ულირსსა და თავის სამს შვილს სიცოცხლე მართალა ანაცვალა. ლიზას **„გენაცვალე“** მართლა თავგანწირულებას ნიშნავდა!.. მარტოდ ვარ, ძმაო კოლა, მარტოდ! საცა ვიყო, მარტოდ ვარ,—და აი რა ყოფილა ყოველს გვარს წამებაზედ უუძველესი წამება! რამდენ ციხეში ვიყავი ხოლმე ერთად ერთი შეკეტილი, მაგრამ მარტოდ მაინც არ ვიყავ, ვიცოდი ლიზას გული სცემდა, მისი კეთილი მფარველი ფიქრი ჩემთან იყო. ახლა? ახლა რაღა ვარ? მარტო ვარ“...

დიდი ტანჯვა-წამება გამოიარა ყიფიანმა, ბედმა არ აკმარა საყვარელი მეგობრის, მოსიყვარულე და თავდადებულის ცოლის სიკვდილი: სამივე შვილებიც დაეხოცა. დადიოდა გიჟივით გაცოფებული, გამოშტერებული... მაგრამ მისმა მაგარმა აგებულებამ აიტანა ეს საშინელი ცხოვრების ტრაგედია. მისი ცოცხალი ბუნება სიცოცხლეს თხოულობდა, ტოლს დაეძებდა. შეხვდა კიდეც ერთი გერმანელი ქალი, ფრიად განსწავლული, შეეუღლა. თვით რკინის გზის სამსახური იშოვნა, ცოლიც ცალკე მუშაობდა, როგორც სწავლული ქიმიკოსი. აქაც ბედმა უმუხთლა: ვაჟიშვილი, რომელიც გერმანელ ქალთან მიეცა და საზღვარ გარეთ გამოზარდა, მშვენიერი ახალგაზრდა, ჯანღონით აღსავსე, დამშვენარი მამის იმედი და ნუგეში, მოკვდა. ეს კი ვეღარ აიტანა და უცებ მოკვდა თავის საყვარელ ქვიშხეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ მოესწრო საბრალო მიშო რუსეთში მეფობის დამხობას, რომლის დამხობაში უეჭველად დარწმუნებული იყო და ელოდა 1905 წლიდან დაწყობილ რევოლიუციისაგან. დამხობის იმედი ჩაჰყვა საფლავში იმ მრავალ ტანჯულს ადამიანსა.

10.

ვასო დეკანოზიშვილი.

ვასოს მამა ივანე იყო სოფ. ხვედურეთიდან, იგი იყო აზნაურობის მაძიებელი, ძალიან ნიჭიერი და მოხერხებული კაცი; ციციანთან მოურაობაში შეიძინა იმდენი, რომ შვილებს ცოტაოდენი განათლება მისცა და ქალიშვილები კარგი ოჯახის შვილებს მიათხოვა. სულ ჰყავდა ექვსი შვილი: სამი ვაჟი — გიგო, დათიკო და ვასო, სამი ქალი — ანნა, ნინო და სოფიო. ამათში ყველაზე უნიჭიერესნი ბუნებით იყვნენ სოფიო და ვასო. ივანე დეკანოზიშვილის ოჯახმა მისცა სამშობლო ქვეყანას რამდენიმე სოციალ-რევოლიუციონერი: თვით ვასო, სოფიოს ქალიშვილები—მაშო და დარო, ესენიც გვარად დეკანოზიშვილები სოფ. რუისიდან, აზნაურის დიმიტრი დეკანოზიშვილის ოჯახიდან. ვასოს მეორე დის ანნასი, რომელიც მთელი ოჯახი რევოლიუციონერი იყო, ამასთან პურადი, შეძლებული, ზევითაც მოვიხსენიეთ სტუდენტი რომან ფავლენიშვილი, რომელიც ციხეში დაჭლექდა და უდროოდ გამოაკლდა საზოგადოებას, მეორე შვილი კოლა ფავლენიშვილი, რომელთანაც ყიფიანის მონაწერი წერილი ზემოთ მოვიყვანეთ, იყო ძლიერ ნიჭიერი ახალგაზრდა, ამბოხი ხასიათისათვის გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან გამორიცხეს; იგი იყო „დროების“ ფელეტონისტი ი. მაჩაბელის დროს, სწერდა ლომკირიძის ფსევდონიმით; სტილი და ენა ჩემი ისე ჰქონდა შეთვისებული, რომ ჩემს ნაწერში ვერ არჩევდნენ. მწარე ენა ჰქონდა, ამათრახებდა მაზრის მოხელეებს, პობოლებს, ბურჟუაზიულ „ტუზებს“; სწერდა და ხელთნაწერად ვრცელდებოდა მისი ლექსები ბობოლებზე, მას ეკუთვნის დაუბეჭდავი ლექსი „ფულიკო“ (აკაკის მიბაძვის მიბაძვა), რომელიც ინტერესს მოკლებული არ არის დღესაც. როგორც დამახასიათებელი ჩვენი თავად-აზნაურთა. ბანკირი კოლა უკიდურესი მაჩაბელისტი იყო და ამიტომ იმის „ფულიკოს“ გატაცებით კითხულობდნენ.

მომყავს აქ ეს ლექსი, როგორც ნიმუში მისი ნიჭისა და დამახასიათებელი ბანკის ბატონების დაუდევრობისა.

„ჭირაოს ფურცლებს ჩვენ ვყიდით,
ბესურდა რომ მოგებულიყო;
ფინანსისტები ვფიქრობდით
იხრდება ჩვენი ფულიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავაფუჩეჩეთ სულ ყველა,
რაც მაჩაბლისგან თქმულიყო;
შეჯიბეტკბილდა უშიშრად
დირექტორებთან ფულიკო,

ვკიცხავდით ჭუთაისის ბანკს,
ვითომც იქ დაკარგულიყოს...
და აქ კი ჩუმათ ვხილავდით
იმ დროს ამ ბანკის ფულიკოს,

კარგათ ვიყავით, რომ კოლა *)
მთბრობლად არ გამოსულიყო!
აღარ დაეფარა, ამბობდა
იკარგებაო ფულიკო!

აღარ მოხერხდა მას შემდეგ,
რომ საქმე დაფარულიყო
და რევიზორათ ბაქოში
წაბრძანდა თითონ ილიკო!

ილია-აღარ ბაქოში
დახვდა მის ყული პალიკო
და მოახსენა: ეს საქმე
არ არის სალაპარაკო.

„კასსა წმინდათ მაქვს, თქვენც იცით!
ფული იქა მაქვს... აქ არა,
ხვალ დაამოწმეთ და დღეს კი
წაეითამაშოთ ბაქარა!!!

დასტურა მისცა ილიამ:
„ეგრე ვქნათ, დიახ დიახო“!
მოკითხვის ნიშნად მის ჯიბეს
პოეტმაც ხელი შეახო.

და მეორე დღეს დამოწმდა,
კასსა რომ ვითომ სრულ იყო,
და ხალხსაც უმახარობლა
არ დაკარგულა ფულიკო!

მაგრამ არ იქნა. რომ შეები
ხალთაში დამალულიყო,
და ბოლოს ხალხმაც გაიგო
რომ დაჭკლებიყო ფულიკო.

მაშინ სთქვეს დირექტორებმა:
ახლა კი დადექ თვალიკო!
აღარც ფულია კასსაში
და აღარ ჩვენი პალიკო.

ეს პალიკო ყიფიანი იყო ტფილისის ბანკის განყოფილების დირექტორი, კასა დააცალიერა და საზღვარ გარეთ გასწია.

---

*) მგონი ერისთავი, დამფასებელი ბანკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასოს მესამე დის ნინო ჩიკოიძის, სოფ. მეჯვრისხევიდან, შვილი მიხაკო ჩიკოიძე იყო ცნობილი რევოლიუციონერი, რომელიც ერია 50 პროცესში. გააციმბირეს და აღმოსავლეთ ციმბირში ჰპოვა საუკუნო სავანე. ამ ჩიკოიძეზეა ცნობა ზემოთ ყიფიანის წერილში.

თვით ვასო ბუნებით ნიჭიერი იყო. სასწავლებელს, სადაც ძხოლოდ ცემა-ტყეპა იყო გამეფებული, სადაც სწავლა განისაზღვრებოდა სახელმძღვანელოს გაზეპირებით „აქედან აქნობამდე", სადაც მას წავლებელი ფრჩხილით დაუნიშნავდა ამ „აქედან აქნამდისინ",—ნიჭიერი ყმაწვილი ვერ შეეგუა, ხშირად გამორბოდა სკოლიდან, ბოლოს მიატოვა და თვითგანვითარებას შეუდგა. სიძეების ოჯახებში იპოვებოდა ძველი წიგნები, ამას გარდა მოესწრენ დისწული სტუდენტები, სკოლის ამხანაგები, როგორც მაგ. რომან ფაველენიშვილი, მიხაკო ჩიკოიძე, ნიკო ხუდადოვი, ქაიხოსრო ფურცელაძე, რომელნიც უხვად აძლევდნენ საკითხავ წიგნებს.

თვალწარმტაცი, ახოვანი, ძალსხვილა, ფართო გულმკერდიანი, ეუეუნა თვალები მუდამ მოცინარი ტუჩები დამცინავი ღიმით: ტანზე კახური ჩოხა, ახალუხი „ყელთან ჩახსნილი სხვა და სხვა ფერის ყანაოზის საკინძიანი პერანგით; შავი და თხელი წვერ-ულვაში—ალ ვასო დეკანოზიშვილის სურათი!.. ამასთან იყო სუფთა, ფაქიზი, დადიოდა მსხვილი და მაღალი ჯოხით. მასრებში ეწყო წვრილათ გამოჭრილი ნემსის წვერივით ყარანდაშები, ქაღალდი. მოწყინდებოდა კითხვა—რამე ლექსს დასწერდა, ან გავიდოდა ხიდის გაღმა, ავიდოდა ბურეთის მთის კალთაზე და იქ სალამურს ააკვნესებდა.

იგი იყო სული და გული ამხანაგებისა!

როგორც ზემოთ ვსთქვით, შესდგა ჯგუფი, შეეუდექით თვითგანვითარებას. ეიკრიბებოდით ძალიან ხშირად. ვასო საუცხოო მკითხველი იყო; ჩვენს ჯგუფში იმას კითხვაში არავინ შეედრებოდა. როცა ის წაიკითხავდა „კაცია ადამიანიდამ" ლუარსაბისა და დარეჯანის დავას ბოზბაშ-ჩიხირთმაზე, ორაგულ-ზუთხზე, ან ბუზების ამბავს და ზედ დაურთავდა სარკასტიულ ღიმსა, სიცილს ვერავინ შეიკავებდა ხოლმე. ჯგუფმა ვასოს და მე დაგვავალეს რევოლიუციონური წიგნაკების თარგმნა. გადამწერად იყენენ ვასოს დისწულები, სოფიოს ქალიშვილები მაშო და დარო დეკანოზიშვილები, ვთარგმნეთ ერთად: „ოთხი ძმის ზღაპარი", „ზღაპარი კაპეიკზე" და „ცბიერი მექანიკი"; ვასომ ცალკე სთარგმნა: „სამარის შიშვილი" (самарский голод) და ლუი-ბლანის საფრანგეთის რევოლიუციიდან (ტ. 1), სთარგმნა „იან გუსზე", დანარჩენი ვერ მოასწრო, რადგან 1876 წ. გაშინჯვის დროს ეს წიგნი წაიღო ჩემი სახლიდან ენდარმის როტმისტრმა.

ჩემს მოსვლამდე გორში ვასო უკვე მუშაობდა ქართლში, იგი ავრცელებდა ქართულ წიგნებს ოჯახებში, სწერდა ექსპრომტებს და

სხვა ლექსებს და უგზავნიდა ნაცნობებს. ლექსები შეეხებოდა ღლის ჭირ-ვარამს. მე და კოლა ფავლენიშვილი ვაპირებდით მისი ლექსების გამოცემას, მაგრამ ცენზურის ბრჭყალებს მოვერიდეთ, დროს ვუცდიდით, ამასობაში ბევრი მისი ნაწერი გაიფანტა. მე ჩამივარდა ზოგი მისი ნაწერი ხელთა, ზოგიც მე ვიცოდი ზეპირათ, ზოგიც მე აღმომაჩნდა. მისი წერილები მუდამ საქმიანი იყო, გონივრული ინტელიგენტური ბეჭედი აზის. სამაგალითოდ მოვიყვან ზოგიერთს წერილს შემოკლებით.

აი რას სწერს, სხვათა შორის, თავის დას სოფიოს: „1872 წ. 8 მარტი. დაპირებული ლექსები უნდა გამომეგზავნა, მაგრამ დიმიტრი ყიფიანის შვილმა ამომართვა და დამიბრუნებს თუ არა, მაშინვე მოგართმევ (მართლწერა ვასოსია დაცული). ის დრამა კი, მე რომ მოგწერე, ჯერ არ გამოსულა და გამოცემის შემდეგ, იმასაც მალე მოგართმევ... მარიას ჩემი წიგნი აქვს „აღსარება მარიონ დელორმისა“, გამომირთვი და მანდ შემინახე, გეთაყვა“.

დაი სოფიო, სჩანს წერილებიდან, ვასოს ძლიერ ჰყვარებია, მომყავს იმავე 1872 წლის წერილიდან ადგილები, რომელიც ამტკიცებენ, რამდენად შეგნებული, ჭკვიანი, განვითარებული იყო იგი, მოყვარული და გულშემატკივარი.

„რა დაგემართა, რით ვერ მოგწყინდა მაგდენი ავადმყოფობა. მე ერთი ზამთრის კვნესამ სულ ბედი მაწყვეტინა და არ ვიცი შენ რა რკინის ადამიანი ხარ, რომ ხელს არ იღებ. ჩვენი სიცოცხლე ჩვენზე არის დამოკიდებული და, უეჭველია, ისე შევინახავთ თავსა, როგორც მოვინდომებთ: გვინდა ჯანსაღათ ვიქონიებთ სხეულს, გვინდა დავიკლეკნებთ. აქ ხატების საქმე სულაც არა არის რა, და შენ რომ მაგ მოძრაობასთან პატარა გულის სიმშვიდე და სიგრილეც იქონიო, უეჭველია, საქმე კარგათ წავა; თუ არა, შე დალოცვილო აქაო და ავად რათ გაგვიხდა ვინმეო, ან რატომ წიგნი არ მივიღეო, შენ გულს გადმოიქანებ და მოჰყვები სულმოკლე ბებერივით ბედზე წუწუნს, რომელიც სულ არ შეჰფერის მაგ შენს გონივრულს მსჯელობას. თუ უკაცრავად არა ვარ, მაგ შენმა რომანების კითხვამ იქამდის მიგიყვანა, რომ უმეტნაკლებოთ მადამ ობრისათვის მიგაბაძინა მაშინ, როდესაც წინ ეგდო ისეთი სამაგალითო, შავ ბედის წინ მოუდრეკელი, მხნე და მოთმინებით სავსე ხასიათი, როგორც მადმოაზელ პოროპოესი. ჩემგან ამნაირი დარიგება ისეთი მეტია შენთვის, როგორათაც თქვენი თედუსაგან ჩემთვის, ამიტომ რომ შენ ყველაფერი ამ ქვეყნისა მეტი იცი ჩემზედ, მაგრამ რა გამოვიდა, თუ კი გონივრულად არ მოიხმარეს შენსა ცოდნას. ქვეყნის დაარსებიდან აქოჰამდე ბრძენი ხალხი სულ ამას ჩაგვჩიჩინებს: ჭირში მოთმინება უნდა, ლხინში ზომიერებაო, და გამგონი კი არავინ არის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემს ამბავს თუ იკითხავთ ძლიერ ცუდათ გახლდით. ლაზარეთიდან გამოსვლის შემდეგ ერთი კვირა ციებამ დამიგდო, მაგრამ მოვიშორე როგოც იყო თავიდან და ახლა კარგათ ვსუფევ, თუმცა ცოტა სუსტათა ვარ, მაგრამ ღონე თანდათან მემატება. ჩვენები სულ ერთობ კარგათ არიან, ისე კარგათ, რომ მომეტებული რომ ინატროს, ღმერთთან შეცოდებას მოახდენენ. მაგალითად,—დედა ჩემმა რო მეტი კარგათ ყოფნა ინატროს, ეგ გაყმაწვილებას დაეგვანება, გაყმაწვილებას გათხოვების სურვილი შეუდგება—და გამოვიდა ცოდო! თუმცა აბრამიის ცოლს ოთხმოცის თუ ასის წლისას მიეცა შვილი, მაგრამ იმისი ბაძი რა ხელს მოგვცემს. ეგ მაშინ იყო, როცა მეფეები მეცხვარეებათ იყვნენ და ღმერთები მაყვლის ბუჩქებში დაძვრებოდნენ.—რომანისა და მიხაკოსი (ჰგულისხმობს დისწულებს გავლენიშვილის და ჩიკოიძეს – რევოლიუციონერებს), ნშვიდობიანობის ამბავი მოგვდის, თუმცა იმათი წიგნის მოწერის მიზეზი უფრო ფულია, მინამ სიყვარული“...

1876 წლის ჩხრეკისა და ზოგიერთების ციხეში ჩამწყვდევის შემდეგ ვასო დეკანოზიშვილმა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, დროებით თავი შეაფარა ახალციხეს. იმისი მოძრავი, მუდამ ცდასა და ძებნაში მყოფი ბუნება ამ გარემოებას ვერ შეეგუა. იგი 1877 წლიდან ჩავიდა ტფილისს მიშო ყიფიანის ძიასთან, ნოტარიუს დავით ყიფიანთან და შევიდა მასთან გადამწერად. ამხანაგები დავრწმუნდით, რომ ვასო ჩხრეკასა და დატყვევებას გადურჩა; დასახლდა იგი ტფილისში. მასთან დაიარებოდნენ პოეტი სოსიკო ბაქრაძე, გიორგი უთურგაული, ანტონ ფურცელაძე, გორიდან მოვდიოდით მასთან მე და მისი დისწული კოლა ფავლენიშვილი. იმის სახლში ჯგუფმა გადასწყვიტა ჟურნალ „მიმოხილვის“ გამოცემა. რედაქტორად დავასახელეთ გიორგი უთურგაული, მომზადებული და განვითარებული ახალგაზრდა, რომელიც თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძის „ობზორში“. ამ ჟურნალის თაობაზე გორში გვქონდა ყრილობა, სადაც დაესწრენ ტფილისიდან ანტონ ფურცელაძე და უთურგაული. ამ დროს ჩვენს ჯგუფს შემოემატა ახალგაზრდა მარიამ იოანეს ასული ივანიშვილისა, შემდეგ ცნობილი მარიამ დემურიასი. ნიჭი ემჩნეოდა; რაკი ჩვენს ჯგუფს მოეკედლა, განვიზრახეთ, რომ მისთვის სადმე სწავლა დაგვემთავრებინებია, რომ ამ საშუალებით ეცხოვრნა ობოლს ქალსა. მარიამის მდგომარეობაში შედიოდა განსაკუთრებით გიორგი უთურგაული, რომლის რჩევით საბებიო ინსტიტუტისათვის გავამზადეთ; შემდეგ ესეც ჟურნალში მოთუშავეთ გვინდოდა. ანტონი, ცოტა არ იყოს, ენა ჭარტალა კაცი იყო. ჯგუფში ხმა დაარხია, რომ უთურგაულს მაშო უყვარსო. იწყინა ხევსურმა გიორგიმ ეს ამბავი, იტლინკა ჯორივით და გაგვექცა. ისე გულს ჩაჩნდა ეს ამბავი, რომ სამუდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთ ჩამოშორდა არა თუ ლიტერატურას, არამედ მთელს ამხანაგობას და გადავარდა ხონის საოსტატო სემინარიაში მასწავლებლად. მოგვშალა ჟურნალის გამოცემის საქმე და ვასო ჩარჩა ისევ ნოტარიუსთან.

1877 წელში ჯგუფმა გადასწყვიტა დაგვეწყო ლიტერატურული მუშაობა, გლეხის ცხოვრების შესწავლა და გაცნობა მწერლობის საშუალებით საზოგადოებისათვის. 1877 წლამდე მე ვმუშაობდი „დროებაში", მაგრამ 1877 წლიდამ უკვე ყოერეულ „ივერიაში" ლეგალურად შევეხე გლეხის ყოფა-მდგომარეობის საკითხს - წერილში: „პროვინციალური წერილები", რომელიც ვუძღვენ ვასოს და რომელიც დაისტამბა „ივერიის მე-40 და 41 ნომრებში.

დეკემბრის გასულს 1877 წლისა ვინახულე ტფილისს ვასო: ჩვენ გადავწყვიტეთ გვემუშავნა „ივერიაში", ნოტარიუს ყიფიანს, რომელიც მეგობრულ განწყობილებაში იყო ილია ჭავჭავაძესთან, ესიამოვნა ეს ამბავი, იცოდა, რომ იმის გადამწერს ვასოს შეეძლო მუშაობა გაზეთში; ეს მან ილიას უთხრა. საქმე გაიჩარხა. მანამდე კი ვასო უკვე გაეცნო ქართველ საზოგადოებას, მონაწილეობას იღებდა მოყვარულთა წარმოდგენებში. ერთი მშვენიერი წერილი 1877 წ. თებერვლის 23 თვის დისწულ მაშოსთან ამას ადასტურებს:

„მაშო. მიიღო თუ არა ეს წიგნი, გეთაყვა, მაშინავე დაიბარე რუსეთიდამ სუნდუკიანცის თხზულება, ჩემგან რომ არის გადაწერილი, სახელად „ხათაბალა" და საჩქაროდ მომაწოდეთ. ეხლა, ამ დიდ მარხვაში, ადგენენ აქ მაგ პიესას, სუფლიერობა მთხოვეს, ნამდვილი პიესიდამ, რომლებსაც ზოგიერთა ავტორებს მე ვუწერამ და რადგან მაგ გადაწერილში ბევრი შეცდომაა, გლახათ გადაწერილი შემხვდა და ვერა გავიგე რა, მინდა ნამდვილთან შევამოწმო და გავასწორო. ამას გარდა სხვაფრივაც საჭირო იქნება ეგა, რადგან აქ ერთი ეკზემპლიარის მეტი არა აქვთ. წარმოდგენის გათავების შემდეგ ისევ უკან გამოგიგზავნი, თავი არ მომიკვდება, „მეფე ლირიანად", თუ მანამდე გამოვიდა".

ვასომ ტფილისში მთელი 1877 წ. მშვიდობიანად გაატარა ყიფიანის კანტორაში. 1878 წ. რეაქცია გამძვინდა. მიაგნეს ვასოს ბინასაც; გაჩხრიკეს, ოთახის კედელზე ეკიდა ყულაბა, თავზე გაკრული ჰქონდა ქართულად: „ვინც ლაპარაკში უწმაწურ სიტყვას გაუოვეს, ან რუსულად დაიწყობს ყბედობას, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვს, ან არა და გაუჭირვებლად მშვენიერს ქართულს რუსული სიტყვებით ააჭრელებს, თითო ამისთანა სიბრიყვისათვის დანშაავემ ყულაბაში ჩაადგოს თითო შაური წერა-კითხვის საზოგადოებისათვის".

ჟანდარმის ოფიცერი გადარია ამ განცხადებამ და ხელის ბაკუნით მაგიდაზე შეჰყვირა თურმე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ გარდა იმისა, რაც ჩაიდინე გორის მაზრაში თარგმანების გავრცელებით, სეპერატისტიც ყოფილხარ. სახელმწიფო ენის წინააღმდეგ აშკარად ქადაგობ.

— ნუ მიყვირით... მე სეპერატისტი არც ვყოფილვარ, არცა ვარ და თუ გადგირჩით, არც ვიქნები. მე რაც ვარ, კარგათ მოგეხსენებათ... არც მე და არც ერთი ქართველი რუსული ენის შესწავლის წინააღმდეგი არა ვართ. ჩვენ,—განსაკუთრებით კი მე,—წინააღმდეგი ვარ უალაგო ალაგას წარა-მარად, საჭიროების მოუთხოვნელად რუსულით ვაჭრელოთ ჩვენი ენა. როცა საჭიროა მარტო რუსული, უნდა ამ ენაშე ვილაპარაკოთ. ეხლა მე, აი მაგალითად, თქვენ ქართულად რომ დაგიწყოთ ლაპარაკი, ეს ჩემის მხრივ უზრდელობა იქნება. როცა რაა საჭირო, იმას უნდა მოვკიდოთ ხელი". ჩვენში ერთი ანდაზაა: სახარების კითხვის დროს მღვდელმა ფანჯრიდან დაინახა მგელი თხას მიაძუნძულებდა და ჩაურთო: „გავიხედე ფანჯარაში, თხა მიჭქონდა მგელსაო, წადით და გააგდებინეთ, მოუტანეთ მღვდელსაო"; ამისი არ იყოს, ჟანდარმი მაშინ მღვდლისა და მგლის როლს ასრულებდა. სად იყო გაკითხვა და შებრალება.

ვასო წაიყვანეს ციხეში. როგორც ვსთქვით, იგი ლაღი კაცი იყო, თავისუფალი, წმინდა ჰაერზე გაზრდილი, მუდამ მისი მოტრფიალე; ციხეში როგორ გასძლებდა. მაინც დიდი ბოლო არა ჰქონდა მის ციხეში ყოფნას, მაგრამ რაც ხანი დარჩა, ტუსაღებში თავი ისახელა: ვასომ შეაპარა ჩოხის მასრებით გამოჭრილი წვრილ-წვრილად ყარანდაშები, პაპიროსის ქაღალდი და თავისი საყვარელი სალამური... კამერა ჰქონდა მტკვრის მხარეზე, შეითან-ბაზრისაკენ. ერთს მშვენიერ მთვარიან ღამეს შეითან ბაზრიდან ვასოს ტკბილი დუდუკის ხმა შემოესმა, აღეძრა სიმღერის სურვილი, ჯერ თითონ აღიღინდა, მერე შეჯდა ფანჯარაზე და სალამურზე დააღიღინა, „ჩობან ბაიათი". შეინძრა მთელი ციხე. ვასომ იყუჩა. ზედამხედველნი დაფაცურდნენ. ნაგრამ იმ ღამეს ვერა გაიგეს ვინაობა მესალამურესი...

ზაფხულია, ცხელა. ღამე გატყდა; მთვარე საშუალამეზეა ამოსული, კამკამებს, ვასოს კამერას უხვად შეაბნია სხივები, იგინი დაციმციმებენ მყარალი კამერის იატაკ-კედლებზე. ხარფუხის ხეივიდან დაჭკრა სიომ, აიტაცა დუდუკის ტკბილი ხმა და ჰაერში შეაპროწიალა. ვასო აურეოლდა, დაიღიღინა ნელიად ბესიკის ხმები, გულსაკლავად ჩაიღიღინა „სულო ბოროტო". მტკვრის დუდუკს ბანი უნდოდა—ვასო შეჯდა ფანჯარაზე, „სულო ბოროტო" ჩააკვნესა სალამურზე. ახლა კი ეეღარ დაიმალა. ყარაულმა თოფი გაუღერა.

— ახ ტი, გრუზო პროკლიატი, შეუტია,

მეორე დღეს გაჩნდა პროკურორი. ვასო ჩასვეს კარცერში, სალამური ჩამოართვეს. ამის გამო თავის დისწულს კოლა ფავლენი-

შვილს სწერდა: შენი ბიძია ვირის აბანოდან ადაფხანის აბანოში ჩაპრძანეს. როგორ გაბედე,—მითხრა პროკურორმაო,—სატუსაღოს მყუდროების დარღვევაო?

— მე,—შეეკადრე სიტყვა მრისხანე გამომეტყველების ახალგაზრდა პროკურორსა,—მყუდროება კი არ დავარღვიე, პატიმარნი ვანუგეშე. ვინ იცის, რამდენი ლოცვა-კუთხევა გამომიგზავნეს ტუსაღებმა, რომელთ გულს ჩემმა სალამურმა სიამოვნება აგრძნობინა და ერთ წუთსაც არის წყლული გულის მალამოდ მოევლინა.

— ამ ჯარცერიდანაც ემალამოვე ეხლა; აქ დიდ ხანს იქნები; თუ კიდე რამეს დაამავებ, ჯარცერიდან თავს არ გამოგაყოფინებ, მითხრა პროკურორმა.

— აქაც ვიშოვი გასართობსა; ჩემი ფანტაზია გაათკეცდება, ოცნებას ფრთებს შეასხამს და მთელს ქვეყნიერებას შეამატებს

— ოჰ, მართლა. — დაცინვით მითხრა,—ეარსკვლავ მრიცხველობის შესწავლით; რატომაც არა. თუ კი ფილოსოფოსებმა მეშვიდე ცის ზემოთ ღმერთი გამოჩიკეს, რა გასაკვირველია, რომ მეც ჩემი ფანტაზიის საშუალებით კაცობრიობის სამკურნალო მალამოს მივაგნო.

„ასე ჩემო ბრუტიანო კოლა, სწერდა ამას თავის დისწულსა,—ვზიავარ ჩემს ობსერვატორიაში, ეარსკვლავმრიცხლობ და კუდიან ვარსკვლავს დავეძებ...

ვასო წერილებს უყრიდა ძირს ტუსაღებს და ისინი აგზავნიდნენ დანიშნულებისამებრ. ვასომ მაინც ვერ მოისვენა: პაპიროზის ქაღალდზე მარგალიტის პრობით წერილი ყარანდაშით სწერდა ჩვენი პოეტების ლექსებს და უყრიდა ტუსაღებს. მაგ. გაავრცელა ლექსი პოეტის სოსიკო ბაქრაძისა, რომელიც დაბეჭდილი იყო კვირეულ „ივერიაში“ ოქრუაშვილის ფსევდონიმით: „არც სახლი მაქვს, არც კარი, ვარ და ბედნიერი ვარ“, ეს ლექსი გავრცელდა ტუსაღებში, რომელთაც თურმე სიმღერათ გადაკეთეს. ერთს პაპიროზის ქაღალდზე იმდენს ჩაამძივებდა, რომ ჩვენ ერთი თაბახი ფოშტის ქაღალდი მოგვინდებოდა. შეიყვარეს ციხის სტუმრებმა ვასო, იმის კამერას მუდამ შესტრიალებდნენ თურმე, იქნება მოგვაწოდოს რამეო, ისიც მოსახერხებელ დროს ელოდა ფურცლის ჩასაგდებად.

ვადიან ტუსაღებს გარეგან შემოჰქონდათ ვასოსათვის საწერი ქაღალდი. ციხეში ვასომ გამოსცა ხელნაწერი გაზეთი „**ჯანაბა**“. ერთი ნომერი მეც მქონდა მაგრამ, საუბედუროთ, სახლის გაშინჯვის დროს შარშან წაიღეს და აღარ დამბრუნებია. მაგრამ შემრჩა ბოლოს მისი ხელნაწერი, ზოგიც ზეპირად მახსოვს და აღვადგინე ის ნომრის შინაარსი. გაზეთი იყო დაწერილი შეკეცილს თაბახიან ქაღალდზე ყარანდაშით, წვრილად, გასაოცარის კალიგრაფით დაწერილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამძიგებულ-ჩამარგალიტებულ პრობით, ასე რომ უჩინო ადამიანიც კი წაიკითხავდა.

აი სურათი გაზეთისა: შუაში ასომთავრული გამოხატული იყო სათაური: „ჯანაბა“: ქვეშ ეწერა: მეტეხის სამოთხის გამოცემა. ერთს გვერდზე—რედაქტორი ხუცუკა, მეორეზე გადამწერი ცუნ-ცრუკა. ადრესი: რედაქცია იმყოფება ადაფხანის ქუჩაზე. ცალკე ნომრები იყიდება ჟანდარმთა გამგეობაში და პროკურორთან.

გაზეთის მეთაურში დაახლოვებით ასეთი პროგრამა იყო დასახული: ჩვენ ვილტვით ჩვენი ერის კეთილდღეობის შექმნას, ხელს ვუწყობთ მის განთავისუფლებას მეფის, მემამულეების და სოვდაგრების ბრჭყალებიდან (ბურჟუებს ჩვენ სოვდაგრებს ვეძახით). დიდია ჩვენი საქმე, ძნელია ადრიანათ მისი განხორციელება, მაგრამ საფრანგეთის რევოლიუციებმა დაგვიმტკიცეს მისი შესაძლებლობა. თვით ზღვა ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა—ამბობს პოეტი. წვეთ-წვეთად გავა ხალხში შემეცნება და ბოლოს ზღვად გასკდება.

მე შემრჩა რამდენიმე მისი ლექსი და სხვა ნაწერი; სამი მათგანი—„მესტვირელი“, გლოვნითი აღმოფშინვა და ლონგფელოს ლექსი „ჯანაბაში“ იყო მოთავსებული; იქვე იყო მოთავსებული მიშო ყიფიანის სამი პატარა ლექსი „იორდანე ტუსაღის“ ფსევდონიმით, რომლებშიაც იყო გამოხატული პატიმრის ბედი, მისი ტანჯვა-წვალება, მომავალი იმედი და გამარჯვება ხალხისა, ზეპირად კი არ მახსოვს.

ამ შესანიშნავი რევოლიუციონერის ნიჭის მისი მისწრაფებისა, მისგან ქართულის ენის ცოდნის დასასურათებლად და დასახასიათებლად აქ მომყავს ეს ნაწერები, რომელთა ქვეშ დღევანდელი პოეტიც არ იუკადრისებდა ხელის იოწერასა.

ექსპრომტები, დაწერილი ჯერ კიდევ 1872 წ. გორელი ქალების ძღვნად.

ძღვნად ქ. ბ.

შენ ყველა ქალების დმერთო!
შემიბრალე ჩემო ქეთო...
ნება მომეც, მარჯნის ტუჩებს
დავეკონო, შეეერთო...

რატომ სანთელი არა ვარ,
გაუქრობლად შენ წინ ვენთო,
რატომ საყურე არა ვარ,
ლოყას დაგეკონო ქეთო.

რატომ ბეჭედი არა ვარ,
მაგ ნაზ თითზე გამოკეთო

ან რატომ ძეწკვი არა ვარ
გულს ჩაგეკრა, ჩემო ქეთო.

თუნდაც დაინთქო ღრმა უფსკრულში
ეს ქვეყანა, დიდო ღმერთო,
ოღონდ კი სადმე კუნჭულში
შეგვეფარე მე და ქეთო...

—:—

იმდენს გეძებ, გამოგჩიკო,
ჩემო ფირუზ-თვალთა თიკო.
გვერდი მხოლოდ ნაზ ტუჩებით
გვერდს მოგიჯდე, იპიკჩიკო...

—:—

აგრე ტურფად რამ დაგბადა
ედემის ყვავილო, მაშო.
ნეტავი ჩიტად მაქცია,
უბეს გიჯდე მათამაშო.

—:—

ისევ შენ მოგმართავ, მარო
გიყმაყო და დარდიმანდო
გთხოვ დარდები გადმიყარე
ტუჩი ტუჩზე დამფარო.

მ. ხ.

ლერწამ ტანო, მაკნობელო გულისა,
ია ვარდო, მიჯნურო ბულბულისა
ხილფნო კავნო, ლაწვზე დანერგულისა,
ანდამანტო, მიმხიდველო სულისა.

ლექნი გიძღვენ, მით მიმელო ცნობანი;
გთხოვ, არ დამგმო, მიყო ეს წყალობანი,
გამაგონე ენათ მუსიკობანი,
რომ ალმოვსთქვა კვალად შენი მკობანი.

მ. ხ—სას

რა დაგიშავე, რად გადმეკიდე?
რისთვის მლანძღავ ქალო ხალხშია?
ბეჩავს მტრად რად გადამეკიდე
რისთვის ჩამაგდე ამ ხათაშია?

მითხარ, შენზედ რა ლექსს ავწერდი?
მე რა განთქმული პოეტი მნახე?
ან თითონ შენსას მე რას ავწერდი?
რა გაქვს საქებ—ტანი თუ სახე?

მე თუ ტალახში ნაპოვნსა ვგეეარ
როგორც შენ ხალხში გაგილანძღიეარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კი შენ ხარ ღვთის მადლი ჯერა
მშვენიერების ღმერთა ვენერა.»

მითხარ, მითხარ...

მითხარ, მითხარ, რას მენდურავ, შენის სულისა.
აღარ შემრჩა მოთმინება, მკვლელო გულისა.
კარგად იცი ტყვე ვარ შენის სიყვარულისა...
დასძარ ბაგე გამაგონე ხმა ბულბულისა...

ღმერთსა ვფიცავ, არას გარგებს აგრე სინაზე...
ცეცხლს მიკიდებს შენი ეში და სილამაზე.
ერთი მითხარ, რა გაწყინე, მიწყრები რაზე?
რად გადადეგ, შე უწყალო, იმ ჩვენს აღთქმაზე?

თუ შენ ჩემი სიკბილუკე არ გენანება,
მოდი მომკალ შენის ხელით, გაქვს სრული ნება
ჩემთვის დიდი სიხარული იგი იქნება,
რომ ეს გული, დადაგული, მით განელდება.

ერთხელ მაინც მომიგონებ, მკვლელო გულისა,
იტყვი: მოკვდა ის საწყალი სიყვარულითა;
მხოლოდ მაშინ აივსები სინანულითა;
მაგრამ, მკვლელო სადღა მნახავ, გსურდე გულითა.

სიკბილუკე ისრე სტკენება, ვითა ყვავილი,
დღენი ჩვენი რბიან, ჰქრება ვითარცა რთვილი.
სინამ დრო გვაქვს, მოვილხინოთ, ვცნათ სიყვარული:
ეს ხომ ვიცით, ჩვენი ბოლო არის სიკვდილი...

გაზეთ „ჯანაბაში“ მოთავსებული ნაწერები:

1. მესტვირული

ქრისტე ღმერთმა აგაცილოთ
რუსის ბასრი ბრჭყალი
იმისი ცივი „ატკაზი“
„ხავრის“ სამართალი.

—:—

თავად ახნაურთ ამოროს
ეს პროკაზის ვალი,
გლეხ-კაცს სანჭრაქების ვაზში [1])
ყოყობას ფართალი [2])

—:—

---

[1]) სანჭრაქი—სომეხი

[2]) ყოყობა—ურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოაგდოს მონობა,
ბატონყმობის ყვალი;
ხღვას დაინთქას მათი მოყვარე,
მათი მიმდევარე.

თავით და მარჯვენით მშრომელს
გადაუტკრას ვალი;
ორთავ სწორად დაუფასოს
ნაღვაწ-ნაშრომალი.

ღმერთო შენ გააძლიერე
ჩვენი მომავალი
ეს ჩვენი წვრილი ბალღობა
ვაეია თუ ქალი.

მოჰმადლე სული ხვიადი
და გული ალალი,
გახადე თავიანთი ქვეყნის
უებრი წამალი.

ჩვენ ცოდვებსა მათ ნუ ჰკითხავ,
ჩვენვე დაგვდე ბრალი!
ამ ჩვენს გვრიტებს ააცილე
რაც ჩვენა ვსთქვით სამბალი.

2. გლოვით აღმოფშინვა (გოდება)

კალამმა ჩემმან უკვე საკმაოდ მოჰფინა ამ ჩვენს ჯოჯოხეთს სიხარული, სიყვარული, აწ იგი იწყებს მღერას სულისა ჩემისა სიმწუხარეზე, ჯოჯოხეთმა, ჩემს გულში დანერგულმან, დასწვა ცეცხლთა სიმშვიდე ჩემი; თვალთა ჩემთა უკვე აღარ აქვთ სისველე, არამედ დაიესნენ და განხმნენ, ვითარცა გული ჩემი... ოჰ, ღმერთო, ღმერთო ჩემო, რა დავაშავე? ძმობა, ერთობა, სიყვარული ბრძენთა გადმოგვცეს, მეც ხომ მას მივსდევ და ვეძადაგობ. ამისთვის ჯოჯოხეთი?... სად ხარ სამართალო? სად არის სიბასრე შენი....

იმედი მაინც არღა უნდა მჭონდეს, რომ კვლავ მომეველინება იგი ფრინველი, ტკბილი ხმოვანი, ბრჭყინვალის ფრთებით, რომლისგანაც კიდევ ვისმენდე ტკბილსა საგალობელსა?..

ჰოო, დაუზოგავო, ურწმუნო ტირანო. შენ დასჭერ ჩემი გული ესრეთ ღმერთად, რომ თუნდ დღეში ათასჯერ მოხვიდე გასამთელებლად არ ძალგიდება მორჩენა ჩემი... ჯალათო ჩვენო. მოვა დრო, ოდეს შენ თითონ შეინანებ შენსავე ბოროტებსა, მაშინა სინანული იგი იქნება დაგვიანებული ჩვენთვის. მე ვეღარ დავსტკებები შენის სიკვდილით. შენ სიკვდილს გაიგებს ჩემი სული და საფლავში ჩემს ძვლებს გაანდედლებს, გაახარებს...

3. ლონგოფელლოს ლექსი (თარგმანი)

როდ ბინდბუნდში კაცი ვინმე გზას მიდგენილი
უცებ შესდგება, რა რომ ესმის ზმა საუბრისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოხიდავს, ყურებსა სცქვეტს სულგამულილი
და ელის იცნას, ვინ ხმაურობს გარემის მისსა,
მეც სწორად აგრე გულიანად თქვენის სალამით
აღტაცებული, გულმილეევით, სულგანაბული,
ვდარაჯობ თქვენს ხმას, მეგობრებო, მარად დღე-ღამით,
როს ყურს მომესმის სიშორისგან დასუსტებული.

და თუ პოეტის შაირებში იპოვა რამე,
მცირედიც არის სიამოვნება, თქვენმა წადილმა,
ეს წილად შესძღვნა მას მუქაფად ეგე სიამე
ყოველმა თქვენმა თანაგრძნობამ და სალამმა ტკბილმა.

გულდაამებით ყურს ვადევნებ ნიადაგ სიტყვებს,
სიყვარულისას, შეწყენისას, ნუგეშისასა
ჩემს გარს რომ ვხედავ ოვალთუჩინარს ამ ჩემს მეგობრებს,
მარტოობაში როდისღა ვთვლი მარტო ჩემს თავსა.

განა სამშობლო მიწა, ვცხოვრობ მე რომელსა ზედა,
ან განა ენა გვამეგობრებს ჩვენ ერთმანეთში?
ერთი მიზანი წუთის სოფლის ასპარეზზედა—
ფიქრი, ერთობა,—აი რაა კავშირი ჩვენში,.

მაშ, იმედი მაქვს თქვენთან ეიყო მეც განუყოელად
იმ დროს, როცა თქვენ გულდაბშეული ფიქრით და სევდით,
კარს გამოდიხართ კაეშანის გასაქარვებლად
და მოლრიალს ზღვის პირს სადმე მიმოაწვებით.

და მჯერა კიდეც, რომ ნიადაგ, საღამოს დროსა,
როდესაც ცეცხლი თქვენს კერაზე აპრიალდება,
თქვენს ცეცხლი-პირას მოგუგუნე ბუხრის ახლოსა,
მეც სხვათა შორის, ვით სახლის შვილსა, ბინა ჰქმნება.

ეს ლექსი ციხიდან გამოუგზავნა ვასომ თავის დისწულს მაშო დეკანოზიშვილისა შემდეგი წერილით:

„მაშო, ჰაჰა! თქვენის ძღვნის საბადლო მომიკვლევია ეს ამერიკული პოეტის ლონგფელლოს ლექსი, რომელსაც პოეტი თავის შორეულ მეგობრებს უძღვნისამ ქაღალდზე კი უკაცრავად, რა ვქნა, ყველა სხვა სიკეთესთან, ეგეც ყადაღაა ჩვენში, ესეც ჩაის შემოვაფაქვეს... შენს ანდრეს ყური კარგათ უგდე, წაახალისე, შენც რომ რუსულს შეეჩვეოდე, კარგს იხამ. ადრევ რაღაც თვით-მასწავლებელი იყიდება რუსულ ენისა ეოგებაშვილისაგან შედგენილი. კოლას ვეტყვი გიყიდოს არ ვიცი კი, ვარგა რასმე თუ არა, არ წამიკითხავს; ვინ იცის იქნება თვით-გადამრევიე იყოს, ამას გარდა მოაგროვე ბლეზური შაირები, ანდაზები, გამოცანები, ლოცვები, ხლაპრები და სხვ. ადრინდელი შენი ლოცვების ოვეული ტყვიაეს იყო ანანასსა, თუ არ გამოგირთმეევა, გამოართვი და სხვეც, რაც მოაგროვო, ზედ ზედ დაურთე“.

წერილში მოხსენებული ანდრეც დისწულია ვასოსი, სოფიოს ვაეი შვილი, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში კიტა აბაშიძისაგან აღიარებულია ნიჭიერ ბელეტრისტად. იყო საფრანგეთში ფრანგულის შესასწავლად, დაბრუნებისას ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში იყო დამფასებლად; გადატრიალების შემდეგ იგი საზღვარ გარეთ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო დეკანოზიშვილი დიდს ყურადღებას აქცევდა საერთო სიტყვიერებას, ეტრფიალებოდა ხალხურ შაირ-ლექსებს, ზღაპრებს, ლეგენდებს. ემზადებოდა გარდაექმნა ქართული ზღაპრები და ლეგენდები მთლიან ნაწარმოებად. დავით ყიფიანმა იგი გააცნო ილია ჭავჭავაძეს, გაიცნო მისი ზოგიერთი ლექსები. — ილია დაჰპირდა 1878 წ. რედაქციაში გადაყვანას სამუშაოდ. თვით ილია,—მე თვით ვიცი,— აღტაცებული იყო მისი ნიჭით, მისი საოცარი კალიგრაფიით.

მაგრამ საბრალოს არ დასცალდა თავისი ნიჭი გაეშალნა დიდებულ პოეტის ხელში. მან, ლაღმა ბუნების შვილმა, ვერ აიტანა ციხის რეჟიმი, მდევვითი ეაეკაცმა, სრულიად ახალგაზრდამ, და დაჭლექდა. ბევრს ეცადნენ ძმები და მეგობრები მის მორჩენას. მეგობარი ექიმები—ნიკო ხუდადოვი და ქაიხოსრო ფურცელაძე თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ სენმა თავისი გაიტანა. გარდაიცვალა 1879 წლის შემოდგომაზე და დაკრძალეს გორის სასაფლაოზე.

დავასაფლავეთ დიდის ზარ-ზეიმით: მთელი გორი გლოვობდა თავის საყვარელ შვილს, გლოვის ნიშნად დუქან-ბაზარი დაიკეტა. პროცესიას მიუძღოდენ დასტები მეზურნე-მედუდუკენი, მეარღნეები ნელის დაკვრით, მეგობრები, ხელოსნები, ქალი თუ კაცი. საფლავში ჩასვენებისას მეზურნე ზურაბა რაზმაძემ სალამურზე ააკვნესა ვასოს საყვარელი ხმა „სულო ბოროტო“. გლეხმა ვანომ, ვასოს გაზრდილმა, ლექსი წარმოსთქვა. ეს ლექსი ანტონ ფურცელაძეს შერჩა და დაუბეჭდველი დარჩა.

ვასო დეკანოზიშვილის სიკვდილით, —თამამად ვიტყვით,—ერთი საუკეთესო ნიჭიერი, მომავალი მწერალი გამოაკლდა სამშობლოს. ვინ იცის, იქნება ჩვენ ვასოში დავკარგეთ **ვაჟა ქართლელა.**?

1923 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანყოფილება V. ავტობიოგრაფია.

მიხა ჩოდრიშვილი.

ჩემი თავგადასავალი.

გაგრძელება იხ. „რევ. მატ." № 2—3 (7—8).

ახლა შევეხები იმას, თუ 1870 წლიდან 1881 წლამდე როგორ ვემზადებოდით და რა პირობებში გვიხდებოდა, სოციალისტურ ნიადაგზედ მუშაობა ტფილისში და სხვა ჩვენს დაბა-ქალაქებში.

როგორც სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენშიაც, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მოძღვრების გაჩენამდე რევოლიუციონური მოძრაობა სხვა დასხვა ფორმით და სახით ვითარდებოდა. ვერც ჩვენ ვიტყვით უარს ჩვენს მემკვიდროებაზედ. რომელიც არ იყო მარქსისტული და არც არსებითად სოციალისტური, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დიდი სამსახური მიუძღვის მას წარსულში. ამიტომ ჩვენ ვართ კიდეც ჭეშმარიტი გამგრძობნი იმის, რაც კი საუკეთესო იყო რევოლიუციონური მუშისა და ინტელიგენციის მოძრაობაში 1870 წლიდან 1881 წლამდე.

1907 წელს მოვათავსე ჟურნალ-გაზეთებში წერილები, თუ როგორ იმართებოდა მუშა ხელოსანთა კრებები და ამქარ-ამქარ პირველი მაისობა, საღმთოს დაკვლით და ახალ გამოსულ ხელოსან ქარგლის დალოცვით და ქეიფით.

მე მყვანდენ მაშინ ამხანაგი მუშები: იოსებ დავითაშვილი—ჩოქურთმის მჭრელი და მწიგნობარი, პოეტი, და ნიკო გიგაური, ოქროს გადამკვრელი (პახალოჩიკი) წერა კითხვის კარგად მცოდნენი: ეს იყო 1870 წლებში.

ჩვენ სამნივე ერთმანეთს კარგად შევეგუენით და კვირა-უქმეებით გავდიოდით სალღათის ბაზარში და ვყიდულობდით ძველი წიგნების მოვაჭრეებისგან და განსაკუთრებით კი ზ. ჭიჭინაძისგან თანამედროე ლიტერატურას და ვკითხულობდით, როგორც იყო, მუშა ბოქულაძე. გლეხის ნაამბობი, კაკო ყაჩაღი, სურამის ციხე, გუთნის დედა (ჟურნალი) ლასალის, ცხოვრებიდან და სხვა...

ასე და ამრიგად თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ვანდომებდით და შეძლებისა-დაგვარად ვერკვევოდით ცხოვრების ავ-კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიანობაში. 1876 წელს მე და ი. დავითაშვილი სხვა მუშებთან ერთად ემუშაობდით მიხეილის ქუჩაზედ, ფრიდრიხ ზეიცერის სადურგლო ფაბრიკაში. ამ სადურგლოში 100-მდე შეგირდ-ქარგალი მუშაობდა. მათ შორის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარიც. მცირე ნაწილმა წერა-კითხვა იცოდა.

და აი, ეს წერა-კითხვის მცოდნე მუშა ამხანაგები მუშაობას, რომ გავათავებდით, შევიკრიფებოდით ერთ-ერთი ამხანაგის ბინაზე და ვკითხულობდით თანამედროე წიგნებს და გაზეთებს; სხვა ქარგალ-შეგირდებიც შემოგვისხდებოდენ გვერდზე და გვისმენდენ, ამ მკითხველ კომისიაში არჩეულ იქნა სამი კაცი: ი. დავითაშვილი, ვ. გოცირიძე და მიხა ჩოდრიშვილი. წიგნების და გაზეთების კითხვამ ისე დაგვაინტერესა მუშები, რომ დაგვებადა აზრი გაგვეხსნა შინაური სამკითხველო, რის სისრულეში მოსაყვანად კრებაც მოვახდინეთ ერთ უქმე დღეს, იქვე ფაბრიკის ახლოს (საჩაიე ტრაქტირში) გვერდით, ეს საჩაიე იყო ვინმე ციხრიაშვილისა, რომელსაც პატარა ბაღჩაც ჰქონდა.

ამ ბაღჩაში რამოდენიმე მუშამ მოიყარა თავი და დავსვით საკითხი, რომ დავაარსოთ შინაური წიგნთ საცავ-სამკითხველო, რომელშიაც კვირა-უქმე დღეებში უნდა ვიაროთ და ვიკითხოთ გაზეთები და წიგნები; კითხვა გადაწყდა სამკითხველოს სასარგებლოთ, ბინაც ვიშოვეთ იქვე ზეიცერის სახლში მობინადრე, ამხანაგ ლუარსაბ კასრაძის ბინა, ამ საქმის მოსაწესრიგებლათ გამგეობაც ავირჩიეთ 6 კაცისაგან შემდგარი, სამი ქარგლებისგან და სამი შაგირდი, სახელდობრ, გამგეობის წევრებად იქნა არჩეული: 1) ი. დავითაშვილი, 2) ვ. გოცირიძე, 3) მ. ჩოდრიშვილი: 4) ს. გამყრელიძე, 5) ლ. კასრაძე, 6) სანდ. ჩოდრიშვილი: კანდიტატებათ ლ. გველასიანი, ნიკო მეგრელი და ალექსი დუშელი, აგრეთვე დავაწესეთ თვითეულ წევრზედ თვიური გადასახადი 20 კაპეიკი, რომლითაც ვყიდულობდით წიგნებს და გაზეთებს. 1878 წელს იანვრის 15 სამკითხველო უკვე მოწყობილი გვქონდა და კავშირის წევრთა რიცხვიც 80 ავიდა, ჩვენ ქარხნის გარდა, სხვა გარეშე ქარხნების მუშებიც ემატებოდენ ჩვენს კავშირს; ორა პიროობებში იყვნენ მაშინდელი ქარგალ-შეგირდები ხაზეინების ხელში:

განსაკუთრებით კი ზეიცერი, როგორც დიდი ქარხნის პატრონი უკიდურეს დესპოტად ითვლებოდა. თუმცა იყვნენ სხვა ფაბრიკა ქარხნების პატრონებიც, როგორიც იყვნენ: (ონანოვის) სადურგლო ქარხანა თავის მაშინებით, (არშენალის) სადურგლო სოლოლაკში: (კოტრინის) საეტლო ფაბრიკა მიხეილის ქუჩაზე, (რუქსის) საზეინკლო ფაბრიკა მიხ. ქუჩაზე, (რენცის) სადურგლო ამავ ქუჩაზე, და ერთი თვალსაჩინო სადურგლო ფაბრიკა მიხეილ. ქუჩაზედ ფიდრის ზეიცრისა, და 1867 წელს ვარანცოვის ქუჩაზე მირზოეევის ადელხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვის და ტოლესი: ამ ორი უკანასკნელ ზაოდის მუშების, მდგომარეობას არ ვიუაე გაცნობილი.

ამიტომ—ვიწყობ,-ზეიცერის მუშების მდგომარეობიდან, ვინაიდან მათი მდგომარეობის ისტორია და ყოფა ცხოვრება კარგად ვიცი და მახსოვს, რადგან ამ ფაბრიკაში თითქმის 10 წლამდის მეც ვმუშაობდი. ზეიცერს მუდმივ ჰყვანდა 15 და 20 შეგირდი. შეგირდი უნდა ყოუილიყო 15 წლისა და უნდა ემსახურა 5 დან 6 წლამდის ხაზეინისთვის უსასყიდლოთ. მხოლოდ საჰმელი და ტანისამოსი ხაზეინისა იყო, ანდა ტანისამოსის საფასურს ფულად აძლევდა პირველ წელს ერთ ნახევარ მანეთს და მეორე წლიდან ვადის გათავებამდის თვითეულს შეგირდს 2 მანეთს თვეში. შეგირდების საჰმელი ისეთი იყო, რომ კარგი ხაზეინი ძაღლსაც კი არ აჰმევდა, კერძში ათას გვარი მწერი, ბუზი და სხვა უსუფთაობა იყო. პური შავი, მიწის ფერი თითქო ტალახია აზელილიო, გატეხდი და შიგ პურში ბუზი, ჩხირი, ტარაკანი, თოკი, ნაფოტი და სხვა. მაგრამ ზეიცერს ასეთი საჰმელი მაინც კარგად მიაჩნდა და თავის მეფურნეს*) მუდამ ეჩხუბებოდა რომ კარგ პურს აცხობ და შეგირდები ბევრს სჰამენ და ამით ზარალი მეძლევავო.

ახლა ამას დაუმატეთ დღეში 16—18 ს. სამუშაო დრო და შეგირდების საცხოვრებელი ბინა, ძაღლ ჩარდახში. ცარიელ ფიცრებზე ყრა ან და ბურბუშლა იყო მათი ლოგინი, მაშინ ნათლად წარმოიდგენს მკითხველი, თუ რა იქნებოდა შეგირდების ყოფა-ცხოვრება-ზეიცერის ხელში.

აი, ამ მდგომარეობაში მყოფი შეგირდები, ხანგრძლივ მუშაობით დაქანცულ დამშეულები, რასაკვირველია, ათას გვარ უზნეო და უგვან საქციელს ჩაიდენდენ, და თუ ზაფხული იყო, ღამ-ღამობით მოედებოდენ, მიხეილის ქუჩაზე ხილიან ბაღებს, იპარამდენ ხილს, ეზიებოდენ ტოპრებით და პურზე სცვლიდენ და ამით დრო ებით მაინც იძღობდენ დამშეულ კუჭს, თუმცა ბევრს იაფათ არ უჯდებოდა ასეთი საქციელი და ამისთვის, ხან მებაღე, ხან პოლიცია და ხან თითონ ზეიცერი სჯიდა და ლაზათიანად მიზელამდა ხოლმე შეგირდს. თუ რა აიძულებდა შეგირდს ქურდობა ჩაედინა, ამას კი არავინ კითხულობდა; შეუბრალებლად სცემდენ შეგირდებს.

ასეთ შეგირდს, ხშირად ატუსაღებდა თვითონ ზეიცერი, ფაბრიკასთანვე ქონდა თავის შეგირდებისთვის სატუსაღო, დამნაშავე, მშიერ-მწყურვალ შეგირდს 3—4 დღით ამწყდევდა, ან პოლიციას გადასცემდა ხოლმე. და სწორეთ ეს იყო მიზეზიც, რომ 1878 წელს 1 ენ-

*) მეფურნე თავის სახლში ყვანდა, მხოლოდ საქმე იჯარით ქონდა გაცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენისთვეს შეგირდები გაიფიცნენ. 9 თვის განმავლობაში წარმოებულმა კავშირის ენერგიულმა მუშაობამ დიდი გავლენა იქონია შეგირდებზედაც და ბაღებში სიარული და ქურდობაც მოაშლევინა, და უფრო მოფიქრებულ ზნეობრივ გზაზედ დააყენა შეგირდები, და ეს გზა კი იყო შეგირდების შეგნებულათ პირველი გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა კავშირის კომისია; ხაზეინს ასეთი მოთხოვნილება წარუდგინეს:

1) თითეულ შეგირდს მიეცეს პურის ფულად დღეში 20 და 30 კაპეიკი.

2) თვითეულ შეგირდს ეძლეოდეს ტანისამოსის ფულად 2 მან. და 50 კაპ. თვეში.

3) ზასეტკისაც *) ფულათ ეძლეოდეთ ყველა მუშებს.

4) რომ აეკრძალოთ შეგირდებს კვირა უქმობით მუშაობა.

5) და მიეცეთ ნება შეგირდებს, რომ თავისუფალ დროს წიგნები და გაზეთები იკითხონ და ვინც არ იცის კითხვა, მცოდნე ამხანაგებმა ამეცადინონ წერა-კითხვის არ მცოდნე ამხანაგები.

ასეთი მოთხოვნილება შეგირდებისა ხაზეინმა დააკმაყოფილა და სამი კვირის ხარჯი შეგირდებისა, (რომლებიც ნისიათ ხარჯამდენ მედუქნებიდან) 80 მანეთი მედუქნემ გადაახდევინა ზეიცერს, და სამი კვირის შემდეგ, გაფიცვაც დამთავრდა შეგირდების გამარჯვებით ეს ზეიცერის ფაბრიკაში პირველი გაფიცვა იყო, მარტო შეგირდებისა, 1878 წელს იმავე წელს თებერვლის 15 მეორე საერთო გაფიცვა მოვაწყეთ ზეიცერის ფაბრიკაში ყველა მუშებმა.

ამ წლებში ზეიცერს დიდძალი საქმეები ჰქონდა შეკვეთილი, როგორც საბელმწიფო, ისე კერძო პირებისაგან განსაკუთრებით საბელმწიფო საქმეებს ძალიან აჩქარებდენ. ამ დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა, ხაზეინიც ცდილობდა, რომ მუშების ხან-გრძლივათ ემუშავნათ, შეკვეთილი ჩქარა ჩაებარებინა, ამიტომ სამუშაო დროს ერთი საათი მოუმატა. თუ წინად მუშა დღეში 15 საათს მუშაობდა, ეხლა 16 საათი სამუშაო დრო გაუხდა და ხელფასი კი ისევ ძველი რჩებოდა, ამასთან წინად თუ დილის 5 საათზე იწყებოდა მუშაობა და ღამის 8 საათზე თავდებოდა, ახლა 4 ს. იწყებოდა და ღამის 8 საათამდის უნდა ემუშავნათ, ამ 15—16 საათში მხოლოდ ერთი საათი დასვენება იყო, ეს კი მეტად მძიმე და აუტანელი ხდებოდა მუშების ჯანმრთელობისთვის, და სწორედ მიზეზიც ეს იყო, რომ 15 თებერვალს 1878 წელს, კავშირის კომისიის ხელმძღვანელობით ზეი-

*) ზასეტკა ღამის მუშაობის დაწყება იყო და ხაზეინი მუშებს ვაზშაში უქმოთავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცერის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეთ და ხაზეინს ჩვენი მოთხოვნილებაც წარუდგინეთ *).

მუშების მოთხოვნილება ასეთი იყო: 1) რომ სამუშაო დრო ისევ ძველი დარჩენილიყო,—დილის 5 საათიდან ღამის 8 საათამდე. მხოლოდ საუზმისთვის $^1/_2$ საათი და სადილისთვის $1^1/_2$ საათი; 2) დღიურ მუშას ჯამაგირად ეძლეოდეს 1 მან და 50 კაპ. 3) ვინც ნაჭრობით მუშაობს მას 1 მან. 20 პროცენტი მიემატოს. 4) აგრეთვე ყველა მომუშავეებს, ნაჭრათ მუშაობენ თუ დღიურად, მათი გაკეთებული საქმეები წიგნაკებში უნდა იწერებოდეს, და ყველა ანგარიშის წიგნაკები, თითონ მუშას უნდა ჰქონდეს ხელში. მუშების ასეთი მოთხოვნილება არ მოეწონა ხაზეინს. საქმე ეჩქარება, მუშები არ მუშაობენ... ამ დროს ზეიცერმაც ნაცად ხრიკებს, პოლიციას, მიმართა და 4 ამხანაგი დაგვიპატიმრეს. სახელდობრ: 1) მიხა, 2) კასრაძე, 3) ნიკო მეგრელი, 4) სილიბისტრო, (რუსი იყო, პარკეტჩიკი, ვგვარი აღარ მახსოვს). ეს უკანასკნელი უძალიანდებოდა პოლიციელებს, ამ დროს ის მუშა მეორე სართულიდან პოლიციელებმა გადმოაგდეს და ცოცხალ-მკვდარი საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ მოკვდა, ვინაიდან მძიმედ იყო დაშავებული თავში.

გაფიცვა მაინც გრძელდებოდა, გაფიცულთა შორის იყო 30 მუშა და კარგადაც ეჭირათ თავი, მაგრამ დანარჩენი 70 შეუგნებელი კი ისევ განაგრძობდა მუშაობას, ესენი ღალატობდენ გაფიცულ ამხანაგებს, მაგრამ მოღალატე მუშებს გაფიცულ მუშებმაც არ აპატიეს და სამი მათგანი ლაზათიანად მიბეგვეს.

ამ ამბავს რომ შეხედეს სხვა მუშებმა, ესენიც შეშინდენ და ყველა მუშებმა სამუშაოს თავი მიანებეს და გაფიცულებს შეუერთდენ; ამან უფრო აღელვა ზეიცერი და აღარ იცოდა რა ექნა, გაჯავრებული სახლიდან წავიდა და მთელი დღე და ღამე სახლში აღარ დაბრუნებულა, მხოლოდ მეორე დღეს დილის 4 საათზე მთვრალი მოვიდა და სამუშაო ზარებს დაუწყო რეკვა; ბევრ ქარგალ შეგირდს ხაზეინისგან ჰქონდა დაქირავებული ბინა და იქვე ცხოვრობდა. ზარის ხმაზე მუშები არ გამოვიდნენ, რადგან გაფიცულები ივვნენ. გაჯავრებულმა ზეიცერმა ხელში აიღო ირმის ფეხზე გაკეთებული მათრახი, შევარდა მუშების ბინებში და უწყალოდ დაუწყო ცემა-ტყეპა ქარგალშეგირდებს, სცემდა ტიტველა, პერანგა ტანზე და ტიტვლებიივე ბინებიდან გარეედ გამოყარა, ამან უფრო გაამწვავა და აღელვა გაფიცული მუშები და ერთი უბედურება დატრიალდებოდა, რომ ისევ შეგნებულ მუშებს არ დაემშვიდებინათ გაფიცული მუშები, პოლიციაც დიდ მამაცობას იჩენდა გაფიცულთა დატუსაღებაში და მუშების გაფანტვაში.

*) გაფიცვები მაშინ ეკონომიურ ნიადაგზე ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფიცვის მესამე თუ მეოთხე დღეს ერთი კვარტალი თავის დესეტნიკით და ნოქარი მ. მამაცაშვილით, რომელიც მონა-მორჩილი იყო ზეიცრისა, ხაზეინმა მიიწვია თავის ოთახში მოსალაპარაკებლათ. საღამოს 3—4 საათი იქნებოდა, რომ გაფიცულებიც იქვე ფაბრიკის მახლობლად შეკრებილიყვნენ ტრაქტირში ჩაის დასალევათ, და თანაც მოლაპარაკება ჰქონდათ, თუ როგორ განეგრძოთ გაფიცვა და როგორ ებრძოლათ გამარჯვებამდის. სწორედ ამ დროს შემოვიდენ ტრაქტირის ეზოში ზეიცერის ნოქარი და კვარტალი, და მიმართეს გაფიცულებს, რომ ხაზეინი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ორშაბათს განვაგრძოთ მუშაობა. ამაზე გაფიცულ მუშებმა უპასუხეს,— თქვენ და ხაზეინსაც კარგათ გიცნობთ, თუ რაც გული შეგტკივათ ჩვენთვის თქო. ჩვენ მუშაობას არ დავიწყებთ, სანამ ხაზეინი ჩვენს მოთხოვნილებებს არ დაკმაყოფილებს და ჩვენ დაპერილ ამხანაგებს არ გაანთავისუფლებთო, მანამ კი ფაბრიკაში ფეხსაც არ შევდგამთო.

ნოქარმა კიდევ გაიმეორა, რომ ხაზეინი ყველა თქვენს მოთხოვნილებაზე თანახმაა, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ მიხ. ჩოდრიშვილს სამუდამოდ არ დაუშვებს ფაბრიკაში.

მაგრამ მუშები მოითხოვდენ, რომ ყველა მუშები იქნენ დაშვებული სამუშაოზედ.

ნოქარმა კიდევ გაიმეორა, რომ მიხას გარდა ხაზეინმა თქვა ყველამ ხვალ დილით 10 საათზე მოდით კანტორაში და ფასებსაც ჩაგიწერთ წიგნაკებში და დარჩენილ ჯამაგრისაც მიიღებთო. მუშები წიგნაკში ჩაწერას იმიტომ მოითხოვდენ, რომ ბევრი წილი მომუშავე ნაჭრობით მუშაობდა და ფას დაუწერავ საქმეს რომ გაათავებდა მუშა, ხაზეინს როგორც სურდა ისე გაუსწორდებოდა. ასე რომ, თუ მუშას ერგებოდა დღიური ანგარიშით ნაპერზე 30 მანეთი, ხაზეინი აძლევდა 15 ანუ 20 მანეთს. ასე გაფიცულმა მუშებმა ხაზეინს დააყრევინეს ფარ-ხმალი. მუშების მოთხოვნილებაც დაკმაყოფილეს, დაპერილი ამხანაგებიც გაანთავისუფლეს, სამუშაო ხელფასიც მომატებინეს, წიგნაკებშიაც ჩაწერინეს და ორშაბათს მუშაობაც განაახლეს, მაგრამ მე კი ალარ დამიშვა სამუშაოდ ხაზეინმა, რადგანაც მე მისთვის საშიშარ პიროვნებას წარმოვადგენდი.

გავიდა დრო და ზეიცერმაც სახელმწიფო და სხვა საქმეები პატრონებს ჩააბარა. ახლა კი დრო იშოვნა და შური იძია ურჩ მუშებზე და დაიწყო თავისებურათ მუშების წვალება ხან-გრძლივი მუშაობით, ფასების დაკლებით და ისევ ძველი წესების შემოღებით. უმთავრესად კი იერიში მიიტანა მოწინავე მუშებზე და თითო-თითოთ დაითხოვა. ზოგმა თითონ დაანება თავი ფაბრიკას, ასე რომ, კავშირის წევრთაგანი ორიოდე კაცი-ღა დარჩა ფაბრიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათხოვნილთა უმრავლესობამ თბილისის სხვა და სხვა ქარხნებ სახელოსნოებში დაიწყეს მუშობა, თბილისის სხვა და სხვა ქსრხნ-ების მუშებიც შეეერიდენ ზეიცერთან ყოფილ მუშების კავშირს და შემდეგ შეგვექმნა ერთი მთლიანი შეკავშირებული მუშათა ფრონტი, ზრდა განვითარების პროცესში მყოფ წვრილ ბურჟუა მეკლეფავების წინააღმდეგ, რომელიც დამთავრდა იმით, რომ ხაზეინებმა ყველგან შემოიღეს 14 საათის სამუშაო დღე და თან ჯამაგირების გადიდებაც გაატარეს ცხოვრებაში.

1878 წელს გაფიცვის გამო ზეიცერის მიერ დათხოვნილმა, მე, დავიწყე მუშობა ონანოვის სადურგლო ფაბრიკაში; ეს ფაბრიკა იყო მოწყობილი თავის მანქანებით და ეკავა დიდი ფართო ალაგი, დიდი მთავრის ქუჩადან, მიხეილის ქუჩამდის, ცენტრალურ ფშოტის პირდაპირ. მაშინ ამ ონანოვის ფაბრიკას ნარდათ ჰქონდა აღებული კავკასიის საზოგადოების აფთიაქის მთავარი საწყობის გაკეთება და მეც ამაზე, რამდენიმე მუშა ამხანაგებთან ერთად, ვმუშაობდი.

ასე, შუადღის სადილის და სამუშაო გუდოკი რომ აუშვეს და ჩვენც ჩვენს დაზგებს (სტანოკებს) რომ მივაშურეთ, ერთბაშათ ასტ-ყდა ყვირილი და მაშინაც გააჩერეს, მაგრამ გვიანლა იყო, აქ მოხდა ერთი შემაძრწუნებელი და შემზარავი ამბავი, სხვათა შორის ამ ფაბ-რიკაში, მცირე წლოვანი მუშებიც შეგირდათ მუშაობდენ. მათი მოვალეობა კი იყო პაკლით ხელში მაშინების წმენდა, ზე-თის წაცხება. აი სწორედ ამ დროს ერთი შეგირდი მაშინას ზეთს ასხამდა, რომ მაშინის რემენმა შეგირდის ფართუკი ზედ დაიხვია და ეს ბიჭი, რამდენიმეჯერ მაშინის ჩარხებს ზედ მიაწყვიტა და მი-ნამ მაშინას გააჩერებდენ, ბიჭი მაშინის ჩარხებმა ნაჭერ ნაჭერად დაგ-ლიჯა. ამ პატარა მუშის სხეულის ნაჭრები შეკრიბეს, ერთ იაშიკში ჩაწყეს და იქვე საავათყოფოში გაგზავნეს, და შემდეგ მშობლებს შე-ატყობინეს. ბიჭი გორის მაზრიდან—სკრიდან ყოფილიყო, 15 წლისა, სახელათ ვანოს ეძახდენ, გვარი არ მახსოვს.

მესამე დღეს მკვდარი ბიჭის მამა მოვიდა ხაზეინთან. უბედუ-რათ დაგლეჯილ დაფლეთილი გლეხი საშინლათ თავში იცემდა და ტიროდა, ხაზეინმა გლეხს 10 მანეთი მისცა და უთხრა აპა დამარ-ხეო და ეს იყო და ეს, გლეხი კი თავში იცემდა და გულსაკლავად მოსთქვამდა: ვაიმე შვილო, რაღა ამბავი წავიღო სახლშიო, 10 მა-ნეთი დაფასდა შენი სიცოცხლეო და სხვა.

და რომ აღარ ცხრებოდა გლეხი და თავპირში იცემდა, ამ დროს ქარხნის გამგე მივიდა გლეხთან და უთხრა, სამარხი ფული ხომ მოგცეს, წადი და დამარხე, სხვა რაღა გიშდა, ალბათ მაგის ბე-დის წერა ესა ყოფილაო, აპა ტირილით რაღას უშველიო, აი ასეთი გულ შემატკივრობით გაისტუმრეს საბრალო გლეხი ხაზეინებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ეს ამბავი ავწერე და წავიღე გაზეთ „დროების“ რედაქციაში. რედაქცია იყო გოლოვინის პროსპეკტზე, ახლა რუსთაველის ქუჩაზე, ზუბალაშვილის სახლში და გამოდიოდა ს. მესხის შემდეგ, ვანო მაჩაბლის რედაქტორობით. ვანო მაჩაბელმა დამინახა თუ არა რედაქციაში შესული, გამარჯობა თითონ დამასწრო, რადგან მიცნობდა და მომაძახა; აა, მიხას გაუმარჯოსო, უთუოდ წერილს მომიტანდი რამის შესახებ არა? კვლავც მიმქონდა საგაზეთო წერილები და ალბათ ეხლაც იმიტომ შემეკითხა წერილის მიტანაზე, და აგერ წერილიც გადავეცი, და რომ წაიკითხა, უცბათ წერილი ხელიდან გავარდა და თითქო ცივი წყალი გადაასხეს თავზეო, ერთბაშათ შეკრთა. უჰ რა საშინელებაოო, მერე რა ქნა გლეხმა? რა ქნა და დაღონებულ-დამმარებული გაისტუმრეს საცოდავი გლეხი და წავიდა; ჰო და ასეთია მუშების და გლეხების მდგომარეობაო, გაიმეორა რამდენიმეჯერ ვანომ. რა საშინელებაა, რა საშინელებაა, და შემდეგ მითხრა, ხვალვე გაუშვეებ გაზეთშიო, მე კი მითხრა ცოტა მოიცადე აქ პატარა საქმეები მაქვს გასაკეთებელიო.

და სწორეთ ამ დროს შემოვიდა ალექსანდრე ყაზბეგიც და ერთი გლეხი, რომელმაც მაჩაბელს გადასცა თავის დაწერილი ლექსი, მაჩაბელმა წაიკითხა მაღალის ხმით, ასეთი სათაურით

გლეხის ჩივილი.

აგრეშც დავსილა მოხელე, გლეხის აგეთი წვალებით,
ნურც მისცემიათ სიკეთე, ქვეყნის ასეთი წამებით,
რაც რამ მებადა ჩემს ოფლით, ნამაგდარი წვალებით,
სოფლის მოხელემ წამართვა, წლით-მეძეხილი წამებით.

სოფლად გვეწვიეა მოხელე, მოგვთხოვა ფოშტის ფულიო,
ქათამ ბატკანი დამიკლეს, არ მასუნთქინეს სულიო,
ერთი ხბო მყანდა გაყიდეს, მითაც მამიკლეს გულიო,
ამიწიოკეს სახლ-კარი და ძლივსა შემრჩა სულიო,

კითხვა რომ გაათავა მაჩაბელმა, ყაზბეგს შეეკითხა—ჰა სანდრო, როგორ მოგწონს ეს ლექსიო. რაიცაა, გლეხის ცხოვრებაში, იგიც იმას ჩივისო, უპასუხა ყაზიბეგმა,

მაჩაბელი კი მოუბრუნდა გლეხს და შეაქო: ყოჩაღ ჩემო გიო, ძალიან კარგი ლექსია, ეცადე და ხშირად წერე ხოლმეო.

მერე რამდენიმე გაზეთის ნუმრები მისცა გლეხს და გაისტუმრეს. შემდეგ ყაზბეგმა გადაშალა ხელთნაწერი რეეულები, არსენას პიესა და დაიწყო კითხვა, და შიგა და შიგ აჩერებდა და შენიშვნებს უკეთებდენ პიესას და ასწორებდენ, და როცა გაათავეს პისესის კითხვა, ყაზბეგი შეეკითხა ვ. მაჩაბელს ვანო, შენ იმოდენა შენიშვნები მომეცი, რომ ზოგიერთ მოქმედების ხელ მეორედ გადაწერა მომიხდებაო. მერე რა უყოთ, უპასუხა მაჩაბელმა, პიესა სინამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვილეს უნდა შეეფერებოდეს და გინდა ხუთჯერაც რომ მოგიხდეს გადაწერა, ამით არაფერი დაშავდება ჩემო სანდრო.

ვანო? წუღან გლეხმა რომ ლექსი გადმოგცა და მეც წამიკითხე რამდენი შეცდომები და რითმასაც მოკლებულია, მაგრამ შენ მაინც აქებდი და არავითარი შენიშვნაც კი არ მიგიცია.

მართალი ხარ სანდრო, უნდა იცოდე, რომ იმას თუ შენიშვნა არ მიაცეცი ის უსწავლელი გლეხია რაც მას უნახავს და აწუხებს ის დაუწერია და თუ ეს ლექსი ვერ არის გარითმული მე და შენ გავასწორებთ და გაზეთშიც გაუშვებთ და ის გლეხი რომ წაიკითხავს უფრო ხალისი მიეცემა და შეეჩვევა წერა-კითხვასაც კარგა, შემდეგ შეუცდომლათაც დასწერავს რაც უნდა და ახლა კი, რომ დაგვიწუნებინა და მიგვეთითებინა შეცდომაზე, გული გაუტყდებოდა და წერა-კითხვასაც თავს დანებებდა და ასეთი ჩვენი მოქცევით კი უფრო წახალისდება და სხვა გლეხებიც მიბაძავენ და ისინიც წერა კითხვას ისწავლიან, შენ კი ჩემო სანდრო ნასწავლი, განათლებული კაცი ხარ და მე მგონია, რომ არც სათაკილო უნდა იყოს შენთვის, შესაძლოა შენდა უნებურად რამე შეცდომა შეგებაროს წერაში. მერე რა უყოთ შილერი გამოჩენილი მსოფლიო დრამატურგია, და მე მგონია იმასაც შეეპარებოდა შეცდომა, მაგრამ უეჭველია შემდეგ ასწორებდა კიდეც, და ამ შენს პიესა არსენასაც სულ მცირე შესწორება სჭირდება და იმედია ამის შესწორებაც შენთვის სრულიად ადვილია და კიდეც შეასწორებ, მართლაც რომ თანამედროვე პიესა იქნება ჩვენ ცხოვრებაში და პირველ ალაგსაც დაიჭერს ჩვენ თეატრის სცენაზე... მერე ფრანგულად დაიწყეს ლაპარაკი და მეც წაველ.

ამ 1878 წელსვე ჩვენ მუშათა კავშირმა გავიგეთ, რომ თბილისში არსებობს ჯგუფი ინტელიგენციისა, სახელდობრ, „ნაროდნია ვოლია". ამ ჯგუფში შედიოდნენ 1. ს. ჭრელაშვილი, 2. ვ. ჯაბადარი, 3. გ. ზდანოვიჩი, 4. შ. ბილანიშვილი, 5. ვ. ჩერქეზიშვილი, 6. ვ. რცხილაძე და სხვები; ამ ჯგუფმა მეც ჩემი მუშა ამხანაგებით მიმიწვიეს და გვიქადაგებდენ საქართველოს წარსულს და აწმყო ისტორიაზე. ერთ ხანათ ფურცელიც გამოუშვეს ქართულ ენაზედ, ფოშტის ქადალდზე დაბეჭდილი 200 ცალი. ეს ფურცელი მე წავიკითხე. და ზოგიერთი ალაგი ამ ფურცლის შინაარსი კარგადაც დამახსომდა, სადაც სხვათა შორის ეწერა, რომ ჩვენ საქართველო ვთხოულობთ, რომ რუსეთსა და საქართველოს ნეფეების ხელშეკრულების ძალით, საქართველოს უნდა დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სამზღვრებიო და სხვა მისი ტერიტორიულ ფარგლებით*), ზემოთ აღნი-

*) რომელსაც უნდა განაგებდეს ქართველი ერი თავისი ნების ფოფით, და დამოუკიდებლათო. ეს მე კარგად დამახსომდა, თუმცა სხვაც ბევრი ეწერა მაგრამ ვეღარ დავიხსომე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შნულ ჯგუფიდან, ჩვენ მუშებთან კავშირი ჰქონდათ მხოლოდ ვ. რცხილაძეს ს. ჭრელაშვილს და შ. ბალანიშვილს.

ეს ფურცლები 200 ცალი ვასო რცხილაძემ მე გადმომცა გასავრცელებლათ და ისიც მითხრა, რომ საღამოზე მასთან მივიდე, რომ ფურცელი გამომატანოს ილ. ჭავჭავაძესთან. ვასო რცხილაძე მაშინ სოლოლაკში ცხოვრობდა, და მისთვის უნდა ამბავი მომეტანა თუ როგორი შეხედულობა ექნებოდა ფურცელზე ილია ჭავჭავაძეს. მაშინ ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა ეუკოვის ქუჩაზე, ნინოს სახელობის ქალაქის სკოლის პირდაპირ. ილიამ მე ციცად მიმიღო როგორც უცნობი და როგორც მუშა, მუშის ტანისამოსში მყოფი, და არა ინტელიგენტურად გამოწყობილი. მე ილიას გადავეცი კონვერტში ჩადებული ფურცელი სწრაფად იმ მოსაზრებით, რომ არ ეფიქრა რაიმე სათხოვარი და შემაწუხებელ საქმეზე ვარ მასთან მისული და არა სპეციალურ სურიოზულ რევოლუციონურ საქმეზე. ფურცელი მან წაიკითხა და წამსვე, როგორც სწრაფად მივეცი, ისე სწრაფად დამიბრუნა უკან კონვერტითვე: კონვერტი ღია იყო; კონვერტში იდვა თან მის მიერ ვასო რცილაძეზე მიწერილი პატარა საპასუხო ბარათი; ეს კონვერტი თავისავე წერილით, ჩემს საპასუხო ბარათთან ერთად საჩქაროთ მიუტანე ვასო რცხილაძეს, და თან უთხარ, რომ ეხლავ დაუყონებლივ ჩემთან მოვიდეს, მითხრა ილია ჭავჭავაძემ და გამომისტუმრა კარებამდის.

ბარათი ღია კონვერტში იდეა, მე გულმა არ მომითმინა და წერილის წაკითხვის დროსაც კი მე ილიას შევატყე, რომ მისი სურიოზული, მრისხანე და დაფიქრებული სახე უკვე უფრო გაამრისხანა და ددافიქრა ბარათის კითხვამ, ალბათ არ იამა თქო; საპასუხო ბარათში აღნიშნული იქნება ამ უსიამოვნობის მიზეზი მეთქი და მისი პატარა ბარათი ამოვიღე და გზაში წავიკითხე, აი რას სწერდა ილია: „ვასო, ეხლავ დაუყონებლივ შემოდი ჩემთან. ამასთანავე, აქედან უნდა გითხრა, რომ მეტად ცუდ საქმეს ჩადიხართ, უნდა იცოდეთ რას შვრებით და ვისთან გაქვთ საქმე, ამნაირ ფურცლებით საქართველოს მთლათ დაღუპავთ. არამც და არამ არ გაავრცელოთ ეს ფურცლები, ან კი როგორ ანდობთ ვიღაც უბრალო მუშას ამისთანა დიდ და სურიოზულ საქმეს. გიმეორებთ, თქვენ ასე დაღუპამთ ჩვენ ქვეყანას და ჩვენ ხალხსაც... არა, ერთი მითხარით, მაშინ რას ეტყვით ქვეყანას, რომ ეგ ფურცლები მთავრობის კაცებს ჩაუვარდეთ ხელში, მაშინ საქართველოს ხომ მთლად თავის სამშობლოდან გადაასახლებენ შუა რუსეთში და აქ კი ნაცვლად რუსებს ჩამოასახლებენ ამას თქვენ ანგარიშს არ უწევთ". ამგვარ მკაცრი კითხვებით თავდება ბარათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათი უკანვე ჩავდე კონვერტში და ისე გადავეცი ვასო რაზ-ლაძეს, ვასომ წაიკითხა თუ არა ბარათი, მაშინვე ზეზე წამოდგა, სწრაფულ პალტო ჩაიცვა, თავზე ქუდი დაიხურა და ამ სიტყვებით: „მე ეხლავე მოვალ, შენ არსად წახვიდეო“ გაეშურა ილიასთან, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ვ. რაზილაძე დაბრუნდა უკანვე და მითხრა:

— იცი მიხა, ფურცლების გავრცელება საჭირო აღარ არის...

— რატომ მეთქი შეეკითხე მე.

— ამაზე, მიხა, შემდეგ მოგელაპარაკები; ხოლო ეხლა კი ეგ ფურცლები ან დაწვი ან და სადმე გადამალე.—ასე მომიგო მან, რაზილაძემ, ჩემ გაკვირვებულ კითხვაზე...

მეც ავიღე და ჩემ ბინის ეზოში მიწაში ჩავფალი ფურცლები, მაგრამ რამოდენიმე ცალი ზეზე შევინახე და ჩემი ბევრი ჩხრეკა დაპატიმრების შემდეგ ესენიც დავკარგე,

ჩემს ხსოვნაში ეს პირველი არა-ლეგალური სოციალისტური ფურცლების გამოცემის და გავრცელების ეპიზოდი იყო, მაგრამ ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ქონდა, რომ ასეთი განათლებული პირნი ილია, ვასო და მათი კამპანია ასე შეშინდენ და ფურცლები მიწაში ჩამაფლევინეს. ამან კი ჩემში დიდი ეჭვი დაბადა მათ სოციალისტობაში.

ამის შემდეგ ჩვენი ქარგალთა კავშირი და უფრო უშიშარი და რევოლიუციონურად განწყობილი მუშები ჩამოვშორდით ზემოთ ხსენებულ ჯგუფს.

1882 წელს, ჭიჭინაძემ გამაცნო გოლა ჩიტაძე, ბ. მოსეშვილი და ის. რამიშვილი. ამათ რომ გაიგეს „ჩვენი ქარგალი კავშირის არსებობა“ განსაკუთრებით, გოლა ჩიტაძემ, ხშირად დაიწყო ჩვენთან სიარული და მასთან ხშირად ვვიკითხავდა, ნ. ჩერნიშევსკის და პისარევის თხზულებიდან, მუშათა ცხოვრებიდან. თუმცა რევოლიუციონური წიგნები რუსულ ენაზე იყო, მაგრამ გოლა ქართულად კითხულობდა და გვიხსნიდა და გვესაუბრებოდა: ამ სამი პირის გარდა სხვა სემენარისტებიც მოგვემატნენ და შეუდექით მეცადინეობას. მე მაშინ ვიყავ ორგანიზატორად, შეექმენი წრეები სხვადასხვა დარგის მუშებისა, დურგლების, მეჩექმეების, მეეტლეების, მხერხავების, დერეფიკების (თერძი), სტამბის მუშების, და ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებისა, ეს ამბანაგი სემენარისტები დავგყავნდა წრეებში და მეცადინეობდენ, ასე რომ ყველა წრეებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ჯგუფში 80 წევრმა მოიყარა თავი. 1883-4 წლებში ამ ჯგუფის მეთხებით გამოვიდა პირველად ქართულ ენაზედ გეკტოგრაფიულად დაბეჭდილი ბროშიურა „ოთხი ძმა“ რუსულიდან გოლა ჩიტაძის მიერ გადმოთარგმნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე ჯგუფის მეთაურობით ამ წლებში გადმოითარგმნა და გამზადდა დასაბეჭდათ „ორი გენერალი", მაგრამ დაბეჭდა ვერ მოხერხდა. მხოლოდ კლოდგე დაიბეჭდა არა-ლეგალურად.

1884 წელს, მარტის თუ აპრილის რიცხვებში ტფილისში, არსენალის გადმოსწვრივ, ჩემს ბინაზე მოწვეულ იქნა კრება. კრებას დაესწრო 30—40-მდე კაცი... მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე II-რის მკვლელობით შექმნილი მძიმე რეაქცია თბილისში გამძლავრდა, კრებაზედ მოწვეული მუშები მაინც საკმაოდ გამოცხადდენ. კრების დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი; 1) ალექსანდრე II-რის მკვლელობაზე, 2) ლუდხანის გახსნა, 3) სტამბის მოწყობა 4) „ოთხი-ძმის" მეოერედ გამოცემა, 5) გოლა ჩიტაძის ყაზანის უნივერსიტეტში გაგზავნა და სწავლის გაგრძელება. პირველ კითხვაზე ლაპარაკი მოუხდა ისიდორე რამიშვილს, რომელმაც ალექსანდრე მეორის მკვლელობა ჩასთვალა შეცდომათ, ცოდვათ, უტაქტობით. ამის შესახებ გაიხსნა კამათი, ისიდორე რამიშვილის შეფასებამ გაჭიოწვია გოლა ჩიტაძის წინააღმდეგი პასუხი.

— კაცის მოკვლის მოტრფიალე არც მე ვარ მაინცდამაინც, მაგრამ, ამობდა გოლა,—მკვლელობაც არის და მკვლელობაც: კითხვა იმაშია—რანაირი კაცის. ალექსანდრე მეორე იძულებული გახდა ბატონ-ყმური ინსიტუტი გაეუქმებინა; მან ყმები გამოგლიჯა ბატონის ულმობელ ხელებს, ყმები გაანთავისუფლა სულიერად, მაგრამ ხორციელათ კი მაინც ისევ ბატონებს დაუმორჩილა და გლეხები უფრო უარეს დღეში ჩააყენეს, რადგან მიწა-წყალი ისევ ბატონებს და მემამულეებს დაუტოვეს, რამაც უმიწა-წყლო გლეხი უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა. და ამ მდგომარეობამ კი გლეხობა აიღელვა რადგან განთავისუფლებული ყმის მატერიალური მდგომარეობა არ შეცვლილა; მიწა-წყალი, საცხოვრებელი ბინები, მათთვის არ მიუცია და აქ მათი ფიზიკური არსებობის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა და გამწვავდა. „გლეხების" სახელით წოდებული განთავისუფლებული ყმები გამოუსვლელს მდგომარეობაში ჩაცვივდენ და ამან მშრომელი გლეხ-კაცობა ძლიერ აღაშფოთა, მრავალ უბედურების მზიდავი მშრომელი ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და აი, მეფის მკვლელობის ერთი უმთავრესი გამომწვევი მიზეზიც ეს იყო, ამა ახლა თქვენ თითონ იფიქრეთ, ამხანაგებო,—ისეთი კაცი, რომელიც თავის პირად ბედნიერებისთვის სწირავს ყველაფერს, კაცი რომელმაც ათეულ მილიონობით ადამიანებს არსებობის საღსარი მოუსპო, ერთიანად სიღარიბეში და სიღატაკეში ჩაყარა,—განა უკეთეს რამის მოლოდინი უნდა ჰქონოდა?.. განა ასეთი კაცის სიცოცხლის მოსპობა უფრო სამართლიანი არ არის, ვიდრე მილიონიან მშრომელი ხალხის დაუსრულებელი ტანჯვა-წამება დაუსრულებელი სიკვდილი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე დაასრულა ლაპარაკი გოლამ. გოლას სიტყვა მარტივი და ნათელი იყო და ამაზედ კამათი აღარ გაგძელებულა,

გოლა ჩიტაძის საპასუხო სიტყვამ მუშები სრულებით დააკმაყოფილა. მეორე კითხვაზედაც გოლა ჩიტაძეს მოუხდა ლაპარაკი.

— ჩვენ უნდა გავხსნათ ამხანაგებო ლუდ-ხანა, რომ ამის შემოსავლით ვბეჭდოთ და გამოვცეთ ბროშიურა-წიგნაკები მუშათა საკითხზედ და გაეავრცელოთ ფართო მუშათა წრეებში დაასკვნა მან. კრების მიერ მოწონებული იქნა ეს აზრი და გადაწყდა შესდგომოდენ ლუდ-ხანის გახსნას.

მესამე კითხვა, სტამბის მოწყობაც, უკამათოდ, ერთხმად, იქნა მიღებული, რისთვისაც ამირჩიეს მე, ჩემი ძმები და გოლა ჩიტაძე.

დაუყოვნებლივ შევუდექით დაკისრებულ საქმის გაკეთებას. მეოთხე და მეხუთე კითხვაც დადებითად იქნა გადაჭრილი.

საჭირო იყო ცდა მისი მხოლოდ ტეხნიკური მხრით მოგვარებისათვის, თუმცა სპეციალურად დაარსებულ მუშათა წრეებს მათგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჩამოშორდენ ბ. მოსეშვილი და ისიდორე რამიშვილი; პირველმა თავი შეაფარა შავი ქვის მრეწველობას, ხოლო მეორემ მასწავლებლობას მიჰყო ხელი წინამძღვარიანთ საბალოსნო სამეურნეო სკოლაში, მაგრამ ამით წრეებში მეცადინეობა არ შეფერხებულა, სემინარიის და მუშათა ჯგუფის დარჩენილი წრეები ჩვეულებრივ განაგრძნობდენ პოლიტიკურ მეცადინეობას ხსენებულ წრეებში და აღვივებდენ რევოლიუციონურ სულს მუშებში.

კრების დადგენილებები სწრაფად მოდიოდა სისრულეში. სტამბის ნაწილები უკვე იყო ზ. ჭიჭინაძის სახლის უკან მიწაში ჩაფლული, აქედან ჩემი ძმების დახმარებით გადმოვიტანე ჩემ ბინაზედ კუკიაში. მაგრამ ისე დაკანგებულიყო, რომ ერთი კვირის დღე და ღამე ხეხვის და წმენდის შემდეგ მაინც ვერ მოვიდა არსებაში და უკარგისი გამოდგა.

— —

ჩემი ძმების დახმარებით მოვაწყე ხის საბეჭდი სტამბა, მაგიდის ხუფის ქვეშ, რუსულ-ქართული ასოებით. მაგიდის ხუფს დახურავდით, (ასოები შიგვე იყო აწყობილი) იბეჭდებოდა ქაღალდი, ახდიდი ხუფს და დაბეჭდილ ფურცლებს ამოიღებდით. ასე და ამ რიგად, საბეჭდი უკვე მზად იყო, სტამბა თავის საბეჭდ ხის მანქანით და ქართულ-რუსულ ასოებით მოწყობილი იქნა, ორივე ასოები რუსულ-ქართული იყო სულ 26 ფუთი, ბინაც ვიშოვნეთ არქიელის ქუჩაზე, თვეში 3 მან. 50 კაპეიკად, სადაც მოთავსდა საცხოვრებლათ თვით გოლა ჩიტაძეც, ბეჭვდას რომ შევდგომოდით და პირველ რიგში გამოგვეცა „ოთხი ძმა“, ამისთვის საჭირო იყო ფული, და დაარსებულმა მუშათა წრეებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთვის თავიანთ შორის მოაგროვეს 150 მანეთი ჯერ-ჯერობით და შეუდეგით ლუდხანის საჩქაროთ გახსნას; 1884 წელ. ამისთვის შესაფერი ბინაც ვიშოვნეთ, გოლოვნის პროსპეკტზე. (ეხლა რუსთაველის) კოტე ორბელიანის სახლის ქვეშ, სარდაფში, ოთხი ოთახით, თვეში რვა მანეთათ, და აქვე მოწყობილი იქნა ლუდ-ხანაც, ეს ბინა ლუდ-ხანისა კიდეე იმით იყო კარგი, რომ არალეგალურ კრებებსაც, ვმართავდით; ბინა ისე იყო მოწყობილი, რომ გოლოვინის პროსპექტიდან შიგ შესულს საჭიროებისამებრ შეეძლო გამოსულიყო უკანა კარებიდან საპაორის ქუჩაზე.

აქ ხშირად ვმართავდით არალეგალურ, პოლიტიკური ხასიათის კრებებს, მოზარდი, რევოლიუციონურ სოციალისტურ ჯგუფისას. იმ ოთახში, სადაც კრებები იმართებოდა, სხვათაშორას, კედლის ძირში იდგა თუნუქის თასი, პაპიროზის ნამწვის ჩასაყრელად, აი ამ თუნუქის თასს გამობმული მავთული ქონდა თასის სახელურს და გატანილი იყო ლუდ-ხანის დახლის, მაგიდის, ქვეშ ყულფიანი წვერით რომელ ყულფშიც დახლში მდგომს უცბათ შეეძლო ფეხზე წამოეცვა, და თუ ვინიცობაა ვინმე საეჭვო შემოვიდოდა ლუდ-ხანაში კრების დროს, მაშინვე ფეხით მავთულს ყულფს გამოკრავდა ნიშნათ იმისა, რომ კრება დაშლილიყო და უკან კრებიდან წასულიყვნენ.

ასე განვაგრძობდით მუშაობას, მაგრამ დიდხანს აღარ დასცალდა ჩვენ არსებობის დღეების გაგრძელებას, და პოლიციამაც ჩქარა გაგვიგო და დარწმუნდა მაში, რომ ჩვენი ლუდ-ხანა საეჭვო დაწესებულებაა და დაგვიხურა. მეც დამიჭირეს, რადგან შიგ ვმუშაობდი და ლუდ-ხანაც ჩემ სახელობაზედ იყო გახსნილი, გოლა ჩიტაძე კი ამ დროს შემთხვევით იქ არ იყო და გადარჩა დაჭერას, მე კი წამიყვანეს მთაწმინდის პოლიციის ნაწილში, მეორე თუ მესამე დღეს—დაკითხვა-ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გამანთავისუფლეს და ლუდ-ხანაც ამალაგებინა და დაგვაკეტინა პოლიციამ. პოლიციის მიერ ხმარებულმა რეპრესიებმა ჯგუფის ზოგიერთი წევრები დაიფრთხო, ზოგიერთებს კი თუმცა მუშაობა არ შეუწყვეტია, მაგრამ ამ გაკვეთილების შემდეგ უფრო ფრთხილად, უფრო აუჩქარებლად და დინჯათ იწყეს ამ სფეროში მუშაობის წარმოება.

თუმცა კავშირი და დამოკიდებულება ჯგუფსა და წრეებს შორის არ გაწყვეტილა, მაგრამ საერთოდ კი ლუდ-ხანის დახურვით შექმნილმა მდგომარეობამ პირვანდელი რეოლიუციონური მუშაობის ხალისი შეანელა და შეასუსტა.

ამ ხანაში გოლა ჩიტაძესაც მოუხდა გამგზავრება ყაზანის უნივერსიტეტში სასწავლად.

ხსენებული ჯგუფი და წრეები გაიფანტნენ, არქიელის ქუჩაზედ მოწყობილი სტამბაც დაიკარგა, გამოურკვეველი დარჩა, ჩავარდა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სტამბა? ან თუ ვინ დაეპატრონა? და ვინ განაგებდა მას შემდეგ?—ისევ ჩვენი მუშაკები აწარმოებდენ მას თუ ვინმე ჩვენი მტრები? 1884 წლის მიწურულში რამოდენიმე ამხანაგით სამუშაოს საძებნელათ გავეშურე ჩრდილო კავკასიაში.

———

ვლადიკავკაკში სამუშაო ვიშოვნე, ინჟინერ გარცის და ბაორნ შტენგელის სადურგლო ფაბრიკაში, რომელთაც იჯარით ქონდათ აღებული ტიხორეცკიდან ნოვოროსისკამდე რკინის გზის გაყვანა და სადგურების აშენება და შინაგანი მოწყობილება. აქ დავყავ $1^1/_2$ წელიწადი, ხან გზებში და ხან შიგ ვლადიკავკაკის ფაბრიკაში. რადგან ზამთარი იყო, გზაში ვეღარ დავდიოდით და ამიტომ ვმუშაობდით ფაბრიკაში. ამ ფაბრიკაში 40 მუშა მუშაობდა სხვა და სხვა საქმეებზედ. მე კი პარკეტზედ ვმუშაობდი, რადგან იქ ჩემის მეტმა პარკეტზე მუშაობა არავინ იცოდა, ჯამაგირიც სხვებზე მეტი მქონდა. მე განგებ ვიყავ გაწერილი თბილისიდან პარკეტის მკეთებლათ, და პირობაც ისეთი მქონდა, რომ დღეში 11 საათის მეტი არ უნდა მემუშავნა, თუმცა სხვა მუშები დღეში 15 საათს მუშაობდენ და ჯამაგირიც ნაკლები ქონდათ, მე მყავდა თფილისელი 3 ამხანაგი. სახელდობრ ვ. ხალიშვილი, სანდრო ჩოდრიშვილი და ა. ელიავაშვილი, მე მოვაწყე ადგილობრივ მუშების 10 და ჩვენ 4. ე, ი. 14 კაცის წრე. ღამე და კვირაობით წიგნებს ვკითხულობდით. თითქმის უმრავლესობა მუშებისა შემოუერთდა ჩვენ წრეს, ხაზეინმა ჩვენ თბილისელებსაც მოგვინდომა, რომ 15 საათი გავემუშავნა, მაგრამ ჩვენგან მტკიცე უარი მიიღო, ხაზეინმა. ამაზედ ხაზეინმა აკვითვალისწუნა და დათხოვნით დაგვემუქრა, მაგრამ საქმე ხელში გვეჭირა და ამისი სხვისთვის გადაცემა კი უფრო ძვირად დაუჯდებოდა და ამიტომ ხაზეინი საქმის გათავებას უცდიდა, ამით კი ჩვენ ვისარგებლეთ და ორ კვირის შემდეგ, სხვა ადგილობრივი მუშებიც დავიყოლიეთ და გავიფიცეთ; გაფიცვაც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ჯამაგირებიც მოემატათ მუშებს და სამუშაო დროც 11 საათი გახადეს, მაგრამ ჩვენ თბილისელი და ადგილობრივიც რამოდენიმე მუშა დაგვიოხოვეს, რადგან დაწყებული საქმეებიც უკვე გავათავეთ.

———

1886 წელს თბილისში დავბრუნდი და შეველი არსენალის სამხედრო სახელოსნოში სამუშაოდ. აქ დავყავ თითქმის 2 წლამდის, აქაც ცუდი იყო პირობები, ხანგძლივ მუშაობით და ჯამაგირის სიმცირით მუშები უკმაყოფილონი იყვნენ და მითქმა-მოთქმა აღიძრა მუშებში ჯამაგირების მომატების შესახებ და სამუშაო დროს დაკლებაზე: მაგრამ აქაც აღმოჩდენ ზოგიერთი ენატანიები და რამოდენიმე მუშა დათხოვნილ იქნა, და მეც თან მიმაყოლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1888 წელს ბაქოში წაველ და ბაქოს სადგურის გადალმა ვინმე ხუბოვის პარკეტის ფაბრიკაში მიმიღეს რადგან პარკეტზე მუშაობა კარგად ვიცოდი. აქაც არ იყო მაინცა და მაინც კარგი პირობები და აქაურ მუშებს თურმე წინადვე ქონიათ მოლაპარაკება ხაზეინთან პირობების გაუმჯობესობაზე, და მეც გამიზიარეს თავიანთი აზრი, რომ თუ ხაზეინმა არ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნილება, უნდა გავიფიცნეთ და შენც მხარი დაგვიჭირეო, რასაკვირველია მეც თანხმობა განვაცხადე. შემდეგ ჩვენ მუშებმა გავმართეთ მოლაპარაკება ხაზეინთან და მთელი ორი კვირა ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, მაგრამ ხაზეინი არ თანხმდებოდა ჩვენ მოთხოვნას და დაჟერითაც და დათხოვნითაც გვემუქრებოდა. ხაზეინის ასეთ მუქარას მუშები არ შეუშინდენ და ასე უპასუხებდენ ხოლმე: კისერი იყოს, თორემ ფული ყოველთვის იშოვება. და რომ ასე ჯიუტობდა ხაზეინი, მუშებმაც ველარ მოითმინეს და გაიფიცნენ. ამ გაფიცულ მუშებში ხაზეინმა 5 მუშა დაითხოვა და მათ შორის მეც.

1888 წელსავე დავბრუნდი თბილისში და რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვიგონის ცეხში დავიწყე მუშაობა, ვებერას ბრიგადაში, (ვებერა ვაგონი ცეხის ბრიგადერი იყო) აქვე მივიყვანე ჩემი ძმა ზაქრო ჩოდრიშვილი. ამ ხანამდის, რკინის გზა, რომელიც კერძო პირების ხელში იყო, 1889 წელს გადავიდა სახეძწიფოს ხელში. ამის გამო ცეხებში გამოკრული იქნა შემდეგი შინაარსის განცხადება: დღეიდან იწარმოებს მუშაობა დილის 6 საათიდან და გათავდება საღამოს 6 სააათზე, ვინც კი დაიგვიანებს თუ გინდ ეს 5 წუთი იყოს, დაჯარიმებული იქნება ნახევარი დღის ჯამაგირით. აგრეთვე აკორტი თუ წინათ 50 კ. იყო ახლა გახადეს 25 კაპეიკი. ეს მუშებს ერთობ ძლიერ ვვემძიმა— აღგვაშფოთა და მაშინვე თათბირი მოვახდინეთ და სტიქიური გაფიცვა გამოვაცხადეთ *).

ეს გაფიცვა, 1889 წელს, რკინის გზელების ცხოვრებაში პირველი იყო, ხაშურის გაფიცვის შემდეგ. გაფიცული მუშები გავედით დიდუბის მინდორზე და გავმართეთ ერთმანეთ შორის მოლაპარაკება, თუ როგორ მოვიქცეთ, როგორ დაუხვდეთ გათამამებულ ადმინისტრაციის ვერაგობას და მის მექმაგე ჟანდარმ—„ნაჩალნიკებს“.

აგერ ინსპეკტორი, ინჟინერი ვიდინევი, თავის თანაშემწეებით და ჟანდარ-პოლიციელებით, მოვიდენ ჩვენ შეკრებილ მუშებთან და წინადადება მოგვცეს, რომ ჩვენ შორის აგვერჩიეა რამდენიმე ამხა-

*) თუმცა მაშინ მთავარ სახელოსნოში არავითარი ორგანიზაცია არ არსებობდა, მაგრამ, საქმე საერთოდ მუშათა ეკონომიურ ინტერესების ჩამოკვეთილებას ეხებოდა და სტიქიური გაფიცვაც მიტომ მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგი მათთან მოსალაპარაკებლათ. ჩვენ არჩეულ ამხანაგებმა გამართეს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკება. მაგრამ ვერა გააწყეს რა, ერთის მხრივ მოღალატე შტრეიკბრეხერ მუშებთან და მეორე მხრით ადმინისტრაციასთან და გაფიცვა დამარცხდა და რამოდენიმე დღის შემდეგ გაფიცულებმა ისევ განაახლეს მუშაობა, მხოლოდ სამუშაო საათები ძველებურათ დარჩა, ჯამაგირის და აკორტის დაკლება კი დაკანონდა.

ამის შემდეგ მუშების წინააღმდეგ გაძლიერდა რეპრესიები. დაიწყეს ჭერა-დაპატიმრება გაფიცვა-გამოსვლებში შენიშნული მუშებისა. ბევრი მათგანი მეტეხის ციხეში ჩასვეს, ბევრი კი სრულიად გადაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან. გადასახლებულ დაჭერილთა შორის მოხვდენ: შტოროვი, კუნიცკი, ზაიცოვი, კონოვალოვი, იეზოფოვიჩი და სხვები, რომელთა გვარები არ მაგონდება. დაჭერილ გადასახლებულებში იყვნენ რუსობა. მხოლოდ დათხოვნილებში რამოდენიმე ქართველი და სომეხი მუბა. მათ შორის ძმები მიხა და ზაქარი ჩოდრიშვილები.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ლეჟავა

ჩემი თავგადასავალიდან

(მოგონებანი)

16 წლისა ვიყავი, როდესაც ს. დ. მ. პ. ფურცლებს ვკითხულობდი.

1901 წ. მე დიდის ხალისით ვეტანებოდი რევოლიუციონურ მოძრაობას კაპიტალისტების, ფაბრიკანტების და მათი მოსარჩლე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1902 წ. მივიღე თარული მონაწილეობა ხონის სახელოსნო სასწავლებელში მოწაფეთა გაფიცვის მოწყობაში, სადაც იმ ხანებში მეც ვსწავლობდი. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ამხ. ფარცვანია, მასწავლებლებიდან თანაგრძნობით გვეპყრობოდა ამხ. გარდავაძე (მერე მეხშვეიკი გახდა).

გაფიცვა თითქმის უმნიშვნელო შედეგათებით დამთავრდა. ადმინისტრაციის ცდა მეთაურების სასწავლებლიდან გამორიცხვისა მოწაფეთა მიერ გაფიცულთათვის მხარის დაჭერის გამო უარყოფილ იქნა, ხოლო ამხ. ფარცვანია და ფირცხალავა ცუდი ნიშნების სისტემატიური დასმით აიძულეს სასწავლებლიდან წასვლაზე.

სახელოსნო სასწავლებელი დავამთავრე 1904 წელს.

სამსახურში დავდექი „ერიქსონის“ ფირმის თბილისის განყოფილებაში მხაზავათ. თვალების ტკივილმა და ჩემს ირგვლივ მუშური მასის არ ყოფნამ ოთხი თვის შემდეგ მაიძულა იქედან ფიზიკურ მუშაობაზე გადავსულიყავი. ვმუშაობდი ხუბალოვის სახელობის სახალხო სახლში—კიროჩნი ქუჩაზე, იმისვე, სახელობის „ინვალიდთა“ სახლში—სუდენი ქუჩაზე და ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში. ყველგან ვმუშაობდი წყლით და ორთქლით გასათბობ მილების გაყვანაზე და ქვაბების დადგმაზე. ენფიანჯიანცის ქარხანაში მუშაობის დროს გავეცანი იქაურ მუშების მოწრინავე ამხ. პ. მემარნიშვილს. მისი საშვალებით რამდენჯერმე დავესწარი ფარულ კრებას როგორც ენფიანჯიანცის, ისე იარალოვის ქარხანაში. მისივე საშვალებით ვლებულობდი ლიტერატურას, რასაც ჩვენი საქმის მუშების ნაწილშიაც ვავრცელებდი.

1904 წლ. ბოლოში იქიდან შევედი რკ. გზის დეპოში—თბილისში. გამოსაცდელი ნიმუშის კეთებიდანვე ამხანაგურად მომეპყრნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები გ. მარსაგოვი (მოკვდა გორის ციხეში) აზმაიპარაშვილი სოლ., ნარიმანიძე ვასო, ძმანი ჯაველიშვილები და სხვა. ესენი იყვნენ ს. დ. მუშები. ამ დროიდანვე მე დავიწყე აქტიური მუშაობა: ვავრცელებდი ფურცლებს, მოწოდებებს. ათის თავად არჩევის შემდეგ ეკრებდი ფულს. იქვე ამხანაგებმა შემოყვანეს წრეში; მაშინ წრეები ორგვარი ხასიათისა იყო. კრებები ხშირად ხდებოდა ფაფულად. წრეში ჩვენთან მაცადინეობდნენ ს. ჯიბლაძე, ა. ჯაფარიძე, ნოე ხომერიკი („ხუნხუნი") მახსოვს ერთხელ კამენევის მოსვლაც (მაშინ მისი გვარი არ ვიცოდით, ეხლა მისი სახე მაგონდება). საშოქალაქო დაკრძალვის შემდეგ ამხ. ქალისა, (რომელიც 10 დღის ძიღის შემდეგ სამხედრო ექიმის მიერ ქეზაფის მარცხენა თვალში და ძუძუში ჩასხმით გარდაიცვალა) „წმ. ნინოში", ჩვენ თავს დაგვესხნენ კაზაკები, რომელნიც ქვებით უკე ვაქციეთ მუშებმა და არც ერთი ახანაგი არ დავანებეთ.

შემდეგ ასისთავათ ვიყავი არჩეული და მუშათა წრეებში ფულს ვაგროვებდი. შეკრებილ ფულს ჩემგან დ. დვალი ღებულობდა. მეორე წრე პროპაგანდისტების მოსამზადებელი უფრო შერჩეული იყო და მე იქ ჩქარა გადამიყვანეს. ეს 1905 წელს იყო. მახსოვს დიდი კამათი „მუშების დრუჟინის" შედგენაზე. ზოგნი ასეთ დრუჟინას საჭიროდ არ სცნობდნენ. ზოგიც საჭიროდ და აუცილებლათაც. გ. მარსაგოვის მეთაურობით შესდგა ასეთი „დრუჟინა", რომელშიაც ვიყავი სხვასთან ერთად მეც. იყვნენ: დათიკო ოდიშარია, ციმაკურიძე, ჯაველიშვილები, „ტილა" და გიორგი,—მთავარ სახელოსნოდან. მახსოვს „ტოგო" და ერთი ბობრი ამხ. (გვარი დამავიწყდა). შეიარაღებული ვიყავით სმიტ-ვესსონი № 9, მერე № 12 და ბომბებითაც.

მე დეპოში აქტიურად ადგილობრივ კრებებზედაც გამოვდიოდი ადმინისტრაციის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას ბოზარჯიანცის ქარხნის ნაწარმოების გასაღების საწინააღმდეგო „ბოიკოტის" ჩატარებაში. რითაც მხარს ვუჭერდით ამ ქარხნის მუშათა გაფიცვას.

1905 წ. მსუბუქათ დამჭრეს ბარცხენა ფეხში ქალაქის თვითმართველობაში კრების გარეკვისა და ხალხის დაჟლეტის დროს. 1905 წლის საერთო გაფიცვაში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი. „მტრეიკ ბრეხერების" დაზვერის დროს მე ამხ. გ. ჯაკაბაძესთან ერთად სად. თბილისში დამატყვეეს და სამი დღის შემდეგ გამიშვეს. „ჟეშმარიტ რუსთა კავშირისაგან" მუშური უბნების—დიდუბის და ნაძალადევის აკლების მოლოდინში რიგ-რიგობით ღამე-გამოჭრილი 9 ამხ. დილით ადრე ჩამოვასვენეთ გ. მარსაგოვთან ერთად და დემონსტრატიულად დავკრძალეთ „ძმათა სასაფლაოზედ".

წინად დატუსაღებულნი და გადასახლებიდან ჩამოსულნი ამხ. გ. ჩხეიძე და არ. ოქუაშვილი ჩვენთან იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906 წლამდე, სამხედრო სამსახურში გაწვევამდის, გაურკვევლობის გამო მე ს. დ. მ. ჰ. მენშევიკურ ფრაქციას ვეკუთვნოდი. მაგრამ ამ დროშიაც არ ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ გაფიცვებით და ვიზიარებდი უფრო გადაჭრითი ბრძოლის საშუალებებს, მაგ. ჟანდარმერიის და პოლიციისთვის იარაღის აყრას, ფაბრიკა-ზავოდების მუშების ხელში გადასვლას და სხვა, მახსოვს დიდი კამათი ნაძალადევში გ. გერსამიას ბინაზე „დიდი“ და და „პატარა“ წრის გაერთიანებულ კრებაზე დელეგატის არჩევის შესახებ (რომელიც ლონდონის გაერთიანებულ ს. დ. ყრილობაზედ უნდა გაგვეგზავნა) ჩვენ მემარცხენეებს ჰ. წულაიას გაგზავნა ან გვსურდა, მაგრამ წრიხ უმრავლესობამ ის გაიყვანა. მთავარ სახელოსნოდან მგონი ერაძე („ბრო დიაგა“) გაგზავნეს.

1906 წელს ჯარში გაწვევის დროს ქ. ქუთაისში ახალგაზრდა ჯარის კაცთა დიდ დემონსტრაციის მოწყობაში და ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი. ვოგზლამდის დაუბრკოლებლივ მოვედით წითელი დროშებით, ვოგზალში ამხანაგებმა ჟანდრებს იარაღი აყარეს, ცოტა ხნის შემდეგ სადგურს კაზაკებმა ალყა შემოარტყეს და იარაღი ისევ დააყრევინეს. ჩვენ 25 კაცი დაგვატუსაღეს. ღამე ვოგზლიდან საუბნო საბოქაულოში წაყვანის დროს კაზაკებმა კონდახებით მთელი გზა გვბეგვეს. —

მე ქ. ბარანოვიჩში მე 2-რე რკ. ბათალიონში მომიწია სამსახური: 1907 წელს სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობის დროს ქ. ბარანოვიჩში ამბ. კრისტოფსკისთან ერთად კრებიდან დაბრუნებისას 22 თებერვალს დეპოს ახლოს ჟანდარმებმა დაგვატუსაღ.ს და საკანონდატოში გაგვჩხრიკეს. იქიდან დატუსაღებული მოგვიყვანეს საპოლკო კანცელარიაში პოლკოვნიკ კალიკსთან. მან ბევრი ყვირილის შემდეგ „დაგხვრეტ“. „სუდში მიგცემ“, „1905 წ. დაგავიწყეთ“ და სხვა, ბადაგვგზავნა სამხედრო ციხეში, სადაც ვიჯექით კრასნოიარელ აჯანყებულ საღდათებთან (ვ. ვოსკრესენსკი, ჩეხოვი, კრასნოვი და ორიც სხვა) ყველაზე უსაძაგლესი ჩვენი როტის კომანდირი იზმაილოვი იყო, მაგრამ მას ჩვენი თვალების ძლიერ ეშინოდა, და ამას ყველას ანახვებდა და ჩვენც აშკარათ გვეუბნებოდა — „ჩემკენ ნუ იყურებითო“. ჩვენ გვაბრალებდენ რკინის გზაზე პროკლამაციების გავრცელებას და აგრეთვე ფარული ორგანიზაციების დაარსებას.

მაგრამ დამპეზღვეველის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც სცემეს, გვარათ ეუკოვი, მონტიორის თანაშემწე დეპოში სამხედრო სასამართლომ 28 აპრილს საქმე მოსპო და „მხედველობის“ ქვეშ გაგვიშვა პოლკის როტაში, მხოლოდ ურთი-ერთს-კი დაგვაშორეს. ყაზარმებიდან არ გვიშვებდნენ და ყოველ ღილას გვჩხრეკდნენ მიუხედავად იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე გვერდით ფელთფებლების და უფროსი უნტერ-ოფიცრების ლოგინები გვედგა.

1907 წ. ივნისიდან მე დამაბრუნეს ჯარიდან „პირველყოფილ მდგომარეობაში", ამავ წლის აგვისტოდან მე თბილისის დეპოში „დროებით" მიმიღეს. მაგრამ მერე სულ იქ დავრჩი. აქ ვმუშაობდი მემანქანის თანაშემწეთ 1912 წლამდის. ამ ხნის განმავლობაში ვღებულობდი მონაწილეობას არალეგალურ კრებებზე, როგორც წინად, ნაძალადევში და უკვე თანავუგრძნობდი ბოლშევიკურ ფრაქციას.

1912 წ. „ჯეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრთა: მემანქანე—**ურუსოვისა** და ხაშურის დეპოს უფროსი—**ილინსკის** დაბეზღებით რკ. გზის ჟანდარმერიამ და სამმართველოს წევრის დარგის უფროსმა—ცამუტალმა სამსახურიდან დამითხოვეს. თვე-ნახევარი თუ ორი თვის შემდეგ დამნიშნეს ალექსანდროპოლში სამსახურში დაქვეითებით ე. ი. დღიური მემანქანის თანაშემწედ. იქ მე ვმუშაობდი ახალ, ჩემთვის ნაკლებად გაცნობილ პირობებში 1915 წლამდის, 1915 წლიდან ვმუშაობდი მივლინებაში ფრონტის პირად სამანევრო ორთქლმავალზე. 1915 წ. მეფე ნიკოლოზის კავკასიაში ჩამოსვლის დროს ჩვენ რამოდენიმე მოსამსახურე რკინის გზის ახლოც არ გაგვაკარეს. შემდეგ-კი ისევ გვამუშავეს თავის ადგილას. 1916 წ. დასაწყისში ჩემი პოლიტიკური წერილი ს. დ. პარტიის კრიტიკის და ფედერალისტების წინააღმდეგი შინაარსისა „თანამედროვე აზრმა" „ტაქტიკური მოსაზრებით არ მოათავსა. სხვა მუშათა დღიურ საჭირ-ბოროტო ეკონომიურ ხასიათის წერილებს ჩემსას „იმერელი მუშის" ფსევდონიმით-კი ათავსებდნენ. მე ვებრძოდი „ობორონცების" პოზიციას იმპერიალისტური ომის საკითხში, გ. პლეხანოვის და ნ. ჟორდანიას მოწოდებას „სახელმწიფოს დასაცავად" გამოშვებულს. მე მაშინვე ამ პოზიციას მუშათა კლასის ღალატს ვუწოდებდი. სარიკაში მაშინ ისე მოწყვეტილი იყო მოძრაობას, რომ არა თუ არავითარი ორგანიზაცია, არავითარ რევოლიუციონურ ლიტერატურას იქ არავინ ღებულობდა. ვიკვებებოდით მხოლოდ ოფიციალური გაზეთით—„თანამედროვე აზრით". იქ, მე ჯარის კაცებთან ბევრჯერ მქონია საუბარი ომის უაზრობაზე. თფილისიდან ჩამოსულ გაყინულ ჯარის კაცთათვის ბევრჯელ მითქვამს, რომ „ომის გათავება მხოლოდ მათივე საქმეა, ეს მათ „დაძმობილებით" შეუძლიანთ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი სიფრთხილით ვიქცეოდით. თებერვლის რევოლიუციის დეპეშებს პირველად ჯარის კაცებს შორის მე ვკითხულობდი. თვითმპყრობელობის ჩამოგდების შემდეგ მესამე დღესვე ალექს-პოლში ვიყავი და საღამოს სახალხო სახლში „მოქალაქეთა და ჩინოვნიკების" საერთო კრების მოწვევის სურვილი გავიგე. მას იწვევდა ქალაქის

თავი ქამსარაქიანი. იქ დასწრებით მე მუშების სახელით ამ კრებაზე მათი სურვილი „თვითმმართველობის“ შედგენისა ჩავფუშე. მე და მოულოდნელათ მოსულმა ერთმა დეპოს მუშამ ტოკარმა (გვარი არ მახსოვს) წინადადება შევიტანეთ მუშათა დეპუტატების არჩევის შესახებ და მანამდის კი მათი კრება უუფლებოთ გამოვაცხადეთ მუშების სახელით.

მეორე დღესვე ჩვენ მოვაწყვეთ საერთო კრება დეპოელ მუშებისა, სადაც ავარჩევიეთ 15 დეპუტატი. მათ შორის ვიყავი მეც. პირველი არჩევნები საერთოდ ს. დ. პ. პლატფორმაზე მოხდა და იქ დაშნაკცუტიუნის პარტიიდანაც მოხვდენ. საერთო საქალაქო მუშათა დეპუტატების კრებაზე იქნა არჩეული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც მე შემიყვანეს. ამის შემდეგ სალდათების საბჭოს და მუშათა საბჭოს გაერთიანებულ აღმასრულებელ კომიტეტში მე და პ. არველაძემ ერთმანეთი კარგად გავიცანით. ამ ხანებში ჩვენ ფრაქციულად ბოლშევიკებად ჩამოვყალიბდით და აქტიური ბრძოლა დავიწყეთ მენშევიკ-ესერების და დაშნაკელების ბლოკის წინააღმდეგ ყოველგან, უმთავრესად გარნიზონის კრებაზე. ბრძოლის პროცესში თანდათან შეეიძინეთ მომხრენი. მოვიწვიეთ თანამგრძნობთა საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც ჩვენი „დროებითი ბიურო“ გავაფართოვეთ და მას ბოლშევიკური პარტიის კომიტეტი ვუწოდეთ. კომიტეტის წევრნი ვაყავით: პ. არველაძე, ალ. გარიბჯანოვი, სალენეკი, ნ. ლეტავა, სტამბოლციანი, ტარახჩიანის ქალი, შატბეროვას ქალი, ამაშუყელი და სხვა ორიც. (1921 წ. გავიგე რომ ამაშუყელი ვამენშევიკებულიყო). იქვე შევადგინეთ რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც შემდეგ საუბნო კომიტეტი ვუწოდეთ. მე აქ თავმჯდომარის მოადგილეთ და ბიუროს წევრად ვიყავი არჩეული. მუშათა საბჭოს მიერ დანიშნული ვიყავი აგრეთვე „ინფორმაციულ ბიუროს“ და გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეთ. ჩვენ შეუდექით ჯაშუშთა და შავრაზმელთა აღმოჩენას, როგორც რკ. მოსამსახურეთა, ისე ქალაქის მუშათა შორის და კიდევაც ბევრი აღმოვაჩინეთ. მენშევიკ-ესერებთან ბევრი კამათის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ 15 ასეთი ყოფილი ჯაშუში და შავრაზმელი დაეტუსაღებინათ. მაგრამ შემდეგ ისინი ტფილისიდან ევგ. გეგეჭკორის ბრძანებით გაანთავისუფლეს. განახლებულ ქალაქის „დემოკრატიულ დუმაში“ არჩევნებისათვის მენშევიკ-ბოლშევიკების ბლოკი არ შესდგა. მენშევიკები მოითხოვდენ სიიდან ჩემი კანდიდატურის ამოფხეკას და მაგივრათ სხვის ჩაწერას. ჩვენმა ფრაქციამ ჰაიკუნის და პ. არველაძის წინადადებით არ დასთმო. მათ ესერებთან არჩიეს ბლოკი. ჩვენ დამოუკიდებლათ გამოველით და კიდევაც მოვიგეთ; გავიყვანეთ 10 დეპუტატი: პ. არველაძე, გარიბჯანოვი, ნ. ლეტავა, შატბეროვას ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ათაბეგოვი და სხვა. მენშევიკებმა და ესერებმა ერთად—12. ე. ი. ექვს-ექვსი. დანარჩენი 36 იყვნენ დაშნაკელები. ცოტა ხნის შემდეგ იქ ჩვენ დავაარსეთ გაზეთი „პრავდა ეიზნი“ რკინის გზაზე შევადგინეთ პატარა ბიურო, რომელშიაც შევდიოდით: მე, თოფჩიშვილი, კოპალეიშვილი, კონსტანტინოვი, მაქსოროვი, ილინი და ორიც სხვა (გვარები არ მახსოვს). ალექსანდროპოლში, ეხლა „ლენინკანია“, როგორც რკ. გზის კომიტეტის წევრი, მორიგეობის დროს გამელელ-გამოველ ჯარისკაცთა ეშელონებში სადგურზე დროებითი მთავრობის (კერენსკი—წერეთელისა) პოლიტიკის წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდას ვეწეოდი. მენშევიკ-ესერებმა და დაშნაკებმა საერთო მოსამსახურეთა კრებაზე ამისთვის ჩემი გასამართლება მოინდდმეს, მაგრამ ჩემი სიტყვის შემდეგ კრება ტაშის კვრით და თანაგრძნობით შემხვდა. მაშინდელი ამ საქმეზე არჩეული „კომისია“ ალბათ ეხლაც „არკვევს“. იმავე წლის ივნისში ვიყავი-რა დელეგატათ ა. მ. კავკასიის რკ. გზელთა ყრილობაზე თბილისში, ვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებს“ ცხარე ტაშით დაჰუარეს. ჩემს შემდეგ გამოსულ სხვა პარტიების წარმომადგენლებს თითქმის სულ არ მოუსვენეს.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღეებში მე ტფილისში გადმომიყვანეს. ვმსახურობდი-რა მემანქანეთ თბილისის დეპოში, თითქმის ყველა კრებებზედ ჩვენი პლატმორმით გამოვდიოდი. აქ საქმე უფრო ცუდათ იყო, ვინაიდან მეშნევიკები ბევრი იყვნენ და თითო-ოროლა ჩვენი ამხანაგებიც გამოსელას ვერ ბედავდენ. ბოლშევიკები წარმოდგენილი ჰყავდათ ხულიგანებათ და ცუდ ხალხად. ეხლანდელი ჩვენებური ბოლშევიკები გარდა ამხ. არაქელა ოქუაშვილისა, გ. ჩხეიძისა, ვ. ჯეჯელავა, დ. ციმაკურიძე და იაკოფ გალუსტოვისა ყველანი მენშევიკებს უჭერდენ მხარს. ჩვენი რეზოლიუციებს თანდათანობით თითო ოროლა ხმის მიმცემი კრებებზე ემატებოდა. მაშინდელი რკ. გზ. კავშირის სექციის თავმჯდომარე ბ. ბერეეფინი და სხვები მისი ახლო დამხმარენი ჩემი თავიდან მოშორებაში დაინტერესდნენ. ერთხელ, შეკითხვაზედ—წავალ თუ არა სადმე „კომანდიროვკაში“, მე ვუპასუხე: უკანვე ალექსანდროპოლში მეთქი, ვინაიდან იქ მაშინ ამხ. დარჩენას მთხოვდენ. ალექსანდროპოლში ჩვენ გადავწყვიტეთ ბიუროების მუშაობის გაძლიერება და მათი დაარსება ყველგან. მე და ამაშუაელი და ერთი ამხანაგიც ერევანში გავემგზავრეთ ამ მიზნით. იქ მხოლოდ ერთი ბოლშევიკი-ექიმი საბჭოში მომუშავე გვეგულებოდა და სხვა არავინ. ს. დ. ბინაზე გავჩერდით და იქ რამდენიმე თანამგრძნობ ახალგაზრდათა შორის ამხ. მიქოიანიც შევამჩნიეთ. მასთან დაახლოვებით გაცნობის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ კრების მოწყობა და ს. დ. ორგანიზაციიდან გამოყოფით ბოლშევიკური ბიუროს შექმნა. ბიუროში ამხ. მიქოიანი და ოთხიც სხვა შევიდნენ, რომელთა შორის მგონი სევოიანიც იყო. ჩემი პატარა მოხსენების შემდეგ უკან დავბრუნდით. ალე—პოლში კომანდიროვკაში სამუშაოდ მაშინდელი მფლობელნი—მენშევიკ-დაშნაკები, დაშვებასაც არ აპირებდნენ. ხოლო მერე იძულებულნი გახდნენ დათანხმებულიყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ თბილისში დაბრუნებული ს. დ. მ. პ. „ლეგალურ“ ყრილობის დროს ჩვენი პარტიის 1-ლი კონფერენციას დავესწარი. იქ ირჩეოდა მენშევიკების წინადადება გაერთიანების შესახებ. აგრეთვე ირჩეოდა დამფუძნებელ კრების კანდიდატების სია. ვინაიდან მენშევიკები სიაში ათავსებდნენ წერეთელს, ჩვენებმა მათ არჩევნებში ბლოკზე უარი უთხრეს. ამ კონფერენციაზე ამხ. სტ. შაუმიანი ჩამოვიდა. მოხსენების შემდეგ ის ჩვენ ალექსანდროპოლში წავიყვანეთ, სადაც გარნიზონის დიდ მიტინგზედ ცირკში ილაპარაკა პეტროგრადის „დემოკრატიული თათბირის“ შესახებ, მისმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მე-2-რე სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის და ოქტომბრის რევოლიუციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მე თბილისში ვიყავი. წინა-ხანებში სამტრედიაში ყოფნის დროს, ამბ. კატო მიქაძემ რკ. თეატრში მოხსენება წამაკითხა „ომი და ინტერნაციონალის“ თემაზე. მესამე დღესვე ამბ. ამბ. იქ ორგანიზაციის შესაქმნელათ პირველი დამფუძნებელი კრება მოიწვიეს. რის შესახებაც გაზ. „ბრძოლაში“ ცნობა მოათავსეს. იქედან ჩამოსვლისას თბილისის დეპოშიაც დიდი დისკუსია მოვაწყვეთ მენშევიკებთან, სადაც „ვიკელეკი“ ვარდოიანი და სხვა მენშევიკებიც სასტიკად დამარცხდენ.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და ამ./კ. კომისარიატის დაარსების წინააღმდეგ საერთო კრებაზე დეპოში ვილაპარაკე და სასტიკად გავაკრიტიკე. მას „კონტრ-რევოლიუციური მახინაცია“ ვუწოდე. 1918 წლის დასაწყისში, 7-დ იანვრიდან, თბილისიდან სამხედრო მატარებლით გასვლა აქსტაფის მგზავრათ ბაქოში მომიხდა. „შამქორის“ ამბების შესახებ სპეციალური წერილის დაწერაა საჭირო; ეგ ამბავი დაიწყო აღთაგლია-ყარაიზიდან და გათავდა ოთხი დღის შემდეგ სადგ. ბალაჯარაში. ჩემი მოხსენება ამის შესახებ პირველი რევკომიტეტის სახელით ბაქოს გაზეთ „იზვესტია სოვეტაში“ (1918 წ.) არის მოთავსებული. ამ ამბების წინ, 1917 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში მე-2-რე საარმიო ყრილობას დავესწარი: ყრილობის უმრავლესობის დადგენილება, ჩვენი პარტიის წინადადებით გამოტანილი, კარგად მახსოვდა, რომლის მიხედვითაც „შამქორის“ ამბებში ვმოქმედებდი.

ბაქოში საბჭოთა ძალა-უფლების პირველად არსებობის დროს მე დამნიშნეს 1-ლი და მე-2-რე ჯავშნიან მატარებლების მომწყობ ინსტრუქტორათ. მარტო № 1-ლის მართვა-მოწყობას და ხელმძღვანელობას საბჭოს კომისარ ამბ. სამსონ კანდელაკთან ერთად ვასწორებდით. იქ ამ ჯავშნოსანით მონაწილეობას ვღებულობდი მარტში მომხდარ სამოქალაქო ომში, შემდეგ რკ. გზის ხაზზედ: ბალაჯარა-ხურდალანი, ბაქო-განჯა, ბაქო—ხასავ-იურტი, ხასავ-იურტი-გუდერმესი, ალიათ-აჯიკაბული და სხვა. სულ 12-ჯერ სამოქალაქო ომის ცეცხლში ვიყავით გახვეული ამ ჯავშნიანის კომანდით. გუდერმესიდან უკან დაბრუნებული ქ. პეტროვსკიდან მაისის ბოლოს მე და ამბ. ბ. ნანეიშვილი „შანდრიკოვის“ „პრისტანისაკენ“ წამოვედით. ამბ. ნანეიშვილი მაშინ დაღესტანის „საგანგებო კომისრათ“ იყო დანიშნული. ის „შანდრიკოვკაში“, რამდენათ მაგონდება, ამბ. გ. სტურუასთან დარჩა. მე და ამბ. მალიგინი (სამოქალაქო ომში მოჭკლეს) წამოველით ყიზლიარით ვლადიკავკაზში. აქ მე ამბ. ფ. მახარაძე და გ. ჩხეიძე წვერ-ულვაშ გაპარსულები საქართველოდან გამოქცეულები (სამხედრო ოსეთის გზით) ვნახე. ჩვენ ერთმანეთს ყველაფერი უამბეთ. ამბ. ნაზარეთიანმა, კოტემ, სილვამ, ფილიპემ, მრავიანმა და გი-

ორგიმ ჩვენი მოხსენება მოისმინეს. კავკავში დავაარსეთ გაზეთი „თერგის პრავდა“, სადაც ანხ. მალიგინმაც და მეც წერილები მოვამზადეთ. მიუხედავად იმისა, რომ მე თბილისიდან ცოლ-შვილის გასაყვანად შვებულება მქონდა, ზეგით ხსენებული ამხ. შემადგენლობით საოლქო კომიტეტის საიდუმლო სამხედრო ხასიათის დავალებით (გეოგჩაის შლიუზის გაჭრა მტრის ბაქოზედ შეტევის დროს) და ბაქოში მყოფ ქართული შრიფტის კავკავში ჩამოსატანად ბაქოში უკანვე გამგზავნეს. ამავე დროს ამხ. ნაზარეტიანი ჩემს ჩამოსილამდის ჩემი ცოლ-შვილის კავკავში ჩამოყვანის მოწყობას დამპირდა. ეს დავალებანი მე სავსებით შეგასრულე ამხ. შაუმიანის საშვალებით. კავკავში დაბრუნებისას მე ახლათ აჩრეულ „წითელ მუშათა საბჭოს“ სხდომაზე ბაქოს პროლეტარიატის სახელით მისალმებით და მდგომარეობაზედ მოკლე ინფორმაციით გამოველი. ბაქოდან-კი მე ამხ. ს. ქავთარაძესთან ერთათ, ვიმოგზავრე, მან „სახალხო კომისართა საბჭოს“ დავალებანი და ფულიც ბაქოდან 13 კაცის მცველობით წამოიღო, ის ჩრდილოეთ კავკასიის „საგანგებო კომისრათ“ იყო დანიშნული. ჩვენი საბჭოს სხდომაზე დასწრების დროს დუშეთის აჯანყების შესახებ ამბავი მოვიდა. მეორე დღეს მე და ვ. კალანდაძე მდგომარეობის გასაგებათ და აჯანყებულ გლეხებთან შესახვედრათ საოლქო კომიტეტმა კ. ცინცაძის ხელმოწერილი მანდატებით გამოგვგზავნეს დარიალის ხეობაში. გზაში შეიარაღებული ჩაჩნები ჯგუფ-ჯგუფათ ჩვენ გვხვდებოდნენ და აღელვებული ვიღაცების პროვოკაციით იმაზედ, რომ ვითომ „საქართველოს გლეხები ჩაჩნების ამოსაყლეტათ მოდიან“, გვაჩერებდნენ. ჩვენ მათ ყველაფერს ვუხსნიდით და წინ მივიწევდით ჩვენ წითელ არმიელთა სადარაჯოსთან („საზღვარზე“) დაეტოვეთ ავტომობილი და ხეობაში ფეხით გავემგზავრეთ, რადგან გაგებული გვქონდა, რომ „აჯანყებულმა გლეხებმა დარიალი“ გვარდიელებისაგან თითქმის გასწმინდესო“ და თეთრი დროშით გავედით. ხიდზე გასვლის დროს მთის მწვერვალზე თოფი გაისროლეს. ჩვენი ფიქრი, რომ „ეს გვარდიელები იქნებაო“ არ გამართლდა. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ დელეგატები მიდიან გლეხების სადარაჯოზედ. ყოფილი ძველი თამარის „სიმაგრე-ციხესთან“ „ფლაგების“ ზეგით აწევით წინ წავედით, მივაღწიეთ-რა ამ სადარაჯოზე, ჩვენ წინ გადაიშალა დიდებული რევოლიუციონური სურათი: გაყვლეფილი გლეხების შეიარაღებული თავ-ყრილობა თავიანთ რევოლიუციურ მხნეობით. მათ ძლიერ გაახარა კავკავთან დელეგატების საშვალებით შეერთებამ. იქ ვნახეთ ამხ. გ. პაპუნაშვილი, ჩვენი მოკლე სიტყვის შემდეგ მე ცხენით აჯანყებულთა მთავარ შტაბის რეშუნებულ აბაევთან, სიონში, წამოიყვანეს. ამხ. კალანდაძე და პაპუნაშვილი კავკავში დაბრუნდნენ მდგომარეობის გასაცნობათ ამხანაგებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაში, ყაზბეგში, ჩვენ შეეჩერდით იქაურ თავ-მოყრილ გლეხთა გასამხნევებლათ და საქმის გასაცნობათ. იქ ეტყობოდა ბევრი არა საიმედო პიროვნებების შერევა ამ გლეხებთან. ამხ. აბაევის ნახვით და მასთან საუბრით მე მდგომარეობას გავეცანი (ის მემარცხენე ესერათ თვლიდა თავს) ყველაფრის აღწერის შემდეგ მე შეგროვილ გლეხებს საჭირო სიტყვა ვუთხარი. უმთავრესი მოთხოვნილება-დუშეთის ფრონტზედ საჩქაროთ იარაღით მიშველება იყო. სიონიდან დაბრუნებული მე კავკავში გაველი საოლქო კომიტეტში მოხსენების შემდეგ და ერთი დღის დახვენებისა ამხ. ხელმეორედ გამომგზავნეს უკვე დუშეთში „ინფორმაციული მიზნით“. კავკავიდან წამოვიღე ორი ფუთი ბენზინი ავტომობილების ასამუშავებლათ და ჩვენი სადარაჯოდანაც ერთი „მაქსიმკა“ და ოთხი ლენტი ტყვიის მფრქვეველისათვის. ყაზბეგში „კომისარს“ (გვარი არ მახსოვს) ბენზინი ჩავაბარე და დავუბარე სამბარგო ავტომობილის ამუშავებით ორი იქაური საველე ზარბაზანი და სამი ტყვიის მფრქვეველი საჩქაროდ დიდევნებინა უკან. მე და ამხ. მანგიაშვილი, რომელიც კავკავიდან გამომყვა, ლენტებით დუშეთისაკენ გამოვეშურეთ.

სიონში შეკითხვით გავიგეთ, რომ სამბარგო კავკავში გაეგზავნათ „შოფერის კაპრიზით“. ჩვენ იმ ღამესვე უკან დავბრუნდით და სამი ტყვიისმფრქვეველი მსუბუქი ავტომობილით დუშეთისაკენ გამოვაგზავნეთ. სადგ. ფასანაურთან მოსვლამდის მაშინა გაგვიფუჭდა. გა ეკ-მოხვეწილების ფურგუნი ოთხი ცხენით გზაში შემოგვხდა, რომელსაც ორი ცხენი გამოვუხსენით და ბუქსირით მსუბუქი ფასანაურში მივიტანეთ. იქედან-კი სამბარგო ავტომობილით წავიღეთ ყველა ეს იარაღები. იქიდანვე ჩემთან ბ. სიხარულიძე წამოვიდა, დუშეთში მისვლისას ყველა ამხ. სიხარულით დამხვდენ. საღამოს „გლეხთა საბჭოს“ სხდომაზე ჩემი მოკლე მოხსენების შემდეგ მდგომარეობაზედ საერთოდ და დახმარების საკითხზედ კერძოთ, ამხ. ლადო დუმბაძემ კავკავში წასვლა ითხოვა „ქართულ გაზეთის გამოცემის მოწყობის სურვილით, „რადგანაც იქ შრიფტი არისო“. რადგან გადასაზიდი საშვალება არ იყო ის იმ ღამეს იქ დარჩა და დილით სხვებთან ერთად უკან დახვევის შემდეგ სულ წავიდა. დახვევის დროს ფრონტზედ საკუთარი გლეხთა ძალებით და სხვა ჩამოტანილი იარაღით მხოლოდ მე, ბ. ცინცაძე, ბ. სიხარულიძე, დათ. შუშიაშვილი გლეხთა საბჭო რამოდენიმე წევრებთან ერთად (მახსოვს წიკლაური, ვ. პავლიაშვილი და ორიც სხვა, გვარები არ მახსოვს). შემდეგ ბ. სიხარულიძეც წასულიყო ისევ ფასანაურში. ჩვენ გავმაგრდით „ნაქერალებზედ“ და ვიბრძოდით ექვსი დღის განმავლობაში.

დუშეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ კავკავიდან 1918 წ. აგვისტოში მე, ამხ. ბ. სიხარულიძე ჯათიევთან ერთად ოსეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით წამოველით საქართველოში. მე ქუთაისისკენ და ისინი „ჯავის“ ხეობით. მათთან დაშორების შემდეგ მე ფეხით ვიმგზავრე ქუთაისამდის. მე გადმოველი ლეჩხუმის ვიწრო სასოფლო გზებით და ამხ. აგ. ელბაქიძის ნაჩვენებ მარშრუტით თითო ღამე დავრჩი ამხ. ა. კობახიძისას, დ. ნასარიძისას და შემდეგ უკანასკნელის გამოცილებით სადგ. ხრესილზე გადმოველი, აქედან-კი მატარებლით და ქუთაისიდან ეტლით ხონამდის მოველი. ხონიდან სოფლებით ფეხით გადმოველი ს. კულაშში. თვენახევარი ვიმალებოდი. ამ ხნის განმავლობაში ორჯერ მამაჩემისას ბინაზე ფარული კრება მოვაწყვე. ჩემთან ხშირად მოდიოდენ ამხანაგები ვ. სტურუა და კ. მიქაძე. ამხ. ვ. სტურუას დავალებით ისევ კავკავში ტყიბულის გზით ფეხით წაველი. სამი დღე და ღამე აბელ ენუქიძის ძის ვენახებში დამალვის შემდეგ მე ფეხით ისევ სოფლების გზით ალაგირისკენ გავეშურე. ქ. ონის გავლის შემდეგ ს. უწერის და გლოლის საზღვარზე დამატყვევა გვარდიელთა ერთმა ნაწილმა მათი შტაბის წევრი დ. კერესელიძის მეთაურობით. ვინაიდან ხმა ჩემი მოკვლის შესახებ ბევრჯელ იყო დაგდებული და აგრეთვე ამხანაგებიდანაც გაგებული მქონდა ჩემს წინააღმდეგ ტერორის მოწყობის შესახებ შენშევიკებისაგან, მე დარწმუნებული სიკვდილით დასჯაში, მათ გაუკეთე წინადადება: „შეგროვდით ყველა ამ მინდორზედ (იქ გამწვანებული მინდორი იყო) და მოისმინეთ ჩემი სიტყვა, შემდეგ ამისა გადასწყვიტეთ ან აქვე საკვდილი, ან აქედანვე გაშვება, მით უმეტეს, რომ მე საქართველოს საზღვრებიდან მივდიავარ და ხელს აღარ გიშლი“! ეს წინადადება მე მათ სამხელ გავუმეორე, მაგრამ ისინი მიპასუხებდნენ: „შენ ჩვენი მთავრობა 9 თვე დაგეძებს და მას უნდა მიგგვაროთ და მერე თითონ იცისო“; პირიქით, მათში მყოფ გვარდიელებმა ფრუიძემ და ჯოხონელიძემ მოკვლა დამიპირეს, მაგრამ ორივე ისინი შეაჩერეს ისევ მათმა ამხანაგებმა. ს. უწერაში სასტიკი გაჩხრეკის შემდეგ და ქ. ონში 8 დღის განსაკუთრებულ კამერაში ცივ, ცემენტიან, ულოგინო იატაკზედ ყოფნის შემდეგ მე ფეხით მთელმა რაზმმა 100 კაცისაგან შემდგარმა 29 დღის განმავლობაში ქუთაისში ჩამომიყვანეს და შემდეგ თბილისში სასახლეში მომიყვანეს, სადაც რაზმს „მადლობის“ ნიშნით „მინისტრები“ შემოხვდნენ: გიორგაძე, ერაძე, გოგიშვილი, ჭიაბეროვი და სხვ. იქედან იმ ღამესვე მეტეხის ციხეში წამიყვანეს და ნიშნების ჩაწერის შემდეგ ცალკე კამერაში მომათავსეს. ამ ხნის განმავლობაში რაზმის წევრებს შორის მე განუწყვეტელ აგიტაციას ვეწეოდი და მათში მატყუარობის კედელი რამდენიმეთ შევარღვიე. ბევრი მათგანის ჩვენს მხარეზე გადმოსვლით და თვით მათში ურთიერთშორის შეტაკების შიშით რაზმი ჩქარა ქალაქში ჩამოიყვანეს და აქ დაშალეს, რაც მესამე დღეს გავიგე. ციხეში ამხ. ბუდუს, საბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს, ცერცვაძეს და სხვებს ძალიან გაუკვირდათ ჩემი ცოცხლად ჩამოყვანა. ამბ. ბუდუმ მითხრა: „აწი არა გიშავსო“. ამბ. მოთხოვნით ციხის ადმინისტრაციამ საერთო კამერაში მათთან გადამიყვანა.

ზოგი ამბ. სრულიად განთავისუფლებისა და ზოგის კავკავის გზით საქართველოდან გაძევების, მათი შიმშილობის შემდეგ, პოლიტიკურებიდან დავრჩი ციხეში მარტო მე*). ერთხელ მენშევიკების აგენტები ციხეში მჯდომ „უგოლოვნებთანაც“ აგიტაციას ეწეოდნენ ჩემი თვით-გასამართლების მოსაწყობათ (შემდეგ ირკვევოდა, რომ ასეთი აგიტაცია გაუწევია უფროს მეთვალყურე-გოძიაშვილს, ციხიდან მე რამდენიმე კორესპონდენცია მოვათავსე ციხის რეჟიმზე, უსუფთაობაზე და ტიფის ეპიდემიაზე „ნავრუზაშვილის“ ფსევდონიმით. შემდეგ შემქორის ამბებზე და ჩემ პატიმრობაზე მოკლეთ „ს. დ. ში“. 1919 წ. ათი დღე (2—12 ავგისტომდე) მენშევიკურ მთავრობას ვებრძოლე პოლიტიკური შიმშილობის გამოცხადებით. მეათე დღეს დელეგაციის საშვალებით, რომელშიაც პასუხისმგებელი პირები შედიოდნენ; ციხის ექიმები—ციციანოვი და ალექსიძე, ციხის უფროსი ყიფიანი, ყველა ციხეების ინსპეკტორი—ყიფიანი და პროკურორი—კანდელაკი, პირობა მომცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჭიჟინაძის ხელმოწერით, რომ „ 3 დღის განმავლობაში ჩემს საქმეს გაათავებენ ან ჩემი გადასახლებით საქართველოს საზღვრებიდან, ან მთლად განთავისუფლებით“. დელეგაციის შემადგენლობაში ექიმი—ალექსიძე ამხანაგებს სანდოთ მიაჩნდათ და კიდევაც მის შესახებ მე გადმოცემული მქონდა ცნობა. ამ პირობით ამბ. ალექსიძის დარწმუნების შემდეგ, მე შიმშილობა საღამოს 4 საათზე მოვხსენი. ეს პირობა „მთავრობამ“ მაინც არ შეასრულა და ამის შემდეგაც მე ვიჯექი კიდევ 6 თვე რ. ს. ფ. ს. რ. და საქართველოს მენშევიკური მთავრობის შორის 13/V 1920 წ. ხელშეკრულებამდე ქუთაისის ციხეში. ქუთაისის ციხიდან ხელშეკრულობის ძალით განთავისუფლდა 700-800 კაცამდე. მიუხედავათ მათივე განცხადებისა, რომ „ვისაც სურს საქართველოშიაც შეუძლიან ცხოვრებაო“ მე-5-ე დღესვე ჩემზე და ამხანაგ ვ. ჯეჯელავაზე (1-ლი რაიონში) რამიშვილმა განკარგულება გასცა დატუსაღებისა. ორი დღით ავლაბარში დამალვისა, გავყევი ცოლშვილით მესამეთ მიმავალ ჯგუფს კავკაზეში. ჩემი მოთხოვნა მოსკოვში წასვლისა საოლქო კომიტეტმა არ დაკმაყოფილა და ორი კვირის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო ბიუროს განკარგულებაში გამგზავნა. იქიდან მინერალური წყლე-

*) რედაქციას მოეპოვება ცნობები, რომ ამ დროს იქ ისხდნენ მასთან მეტეხში შემდეგი ამხანაგები: პოლიკარპე და კორნელი ბახტაძეები, ცხაკაია (მიხას ძმისწული) გ. ჩხენკელი, ლ. ლოლობერიძე და სხვები.

ბში რკ. გზაზე გამგზავნეს, საიდანაც სარაიონო პარტიულ კონფერენციაზე კომიტეტში ამირჩიეს და იქ-კი თავმჯდომარეთ. იქ მე 1920 წ. ბოლომდის ვიმუშავე ამ პარტიულ თანამდებობაზედ გენ. ვრანგელისა და დენიკინის ბანდების ჩრდილოეთ კავკასიაში საბოლოოთ დამარცხებამდის. იქ ჩვენი „ჩონის“ საშვალებით თვით მინერალის და ოთხი სხვა კაზაკების „სტანიცებს“ იარაღი ავყარეთ. ამავე დროს აქვე ჩავატარეთ პარტ. ორგანიზაციის წმენდა და თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენზედ იყო გამოცხადებული, სასტიკი ბრძოლა. 1920 წლის ბოლოს და ჩრდილოეთ კავკ. ბიუროს და პიატიგორის კომიტეტის ნებართვით, მე ცოლშვილით ბაქოში გადმოველი. აქ ცოტა ხნის რკ. გზის კომიტეტში პასუხის-მგებელ ინსტრუქტორათ მუშაობის შემდეგ მოსკოვში კომუნისტური უნიეერსიტეტში (სვერდლოვის სახელობისა), გამგზავნეს 1920 წლის დეკემბრიდან 1921 წ. თებერვლის ბოლომდის. მე იქ ვმუშაობდი და ვსწავლობდი. ვმუშაობდი პარტიულათ როგორც თვით უნიეერსიტეტში, ისე წითელ პრესნას სარაიონო პ. კომიტეტში. აგრეთვე ვიყავი მე-3-მე უბნის ორგანიზატორი. კომიტეტის წევრათ 13 იანვ. 1921 წ. ვიყავი რაიონულ კონფერენციაზე არჩეული. მოსკოვში ჩავატარეთ დისკუსია „კავშირების ამოცანა-დანიშნულებაზედ“. მე აკტიურათ ვიცავდი ამხ. ლენინის (10-ის) პლატფორმას. ვიყავი არჩეული მოსკოვის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე X ყრილობისათვის 19 თებერ. 1921 წ. კომინტერნისა და ც. კ. განკარგულებით პირველი ჯგუფი პასუხის-მგებელ ამხ. ფილიპე მახარაძის მეთაურობით იქნა გამოგზავნილი გასაბჭოებულ საქართველოში და მათ შორის ვიყავი მეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანყოფილება VI. რევოლიუციის მსხვერპლნი.

ამხ. შალიკო ასკურავა.

მუშათა კლასს ბევრი თავდადებული ამხანაგი ჰყავდა, რომელთა არსებობაც მხოლოდ მოწინავე ამხანაგებმა იცოდა. მათი მუშაობაც მოწინავე წრეებში ტრიალებდა. ბევრი ისე დაღუპულა ბრძოლაში, რომ მუშათა კლასმა არც კი იცის. ასეთ ამხანაგების ჯგუფს ეკუთვნოდა ამხანაგი შალიკო ასკურავაც.

ის დაიბადა სოფ. ნიგოითში, გურიაში, 1897 წელს. იყო ღარიბი გლეხის შვილი. სილარიბეში დაიბადა და სილარიბეშივე აღიზარდა. სწავლობდა ნიგოითის ერთ კლასიან სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ბათუმის ოთხკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა. რევოლიუციონურ მუშაობაში სკოლის სკამიდანვე ჩაება ჯერ კიდევ ბათუმში.

ამხ. შალიკო ასკურავა.

ბათუმში სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და დიდის ვაი-ვაგლახით ტეხნიკურ სასწავლებელში მოახერხა შესვლა. სწავლობდა და თან თავს კერძო გაკვეთილებით ირჩენდა. აქაც ამხ. შალიკო დაუახლოვდა თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას და დაუღალავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობას ეწეოდა. ეს იყო 1913—1914 წლებში. ამ ხანებში ჯერ კიდევ რეაქციის სუსხი ტრიალებდა. ამხანაგებს სანთლით ვეძებდით, რომ სამუშაოთ გამოგვეყვანა. შალიკო კი თვით მიისწრაფოდა მუშაობისაკენ, ის სხვებს არწმუნებდა მუშაობის დაწყებაში და რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმაში. მისმა ენერგიულმა მუშაობამ ჩქარა მიიპყრო მუშების ყურადღება და ის თბილისის კომიტეტის წევრათ აირჩიეს. 1916 წლამდის დაუღალავად ეზიდებოდა მძიმე უღელს. 1916 წელში ის დატუსაღებულ იქნა ამხ. კოტე ციხეკაძესთან ერთად. 1917 წელს რევოლიუციამ ციხიდან გაანთავისუფლა.

1917 წელშივე ამხ. შალიკო საოლქო კომიტეტმა გაგზავნა გურიაში სამუშაოდ მენშევიკების წინააღმდეგ. იქ დაჰყო 1918 წლის თებერვლამდე. 1918 წელს ის სამეგრელოში იქნა გაგზავნილი სამუშაოდ. იქ მეთაურობდა მენშევიკების წინააღმდეგ გამოსვლებს სენაკის მაზრაში. აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ ის იძულებულ შეიქნა აფხაზეთს შეფარებოდა. იქაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში (პიატიგორსკის ოლქში) გადავიდა სამუშაოდ. მთელი წელიწადი თითქმის ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობდა. მონაწილეობას იღებდა ყველა ბრძოლებში—მეთერთმეტე არმიაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის გამარჯვების, მის მიერ პიატიგორსკის დაკავების შემდეგ, ამხ. შალიკომ წითელ ჯართან ერთად დაიხია ყიზლიარში. აქ ის სახადით ავათ გახდა. შეიძლებოდა სახადი გადაეტანა და ის დღეს ჩვენს გვერდში ყოფილიყო, რომ ერთ-ერთ გახულიგანებულ-ბანდიტს, პარტიზანულ რაზმის უფროსს, კერძო, პირადი ინტერესების გამო არ მოეკლა.

მხნე, ენერგიული ახალგაზრდა მუშაკი—რევოლიუციონერი დაჰკარგა საქართველოს მუშათა კლასმა ამხ. შალიკოს სახით.

კოტე.

25 აპრილი.

ამხ. ამბაკო სამანიშვილი.

(მეტი სახელი „ჯაბა“).

1906 წელში, რევოლიუციის დროებით დამარცხების შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შესდგა ყოფილ წითელ რაზმელებისაგან პატარ პატარა ჯგუფები, რომლებიც იარაღით ხელში მოსვენებას არ აძლევდნენ მთავრობასა და მის აგენტებს. შედარებით ძლიერი რაზმი არსებობდა შოროპნის მაზრაში ოფრასიონ მერკვილაძის მეთაურობით. საკვირველი იყო შემადგენლობა ამ რაზმისა. შიგ

ამხ. ამგაკრ სამანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის 99% ღარიბი გლეხები იყვნენ, რომლებიც მთავრობას ვერ ურიგდებოდნენ და მთავრობაც არ ზოგავდა მათ. მაგრამ დამახასიათებელი ის იყო, რომ ამ რაზმში თქვენ შეხვდებოდით ღრმა მოხუცებულ გლეხებს—50—60 წლისას და სულ ახალგაზრდებსაც—15-16 წ. ბავშვებს. წარმოუდგენელი ერთსულოვნება სუფევდა მათში. ამხ. ამბაკოც ამ რაზმის წევრი იყო. მაშინ იქნებოდა 15 წლისა, თუმცა მისი შეხედულება 17-18 წლის ახალგაზრდას მოგაგონებდა. ის იყო ღარიბი გლეხის შვილი. რაზმის წევრების გადმოცემით, ეს ბავშვი სული იყო მთელი რაზმისა. წარმოუდგენელი გულადი, ყოჩაღი და რევოლიუციონური ენტუზიაზმით გამსჭვალული. 1906 წლის ბოლო თვეებში ის დატუსაღებულ იქნა სხვებთან ერთად და მოელოდა ქუთაისის ციხეში მეფის მთავრობის ჯალათების განაჩენს. მაგრამ 1907 წელს ის გაპარებულ იქნა სხვის მაგივრად გადასახლებულთა ეტაპში ვიატკის გუბერნიაში. (დაწერილებით იხილე კ. ციხაძის „ჩემი მოგონებანი“). იქიდან ორი კვირის შემდეგ გამოიპარა და ტფილისს ჩამოვიდა. ტერორისტული აქტების „ოსტატი“ იყო. (მაგ., მან მოჰკლა ამხ. იცკა რიქინაშვილის მკვლელი „გოროდოვიო“ და სხვა ჯაშუშები, რომლებიც ორგანიზაციას ხელს უშლიდა მუშაობაში). უფრო მეტადრო კავშირი ჰქონდა ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციასთან. ჩამოსვლისთანავე ხელი მიჰყო წერა-კითხვის შესწავლას და 6 თვის განმავლობაში მშვენივრად შეისწავლა იგი.

თითქმის ყველა ზემოხსენებული სამხედრო ორგანიზაციის გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა. ასეთი მუშაობას ეწოდა 1911 წ. თუ მეხსიერება არ მღალატობს. შემდეგ დაიჭირეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. ძნელი იყო ამ დროს თავის შენახვა რევოლიუციონერისათვის. ყველა დევნილი იძულებული იყო სხვა და სხვაგვარი ჯურის ხალხთან დაეჭირა საქმე თავის დასამალავად. ამბაკოც ვერ აშორდა ამიტომ ხიფათს. სრულიად შემთხვევით ის დატყვევებულ იქნა საეჭვო პირებთან, რომელთაც სისხლის სამართალის დანაშაულობას აბრალებდნენ. ის, როგორც დევნილი და გამოურკვეველი პიროვნება, დაუკავშირეს მათ ასეთი მაგალითები ხშირი იყო რევოლიუციონურ ბრძოლაში. ამხ. ამბაკომ ვერ აიტანა ასეთი მდგომარეობა. მან გადასწყვიტა თუნდაც სიკვდილის ფასათ თავი დაეხწია მეფის მთავრობის „მართლ-მსაჯულებისათვის“. მან მოახერხა გასამართლების დღეს სასამართლოში მისთვის რევოლვერი (მაუზერი) გადაეცათ. მანაც ისარგებლა იარიღით და სასამართლოში ასტეხა საშინელი სროლა, რომლის დროს დაბოკილ იქნა რამოდენიმე მხლებელი ჯარისკაცი და თითონაც მოკლულ იქნა. რომ ბორკილებს ხელი არ შეეშალა, იქნება თავი დაეღწია ჯალათებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ნესტორ კალანდარიშვილი*).

ნესტორ ალექსანდრეძე კალანდარიშვილი დაიბადა 1874 წელს სოფელ შემოქმედში, (ოზურგეთის მაზრა). მამა მისი იყო ღარიბი, ჰქონდა ცოტა მიწა და ეწეოდა გლეხურ მეურნეობას. გარდა ნესტორისა ყავდა კიდეე სამი შვილი; მთელი ოჯახი კალანდარიშვილებისა შრომის მწარე ოფლსა ღვრიდა და ცხოვრობდა ნახევრათ მშიერ-მწყურვალი.

როდესაც სასკოლო ასაკს მიაღწია, პატარა კალანდარიშვილმა დაიწყო სწავლა ქართულ ენაზე და 1886 წელს ის წაიყვანეს საგუბერნიო ქალაქში—ქუთაისში, სადაც მან პირველათ დაიწყო რუსული ენის სწავლა. აქედან ის გადადის თფილისს სწავლის გასაგრძელებლათ და შედის მსმენელათ სამასწავლებლო სემინარიაში.

ჯერ კიდეე მოწაფეობის დროს კალანდარიშვილმა დაიწყო რევოლიუციონური იდეების შეთვისება.

მეფის რეჟიმის სიმძიმე მაჯლაჯუნასავით აწვა მაშინ საქართველოს და ამ გარემოებას არ შეეძლო არ მიექცია ახალგაზრდა კალანდარიშვილის ყურადღება მშრომელ კლასების უნუგეშო მდგომარეობაზე და მან ძლიერ ადრე დაიწყო ამაზე ფიქრი.

წასულ საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კავკასიაში და კერძოთ საქართველოში რევოლიუციონურმა მოძრაობამ უკვე შესამჩნევათ გა ადგა ფესვები, განსაკუთრებით ადგილობრივ ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში. ამ აზრის გამტარებელი საქართველოში უმთავრესათ სტუდენტობა იყო, რომელთაც თავიანთი მდგომარეობა საშვალებას აძლევდა დაახლოვებოდა რუსეთისა და ევროპის ცენტრებს.

თავის თავად ცხადია, რომ ეს მოძრაობა იმის გარდა, რომ აგებული იყო წმინდა ნაციონალურ ნიადაგზე და თავის მოქმედებაში ის ვერ სცილდებოდა წვრილ ლიბერალურ-ინტელიგენტურ მისწრაფებებს, იმის გარდა, რომ ის სრულებით დაშორებული იყო მუშათა კლასს და მათ შორის აღმართული იყო ჩინეთის კედლები ურთიერთ გაუგებრობისა და უცხოობისა,—ის იყო მეტათ უსისტემო და წარმოადგენდა დიდ რიცხვს არალეგალურ ორგანიზაციულ წრეებისას, რომლებშიაც თავს იყრიდა სხვა და სხვა ჯურის და მისწრაფების ხალხი.

თფილისში ყოფნის დროს კალანდარიშვილი უახლოვდება სხვა და სხვა რევოლიუციონურ საიდუმლო წრეებს და მთელი თავისი აღტაცებით იწყებს მუშაობას.

---

*) ეს მასალა ამხ. ნ. კალანდარიშვილის შესახებ ჩვენ მოგვაწოდა საქ. კომპარტიის ბურეის კომიტეტის აგიტპროპმა და, როგორც გვწერს, ის დაწერილია ირკუტსკში მოსკოვიდან ჩასული კომისიის მიერ. რ ე დ.

1900 წელს 26 წლის კალანდარიშვილი შედის სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიაში და იწყებს იქ მუშაობას, როგორც რევოლიუციონური იდეების პროპაგანდისტი გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის. ადმინისტრაციისაგან და მთავრობისაგან შეშჩნეული, რომ მას წილი უდევს რევოლიუციონურ მოძრაობაში, კალანდარიშვილს გააძევებენ სამასწავლებლო სემინარიიდან და ის მიემგზავრება ბათომს, სადაც დგება სახალხო მასწავლებლათ. მაგრამ აქაც ვერ გაექცევა მთავრობის დევნას და იძულებულია გაიქცეს სოხუმის ოლქში, სადაც იმალება. ეს იყო 1903 წელს.

ამავე წელს კალანდარიშვილმა გაათავა ახალგაზრდა რევოლიუციონერების მოსამზადებელი არა-ლეგალური კურსები, შევიდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში და გახდა ამ პარტიის ერთი ინიციატორი და ორგანიზატორთაგანი: ის იყო წევრი ცენტრალურ კომიტეტისა კავკასიაში მომქმედ რევოლიუციონური ხელმძღვანელი ჯგუფისა და საზღვარ-გარეთიდან იარაღის შემომტანი ჯგუფის წევრი. საზღვარ-გარეთიდან იარაღის შემოტანამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში.

სოციალისტ-ფედერალისტების ცენტრალურ კომიტეტის ერთ ჯგუფის წევრებმა, ერთ მდიდარ რევოლიუციონერის შემწეობით შვეიცარიაში იყიდეს დიდ ძალი იარაღი, რომლის საქართველოში გადმოსატანათ ოდესაში სპეციალურათ იყიდეს გემი „ლიბავა“.

გემი გავიდა იარაღისათვის, ის დატვირთეს და დაბრუნდა უკან, კალანდარიშვილი კი ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ერთ ამხანაგით წავიდა კონსტანტინეპოლში გემის შესახვდერათ. როდესაც ჩავიდა კონსტანტინოპოლში, კალანდარიშვილმა გაიგო, რომ იარაღის ყიდვისა და გადმოტანის საქმე შეუტყვია ხელისუფლებას და მოვა თუ არა გემი კონსტანტინეპოლში, მას მაშინვე დატყვევებენ. კალანდარიშვილი სპეციალურათ შეძენილი კატერით მიდის ზღვით გემის შესახვდერათ, აჩერებს მას კონსტანტინეპოლიდან 150 ვერსზე, შეღებავს სხვა ფერათ, დაარქმევს მას სხვა სახელს და ასე არხეინად გაიარს კონსტანტინეპოლს პოლიციის მიერ შეუმჩნეველი. ნაწილს იარაღისას ის უტოვებს შავი ზღვის ნაპირების ზოგიერთ ქალაქებს და სოფლის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და დანარჩენი იარაღით გემი უვნებლათ აღწევს ქალაქ ფოთს. 1905 წლის გასულს დიდის სიმკაცრით ჩაახრჩო რუსეთის მთავრობამ საქართველოში აჯანყება.

ამ აჯანყებაში კალანდარიშვილი იღებდა აქტიურ მონაწილეობას: ის იბრძოდა ბარიკადებზე და ხელმძღვანელობდა სხვა და სხვა სამხედრო—რევოლიუციონურ ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906 წელს, რეაქციის გაბატონებისას, გამხეცებული მეფის ოპრიჩნიკების მკაცრი რეპრესიების შემდეგ კალანდარიშვილი ეწევა არალეგალურ ცხოვრებას.

ის რამდენჯერმე იჯდა სხვისი გვარით ბათომის, თფილისის, ქუთაისის, სოხუმის, ქერჩის, ნოვოროსიის, კიევის, ხარკოვის ციხეებში და გაიქცა ქერჩისა და კიევის ციხეებიდან. 1907 წელს მას ხელახლა იპერენ, აძლევენ სამართალში და მიუსჯიან სამუდამო გადასახლებას ციმბირში.

ამავე 1907 წელს კალანდარიშვილი გამოდის სოციალისტ-ფედერალისტების პარტიიდან და შედის წევრათ ანარქისტების ფედერაციაში.

1908 წლის ბოლოს ირკუტსკში ჩასვლისას, სადაც ის ჩაიყვანეს როგორც გადასახლებული, მას არ უშვებენ ციხიდან და უცდიდენ ნავოსნობის დაწყებას, რათა გადაეგზავნათ უფრო შორს—იაკუტის ოლქში. სამი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ ის გაიქცევა და სახლდება ქალაქში სხვისი პასპორტით.

როგორც კი კალანდარიშვილმა თავისუფლათ იგრძნო თავი, ის ხელახლა შეუდგა საიდუმლო რევოლიუციონურ მუშაობას, ერთხანს მას მთავრობა აღარ სდევნის, თუმცა ეს დიდხანს არ გრძელდება. 1911 წელს კალანდარიშვილი ფიქრობს შეასრულოს ტერორისტული აქტი ირკუტსკის გამხეცებულ გენერალ-გუბერნატორის სელივანოვის წინააღმდეგ, მაგრამ მის განზრახვას ვიღაცას პროვოკაციით შეიტყობს მთავრობა ;და კალანდარაშვილს ხელახლა შეიპყრობენ ორ სხვა ამხანაგთან ერთად.

ალექსანდროვის ცენტრალურ ციხეში ექვსი თვის ტყვეობის შემდეგ, საშინელ პირობებში დამწყვდეულს, ანდარმერია ანათავისუფლებს „საბუთების უქონლობის გამო“.

ამის შემდეგ ამხანაგ კალანდარიშვილს განუწყვეტლივ სდევნიან და ატუსაღებენ. ერთხელ ის, 1913 წელს, დაატუსაღეს და საშინელ პირობებში ათი თვის განმავლობაში „ოდინოჩკაში“ ყავდათ გამომწყვდეული.

ციხეში ყოფნის დროსაც ამხანაგი კალანდარიშვილი სარგებლობდა ყოველი წუთით და აქაც არ ანებებდა თავს თავის საყვარელ საქმეს და ტუსაღებში ეწეოდა რევოლიუციონურ პროპაგანდას. ამ განუწყვეტელმა ენერგიულმა მუშაობამ და მასში შეუჩერებელმა რევოლიუციონურმა დუღილმა გახადა ის ციხეში პოპულიარული, სადაც მას ტუსაღები ეპყრობოდნენ დიდის ნდობით და პატივისცემით.

1914 წელს ამხანაგ კალანდარიშვილს ისევ ანთავისუფლებენ „ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო“.

ამხ. ნესტორ კალანდარიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებერვლის რევოლიუციის ცოტა ადრე ის გამოუშვეს ციხიდან. თვით სახელმწიფო გადატრიალებაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, კერენსკის დროს, ამხანაგ კალანდარიშვილის მოღვაწეობა რევოლიუციონურ სარბიელზე იღვიძებს ახალის, კიდევ არ ნახულის ძალით. ირკუტსკი, რომელიც მაშინ წარმოადგენდა შემთანხმებლების ბანაკს წერეთელთან, გოცათან და სხვებთან ერთად, იყო კალანდარაშვილისათვის მეტად ფართო მოღვაწეობის სარბიელი. იმ დროს, როდესაც ირკუტსკში არ არსებობდა არავითარი ბოლშევიკური ორგანიზაცია, ამხანაგი კალანდარიშვილი გამოდიოდა სასტიკი კრიტიკით შემთანხმებლების წინააღმდეგ ყველა კრებებზე და მიტინგებზე და ყველგან აყენებდა მათ საწინააღმდეგო ლოზუნგს პროლეტარიატის რევოლიუციისას და საბჭოების ხელისუფლებისას ლოზუნგს,—მთელი ქვეყნის მშრომელ მასების ბურჟუაზიისა და კაპიტალის უღლისაგან სრულ პოლიტიკურ და ეკონომიურად განთავისუფლებისას.

1917 წელს ენკენისთვეში, როდესაც ესერებმა და მენშევიკებმა იმ მიზნით, რომ ირკუტსკის გარნიზონის ჯარისკაცებში ჩაეკლათ ბოლშევიკური სულისკვეთება მოახდინეს ზოგიერთ სამხედრო ნაწილების პროვოკაციული განიარაღება და ჯარისკაცების ბელადებს ციხით გაუმასპინძლდნენ,—მაშინ კალანდარიშვილი, რომელსაც მოელოდა ესერების პროვოკაციისა და ტერორის განსაცდელი, თამამად გამოდის ყველგან ამ პროვოკაციის გამოსააშკარავებლათ და მოუწოდებს ჯარისკაცებს შექმნან ერთი მთლიანი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ორგანიზაცია. იმისდამიუხედავათ, რომ ამ დროს ირკუტსკში კომუნისტური პარტია იყო მეტათ მცირერიცხოვანი და ორგანიზაციცლათ შეუკავშირებელი, რომელმაც დაიწყო აქ თავის ორგანიზაციების შენება მხოლოთ ოქტომბრის 1917 წლიდან, იმისადამიუხედავათ, რომ ირკუტსკის მცხოვრებთა მასები (უმთავრესათ მეშჩანები და წვრილი ბურჟუაზია) ამ დროს იყვნენ მენშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ და მოქმედებდნენ ოფიცრების საშვალებით, რომლებიც მოკალათებული იყვნენ იმ დროს ეგრედ წოდებულ სამხედრო საბჭოში, იმისდამიუხედავათ, რომ ირკუტსკში იყო აღმოსავლეთ ციმბირის სამხედრო ოლქის შტაბი, რომლის რეზერვშიაც სამი ათასი ოფიცერი ირიცხებოდა და აქვე იყო პრაპორჩიკების სამი, ერთი იუნკრების, და ერთიც სამხედრო სასწავლებელი,—ყველა ამისმიუხედავათ, ბოლშევიკების საამაყოთ, ამხანაგი კალანდარიშვილი ქმნის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რომელმაც ჩქარა, დეკემბრის დღეებში, ითამაშა ირკუტსკში დიდ-მნიშვნელოვანი როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლიუციონურმა ტალღამ ირკუტსკში მხოლოდ ქრისტესშობისთვეში მოაღწია. ირკუტსკის ბატონ-პატრონებმა,— მენშევიკებმა და ესერებმა, დაინახა რა ბოლშევიკური ძალების განუწყვეტელი ზრდა და მოსკოვში, პეტროგრადში და რუსეთისა და კიმბირის სხვა ქალაქებში ხელისუფლების გადასვლა საბჭოების ხელში და მიხვდნენ რა, რომ ირკუტსკში აუცილებლათ მოხდებოდა ხელისუფლებისათვის შეტაკება. გადასწყვეტეს თავიანთი დამქაშების საშველითი მოეხდინათ შეიარაღებული გამოსვლა.

ამ გამოსვლას მეტათ შეუწყო ხელი ესაულ სემიონოვის მონგოლურ ბურიატულმა პოლკმა, რომლის შედგენის გამო ამხანაგი კალანდარიშვილი ცხარე პროტესტს აცხადებდა. გამოვიდა რა ამ საკითხის გამო ირკუტსკის საბჭოში, ამხანაგმა კალანდარიშვილმა აღგზნებულ სიტყვაში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ესერების ეს ახალი საქმიანობა და ამხილა, რომ ესაულ სემიონოვის მიერ მონგოლო-ბურიატების გუნდის შექმნა არის შეიარაღებული კონტ-რევოლიუცია რევოლიუციის წინააღმდეგ, მონარქია რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მენშევიკებისა და ესერებისაგან მოწყობილი იუნკრებისა, კაზაკების და აფიცრების აჯანყება დაიწყო ირკუტსკში რვა დეკემბერს 1917 წელს და ამხანაგი კალანდარიშვილი ხელახლა ჩაება ბრძოლაში თოფით ხელში.

რვა დეკემბერს, შუადღისას, ამხ. კალანდარიშვილმა უკვე შემოიკრიბა თავის ირგვლივ გაიძვერა პოტეიშვილის ყოფილ დრუჟინიდან და რევოლიუციონურათ განწყობილ მუშებისაგან 1500 კაცისგან შემდგარი რაზმი, რომელსაც სახელათ დაერქვა ტიხვინის რაზმი, ამ რაზმით ის გამოდის აჯანყებულების წინააღმდეგ. „დეკემბრის ამბები“ ცხრა დღე გრძელდება; ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა თავისი სიმკაცრით წარმოუდგენელი ბრძოლა ქუჩებში, რომელშიაც ამხ. კალანდარიშვილი იჩენს დიდ გამბედაობას და უშიშრობას.

ამ ხნიდან, ამხანაგ კალანდარიშვილში, რომელიც ფორმალურათ კიდევ სთვლიდა თავის თავს ანარქისტათ, იწყება გარდატეხა კომუნიზმთან დაახლოვებისაკენ და ამ გარდატეხას ჩქარა მიყავს ის კომუნისტურ პოტეის რიგებში.

ირკუტსკში აჯანყების ლიკვიდაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტიხვინის რაზმის ნაწილი საფუძვლათ დაედო პირველ ირკუტსკის კავალერიის დივიზიონს, რომლის შედგენაც დაევალა ამხანაგ კალანდარიშვილს.

19 თებერვალს, 1918 წელს, ის შეუდგა დივიზიონის მოწყობას, მაგრამ ეს საქმე კიდევ დათავებული არ იყო, რომ მან მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულება გაელაშქრა ბაიკალის იქითა მხარეს სემიონოვის წინააღმდეგ.

იღებდა რა მონაწილეობას ყველა ბრძოლებში სემიონოვის წინააღმდეგ, ონონთან, დაცენთან, ზემო და ქვემო შაგანიეზე, ბირკოთან, ხადა-ბულაკთან,—ამხანაგმა კალანდარიშვილმა თავის რაზმით მიაღწია სადგურ ბორზას, სადაც სემიონოვის ბანდების ლიკვიდაციის შემდეგ მიიღო განკარგულება ირკუტსკში დაბრუნებისა, რათა იქიდან გაელაშქრა ქვემო-უდინის ფრონტზე აჯანყებულ ჩეხო-სლოვაკების წინააღმდეგ.

ივლისში ის მივიდა ირკუტსკში და მაშინვე ერთი ესკადრონი გაგზავნა მდინარე ბელოისაკენ, სადაც ამ დროს დაბანაკებული იყო მტერი, თვითონ კი ერთი ესკადრონით დარჩა ირკუტსკში.

აჯანყებულებმა იძულებული გახადეს წითელი გვარდია დაეხია ირკუტსკამდე და აქედან ბაიკალს იქით. ამხანაგ კალანდარიშვილს ევალება ხელი შეუწყოს, დაეხმაროს წითელ გვარდიას უკან დახევის დროს.

1918 წ. 15 ივნისს, როდესაც ირკუტსკი დაიკავეს ჩეხებმა, ამხანაგი კალანდარიშვილი მკაცრი ბრძოლის შემდეგ სტოვებს ქალაქს და განუწყვეტელი ბრძოლით იხევს მდინარე ანგარით ლისტვინიჩნისაკენ. აქედან თავის რაზმით სხდება გემზე, გადადის ბაიკალს და იკავებს მისოვსკს.

რათა მტერს თავი არ შემოევლო და არ გამოყოლოდა სხვა ნაწილებს, მისოვსკში ამხანაგმა კალანდარიშვილმა მიიღო რა ქალაქ ვეხრე-უდინსკში მესამე საბჭოთა დივიზიის სარდლობა, გაილაშქრა სე-ენგინსკზე.

სელენგინსკის დაცანთან მართლაც მოხდა ჩეხებთან შეტაკება, და ასე ბოლო მოეღო მათ მიერ თავიდან მოვლის ცდას. ჩეხები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. მაგრამ მთავარი ძალების ბრძოლამ, რომელიც ამ დროს სწარმოებდა სადგურ მურინოს მაგისტრალზე, სრულებით დაშალა უკან დახეული წითელი გვარდია და ამიტომ ბრძოლის გაგრძელებამ დაჭკარგა ყოველივე აზრი. ამხანაგი კალანდარიშვილი იძულებული იყო ნაწილი თავის ჯარისა დაეთხოვა, დანარჩენი, უფრო რევოლიუციონურათ განწყობილ 1500 ჯარის კაცით, რომლებმაც გადასწყვიტეს მოლომდე ბრძოლა, დაეხია სამხრეთით ტროიცკო-სავსკისაკენ.

შემდეგ დახევას მონგოლიის საზღვრებზე, რაც გამოწვეული იყო თეთრების მოწოლით და ამასთანავე სიცივეებისა და ადგილობრივ მცხოვრებლების მტრულათ განწყობილებით, ხელს უშლიდა მრავალი სიძნელე და გაჭირება. ბევრი ხალხი დაიღუპა, ბევრი ჩამორჩა და გაიქცა, რადგანაც მათ ვერ აიტანეს დახევის სიძნელე და კალანდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშვილის რაზმიდან, რომელიც თანდათან დნებოდა, საზღვართან მიახლოვების დროს დარჩა მხოლოდ 800 კაცი.

ამხანაგი კალანდარიშვილი რაზმის ხელმძღვანელობის დროს იჩენდა დაუშრეტელ ენერგიას და სიმხნევეს; ის ვაჟკაცურათ იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას და სწორეთ იმის გამო მისი მცირე რაზმი, რიცხვით 70 კაცი 1918 წლის ნოემბერში ტუნკინით გავიდა ჩერემხოვის სადგურის რაიონში.

მთელი გზა ტაიგაში—ეს ნამდვილი სიმშილი, სიცივე და გაჭირვებაა. სადგურ ჩერემხოვის რაიონში, სოფელ გალუმეტის ახლო, ამხანაგი კალახდარიშვილი გადაეყარა ერთ მონადირის ქოხს. რაზმს, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში არა ეჭამა არაფერი გარდა უმარილო ცხენის ხორცისა, მონადირემ მისცა საჭმელი და გაიყვანა ის ტაიგით ისეთ სოფელში, რომელიც არ იყო თეთრების ხელში.

აქ გადაწყდა, რომ რაზმი დაშლილიყო წვრილ-წვრილ პარტიებათ, ვინაიდან რაზმის ერთათ ყოფნა, როდესაც ის ირგვლივ შემორტყმული იყო თეთრებით და ამასთანასე მცხოვრებლებიც არ თანაუგრძნობდენ—მეტათ სახიფათო იყო. აქვე დასტოვა რაზმმა გაძვალტყავებული, ღონე-მიხდილი ცხენები. ამხანაგმა კალანდარიშვილმა გადასწყვიტა რამოდენიმე ერთგული ამხანაგით წასულიყო სოფელ უსოლოვში, ირკუტსკის მაზრაში.

აქ სულ ადვილათ შესაძლებელი იყო მათი შეპყრობა, ამიტომ კომერსანტები ვართო თქვეს და ირკუტსკიდან ერთ ვაგონ მანუფაქტურას ველითო. აქ მოთავსდენ ვოლკოვის სახლში. მაგრამ რადგანაც დიდ ხანს ერთ ადგილას ყოფნა სახიფათო იყო, ამხანაგი კალანდარიშვილიც იცვლის ბინებს: მას ხშირათ მოაქვს თავი ხან ვაჭრად, ხან ფერშალათ, ხან მიწის მზომელათ და ერთხელ ირკუტსკში მღვდლობაც კი შეიფარა. ამ შემთხვევაში მას ხელი შეუწყო მისმა გრძელმა თმამ, რომელიც ტაიგაში ხეტიალის დროს გაზრდოდა.

სხვათა შორის, გრძელი თმისა და წვერის გამო, რომელთაც ამხ. კალანდარიშვილი ატარებდა, ამხანაგებმა უწოდეს მას „პაპა". ასეთი უბრალო ნაზი მოპყრობა მისდამი, რაც სიყვარულის გრძნობას გამოხატავდა იმათ მიერ, ვინც კი მას იცნობდა, სიკეთილის უკანასკნელ წუთამდე არ მოჰკლებია.

როდესაც უსოლიეში შეუძლებელი გახდა თავის შეფარება. ამხანაგი კალანდარიშვილი 1919 წლის იანვარში გადადის თავისი ერთი ამხანაგით ოლინდაის ჭალაში (ზაიმკა) ბოკონსკის თემში, უსოლიედან. 60 ვერსის მოშორებით, სადაც ყიდულობს პატარა ნაჭერ მიწას და სახლს და იწყებს მეურნეობას, მაგრამ აქაც საშიში იყო დიდი ხნით დარჩენა და თვე-ნახევრის შემდეგ ის ხელახლა იწყებს ხეტიალს და დროს ატარებს ტაიგაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაიგაში მალვისა და მაწანწალის დროსაც ამხანაგი კალანდარიშვილი არ სწყვეტს კავშირს თავის ამხანაგებთან, რომლებიც ბედმა გადაისროლეს ირკუტსკისა და ბაიკალის იქითა მხარის გუბერნიების სხვადასხვა ადგილებში. ის ხელმძღვანელობს მათ მოქმედებას და ამაგრებს მათში სულის სიმტკიცეს და რწმენას, რაც ასე აუცილებელია ბრძოლის დროს.

ბალშევიკებისადმი ადგილობრივ გლეხობის მტრობამ დაარწმუნა კალანდარიშვილი პარტიზანულ რაზმების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევაში—ე. ი. იმათი, ვინც იყო მასთან კავშირში ან მის განკარგულებაში. ეს ყრილობა შესდგა 1919 წლის მაისში, ყრილობაზე გამოიხატა გლეხების ანტი-ბოლშევიკური სულის-კვეთება, რაც მიეწერებოდა მათ შეუგნებლობას და იმ აგიტაციას, რომელსაც აწარმოებდა მოვახშე ელემენტები.—ამისათვის გადასწყდა, რომ პარტიზანულ ბრძოლასთან ერთად პარალელურად ეწარმოებიათ გლეხებში აგიტაცია-პროპაგანდა, აეხსნათ გლეხებისთვის საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარული რევოლიუციის იდეოლოგია და გამოეაშკარავებიათ კოლჩაკის მთავრობის მოღალატური პოლიტიკა. ამ მუშაობას, რომელიც დაიწყო ყრილობის შემდეგ, გლეხების სულის-კვეთების გარდატეხაში დიდი გავლენა ჰქონდა და ამავე წლის ოქტომბერში გამოიღო მეტათ საგრძნობი შედეგები. ამ საგიტაციო მუშაობის ჩატარებასთან ერთად გაძლიერდა წითელი პარტიზანული რაზმების აქტიური მოქმედება, რაც გამოიხატა თეთრების წინააღმდეგ ბრძოლებში, შეტაკებებში, რკინის გზის დანგრევაში, სამხედრო ეშელონების დამსხვრევაში და საერთოდ შეიარაღებულ აჯანყების ფართოდ მოწყობაში; თვითონ პარტიზანული რაზმებიც შეიესო ხალხით და იარაღითაც. რაზმების რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა. გაიბა ქალაქთან მუდმივი კავშირი.

1919 წლის ოქტომბრის დასაწყისში ირკუტსკის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებში დაარსდა მრავალი რევოლიუციონური კომიტეტები და მებრძოლი დრუჟინები.

ამ ხანებში პარტიზანული ომი გაიზარდა ნამდვილ ხალხურ მოძრაობათ და კოლჩაკისათვის გადაიქცა სერიოზულ საშიშროებათ.

უმთავრესათ კალანდარაშვილის რაზმი არ აძლევდა მოსვენებას კოლჩაკს. კარგათ შეიარაღებული კოლჩაკის რაზმები ტყვილათ ფიქრობდნენ კალანდარიშვილის დაჭერას: იმის დაჭერა შეუძლებელი იყო. ვერ უშველა კოლჩაკს ამ საქმეში ცნობილ მხეცმა და ჯალათმა კრასილნიკოვმაც კი. „შეუპყრობელი კალანდარიშვილი“ ტაიგებში აკეთებდა დიდ გადასვლებს, ხელიდან უსხლტებოდა მტერს, გამოჩნდებოდა ისეთს ალაგს, სადაც მას სრულიად არ მოელოდნენ და დიდ ზიანს აყენებდა მოწინააღმდეგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დასაწყისში ამხანაგმა კალანდარიშვილმა ბრძოლით დაიკავა სოფელი ოლონკი, განაიარაღა მილიცია და დაამარცხა ალექსანდროვსკიდან მის წინააღმდეგ გამოგზავნილი თეთრი რაზმი. ოლონკაზე დაცემა გადაიქცა საერთო აჯანყების სიგნალათ კოლჩაკის წინააღმდეგ. ამის შემდეგ კალანდარიშვილის რაზმი, რომელშიაც ამ დროს 500 კაცი ირიცხებოდა და კარგათ შეიარაღებული იყო, შეიჭრა კაჩუგის, ზნამენკის და ვერხნოლენსკის რაიონ ებში, სადაც შეუერთდა ამხანაგ ბაიკალოვის პარტიზანულ რაზმს, რომელიც მთლიანად შედის კალანდარიშვილის რაზმში. აქედან ამხანაგმა კალანდარიშვილმა გადასწყვიტა წასულიყო ირკუტსკის ასაღებათ.

1919 წლის 6 დეკემბერს, როდესაც ამხანაგ კალანდარიშვილის რაზმს თავი მოეყარა სოფელ ხომუტოვოში (ირკუტსკიდან 25 ვერსზე) კალანდარიშვილი გებულობს, რომ ქალაქში მოხდა ესერების მიერ მოწყობილი გადატრიალება. ის მონაწილეობას ღებულობს ამ ბრძოლაში და ასე სწყვეტს ქუჩაში წარმოებული ბრძოლების ბედს: თეთრები გარბიან აღმოსავლეთისაკენ, ქალაქს იკავებენ აჯანყებულები.

ირკუტსკის განთავისუფლების შემდეგ ამხ. კალანდარიშვილი ფიქრობდა დაესვენა ტაიგაში ამდენი ხეტიალისა და პარტიზანული ომების შემდეგ და განკურნებულიყო ოთხ ჭრილობისაგან, რომელიც მან მიიღო ბრძოლაში, მაგრამ ის ვერ ჩერდება ერთ ალაგას. იანვარში ირკუტსკისაკენ დასავლეთით მოდიან კაპელელები და კალანდარიშვილი სდევნის მათ თავისი რაზმით. ბრძოლა მოხდა სადგურ მიხალევთან. აქ კაპელელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, ბევრი მათგანი დახოცეს და დასჭრეს, ბევრიც ტყვედ წაიყვანეს.

ამის შემდეგ, როდესაც ის დაბრუნდება ირკუტსკში, იღებს დანიშნულებას გაილაშქროს გენერალ სუკინის წინააღმდეგ ვერხოლენსკის რაიონში, რომელიც მოდიოდა უსტ კუტიდან მდინარე ლენის ზემო ნაპირებით.

1920 წლის 18 თებერვალს სდგება „ვერხოლენსკის ჯარების ჯგუფის შტაბი (ამხანაგ კალანდარიშვილის რაზმებისაგან) ჩრდილოეთ აღმოსავლეთ საბჭოთა არმიისა". ამ ჯარის მეთაური ხდება ამხ. კალანდარიშვილი და ილაშქრებს მტრის წინააღმდეგ იაკუტსკის გზით. სუკინთან შეტაკება მოხდა მარტში სოფელ ბირიულკასთან. გაცხარებული ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ დიდი ზარალით უკან დაიხია. გამოუდგა რა სუკინის რაზმის დამარცხებულ ნაშთს, ამხ. კალანდარიშვილი მივიდა შევიკანამდე. აქ ის ჩერდება, ვინაიდან ამ დროს გაწვეულ იქნა ახალ, იაპონელთა და სემიონოვის ფრონტზე.

კოლჩაკის ნაშთებმა—ატამან სემიონოვის უაჩაოთა ბანდებმა, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ იაპონელი გენერლები, ამ დროს გაილაშქრეს ახალგაზრდა შოეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგ და იაპონელთა საექსპედიციო ჯარების აქტიური დახმარებით მოანდომეს ამ რესპუბლიკის მოსპობა და მშვიდობიან მცხოვრებლებს დაუწყეს მხეცური გასამართლება.

ამხანაგი კალანდარიშვილი ყველა მის განკარგულებაში მყოფი რაზმებით უნდა წასულიყო მოკლე გზით, ბაიკალაით, იაპონელთა—სემიონოველების წინააღმდეგ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ბაიკალის გახსნამ და ამხ. კალანდარიშვილი იძულებული გახდა წასულიყო იაკუტსკის დიდი შარა-გზით ირკუტსკზე და შემდეგ რკინის გზით.

აპრილში ის გამოდის ირკუტსკიდან ორი ეშელონით, ეშურება ფრონტისაკენ და აქ სადგურ პეტროვსკი-ქარხანასთან (ქალაქ ვერხნეუდინსკიდან 150 ვერსზე აღმოსავლეთით) და შემდეგ სადგურებზე მოგზონთან და გონგოტასთან (120—150 ვერსის მანძილზე დასავლეთით ჩიტიდან) ამაგრებს ჩვენს ფრონტს და ასე ამ ადგილებში ფრონტის გარღვევის საშიშროებას თავიდან იშორებს.

გზაზე ამხ. კალანდარიშვილი ეწევა მეტათ დიდ საგიტაციო მუშაობას: ის ამშვიდებს და აბრუნებს თავიანთ ადგილებზე გაქცეულ ადგილობრივ მოსახლეობას და მოუწოდებს მუშებს გამოვიდენ იარაღით ხელში შორეულ აღმოსავლეთ რესპუბლიკის დასაცავათ. ამ აგიტაციამ ბევრი შეკნებული მუშათა ნაწილები მიიზადა მოხალისეთ კალანდარიშვილის რაზმში. სადგურ ხილოკის დეპოდან რაზმს შეუერთდა ასამდე კაცი.

სადგურ გონდოტასთან და სოხონდასთან 14-20 წელს, 12 მაისს, იაპონელებთან და სემიონოველებთან ბრძოლაში კალანდარიშვილი თვით მიუძღვის ჯარს წინ და თავისი მაგალითით ამხნევებს მას. აქ ის იღებს ორ მძიმე ჭრილობას: ერთმა ტყვიამ გაუხვრიტა მას ორივე ყბა, მეორემ დაუმტვრია მარჯვენა გვერდი.

მიუხედავათ იმისა, რომ წინამძღვარი დაიჭრა, პარტიზანებმა მაინც სასტიკათ დაამარცხეს იაპონელები და უკანასკნელებმა სრული არევ-დარევით დაიხიეს სადგურ სოხონდომდე. იაპონელების ასეთი დამარცხება იმდენათ სერიოზული და საყურადღებო იყო, რომ მათ მეორე დღესვე დაიწყეს ზაგზე მოლაპარაკება, რასაც შედეგათ მოყვა იაპონელების ჯარის გაყვანა აღმოსავლეთისაკენ.

ჭრილობის გამო ამხ. კალანდარიშვილი იძულებულია დასტოვოს რაზმი და მიდის ვერხნე-უდინსკის სამხედრო-საავადმყოფოში საექიმოთ.

მისი რაზმი ამ ხანებში დგას სადგურ გონგოტასთან, სადაც რჩება 1920 წლის შემოდგომამდე: ამ დროს იაპონელების მიზეზით ზავი ჩაიშალა და სამხედრო მოქმედებაც განახლდა. რაზმს ხელმძღვანელობს მისი თანაშემწე და მოადგილე ამხ. ნაგი ასათიანი, რომლის როლიც აგრეთვე ღირს-შესანიშნავია. 1920 წლის 17 სექტემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაურიესთან მთავარ ბრძოლაში კალანდარიშვილის რაზმი ამარცხებს სემიონოველების და კაპელევების ნაწილებს და იკავებს დაურიას. ამ ბრძოლის შემდეგ და სადგურ მანციევსკაიას დაკავებით სამხედრო მოქმედება სწყდება და ამბ. კალანდარიშვილის რაზმი მიდის მონგოლიის საზღვრების დასაცავად და იქ გამეფებულ ბანდიტიზმის აღმოსაფხვრელად. აქ რაზმი რჩება 1921 წლის მაისამდე. დაურიის ბრძოლის შემდეგ რაზმი შეუერთდა შორეულ აღმოსავლეთ რესპუბლიკის სახალხო რევოლიუციონურ არმიის მეორე ვერხნე-უდინსკის დივიზიის და სადგურ გონგოტასთან იაპონელების წინააღმდეგ ბრძოლაში წარჩინებისათვის მიიღო სახელწოდება „კალანდარიშვილის სახელობის გონგოტის კავალერიის გუნდი.“ 1921 წელს 20 ივნისს გუნდმა ომში წარჩინებისათვის რ. კ. პ. სადგურ ბოჩქარიოვის რაიონულ კომიტეტისაგან მიიღო წითელი დროშა.

მთელ ამ ხნის განმავლობაში ამბ. კალანდარიშვილი ადგილობრივათ აღარ ყოფილა: ჭრილობისაგან განკურნების შემდეგ ის იგზავნება მოსკოვში, როგორც შორეულ აღმოსავლეთ რესპუბლიკის ჩინეთის სამხედრო მისიასთან გარეშე საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი წარმომადგენელი და იქიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობს ირკუტსკში, სადაც ისვენებს თავისი ოჯახობით.

1917 წლის ოქტომბრიდან დაწყებულმა პოლიტიკური რწმენის გარდატეხამ კომუნიზმის იდეოლოგიის სასარგებლოთ ამბ. კალანდარიშვილი 1920 წელს საბოლოოთ მიიყვანა კომპარტიაში.

1920 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ამბ. კალანდარიშვილმა მისწერა ღია წერილი ირკუტსკის კომუნისტური პარტიის საგუბერნიო კომიტეტს, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგს ამბობს! „ძვირფასო ამხანაგებო! ამ წერილით მე ოფიციალურად ვაცხადებ, რომ შევდივარ რუსეთის კომუნისტური პარტიის—ბოლშევიკების რიგებში. გთხოვთ ჩამთვალოთ მე რუსეთის კომუნისტური პარტიის ირკუტსკის ორგანიზაციის წევრად. ჩემი გადაწყვეტილებაა, რომ გავმხდარიყავი რ. კ. პ. წევრად, არის სამი წლის მუშაობის შედეგი მუშათა პარტიის რიგებში, რამაც პრაქტიკულათ დამარწმუნა, რომ არ არის სხვა პრინციპები, არ არსებობს სხვა ბრძოლის მეთოდები, გარდა პროლეტარიატისა და უღარიბეს გლეხების დიქტატურისა, რაც განახორციელებს სოციალიზმის იდეალების შემოქმედებას, შესაძლებლობას და შემეცნებას. აქამდის მე დრო არ მქონდა საქვეყნოთ მეთქვა ეს და შევსულიყავ პარტიაში. დღეს მე ვაცხადებ, რომ მე აღარა ვარ ანარქისტ-კომუნისტი, მე ვარ კომუნისტი, ბოლშევიკი, რ. კ. პ.-ს წევრი. ძველი რევოლიუციონერისა და პარტიზანის გამოცდილება მე შეძლებას მომცემს კიდევ არა ერთხელ დავამტკიცო ჩემი ერთგულება სოციალურ რევოლიუციის საქმეში.—ახლა მე პარტიის რიგებში ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ საჭირო დარჩება, პატიოსნათ მოვკედები საბჭოთა რესპუბლიკების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში".

ამხანაგმა კალანდარიშვილმა მართლაც ბოლომდის შეასრულა თავისი დაპირებანი.

1921 წელს ამხ. კალანდარიშვილის პოპულიარობა და მისი რევოლიუციონური დამსახურება რესპუბლიკის წინაშე იმდენათ დიდია, რომ ის, როგორც ციმბირის ერთი გამოჩენილი პარტიზანი, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით 1921 წლის მაისში, იღებს ახალ საპატიო დანიშნულებას: კორეის რევოლიუციონურ ჯარებისა და შორეულ აღმოსავლეთის პარტიზანულ რაზმების სარდლობას.

კორეაში მაშინ გაცხარებული პარტიზანული ომი იყო იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და დამონებულ კორეის ხალხში რევოლიუციონურ მოძრაობის ხელის შესაწყობათ და მთელ კორეაში პროლეტარულ რევოლიუციის აღსადგენათ,—გადაწყდა შეერთებიათ დღემდე დაქსაქსული ჯარი და პარტიზანული რაზმები ერთ მთლიან ლაშქრათ კალანდარიშვილის სარდლობით, რომელსაც დაევალა აღეზარდა, შეერთებინა და შეეკავშირებინა ეს ნაწილები და მოემზადებინა ისინი კორეიაზე გასალაშქრებლათ.

ამხ. კალანდარიშვილის სახელობის გონგოტის კავალერიის გუნდმა, რომელიც მის დანიშვნის შემდეგ გამოვიდა მეორე ვერხნეუდინსკის დივიზიის შემადგენლობიდან, წაიწია სადგურ კულუსტისაკენ მონგოლიის საზღვარზე და თავი მოიყარა სადგურ დაურიასთან შორეულ აღმოსავლეთისაკენ წასასვლელათ.

1921 წლის 26 მაისს, ამხ. კალანდარიშვილი უერთდება თავის ნაწილებს და პირადი თაოსნობით გადადის ამურის ოლქში. იქ მისვლისას ამხ. კალანდარიშვილის შტაბი ჩერდება ქალაქ სვაბოდნში (ყოფილი ალექსეევსკი) და იწყებს დაკისრებული მოვალეობის აღსრულებას,—კორეიაში დაქუცმაცებულ რაზმების შეერთებას. აქ ამხ. კალანდარიშვილი შეხვდა მთელ რიგ დაუძლეველ დაბრკოლებებს, რაც გამოიხატება კორეელების მოუმზადებლობაში და პროლეტარულ რევოლიუციის იდეის შეუთვისებლობაში, მათ პოლიტიკურათ ჩამორჩენაშ იდა თეორების წინააღმდეგობაში, რომელთა გავლენაც შორეულ აღმოსავლეთში მეტად დიდი იყო და რომლებსაც ხელში ეპყრათ თითქმის მთელი შორეული აღმოსავლეთი. კორეისაკენ გალაშქრების განზრახვა არ განხორციელდა და ცენტრმა გადასწყვიტა კორეის ყველა ნაწილები დაებრუნებია ირკუტსკში მათი ხელ-ახალ აღსაზრდელათ.

ცენტრის ეს გადაწყვეტილება სასწრაფოთ შესრულდა და ამხ. კალანდარიშვილმა მოიყანა ყველა კორეელების სამხედრო ნაწილე-

ბი ირკუტსკში. აქ ამ ნაწილებისგან შესდგა კორეის ბრიგადა, რომლის სარდლათაც დაინიშნა კალანდარიშვილი.

5 ოქტომბერს ამხ. კალანდარიშვილი სტოვებს ბრიგადას და მოდის მოსკოვში კორეის საქმეებზე მოსახსენებლათ.

გონგოტის გუნდი დროებით გააჩერა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკამ, მაგრამ ამს. კალანდარიშვილმა მოითხოვა ის და 1921 წლის 17 სექტემბერს გუნდმა მთლიანათ მოიყარა თავი ირკუტსკში.

ამავე წლის 24 სექტემბერს ამხ. კალანდარიშვილი ღებულობს უმაღლეს სამხედრო ჯილდოს—წითელ დროშის ორდენს. ბრძანება აღმოსავლეთ ციმბირის სამხედრო ოლქის მეხუთე არმიის ჯარებისადმი 1921 წლის 6 ოქტომბერს №-1516 ამის შესახებ შემდეგს ამბობს: „ძძიმე წლებში ციმბირის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობისათვის ბრძოლის დროს, ამხ. ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილმა დაიჭირა ერთი უპირველესი ადგილი მის სახელოვან დამცველთა შორის. დაიწყო რა თავისი მოღვაწეობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდან, ის თანდათანობით იბრძვის ჯერ სემიონოვისა და შემდეგ კოლჩაკის წინააღმდეგ, ორი წლის განმავლობაში იმალება გაუვალ ტაიგაში და მისი გაბედული და მოულოდნელი თავდასხმები მტერს იძულებულს ხდის იყოლიოს მის საწინააღმდეგოთ ფრონტზე საკმაო რიცხვი თავის ჯარებისა.

„1919 წლიდან ამხ. კალანდარიშვილი ენერგიულათ სდევნის თეთრ-გვარდიელების არმიის უკანდახეულ ნაშთს: 1922 წლის მარტში ვერხოლენსკის დიდ შარა გზაზე მან დაამარცხა გენერალ სუკინის რაზმი და ხელთ იგდო დიდძალი დაკლა.

„ორი წლის მედგარმა ბრძოლამ ვერ გასტეხა სახელოვანი პარტიზანის სული. როგორც კი ცოტაოდენი დაისვენა მან ისევ შეავსო თავისი რაზმი და 1920 წლის აპრილის გასულს წავიდა იაპონელთა- და სემიონოველების ფრონტზე. ამავე წლის 12-მაისს გონგოტთან ბრძოლის დროს, როდესაც ის ხელმძღვანელობდა თავის ქვეითა რაზმს და კავალერიას, დაიჭრა ფეხში და ლოყაში, მაგრამ მიუხედავათ მძიმე ჭრილობისა, მან არ დასტოვა თავისი სადარაჯო. ბრძოლის შედეგში იაპონელები იძულებულნი გახდენ დაეხიათ სადგურ სოხონდამდე. კალანდარიშვილის ენერგიულმა წინააღმდეგობამ მეტად შეუშალა ხელი იაპონელების ჯარების აღმოსავლეთისაკენ წასვლას და დროებით ხავის ჩამოგდებას“.

რევოლიუციისა და რესპუბლიკის წინაშე დიდ დამსახურებისათვის კალანდარიშვილი დაჯილდოვდეს წითელი დროშის ორდენით—№-1217“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს „პაპა“ კალანდარიშვილის სახელი და დიდება აღწევს უმწვერვალეს წერტილს, მისი სახელის გარშემო იქმნება მთელი ლეგენდები. მისი პოპულიარობის ზრდას, გარდა მეომარის სახელისა და რევოლიუციონური დამსახურებისა, ხელს უწყობდა მისი პირადი ადამიანური ღირსებაც: კეთილი ხასიათი, გრძნობიერი, ნაზი გული, და სხვისთვის ყოველთვის გულშემატკივრობა.—ის ყველას უყვარს, მას აფასებენ, პატივსა სცემენ. ყველა მისი ერთგულია, ყველგან, სადაც არ უნდა გამოჩნდეს, მას თავისი თაყვანისმცემლები ყავს: ყველა მასთან მიდის თავის კითხვების, გაჭირვებისა და იჭვების გადასაჭრელათ. „პაპა“ არაფერში არავის უარს არ ეუბნება. განსაკუთრებით უყვარდათ „პაპა“ მის ხელქვეითებს და ეს არც საკვირველია: ის მათი მუდმივი ერთგული მეგობარი და დამცველია. ბრძოლის ქარცეცხლში ის ხშირად ასრულებს მომვლელ ჭალის როლს მძიმეთ დაჭრილ ამხანაგების წინაშე, სავსებით ინაწილებს მათ ტკივილებს, მწარე განცდა-გაჭირვებას და უარყოფს მათ ყველაფერს, რაც კი თითონ აბადია.

„პაპას“ კეთილი ხასიათი იმდენათ ძლიერი იყო, რომ ის გავლენას ახდენდა მის მტრებზედაც კი. ის მუდამ მოითხოვდა თავის პარტიზანელებისაგან დამარცხებულ მტრისადმი ადამიანურათ მოპყრობას, სასტიკათ სდევნიდა სამხედრო ტყვეების დაცინვას და შეუბრალებლათ სჯიდა ტყვეების განუკითხავად დამხვრეტელთ.

„მრისხანე პარტიზანი“, რომლის ერთი სახელიც შიშის ზარს ჰგვრიდა საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებს, იქნება ეს გასაკვირველიცაა, მაგრამ იყო სასტიკი წინააღმდეგი სისხლის ღვრისა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავდა ამას როგორც უკანასკნელ საშვალებას. ჩვეულებრივათ ის ხმარობდა ყველა ზომებს, რომ სისხლის ღვრა თავიდან აეცილებინა და ცდილობდა სიტყვით ემოქმედნა და დაერწმუნებინა თავისი მოწინააღმდეგე.

1921 წლის ოქტომბერში თეთრგვარდიელებმა იაკუტის გუბერნიაში მოაწყვეს ახალი ავანტიურა. იაკუტსკიდან გაქცეული თეთრგვარდიელთა აფიცრების ჯგუფი, ყოფილ სამხედრო საგუბერნიო ხელმძღვანელის კაპიტან ტოლსტოუხოვის მეთაურობით გაეშურა მდინარე ალდანისაკენ და ადგილობრივი სხვა ტომების ხალხმა (იაკუტებისა და ტუნგუზებს) მოუწოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ასაჯანყებლათ.

ისარგებლა რა კულტურულათ და პოლიტიკურათ ჩამორჩენილ იაკუტებით და ტუნგუზებით და მათში ნაციონალური გრძნობების გამწვავების ლოზუნგის გადასროლით—„იაკუტელ ძმების განთავისუფლება მოსულების უღლისაგან“, და მოქმედებდა რა ხშირად მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუილებით და მოსყიდვით,—ტოლსტოუხოვმა შესძლო მოეგროვებია საკმაოთ საგრძნობი რიცხვი ბანდებისა და ადგილობრივ „კულაკურ“ ელემენტების საშუალებით ის აქტიურათ გამოდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იაკუტის რაიონში განვითარებულ ბანდიტიზმთან პარალელურად გაჩნდნენ თეთრი ბანდები ოხოტის ზღვის ნაპირებზე და ოხოტსკიდან დასაკლეთით იწყეს შეტევა იაკუტსკისაკენ.

ამ ბანდიტური მოძრაობის აღმოსაფხვრელად აღმოსავლეთ ციმბირის უმაღლესმა სარდლობამ გადასწყვიტა ჩაბაბის ამ საქმეში კალანდარიშვილი, რომელიც დაინიშნა იაკუტის გუბერნიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლათ.

ის ახალ დაბრუნებული იყო მოსკოვიდან ირკუტსკში, როდესაც, 6 სექტემბერს, ეს დანიშნულება მიიღო. სასწრაფოთ იწყებს რაზმის შედგენას, უმთავრესათ არრეკ და შეყავს რაზმში შესაფერი, ძველი გამოცდილი რევოლიუციონერები. დეკემბრის დამლევს რაზმი უკვე მოწყობილია და იღებს სახელწოდებას: „ამხ. კალანდარიშვილის სახელობის მეორე ჩრდილოეთის რაზმი“.

1921 წელს, 31 დეკემბერს ამ რაზმის პირველი ეშელონი გადის ირკუტსკიდან ჩრდილოეთით იაკუტის დიდ შარე გზაზე. დანარჩენი სამი ეშელონი გამოვიდა ირკუტსკიდან 1922 წლის 12 იანვარს, უკანასკნელ ეშელონით მიდის თვით „პაპაც“.

გზაზე ის დაეწევა ორ ეშელონს და შეუერთდება მეორეს, რომელთანაც რჩება.

გზაზე, ყველა საგრძნობლათ დასახლებულ ადგილებში ის მართავს მიტინგებს და უხსნის მცხოვრებთ კონტრ-რევოლიუციონურ ავანტიურის ნამდვილ შინაარსს და მოუწოდებს მათ ყოველი მხრით ხელი შეუწყონ მის საჩქაროთ აღმოფხვრაში. ამასთანავე ის მოუწოდებს მცხოვრებთ შეგნებულათ შეხედონ ამ გამოსვლას და ამბობს, რომ მისი მოვალეობაა იმოქმედოს უფრო სიტყვით, ვიდრე იარაღით და ურჩევს დაჰყარონ იარაღი, რათა ასე შესწყდეს ძმათა შორის სისხლის ღვრა.

ეს მიტინგები ყველგან დიდ სიხარულით ტარდებოდა და დამსწრეებში იწვევდა დიდს ინტერესს და სიმპატიას თვით კალანდარიშვილისადმი. რაზმი კი იზრდებოდა მოსახლეობის შემატებით.

„პაპას“ სიტყვები ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა გლეხებზე, რომ ისინი ყველგან სთხოვდენ დარჩენას და მუსაიფს.

მაგრამ „პაპა“ ჩქარობდა... მისი მოუთმენელი და აღზნებული სული არ სცხრებოდა და მიისწრაფოდა წინ, იაკუტსკისაკენ, სადაც მას სურდა, რაც შეიძლება, საჩქაროდ მოეკიდა ხელი საქმისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებერთელა გზა, 3000 ვერსტი, იაკუტსკამდე მან სასწრაფოთ გაიარა 40 დღეში მაშინ, როდესაც ამ გზის გასავლელათ საჭიროა ორ თვენახევარი.

ის იაკუტსკთან ახლოს იყო მისული, როდესაც მოხდა საბედისწერო შეტაკება ბანდიტებთან, სადაც უთანასწორო ბრძოლაში „პაპა“ დაიღუპა სახელოვანი სიკვდილით გამხეცებულ ბანდიტ იაკუტის ხელისაგან. აი როგორ აგვიწერს ამას ოფიციალური მოხსენება: „კალანდარიშვილის რაზმის მეორე ეშელონი რაზმის შტაბის, არტილერიისა და საბარგოს შემადგენლობით, სულ 120 ცხენის ურემი, რომელიც 6 მარტს 5 საათზე გამოვიდა სადგურ ტეკტიურინსკიდან და მიდიოდა მდინარე ლენით, სადგურ ტეკტიურინსკაიასა და ტაბაგინსკაიას შუა გზაზე 35 ვერსის მანძილზე იაკუტსკიდან სამხრეთით გადაეყარა ბანდიტების სანგრებს რომელთაც დაეჭირათ მდინარის ორივე მხარე, რომელზედაც რაზმი მიდიოდა. მოწინავე ცხენის ურმებმა გაგრძელეს გზა, გახვეულნი ბანდების ცეცხლში, არტილერია და საბარგო დაბრუნდნენ ტეკტიურსკში. ეშელონის უფროსმა ამბ. ავერიანოვმა მოაგროვა ტეკტიურსკაიაში 15 კაცი თავის ეშელონიდან და 6 კავალერისტი ხასანოვის მწყობრიდან. მიატოვა არტილერია ტეკტიურსკაიაში და ერთი ტყვიისმფრქეველით გასწია კალანდარიშვილის დასახმარებლათ, მაგრამ ტეკტიურინსკიდან სამ ვერსზე შეეხეჩა ბანდიტების სანგრებს და სროლის შემდეგ, როცა მან შეამჩნია ბანდიტების შემოვლა რაც ხიფათს უმზადებდა ტეკტიურინსკის არტილერიას, დაბრუნდა ტეკტიურინსკაიაში. ადიუტანტი, კალანდარიშვილის და ამბ. დე ფრიკი, რომლებიც მიდიოდენ წინა ცხენების ურმებით ექვსი წითელ არმიელით და ორი ტყვიისმფრქეველით ჩაჯდენ თოფლში და დაუწყეს სროლა ბანდიტებს, სანამ მათ ტყვიის ფრქვეველი არ გაუფუჭდათ და არ მოუკლეს ოთხი წითელი არმიელი, შემდეგ დარჩენილ ხალხით და ტყვიისმფრქეველით კალანდარიშვილი წავიდა ტაბაგინსკისაკენ. ამხანაგ ოტროდის რაზმმა, რომელიც გაიგზავნა იაკუტსკიდან ბრძოლის ველზე, ნახა ორმოცი მოკლული და მათ რიცხვში ამხანაგი კალანდარიშვილიც და მის თანამემწის ასათიანი და აგრეთვე მძიმეთ დაჭრილი და გაყინული ამხანაგი ბუხვალოვი. შტაბის ქონება გატაცებულია“.

შემდეგში დაწვრილებით გამოირკვა, თუ როგორ დაუღუპა „პაპა“. თეთრბანდიტები, რომელთაც მდინარე ლენის ორივე მხარეზე სიმაღლენი დაეჭირათ, კარგათ დამალულიყვნენ და ეშელონის გავლის დროს აეტეხათ ისეთი ძლიერი სროლა ორივე მხრიდან, რომ ეშელონის მებრძოლებმა ვეღარ მოასწრეს დაეცვათ მდგომარეობა და პარტიზანები „პაპას“ მეთაურობით, ირგვლივ შემორტყმული ბანდიტებით, რომელთა რიცხვი ათჯერ აღემატებოდა მათ რიცხვს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ყველა ვაზნები დასცალეს, დაეცნენ უთანასწორო ბრძოლაში. „პაპა“ მოჰკლეს ბრძოლის დასაწყისში, როცა მას ის იყო მოესწრო ბრძანების გაცემა „В цепь!“ ორმა ტყვიამ მკერდში და თავში „პაპას“ სამუდამოთ შეუწყვიტა გულის ძგერა.

სამწუხარო ამბავი „პაპას“ უდროო გარდაცვალებისა სწრაფად გავრცელდა მთელ ციმბირში, რაც ყველაში გულწრფელ და ღრმა გულისტკენას იწვევდა. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა მისი სიცოცხლის და მოღვაწეობის სიდიადე და აგრეთვე მისი დაკარგვის სიმძიმეც.

რევოლიუციამ მასში დაჰკარგა ერთი საუკეთესო, სულით და გულით მებრძოლი, რომელიც უკანასკნელ წუთამდის მთელ დახავსებულ წესწყობილების წინააღმდეგ სიძულვილის ცეცხლით იწოდა და რომელმაც მომავალ მსოფლიო რევოლიუციას ანაცვალა თავისი პირადი სოცოცხლე.

ჩვენმა რესპუბლიკამ მასში დაჰკარგა ერთი საუკეთესო დამცველთაგანი.

წითელმა არმიამ მასში დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო რაინდთაგანი.

ყველამ, ვინც კი იცნობდა „პაპას“, მასში დაჰკარგეს დაუვიწყარი მეგობარი და ამხანაგი, რომელიც თავის აჰალებული სულით ყველას ხიბლავდა. „პაპას“ გვამი ბრძოლის ველიდან განსვენებულ იქნა იაკუტსკში და იქ დაიმარხა დროებით, რომ შემდეგ ნოსნობის გახსნისას გადმოეტანათ ირკუტსკში, 1922 წლის 15 სექტემბერს „პაპას“ გვამი ჩაპოასვენეს ირკუტსკში, რომელსაც შეეგება საპატიო ყარაული გუნდის შემადგენლობით, ორკესტრით და დროშებით.

17 სექტემბერს მოხდა საპატიო დასაფლავება. დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა გუნდმა დროშებით და ორი ორკესტრით, კავალერიის მწყობრით, ორი ბატარეით და ოთხი „ბრონეეიკით“. პარტიულმა მუშებმა, ქალაქის ორგანიზაციებმა და მცხოვრებთა ფართო მასსებმა. როდესაც კუბოს სამარეში უშვებდენ ძმათა სასაფლაოზე, ქვეითა ჯარმა და არტილერიამ სამჯერ გასროლით ცხედარს სამხედრო სალამი მისცა.

„პაპა“ კალანდარიშვილი აღარ არის ახლა ჩვენთან, ის მოკვდა, მაგრამ საქმე, რომელსაც ის ემსახურებოდა და რომლისათვისაც მან თავი დასდო, არ მომკვდარა, არამედ გრძელდება და „პაპას“ ნათელი სახე და ანდერძი ბოლომდე ბრძოლისა, მსოფლიო რევოლიუციის იდეების ბოლომდე გამარჯვება დარჩენილებს ისევე გაუნათებს გზას, როგორც ის უნათებდა მისი სიცოცხლის დროს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარსო და გრიშა მამაცაშვილების ხსოვნა.

გარსო და გრიშა დაიბადენ ღარიბ ოჯახში (ქ. თბილისში). მამა მათი სტალიარი იყო. მუშაობდა კერძო პირებთან. გრიშამ დაამთავრა საქალაქო სკოლა და პარტიაში ჩაეწერა. გარსო მუშაობდა ენფინჯიანცის ქარხანაში პაპიროსის მკეთებლათ. ორივე ძმები ჩაებენ რევოლიუციონურ მოძრაობაში 1901 წ. ორივე ძმა ტერორისტი იყო და ტერორისაკენ მსხვერპლი გახდნენ. სასტიკად იცავდენ პარტიულ დისციპლინას. მათ დავალებული ჰქონდათ აფიცერ ტემნიკოვის მოკვლა. 1906 წ. ესროლეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჯაშუშებმა ადრე გაიგეს გრიშას და მისი ამხანაგის ჩარკვიანის განზრახვა და შეიპყრეს. წაიყვანეს მეტეხის ციხეში და მოჰკლეს ორივენი ციხის კარებთან.

გარსოსაც ასეთი ბედი ეწია. მას იარაღი ჩამოართვეს და დაატაპტიმრეს სამი თვით ციხეში. ის სხვისი გვარით გაგზავნილ იქნა არხანგელის გუბერნიაში სამი წლის ვადით, საიდანაც გამოიპარა სამი თვის შემდეგ, 1906 წ. მაღე გაუგეს და დააპატიმრეს. მას ქონდა დავალებული პარტიის მიერ ხულიგან ცალხელა პიოროშკინის მოკვლა. 1907 წ. გარსომ მას ერთი ყუმბარა ესროლა, რომელიც არ მოხვდა, ესროლა მეორე და თითონ დაზიანდა. იქვე დაიჭირეს და მიუსაჯეს დახრჩობა, რაც სისრულეში მოიყვანეს. X.

გარსო მამაცოვი.

გარსო მამაცოვი იყო ახალგაზდა, 24—25 წლის.

გარსოს ყავდა ორი ძმა: ვასო უფროსი იყო და უმცროსს, მგონი, კოლა ერქვა.

1900 წ. ვასო, როგორც თამბაქოს ქარხნის მუშა, ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას თვითმპყობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლას გაანება თავი და რაღაც საქმეზე შეიპყრეს და გაგზავნეს რუსეთში.

გარსოს პატარა ძმა 1906 წ. ერთი თავის ამხანაგთან ერთად შეიპყრეს ავლაბარში.

შეპყრობისას ყუმბარები აღმოუჩინეს.

მესამე დღეს როცა ისინი ვაღაც ქართველი აფიცერის უფროსობით მიყავდათ ციხეში, რომ მიიყვანა იგინი მეტეხის ციხესთან აფიცერმა, შეაჩერა და უთხრა: **„თქვენ ღირსიც არა ხართ ციხეში ჯდომისა“** და ორივე რევოლვერით მოჰკლა.

დარჩა მარტოდა გარსო.

ბრიუმა ვეფაცაშვილი

ბარსელ ვეფაცაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1906 წლის დამლევს მე და გარსო ვიდექით ვორონცოვის ძეგლის ახლოს, ელისაბედის ქუჩის კუთხეში. მე იქ ახლოს ვცხოვრობდი.

ვიღაც მგზავრი გლეხისათვის ჯიბგირს ფული ამოეცალა, გლეხი ჯიბგირს ადევდა ხელს, მაგრამ „გოროდოკომ" რამდენიმე შეკითხვის შემდეგ ჯიბგირი იცნო მართალ კაცად და გაუშვა.

რაკი „გოროდოვომ" ჯიბგირი არ შეიპყრო, ჯიბგირმა ამაყად დაუწყო ისედაც გამწარებულ გლეხს გინება.

აქ გარსომ ვეღარ მოითმინა, სადღაც გაძვრა. არ გასულა 10 წუთი ისევ გაჩნდა ჯიბგირი გლეხს აგინებდა, ამ დროს გავარდა რევოლვერი და იქვე ტრამვაის ლიანდაგ შეა დაეცა ჯიბგირი და რამდენიმე წუთის შემდეგ ხმა ამოუღებლად იქვე მოკვდა.

გარსო კი თავისუფლად მივიდა ერიკაშვილის მწვანილის დუქანში და დასტოვა იქ რევოლვერი. (19 თებერვლის ქუჩაზე იყო და ეხლაც არის ერიკაშვილის მწვანილის დუქანი).

1906 წ. რკინის გზის სახელოსნოში მუშაობდა გიორგი თათუზოვი. გიორგი იყო აქტიური ბოლშევიკი. ის რამდენიმჯერ მთავრობამ შეიპყრო, მაგრამ ანთავისუფლებდა. ბოლოს იგი შეიპყრეს. სახლში აღმოუჩინეს ყუმბარები. ამის შემდეგ მან ციხეში ჯდომას პროვოკატორობა არჩია: გიორგიმ. ამის შემდეგ გასცა ავლაბრის სტამბა და ვინ იცის კიდევ რამდენს გასცემდა, რომ გარსოს იგი არ მოეკლა.

მკვლელობა ასე მოხდა:

1906 წელს თათუზოვი მიდიოდა 19 თებერვლის ქუჩაზე. რაკი მას გაუგეს პროვოკატორობა და მოკვლას უპირებდნენ, იგი ძალიან ფრთხილად დადიოდა რევოლვერით ხელში.

თათუზოვი რომ გასცილდა კომერციულ სკოლას და მიუახლოვდა ნიკოლოზის ეკლესიას, გარსომ იქვე მეწვანილის დუქნიდამ გამოიტანა რევოლვერი, დაეუნა და დაახლა ტყვიები. თათუზოვმა გარსოს დაუმიზნა, მაგრამ ვერ მოარტყა და გარსოზე გასროლილ ტყვიით თათუზოვმა ვიღაც (სტუდენტი) ფეხში დასჭრა.

სულ ათ წუთს არ გაუვლია, რომ ალსენალის გორაკის ქვეშ გარსომ ხელი დამიქნა: როცა ახლოს მიველ, შეეხედე გარსოს ძალიან ოფლიანი და შეშფოთებული სახე ჰქონდა.

გარსომ წყალი მთხოვა. მაშინვე მივუტანე, ჯერ დალია, მერე პირი დაიბანა და როცა დაწყნარდა, მაშინ მითხრა, რომ მან პროვოკატორი თათუზოვი მოკლა.

1907 წელს გაზაფხულზე ერთ დღეს ორი ძმა ქართველი აფიცერი მოჰკლეს.

ერთი ძმა მოკლეს დილით გრიბოედოვის ქუჩაზე რევოლვერით, მეორე ძმამ როცა გაიგო ძმის სიკვდილი, ჩაჯდა ეტლში და მიდიოდა მიხეილის საავადმყოფოში მოკლულ ძმის სანახავად, ეტლი რო მიუახლოვდა ვორონცოვის ძეგლს, დიდზურაბოვის მაღაზიასთან, უცებ იგრიალა ყუმბარამ. ამის შემდეგ ნახეს დაფლეთილი ეტლი და სულ ნაჭრათ ქცეული აფიცრის გვამი. გვამის ნაჭრებს ცოცხით აგროვებდენ.

როგორც გავიგე, თვით გარსოსაგან, ეს ორი ძმა აფიცრები ყოფილან (თუ არ დამავიწყდა) გვარად იმნაძეები, ერთ მათგანს მოუკლავს გარსოს პატარა ძმა.

რითაც გარსომ ერთ მოკლულ ძმის მაგივრათ სულ ორი საათის განმავლობაში მოჰკლა ორი ძმა აფიცრები.

1907 წელში გაჩნდა ერთი შავრაზმელი ცალხელა, გვარათ **პიორიშკინი**.

პიორიშკინს არა ერთხელ დაეცნენ მოსაკლავად და მუდამ შემოთხვევით რჩებოდა ცოცხალი, პიორიშკინის ცოცხლად გადარჩენას ჯავრს იწვევდა სხვა ტერორისტებში.

და აი, ერთხელ გარსო რამდენიმე ამხანაგით თავს დაესხა პიორიშკინს. ეს მოხდა ჩერქეზოვის ქუჩაზე, სადაც ახლა ალიოშა ჯაფარიძის ძეგლი დგას.

პიორიშკინს ალყა შემოარტყეს ტერორისტებმა და დაუწყეს ყუმბარების სროლა. ერთი გასქდა და პიორიშკინი უვნებლად გადარჩა. მაშინ გარსომ მეორე ყუმბარა შიგ ფეხ ქვეშ შეუგორა. ყუმბარა არ გასქდა და პიორიშკინი ცოცხალი გადარჩა. გარსო კი იქვე, ტურგენევის ქუჩის ჩასახვევში, ფეხში დასჭრეს და შეიპყრეს.

შემდეგ სამხედრო სასამართლომ დახჩობა გადაუწყვიტა გარსოს, მაგრამ იგი დიდხანს შეინახეს ციხეში.

ერთხელ, არ მახსოვს ვილაც მთავრობის პროვნება ქალაქში მოკლეს და მკვლელები მიმალენ.

გაჯავრებულმა ვორონცოვ-დაშკოვმა მაშინათვე უბრძანა ყველა სიკვდილით დასჯილნი ტუსაღები ჩამოეხრჩოთ და ერთ მათგანი, სიკვდილით დასჯით გადაწყვეტილი იყო გარსო, რომელიც მეორე დღეს დილით გაიყვანეს და ჩამოახრჩვეს.

გარსო იყო ძალიან ჩუმი კაცი, ის არ გაედა ზოგიერთ ტრაბახა ტერორისტებს

გარსომ ბევრი საქმე გააკეთა, თვითმპყრობელობის ბევრი ჯალათების თავი ამოიჭამა და თუ ბევრი მისი კეთილი საქმეები შეუჭ-ჩნევლად ჩატარდა, ეს მხოლოდ გარსოს კონსპირაციის წყალობით.

მბეჭდავი ავ. **ყაზაროვი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონ (ჰუჰულა) სპირიდონის ძე დვალი

ამხ. ჰუჰულა დაიბადა ს. შავრაში (რაჭის მაზრა), 1884 წელს. იგი იყო რაჭის მაზრაში ცნობილი ნოტარიუსის სპირიდონ დვალის შვილი. მამა მისი შეძლებული ადამიანი იყო და ამასთან ერთად დიდი სტუმართმოყვარე. პირველდაწყებითი სწავლა ამხ. ჰუჰულამ მიიღო სახლში მამის ხელმძღვანელობით. ასეთ პირობებში გაზრდილი ნორჩი ახალგაზრდა, თითქოს ფუფუნების და ნებივრობის მიდრეკილებას უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ცხოვრების პირობებმა და საერთოდ ფაქიზმა ბუნებრივმა ნიჭმა ეს გზა ჰუჰულას დაადგმობინა და სულ სხვა მიმართულებაზე დააყენა.

სახლში სწავლა-განათლების მიღების შემდეგ იგი დაინებით სთხოვდა მამას, რათა ის გადაეყვანა სასწავლებლად ქალ. ქუთაისში. მამამ მას სურვილი აუსრულა და მიაბარა მაშინდელ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, სადაც ამხ. ჰუჰულამ დაჰყო მე-5 კლასამდე.

სპირიდონ დვალი.

ქუთაისში გამგზავრებამდე, ბავშობის დროს, ჰუჰულა ღარიბ მეზობლების ბავშვებთან ამხანაგობდა, აკვირდებოდა მათ გაჭირვებულ ცხოვრებას, რაც მასზე დიდ გავლენას ახდენდა. შემდეგ, სიპაბუკის დროს, როცა ის ქუთაისიდან ზაფხულობით და საშობაო-საალდგომო უქმეებზე სახლში ბრუნდებოდა, სულ ერთავად გლეხებთან ატარებდა დროს. უკითხავდა მათ წიგნებს, გაზეთებს, ასწავლიდა წერა-კითხვას და სხვა.

ქუთაისში სათავად-აზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, (მაშინ ეს გიმნაზია 4 კლასიანი იყო) ჰუჰულა მიემგზავრება ქ. ტფილისში სწავლის გასაგძელებლათ. ამ დროს მამის მატერიალური მდგომარეობა შერყეული იყო და მის მამას გარდა ჰუჰულასი შესანახი და აღსაზრდელი კიდევ ექვსი ბავშვი ჰყავდა. ქალ. თბილისში ჰუჰულამ გადასწყვიტა რომელიმე ათთიაქში შეგირდათ შესულიყო და შემდეგ პროვიზორი გახდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევ მოიქცა. იგი შედის გენეს აფთიაქში შეგირდად, სადაც ოთხი წელიწადი დაჰყო. ამ დროს იგი, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა, პოლიტიკურ საკითხებში ერკვეოდა, ესწრაფოდა მის საფუძვლიანად შესწავლას, რასაც ხელს უწყობდა შემდეგი მდგომარეობა. ის სცხოვრობდა იმ ნათესავების ოჯახში, სადაც ამხ. სოსო ჯუღაშვილი (სტალინი) სცხოვრობდა. ჯუღაშვილთან ხშირად თავს იყრიდენ რევოლიუციონერები—მ. ბოჭორიშვილი, კამო და სხვანი.

ასეთმა პარტიულმა წრემ ამხ. ჭუჭულა პარტიულ რიგებში ჩაითრია—ჩაბა. ამ ხნიდან კატორღაში გაგზავნამდე ამხ. ჯუღაშვილის წრეში მუშაობდა და დიდს იმედებსაც იძლეოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ამხ. ჭუჭულა დააშორა როგორც ყველა თავის ამხანაგებს, ისე სიცოცხლესაც, 1906 წელს მას და მის ამხანაგს ბინაზე გაუსქდათ ყუმბარა, რომელსაც უნდა ემსხვერპლა მაშინდელი ერთ-ერთი წარჩინებული პირთაგანი. პოლიცია და ჟანდარმები ფეხზე დადგენ. ჭუჭულა დაატუსაღეს და საველე სასამართლომ (მაშინ სამხედრო წესები იყო გამოცხადებული) ოთხი წლით კატორღა მიუსაჯა. 1908 წლის დასაწყისში მეტეხის ციხიდან იგი გაგზავნეს ალექსანდროვის ცენტრალურ საკატორღო ციხეში (ირკუტსკის გუბერნია). ციმბირში გაგზავნის წინ ის ნივთიერად ძლიერ ხელმოკლედ იყო, ამიტომ ციხიდან მოუმზადებლათ წავიდა. გზა და გზა სხვადასხვა ციხეებში უხდებოდა ყოფნა. ოქტომბრის დამლევს, მოგზაურობის დროს, ის გაცივდა, დაემართა ფილტვების ანთება და აეადმყოფს შეხედა ფეხით მოგზაურობა ირკუტსკიდან ალექსანდროვის ციხემდე, თითქმის 60 ვერსის გავლა და ამან მოუსპო სიცოცხლე: 1908 წლის დამლევს საკატორღო ციხის საავადმყოფოში წუთისოფელს გამოესალმა.

მ. კავთელი.

ირაკლი (ერეკლე) იოსების-ძე დუმბაძე.

დაიბადა 1883 წელს სოფ. ზომლეთში (გურია) ღარიბ გლეხკაცის ოჯახში. სოფლის ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის მიაბარეს თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, სადაც ის „ტოკარეთა“ ცეხში მუშაობდა.

ირაკლი ღებულობდა მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში, რისთვისაც არა ერთხელ ყოფილა დატუსაღებული.

რკინის გზის ჟანდარმერია მას კარგად იცნობდა და საშუალებას არ აძლევდა მუშაობა განეგრძო. თითონაც არ უშვებდა ჟანდრებს „უპატივცემლოთ“ და არა ერთი და ორი ჟანდარმისთვის აუყრია მას იარაღი და თავისი დაკორკრებულ ხელებით მიბეგვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუბრძანებია მუშათა უბნიდან. ამიტომ იყო, რომ მას მოსვენებას აღ აძლევდენ ჟანდარმები.



ირაკლი დუმბაძე.

უკანასკნელად ის დაატუსაღეს რეაქციის გამარჯვების შემდეგ 1906 წ. და მეტეხიდან განთავისუფლების შემდეგ თფილისში ცხოვრება აუკრძალეს. ის იძულებული შეიქნა ქალაქიდან გასულიყო. ის გავიდა სხვა მუშებთან ერთად სიღნაღის მაზრაში და შეუერთდა იქ არსებულ წითელ რაზმს, რომელსაც ის არ მოშორებია, სანამ შავ-ბნელი რეაქციის ჯალათებმა არ მოუსპეს სიცოცხლე.

1907 წლის დასაწყისში ის წითელმა რაზმმა გაგზავნა ერთ შავრაზმელი „სტრაჟნიკის" მოსაკლავად, რომელსაც ირაკლიმ ღამით გზაში ცხენით მიმავალს ესროლა და ცხენიდან გადმოაგდო, მაგრამ სტრაჟნიკი მხოლოდ დაჭრილიყო. როცა ირაკლი მიუახლოვდა მას და ის იყო კიდევ უნდა ესროლა და შემდეგ ცხენი უნდა გამოეტაცა, სტრაჟნიკმა მოასწრო სროლა და ასე, მოგვაშორა მუშებს ერთი საუკეთესო რევოლიუციონერი.

მოკლული ირაკლის გვამი მისმა ამხანაგებმა შემდეგ მოიტაცეს და დაასაფლავეს.

ვ.

იუსტინე ალმასხანის-ძე გოგოძე.

დაიბადა 1862 წელს სოფელ ტობანიერში, ქუთაისის მაზრა. იმ ხანებში როდესაც, ფოთიდან ტფილისისაკენ რკინის გზა გაიყვანეს და ხაშურში მთავარი სახელოსნოები დაარსეს, ის წავიდა მამის ოჯახიდან დაახლოვებით 15 წლისა და შევიდა მოწაფედ ჩამომსხმელ ცეხში (ლიტეინი ცეხ). როდესაც სახელოსნოები ტფილისში გადმოიტანეს, გოგოძეც გადავიდა ტფილისში, სადაც მუშაობდა 1890 წლამდე. ამ წელს კი გადავიდა ბაქოში და მუშაობდა სამრეწველოების სხვადასხვა ქარხნებში.

რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაება 1900 წლიდან, ეხურვალე მონაწილეობა მიიღო ბაქოში პირველად მოწყობილ 1902 წელს სამაისო დღესასწაულში ა. ენუქიძესთან, ვ. სტეფანეანთან და სხვებთან ერთად დროშის აწევის დროს. ამის შემდეგ ის მიაგნო პოლიციამ და დაატუსაღეს, იჯდა ბაილოვის ციხეში რამდენიმე ხანს. შემდეგ გაანთავისუფლეს, მაგრამ 1903 წელს იძულებული გახდა დაეტოვებია ბაქო და წასულიყო იმიერ-კასპიის მხარეში, ტაშკენტის გზაზე. 1905 წელს ის ისევ დაბრუნდა ბაქოში, სადაც მოძრაობაში მონაწილეობისთვის ისევ დაატუსაღეს და განთავისუფლების შემდეგ, პოლიციისგან დევნილი, ისევ წავიდა ტაშკენტის გზაზე და რამდენიმე ხანს მუშაობდა ერთ-ერთ მიეარდნილ სადგურ პეტროვსკაში, სადაც ავათ გახდა წყალმანკით. ცოტა ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტაშკენტის საავათმყოფოში 1908 წ. ნოემბერში. დასაფლავებულია ტაშკენტის სასაფლაოზე. X.

ამბ. იუსტინე გოგოძეს მე ვიცნობდი 1889 წლიდან. ამ წელში მე დავდექი შეკირდათ მთავარ სახელოსნოში, სახარატოს გაყოფილებაში (токарный цех). ამბ. იუსტინე გოგოძე უკვე ოსტატი იყო, „ლიტეინჩიკი“ მთავარ სახელოსნოში, თუჯის ჩამომსხმელ განყოფილებაში.

ამ ხანებში არავითარი ჩამოყალიბებული მუშური ორგანიზაცია არ იყო ტფილისში. ამბ. იუსტინეს ძალიანი უყვარდა წიგნების კითხვა. თითქმის ზეპირად იცოდა „ვეფხვის ტყაოსანი“, „თამარიანი“. მე მასთან ვიდექი ბინაზედ დიდუბეში, პოპოვის სახლში. 1890 წ. მე ამბ. გოგოძეს შეეხდი ბაქოში. ის უკვე სოც.-დემოკრატული ორგანიზაციის წევრი იყო. როგორც ამბ. და ადამიანი, იუსტინე გულწრფელი და ყოველივე ავ-კარგის გამკითხავი იყო. 1902 წ. ერთად მოვამზადეთ ბაქოში პირველი მაისს ღია დემონსტრაცია. ამბ. იუსტინე გოგოძე ზორბა ტანის კაცი იყო. 1902 წ. 21 აპრილს, ბაქოში, პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მაისობის დემონსტრაციის დროს იუსტინეს დიდი ბზის ჯოხი ეჭირა ხელში და მებაირაღეს მიყვებოდა გვერდით მცველად.

პარაპეტზე, სომხების სობოროდან სასტუმრო „მეტროპოლთან“ რომ მივიდა დემონსტრანტები, წინ გადაგვეღობენ პოლიციელები, რომელსაც მეთაურობდა ბოქაულის თანაშემწე სიმონიკა მიქელაძე. ამბ. იუსტინემ მძლავრათ უთავაზა პოლიციელ მიქელაძეს ბზის ჯოხი თავში.

ამბ. იუსტინეს ჯერ მაშინაც სამოქალაქო წესით ჰყავდა შერთული ცოლი, ამბ. კატია, რუსის ქალი. ჩვენი არალეგალობის დროს ამბ. კატიას დიდი პატივი უცია ამხანაგებისთვის.

მე არ ვიცი ეხლა, ამბ. კატია ცოცხალია თუ არა, ან თუ ცოცხალია, სად იმყოფება.

ეს ფოტოგრაფიული სურათი გადაღებული უნდა იყოს 1888 წ.*).

ვანო სტურუა.

ამბ. იუსტინე გოგოძეს ვიცნობდი 1896 წლიდან. ამბ. იუსტინე ერთი გაპედული და დაუღალავი მებრძოლთაგანი იყო. თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა ძნელი იყო იმ დროს ბრძოლა, მაგრამ ამბ. იუსტინე ქედს არ იხრიდა თვითმპყრობელობის წინაშე. ამბ. იუსტინე მედგრად და შეუპოვრად ეწეოდა აგიტაციას როგორც თვითმპყრობელობის, აგრეთვე ფეოდალების და სამღვდელოების წინააღმდეგ. იმ დროს ძლიერ ცოტას იპოვიდით ამგვარ ამხანაკებს ჩვენს რიგებში.

უნდა აღვნიშნო, რომ ამხანაგი იუსტინე მეტად ახდილად და შეუპოვრად ებრძოდა საოწუმენოებას. მიუთითებდა მუშებს, თუ საიდან გაჩნდა მონობა და ბატონობა. ამ ნიადაგზე ამბ. იუსტინე არა ერთხელ ყოფილა დევნილი, როგორც დაუცხრომელი რევოლიუციონერი.

1902 წელს იუსტინე დავტოვე ბაქოში, მე წავედი პეტროგრადში. 1905 წ. ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს ისევ ბაქოში, სადაც ერთად ვმუშაობთ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. ამხანაგი იუსტინე მეტად მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ყოველგვარ მუშაობაში; როდესაც რეაქციამ თავი წამოყო, პირველი მისი სუსხი იუსტინეს მოხვდა: ის დარჩა ხანგრძლივად უმუშევრად და იძულებული შეიქნა გარდახვეწილიყო სხვა მხარეში. ის მიდის ტაშკენტში და იქიდან პეტროვსკაში, სადაც უკანასკნელმა თავისი სიცოცხლე დალია.

მასხულია.

---

*) წარმოდგენილი სურათი იმდენად გახუნებული გამოდგა, რომ მისი კლიშეზე გადაღება არ მოხერხდა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ტიტე მშვიდობაძის ხსოვნას.

ამხ. ტიტე გავიცანი 1912 წელში. სულით მაღალი, ძლიერი, რევოლიუციონური ცეცხლის მატარებელი, ფიზიკურად კი სუსტი, ფერ-მიმკრთალი სახის.

1912—14 წლამდე ის მსახურობდა ს. ამაღლებაში. ეწეოდა კულტურულ მუშაობას. ყოველგვარ ღონისძიებას ხმაობდა კოოპერატივების, სამკითხველოების და სხვა სასარგებლო დაწესებულებათა დასაარსებლათ. ტიტე იმ თავიდანვე დაუკავშირდა ჩვენ ორგანიზაციას და შეძლებისდაგვარად მუშაობდა მასში. 1914 წელს ის გადაყვანილ იქნა სოფ. ბურნათში, სადაც განაგრძობდა ძველ მუშაობას,— დაარსა იქ კოოპერატივი და სამკითხველო და ორგანიზაციასთან კავშირი მას არ შეუწყვეტია.

1916 წელს ორგანიზაციამ მოახერხა მისი ჩოხატაურში გადმოყვანა, სადაც მან მეტის ენერგიით განაგრძო ორგანიზაციაში მუშაობა. თებერვლის რევოლიუციამ გამოკვდენა სარდაფებიდან და მოგვანება მაშინ თავისუფალი მოქმედება. ტიტე აქაც პირველობდა, არ რჩებოდა სხვებს, ის შედიოდა რაიონულ პარტიულ კომიტეტში, მოგზაურობდა თემებში ორგანიზაციების მოსაწყობად და ეწეოდა პროპაგანდა-აგიტაციას. თებერვლის რევოლიუციის პირველ ხანებში ჩვენ საკუთარი ორგანიზაცია არ გვქონია. მართალია, 1905 წელში გურიის ზოგიერთ კუთხეში არსებობდა ბოლშევიკური ჯგუფები, მაგრამ სტოლიპინის რეაქციის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეწია საერთო მუშაობა ერთ ორგანიზაციაში. უთანხმოებას ადგილი თავიდანვე ჰქონდა. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მან მიიღო უკიდურესი სახე. ბურჟუაზიასთან კავშირი, მასთან საერთო ენის პოვნა, ეროვნული, აგრარული და სხვა მრავალი საკითხების გადაუჭრელობამ, კოალიცია, ბურჟუაზიისათვის დათმობამ, საბოლოოდ ახადა ფარდა მენშევიზმს და მათთან ბრძოლამ მკაცრი სახე მიიღო. როგორც სხვაგან, გურიაშიაც დიდ ბრძოლას და უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, ყველა პარტიულ კრებებზე იდგა საკითხი, რუსეთის რევოლიუციის გარშემო, ბურჟუაზიასთან კავშირის შესაძლებლობაზე და სხვა. კამათი მწვავე ხასიათს ღებულობდა. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მენშევიკების ბრალი იყო, რომ ორგანიზაცია აიცსო ვეჭარსპეკულიანტების, მღვდლებით და სხვა მრავალი არა პროლეტარული ელემენტებით. „კავშირმა ვიღაცეულმის ჯარებთან და ადგილობრივ ბურჟუაზიასთან შეუძლებლად გახადა მათთან მუშაობა. იმართებოდა დისკუსიები, სადაც თანდათანობით ირკვეოდა მენშევიკების სახე. დისკუსიებს დიდი ნაყოფი მოჰქონდა, პირველი დისკუსიის შემდეგ ამხანაგი ტიტე ჩვენ მოგვეშორა და ჩვენთან დაიწყო დაუღალავი მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობა. ის მალე გაეცნო მთელ ჩვენ წარსულ უთანხმოებას მენშევიკებთან, ხარბად ეწაფებოდა ლენინის ნაწერებს და ითვისებდა მათ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ის იყო საკმაოდ მომზადებული და მცოდნე ბოლშევიკური ლიტერატურის. აქედან იწყება მისი თავდასხმა მენშევიკებზე. მოსწრებული სიტყვა სარკაზმით და ირონიით სავსე არ აძლევედა მენშევიკებს არც ერთ კრება-მიტინგზე მოსვენებას. დარწმუნებული თავის უძლურებაში, ისინი ხშირად ორგანიზაციულ წინასწარად მოწყობილ ობსტრუქციას მიმართავდენ, თუმცა ტიტე ყველგან იმარჯვებდა. ჩვენ მალე მივატოვეთ მენშევიკური ორგანიზაცია და შევქმენით საკუთარი ორგანიზაცია—დაუკავშირდით ხიდისთავს, ერკეთს და ამრიგად შესდგა აღმოსავლეთ გურიის ბოლშევიკური ორგანიზაცია. ორგანიზაციების შეკავშირება-მოწყობაში ამბ. ტიტე თავიდანვე ენერგიულად მუშაობდა, მაგრამ მენშევიკებისაგან გამოყოფის შემდეგ მისი ენერგია გაათკეცდა.

1918 წელს ზემო გურიის ორგანიზაციამ ის გაგზავნა ტფილისში ჩვენს კონფერენციაზე, სადაც ტიტემ გაიცნო ამბ. ფილიპე და შალიანი. კონფერენციის შემდეგ ის ბრუნდება აღფურვილი მეტის ცოდნით და ორგანიზაციულ კირხვებში საკმაოდ გარკვეულმა მეტი ინტენსივობით მოჭიდა ხელი მუშაობას. მენშევიკების განგაში და აგიტაცია ჩვენს წინააღმდეგ საარაკო სახეს ღებულობდა. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობდით, რათა ის პროვოკაციული ამბები, რომელსაც თავს გვახვევდნენ, გაგვექარწყლებინა.

1918 წელს შესაბჭნეე მოვლენას ჭკონდა ადგილი გურიაში. ჩოხატაურის რაიონის სამასწავლებლო ყრილობამ გაფიცვა გამოუცხადა მენშევიკურ მთავრობას. გაფიცვას, მართალია, ეკონომიური საჩუელი ედო, მაგრამ მას პოლიტიკური მნიშვნელობაც დიდი ჭქონდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ. ბოლშევიკები მხოლოდ რამოდენიმე პირი სჩანდა კონფერენციაზე, მიუხედავად მცირე რიცხოვანობისა კრებამ მიიღო ისეთი სახე, როგორიც ჩვენ გვინდოდა ჩვენი იდეების გატარება წმინდათ ტიტეს შეეძლო კონფერენციაზე და ჩინებულად შეასრულა. მახსოვს, როდესაც კრება იხურებოდა, თავმჯდომარემ წაიკითხა დეპეშა დამფუძნებელი კრების გარეკვის შესახებ ბოლშევიკების მიერ, რამაც ჩოჩქოლი ასტეხა. ტიტემ იდროვა და ტრიბუნაზე ავარდა: „გამოერკვით, გამოფხიზლდით, ნუ ღალატობთ რევოლიუციას, მივემხროთ საბჭოებს, თორემ თქვენც ისე ჩაბარდებით რევოლიუციას, როგორც დამფუძნებელი კრებაო“, დაიძახა მან. ასეთ მოქცევამ მენშევიკები გააბრაზა და მისკენ წაიწიეს, მაგრამ ვერაფერი გაბედეს. ტიტეს გაბედულმა მოქმედებამ მალე აალაპარაკა მენშევიკები და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მის თავიდან მოსაცილებლათ. სხვა რომ ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფერი მოუხერხეს, დაადგინეს სამასწავლებლო საბჭოში, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენდენ, რომ ტიტე „არ ვარგა, ცუდი პედაგოგიაო", რის შემდეგ დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. ის გადადის ქუთაისში. მსახურებს სამაზრო ერობაში. ქუთაისის ჰავა, გადაჭარბებული მუშაობა ლუკმა-პურისთვის ასუსტებს ტიტეს ორგანიზმს. ის გადაყვანილ იქნა ერთ-ერთ სახელმწიფო მამულში, სადაც ციებით დაავადებულს შეეყარა სწრაფი ჭლექი (скоротечная чахотка) და 1920 წელს ამხ. ტიტე გარდაიცვალა. დასაფლეეებულია ნათესავების მიერ სოფელ ქვიანში, სადაც ის დაიბადა.

მუდამ სპეტაკი და წმინდა, რევოლიუციონური სული, თავდადება მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ ახასიათებდა მას. მართალია ის ვერ მოესწრო საბჭოთა წყობილებას საქართველოში, მაგრამ მისი სახელი გაიხარებს იქ, სადაც მისი მოძმეები ახალ ქვეყანას, ახალ სამყაროს აშენებენ. ამ სამყაროსათვის მებრძოლ ტიტეს მუდამ ექნება ხსენება.

თეოფილე ჩიჩუა.

ქ. ოზურგეთი, 4/V—24 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება VII. პარტიული არქივი.

კომუნისტების მუშაობა მენშევიკების გატეხვის დროს საქართველოში *).

I. ჯარში და გვარდიაში.

რეზოლიუცია, მიღებული სახალხო გვარდიის მეორე სამთო ბატალიონის ამხანაგების კრებაზე.

მოვისმინეთ რა ამხ. ბ.-ს მოხსენება მიმდინარე მომენტზე და ვიღებთ რა მხედველობაში ერთი მხრით იმ გარემოებას, რომ უკვე მოახწია დრო საქართველოს მშრომელი მასის გასათავისუფლებათ დენიკინის მოკავშირე ფლიდი მთავრობისაგან და მეორე მხრით იმასაც, რომ აუცილებლათ საჭიროა ბოლო მოეღოს იმ კონტრ-რევოლიუციონურ ბუდეს, რომელიც ჩვენში ახლა მყარდება დენიკინელ ოფიცერთა ბრბოების შემოსვლით საქართველოში, დავადგინეთ: მივმართოთ გარნიზონის სხვა ნაწილებთან ერთათ ბოლშევიკების—კომუნისტების ადგილობრივი ორგანიზაციის საშუალებით ამხანაგებს წითელარმიელებს, რომლებიც ამთავრებენ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელ მასსათა განთავისუფლებას ჯალათებიდან, მხურვალე მოწოდებით—გვიშველონ, რომ ჩვენც განთავისუფლდეთ.

25 მარტი 1920 წელი.

საპიორების ბატალიონის კომუნისტურ იაჩეიკების **რეზოლიუცია**

19 მარტს 1920 წელს საპიორების ბატალიონის კომუნისტურ იაჩეიკების წარმომადგენლების სხდომაზე, რომელსაც დაესწრო 8 კაცი, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „სალამს ვუძღვნით წითელ არმიას, რომელიც გამარჯვებით გვიახლოვდება ჩვენ და ვეუბნებით მას: ამხანაგებო! როცა თქვენ საბოლოოთ გაანადგურებთ დე-

---

*) აქ მოთავსებული მასალა ამოღებულია ამხ. ფ. მახარაძის ხელნაწერებიდან, რომელიც აღმოაჩინდა ამხ. არაკელა ოქუაშვილს. მასალები „ჯარში და გვარდიაში" შუშაობის შესახებ დაწერილია თვით ამხ. ფილიპეს ხელით, დანარჩენ ხელნაწერთა ავტორების ვინაობა გამოურკვეველია, მხოლოდ, როგორც ხელზე ეტყობა, შუშების დაწერილი უნდა იყოს... რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკინის კონტრ-რევოლიუციონურ ბრბოებს და მოადგებით საქართველოს საზღვრებს, მაშინ დაგვეხმარეთ ჩვენც, რომ თავიდან მოვიშოროთ ქართველ მენშევიკების სოციალ-მუხანათური მთავრობა. ჩვენც თავის მხრით გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ ამავე მიზნის განსახორციელებლათ.

———

რეზოლიუცია

კავკასიის საოლქო კომიტეტში (ბოლშევიკების).

მეხუთე საველე ბატარეიამ იაჩეიკების კრებაზე დაადგინა მიეესალმოს მშრომელ მასსათა გამთავისუფლებელს სახელოვან წითელ არმიას, რომელსაც მოაქვს განთავისუფლება ყველა ქვეყნის მუშებისა და გლეხებისათვის.

ბატარეის კრება თხოვს საოლქო კომიტეტს გადასცეს სალამი მებრძოლ წითელ-არმიელებს და ეთხოვოთ მათ, რომ ჩვენც გაგვიდიალონ თავის დახმარებით საქართველოს ჯალათ-მართველების ბატონობისაგან დავის დახწევა.

———

თბილისის გარნიზონის წარმომადგენლების კონფერენციაზე, 21 მარტი, 1920 წ.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ეუძღვნით მხუთვალე სალამს წითელ მებრძოლთ, რომლებმაც დაამარცხეს რუსეთის კონტრ-რევოლიუცია და რომლებიც მოდიან ამიერ-კავკასიის დამონებულ მშრომელ მასსათა გასათავისუფლებლათ. კონფერენცია აცხადებს, რომ იგი ერთხმათ უერთდება კავკასიის მშრომელ მასსათა მიმართვას რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხკაცობისადმი.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას კავკასიაში!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

სამხედრო თათბირი.

ამას წინაზე ქართველ მენშევიკების მთავრობამ მოახდინა **ხაიდუმლო თათბირი,** რომელზედაც მოწვეულ იქნენ სამხედრო ნაწილების უფროსები, კომანდირები. მენშევიკებს უნდოდათ იმის გაგება, თუ რა სულისკვეთება სუფევს ჯარში, იომებს თუ არა იგი საბჭოთა რუსეთის წითელ ჯარების წინააღმდეგ. თქვენ წარმოიდგენთ მენშევიკების განცვიფრებას, როცა თვით მათმა უერთგულესმა კომანდირებმა აღიარეს, რომ საქართველოს ჯარის სულიერი განწყობილება ისეთია, რომ იგი წითელი ჯარების წინააღმდეგ იარაღს არ იხმარს. ამ მხრით არც ვერაგ ჯუღელის სახალხო გვარდია ყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა საიმედო მენშევიკებისთვის—აი რა გამოირკვა ამ თათბირზე, და თქვენ წარმოიდგენთ, თუ ამის შემდეგ რა გუნებაზე დადგებოდენ ეს ხალხის ურცხვი მოღალატენი. იმათი უტიფრობა იქამდის მივიდა, რომ მშრომელი ხალხიდან ნდობას და ერთგულებას თხოულობენ. ნეტავი ვიცოდეთ, რა უფლებით, ან რა სამსახურისთვის? შეიძლება იმიტომ, რომ საქართველოს მშრომელი მასსა ამ ვაჟბატონებმა დაამცირეს, შეურაცხყვეს, დასტანჯეს. დეე იცოდენ, რომ ხალხის ნდობა მათკენ აღარ არის.

II. პროტესტაციებში.

პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატის წევრები ანდარმების როლში.

21 თებერვალს იყო მოწვეული ლითონზე მომუშავე კავშირის წევრების საერთო კრება. დღიურ წესრიგში იყო ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი; განხილვა არსენალის ქარხნების კომიტეტის დადგენილებებისა, რომელიც უნდობლობას უცხადებდა ახალ გამგეობას, ვითომდა მუშების სახელით, სწორეთ იმ მუშების სახელით, რომლებმაც დიდი ხანია ზურგი შეაქციეს „საგანგებო რაზმის“ დაქირავებულ მეძმარიაშვილ—ახალბედაშვილს და მათ ამყოლ ვაჟბატონებს, ტიპიურ ანდარმებს. ნოე რამიშვილის ოხრანკელებს. მაგრამ ამ ალვინ-ზასხნილ ჯაშუშებს სულ მთლათ ვადააჭარბა სეკრეტარიატის თავჯდომარემ, პროფესიონალურმა ჯაშუშმა და ნოე რამიშვილის ანდარმერიის შეუმა, ალ. ხელაძემ.

არსენალის კომიტეტმა ამ დღისთვის გამოაცხადა სრული მობილიზაცია თავიანთ ძალებისა, რომ როგორმე მასის თვალში გაეტეხნათ სახელი გამგეობისა და მისი თავმჯდომარისა. მაგრამ ძრიელ მოსტყუვდენ ბ-ნ რამიშვილის „ოხრანკელები“. პირველათ დაისვა საკითხი საერთო კრების თავმჯდომარის არჩევაზე, აქაც დიდი „სკანდალი“ მოახდინა პროვოკატორმა ხელაძემ. მაგრამ საერთო კრებამ შესანიშნავისათ დააჯილდოვა ის. ამხანაგმა მუშებმა წამოაყენეს პირველი კანდიდატურა ამ მაჩაიძისა და სხვების. აგრეთვე ბ-ნ ხელაძე—ახალბედაშვილის ჯგუფმაც წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურა მეორეხარისხოვანი „სიშჩიკის“ ლაკაბიძის, რომელსაც—არავითარი კავშირი არ აქვს ლითონზე მომუშავე მუშებთან, და რომელიც სასტიკათ გაშავებულ იქნა: კრების თავჯდომარეთ კი ერთ ხმად, ტაშის კვრით, ამხ. მაჩაიძე იქნა არჩეული. დაინახეს რა ასეთი თავისი უნუგეშო მდგომარეობა არსენლის ქარხნის კომიტეტის ანდარმებმა, თავიანთ ხელმძღვანელ პროვოკატორის ხელაძის მეთა

ურობით ასტეხეს ჩხუბი და მაუზერების ტრიალი, რომ ჩაეშალათ საერთო კრება და მიაღწიეს კიდევაც თავიან საზიზღარ საწადელს. თუმცა ძალიან ძვირათ კი დაუჯდათ ამ კრების ჩაშლა იმიტომ, რომ მათ სამუდამოთ ჩამოეხსნათ პირბადე და აშკარათ უჩვენეს თავიანთი კონტრ-რევოლიუციონური და პროვოკატორული სახე მუშებს. ბ-ნი ხელაძე მკლავებ წამოწეული მივარდა გამგეობის თავჯდომარეს და უშვერი ქუჩური სიტყვებით დაუწყო ლანძღვა. თანაც დაჭერით ემუქრებოდა. რასაკვირველია ხელაძე, მეძმარიაშვილი და ახალბედაშვილებმა მიაღწიეს თავიანთ ჟანდარმულ მიზანს:

დაატუსაღეს მთელი ახალი გამგეობა და უკრეს თავი ქუთაისის ციხეში. ამის შემდეგ გამოყვეს ცალკე კავშირათ არსენალი და ვახნიანსკის მუშები და დაარსეს „მეტალისტთა გაზახლებული კავშირი“, რომელშიაც ძალით მიათრევენ მუშებს ამ მათ მიერ შეთითხნილ კავშირში. თუ არ ჩაეწერებით მოგეღოთ დათხოვა სამუშაოდან, და შეიძლება ქუთაისშიაც გიკრან თავი. რასაკვირველია, ასე ექცევიან თავიანთ მუშებს, როჭლებმაც უარყვეს ცალკე გამოყოფა. მაგრამ რის ჟანდარმები იქნებოდენ, თუ უხეშ ძალას არ მიმართავდენ, ბ-ნნი სეკრეტარიატის წევრები, რითაც სწორეთ რომ დათვური სამსახური გაუწიეს თავიანთ მოღალატე მთავრობას. დროა რომ არსენლის მუშები მიაქცევდენ ყურადღებას და გადააყენებდენ ქარხნის კომიტეტს. ძირს პროვაკატორ-ჯაშუშები—ხელაძე, ახალბედაშვილი და მათი კომპ.

გაუმარჯოს მუშათა სოლიდარობას! გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას.

მუშა „მესტვირე“.

ქრონიკა.

18 თებერვალ შესდგა ქარხნების კომიტეტის კონფერენცია ლითონზე მომუშავეთა კავშირისა. დაესწრო ოცდაორი კაცი. დღიური წესრიგში იყო ორი საკითხი:

1) შექმნილი მდგომარეობა კავშირში 2) ახალი გამგეობის არჩევნები ნაცვლათ დატუსაღებულ ამხანაგების, რომელნიც მსხვერპლნი გახდენ ჟანდარმ ხელაძისა და მისი ამყოლისა. პირველ საკითხზედ კონფერენციამ გაკიცხა თავ-აღებული ჯალათები და მოუწოდა ამხანაგებს, რომ მიიღონ ყოველივე ზომა, რათა აღდგენილ იქნას კავშირი ძველ ფარგლებში. მეორე საკითხზედ დაასახელეს კანდიტატები ახალი გამგეობისა და გადასწყვიტეს მოიწვიონ კვირას, 25 საერთო კრებაზე და არჩევნები მოახდინონ.

მბეჭდავების კავშირის წევრებიც ვერ გადარჩენ ყმაწვილ ჟანდარმ თამაზაშვილს და დობორჯგინიძეს და მათაც ზოგიერთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრეს თავი ციხეებში იმიტომ, რომ საერთო კრებაზედ სიტყვები წარმოსთქვეს და იცავდენ მუშების ინტერესებს.

ტყავეულებზედ მომუშავეთა კავშირის დენვა დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ვერაფერს გახდენ ნოე რამიშვილის „ოხრანკელები“ მიუხედავათ იმისა, რომ ძველი გამგეობა დაატუსაღეს. ახალმა გამგეობამ საპატიო წევრებათ ამოირჩია ისინი. სულიერი განწყობილება მუშებისა საუცხოოა. **მუშა.**

ლოზუნგები:

1. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.
2. გაუმარჯოს მუშების და გლეხების მთავრობას. საბჭოთა მთავრობას!
3. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
4. სალამი წითელ არმიას!
5. საქართველოს მუშები არ აიღებენ იარაღს თავის რუსეთელ ამხანაგების წინააღმდეგ!
6. გაუმარჯოს საქართველოს და რუსეთის მუშების და გლეხების კავშირს!
7. საბჭოთა საქართველოში არ ექნება ადგილი დენიკინელ ოფიცერთა კონტრ-რევოლიუციას!
8. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!
9. მხოლოთ საბჭოთა მთავრობას, მთავრობას მუშებისას და გლეხებისას, შეუძლია მოსპოს სომეხ-თათართა შორის სისხლის ღვრა.
10. გაუმარჯოს მუშათა პრესის თავისუფლებას, გაუმარჯოს გაფიცვის თავისუფლებას.
11. ჩვენ მოვითხოვთ დატუსაღებულ ბალშევიკების განთავისუფლებას!
12. **ძირს სატარიფო პალატა:** მან მოუსპო მუშებს გაფიცვის საშუალება და მიანიჭა სპეკულანტებს მათი ძარცვის თავისუფლება!
13. გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა რევოლიუციას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის მოხსენიება ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისადმი.

(1901 წ. 14—20 აგვისტოს)

დასასრული, იხ. „რევ. მატ." №№ 5, 1(6), 2-3 (7-8).

IV. პარტიის ორგანიზაცია.

1) ადგილობრივი მუშაობის დაყენება.

პარტიული ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენენ **ადგილობრივი კომიტეტები და ჯგუფები**, ისინი ჩვენ უკვე ჩამოთვალეთ ზევით. თითეული ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც შესდგება ჩვეულებრივად 5—6, იშვიათად მეტი წევრისაგან, დამოუკიდებლათ ავსებს თავის შემადგენლობის თუ კომიტეტის რომელიმე წევრი გამოაკლდა ან ამას საქმის საჭიროება მოითხოვს. კომიტეტი აწყობს პროპაგანდისტების და აგიტატორების და აგრეთვე სხვადასხვა ტეხნიკური ჯგუფებს. დიდი ქალაქები დაყოფილია რაიონებათ, თითეულ მათგანს ყავს რაიონულ წარმომადგენლების კრება, რომელიც შესდგება რაიონში მომუშავე ორგანიზატორებისა და აგიტატორებისაგან. რაიონები, ხშირათ, კონსპირატიული ხასიათის მოსაზრებებით, მეტად სუსტად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. პროპაგანდა სწარმოებს მუშათა პატარა ჯგუფებში (ათამდე კაცის) თანასწორ გამომუშავებული გეგმით. მაგრამ, საჭირო ინტელიგენტური ძალების სიძლიერე და პოლიტიკური დაბრკოლებები დღემდე არ იძლეოდენ ამ საქმის ისე დაყენების საშუალებას, როგორც ამას მოითხოვს მისი მნიშვნელობა. ერთის მხრით პროპაგანდისტები ინტელიგენტური ახალგაზრდობიდან ხშირათ ძლიერ მოუმზადებელი არიან თავისი მოვალეობისათვის, მეორე მხრით,—აუტანელი პოლიციური პირობების გამო მეცადინეობა ხშირად არარეგულიარულად სწარმოებს, სწყდება განზრახული კურსის შუა გზაზე და სხვა.

უკანასკნელ წლებში პოლიტიკური პროპაგანდის წარმოებაზე გავლენა მოახდინა ყველა ძალების პოლიტიკურ აგიტაციაზე კონცენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაციამ, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ამავე დროს, პროპაგანდას, რომელსაც მიზნათ აქვს მუშათა კლასის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მომზადება თვით მუშათა წრიდან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის მთელი მომავლისათვის და საკითხი მისი სწორად დაყენების შესახებ ახლა დღის წესრიგშია დასმული და დისკუსიის საგანს წარმოადგენს ამხანაგების წრეში.

აგიტაცია უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად ცოცხლად სწარმოებდა, უმთავრესად პროკლამაციების საშუალებით. საგიტაციო კრებების მოწვევას, რომლებზედაც მუშები ცოცხალ მონაწილეობას მიიღებდენ პოლიტიკური საკითხების განხილვაში, ხელს უშლიდა პირველ ყოვლისა პოლიციური ზომები. ამას გარდა, საგიტაციო სიტყვის, თუ გინდ საერთო ხასიათის, რაც შეიძლება ფართე მასებზე გავრცელების სურვილი, უპირატესობას პროკლამაციებს ანიჭებდა და იწვევდა მუშათა მოწონავე ფენების პოლიტიკური აღზრდის მნიშვნელობის დავიწყებას, იმ აღზრდის, რომლის მიღწევა შესაძლებელია ამ მუშების აქტიური მონაწილეობით მიმდინარე პოლიტიკური საკითხების დეტალურათ განხილვაში და იმ პოლიტიკური ხაზის გამომუშავებაში, რომელიც უნდა გაატაროს მუშათა კლასმა თითეულ ცალკე შემთხვევაში. აგიტაციის ასე დაყენების წყალობით შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ პროლეტარიატის თვით აქტიური წევრები იმდენათ აქტიურათ არ იღებენ მონაწილეობას პარტიის პოლიტიკური საქმიანობის გამომუშავებაში და მიმართვაში რამდენათაც პახიურად ითვისებენ და შეძლებისდაგვარად სისრულეში მოყავდათ ლოზუნგები, რომლებიც გამომუშავებულ იქნენ მათი შეგნებული მონაწილეობის გარეშე და მოცემული იყვენ კომიტეტების მიერ „ზევიდან". მეორე მხრით პროკლამაციების ვიწრო ფარგლებში მოქცეული აგიტაცია ძალაუნებურად უნდა დაკმაყოფილებულიყო პოლიტიკური საკითხების „სქემატიზაციით" და მათი საერთო სახით დაყენებით: ამავე დროს კი მხოლოდ თვით პოლიტიკური მოვლენების მექანიზმთან, მათ მამოძრავებელ ძალებთან და რთულ პირობებთან გაცნობას შეუძლია მისცეს პროლეტარიატს, მისი მოწინავე წრეების სახით შესაძლებლობა იმდენათ გაერკვეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ყოველთვის შესძლოს პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შესაფერი ხაზის მონახვა. დაბოლოს აგიტაციას, როგორც ის მოეწყო უკანასკნელ წლებში, ჰქონდა ერთი არსებითი ნაკლი. აუცილებლობის გამო, თითქმის ყოველთვის, ის სწარმოებდა post factum: განმარტავდა (რამდენათაც განმარტავდა) უკვე მომხდარი პოლიტიკური ამბების მნიშვნელობას და არ ისახავდა მიზნათ პროლეტარიატის აქტიური და შეგნებული ჩარევის მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადებას პოლიტიკური ცხოვრების იმ ჭრელ ცვალებადობაში, რომელიც მოსალოდნელი იყო მომავალში.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში საკითხი აგიტაციის მოწყობის შესახებ გაცხოველებული მსჯელობის საგანს წარმოადგენს ჩვენი პარტიის ორგანებში და ამხანაგების უფრო და უფრო მეტი რაოდენობა რწმუნდება იმაში, რომ საჭიროა ძირითადი ცვლილებები. ყველაფერი იქითკენ უნდა იქნეს მიმართული, რომ ყოველ შემთხვევაში პროლეტარიატის მოწინავე ფენები ხდებოდნენ პარტიული პოლიტიკის აქტიურ შემომქმედებათ და მონაწილეებათ. ფართე აგიტაცია პროკლამაციების საშვალებით უნდა დარჩეს, მაგრამ ამავე დროს საჭიროა მისი შინაარსის გამრავალფეროვანება და უფრო კონკრეტიული ხასიათის მიცემა და უფრო ჩქარა გაცემა პასუხის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ყველა, ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან მოვლენებზე. საჭიროა მთელი ძალ-ღონის დაჭიმვა, რომ რაც შეიძლება უფრო ხშირად ხდებოდეს მოწინავე მუშების თუ გინდ პატარა კრებები და მათთან ერთად ირჩეოდეს პარტიული პოლიტიკის ყველა საკითხები. ომმა უკვე მისცა საბაბი ჩვენს ზოგიერთ კომიტეტებს გამოეტანათ ომის მიმართ პარტიის პოლიტიკური ხაზის საკითხი განსახილველათ მუშათა კრებებზე, რომლებსაც სათანადო რეზოლიუციები გამოჰქონდათ. ე. წ. „ფურცლები" და „მასსოვკები" აგრეთვე უფრო და უფრო შედიან კომიტეტების ჩვეულებრივი მუშაობის პრაქტიკაში. ამ მხრით ჩვენი პარტიის წინაშე გაშლილია მუშაობის ფართო ასპარეზი, რომელიც ასწილ აანაზღაურებს გაწეულ შრომას.

პოლიტიკური პრესა რუსეთის პირობებში ვერ დაიჭერს პროკლამაციების და ცოცხალი საგიტაციო სიტყვის ადგილს. ცენტრალური ორგანო, რომელიც საზღვარ-გარეთ გამოდის, ძლიერ არაწესიერათ და გვიან აღწევს მუშებამდე. ადგილობრივი გაზეთების გამოცემა კი, რომლებიც რეგულიარულად და ჩქარ-ჩქარა გამოვლენ, ეჯახება დიდ ტეხნიკურ და კონსპირატიულ დაბრკოლებებს. შეიძლება საკითხი გადაიჭრას მთელ რიგ ადგილობრივ ბიულეტენების გამოცემით, რომლებშიც მოთავსებული იქნება რუსეთის და ადგილობრივი ქრონიკა და მოკლე წერილები პოლიტიკურ და ეკონომიურ თემებზე. ამ მიმართულებით ზოგიერთი ნაბიჯები უკვე გადასდგა ჩვენი პარტიის რამდენიმე კომიტეტმა. დღის წესრიგშია აგრეთვე დასმული საკითხი მუშებისათვის პოპულიარული პოლიტიკური ორგანოს გამოცემის შესახებ, რომლის წერილები, სხვათა შორის, გამოადგებოდათ ადგილობრივ ბიულეტენებში გადასაბეჭდათ.

აგიტაციისა და პროპაგანდის გარდა კომიტეტის მუშაობა გამოიხატება მუშათა ახალი წრეების და კრებების მოწყობაში, პროკლამაციების და სხვა პარტიული ლიტერატურის წერაში, აღდგენაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(უმთავრესად ბეჭდვაში) და გავრცელებაში, თანხების შეგროვებაში და სხვა. ყველა ამ ამოცანების შესასრულებლათ, ჩვეულებრივათ ეწყობა განსაკუთრებული ჯგუფები: სარედაქციო, ფინანსიური, ორგანიზატორების, ტეხნიკური და სხვა. უფრო მნიშვნელოვანი ჯგუფებს სათავეში ჩვეულებრივათ დგას კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, რომელიც თვითონ ირჩევს თანაშშრომლებს. კომიტეტის მდივანი მიწერ-მოწერას აწარმოებს პარტიის სხვა კომიტეტებთან, ც. კ. და ცენტრალური ორგანოს რედაქციასთან.

კომიტეტის წესიერათ მუშაობისათვის მან უნდა უზრუნველჰყოს თავისთვის, ფინანსიურ საშვალებებს გარდა, მისამართების მთელი რიგი კონსპირატიული წერილების მისაღებათ, ბინები, სადაც შეუძლიათ მივიდენ ქალაქში კომიტეტების წევრების სანახავად ჩამოსულ პირებს, ბინები ლეტერატურის საწყობების შესანახათ, ისეთი პირების მისაღებათ დროებით, რომლებიც ჩამოვიდენ და იძულებული არიან პოლიციას დაემალონ და სხვა. ყველაფერი ეს მოითხოვს კავშირს და ნაცნობობას საზოგადოების ინტელიგენტურ და შეძლებულ წრეებში,—და ამიტომ კომიტეტის პრესტიჟზე და აგრეთვე, რასაკვირველია, ქალაქის მცხოვრებთა შემადგენლობაზე ბევრათ არის დამოკიდებული კომიტეტის ყველა ამ ამოცანების შესრულება. პარტიული ცხოვრების თვითეული მსხვილი ფაქტი—პროკლამაციების ხშირი გამოსვლა, დემონსტრაციები, მიტინგები, საყოველთაო გაფიცვა და სხვა, იწვევს როგორც ფინანსიური საშვალებების, ისე მისამართების, ბინების და საზოგადოების დახმარების სხვა ფორმების გაუმჯობესებას.

კომიტეტების უმრავლესობას აქვს საკუთარი პატარა სტამბები, რომლებშიც უმთავრესად პროკლამაციები იბეჭდება. სტამბების მოწყობა, შრიფტის და ქაღალდის შეძენა, მათი მოტანა სტამბის შენობაში და იქიდან დაბეჭდილი პროკლამაციების გატანა მოითხოვენ ბევრი ძალების დახარჯვას და დიდ სიფრთხილეს. მიუხედავათ ამისა, ამ ამოცანებს კომიტეტები საკმაო წარმატებით ასრულებენ: როსტოვის სტამბა, რომელიც გაფიცვის დროს პროკლამაციებს ყოველდღე უშვებდა; ბაკოს სტამბა, რომელიც სამჯერ ჩაუვარდა ხელში ჟანდარმებს და სამივეჯერ დაუყონებლივ იქნა აღდგენილი; კიევის სტამბა, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობდა თითქმის 5 წლის განმავლობაში,—ამის ნათელი მაგალითია.

2) პარტიის ცენტრალური დაწესებულებები.

პარტიის უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს ყრილობა, რომელიც მომავალში წელიწადში უნდა შეიკრიბოს ერთხელ მაინც.

წარმომადგენლები ყრილობაზე ყავთ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს და მის ადგილობრივ კომიტეტებს. ყრილობა ირჩევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც დავალებული აქვს მთელი პარტიული საქმიანობის გაერთიანება და ხელმძღვანელობა. ც. კ. მოვალეა მოაწყოს და გაუძღვეს საერთო პარტიულ ტეხნიკურ საქმეებს (ტრანსპორტი, დიდი პარტიული სტამბები და სხვა) და იზრუნოს კომიტეტების და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების აღდგენაზე იმ შემთხვევებში, როცა პოლიცია სრულიად დაარბევს მათ. ც. კ. გარდა ყრილობა ირჩევს ცენტრალური ორგანოს რედაქციას. ცენტრალურ ორგანოთ აღიარებულია „ისკრა“. ცენტრალური ორგანოს რედაქცია სრულიად დამოუკიდებელია ცენტრალური კომიტეტისაგან და წესდება მას ანიჭებს კომიტეტებთან უბრალო დამოკიდებულების და მათი საქმიანობის მთელ მიმდინარეობის გაცნობის უფლებას. „ისკრა“ ამ ჟამად გამოდის არანაკლებ ვიდრე ორჯერ თვეში და შეიცავს გაზეთის ფორმატის 8—12 გვერდს. ც. კ. და ცენტრალურ ორგანოს მოღვაწეობის გასაერთიანებლად და შესათანხმებლად და აგრეთვე სხვა პარტიებთან ურთიერთობისათვის, არსებობს პარტიის საბჭო, შედგენილი ცენ. კომ. და ცენტრ. ორგანოს დელეგატებისაგან (ორ-ორი თითეულისაგან), მეხუთე წევრს ირჩევს ყრილობა. როგორც ც. კ., ისე ც. ო. აქვს თავისი შემადგენლობის ახალი წევრებით შევსების უფლება, რისთვისაც საჭიროა საერთო თანხმობა; თუ თანხმობა არ იქნა მიღწეული, ირჩევნები ინიშნება ხელახლა და ამ შემთხვევაში ახალი წევრის მისაღებად საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა.

ც. კ. დამოკიდებულება ადგილობრივი კომიტეტებისადმი სისწორით არ არის გარკვეული წესდებაში: ნათქვამია მხოლოდ, რომ პარტიის ყველა შემადგენელი ორგანიზაციები ავტონომიურად განაგებენ ყველა იმ საქმეებს, რომლებიც სპეციალურად და განსაკუთრებით ეკუთვნიან პარტიული მოღვაწეობის იმ დარგს, რომელთა გაძღოლათ არიან ისინი შექმნილი.

3) პარტიის მოღვაწეობა საზღვარ-გარეთ.

რუსეთის რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთელი ლიგა ყრილობის მიერ აღიარებულია ერთად-ერთ პარტიულ ორგანიზაციად საზღვარგარეთ. ლიგის შემადგენლობაში შევიდა საზღვარგარეთის სხვა ორგანიზაციების წევრების საგრძნობი ნაწილი, რომლებმაც შესწყვიტეს თავისი არსებობა ყრილობის შემდეგ—„რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი“ (რაბოჩეე დელო) და ჯგუფი „ბორბა“ (ბრძოლა). ლიგის მთავარ ამოცანას შეადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროპაგანდა და აგიტაცია რუს ახალგაზრდობასა და რუს მუშებს შორინ საზღვარგარეთ, პარტიული ლიტერატურის გავრცელება, უცხოეთის პრესისათვის ცნობების მიწოდება ოფსეთის მოძრაობის შესახებ, ფინანსიური საშვალებების შეკრება და სხვა.

ლიგა ხელმძღვანელობს „პარტიის დამხმარე“ მთელ რიგ ჯგუფების (20-ზე მეტი) მოღვაწეობას. ასეთი ჯგუფები არსებობენ ყველა ცენტრებში, სადაც კი თავს იყრიან რუსები. ამ ჯგუფების შემადგენლობაში შედიან ლიგის ადგილობრივ მცხოვრები წევრები. „ჯგუფები“ განაგებენ ლიტერატურის გავრცელებას და ფინანსიური საშვალებების შეგროვებას, აწყობენ წრეებს მეცნიერულ სოციალიზმის პროპაგანდის მიზნით, სადისკუსიო და სააგიტაციო კრებებს, ბიბლიოთეკებს და სხვა. რეფერატებს ჩვეულებრივად კითხულობენ ლიგის წევრები, ზოგიერთ ხელისშემწყობ ჯგუფებთან დღემდე არსებობდენ ემიგრანტების, გადასახლებულების დახმარების სალაროები. ამ ჟამად ემიგრანტების დახმარების საქმე, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება რევოლიუციონური მსხვერპლთა რიცხვის ზრდასთან ერთად (ამ ემიგრანტების დიდი ნაწილი მცირეოდენი დროის შემდეგ ბრუნდება რუსეთში „არალეგალურად“, ე. ი. სხვისი სახელით), ერთიანდება ლიგის და „ბუნდის“ საზღვარგარეთის კომიტეტის შეერთებული ხელმძღვანელობის ქვეშ.

უკანასკნელ წელს ლიგამ, სხვა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად საზღვარგარეთ, მოაწყო მთელი რიგი საპროტესტო მიტინგებისა რუსეთ-იაპონიის ომის და იაკუტსკში პოლიტიკურ პატიმართა წამების წინააღმდეგ, მოეწყო აგრეთვე განსაკუთრებული თანხების შეგროვება გაფიცულებისათვის კრიმმიჩაუში (საქსონია).

ლიგის ბიუჯეტი, ნორმალურ პირობებში, აღწევს 25—30,000 ფრანკს წელიწადში.

V. ციხე და გადასახლება.

შეუძლებელია ყველა იმ მსხვერპლის გამოანგარიშება, რომელიც განვლილი პერიოდის განმავლობაში გაიღო მუშათა მოძრაობამ რუსეთში. მონაწილეობას პროფესიონალურ მოძრაობაში, ისე როგორც მონაწილეობას პოლიტიკურ ბრძოლაში, რუსეთის მთავრობა სასტიკად სჯის. უმთავრეს შემთხვევებში რეპრესიებს მიმართავენ არა სასამართლოს, არამედ ადმინისტრატიული წესით, რაც კიდეე უფრო აბრკოლებს მათ აღნუსხვას. შეიძლება დარწმუნებით თქმა, რომ იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ამ ოთხი წლის განმავლობაში შეიქნენ დევნის მსხვერპლი „არალეგალურ“ მუშაობაში მონაწილეობისა-

107
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვის, ბევრათ აღემატება 20.000. ამ რაოდენობიდან, როგორც ამას ამტკიცებენ ცენტრალურ ციხეებში შევსებული ცალკე ანკეტები, ნახევარზე მეტი წელათ ხვდება ამხანაგებს, რომლებიც რ. ს.-დ. მ. პ. დროშის ქვეშ მუშაობენ.

ერთგვარ წარმოდგენას რევოლიუციონერი ბრძოლის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ იძლევა ცნობები, რომლებიც ამოღებულია იუსტიციის მინისტრის მიერ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ მოხსენებიდან (1904 წლ. 28 იანვარს, ცხრილი № 1)

ცხრილი № 1.

წ ლ ე ბ ი.	იუსტიციის სამინისტროში შემოსული ფორმულარები	ამ საქმეების გამო პასუხისგებში მიცემული პირთა რიცხვი.	იმ ბეჭდოვნებათა რიცხვი, რომლებიც ეშველესი ბრალდებულნი იყვნენ ნებადართული.	ამ საქმეების გამო პასუხისგებში მიცემული ბრალდებულთა რიცხვი	ამ პირთა რიცხვი, რომლებიც იყვნენ დასჯილნი ციხეებში.	საერთო სასამართლოში გადაცემული გამოძიებათა რიცხვი.	ამ საქმეებზე გამოძიებათა გამო პასუხისგებაში მიცემულ პირთა რიცხ.	შეჩერებულ ან შეწყვეტილ გამოძიებათა რიცხ.	შეწყვეტილ გამოძიებებით პასუხისგებაში მიცემულ პირთა რიცხვი
1894	158	919	56	559	366	3	3	61	120
1895	259	944	90	623	367	2	2	175	407
1896	309	1668	67	561	345	3	4	180	335
1897	289	1427	122	1474	1051	4	11	180	499
1898	257	1144	149	1004	706	1	1	108	135
1899	338	1884	166	1325	866	2	4	156	82
1900	384	1580	144	1363	919	4	10	119	162
1901	520	1780	250	1238	914	1	3	197	310
1902	1053[1]	3744[1]	347	1678	1147	5	5	364	303
1903	1988[2]	5590[2]	1522	6405	4867	10	45	791	429

[1]) ამ რიცხვიდან 3 საქმე 38 პირის შესახებ გადაეცა განსახილველად სასამართლო პალატებს წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით. სისხლის სამართლის დებულების მეორე ნაწილის 1030 მ. ძალით.

[2]) ამ რიცხვიდან 12 საქმე 28 პირის შესახებ გადაეცა განსაკუთრებულად სასამართლო პალატებს წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით სისხლის სამართლის დებულების მეორე ნაწილის 1030 მუხლის ძალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება დასჯის ზომებს, რომლებიც „უმაღლესი“ ბრძანებით იქნენ მიღებულნი ზემოაღნიშნულ საქმეების გამო პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიმართ, ეს ზომები შემდეგნაირად ნაწილდება: (იხ. ცხრ. № 2).

ცხრილი № 2.

წლები	გადასახლებულ საზღვარგარეთ (ციხეებიდან (ციხეს დამატებინების ფიფლ.)	გადასახლებულ იქნენ ციმბირში	გადასახლებულ. იქნენ ციმბირის შორეულ ზონებრნებში	მიცემულ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ		
					ციხეში დაპატიმრებული	დატუსაღებული
1894	5	21	34	244	156	29
1895	6	42	66	219	104	20
1896	1	53	42	218	105	16
1897	11	117	79	767	148	92
1898	2	47	119	340	162	88
1899	11	49	105	308	108	195
1900	1	49	85	618	57	102
1901	9	38	51	466	203	141
1902	10	115	77	193	362	217
1903	31	910	592	1268	332	845

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცხრილში არ შესულან ის საქმეები, რომელნიც განხილულ იქნენ „დაცვის წესით“ ე. ი. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამოუკიდებლათ (ასეთი საქმეების რიცხვი უკანასკნელ წლების განმავლობაში აუარებელი იყო) და აგრეთვე სამშობლოში გადასახლების, დატუსაღების, ჯარიმების და სხვა აუარებელი რაოდენობა, რომელთაც მინიჭებული უფლების თანახმად მიმართავენ გუბერნატორები, გენერალ-გუბერნატორები, ქალაქის სამხედრო უფროსი და სხვ.

მოვიყვანთ კიდევ მოკლე ცნობებს ზოგიერთი ციხეების შესახებ, რომლებიც უჩვენებენ პოლიტიკურ პატიმართა სოციალურ შემადგენლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევის ციხეში მაგალითად შემადგენლობა ასეთია:

		1901 წ.	%	1903 წ.	%
სულ ცნობები მოიპოება		285 კ. შესახებ		600 კ. შესახებ	
მათ რიცხვში:					
ინტელიგენტები	მამაკაცი	103	36,8	160	26,4
	დედაკაცი	28	9,5	76	12,6
		131	46,3	236	39,0
მუშები	მამაკაცი	138	48,1	331	55,0
	დედაკაცი	26	5,6	40	6,0
		154	53,7	371	6,10

ნიჟეგოროდის ციხე 1902 წ.

სულ ცნობები მოიპოება		170 კ. შესახებ			
მათ რიცხვში:					
ინტელიგენტები	მამაკაცი	62		36,5	
	დედაკაცი	17		10.0	
		79		46,5	
მუშები	მამაკაცი	90		53,0	
	დედაკაცი	1		0 5	
		91		53.5	

ამ შემთხვევით ამოღებული მაგალითებიდან სჩანს, რომ მუშები ყოველთვის სჭარბობენ პოლიტიკურ პატიმართა შორის,

ამ წლების განმავლობაში გაფიცვების გამო პროცესების რიცხვი მეტად დიდი იყო. უფრო მნიშვნელოვანი იყვენ: ობუხოვის მუშების პროცესი (1901 წ.,) რომელიც ორი ამხანაგისათვის კატორღაში მუშაობით დამთავრდა, ოცი დანარჩენისთვის იძულებითი მუშაობით 1—4 წლის ვადით. ორ მუშა ქალს, რომლებიც ამ პროცესის გამო პასუხისგებაში იყვენ მიცემული 3 და 1 წლის ციხე მიესაჯათ. შემდეგ—ბათომის მუშების, ბალოგინის ქარხნის (ტვერი) მუშების, თბილისის რკინის გზის სახელოსნოების მუშები, ქერჩის, (უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი 1903 წ. საყოველთაო გაფიცვის გამო) ზლატოუსტის მუშების და სხვ. პროცესები. ჩვეულებრივად თითეული გაფიცვის დროს ათეული, ხშირად ასეული მუშა იგზავნება ციხეებში, რომ შემდეგ გადაესახლებიათ სამშობლოში, ე. ი. გადაქცეულიყვენ სიმშილისა და უმუშევრობის საშინელი ტანჯვის მსხვერპლათ; „მეთაურებს“ კი ასახლებენ რუსეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გუბერნიებში, ზოგჯერ კი აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც უკვე ახლა მრავლათ მოიპოვებიან წმინდა პროფესიონალურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გადასახლებული ამხანაგები.

საკუთრივ პოლიტიკურ საქმეების მიმართ განვლილი პერიოდი ხასიათდება რეპრესიების არაჩვეულებრივი გაძლიერებით. „ოხრანკის“ საეკვო ცნობებით დატუსაღებულთა უფრო და უფრო მეტი რიცხვი იგზავნება აღმოსავლეთ ციმბირში და სხვა შორეულ ადგილებში უფრო და უფრო გრძელი ვადით—5, 6, 8 და 10 წლით. ყოველწლიურათ თითეულ მსხვილ ცენტრში იმართება „ობლავები“ სოციალ-დემოკრატებზე, რომლის დროსაც ატუსაღებენ პოლიციის მიერ შემჩნეულ ყველა „საეჭვო“ პირებს. ასეთი წესით ერთ ღამეს დატუსაღებულთა რიცხვი ხშირათ აღწევს 80—100—150 კაცამდე. ნაწილს, ცოტა ხნის შემდეგ, ანთავისუფლებენ, თვით რუსულ—პოლიციური თვალსაზრისით საბუთების უქონლობის გამო დანარჩენები კი დიდის ხნით რჩებიან ციხეში, საიდანაც ნაწილდებიან გადასახლების სხვა და სხვა ადგილებში.

მრავალრიცხოვანი, „საქმეში“ გამოჩვეული აგენტები მგზავრობენ ქალაქიდან ქალაქში და ავსებენ რკინის გზის სადგურებს. მათ სპეციალურ ამოცანას შეადგენ—რეციდივისტების, ე. წ. „არალეგალურთა“ დაჭერა, რომლებიც გადასახლების ადგილიდან გაპარვის შემდეგ სხვა სახელით განაგრძობენ თავის რევოლიუციონურ მაღვაწეობას. ასეთი „არალეგალურების“ რიცხვი ჩვენი პარტიის რიგებში ძლიერ გაიზარდა ამ წლების განმავლობაში.

თითეული პოლიტიკური დემონსტრაცია, რასაკვირველია, გაძლიერებული რეპრესიის საბაბს წარმოადგენს, როგორც პოლიციის მიერ ადგილზე დატუსაღებულ მონაწილეთა, ისე მის მომწყობ ორგანიზაციების მიმართ. პოლიციის დევნის მთავარ ობიექტს წარმოადგენენ ჩვენი სტამბები და საზღვარგარეთიდან ჩვენი ლიტერატურის გადმოსატანი პუნქტები. სტამბის აღმოჩენა—ეს ნიშნავს ადგილობრივი აგიტაციის დროებით შეჩერებას და კომიტეტის ორგანიზაციის ყველაზე უფრო დაცული ნაწილის დაშლას. რასაკვირველია, ორგანიზაციები კვლავ დგებიან ფეხზე და იმ წამსვე ეწყობა ახალი სტამბები—ჩვენი საგიტაციო აპარატის ეს ნერვი. უკანასკნელი წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმავლობაში ჟანდარეებმა მოახერხეს ჩვენი პარტიის 21 ასეთი ფარული სტამბის აღმოჩენა:

(1 პეტერბურგში, 2 იაროსლავლში, ერთი როსტოვში-დონზე, 1 ბერდიჩევში, 1 კიევში, 1 თბილისში, 2 ოდესაში, 1 ბათომში, 3 ბაქოში, 3 ნიკოლაევში, 1 სევასტოპოლში, 1 ბობრუისკში, 1 ტომსკში, 1 კოსტროიარსკში, 1 ხარკოვში). ბაქოში ადგილობრივი კომიტეტი სტამბების დატუსაღებაზე თითეულჯერ უპასუხებდა ახალი პროკლამაციების გამოშვებით, რითაც აუწყებდა ახალი სტამბის გახსნას. სამჯერ სტამბის აღმოჩენის შემდეგ ჟანდარმებს აებნათ გზა-კვალი და ბაქოს სტამბა განაგრძობს მუშაობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ჟანდარმერიისათვის დონის (როსტოვი) და კიევის კომიტეტების სტამბების აღმოჩენას, რომლებმაც თავისი არსებობის განმავლობაში დიდი მწუხარება აგრძნობინეს მთავრობას. რასტოვის სტამბამ თავი ისახელა დიდი გაფიცვის დროს 1902 წ., როცა მთელი ქალაქი მოჰფინა ფურცლებით. ერთი წლის განმავლობაში ამის შემდეგ ის ვერ აღმოაჩინეს, სანამ უბრალო შემთხვევამ არ დაღუპა ის 1903 წ. დამლევს. კიევის სტამბა ჩვენი პარტიის უძველესი სტამბა იყო. 1900 წლიდან თავისი მუშაკების არაჩვეულებრივი თავგანწირულების და მოხერხების წყალობით ის დაუღალავად მუშაობდა და საშინელ გაბრაზებას იწვევდა ჟანდარმებს შორის, რომლებმაც მხოლოდ მეხუთე წლის, 1904 წლის აპრილში მოახერხეს მისი აღმოჩენა. ორივე სტამბა ჩქარა იქნა აღდგენილი ადგილობრივი ამხანაგების მიერ.

როგორც კი შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა პლევე, მთავრობამ გადასწყვიტა თავისი მტრების უმრავლესობისათვის დაეტოვებია ადმინისტრატიული გამოძიების და განაჩენის გამოტანის ჩვეულებრივი პროცედურა, კერძო შემთხვევებში კი მიემართა სპეციალური გასამართლების საზეიმო კომედიისათვის—გასამართლებისათვის დახურულ კარებში, როცა თითეულ ფეხის ნაბიჯზე დარღვეული იქნებოდა სასამართლოს წესდების ელემენტარული დებულებები. პლევე ცდილობდა რევოლიუციონერების წინააღმდეგ ესარგებლნა სისხლის სამართლის კოდექსის ძველი მუხლებით, რომელიც „უკანონო“ პოლიტიკური მოღვაწეობის თითეული მშვიდობიანი გამოხატულებისათვის უფადო გადასახლებით და უფლებების ჩამორმევით, კატორღით და ზოგჯერ სიკვდილით დასჯის საშუალებას იძლეოდა. პირველ ყოვლისა სასამართლოს დასჯა თავს დაატყდა 1902 წ. პირველი მაისის დემონსტრაციის მონაწილეთ და ამხანაგები სარატოვიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან და სორმოვოდან (დიდი ქარხანა ნიჟეგოროდის გუბერნიაში) გასამართლებულ იქნენ სამი პროცესის დროს. ეს იყო პირველი პროცესები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა ამხანაგებმა მოხერხებულათ ისარგებლეს შემთხვევით, რომ სასამართლოს წინაშე დაენახვებიათ რუსეთის მუშათა მოძრაობის მნიშვნელობა. მუშების—ხალმოვის, ვოეკოდინის და ზოგიერთ სხვა ამხანაგების სიტყვებმა, რომლებიც გამოსთქვამდენ თავის სოციალ-დემოკრატიულ პროგრამას, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე, რომელიც მათ გაეცნო მრავალ რიცხოვან გამოცემების საშვალებით. ამ სიტყვებს ჩვენთვის უდიდესი საგიტაციო მიშნელობა ჰქონდა. 20 კაცს სასამართლომ სამუდამო გადასახლება მიუსაჯა ციმბირში ყველა სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევით, რამდენიმე კაცს გადაუწყვიტა მრავალი წლის ციხე. ამ გასამართლებულთა შორის არიან პირები, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ მაისის დემონსტრაციებში, მაგრამ რომლებიც დაისაჯენ იმიტომ, რომ განაცხადეს თავისი სოლიდარობა ამხანაგებისადმი. ამის შემდეგ დაიწყო გასამართლება იმ ამხანაგების, რომლებიც დატუსაღებულ იქნენ დემონსტრაციებისაკენ მოწოდების მიზნით გამოშვებული პროკლამაციების გაკვრის დროს. სამი მუშა სარატოვში, 1 ეკატერინოსლავში, 2 ნიკოლაევში და 1 ელისავეტპოლში, გამოჩნდენ ბრალდებულის სკამზე. ისევ ოგივე საშინელი სასჯელი. მუშა სოსნიოკს, 17 წლისას, ელისავეტგრადში მიუსაჯეს 3 წლით მუშაობა კატორღაში სოციალ-დემოკრატიული პროკლამაციების გაკვრისათვის. სარატოველი მუშის დენისოვის სეტყვამ, რომელსაც ასეთივე „დანაშაულისათვის“ ციმბირში სამუდამოთ გადასახლება გადაუწყვიტეს, ერთხელ კიდევ დაანახვა მოსამართლეებს, თუ რა დიდი მორალური ძალა იძალება იმ პროლეტარულ მასაში, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას. „ისკრა“-ს საიდუმლო სტამბის (კიშინიოვში) პროცესმა კვლავ საბაბი მისცა ამხ. ლ. გოლდმანს ეთქვა ძლიერი სიტყვა, მოსამართლეებს კი—6 პროლეტარისათვის მიესაჯათ სამუდამო კატორღა. მაგრამ ყველაფერი ეს ცოტაა. 1903 წლის 2 მარტის დემონსტრაციამ როსტოვში დონზე, რომელმაც გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა, საშინლათ აიღელვა მთავრობა. დემონსტრაციის დროს მოხდა შეტაკება ხალხსა და პოლიციას შორის, რომლის დროს ჯოხის დაკვრით მოკლეს პოლიციის ერთი ოფიცერი. ეს მდგომარეობა საკმაო შეიქნა, რომ მთავრობას 20 კაცი, ნაწილობრივ შემჩნეული დემონსტრაციაში, ნაწილობრივ კი იქ სრულიად არმყოფი,—გადაეცა სამხედრო სასამართლოსათვის და გაესამართლებია სამხედრო დროის კანონების მიხედვით. ახალგაზრდა ამხ. ალექსანდრე ბრაილოვსკის, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც კომიტეტის სახელით მოუწოდებდა მუშებს დემონსტრაციისაკენ, სხვა ორ მუშასთან ერთად სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, სხვებს—კატორღაში მუშაობა და გასახლება. ჯოჯოხეთური განაჩენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეუმსუბუქა“ მეფემ და ბრაილოვსკი, კოლოსკოვი, კუკსინი, ვასილ-ჩენკო და სხვა მუშები წვალობენ ახლა ციმბირის საკატორღო ციხეებში, სადაც კიდევ დიდი ხანი უნდა დაჰყონ (15 წლამდე). და კვლავ ამ ახალგაზრდობის ღირსებით და გამბედაობით სავსე საქციელმა სასამართლოში საუკეთესო საგიტაციო მასალა მისცა ჩვენს პარტიას.

მსხვერპლი, რომელსაც იღებს ჩვენი პარტია თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, აუოაცილელია: მრავალრიცხოვან ციხეებში ათეული და ასეული მუშები და ინტელიგენტები, მამაკაცები და დედაკაცები ყოველდღე ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ ციხის ჯალათებთან, რომლებიც პეტერბურგიდან შთაგონებით, მარალურად და ფიზიკურად აწამებენ პოლიტიკურ პატიმრებს, უკანასკნელნი უმთავრესად პროტესტს აცხადებენ „შიმშილობით“, რომელიც განადგურებით და წამების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის მეტად პრიმიტიულ საშვალებას წარმოადგენს, ძლიერ ბევრს მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ხშირად სხვა გზა არ არის. ზოგჯერ ეს „სიმშილობანი“ აუმჯობესებენ დატუსაღებულთა მდგომარეობას, მაგრამ რამდენი სიცოცხლე იმსხვრევა მათ დროს; რამდენი ნერვიული სისტემა ი'ლება! რევოლიუციონურ გამოცემათა ქრონიკა აჭრელებულია ცნობებით ციხეების წესის მსხვერპლთა უდროოთ გარდაცვალების, ჭკუაზე შეშლის და თვითმკვლელობის შესახებ. გადასახლების ადგილებში კი—ციმბირში და ევროპიული რუსეთის შორეულ გუბერნიებში—იტანჯებიან ათასი რევოლიუციონერები, რომელთაც პოლიციამ აუკრძალა შრომის ყველა დარგები და რომლებიც განიცდიან პოლიციური დევნის საშინელ რეჟიმს. ათეულები და ასეულები ახერხებენ გაქცევას ამ მიყრუებულ ადგილიდან, მაგრამ მასისათვის—განსაკუთრებით მუშებისათვის—გაქცევა, რომელიც დიდ თანხებს მოითხოვს, შეუძლებელია. ისინი იძულებული ხდებიან გადასახლებაში განაგრძონ ის ბრძოლა, რომელსაც ისინი აწარმოებდენ ციხეში,—ბრძოლა ცხოვრების ელემენტარული პირობებისათვის. ამ ბრძოლასაც დიდი მსხვერპლი მიაქვს. როგორც კი პლევე რუსეთის მთავრობას სათავეში მოექცა, გადასახლებულები საშინელი დევნა შეეწყრიბის ობიექტი გახდენ, ამ დევნა-შევიწროებას მიზნათ ჰქონდა ისინი სასოწარკვეთილებამდი მიეყვანათ. საშინელი ცემა-ტყეპის შემდეგ, რომლის მსხვერპლი შეიქნა ამ ხანაგების ჯგუფი ირკუტსკის გუბერნიაში, გადასახლების მეორე ცენტრში—ქ. იაკუტსკში—ჩვენმა ამხანაგებმა გადასწყვიტეს იარაღით ხელში დაეცვათ გადასახლებულების შესახებ კანონში აღნაშნულ დებულებების განხორციელება. მათ თავისი მოთხოვნილებები წარუდგინეს გუბერნატორს, რის შემდეგ ისინი, 75 კაცი, რომელთა შორის იყვენ სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეები ქვეყნის ყოველი კუთხიდან, გამაგრდენ ერთ სახლში და განაცხადეს, რომ არ გამოელენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქედან ამ მოთხოვნილებების შესრულებამდის. სახლს ალყა შემოარტყა ჯარმა, შემდეგ სროლა აუტეხეს, 2000 ტყვია ესროლეს ამხანაგებს (მათ შორის შვიდი ქალი იყო). მაგრამ თავდაცვის კარგათ მოწყობის წყალობით მოკლეს მხოლოდ ერთი—პარტიის თვალსაჩინო ორგანიზატორი, მეტდელი იური მატლახოვი. დანარჩენები იძულებული გახდენ დანებებულიყვენ და ახლა ელიან გასამართლებას და კატორღის განაჩენს, დარწმუნებული იმაში, რომ მათი გაბედული აჯანყება გავლენას მოახდენს გადასახლებულების მდგომარეობაზე.

მთავრობის წინადადებას ამ რამდენიმე ხნის წინათ—იმ პოლიტიკური გადასახლებულთა და პატიმართა „შეწყალების" შეხახებ, რომლებიც შემოიტანენ თხოვნას მომქმედ ჯარში უბრალო ჯარისკაცებად ჩარიცხვის შესახებ, გადასახლებულთა ყველა კოლონიებში შეხვდენ ერთსულოვანი პროტესტებით, როგორც თვით ომის წინააღმდეგ, რომელიც გაიძვერულათ დაიწყო თვითმყრობელობამ, ისე კერძოთ თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხარბაზნის ხორცათ გამოყენების ცდის წინააღმდეგ. თვით აკატუეის საკატორღო ციხიდან, სადაც იტანჯებიან როსტოველი დემონსტრანტები და პოლონელი მუშები, გაისმა მოწოდება ომის წინააღმდეგ პროტესტისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება VIII. ბიბლიოგრაფია.

კ. ორაგველიძე. რუსეთის კომუნისტური პარტიის მოკლე ისტორია. ს. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, № 84—ტფილისი, 1924 წ.

ამხ. კ. ორაგველიძის პატარა წიგნაკი რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა განსაკუთრებით იმათთვის, რომლებიც ახლახან შემოდიან ჩვენს პარტიაში. ქართულ ენაზე ლიტერატურა ამ დარგის შესახებ ძალიან მცირე მოგვეპოვება: ხოლო რაც არის, ისიც ნათარგმნი და ნათარგმნი ძალიან მძიმე ენით (როგორც მაგალითად ამხ. ზინოვიევისა); ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბევრი მათგანი შეცდომებით არის სავსე ფაქტების მხრივ. ასე რომ ქართულ ენაზე სპეციალურად დაწერილი და განსაკუთრებულად დამუშავებული მრომა ჩვენი პარტიის ისტორიის შესახებ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

ამ მხრით მეტად საყურადღებოა ამხ. კ. ორაგველიძის ეს პატარა წიგნაკი. მართალია, ის წარმოადგენს ძალიან მოკლე ისტორიას ჩვენი პარტიის და როგორც თვით ავტორი ამბობს, „სახელდახელოთ დაწერილია", მაგრამ მაინც მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩამორჩენილ მასებისთვის ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში.

აქ, ამ პატარა წიგნაკში, თავდაპირველად გარჩეულია კლასისა და პარტიის საკითხი, სახელდობრ—თუ რა არის კლასი და რა არის პარტია, რითი განსხვავდება პირველი მეორისაგან. ამ კითხვის გარკვევის შემდეგ ავტორი გადადის რუსეთის ნაროდნიკების და მარქსისტების მოკლე დახასიათებაზე და გადმოგვცემს პირველთა მოღვაწეობისა და მეორეთა გაჩენის მოკლე ისტორიას, რაც შეიძლება ჩითვალოს შესავალად რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის.

დაბოლოს ავტორი იწყებს ჩვენი პარტიის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას. ის მოკლედ გადმოგვცემს, თუ როგორი იყო მუშათა მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში და როგორ ჩაისახა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული წრეები ამ ხანაში, როგორ იქნა მოწვეული ჩვენი პარტიის პირველი ყრილობა 1898 წ. და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რიგათ ის გადმოგვცემს ჩვენი პარტიის ყველა ყრილობების მუშაობის მოკლე შინაარსს; ის ათავებს თავის მიმოხილვას რუსეთის კომუნისტური პარტიის სრულიად რუსეთის მე-13 კონფერენციის ანგარიშით. და ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სრულებით ადგილი არ აქვს ფაქტების რაიმე და როგორმე დამახინჯებას თუ სახეში არ მიეიღებთ ერთ შეცდომას, სახელდობრ შემდეგს, ავტორი სწერს: „ჩას (ე. ი. ჩვენს პარტიას) ეწოდებოდა „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ და შემდეგ „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკების)“. ეს დებულება სწორი არაა. სიტყვა (ბოლშევიკებისა)“ მიმატებული ჰქონდა „რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიას“ მარტო ჩვენში, საქართველოში, და არა რუსეთში. რუსეთში ჩვენი პარტიის სრულწოდება იყო „სოც.-დემ. მუშ. პარტია“ 1918 წლამდე.

საერთოდ კი ეს წიგნაკი დაწერილი არის გასაგები, მარტივი ენით და დიდი სანსახურის გაწევა შეუძლია ქართველი მუშა-მკითხველისათვის, რომელსაც კი სურს გაეცნოს, მოკლედ მაინც, ჩვენი პარტიის ისტორიას. ეს წიგნაკი პატარა სახელმძღვანელოა ჩვენი პარტიის მოკლე ისტორიის შესწავლისათვის.

X.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუ-ციის ოცი წლის თავი.

I.

მომავალ წელს სრულდება ოცი წელი იმ დროიდან, რომელსაც ამბ. ლენინი უწოდებდა ოქტომბრის რევოლიუციის „რეპეტიციას“ და რასაც ასევე შეიძლება ეწოდოს ამავე რევოლიუციის პროლოგი.

მუშათა აჯანყების ოცი წლის თავი, რომელმაც ძალთა დაჭიმვის მაქსიმუმს მიაღწია 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ძველის სტილით; ოცი წლისთავი არსებითად პირველი და საერთოდ მასსიური რევოლიუციისა რუსეთში, ვინაიდან რაზინშჩინას და პუგაჩოვშჩინას არ შეუქმნია რა თავისი იდეოლოგია, დარჩა აჯანყებათ და არა რევოლიუციად, დეკაბრისტების მოძრაობა კი, რომელსაც მოეპოვებოდა თავისი იდეოლოგია, არ გადაიქცა მასსიურ აჯანყებათ; დაბოლოს, ოცი წლის თავი, პირველი შემთხვევაა, როცა რუსეთში დაწყებულმა მასსიურმა მოძრაობამ უშუალო გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობაზე. ავსტრიის მუშათა მოძრაობა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის ამ გავლენის საუკეთესო თვალსაჩინო მაგალითი შეიქმნა: ნაკლებათ ცნობილია, რომ 1906 წლის გაზაფხული განსაკუთრებული შიშის ხანა იყო საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის. ამა წლის პირველი მაისისათვის პარიზში გადაბრით მოელოდენ აფეთქებას. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან—საფრანგეთის ამ დონის აუზის და ივანოვო-ვოზნესენსკიდან—საბედისწერო გაფიცვის გუგუნი მოისმოდა. იმ დღეებში ვაზ. „ტან“-ში დაბეჭდილი მეთაურები გამოხატავენ შიშსა და ნიკოლოზისათვის მიცემული ორი მილიარდი სესხი აიხსნება არა მარტო მეგობრული სამსახურის გამო, რომელიც მეფის დიპლომატიამ გაუწია იმპერიალისტურ საფრანგეთს ალეკეზირასის *) საკითხში, არამედ საფრანგეთის კაპიტალისტთა მოუთმენელი სურვილით, რათა, დაბოლოს, ჩაეტროთ ის რევოლიუციონური ქურა, რომელიც ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში

*) ალეკეზირასში (ისპანია) 1906 წ. გაზაფხულზე მოწვეულ კონფერენციაზე, სადაც სწარმოებდა დავა გერმანია—საფრანგეთს შორის მაროკკოს შესახებ, ინგლისისა და რუსეთის ძალდატანებით საკითხი გადაწყდა საფრანგეთის სასარგებლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვივოდა. ის სესხი, რომელმაც ნიკოლოზს ნება მისცა დაუსჯელად გაერეკა პირველი სათათბირო, პირველი მაგალითი იყო უცხოეთის ინტერვენციისა.

როგორც ეხედავთ, „ხუთი წლის“ მომავალი ოცი წლის თავი მრავალის მხრით არის ღირს-შესანიშნავი. ის შეუძლია მოიგონოს არა მარტო რ. კ. პ., არამედ—კომინტერნმა. „1905 წელი“ საუცხოვო თვალსაჩინო გაკვეთილი იყო არა მარტო რუსის მუშისათვის, რომელმაც ასეთი მწარე ცდის შემდეგ თავიდან მოიშორა თავისი „ეკონომიზმის“ უკანასკნელი ნაშთები, არამედ—რუსი გლეხისთვისაც, რომელმაც შეიგნო, რომ მუშათა რევოლიუციის დამარცხება საზარალოა გლეხობისათვის და რომ მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოფს გლეხობას მიწით. თუმცა გლეხს ახლაც ისე, როგორც პუგაჩოვის დროს, არ გამოუმუშავებია თავისი რევოლიუციონური იდეოლოგია, გაკვეთილი მან მაინც საუცხოვოდ დაიმახსოვრა. ხუთმეტი წლის შემდეგ გლეხს თოფი არ გაუგდია ხელიდან იმ დ�, სანამ პროლეტარიატის უკანასკელი მტერთაგანი არ გადააგდო შავ ზღვაში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ამ მტერთაგანი გლეხის სახელითაც კი ფიცულობდა.

„1905 წლის“ ცოდნა სავალდებულოა არა მარტო თითეული შეგნებული ევროპის მუშისათვის, არამედ—საბჭ. სოც. რესპ. კავშირის თითეული გლეხისათვის. და განსაკუთრებით სავალდებულოა მისი ცოდნა ჩვენი მომავალი თაობისათვის. და ჩვენ აქ წინ გვეხეჩება მთელი რიგი „ობიექტიურ დაბრკოლებათა“.

რა ვიცით, მაინცა და მაინც, ჩვენი პირველი რევოლიუციის შესახებ? სააგიტაციო გამოსვლებისათვის ჩვენ გვაქვს ფაქტიური მასალა. უფრო თვალსაჩინო მომენტები—9 იანვარი, „პოტიომკინის“ აჯანყება, ოქტომბრის გაფიცვა, დეკემბრის ბარიკადები—ყველაფერი ეს გარეგნულად ცნობილია, აღწერილია. საისტორიო ხატვრობისათვის მასალა მოიპოვება და სამწუხაროა, რომ რიგიანად არ არის გამოყენებული. მაგრამ ეს მასალა სააგიტაციო ისტორიული რომანისა—ლიტერატურის ჟანრია, რაც ჩვენთვის საკმარისი არ არის. ეს ისტორია არ არის. მომხდარ ამბავთა ისტორიის ცოდნა ნიშნავს იცოდე მათი მიზეზები და შედეგები, მათი ურთიერთი კავშირი. და როგორც კი ამ ნიადაგზე დააყენებთ საკითხს, იმ წამსვე დაინახავთ, რომ ჩვენ თითქმის არაფერი არ ვიცით.

როგორ იყო მომზადებული ოქტომბრის გაფიცვა? ამ ჟამად, ჩვენი ახლანდელი გაგებით, ეს შემთხვევების გროვაა. გაიფიცენ მოსკოვის მბეჭდავები, შემდეგ მოსკოვის მებულკეები, შემდეგ რკინის გზის მემანქანენი და ხელოსნები. ამასთან, როცა გაიფიცა რკინის გზა, მბეჭდავებმა უკვე შესწყვიტეს გაფიცვა. ყველა ამაებიდან რისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიღეთ 1905 წლის ოქტომბერი? რა ცვლილებები მოხდა პროლეტარიატის მდგომარეობაში ისეთი ივლის—სექტემბრის თვეებში, რომ საყოველთაო გაფიცვა, რომელიც შეუძლებელი იყო ივნისში (რისთვისაც მაშინ მოუწოდებდნენ, მაგრამ არ მოხერხდა), მოსახერხებელი შეიქნა ოქტომბერში? უეჭველია, ცალკე წარმოებათა მუშების მდგომარეობის დეტალური შესწავლა ნათელს ჰყოფს, თუ როგორ გროვდებოდა პროლეტარული რისხვა, პროლეტარული სასოწარკვეთა. მაგრამ ასეთი დეტალური შესწავლა ჯერ არ მომხდარა და მასალებიც კი, რომელთა მიხედვით შეიძლება ეს მოხდეს, ჯერ კიდევ გამოქვეყნებული არ არის. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ჩვენს არქივებშია გაფანტული, ჯერ-ჯერობით ოქტომბრის გაფიცვა ჩვენთვის განცალკევებული, ე. ი., გაუგებარი ამბავია. ჩვენ შეგვიძლია საერთო სოციოლოგიური ბაზისი შევქმნათ 1905 წლის მთელი მუშათა მოძრაობისათვის მთლიანად, მაგრამ ამ მოძრაობის დანაწილება, მისი დიალექტიკის ამომწურავი, მისი ცალკე ფაზების ახსნა, ჩვენ არ ძალ-გვიძს.

და ასევე გაურკვეველი ვდგევართ ამა წლის მეორე მწვერვალის—დეკემბრის ბარიკადების წინაშე. ჩვენ ვიცით რისთვის დაიწყეს მათი შენება მოსკოვში—მაგრამ ისინი ხომ მარტო მოსკოვში არ ყოფილან.

შეიარაღებული აჯანყების ტალღა მოედო მთელს სახელმწიფოს. როგორ მოხდა საგაფიცვო ენერგიის შეიარაღებულ აჯანყების ენერგიად გარდაქმნა? რატომ ეს გარდაქმნა სრული არ იყო? რა ვიცით ჩვენ შეიარაღებული აჯანყების მომზრეთა და მოწინააღმდეგეების შესახებ თვით პროლეტარიატში, ფაბრიკებში და ქარხნებში. ასეთი ბრძოლა კი სწარმოებდა; ამ საგანზე პიტერში გაცხარებული დავა იყო, ამის შესახებ ახლა შემთხვევით ზოგჯერ გავიგონებთ ხოლმე. ეჭვს გარეშეა, გულდასმითი ძებნის შემდეგ შეიძლება ამ პროცესის დოკუმენტალური სახის მიკვლევა, თუმცა ის იქნება ღარიბი, რადგანაც ნოემბერში „ოხრანა“ გაიქცა, „მეთვალყურენი“ აღარ იყვნენ. აქ უნდა მივმართოთ სხვა წყაროს, რომლის შესახებაც ქვევით მექნება საუბარი, მაგრამ ის ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მდიდარი საარქივო მასალა,—ეს იქნება ჯარში მოძრაობის შესახებ. ჩვენდა სასირცხოდ უნდა ითქვას, რომ ამ კუთხეს ფარდა ახადა ვიტეს მემუარებმა. მაგრამ ღვთის შთაგონებით ხომ არ გასცნობია ვიტე ამას, მან თავის დროზე გადაიკითხა ეს დოკუმენტები, რომელებიც ჩვენც მოგვეპოვება და რომლების წაკითხვასაც ჩვენც შევსძლებთ. პასუხი იმ კითხვაზე—რატომ არ მოხერხდა დეკემბრის აჯანყება, არამიის სულიერი განწობილება კაპიტალური ფაქტია.

მაშასადამე, უპირველესად ყოვლისა, ჩვენ გულდასმით უნდა გადავარჩიოთ ის საარქივო მასალა, რომელშიაც გამოისახა ჩვენი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი წარსული, წარსული ჩვენი გუშინდელი დღისა და რაც ჩვენთვის მეტად უცნობია. სუსტად ვართ გაცნობილი იმიტომ, რომ მასზე მუშაობდენ დღემდე ერთეულები და ისიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აქ კი საჭიროა ათეული, თუ ასეულები არა.

განსაკუთრებით ცუდათ დამუშავებულია ჩვენი პროვინციალური არქივები. და სხვა უბედურობას გარდა, ჩვენს რევოლიუციას ემუქრება მისი წინამორბედის—საფრანგეთის რევოლიუციის უბედურობა, რომელიც მთელი წლების განმავლობაში იყო საკუთრივ პარიზის რევოლიუციის ისტორია. საფრანგეთში ეს ახლა შეიგნეს ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმაც კი. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი პროვინციალური ინიციატივის ძვირფასი მაგალითები, (ნიჟნი, ურალი, ეკატერინოსლავი, კალუგა და სხ.), მაგრამ პროვინციალური არქივების დამუშავებაში უნდა შეტანილ იქნას სისტემა. მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება ჩვენ „1905 წელი“ ნამდვილი თავისი სახით.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ არქივები გადაგვიშლიდა ჩვენ ყველაფერს. უპირველესად ყოვლისა ზოგიერთი მომენტებისათვის, სწორედ ნოემბერ-დეკემბრის „თავისუფლების დღეებისათვის“, თითქმის არაფერი არ არის, არც უნდა მოიპოვებოდეს ძველი მთავრობის არქივებში. მოსკოვის „ოხრანკაში“ ამ დროს დარჩა, როგორც ამბობენ, მხოლოდ ერთი „თანამშრომელი“ და ყველაფერი რაც მან შესძლო მოეგროვებია, დეკემბერში ააფეთქა ესერის ყუმბარამ. სხვა არქივები, გარდა პოლიციურისა, არ მოიპოვება. რევოლიუციონური არქივები არსებითად არ შეიძლებოდა ყოფილიყო—რევოლიუციონერი გულდასმით ანადგურებდა ყოველგვარ ძაღალდის ნაგლეჯს, რომელიც თავისა და მისი ამხანაგის წინააღმდეგ ეჭვის მიმტან საბუთად გამოდგებოდა, ზოგიერთ დოკუმენტებს, რომელთა განადგურება ვერ შესძლეს, ჩვენ ვპოულობთ პოლიციურ და სასამართლოს არქივებში, „საქმეებში“ ჩაკერებულთ, სადაც ეს დოკუმენტები მოთავსებულია როგორც „საგნობრივი დამამტკიცებელი საბუთები“. საჭიროა ამ დოკუმენტების სისწორით აღნუსხვა, ზოგჯერ ისინი მეტად საინტერესონი არიან. მაგრამ მთლიანი სურათის მოცემა მათ არ შეუძლიანთ—ესენი ყოველთვის წარმოადგენენ ფრაგმენტებს, ნაგლეჯებს.

და აქ სწორედ რომ აუცილებელია იმ წყაროსადმი მიმართვა, რომელსაც დღემდე თითქმის მონოპოლია აქვს მოპოვებული ჩვენი პარტიული ისტორიული ჟურნალების ფურცლებზე—მოგონებებს.

რა თქმა უნდა, მთელი ისტორიის მოგონებებზე დამყარება, ფიქრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ მოგონებებით შეიძლება აღდგენა და, რაც მთავარია, გაგება მთელი ისტორიული პროცესისა, იქნებოდა შეცდომა. დოკუმენტებთან შედარებით მოგონებანი ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის დარჩებიან მეორეხარისხოვან წყაროებათ. მაგრამ სადაც დოკუმენტები არ მოიპოვება? ფიქრი იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში სრულიად მოკლებული ვიქნებით შემეცნების წყაროს, ეს ნიშნავს თავისებურ „დოკუმენტების ფეტიშიზმში“ შთავარდნას. არიან მომენტები და ეს სწორედ მეტად საყურადღებო მომენტები შინაგან ისტორიული პროცესისა, რომელთა აღნუსხვა არავითარი დოკუმენტებით არ შეიძლება. ისეთი საყურადღებო საქმის შესახებ, როგორიცაა პროკოპოვიჩის და კუსკოვის ქალის „დარბაზობა“ გაპონთან, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა, რომ მოგონება არ დაეწერა ერთ გაპონის მიმდევარ „შტაბელს“. რომელ დოკუმენტს შეეძლო ამისი აღბეჭდვა? მოსკოვის დეკემბრის აჯანყების წინაისტორია სამუდამოთ დარჩება ჩვენთვის გამოურკვეველი, უკეთუ დოკუმენტებს გარდა არაფერი გვექნება. და ამ დღეების ყველა მონაწილენი რომ ამოხოცილიყვნენ, ჩვენ ბევრი დეტალების (ისტორიაში დეტალები ყველაფერია) შესახებ ვერასოდეს ვერაფერს გავიგებდით. უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც ცოცხლად დარჩენილა, უნდა აუცილებლათ გამოყენებულ იქნას ეს მეტ-ყველი წყარო.

უკეთუ ამ ჟამად ვამჩნევთ რამდენიმეთ რეაქციას ამ წყაროსადმი, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევსძელით მისი დაკითხვა. ჩვენ ვსარგებლობდით განსაკუთრებით ინდივიდუალური მეთოდით, ე. ი. წარსული ამბების ამა თუ იმ მონაწილეთ ვაწერინებდით იმას, რაც მათ იხილეს და მოისმინეს. მაგრამ ჯერ ერთი, ყველას არ ძალუძს მოთხრობა ისე, რომ არ მიუმატოს რაიმე და არავის არ შეუძლია ჩამოიშოროს საკუთარი თვალთახედვა მომხდარი ამბების შესახებ, ყოველთვის თვითონ ცენტრშია მოქცეული. აქედან ყოველგვარი მოგონება წარმოადგენს „პოეზიისა და სიმართლის“ გადანასკვს; მეორედ—თითეული ცალკე მოგონება იძლევა ისტორიული სურათის მხოლოდ ერთს კუთხეს. რომ მოცემული იქნას მთლიანი სურათი და გამოყოფილი რაც საჭიროა, ყოველ მემუარებში აუცილებელი „პოეზია“, უნდა შეკრებილ იქნას მოგონებანი მისიური მასშტაბით, ბევრ პირთაგან. მხოლოდ მაშინ მივიღებთ სწორმომქმედს, ისტორიულ სინამდვილესთან დაახლოებულს და მასთან რაც მართლა მოხდა, მივიღებთ არა „პოეზიას, არამედ სიმართლეს.

მაგრამ „სიმართლის“ აღდგენაში შეცდომა იქნებოდა ყოველი იმედის ინდივიდუალურ მეხსიერებაზე დამყარება. როგორც არ შეიძლება ყველა ფაქტების ჩამოთვლა (ცდისთვის აიღეთ რომელიმე თქვენი განცდა) აგრეთვე არ შეიძლება ყველაფრის გამოუკლებლივ მოგონება.

როგორც უნდა შეგეძლოს დოკუმენტების კითხვა, ისევე უნდა შეგეძლოს მოგონებათა ამოკრეფა. მასსიური მასშტაბით ეს შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელდეს დაწვრილებითი გამომუშავებული ანკეტის გზით; რომელიც წამოაყენებდა განსაზღვრულ საკითხს და ასე მონაწილეთ დახმარებას გაუწევდა წარსულის აღდგენაში. კუსტარული წესით მოგონება იმისა, „რაც იყო", როგორც ამას ამხანაგი სვერჩკოვი გვირჩევს, ისეთი მიდგომაა საკითხისადმი, რომელიც უნდა უარყოფილ იქნას. ჯერ ერთი ვერას დროს ვერ მოიგონებთ თანმიმდევარ განცდას... ამახინჯებენ წარსულ სულიერ განწყობილებასაც კი, ადამიანი ჰფიქრობს, რომ ის ისე არ ფიქრობდა და გრძნობდა 20 წლის წინად, რასაც მართლა ჰფიქრობდა და გრძნობდა ის,—ფაქტებზე რომ არ ვილაპარაკოთ. ფაქტები ავიწყდებათ არა 20 წლის, არამედ 10 და უფრო ცოტა ხნის შემდეგ. სავინკოვს რომ არ დავიწყებოდა თავისი მონაწილეობა კორნილოვის შეთქმულებაში, ის არ ჩააქსოვდა თავის ახსნაში ანტიბოლშევიზმის შესახებ თავის დის დახვრეტის ამბავს, ვინაიდან ის ანტიბოლშევიკი იყო იმ დღეებში, როცა ბალშევიკებს არავის დახვრეტა არ შეეძლოთ, მათ თვით ხვრეტდენ ან ემზადებოდენ დასახვრეტად სავინკოვი და მისი მეგობრები. და ეს ხდებოდა 1917 წელს და არა 1905 წ...

განსაზღვრულ საკითხებზე მოცემული მასსიური პასუხი მოგვცემს სწორმომქმედ ხაზს, რომელიც შეარბილებს ინდივიდუალურ შეცდომათა შედეგს და საკმაო საბუთიანად გამოაჩენს მასსიერ (არა ინდივიდუალურს, მაგრამ ნაკლებათ საინტერესოს) სულიერ განწყობილებას. ეს შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციულად მოწყობილ მოგონებათა შთაწერით.

ანკეტის საშვალებით მოცემული პასუხი, გულდასმით შეკრებილი, დოკუმენტების კრებული მოგვცემს ჩვენ 1905 წ. ისტორიასათვის მასალას. როგორღა გადავამუშავოთ ეს მასალა?

ამის შესახებ მოვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

მ. პოკროვსკი.

(„პრავდა").

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანყოფილება X ტრიბუნა.

„პირველი მაისობა თბილისში“.

(იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1924 წ. 1 მაისის № 99 (954).

„ახსნა-განმარტება მიხეილ ჩოდრიშვილის მოგონების გამო—„პირველი მაისობა თბილისში“.

მიხეილ ჩოდრიშვილის წერილმა იძულებული გამხადა დამეწერა ეს განმარტება, რადგანაც ხსენებულ წერილში ბევრი ადგილი არ წააგავს სინამდვილეს.

ახლა გამახსენა მისმა წერილმა, რომ რამოდენიმეჯერ შემეკითხა იგი წარსულ პირველ მაისობის დემონსტრაციების შესახებ და ეხლა მიეხვდი, თურმე ისტორიის შესადგენათ სდომნია მას ჩემი ნალაპარაკევი; მაგრამ როგორც მისი წერილიდან სჩანს, მეხსიერება ძლიერ ღალატობს. ეს ასრეც უნდა იყვეს. მოხუცებულობაა მიზეზი: ძველი ამბავი მოხუცებულს ახსოვს კიდეე შედარებით თუ კი თვითონ მიუღია პირადი მონაწილეობა, რაც შეეხება ამს. მიხეილის ნაამბობს, იქ ბევრია დავიწყებული და ყალბი ადგილებიც; მას დავიწყებია ჩემი ნაამბობი, ორი თვის წინეთ რომ უამბე, ვიდრე მისი წერილი დაიბეჭდებოდა; ეთხრობია ამ დალოცვილს, მეც დავუწერდი. თორემ, ბაბა, ეს რასა ჰგავს. მკითხველი გაუგებრობაში შეყავს და ისტორიაც ყალბდება, მახინჯდება.

პირველი: სცდება როცა ამბობს,—პირველ **მაისობის** წინასწარ თათბირის მეთაურთა კრებებზე ვესწრობოდიო.

მეორე: სცდება როცა ამბობს—1900 წ. პირველი მაისის დემონსტრაცია ქუჩაში იყოვო. არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა. 1900 წელს პირველი მაისობა იყო მლაშე ტბაზე.

მესამე: სცდება აგრეთვე, როდესაც ამბობს, —1901 წელს მითომდა ის პირადი მონაწილე იყო. არაფერი მაგისთანა.—იგი იყო როგორც მაყურებელი. მიხეილ ამბობს —გვერდები დამიზილესო და სამი თვით დაპერილი ვიყავიო. არც გვერდები დაუზელიათ და არც დაპერილი იყო. იგი მხოლოთ ხუთი წუთით იყო დაკავებული ჟანდარმების მიერ და გაანთავისუფლა მისმა ნაცნობმა არსენალის ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟინერმა; უმოწმა როგორც უწყინარს და არა „ბუნტოვჩიკს". ამას და-ამოწმებს მისივე ძმა სანდრო, ისიც იქ მასთან იყო.

მეოთხე: სცდება როდესაც ამბობს 1898 წელს რამოდენიმე ათეულ ამხანაგებს პირველ მაისობას ოთხი დროშა ჰქონდათო.

ჩვენ ვიყავით 35 კაცი და გვქონდა ერთი დროშა.

მეხუთე: სცდება როცა ამბობს: 1899 წელს პირველი მაისობა გაიმართა მლაშე ტბასთან. „დამსწრენი იყვნენ მრავალ-რიცხოვანნი როგორც მუშებიდან, აგრეთვე ინტელიგენტებიდან".

რას ნიშნავს გაიმართა? რომელმა სულმა-წმიდამ გამართა?

ვინ იყვნენ მეთაურნი? ანუ ეგ მისი მრავალ რიცხოვანი მუშები და ინტელიგენტები?

არც მლაშე ტბასთან იყო და არც მრავალ-რიცხოვანი ყოფილა. სულ ვიყავით 74 კაცი ისევ ლოტკის გორაზე. მე კიდევაც გავატარე ჩემს სიტყვაში: „აი, ამხანაგებო, წარსულ წელს ე. ი. 1898 წ., ჩვენ ვიყავით 35 კაცი, ახლა კი ვართ 74 კაცი ე. ი. ჩვენ ორჯერ გაგზრდილვართ".

ახლა 1900 წ. მაისობაზე ვისაუბროთ. იგი ამბობს: გეგმა პირველ მაისობისა ჩემს სახელოსნოში შემუშავდაო და მოწმეებათ მოჰყავს ზ. ჩოდრიშვილი, გ. თელია და მ. ბოჭორიძე. რაღა სულ მკვდებზე ეყრდნობი, ცოცხლები ალარავინ არ გახსოვს? ეს იმიტომ მოსდის ასრე, რომ არც მის სახელოსნოში შემუშავებულა გეგმა და არც პირადი მონაწილე ყოფილა თითონ. აგრე კი არ იყო,—აი ასრე გახლდათ: გეგმა მუშავდებოდა როგორც ზაქროს სახლში, აგრეთვე გ. ჩხეიძესთან და ჩემთან ორი კვირით ადრე. მეთაურნი იყვნენ ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა, გ. ჩხეიძე, დ. ხარტიშვილი, ლ. ჯიბლაძე ს. ფარქოსაძე, ი. კოპალეიშვილი და სხვები.

მეექვსე: სცდება, როცა ამბობს: „1900 წელს პირველი მაისობა მოხდა ალექსანდროვის ბაღთან და პირველათ აფრიალდა დროშა"-ო.

აგრე არ იყო ეს. აი ასრე გახლდათ: 1900 წელს ჩვენ 500 კაცზე მეტი ვიყავით მლაშე ტბაზე. პირდაპირი მეთაურნი ვიყავით ზემო აღნიშნული ამხანაგები. ინტელიგენტებიდან იყო მხოლოთ გეურქ ყარაჯოვი. იყო ასეთი შემთხვევა: როდესაც მე და გ. ჩხეიძეს შეგვხვდა სილიბისტრო ჯიბლაძე და ჩვენ მას უთხარით, რომ მლაშე ტბაზე სამაისოთ მრავალნი მოვლენ მუშებიო (ვინაიდან ჩვენ ყველას შევატყობინეთ, რომ აუცილებლივ მოსულიყვნენ). ს. ჯიბლაძე ცოტათი ჩაფიქრდა და შემდეგ გვითხრა: „ბიჭებო, თქვენ, ვინც მეთაურნი ხართ, ნუ წახვალთ"-ო.

ჩვენში იმდენთ იყო ძვალში და რბილში გამჯდარი ფანატიკური თაყვანისცემა ინტელიგენტთადმი, და მით უმეტეს, სილიბისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსადმი, რომ კინალამ დავსთანხმდით, მაგრამ ერთბაშათ თავში გამიელვა აზრმა,—ალბათ იქ მოგველის რაიმე ხიფათი და მიტომ სილიბისტროს უნდა რომ აგვაცილოს.

მე ვუპასუხე; „სილიავ, ეგ არ არის კარგი, ეგ ადრევე რომ გეთქვა, მაშინ ჩვენ აღარავის დავუძახებდით, თორემ ეს რასა გავს: იქ რომ რაიმე ხიფათი მოხდეს და ჩვენ იქ არ ვიყვეთ, რას გვეტყვიან ის მუშები, რომლებიც გადარჩებიან, რალა პირით შეეხედოთ იმათ თვალებში, ეს ხომ ღალატი გამოვა,--არა და არა, მე დავუძახე იმათ და მეც უნდა ვიყვე იქ იმათთან, რაც მოხდეს, მოხდეს ყველასთვის. გ. ჩხეიძემაც ასე უპასუხა: აღარაფერი არ გვითხრა და ისრე ჩუმათ გატრიალდა და წავიდა.

ეს იყო ორი დღის წინად 1900 წ. სამაისოთ მზადებისა საღამოს 9 საათზე „ბომონდთან“.

მეშვიდე: ახლა ვისაუბროთ 1901 წლის მაისობის ქუჩის დემონსტრაციაზე იარმუკაში.

შენ ამბობ, რომ 1900 წ. და 1901 წელს წითელი დროშა მეჩოთქე გაბო ოქოევის მაღაზიაში იყო და იქიდანვე ორივეჯერ გამოტანილი იქმნა.

როგორ თუ გამოტანილი, არ შეიძლება რომ გვითხრა—ვინ მიიტანა და ვინ გამოიტანა?

თუმცა ეს ისე არ ყოფილა როგორც იგი ამბობს, მაგრამ დაუშვათ, რომ დროებით ეს ვითომ ასე იყო, მაგრამ იგი აქ ჩუმდება იმიტომ, რომ არ იყო პირდაპირი მონაწილე და არც ჩემი ნაამბობი დახსომებია. იგი ამბობს, იარმუკაში რომ გავედით, 18 აპრილი იყოვო, კვირა დღეო. 18 აპრილი კი არ იყო, არამედ 22 აპრილი —კვირა, 18 აპრილი კი იყო ოთხშაბათი.

იაღლიშობა შეიძლება, კაცს არ ახსოვდეს უბრალო წვრილმანი რამ ცხოვრებიდან და არა ასეთი, სადაც რევოლიუციონერი გადის ქუჩაში პირველად შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს მეფის მთავრობას და წითელ დროშას აფრიალებს. ეს ისეთი მოვლენაა რევოლიუციონერის ცხოვრებაში, რომ სიკვდილამდის ახსოვს თარიღიც, დღეც და რანაირი ამინდი იყო ისიც. ამაში ყოველი რევოლიუციონერი დამეთანხმება ვინც კი პირის-პირ მდგარა სიკვდილის წინაშე. იგი კი ვერ ამბობს სინამდვილეს, ეს მიტომ, რომ არ იყო პირდაპირი მონაწილე, არამედ—იყო როგორც უბრალო მაყურებელი, დაინტერესებული თანამგრძნობი.

მერვე: იგი ამბობს: ერთ პატარა ბიჭს მისცივდნენ მუშები, გამოსტაცეს ხელიდან დიდ ტარიანი ჩოთქი და ააფრიალეს დროშა.

რას მიედ-მოედება ეს დალოცვილი. ბალღები ყურთაგლეჯას ხომ არა თამაშობდნენ? აქ იყო ორგანიზაცია და ორგანიზაციულა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ემოქმედებდით. დროშა როგორ და ვის მიერ იქნა აღმართული, ამაზე „ისკრის“ მე-4 ნომერშია ნათქვამი: „1901 году 22 апреля в Тифлисе первый раз в истории грузинского рабочего движения было поднято красное знамя Аракелом Окуашвили“.

მეცხრე: იგი ამბობს, რომ ჩვენი მხრიდან დაიჭრა სამი ამხანაგი: ლეონტი მამალაძე გ. თათანაშვილი და კ. ვიგორბინი, უგრძნობლათ ეტლში ჩაყარესო და ციხეში გაგზავნესო, პოლიციის მხრიდან „გოროდოვოი“ მოკლესო. არც ერთი ეს სიმართლე არაა; დაჭრით არავინ არ დაჭრილა ჩვენი მხრიდან. ნაცემი კი ბევრი ვიყავით. ყველაზე ძლიერ მამალაძე იყო ნაცემი, რადგანაც „გოროდოვოი“ დასჭრა ტყვეით ორ ადგილას. ის „გოროდოვოი“ არ მომკვდარა. გვარათ კიტაევია, 90 მანეთი მისცეს მოსარჩენათ. ეს მან თვითონ მიამბო 1902 წელს, როდესაც მე-5 „უჩასკაში“ ვიყავი დატუსაღებული, რადგანაც ციხეში „ოდინოჩკებში“ ადგილი არ იყო. 1905 წ. ის „გოროდოვოი“ კიტაევი „ოკოლოდოჩნიკათ“ აკურთხეს.

რაც შეეხება კოლა ვიგორბინს, ის ჩემთან დაიპირეს. მე რომ გაქაჩული მივყავდი პოლიციელებს, კოლა ალექსანდროვის ბაღიდან გამოვარდა და გაჭკრა ყბაში ერთ ჩემ დამჭერთაგანს და თან მიაძახა: „Я его товарищ, возмите и меня тоже“, სტაცეს ხელი და დაიპირეს. ამას თვითონ კოლა ვიგორბინი(ა) დაადასტურებს. ის ტრამვაიში მუშაობს.

მეათე: სცდება, როცა ამბობს—1901 წ. მაისობის გამო „ზაქრო ჩოდრიშვილი და მ. ბოჟორიძე შემდეგ დაიპირეს ზაქრო ირკუტსკში გადაასახლეს და მ. ბოჟორიძე ამხანაგებმა ციხიდან გააპარეს“.

მკითხველს ისე ესმის, თითქოს 1901 წ. მაისობის გამო ყოფილიყვნენ დაჭერილნი მ. ბოჟორიძე და ზ. ჩოდრიშვილი და არც შეიძლება სხვანაირად გაიგოს მკითხველმა, ვინაიდან იგი დომხალივით ურევს ერთმანეთში.

რაც შეეხება მ. ბოჟორიძის დაჭერას, აი ასე იყო: ის დაიპირეს 1906 წ. და იმავე წელს გამოაპარეს; აბა რა აქვს ამას საერთო 1901 წლის მაისის დემონსტრაციასთან (მაგრამ უკაცრავად, იგი ხომ „პირადი მონაწილე იყო“).

რაც შეეხება ზაქროს დაჭერას, აი ესეც ასე იყო: 1901 წლის დემონსტრაციების შვიდი თვის შემდეგ რომ გამოგვიშვეს, შემდეგ დავაარსეთ ახალი კომიტეტი, ძირიდან არჩეული, რომელშიაც ვიყავით არჩეულნი: ზაქრო ჩოდრიშვილი, გ. ჩხეიძე, კ. გოგუა, ს. ჯაფელი, გ. ყარაჯოვი, არაქელ ოქუაშვილი და პროკოკოტორი სტაროსენკო, რომელიც მთავრობამ შემოაპარა როგორც სოციალ-დემოკრატი მუშა, რომელმაც შემდეგში გაგვცა 1902 წ. 16 თებერვალს. აი ასე იყო 1902 წ. სტაროსენკოს მეოხებით იქნა გაცემული კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი და ზაქროც, როგორც კომიტეტის წევრი, კომიტეტთან ერთად იქნა 1903 წელს ირკუტსკში გადასახლებული.

მეთერთმეტე: რაც შეეხება 1902 წლის მაისობას, ამ წელს არავითარი მაისობა არ მომზდარა, რადგანაც მეთაურები სულ მთლათ დაჭერილები იყვნენ. გარეთ დარჩნენ სულ ახალგაზრდა ამხანაგები, რომელთაც ვერ შესძლეს მასიობის მოწყობა, ვინაიდან მთავრობის მხრივ დიდი ზომები იყო მიღებული, ეს ვიცი მიტომ, რომ 1902 წ. თებერვლიდან ვიყავი დატუსაღებული მე-5-ე ნაწილში მაისის 14-მდის, შემდეგ მეტეხში გადამიყვანეს.

ამ მე-5-თე ნაწილში ჯდომის დროს მოვისყიდე „გოროდოვოები“ არყით და მუდამ უშვებდნენ ჩემთან სანახავათ ნაშუადღევს ამხანაგებს იმ დროს, როდესაც მორიგ „აკოლოდჩნიკსა“ და „პრისტავს“ ეძინათ. აი ეს ახალგაზრდა ამხანაგები გიგო ლელაშვილი, პეტრე პეტრიაშვილი და გიგო მეტრეველი მუდამ მოდიოდნენ ჩემთან და მაცნობებდნენ საქმის მიმდინარეობას და თანაც იძახდნენ: ნეტავ შენ რომ დაჭერილი ხარო. ჩვენ კი ისე გაგვიძნელა მთავრობამ საქმე, რომ სამი კაცს თავი ერთად ვერ მოგვიყრიაო. ამიტომ წელს მაისობა ვერ მოვაწყეთო.

იყო მხოლოდ სამაისო პროკლამაციები, რომელიც მეც ვნახე „უჩასტკაში“.

რათ დამჭირდა ამ წერილის დაწერა,? მიტომ, რომ ახალგაზდობა არ იყვეს გაუგებრობაში შეყვანილი და აგრეთვე რევოლიუციის ისტორია არ იქნეს დამახინჯებული.

ამიტომ თავს ვალდებულათ ვთვლი განუმარტო მკითხველს 1901 წლის 22 აპრილს წითელი დროშის ამართვა, რადგანაც ეს არის საქართველოს მუშათა მოძრაობაში პირველი მაგალითი.

საქმე იყო ასე. ის დროშა იყო 1900 წ. გაკეთებული და პირველ მაისობას 1900 წ. მლაშე ტბაზე ამართული. შემდეგ ის დროშა მე მებარა. 1901 წ. გვინდოდა 18 აპრილს გამოვსულიყავით ქუჩაში. წინა დღით ვითათბირეთ გიორგი ჩხეიძის და ლადო ჯიბლაძის ბინაზე, ანდრეევის ქუჩაზე. 18 აპრილს მიტომ გვინდოდა, რომ შეგვეფარდებინა საზღვარგარეთ მუშათა მაისობისათვის. 18 აპრილს დილით ზემო ჩამოთვლილი მეთაურნი დემონსტრაციისა ორ-ორი კაცი წავედით ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში დასათვალიერებლათ თუ სად უფრო სუსტი იყო მტრის ძალა, რომ შეძლება მოგვცემოდა გამოსვლისა. მე და ზაქრო ჩოდრიშვილი ერთად დავდიოდით. 12 საათზე იმავე დღეს, 18 აპრილს, შევიკრიბენით და გამოირკვა, რომ დღეს შეუძლებელია დროშის აღმართვა, ვინაიდან უკვე გაცემულები ვყოფილიყავით. და მტერს დიდი ზომები ჰქონდა მიღებული. მთელი ქალაქის გარნიზონი და პოლიცია სულ გამზადებული იყო საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძოლველათ,—სამ კაცს ერთად არ უშვებდნენ, რომ გაჩერებულიყვნენ. ზოგიერთებმა სთქვეს ისიც, რომ წელს გადავდვათო, რადგანაც შეუძლებელიაო. მე წინადადება შევიტანე: „მოდი ბიჭებო ასე მოვიქცეთ: კვირას, 22 აპრილს ხომ იარმუკაში ბაზრობაა, იქ იქნება აუარებელი ხალხი, ჩვენც იმათ შიგ ავერიოთ და ასე მოგვეცმა საშუალება, რომ დროშა ავმაროთო. ეს ჩემი წინადადება მოწონებული იქნა. მევე განვაცხადე სურვილი, რომ დროშას მე ავმართავ მეთქი. მიხა ბოჭორიძეს უნდა პარიკი ჰქონოდა სახეზე, რადგანაც სიტყვა იმას უნდა ეთქვა, რომ არ ეცნოთ.

წინა დღით, შაბათს, დაუარეთ ფაბრიკა-ქარხნებს და ყველანი მოვიწვიეთ 22 აპრილს, კვირა დილით იარმუკაში 10 საათზე.

გათენდა 22 აპრილი. ზაქრო მოვიდა ჩემთან. წამოვიღე დროშა ჩემი სახლიდან (ნახალოვკაში იყო). ზაქრო გვერდიდან არ მშორდებოდა.

იარმუკაში რომ მოვედით, უკვე გაცემულები ვყოფილიყავით. ვინაიდან პოლიციას ზომება ჰქონდა მიღებული ჩვენ დასახვედრათ.

ხაზინაში ჯარი იყო ჩასაფრებული. დუქნები არ გააღებინეს. ქანდარმერიის როტმისტრები და ვახმისტრები კონკებიდან თვალყურს ადევნებდნენ იარმუკას და ერევნის მოედანს.

რადგანაც მე და ზაქროს გვიცნობდნენ ქანდრის როტმისტრები როგორც 1900 წ. ციხეში ნაჯდომებს, ამიტომ მივმართე შემდეგ ხერხს: დროშა მივაბარე ჩემ ცოლის ძმას კარაპეტას, 20 წლის ახალგაზრდას, მას დროშა ჰქონდა ამოფარებული პალტოს ქვეშ. მე ვუთხარი მას, რომ ის გვერდიდან არ მომშორებოდა და როდესაც ვანიშნებდი, იმ წამსვე იქ უნდა დაბადებულიყო.

მეორე ახალგაზრდას, სპპონენიკ დათიკო კალატოზიშვილს შეგირდს მივეცი მანეთი და ექესი შაური—წადი და გაბო ოქოევისაგან იატაკის ჩოთქი იყიდე მეთქი, და შენც გვერდიდან არ მომშორდე მეთქი. მათ ორივემ იცოდნენ საქმის ვითარება და თავიანთი მოვალეობა.

გაბო ოქოევმა მკითხა: „ეს რა ამბავია, რომ დღეს დუქნები დაგვაკეტინესო“. მე ვუთხარ მას: შენ როგორც ვაჭარს, უფრო გეცოდინება მაგათი ჩართი-ფურთი მეთქი. თუმცა შემდეგ კიდეც მისაყვედურა—რატომ არ მითხარ თუ ბუნტს აპირობდით, რომ დავმალულიყავიო, იქნება მოვეკალიო“. მე ვუთხარი—ამ ჩემს ფეხებს, თუ მოგკლავდნენ, შენ ჩვენზე რითი ხარ მეტი.

სრულ ათ საათზე შევიკრიბენით ალექსანდროვის ბაღის წინ, ასე 300 კაცამდის ვიქნებოდით. დანარჩენი ბაზრის ხალხი იყო. ორატორმა სიტყვა წარმოსთქვა (მგონი მ. ი. კალინინი იყო), რადგანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხა ბოჭორიძემ დაიგვიანა და იქავე დარჩა როსტომაშვილის ბაღლის დუქანში პარიკის კეთებაში.

მე რო გადავხედე—პოლიციელები უკვე გამზადებულნი იყვნენ. მივმართე ზაქროს: „ბიჭო, ზაქრო, მე მგონია, რომ ვერ შეეცლებით დროშის ერევნის მოედნამდის მიტანას“—მეთქი. მან მითხრა: „ბიჭო, არაქელ, შე ყურმუსაღო,—განა იმას აქვს მნიშვნელობა, რომ დროშა უეჭველათ ერევნის მოედნამდის აიტანოვო, მნიშვნელობა იმას აქვს, რომ დროშა აიმართოსო, თუ შენ არ გსურს, მოიტა მე ავწევო“.

მე აღარასფერი არ უთხარ. გავქანდი შუაგულ დემონსტრანტებში, ვანიშნე ჩემ ბიჭუნებს ახლოს მოსულიყვნენ, გამოვართვი დროშა და ჩოთქი და ავმართე.

პოლიციელებმა შემოგვიტიეს ხმლებით. ხალხი შეტორტმანდა გარეშეებმა დააპირეს გაქცევა, ჩვენებს ფეხებში ედებოდნენ, მე მომვარდა „პრისტავი“ გედევანიშვილი. ამ დროს ლასა მგელაძემ გამომტაცა დროშა და გადისროლა დემონსტრანტებში. თათანაშვილს დროშის ტარი შიგ ცხვირში მოხვდა და მან სტაცა ხელი. მე „პრისტავი“ მოგვერდზე მოვიგდე და ჩემ ქვეშ მეეჭცა, დაჭკრეს მკლავში ჯოხი, მე მას თავი გავანებე და გავქანდი დროშისაკენ. „პრისტავი“ ფეხით გადათელეს მუშებმა. ვტაცე ძეორეთ დროშას ხელი და ვნახე, რომ დროშა განსაცდელშია, გამოვიტაცე, ამ დროს მეცა ორი „გოროდოვოი“, ერთი სალდათი და „პრისტავი“, გაწევ-გამოწევაში დროშა შუაზე გაიხა, მაგრამ მთლად არ მოშორებია ერთი მეორესქვეშე ბოლო ბუზმენტმა შეიმაგრა. მე უკვე გაქაჩული ვიყავი შუაგულ მოედანზე, ხალხი უკვე გაფანტული იყო. ამ დროს ზაქრომ და გიორგი მარსაგოვმა გვერდით ჩამიარეს, უნდოდათ ჩემი განთავისუფლება, მე მათ გადავძახე: საქმე წაგებულია და თავს უშველეთ მეთქი. გადმოხტა პაპიროზის ფაბრიკის მუშა საფაროვი, მოუწოდებდა ლანძღვა-გინებით მუშებს მოდით არაქელა გავანთავისუფლოთო, გადმოხტა მეორე, ისიც ფაბრიკის მუშა გ. ბალეგოვი, ამას მოჰყვა მესამე მუშა ადელხანოვის ქარხნის „სპოჟნიკი“ მ. კიკნაძე, მაგრამ გვიანლა იყო, რადგანაც უკვე ჟანდრები შემოგვეხვივნენ. პირველი მოვარდა ერთი მაღალი შავი, ორ კაკარდიანი პოკურორი. იმან უთხრა ჩემზე: „Обезоружить этого разбойника“, რადგანაც მე ორივე ხელებით ხანჯალი მეჭირა და არ ვანებებდი.

მერე მოვიდა ჟანდარმის როტმისტრი ლაგოროვი. ის უკვე მიცნობდა. რადგანაც 1900 წ. გაფიცვაზე მისი განკარგულებით ვიყავ დატუსაღებული. „Ааа!.. попался Аракел!“ შემდეგ უთხრა ვახმისტრს; „Знамя берегите“.

როდესაც ვახმისტრმა ნახევარი დროშა მიწიდან აიღო, დაკეცა და მკლავზე გადიდო, მე ძაან გამიკვირდა, რომ ასე პატიოსანცემით მოეპყრნენ ჩვენს დროშას და გულში მადლობა შეუთვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფანტულმა დემონსტრანტებმა ერთი ძალა კიდევ მოიკრიფეს, თუმცა პოლიციელები ხმალ-და-ხმალ მისდევდნენ. შეგროვდნენ მარტიროსიანის სტამბის კუთხეში, დავინახე როგორ გამოსტაცა ერთ მუშას ლასამ კეტი და „გოროდოვოებს“ მიადგა ცემა-ტყეპით; ხელახლათ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა: ხმალი, ხანჯალი და კეტები ერთმანეთში აირია. მე წამომიყვანეს მე 3-მე „უჩასტკისკენ“. „ლონდონის“ სასტუმროსთან რომ მოვატანეთ, ორჯერ გავარდა რევოლვერი, ეს თურმე ისროლა ლეონტი მამალაძემ.

პოლიციაშიც ბევრი გვირეკეს, აგვწერ-დაგვწერეს ჟანდარმებმა, შემდეგ იმ ალაგსვე, საათის ორზე, გაგვიკრეს ხელები თოკებით. ისე მაგრა დაგვთოკეს, რომ ხელებს აღარა ვგრძნობდით. სულ ფეხით აწვებოდნენ თოკს, ჟანდრებმა კიდეც უთხრეს ცოდონი არიან, ეგრე მაგრა ნუ უჭერთო. გოროდოვოებმა უპასუხეს: როგორ თუ ცოდო, ერთი კვირაა, რაც ამათ გულისათვის დღე და ღამ მორიგეობაში ვართო. სულ 41 კაცი ვიყავით—38 მამაკაცი და სამი ქალი—კურსისტკები: ნინა ნოსარი, რაბინოვიჩი და ფინკელშტეინი. ასე თორმეტ-თორმეტი კაცი გადაგვაბეს გუთნეული ხარ-კამეჩივით და ისე „ზარი ზეიმით წაგვაბძანეს მეტეხის ციხეში“. რიეკზე რომ ჩაგვატარეს „ბორეეფი ტრაქტინიდან“ ქუჩის ნაძირალებმა დაგვიწყეს ლანძღვა-გინება: „აი თქვე ბუნტოვჩიკო მამაძაღლებოვო და სხვა უარესი“, ფაბრიკის მუშა გალეტოვმა გეურქამ შეუკურთხა ქალაქის ბიჭურათ: „ე. ე. ე..... თქვე ვირებო თქვენა, რა გესმით რაშია საქმე და სხვ..

ციხეში შვიდი თვე ვიყავით. არც სანახავათ უშვებდენ მახლობლებს და არც დღისით გვიშვებდნენ სასეირნოთ. ამ შვიდ თვეში ჩვენ მზის სხივი არ მოგვკარებია, გაგვიჩნდა ციხეა (ღრძილების სურავანდი) დაფლეთილ ზეზეურათ, წვერებზე რომ ხელს ვივლებდით, თმა გვცივოდა.

მოვიდა ვიცე გუბერნატორი—მგონი უფრო მოიტანეს, სქელი, ლაპიანი კაცი, იყო სიმსუქნისაგან ტუჩები გადმობრუნებული ჰქონდა; ჟანდრები იღლიებში შეუდგნენ და ისე ამოიტანეს კიბეებზე, ქშინავდა როგორც ინგლისური აორქშირის ღორი; შემოიტანეს ჩვენს კაბერაში, დაგვიწყო მუქარა: თუ კიდევ გაბედავთ „ბუნტს“, სუფეველას ჩამოგახრჩობთო. მოატრიალეს და ისევ უკან წაიღეს. ჩვენ გაგვეხარდა—კარგია ბიჭოს ეხლა არ გვახრჩობენ, ეს კარგია, ავანსათა გვპირდება“. მეშვიდე თვეს მოვიდა ჟანდრების ოფიცერი ცისი, მოიყვანა ყველა ის „გოროდოვოები“, რომლებიც იქ იყვნენ დემონსტრაციაში, პირის-პირ დაგვიყენა და ჰკითხა: „აბა, ამათში ვის იცნობთ, ვინ იყვნენ დემონსტრაციაში?“ მე და კიკნაძეს დაგვადეს ხელი, დანარჩენებს კი ვერ ვიცნობთ, რადგანაც წვერ-ულვაში ამოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიათო. შემდეგ მიმართა სხვა ხერხს; „მე ვიცი, რომ აქ თქვენში დამნაშავენიც არიან და უდანაშაულოც, და რომ უდანაშაულონი არ დაისაჯონ, მომეცით დამნაშავეები და გაძღევთ პატიოსან სიტყვას, რომ დანარჩენებს ახლავე გაუშვებო“. ხუთი წუთი ვადა მოგეცა მოსაფიქრებლათ.

„ბოროდოვოები“ გარეკა კამერიდან და თითონაც გავიდა. მე მივუბრუნდი და უთხარი ამხანაგებს: „მოდი, ბიჭებო, რამდენიმე კაცმა მივიღოთ ჩვენს თავზე დანაშაული და დანარჩენები გავანთავისუფლოთ, რადგანაც ჩვენში ექვსი კაცი სულ უდანაშაულოა და იმათში ჩვენებსაც გავატანთ მეთქი; დამთანხმდნენ: მაშ, შენ თვითონ გადაგვარჩიე, ვისაც გვეტყვი, შენი თანახმა ვიქნებითო. 1-ლი გამოუძახე კოლა ვიგორბინს, 2-რე ოისკა გეორგობიანს, მე-3-მე ლადო ჯოხაძეს, მე-4-ხე ტომარაძეს, მე-5-თე კერესელიძეს და მე-6-სეც მე. გამოეცალკევდით და დაუძახეთ როტმისტრ ცისს. თუმცა ეცოტავა ექვსი კაცი, მაგრამ რას იზადა, ამაზე მეტს თვითონ ხომ ვერ აღმოაჩენდა. აწერა ყველანი. შემდეგ უთხრა „ნადზირატელს“; „გააღე კარები და გაუშვი, ეგენი თავისუფლები არიან“. სულ 27 კაცი იყო. უნდა გენახათ რა ამაღელვებელი სურათი იყო მათი გამომშვიდობება ჩვენთან.

ამხანაგებს ცრემლები მოსდიოდათ თვალებზე; „გვაპატიეთ, რომ თქვენ ჩვენს მაგივრათ თავებს სწირავთო“. რომელიც უდანაშაულოთ იყვნენ ჩავარდნილნი, ისენი ხომ საქონელსავით ბღაოდნენ.

გვაპატიეთო ჩვენ თქვენი დაბეზღება გვინდოდა, რადგანაც ძლიერ გაგვიჭირდა ციხეში ჯდომაო და თქვენ კი გვანთავისუფლებთო.

მოგვცვივდნენ—ხელებზე უნდოდათ ეკოცნათ. ჩვენ ამის ნება არ მივეცით. სახე გადაუკოცნეთ და ეუთხარით, კვლავ რომ ჩავარდეთ ციხეში სოციალისტების გულისთვის, ისინი მუდამ შეგინახავენ და თავიანთ დანაშაულისთვის თქვენ არ გაგიმეტებენ.

ეხ, რა ბედნიერი ვიყავი მე ამ დღეს, რა ლამაზი ყოფილა ჩაგრულთათვის თავის განწირვა, რა თავმდაბლურ სიამაყეს გრძნობ, რა ძლიერ გიყვარს შენი თავი ამ წუთებში, გრძნობ, რომ ახლა ხარ ღირსი გერქვას ადამიანი. მე ამას ვგრძნობდი და ამასვე განიცდიდნენ ჩემი ხუთი ამხანაგები. სახე უბრწყინავდათ, გამხიარულდნენ: ლამაზი სანახავები იყვნენ და მათთან სიკვდილიც ლამაზი იყო.

ამბ. მიხეილ ტყეშლათ ითვისებს ქუჩის დემონსტრანტობას. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ იგი ქუჩის დემონსტრაციებისათვის არ ვარგოდა და მიტომაც არ იყო ჩვენს ანგარიშში და არც ვიწვევდით და თუ ყოფილა, ყოფილა როგორც უჭრალო მაყურებელი, ეს იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ნიშნავს, რომ იგი პირადი მონაწილე იყო. მას აქვს კარგი რევოლუციონური მხარეები, რომელშიაც არავინ დაედავება; მაგალითად: მასთან შეიძლებოდა შეგვენახა როგორც არალეგალური ლიტერატურა, აგრეთვე იარაღიც. იგი ამას პირ-ნათლად და პატიოსნათ ასრულებდა. მას ვაკეთებინებდით საიდუმლო მაგიდებს, შკაფებს და სხვა... აი ამაში იყო იგი დახელოვნებული... ჩემი რჩევა მიხეილ: როდესაც მოგონებებს სწერდე, ფრთხილათ გაარჩიე ისტორიული საბუთები, რომ ახალგაზრდა თაობა არ შეეიდეს შეცდომაში და რევოლუციის ისტორია არ იქნას დამახინჯებული.

კომუნისტური პატივისცემით,

შენი თანამეედროვე ამხ. **არაქელა ოქუაშვილი.**

29/VI-24 წ.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა
ტფილისი